თეიმურაზ მაღლაფერიძე

მარადი აწმყო

უნივერსალი
2005

ბედნიერია ის ერი, რომელსაც მრავალრიცხოვანი და საღგონებიანი ინტელიგენცია ჰყავს.

ილია ჭავჭავაძე

სინათლის მფლობელად მე ვსახავ ინტელიგენციას. დიახ, ინტელიგენციამ უნდა გამოსცეს ნათელი, მან უნდა მოჰფინოს შუქი უმრავლესობის ბნელ გონებას, განასპეტაკოს ერის გრძნობა, მოაშოროს ჟანგი და ჭუჭყი მის გულს.

ვაჟა-ფშაველა

რედაქტორი: რევაზ სირაძე

რეცენზენტები: ვანო ამირხანაშვილი,
უჩა შერაზადიშვილი

© გამომცემლობა „უნივერსალი“, 2005

ISBN 99940-32-63-1

რედაქტორის წინათქმა

ქართული კულტურის რაობას მრავალმხრივ განსაზღვრავდა-ხოლმე სულიერი არისტოკრატიზმი. ამით მწერლობაც და ინტელიგენციაც ხშირად დგებოდა ამა თუ იმ ეპოქის მაღლა.

ესაა ნაჩვენები ამ წიგნში.

ეს წიგნი გამიზნული იყო სადოქტორო დისერტაციად, რომლის დაცვა თეიმურაზ მაღლაფერიძეს აღარ დასცალდა.

მისი სტილი განერიდებოდა-ხოლმე ფორმალურ აკადემიზმს. აქაა თავისუფალი და მართალი ფიქრი ფიქრზე და ასეა წარმოჩენილი ბედი ქართული ინტელიგენციისა. მაშინ ამას არცკი ჰქონდა მაინცდამაინც დიდი ტრადიცია. არჩილ ჯორჯაძის შემდეგ იშვიათად თუ გაკრთებოდა-ხოლმე მართალი სიტყვა ქართულ ინტელიგენციაზე.

60-იანი წლებიდან ქართულ ლიტერატურულ აზროვნებაში თითქმის აღარ იყო წამყვანი ე. წ. სოციალიზმი. თუმცა ნომენკლატურული ლიტერატორებისთვის თავისუფლება დისკომფორტს ქმნიდა. ჭირდა სიახლეებთან შეგუება. თ. მაღლაფერიძისთანა ლიტერატორები კი ამას შინაგანად მომზადებულნი შეხვდნენ. ამისი საფუძველია ყადრი ჭეშმარიტად მაღალი ლიტერატურისა.

თ. მაღლაფერიძის მიმართება ლიტერატურისადმი აღბეჭდილია ღირსეული სილაღითა და სიმართლით.

სრულიად განსაკუთრებული სიღრმით იცოდა თ. მაღლაფერიძემ მწერლობა, ქართულიც, რუსულიც და დასავლეთევროპულიც. მისთვის, თითქოსდა, განუყოფელი იყო მწერლობა და ყოფითი ცხოვრება. ასეთი ბუნება აახლოვებდა მას უნივერსიტეტის ღირსეულ მასწავლებლებთან, კერძოდ, ბატონ გრიგოლ კიკნაძესთან და ბატონ ფარნაოზ ერთელიშვილთან.

ქართული ინტელიგენციის შეფასებისას მას ჰქონდა ასეთი თვალთახედვა: ესაა სულიერი (და არა სოციალური) არისტოკრატიზმი; ჩვენ ვიტყოდით, ესთეტიკური

არისტოკრატიზმი, რაც მისთვის ერთგვარად ათანაბრებდა ხალხურ მთქმელსაც და ცნობილ მწერალსაც.

ყოველი ახალი დრო გააქტუალურებს-ხოლმე ფიქრებს ინტელიგენციაზე. ასეა დღესაც და ასევე იქნება მომავალშიც.

ამიტომ ამ წიგნში წარმოდგენილი გააზრებანი ქართულ მწერლობასა და ინტელიგენციაზე განათლებული მკითხველისათვის, ალბათ, შეიძლება იქცეს ფიქრად თავისთავზე.

რევაზ სირაძე

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა

საყოველთაოდ ცნობილია, რომ შემოქმედებით ინტელიგენციას განსაკუთრებული როლი აქვს ამა თუ იმ ერის ცხოვრებაში. იმის მიხედვით, თუ რა ინტელექტუალურ-ზნეობრივი ძალა შესწევს მას, შეგვიძლია დასკვნები გამოვიტანოთ ქვეყნის სულიერ ღონესა ან უღონობაზე. სწორედ შემოქმედებითი ინტელიგენციაა კულტურულ ფასეულობათა შემქმნელი და ეს ფაქტი მრავალწილად განსაზღვრავს კიდეც ერის საერთო ინტელექტუალურ დონეს.

ინტელიგენციის პრობლემას დიდ ყურადღებას უთმობდნენ და ახლაც უთმობენ სხვადასხვა ქვეყნის მწერლები და მოაზროვნენი. ჩვენ შეგვიძლია მრავლად დავასახელოთ მხატვრული სახეები ინტელიგენტებისა, რომლებიც ხიბლავდნენ და მომავალშიც მოხიბლავენ მკითხველებს ჰუმანიზმით, ინტერესთა სიღრმითა და სიფართოვით, სამყაროს შეცნობისაკენ ლტოლვით, ემოციების ფაქიზი დახვეწილობით, ეროვნულ თუ სოციალურ პრობლემებთან ბრძოლის წყურვილით, ფილისტერობასთან შეურიგებლობითა და სხვ. ეს ინტელიგენტები ფრიად უხვ მასალას იძლევიან, რათა დაკვირვებანი ვაწარმოოთ მათი წარმომშობი ერის ბუნებაზე, მის შინაგან, ფსიქოლოგიურ სტრუქტურაზე.

ინტელიგენტი ლათინური წარმომავლობის სიტყვაა და განათლებულ, ღრმად მოაზროვნე, გონებრივი შრომით დაკავებულ, კულტუროსან ადამიანს გულისხმობს, ანუ ინდივიდს, რომელიც ზნესრულია, სულიერად აღზევებული, შინაგანად დამოუკიდებელი გახლავთ და განრიდებულია ვულგარულ ფიქრსა და ქვეყანას.

ეს ზოგადად.

მაგრამ: კონკრეტულად მაინც რას ნიშნავს ინტელიგენტობა? მხოლოდ ცოდნას, განათლებას, ერუდიციას? ან იქნებ დიპლომს? ეს ყოველივე, ალბათ, აუცილებელი პირობაა, რათა ადამიანი ინტელიგენტად წარმოგვიდგეს, მაგრამ საკმარისი სულაც არ არის. წაართვით ინდივიდს კონკრეტული, საგნობრივი ცოდნა, და თუ მაინც შეინარჩუნებს უნარს - მიუხვდეს სხვა კულტურულ ადამიანებს, გაიაზროს ფართო და მრავალფეროვანი წრე სიღრმისეული იდეებისა, ამასთანავე, თუ არ დაკარგავს გონისმიერი ცხოვრებისაკენ ლტოლვის უნარსა და ღვთივკურთხეულ სულიერებას, უნდა ვიფიქროთ, რომ სწორედ ეს იქნება ნამდვილი ინტელიგენტობა.

შეიძლება ძუნწმა ხელგაშლილად მოგვაჩვენოს თავი, უპატიოსნომ პატიოსნად, მაგრამ არაინტელიგენტი ვერასდროს შეძლებს ინტელიგენტის მანტიის მორგებას. სხვათა შორის, იქნებ ესეცაა ერთი მიზეზი, ბუნებით არაინტელიგენტების ნაკლებკეთილმოსურნეობისა ინტელიგენტების მიმართ.

ნამდვილი ინტელიგენტი ყოველთვის სადაა, უეშმაკო, ბუნებრივი, გულღია და წრფელი. იგი დაუცადებლად შრომობს ფუტკარივით, მაგრამ იმდენად თავმდაბალია, რომ ვერც კი ამჩნევს თავის უპირატესობას არაინტელიგენტ ადამიანებთან შედარებით.

ზემოთქმული, უნდა ვივარაუდოთ, სწორია და, ამდენად, მისაღებიც, მაგრამ ისიც ამასთანავე უნდა ვაღიაროთ, რომ ამით ოდნავადაც ვერ ამოიწურება ვითარების არსი. ტერმინ „ინტელიგენტის“ დეფინიციას კიდევ მრავალი ასპექტი აქვს და ყველა მოცემულ შემთხვევაში, კონკრეტულად უნდა იქნეს განხილული. ხოლო ზოგადად, შემოქმედ ინტელიგენტს, როგორც შევთანხმდით, იმ ადამიანს უწოდებენ, რომელიც არ ქმნის ე. წ. მატერიალურად ხელშესახებ ღირებულებებს, სამაგიეროდ, იგი სულიერ ფასეულობათა შემოქმედად გვეელინება.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ცნება „ინტელიგენტი“, ხმარებაში გასული საუკუნის სამოციანი წლებიდან იქნა შემოღებული. მალე ამ ტერმინმა საყოველთაოდ მოიკიდა ფეხი და რაც მეტი ასპარეზი მიეცა მაშინდელ საქართველოს ცხოვრებაში მასწავლებლის, მეცნიერის, მწერლის, ჟურნალისტის, მხატვრის, მუსიკოსის, არტისტის, ღვთისმსახურისა და სხვა გონისმიერ, შემოქმედებით პროფესიებს, მით უფრო მეტი გაერცელება და გამოყენება ჰპოვა.

XIX საუკუნიდან მოყოლებული, სპეციალური და პოლიტიკური მიზეზებისა გამო, საზოგადოებრივი აზროვნების სხვადასხვა ფრთის წარმომადგენლები ბევრს წერდნენ ინტელიგენციაზე. წერდნენ „თერგდალეულები“, ხალხოსნები, „მესამე დასის“, ანუ სოციალ-დემოკრატიის მენშევიკური, გინა ბოლშევიკურ დაჯგუფებათა ლიდერები, აგრეთვე, სოციალ-ფედერალისტები. წერდნენ სხვებიც.

ისინი დაჟინებულად ცდილობდნენ გაერკვიათ და განესაზღვრათ ინტელიგენციის ადგილი და როლი საზოგადოებაში, ცხოვრებაში საერთოდ. აზრთა სხვადასხვაობა სრულიად აშკარა იყო. მაგრამ მთელს იმ ლიტერატურაში, ინტელიგენციის არსის წარმოჩინებისთვის რომ არის შეტანილი, XIX საუკუნიდან დაწყებული, ორი ძირითადი მიმართულება იკვეთება:

პირველის მიხედვით, ინტელიგენცია საერთო-სახალხო,

ზეკლასობრივი ფენომენია. ხოლო მეორე თვალსაზრისი, ინტელიგენციას განიხილავს, როგორც კლასობრივ მოვლენას.

პირველი, როგორც მოსალოდნელი იყო, ილია ჭავჭავაძემ დააფორმულა რვალიტით ნაბეჭდი სტრიქონებით: „მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის, მიწიერი ზეციერსა, ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა". აქ, წინამძღოლში, რალა თქმა უნდა, ინტელიგენტი იგულისხმება. ეს ის ინტელიგენტია, რომელიც ერის მსახურების მკაფიო პროგრამით ბრუნდება პეტერბურგიდან საქართველოში და თან მოაქვს დროშა, რომელსაც ამაყად აწერია უკვდავი სიტყვები: „ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნეს", რაც სხვა არაფერია, თუ არა ხმამაღალი ნატვრა ბაზალეთის ტბის ძირას, ოქროს აკვანში მწოლიარე ყრმის გაზრდა-დავაჟკაცებისა.

ცნობილია: ილიას თეორიული ნაშრომი არ დაუწერია ინტელიგენციაზე, მისი სოციალური, ეთიკურ-ინტელექტუალური თუ სხვა, ნაირნაირი ასპექტები სოციალურად არ უკვლევია, მაგრამ ზემოთხრობილი სტრიქონებიდანაც საკმაოდ ნათელია, რომ იგი, ინტელიგენტ კაცს, ამ შემთხვევაში პოეტს, ფრიად საპატიო და, ამავე დროს, კონკრეტულ მისიას უსახავს: იყოს ერის წინამძღოლი, გზები გაულამპროს მას, ტანჯვის ცრემლი მოსწმინდოს, შეაცნობინოს თავი თვისი, ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლის ჟამს წინ წარუძღვეს და თუ საჭირო იქნება, პირველ ტყვიასაც თვითონ მიუშვიროს მკერდი.

ალბათ ზედმეტია განმარტება, რომ ერზე საუბრისას ილია ერთობილ საქართველოს გულისხმობდა და არა ცალკე აღებულ რომელიმე კლასს, ვთქვათ, თავადაზნაურობას, ან გლეხობას. მისი იდეალი, ოცნებისა და ნატვრის საგანი, სოციალურად დაუნაწევრებელი საქართველო იყო, სადაც ერი ერთიანი ჭირვარამითა და სიხარულით ისულდგმულებდა, ხოლო მისი სამომავლო გზის გამკვალავი ინტელიგენცია იქნებოდა გამომხატველი საერთო ეროვნული ინტერესებისა და არა იმ წოდებისა, რომელსაც იგი შობითგან მიეკუთვნებოდა.

ილიას პროზაში დახატულ ინტელიგენტებზე, ქვემოთ გაშლილად მექნება ბაასი, აქ კი მინდა გაგაცნოთ აკაკი წერეთლის რამდენიმე მოსაზრება ჩვენთვის საინტერესო საკითხზე:

„სად არის მებაღე, ან ვინ არიან ხუროთმოძღვრები? ვინ და ინტელიგენცია. ამათ ხელშია დღევანდელი ჩვენი ქვეყნის ბედი და უბედობა" (აკაკი წერეთელი, რჩეული ნაწერები ხუთ ტომად, ტ. V, 1990., გვ. 157, „ფიქრები ბუხრის წინ").

როგორც ეხედავთ, აკაკი, სრულიად არაორაზროვნად,

ინტელიგენციას ჰსახავს „ხუროთმოძღვრად“, „რომლის ხელშიცაა ქვეყნის ავ-კარგი“, ესე იგი, ინტელიგენცია ბელადია, წინამძღოლი ერისა, ხოლო მის კლასობრივ წარმომავლობაზე აქ არაფერია ნათქვამი.

ამასთან ერთად, აკაკის გამჭრიახ თვალს მხედველობიდან არც ის გამოჰპარვია, რომ საზოგადოებრივ სარბიელზე გამოჩნდა ახალი ტიპის ინტელიგენცია, რომელიც ეგნატე ნინოშვილის დაკრძალვის დღეს (1894 წ.) გაფორმდა, როგორც სოციალურ-პოლიტიკური მიმდინარეობა და რომელსაც გიორგი წერეთელმა „მესამე დასი“ უწოდა.

დიდმა პოეტმა და მამულიშვილმა უმალ განჭვრიტა ის ეროვნული საფრთხე, რასაც „მარქსელების“, ანუ სოციალ-დემოკრატების სამოღვაწეო ასპარეზზე გამოჩენა მოასწავებდა და ჩვეული პირდაპირობით ამხილა ისინი. პროგნოზი ზუსტი იყო: გავიდა რამდენიმე წელი და ნათელი გახდა, თუ რა ჭირსახდელი დაატეხეს საქართველოს ამ ვაჟკაცებმა. სხვა რომ არაფერი, აქ ილიას ეერაგული მოკვლის გახსენებაც იკმარებდა.

აი, რას ამბობს აკაკი:

„გიორგი წერეთელმა, მეტის სულსწრაფობით, კარლ მარქსის მოძღვრების ფეხის ამყოლები მიიღო „მომავლად“ და უწოდა მათ „მესამე დასად“.

მესამე დასელებს ბევრი სიმართლე უჭირავთ ხელში, როცა პირდაპირ ჰგმობენ ფარისეელობას და ჩვენი თანაგრძნობაც მათკენ იქნებოდა, რომ იმავე დროს, სრულიად უარს არ ჰყოფდნენ წარსულს და ავს და კარგს ერთისა და იმავე გოდრით არ აგორებდნენ უფსკრულისაკენ.

მარქსმა სთქვა ერთხელ თავისთავზე: „რაც გინდათ ვარ, მარგამ მარქსელი კი არა ვარო“. ამით რა იგულისხმება? ის, რომ მეცნიერს, ბოლო დროს, ზოგი თავისი ნამოძღვრალი აღარ ჭაშნიკებია და საზოგადოდ მისს მიმდევრებს ყველა ის ადგილი ისე ვერ გაუგიათ, როგორც თვით მოძღვარს ესმოდა. თუ ეს ითქვა განათლებული ეეროპელების შესახებ, მაშ, რაღა უნდა ვსთქვათ ჩვენებურ მარქსელებზე, როგორც ანარეკლის ანარეკლზე, რომელნიც დედანს სიახლოვესაც არ მიჰკარებინა, რუსული აზრის ლარი გადაულიათ და ისე გასცნობიან მარქსის თეორიას?

მე როცა ჩვენებურ მარქსელებზე, ანუ მესამე დასელებზე ვამბობ, აქ სახეში ის უმრავლესობა კი არ მყავს, რომელთა მარქსისა და შექსპირის ერთმანეთში გარჩევა არ შეუძლიათ და მხოლოდ ფეხის ხმის აყოლით იძახიან „დასელი ვარო“, მე მხოლოდ ისინი მყვანან მხედველობაში, რომელთაც გაეგებათ რამ. ამათი

შეცდომა ის არის, რომ ცხოვრების ყოველგვარ საჭიროებას და მოვლენებს: სარწმუნოებას, მეცნიერებას და სხვათ, მხოლოდ მატერიალურ სარჩულს უდებენ და ავიწყდებათ დიდი მოძღვრის სიტყვები: „არა პურითა მხოლოდ სცხონდეს კაციო“. „აწმყო ნაშობი წარსულისა, მშობელია მომავლისა“.

ვინც წარსულს ივიწყებს, ის მომავალზეც ხელს იღებს და, მარტო აწმყოზე შეჩერებულა, უსულდგმულო, საპირუტყვო ფარგლებში რჩება. ჩვენ გვინდა იმისთანა მომავალი თაობა, რომელიც უარმყოფელი კი არ არის წარსულისა, მკვლევარია და მამა-პაპის ანდერძს დღესაც კიდევ გამოსადეგ საფუძვლად უდებს მომავალს, რომ კაეშირგაუწყვეტლად განაგრძონ ისტორიული ცხოვრება“ (აკაკი წერეთელი, რჩეული ნაწერები, ტ. V, 1990 წ. გვ. 371).

როგორც ვხედავთ, აკაკის, ინტელიგენციის დადებითი თუ უარყოფითი ნიშანთვისებები არ გამოჰპარვია და არ დაუმალავს, მთავარი კი მაინც ის გახლავთ, რომ ინტელიგენციის საზოგადოებრივი მნიშვნელობა და ღირებულება, პოეტისათვის ყოველგვარი ეჭვის მიღმა დგას, ცხოვრებიდან ამოზრდილი კითხვებისა და პრობლემების გამჩხრეკად, გამაანალიზებლად და საბოლოო პასუხის გამცემად, მას მხოლოდ ინტელიგენცია მიაჩნია.

საინტერესოა, რომ პრინციპულად იგივე პოზიცია უჭირავს ვაჟა-ფშაველასაც: „სინათლის მფლობელად მე ვხედავ ინტელიგენციას. დიაღ, ინტელიგენციამ უნდა გამოსცეს ნათელი, მან უნდა მოჰფინოს შუქი უმრავლესობის ბნელ გონებას, განასპეტაკოს ერის გრძნობა, მოაშოროს ჟანგი და ჭუჭყი მის გულს“ (ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული, ტ. IX, გვ. 113).

ან:

„ყველგან და ყოველთვის ერის ძალა ინტელიგენცია ყოფილა და იქნება, იგი ბელადია, სარდალი და, ხომ მოგეხსენებათ, სარდლის ნიჭსა და მოხერხებულობაზეა დამოკიდებული გამარჯვება, მტრის დამარცხება“ (იქვე).

აშკარაა, რომ ვაჟასთანაც, ინტელიგენცია ზეკლასობრივ ფენომენად არის აღიარებული და ზოგადეროვნული ბელადის სტატუსით წარმოგვიდგება. აქ ტრადიციის უწყვეტობა ცხადსახილველი გახლავთ, ვაჟა ერთგულად მისდევს დიდი ერისკაცების მიერ გაკვლეულ გზას.

სურათი დაუმთავრებელი იქნებოდა, თუ საგანგებოდ არ მოვიხსენიებთ ცნობილ მოაზროვნესა და პუბლიცისტს არჩილ ჯორჯაძეს (1872-1913), რომლის მოღვაწეობამაც კოლოსალური იდეური და ზნეობრივი გავლენა მოახდინა XX საუკუნის დასაწყისის საზოგადოებაზე, განსაკუთრებით კი - მამულიშვილურად განწყობილ,

შემოქმედებით ინტელიგენციაზე. ამ ნაშრომში მთელი თავი აქვს დათმობილი მისი ცხოვრებისა და ნააზრევის განხილვას, ამიტომ სიტყვას არ გავაგრძელებ. ვიტყვი მხოლოდ, რომ ჩემი მონოგრაფია, „არჩილ ჯორჯაძე" (მნათობი, №10, 1987 წ.) და „არჩილ ჯორჯაძის ნააზრევი" (ლიტერატურული საქართველო, № 44-45, 1987 წ.), იყო პირველი ცდა, მთელი „საბჭოთა პერიოდის" მანძილზე, ა. ჯორჯაძის დაბრუნებისა ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში, საიდანაც იგი „ბოლშევიკური პრინციპულობით", ყოველგვარი ლოგიკის გარეშე, იყო განდევნილი.

არჩილ ჯორჯაძის ნაშრომები პირდაპირ ზღვა მასალაა მთელი XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების, ინტელიგენციის ისტორიის შესასწავლად. მე აქ მოვიხმობ შედარებით მცირე მოცულობის წერილს „რა არის ინტელიგენცია?", რომელიც სწორედ ამ პრობლემის განჩხრეკისა და გამოკვლეეისათვის არის გამიზნული.

„თუ ცხოვრების სიღრმეში დაბადებულ მოვლენად ახსნა და განმარტება სჭირიათ, თუ ამ განმარტებას, გარემოებათა მიხედვით, ერთი დასი, ხალხის ერთი პატარა ნაწილი ჰკისრულობს, თუ ეს დასი თავისს სულიერ ძალ-ღონეს ხალხის კეთილდღეობას ანდომებს, განა აშკარა არ არის პასუხი იმ კითხვაზე, თუ რა არის ინტელიგენცია?" (თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, ტ. II, გვ. 25, 1911 წ. ტფილისი).

გონების დაძაბვა სულაც არაა საჭირო იმის მისახვედრად, რომ არჩილ ჯორჯაძე, ამ ციტატის მიხედვით, კვალში უდგას ილიას, აკაკის და ვაჟას, მაგრამ ქვემოთ, მსგავსება კიდევ უფრო საცნაური ხდება:

„ქართველი ინტელიგენცია სწორედ თავისი გონებისა და შეგნებისდაგვარად მოქმედებდა მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში, იგი ხალხს ემსახურებოდა და არა კერძო წოდებას. მან დაჰბადა ახალი ქართული ლიტერატურა, ქართული პრესსა, ქართული თეატრი, ქართული საზოგადოებრივი ცხოვრება. მან შეჰქმნა ახალი საქართველო. და დღეს სწორედ ამ ინტელიგენციის მოწყალებით ჩვენ შევდივართ ევროპული ცხოვრების ფარგალში. ყველა ამის დაეიწყება დიდი უსამართლობაა. შეიძლება ჩვენ დღეს სხვა მოთხოვნილებანი დაგვებადნენ, შეიძლება ვერ გვაკმაყოფილებდეს ჩვენი ლიტერატურა, რომ ჩვენ ახალი ცხოვრების გზის ძიებაში ვიყვნეთ გართულნი, შეიძლება, ჩვენ ჩვენი დროის იდეალები და აზრები გვაღელვებდნენ, მაგრამ ყველა ეს ნებას არ გვაძლევს, ჩვენს ძველ ინტელიგენციას „არისტოკრატიზმი" დავწამოთ და კერძო და წოდებრივ

ინტერესების სამსახური ვუსაყვედუროთ.“

როგორც ვხედავთ, არჩილ ჯორჯაძე პირდაპირ, ყოველგვარი მიკიბმოკიბვის გარეშე, გამოდის წინამორბედი თაობის დასაცავად. ეს მაშინ, როცა „მესამე დასელები“, კერძოდ, ნოე ჟორდანია, ფილიპე მახარაძე, ირაკლი წერეთელი და ძმანი მათნი, გააფთრებით, რაღაც ზოოლოგიური მძვინვარებით ესხმოდნენ თავს ილია ჭავჭავაძესა და მის თანამოაზრეებს, კლასთა ბრძოლის „ძლევამოსილი“ თეორიით „შეიარაღებულნი“, ძალ-ღონეს არ იშურებდნენ, რათა ეროვნული ინტელიგენციისათვის ჩირქი მოეცხოთ და სახელი გაეტეხათ. აქ იკმარებდა გახსენება ფილიპე მახარაძის რედაქტორობით გამოცემული ჟურნალისა „მოგზაური“, სადაც, 1903 წელს, დაიბეჭდა ილიას წინააღმდეგ მიმართული უხამსი პასკვილი, ვინმე ნაცვლიშვილისა, რამაც გამოიწვია დიდი გულისტკივილით აღბეჭდილი, ვრცელი პასუხი მოხუცი პოეტისა - „ნუთუ“. ეს არის მარტოდმარტო დარჩენილი, განწირული კაცის ძახილი, კვნესა ტარიგისა, მკელელის წინაშე. სხვა უკეთურება რომ არც ჩაედინათ ქართველი ერის მიმართ მესამე დასელ „მარქსელებს“, სამუდამო სირცხვილად ისიც ეყოფოდათ, რომ ილია აიძულეს „ნუთუ“ დაეწერა და საკუთარი ადამიანური ღირსება დაეცვა უკანასკნელი ნაძირალების ხელყოფისაგან. ამ თვალსაზრისით, „ნუთუ“ სწორუპოვარი დოკუმენტია იმ დუხჭირი ეპოქის შესასწავლად, ისევე, როგორც კონსტანტინე გამსახურდიას „გამოძახილი“, დაწერილი ზუსტად 29 წლის შემდეგ, სისხლიანი საბჭოთა დიქტატურის ზეობის ჟამს.

მართლაც რომ საოცარი იყო: გამოჩნდნენ თუ არა „მარქსელები“ ასპარეზზე, მოქმედება იმით დაიწყეს რომ ჯვაროსნული ომი გამოუცხადეს მამულიშვილ ინტელიგენციას. ეს გააფთრება, მარქსიზმის მოძღვრებაში და „თვით“ ლენინის ნააზრევიდან იღებდა სათავეს. მოკლედ მოგახსენებთ მის „თეორიას“ ინტელიგენციის არსსა და რაობაზე:

„პროლეტარიატის ბელადი“ ინტელიგენციას მიაკუთვნებდა ადამიანთა იმ ჯგუფს, რომელიც გონებრივი შრომით ირჩენს თავს და „გარკვეული მონოპოლია“ გააჩნია ცოდნისა, მაგრამ, უეჭველად გასათვალისწინებელიაო, ჩვეული კატეგორიულობით ბრძანებს ლენინი, რომ ინტელიგენცია არ არსებობსო კლასთა გარეშე, ზეკლასობრივად. ამიტომ, როცა ბელადი სხვადასხვა კონტექსტში ხმარობდა ტერმინს ინტელიგენტი, აუცილებლად მიაჩნდა, იქვე განემარტა: როგორი იყო ეს ინტელიგენტი კლასობრივად ბურჟუაზიული, წვრილ ბურჟუაზიული, თუ პროლეტარული. თავისთავად ცხადია, ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული

ინტელიგენცია, ვითარცა „რეაქციული“ მოვლენა, ანათემას უნდა გადასცემოდა, მასზე არც ღირდა სერიოზული საუბარი, მაგრამ სულ სხვა იყო ჩვენი, „მშობლიური, პროლეტარული“ ინტელიგენცია, რომელიც მართალია თავისი კლასის ბაზაზე ყალიბდებაო, გვიმტკიცებს ილიჩი, მაგრამ პროლეტარიატი: „არამარტო აყალიბებს საკუთარ ინტელიგენციას, არამედ შეიერთებს კიდეც მომხრეებს ყველა და ყოველგვარი განათლებული ადამიანებისაგანო“. (ვ. ი. ლენინი, თხზ. სრ. კრებ. ტ. VI, გვ. 154, ქართულ ენაზე).

ხედავთ, რა ყოფილა? მისი უდიდებულესობა მუშათა კლასი, თუ მოესურვა და საჭიროდ სცნო, გულმოწყალედ „შეიერთებს კიდეც“... ხოლო ვისაც ვერ შეიერთებს, ან არ შეიერთებს, იმან არც უნდა იბოგინოს ამ ქვეყნად, რადგან არაპროლეტარული ინტელიგენცია ბუნებით ანპოლიტიკურია, თავისთავზე გაბერილი წარმოდგენა აქვს, ნაციონალისტიც გახლავთ, მერყეევია და უპრინციპო. ამასთან ერთად, თურმე ნუ იტყვით, ინტელიგენცია (არაპროლეტარული) ღვთის მაძიებელიც ბრძანდება, ჟამიდან ჟამზე, მწარე დაეჭვებაც სჩვევია, თავი გამოტენილი აქვს ყოლად ფუჭი, დამპალი აზრებით და „ნაციის გონება“ კი არ არის, როგორც ამას მაქსიმ გორკი დაჟინებით უჩიჩინებდა ლენინს თავის „არადროულ აზრებში“ და პირად წერილებში (იხ. ლიტერატურნაია უჩობა, №9 II, 12 1988), არამედ, არც მეტი და არც ნაკლები განავალი).

აი, თვით ლენინიც: „მუშათა და გლეხთა ინტელექტუალური ძალები, იზრდება და ძლიერდება დასამხობად ბურჟუაზიისა და მისი დამქაშებისა, ინტელიგენტუშკებისა, კაპიტალის ლაქიებისა, რომლებსაც თავი ერის გონებად წარმოუდგენიათ. სინამდვილეში, ეს გონება კი არა განავალია“. სიტყვა-სიტყვით: „ინტელიგენცია ნე მოზგ ნაციი, ა გავნო“. იხ. ვ. ი. ლენინი, თხზ. სრული კრებ. ტ. 51, გვ. 47-49, წერილი მაქსიმ გორკის, 1908 წ. რუსულ ენაზე).

მსგავსი „მარგალიტების“ მოხმობა ილიჩის „ნააზრევიდან“, მრავლად შეიძლება. როგორც ცნობილია XIX საუკუნის მიწურულს, თავი იჩინა და ნელნელა იწყო დამკვიდრება ახალმა, ჩვენი ერისათვის ღრმად უარყოფითმა სოციალურმა თვალსაზრისმა, კლასთა ბრძოლის პრინციპით რომ არის ცნობილი და სულ მალე, ერთი ათეული წლის განმავლობაში, ისე გაიკაფა გზა, რომ გაბატონებულ დოქტრინად იქცა მთელს რუსეთში და, რაღა თქმა უნდა, ჩვენშიც. ეს დოქტრინა, იმთავითვე, მიზნად ისახავდა ინტელიგენციის საერთო-სახალხოობის თვალსაზრისის საფუძველშივე ჩაკვლას, ხოლო რაკიღა ლიტერატურა და

ხელოვნება, ყველგან და ყოველთვის, დოქტრინისგან თავისუფალი, შემოქმედი ინტელიგენციის პრეროგატივა გახლავთ, მის ჩაჩუმებასა და დისკრედიტაციას ითვალისწინებდა. სწორედ ამ დროს, XIX საუკუნის მიწურულში, ჩაითესა შხამიანი თესლი, რომელმაც 905 წელს ლენინს დააწერინა შემოქმედ ინტელიგენტთა მთელი თაობების დამთრგუნველი ოპუსი „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“, ხოლო 1918-ში, ინტელიგენციაზე უკადრისი სიტყვები ათქმევინა.

1917 წლის ოქტომბრის ბოლშევიკურმა გადატრიალებამ და აქედან გამომდინარე, 1921 წლის საქართველოს ხელახალმა ანექსიამ, თან მოიტანა ლიტერატურაზე არნახული და არსმენილი მიმძლავრების მახინჯი ფორმები, მალე დაიწყო კიდეც ჰუმანიტარული ინტელიგენციის, რომელიც სამყაროს უფრო ფართო მსოფლაღქმით ჭვრეტდა, ვიდრე პროლეტარულ დიქტატურას მიაჩნდა სასურველად, გეგმაზომიერი შევიწროება და ბოლოს, განუკითხავი ჟლეტაც.

მაგრამ ნუ ავჩქარდებით: ვიდრე ჩვენში ლიტერატურის ამ გონის შემშლელ მონაკვეთამდე მივიდოდეთ, საკმაოდ გრძელი და რთული გზა გვაქვს გასავლელი და შემოქმედებით ინტელიგენციასაც მრავალ დაბრკოლებასთან შეჭიდებულს ვნახავთ. მან ურთულეს პირობებში იცხოვრა და მეცხრამეტე საუკუნიდან მოყოლებული, საბჭოთა დრაკონული რეჟიმის გამოვლით, აურაცხელი სისხლისა და ცრემლის ფასად, აგერ, ჩვენს დრომდე მოიტანა დაფლეთილ - დაცხავებული ბაირაღი, რომელზედაც წარწერილია ამაყი სიტყვები: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“.

მაშ, როგორც დავინახეთ, XIX საუკუნის მიწურულსა და მეოცის დასაწყისში ინტელიგენციის ვინაობის თაობაზე გამოიკვეთა ორი, მკაფიოდ დაპირისპირებული თვალსაზრისი: პირველი ილიას, აკაკის, ვაჟას, ნიკოლაძეს, გოგებაშვილს, ი. მაჩაბელს, ა. ჯორჯაძეს, კ. აბაშიძეს, ი. ჯავახიშვილს, ე. თაყაიშვილს, გრ. რობაქიძეს და სხვა ჭეშმარიტ ინტელექტუალებს ეკუთვნოდათ. ისინი მიიჩნევდნენ, რომ ინტელიგენცია, როგორც ეროვნული ფენომენი, არ არის ვიწრო კლასობრივი მოვლენა და თავისი გონებრივი არეალითა თუ მხატვრული შემოქმედებით, ზოგადეროვნული, ზოგადსახალხო ინტერესებს უნდა გამოხატავდეს და შეძლებისდაგვარად, ემსახურებოდეს კიდეც.

საპირისპირო თვალსაზრისზე, ძირითადად, სოციალ-დემოკრატები იდგნენ: ისინი, როგორც ვნახეთ, ინტელიგენციას ძალზე უარყოფით შეფასებას აძლევდნენ, მიაჩნდათ იგი ცხოვრების ხორცმეტად, ხალხის ტვინის ამრევად და ყურადღების ღირსად

სცნობდნენ მხოლოდ დაბალი სოციალური ფენებიდან გამოსულ ინტელიგენციას.

პირველი: ქართული კულტურის, მეცნიერების, ლიტერატურის, ეროვნული თვითმყოფადობისა და ქრისტიანული რელიგიის წმინდა ემბაზში იყო განბანილი.

მეორე: ავთვისებიანი ბმო იყო ერის ტანჯულ სხეულზე, უდღეური ბავშვი - კლასობრივი დოქტრინებითა და ცრუ ინტერნაციონალიზმით ნასაზრდოები. ამ უკანასკნელმა, საუბედუროდ, ღრმად გაიდგა ფესვი, იკარგებოდა, გაქრობის პირას მივიდა ილიას, აკაკის, ვაჟას მაღალეთიკური იდეალები, არჩილ ჯორჯაძის მიერ ნასათუთარი „შეთანხმების იმედი", წყურვილი ერის სოციალური და ზნეობრივი გამთლიანებისა. გაბატონება იწყო შიშველმა მატერიალიზმმა, ძმათამკვლელმა კლასობრივმა საზრისმა, კოსმოპოლიტიზმმა, პრაგმატიზმმა.

ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, თუ როგორ აირეკლა ეს ურთულესი კოლიზიები შემოქმედებითი ინტელიგენციის ყოფაზე, აგრეთვე, მათ მიერვე შექმნილ მხატვრულ სახეებზე ინტელიგენტთა.

* * *

ვიდრე საუბარს გავაგრძელებდე, საჭიროა, გაკვრით მაინც მიმოხილულ იქნეს ზოგიერთი ნიმუში იმ ლიტერატურისა, რომელიც ინტელიგენციის ირგვლივ არის შექმნილი. სიტყვა „ზოგიერთი" აქ შემთხვევით არ მიხმარია, რამეთუ ინტელიგენციის არსის გარკვევის თაობაზე იმდენი ნაირნაირი შინაარსისა და მსოფლმხედველობის ლიტერატურაა დაგროვილი - მონოგრაფიების, კრებულებისა და ცალკეული სტატიების სახით, რომ მათი არამც თუ ანალიზი, უბრალო აღნუსხვაც კი აღემატება ერთი კაცის შესაძლებლობას.

უცნაურია, მაგრამ ფაქტია: არც ერთ ფრთას საზოგადოებრივი დაჯგუფებისას, თავიდანვე მოყოლებული დღემდე, იმდენი ნაირგვარობა შეფასებისა არ გამოუწვევია, რამდენიც ინტელიგენციამ გამოიწვია. რაც მთავარია, ეს შეფასებანი, უმეტესად, მკვეთრად უარყოფითი იყო და არის. ესთეტიკურ, თუ ინტელექტუალურ ფასეულობათა შემქმნელი ეს ნაწილი საზოგადოებისა, თითქოს იმიტომაც მოევლინა ამ ქვეყანას, რომ დაუცადებელი მაძიებლობისა და ცხოვრების გაუკეთესების, ადამიანთა სულების გაფაქიზების მცდელობის წილ, ლანძღვა და უსაფუძვლო შეურაცხყოფა მოემკო, ამრეზილი დამოკიდებულება დაემსახურებინა.

თვით ჭოლა ლომთათიძეც კი, რომლის შემოქმედება, თითქმის მთლიანად, ინტელიგენტი პერსონაჟებით არის „დასახლებული“, არაერთგან საჭიროდ თვლის რევერანსები უკეთოს მუშას და ჩრდილი მიაყენოს ინტელიგენციას. აი, მაგალითად:

„ძვირფასო ამხანაგო მუშავ! ნუ გაგეცინება, ძამიავ! მე ვიცი, რომ სიკვდილის წინადღეს შენ სასიკვდილოდ ემზადები და ასეთ ლაპარაკს არ დაიწყებ. მე ვიცი, რომ შენ ნერვები მაგარი გაქვს, შენი ტვინი არ არის დამძიმებული მაენებელი ტვირთით. მაგრამ იცნობ თუ არა შენ ინტელიგენტს? მე ვიცი, რომ ისტორიამ იცოდა, რას შობოდა, როცა შენ გბადებდა და გეუბნებოდა შენ უნდა გამოიყვანო კაცობრიობა სირცხვილიდან. ამიტომ შენ ნუ გაგეცინება, ჩვენ სუსტი კაცები ვართ, ამხანაგო, ჩვენ როცა კვდებით, წინა დღეს ვტირით - ხვალ უნდა მოვკვდეთო! შენ კი ძლიერი ხარ, ღონიერი ხარ, გმირი ხარ შენ და, რადგანაც სულგრძელობა გმირთა ბუნებაა, ამიტომ იყავი სულგრძელი შენ, გოლიათო, და ნუ დაგეცინებ, თუ სიკვდილის წინა დღეს ცოტა წარბი ჩამოვყაროთ და გამოვიტიროთ ჩვენი სიცოცხლის ბოლო. იყავი სულგრძელი და ნუ დაგეცინებ“ (ჭ. ლომთათიძე, თხზ. სრ. კრებ. 1956, გვ. 289).

გულსატკენია, რომ ამ ბრაუურული სტრიქონების აეტორი მაინცდამაინც ჭოლა ლომთათიძეა, ადამიანის სულის უღრმესი შრეების მომხილველი მწერალი, რომელმაც „ყველაფერი იცის“ სახრჩობელას წინაშე მდგარი კაცის შინაგანი შეჭირვებისა და ისიც კარგად მოეხსენება, რომ სიკვდილი ყველას ერთ ტაფაში წვავს: მუშასაც, გლეხსაც და ინტელიგენტსაც. რომ სოციალური, კლასობრივი სხვადასხვაობა აქ არაფერ შუაშია, გმირი და „გოლიათი“ ის კი არ არის, ვისაც სიკვდილისა არ ეშინია, ის ბრიყვია და მეტი არაფერი! ნამდვილ გმირად ის უნდა ჩაითვალოს, ვინც სიკვდილის შიშს, ღრმა, გაბედული ანალიზის შემდეგ დათრგუნავს და ამით მასზე ამაღლებას შეძლებს. ეს მშვენიერად იცის ჭ. ლომთათიძემ და ამიტომაც, მის შემოქმედებაში, არცთუ იშვიათად, გვხვდება ინტელიგენტი, სიკვდილისათვის თამამად რომ ჩაუხედავს თვალებში (ჯეირანი, მიხა, მცირიშვილი...). მაშ, რაღა საჭირო იყო ენის მოჩლექვა „ღონიერი“, „გმირი“, „გოლიათი“ მუშის წინაშე, რომელმაც თურმე „კაცობრიობა უნდა გამოიყვანოს სირცხვილიდან?“ მსახვრალი დროისთვის გადახდილი ხარკი გახლდათ ეს, როცა მუშა საბედისწეროდ დააჯერეს შენი დიქტატურის ჟამი დგებაო, რის გამოც საზოგადოება ბედითად გაიხლიჩა, სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდა ერთმანეთს მისი ორი ფენა. ამ უკეთურ საქმეში მარქსელებს ლომის წილი

ედოთ, ხოლო ჭოლა ლომთათიძე, როგორც ცნობილია, მათი პარტიის წევრი იყო. ინტელიგენციის მიმართ აბუჩი დამოკიდებულება და მისი არსის მხოლოდ კლასობრივი თვალსაზრისით დახასიათება, სწორედ სოციალ- დემოკრატების მიერ გახლავთ წამოწყებული, ხოლო მისი ინიციატორი ნოე ჟორდანია ბრძანდებოდა, ფილიპე მახარაძესთან და სხვა თანამოძმეებთან ერთად.

ჯერ კიდევ 1893 წელს, საქართველოში მარქსისტული მოძრაობის გარიჟრაჟზე, „კვალი" უკვე იწყებს ინტელიგენციის თემაზე საუბარს. ქვეყნდება მთელი ციკლი სტატიებისა, რომელთა ავტორები მიზნად ისახავენ იმის ერთხელ და სამუდამოდ დამტკიცებას, რომ „ძველი" ინტელიგენცია (ე. ი. ილია ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრენი) დასამარების ღირსია, ხოლო „ახალი" (ე. ი. მარქსელები) აღზევებისა.

აი, ერთი „მარგალიტი":

„ჩვენ წინ დგას სუსტი, განუვითარებელი და ტრაბახა ინტელიგენცია, რომელიც უბრალო მითქმა-მოთქმაში და პირსუკან ლაპარაკობანაში ჰპოვებს მოღვაწეობას, რაც მისი საიქიოსკენ გამგზავრების უტყუარი ნიშანია" („კვალი", 1898, №17).

ამის საპირისპიროდ:

„შემოდის და ფეხს იკიდებს ახალი ინტელიგენცია, რომელიც ძველებს უყურებს, როგორც დროებით საჭიროს, მაგრამ ადრე წარმავალს (იქვე).

ერთი სიტყვით, ტოტალური ეჭვის ქვეშაა დაყენებული, უფრო მეტიც, არსებითად უარყოფილია ჩვენი ეროვნული ინტელიგენციის, როგორც ზნეობრივი, ისე სოციალური სრულფასოვნება. ამიტომ აღარ ღირს სიტყვის გაგრძელება, მე მხოლოდ ჩამოვთვლი ამ ტიპის ლიტერატურას: ნოე ჟორდანია, მესამოცე წლების მოღვაწენი და დღევანდელი ცხოვრება („კვალი", 1896, №9-18), ი. ფარიანი, ორიოდე სიტყვა ინტელიგენციაზე, („კვალი", 1898, №24). ნ. ჟორდანია, ინტელიგენცია („კვალი" 1898, № 24), ი. ფარიანი, ორიოდე სიტყვა ინტელიგენციაზე ნოე ჟორდანიას შენიშვნებით („კვალი", 1898, №28), ნ. ჟორდანია, გასული წელი („კვალი", 1901, №1), ფილიპე მახარაძე, საუბარი სხვადასხვა საგნებზე („კვალი", 1901, №27).

აი, ერთი ამონარდი ამ წერილიდან:

„ცხოვრება ბადავს კითხვებს, რომლებიც წინანდელებთან ერთად, ახდენენ თანამედროვე ინტელიგენციის გონებაში აზრთა იმ არევ-დარევას, რომლის მოწმე, სხვათა შორის, დღეს ჩვენცა ვართ. თავის თავად იგულისხმება, რომ ჩვენ აქ მხედველობაში

გეყაეს ის „ინტელიგენცია“, რომელსაც ბ. არჩილ ჯორჯაძის მსგავსად, ყოველგვარი გონიერება ხალხისაგან გამოუდევნია და თავისთვის მიუსაკუთრებია“.

როგორც ეხედავთ, ფ. მახარაძე, არჩილ ჯორჯაძეზე და მის წინამორბედებზე ლაპარაკისას, ტერმინს „ინტელიგენტი“, ბრჭყალებში სვამს, ამით თითქოს, ჩვეული „გამჭრიახობით“, ეჭვქვეშ აყენებს მათს ინტელიგენტობას. ეს წვრილმანი ცუღლუტობა მის სინდისზე იყოს, მაგრამ იმ უცილობელ ფაქტს რაღა ეუყოთ, რომ სწორედ ამ წერილებიდან დაიწყო ჩვენი ბედკრული ინტელიგენციის მეთოდური, გამიზნული გესლა და წამება, რამაც მალე ილია ჭავჭავაძე იმსხვერპლა, ხოლო მოგვიანებით, როცა „მახარაძეები“, ისტორიის ბოროტი დაცინვით, საბჭოთა დიქტატურის სათავეში ჩადგნენ, ეროვნული ინტელიგენციის არნახული ჟლეტა მოიყოლა?

მაგრამ განვაგრძოთ:

ი. ფარიანი, ინტელიგენცია და ეროვნება („კვალი“, 1901, №31.), ნ. ჟორდანია, ჩვენი ბურჟუა-ინტელიგენცია და მისი იდეოლოგები („კვალი“, 1903, №7).

ცალკე აღნიშვნის ღირსია კაკი წერეთლის (ყვირილელი) წერილების ვრცელი სერიალი „მამულიშვილობა, ეროვნება თუ ხალხის სამსახური“ („კვალი“, 1903, №14-30). ეს ნაშრომი, გადაუჭარბებლად უნდა ითქვას, ღვარძლიანი პამფლეტია ინტელიგენციაზე, რომელიც ეროვნულ ნიადაგზე იდგა და მარქსისტული ინტერნაციონალიზმის დამღუპველი იდეალები სალოცავად არ ჰქონდა გათავისებული.

აი, ერთი მაგალითი:

„ქართველ ინტელიგენციაში, ვამბობთ ჩვენ, არის ნაწილი და ძალიან დიდი ნაწილი, რომელსაც არ აკმაყოფილებს გაცვეთილი პატრიოტიზმი, არც „ სამშობლოს“, მამულიშვილობისა და ქართული ენის ყვირილი. მისი იდეალი საკაცობრიო იდეალია, ის ამ იდეალით სცოცხლობს, ამით საზრდოობს, ამით იმედოვნებს. აწმყო მას გველივით ეზიზღება, წარსული ჭირივით ეჯავრება. ის იცქირება ბრწყინვალე მომავლისაკენ“

თუ რა „ბრწყინვალე მომავალი“ მოუტანეს ტანჯულ ქართველ ერს ამ ვაჟბატონებმა, საყოველთაოდ ცნობილია და ამიტომ კომენტარებისაგან თავს შევიკავებ.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ ლადო დარჩიაშვილის მოზრდილი წერილი სათაურით „ინტელიგენცია“ („კვალი“, 1903, №26-30), რომელიც მარქსისტული ბაკქანალიის ფონზე შედარებითი კეთილსინდისიერებით გამოირჩევა. აქ არ არის აღვირახსნილი

ლანძღვა -გინება „მოხუცი“ ინტელიგენციისა, სამაგიეროდ, არის პრობლემების გულისგულში წვდომის ცდა. ლ. დარჩიაშვილი გამოკვეთილად ეროვნულ პოზიციაზე მდგომი მარქსისტი გახლდათ და ეს იყო მიზეზი, რომ ინტერნაციონალისტი სოციალ-დემოკრატები ამრეზით უცქეროდნენ.

ინტელიგენციისადმი მიძღვნილი კიდევ მრავალი წერილის დასახელება შეიძლება, რომელიც XX საუკუნის პირველი მეოთხედის ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზეა მიმობნეული და მეტნაკლები გონიერებითა და პროფესიონალიზმით აშუქებს საკითხს. მე აქ განგებ არ ვეხები არჩილ ჯორჯაძის მრავალრიცხოვან გამოკვლევებს ინტელიგენციის თაობაზე, რამეთუ მათ შესახებ ცალკე მექნება ბაასი. არ ვჩერდები არც სიმონ ხუნდაძის ორტომიან ნაშრომზე „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში“ (1927), რომელიც, გარკვეული კუთხით, ინტელიგენციის მოღვაწეობას აშუქებს და სასურველ მეცნიერულ დონეზეც დგას, მაგრამ ჩემს თემასთან საერთო არაფერი გააჩნია.

არ მავიწყდება აკ. სურგულაძის ორნაწილიანი მონოგრაფია „ნარკვევები ქართველი ინტელიგენციის ისტორიიდან“ (1980 წ.) და „ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია სამ რევოლუციაში (1986წ.), რომელიც მიუხედავად ერთგვარი შემეცნებითი ღირებულებისა, იმდენად მარქსისტულ-კლასობრივ-ბოლშევიკური მეთოდოლოგიითაა დაწერილი და ისეთი „გულამოსკვნილი“ მოწიწებითაა გამსჭვალული „დიდი რუსი ძმების“ მიმართ, რომ ვამჯობინებ გვერდი ავუაროთ.

აი, ასეთი გახლავთ მოკლე, სქემატური მიმოხილვა იმ ლიტერატურისა, რომელიც ინტელიგენციის ირგვლივ არის შექმნილი ჩვენში - განსული საუკუნეების მიწურულიდან, XX საუკუნის პირველი ოცწლეულის ჩათვლით. (სია, რალა თქმა უნდა, არასრულია!). სამწუხაროდ, სხვა ენებზე მე ხელი არ მიმიწვდება, ხოლო რაც შეეხება რუსეთს, აქ ვითარება შედარებით რთული გახლავთ: საქმე იმაშია, რომ რუსული საზოგადოებრივი აზრი მართლაც დაჟინებულ, დაუმცხრალ ინტერესს იჩენს ინტელიგენციის პრობლემებისადმი. ეს ინტერესი არ კლებულობს საბჭოთა დიქტატურის დროსაც. აქედან გამომდინარე, იოლი მისახვედრია, თუ რა დიდი რაოდენობის ლიტერატურა დაგროვდებოდა ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით. ამიტომ აქ მხოლოდ ორ ძირითად ნაშრომზე შევჩერდები, დანარჩენებზე კი დაინტერესებულ მკითხველს გამოყენებული ლიტერატურის სიისაკენ მივუთითებ.

1. 1909 წელს მოსკოვში გამოვიდა თავის დროზე მეტად გახმაურებული კრებული „ვეხი“ (ნიშანსვეტი), სტატიები რუს

ინტელიგენციაზე. წიგნის შედგენილობა ასეთი გახლდათ: ნ. ბერდიაევ - ფილოსოფიური ჭეშმარიტება და ინტელიგენტური სიმართლე, ს. ბულგაკოვ - გმირობა და მოღვაწეობა, გ. გერშენზონ შემოქმედებითი თვითშემეცნება, ა. იზგოევ-ახალგაზრდა ინტელიგენციის შესახებ, ბ. კოსტიაკოვ-უფლების დასაცავად, პ. სტრუვე-ინტელიგენცია და რევოლუცია, ს. ფრანკ-ნიჰილიზმის ეთიკა.

სტატიათა მხოლოდ სათაურების გაცნობაც კი აშკარად მიანიშნებს, რომ ეს არის კრებული, რომელიც ეხება რუსი ინტელიგენციისათვის სისხლორცეულად აქტუალურ პრობლემებს 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ. აქვე უნდა ითქვას, წიგნი გამოკვეთილად ანტირევოლუციურია. ავტორები უარყოფითად ეკიდებიან რევოლუციას, როგორც სოციალური წესრიგისა და ჰარმონიის მომტან მოვლენას და მის პერსპექტიულ განვითარებაშიც სასიკეთოს ვერაფერს ჭვრეტენ. მათი აზრით, რევოლუციაზე არ გადიოდა ის გზა, რომელიც გაწამებულ რუსეთს აღთქმულ ტაძართან მიიყვანდა. პირიქით, ავტორები ფიქრობენ, რომ რევოლუციაში აკუმულირებულია ბოროტი, დამანგრეველი ძალა, რაც სულ მალე საბედისწერო აღმოჩნდებოდა ქვეყნისათვის. და ასე რომ არ მომხდარიყო, ადამიანები, ამ შემთხვევაში ინტელიგენციაზეა საუბარი, ერთი პლათფორმით უნდა გამოსულიყვნენ. ხოლო პლათფორმის ერთიანობა ნიშნავდა სულიერი პრიმატის აღიარებას „თანაცხოვრების გარეგნულ ფორმებთან შედარებით", რამეთუ პიროვნების შინაგანი მოღვაწეობა გახლავთ ერთადერთი შემოქმედებითი ძალა ნამდვილი ადამიანური ყოფიერებისა და მხოლოდ იგი და არა სოციალ-პოლიტიკური დოქტრინები, არის საზოგადოებრივი აღმშენებლობის უცილობლად მყარი ბაზისი. ღმერთის დაჟინებული ძიება, მისტიკური ჭვრეტა, ზნეობრივი თვითგაუმჯობესებისაკენ ლტოლვა, სამყაროს შეცნობის უმთავრეს საშუალებად არის გამოცხადებული. როგორც ხედავთ, აქ მკაფიოდ გამოხატული იდეალიზმია, თანაც ინდივიდის, ინდივიდუალიზმის ნამდვილი აღზევება ყველა იმ ატრიბუტით, რაც ინდივიდუალიზმს განუშორებლად თან ახლავს - დადებითიც და უარყოფითიც. „ვეხის" გამოსელამ და ინტელექტუალთა წრეებში უდიდესმა წარმატებამ, მართლაც რომ გააცოფა იმდროინდელი ბოლშევიკური პრესა. თქვენ წარმოიდგინეთ, საქმეში ჩარევა თვით ლენინმაც კი ინება! მაშინ მას უკვე დაწერილი ჰქონდა ლიტერატურასთან ბოლშევიკური, ანუ ბარბაროსული დამოკიდებულების კატეხიზმო: „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა" (1905 წ.), რომლის დოგმებისაგან

გადახვევა ორთოდოქს მარქსისტებში მომაკვდინებელ ცოდვად ითვლებოდა. ოჰ, ეს ინტელიგენტები! აბა თუ მოისვენონ და სხვაც მოასვენონ! სულ რაღაცას ელტვიან და ეძიებენ... ნეტავ რაა საძებნი? აგერ, მარქსიზმი, აგერ, თვით ლენინიც. მათ მოძღვრებაში აკი ყველაფერი ნათლად და გასაგებად არის ჩამოყალიბებული, მაგრამ ამ უკეთურ „ინტელიგენტუშკებს“ არა და არ უნდათ, რომ დაგეთანხმონ, მაინც საკუთარი გეზით სვლას ამჯობინებენ. და აჰა, ლენინმაც მაშინვე მოკლე იარლიყი მიაწება „ვეხის“: „ლიბერალური რენეგატობის ენციკლოპედია“. თავის მოძღვარს არც „დიდი პროლეტარული მწერალი“ - გორკი ჩამორჩა: „აი, გამოჩნდა კიდევ ალმანახი „ვეხი“ - უსაზიზღრესი წიგნუკა რუსული ლიტერატურის მთელს ისტორიაში. ეშმაკმა იცის მისი თავი! სასაფლაო, გვამები და ორგანული გახრწნა“ სწერდა იგი თავის ცოლს.

საინტერესოა, რატომ გაისარჯნენ ასე მკაცრად პროლეტარიატის ბელადი და პროლეტარული ლიტერატურის კლასიკოსი?

იმიტომ, რომ იმდროინდელი რუსეთის (და არამარტო იმდროინდელი!) მაღალი ინტელიგენციის ადამიანები: ბერდიაევი, ბულგაკოვი, სტრუვე, ფრანკი და სხვანი, რუსეთის გარდაქმნისა და აღთქმულ ქვეყანასთან მიყვანის ერთადერთ გზად რევოლუციურ აფეთქებას, ანუ ნგრევას, ძმათაკვლას, სისხლს, ცხედრებსა და ცრემლს კი არ მიიჩნევდნენ, არამედ ღმერთთან მიახლოებას, ევოლუციასა და თვითგაუმჯობესებას.

მაგრამ სულიერი ევოლუციის ასეთი გზა კატეგორიულად მიუღებელი იყო ბოლშევიზმისათვის. ლიტერატურა, რომელიც „შეიარაღებული“ არ იქნებოდა „მოწინავე“, „კლასობრივ-პარტიული“ იდეოლოგიით, ანუ ჯოგური, „მასობრივი ფსიქოლოგიით“ და ამის საპირისპიროდ, ღვთისმოსაობასა და ხელოვნების თავისთავადობას აღიარებდა, მათთვის უაღრესად საშიში გახლდათ, რადგან მწერლობაზე პარტიის დიქტატს გამორიცხავდა. ამის დაშვება კი შეუძლებელი იყო! მეტიც: ცეცხლითა და მახვილით ბრძოლა გახლდათ საჭირო, ებრძოდნენ კიდეც გააფთრებული კვეთებით. ამის დასტურია პეტერბურგში 1909 წელსავე გამოცემული ალმანახის ორი ტომი „ლიტერატურნიი რასპად“ (ლიტერატურული დაცემა), რომელიც იმთავითვე, „ვეხის“ მრისხანე ოპონენტად მოიაზრებოდა. მისი სულის ჩამდგმელები იყვნენ, ცხადია, ლენინის დირექტიევების მიხედვით, გორკი და ლუნაჩარსკი. აგრეთვე, საიმდროოდ ცნობილი მარქსისტი ფილოსოფოს-კრიტიკოსები: ვ. ბაზაროვ, ლ. ვოიტოლოვსკი, ი. კამენევ, მ. მოროზოვ, პ. ორლოვსკი,

ვ. ფრიჩე, პ. იუშკევიჩ და სხვანი. მათ ძალზე კონკრეტული მიზნები ამოძრავებდათ: ყველანაირი, დასაშვები თუ დაუშვებელი ხერხებით მიეღწიათ არამარქსისტი ინტელიგენციის კომპრომეტირებისათვის, სახელი გაეტეხათ მათ მსოფლმხედველობრივ, ეთიკურ, თუ ესთეტიკურ ძიებათათვის, მოენათლათ ისინი ბნელეთის მოციქულებად, რეაქციონერებად, ჭაობის ბინადრებად. და ყოველივე მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ინტელიგენცია ბოლშევიკების მიერ გამოჭრილ თარგზე არ აზროვნებდა და კაცთა ბრძოლის კაცთმოძულე თეორია უწმინდეს სახარებად არ მიაჩნდა. ბერდიაევის, გერშენზონის, ბულგაკოვის, სტრუვეს რელიგიურ-ფილოსოფიურ ძიებებს ბაზაროვი „აცამტვერებდა“ სტატიაში: „მესამე აღთქმის ქრისტიანები და მშენებლები ბაბილონის გოდოლისა“, ვოიტოლოვსკი - მერეჟკოვსკის განადგურებას ცდილობდა, კამენევი - ანტონ კრაინის (ზინაიდა გიპიუსის ფსევდონიმი იყო) წინააღმდეგ ილაშქრებდა, ხოლო სტეკლოვი - ქვას ქვაზე არ ტოვებდა დიდი მწერლის ბრწყინვალე რომანის „პაწია ეშმაკის“ („მელკი ბეს“) ავტორის ფიოდორ სოლოგუბის შემოქმედებისაგან.

ასეთმა იეზუიტურმა ლაშქრობამ თავისუფალი აზრის წინააღმდეგ, იდეოლოგიურმა ცალსახოვნებამ, უცერემონიო დიქტატმა, მერმე და მერმე, განსაკუთრებით საბჭოთა დიქტატურის დამყარების შემდეგ, ძალზე სახიფათოდ იბარტყა. სტალინისა და მისი დამქაშების მიერ შეთითხნილ წიგნში „კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიის მოკლე კურსი“ რომ ერქვა, 905 წლის რევოლუციის შემდეგდროინდელი ხანა მონათლულია შევბნელი რეაქციის პერიოდად. ასე გასაღდა ეს ცრუ აზრი ეჭვმიუტანელ ჭეშმარიტებად და დაკანონდა კიდეც, ხოლო „ვეხი“ - ჰუმანიზმითა და მოქალაქეობრივი პატიოსნებით აღსავსე წიგნი საერთოდ მიაჩუმათეს, თითქოს არც კი არსებულიყოს.

გაიელის რამდენიმე ათეული წელი და დიდი მწერალი ალექსანდრე სოლჟენიცინი, „ვეხის“ თაობაზე დაწერს სტატიაში „ობრაზოვანშჩინა“:

„საბედისწერო გამორჩეულობა რუსული წინარეოქტომბრული განათლებული ფენისა, სავსებით საფუძვლიანად, „ვეხში“ იქნა დანახული და აღშფოთებით უარყოფილი, ყველა პარტიული მიმართულებათა მიერ - კადეტებიდან მოყოლებული, ბოლშევიკების ჩათვლით. წინასწარმეტყველურმა სიღრმემ „ვეხისა“, ვერ იპოვნა თანაგრძნობა განათლებულ რუსეთში (ავტორებმა იცოდნენ, რომ ვერც იპოვნიდა), გაელენა ვერ მოახდინა რუსული სიტუაციის განვითარებაზე, ვერ დაიცვა დამღუპველი მოვლენებისაგან. მალე წიგნის სათაურსაც ექსპლუატაცია გაუწია ავტორთა სხვა ჯგუფმა

(„სმენა ვეხ"), რომელსაც ვიწრო პოლიტიკური ინტერესები ამოძრავებდა და დაბალი დონითაც გამოირჩეოდა. „ვეხი" თანდათან მიიჩქმალა და ბოლოს, საერთოდ გაქრა ახალი თაობის რუსი განათლებული ადამიანების მახსოვრობიდან, თვით წიგნი კი ოფიციალური საბჭოთა ბიბლიოთეკების თაროებიდან. მაგრამ სამოცმა წელმაც ვერ მოაშთო მისი გაელენა: „ვეხი" დღესაც ისე გვეჩვენება, თითქოს მომავლიდან იყოს გამოგზავნილი. და სასიხარულოა, რომ სამოცი წლის შემდე, რუსეთში იზრდება ამ წიგნის მხარდამჭერთა რიცხვი.

დღეს ჩვენ მას ორმაგი შეგრძნებით ვკითხულობთ: წიგნი მიგვითითებს არამარტო განელილი ისტორიული პერიოდის წყლულებზე, არამედ მრავალი რამით - ჩვენს დღევანდელობაზეც. და ამიტომ ყოველგვარი საუბარი დღევანდელ ინტელიგენციაზე თითქმის შეუძლებელია გაიმართოს, თუ არ შევადარებთ ერთმანეთს ინტელიგენიის ახლანდელ თვისებებს და „ვეხის" მსჯელობას. ისტორიისაკენ მიხედვა ყოველთვის იძლევა ვითარებაში უკეთ წვდომის საშუალებას.

„ვეხი" მართლაც ნიშანსვეტური ღირებულების წიგნი აღმოჩნდა რუსული სინამდვილისათვის. მისი გამოსვლისთანავე ინტელიგენცია ორად გაიყო: მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად. დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ ხსენებულმა კრებულმა უღრმესი გაელენა იქონია საზოგადოებრივ შეხედულებათა დადგინებისა და ღირებულებათა გადაფასების საქმეში, აიძულა ინტელიგენცია ახლებული საზრისით შეეხედა რევოლუციისათვის და მისი მანკიერებანი თვალნათლივ დაენახა, რაც კიდევ უფრო გააღრმავა ეგევე ავტორების მიერ გამოცემულმა მეორე კრებულმა „იზ გლუბინი" (1918 წ.), რომელშიც მკაფიოდ წარმოჩინდა ოქტომბრის გადატრიალების დამღუპველი შედეგები.

მოახდინა თუ არა „ვეხი"- მ რაიმე გაელენა ქართულ სინამდვილეზე? ისეთი ანგარიშგასაწევი მოაზროვნე, როგორიც არჩილ ჯორჯაძე იყო, მიიჩნევს, მოახდინა და თან, ძალზე უარყოფითიც. ერცელ წერილში „გარდამავალი ხანა" (1909), იგი კონკრეტული ფაქტების მოშველიებით მიუთითებს „ვეხის" ანტისაზოგადოებრივ, უკიდურესი ინდივიდუალიზმით აღბეჭდილ პოზიციაზე. მაგრამ ეს ალბათ იმით უნდა იხსნას, რომ ა. ჯორჯაძე, ისევე, როგორც ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი, ვერ გაიზიარებდა რევოლუციისადმი უარყოფით დამოკიდებულებას, რამეთუ რევოლუცია, მათ, ეროვნული გადარჩენის რეალურ გზად ესახებოდათ.

2. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია თავისი დროის

„უგამოჩინებულესი“ და „უპოპულარესი“ ლიტერატურათმცოდნის (ი. მანნი), დიმიტრი ნიკოლოზის ძე ოსიანიკო-კულიკოვსკის (1853-1920) სამტომიანი ნაშრომი: „ისტორია რუსსკოი ინტელიგენციი“ (1906-1911). არსებობს ამ მონოგრაფიის მეორე, თანამედროვე გამოცემაც: „ლიტერატურნო კრიტიჩესკიე რაბოტი“, ტ. I-II, (1986).

წიგნი, ავტორის სხვა შრომების დარად, აზროვნებისა და სტილის ელეგანტურობით გამოირჩევა. საინტერესოა, რომ ოსიანიკო-კულიკოვსკი რუსი ინტელიგენციის ისტორიას რუსული ლიტერატურიდან გამომდინარე განიხილავდა. რუსული ლიტერატურის ტიპოლოგიურმა თავისებურებებმა მას საშუალება მისცა, დაენახა ერთი უწყვეტი ჯაჭვი ჩაცკიდან მოყოლებული, ონეგინის, პეჩორინის, რუდინის და სხვათა ჩათვლით. ოსინიკო-კულიკოვსკის ორიგინალურობა ისიც იყო, რომ იგი საზოგადოებრივ იდეათა ევოლუციის მიზეზებს ინტელიგენტთა ფსიქოლოგიური წყობის განსხვავებულობაში ხედავდა და, არსებითად, უარყოფდა სოციალური ხასიათის ფაქტორებს. გარდა ამისა, მეცნიერი ერთმანეთთან აწყვილებდა წმინდა მხატვრულ და არამხატვრულ მოვლენებს, ლიტერატურულ პერსონაჟებს იმავე კრიტერიუმებით აანალიზებდა, რომლითაც რეალურად, ისტორიულად არსებულ ინტელიგენტებს.

აქ კი შეიძლება წერტილიც დაისვას.

შესავალი

ინტელიგეციის სათაეებთან შექსპირის უკვდავი ჰამლეტი დგას. სეეგამწარებული დანიელი პრინცი, რომელსაც ხელთ თავის ქალა უპყრია და „ყოფნა-არყოფნის“ გარდაუვალ კითხვებს მჭმუნვარედ დასტრიალებს, შეიძლება ჩაითვალოს პირველ ინტელიგენტად ეეროპული მწერლობისა. უნდა ვიეარაუდოთ, მისგან იღებს დასაბამს შეცნობის წყურვილთა და ამაეე დროს, ღრმა ეჭვით შეპყრობილი, ღრმად ინტელექტუალურ ადამიანთა მთელი წყება ლიტერატურაში. ეს, რაღა თქმა უნდა, სულაც არ ნიშნავს, რომ ჰამლეტამდე ლიტერატურა არ იცნობდეს სულიერ ფასეულობათა დამამკვიდრებელ პერსონაჟებს, რის მაგალითადაც თუნდ ჩვენში, ქართული ლიტერატურა გამოდგებოდა. თუ ცნებას „ინტელიგენტი“, მასშტაბებს გავუფართოეებთ და აწ დაკანონებულთან შედარებით, უფრო ფართე შინაარსით მოვიაზრებთ, მაშინ უნდა აღვიაროთ, რომ პირველი ინტელიგენტი, ქართული მწერლობის ფოლიანტებზე დავანებული, გრიგოლ ხანძთელი გახლავთ. იგი მართლაც რომ ყველა უმაღლეს მოთხოვნას აკმაყოფილებს, რაც კი შეიძლება ჭეშმარიტ ინტელიგენტს წაუყენოს საზოგადოებამ. ღვთიემომადლებული სულიერება, ზნეობრივი სისპეტაკე, კოლოსალური ინტელექტი და განათლება, მამულისათვის დაუცადებელი ღვწა, უკომპრომისობა, ჰუმანიზმი. არ ვიცი, კიდეე რამდენი თვისება უნდა ჩამოთვალოს კაცმა, გრიგოლ ხანძთელს რომ ამკობს, მაგრამ ერთი ცხადია: ქართულ მწერლობას, დასაწყისიდან ვიდრე დღევანდლამდე, მისი ბადალი ინტელექტუალური პერსონაჟი, ალბათ, არც შეუქმნია. ინტელიგენტები არიან ათცამეტნი წმინდა მამანი, რომელთაც დიდი საგანმანათლებლო მისია აღასრულეს საქართველოში. ინტელიგენტებია აგრეთვე, იოანე და ექვთიმე ათონელი, გიორგი მთაწმინდელი და გიორგი ხუცესმონაზონი, რომელთა მოღვაწეობის თაობაზე აკად. კ. კეკელიძემ ბრძანა: ქართული კულტურის განვითარების მაგისტრალი ეეროპულს ასცდებოდა და შესაძლოა, სულ სხვა გზით წარმართულიყო, ზემოხსენებულ პირთ რომ ასე თავდადებით არ ემუშაკნათო. განა, ავთანდილის უკვდავი ანდერძის მიღმა მკაფიოდ არ ილანდება ღრმა ჰუმანიზმით გამსჭვალული,

ჰამლეტიეით სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემებზე მძაფრად დაფიქრებული ჭაბუკი, ყველაზე აშკარა გამოვლინება ქართული სულის მზიურობისა? ინტელიგენტები არიან გენიალური „ჟამთააღმწერელი“ და პირველი „პედაგოგები“ ქართულ მწერლობაში „სიბრძნე-სიცრუის“ ლეონი - ჭკვიანი, იუმორით აღსავსე სკეპტიკოსი, სუსხიანი ირონისტი, რაბლეზიანური სილაღის კაცი, რომელსაც სწავლა-აღზრდის ისეთი სისტემა გააჩნია, დღესაც რომ არ დაუკარგავს ღირებულება. გასახსენებელნი არიან „სწავლა-მოსწავლეთას“ ტრაგიკული მოძღვარი, ვახტანგ VI - ღრმად განსწავლული მეცნიერი - ფილოლოგოსი მესტამბე და მისი ძე დიდი ვახუშტი, მოსკოვურ წკვარამ, გაყინულ ღამეებში სათაყვანებელ მამულს შორიდან რომ შეჰფოფინებდა და ისტორიისა და გეოგრაფიის უზარმაზარ ფილიანტებს ავსებდა. უდაოდ გამოჩინებული ინტელიგენტია ნამდვილი ენციკლოპედისტი - იოანე ბაგრატიონი, ავტორი გასაოცარი „კალმასობისა“ და ამავე წიგნის მთავარი პერსონაჟი იონა ხელაშვილი სხვათა ჩამოთვლაც შეიძლება, მაგრამ ინტელიგენტი, ტერმინი სპეციფიკური, დღევანდელი გაგებით, მხოლოდ XIX საუკუნის 30 იან წლებში გამოჩნდა. ეს მაშინ, როცა 1832 წლის ეროვნულმა შეთქმულებამ რუსთა წინააღმდეგ, ერთმანეთთან შეადუღაბა მთელი იმდროინდელი, განათლებული ახალგაზრდა თაობა. არჩილ ჯორჯაძის თქმით, „შეთქმულთა შორის ყურადღებას იქცევდა სოლომონ დოდაშვილი ეს მამამთავარი ინტელიგენტური აღფრთოვანებისა და უანგარობისა“. და იქვე: - „პირველი ქართველი ინტელიგენტი, რომელმაც უმაღლესი განათლება პეტერბურგში მიიღო. იგი პირველი ინტელიგენტია, ამ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით. დოდაშვილი მეტად საყურადღებო პიროვნება გახლავთ, მან ოთხმოცის წლის წინად განიცადა თავის სულიერ ვითარებაში ის, რაც დღესაც არის ქართველი ინტელიგენტის ფსიხიკის საფუძველი (დუალიზმი). სოლომონი მამამთავარია ინტელიგენციისა, მისი ნუგეში, ხოლო ამასთან, მისი წყევლა და სასოწარკვეთილებაა“. (ა. ჯორჯაძე, წიგ. მეორე, 1911, გვ. 155).

სოლომონ დოდაშვილმა ისტორიულ-იურიდიული (1805-1836) ფაკულტეტი დაამთავრა და ფართო კულტურული მოღვაწეობისათვის აღძრული, სამშობლოს დაბრუნდა. აქ იგი მალე ჩაება 1832 წლის შეთქმულებაში და მისი ფაქტიური მეთაურიც შეიქმნა. რომანტიკულად განწყობილი, სამშობლოს თავისუფლებისათვის გულანთებული ჭაბუკი, მთელი არსებით მიეცა ამ საქმეს. აი, მისი ერთი პროკლამაცია მოწოდება:

„ქვეყნის დაარსებითგან, მამულსა ჩვენსა, აქვნდა თავისი

საკუთარი მდგომარეობა, აქვნდა თვისნი სჯულნი, თვისი სარწმუნოება, თვისი ენა და თვისი ჩვეულება, ჰყვანდა ყოველსა დროსა საკუთარი თვისი ხელმწიფე და არასოდეს იყო მოკიდებული სხვასა ზედა და არცა მონა, ვითარცა არ არს მამული ესე ჩვენი. და ჩვენი ხმა, სახელი და მამაცობა წინაპართა ჩვენთა, ყოველთვის ჰქუხთა და აღავსებდა მსოფლიოსა. მტერი მარადის მოწყლული იყო და დამხობილი მათგან.

ხოლო აწ ხედავთა დამხობასა და არარაობასა მამულისა ჩვენისასა? ჰგრძნობთა შეიწრებასა ყოელისა კაცისასა?

რაისთვის არის ესე ესრეთ?

ნუ უკვე ჩვენ არა ვართ შვილნი მამა-პაპათა ჩვენთანი?

ნუ უკვე ჩვენ არა ძალგვიძს შენახვა საკუთარისა მამულისა ჩუენისა?

ნუ უკვე ჩვენ არა გვაქვს სიმხნე და ძალი ესოდენი, რაოდენიც ჩვენს მამათა, ანუ სხვათა მსგავსთა კაცთა?! მაშ რაისათვის ცოცხალ ვართ?!" (ქართული მწერლობა, ტ. 9, გვ. 468-69).

შეთქმულება ბედითად დამარცხდა! დოდაშვილი დაატუსაღეს და ციმბირში გადაასახლეს.

სოლომონ დოდაშვილი, შეიძლება ითქვას, სათავეში უდგას ტრაგიკული შუქით განათებულ გრძელ რიგს ინტელიგენტებისას, რომლებსაც, თითქმის ორასი წლის მანძილზე, რუსი მეფის კაზემატებსა, თუ საბჭოთა გულაგის ჯურღმულებში ხდებოდათ ტანჯული სული: დაიღუპა ჭლექით დაავადებული და უკიდურესად გვემული ახალგაზრდა, 31 წლის ნიჭით სავსე კაცი, რომელსაც, გარდა გაკეთებულისა, კიდევ მრავალი ღირსეული საქმის გაკეთება შეეძლო ბედკრულ სამშობლოსათვის. (სხვათა შორის, ვიატკაში მასთან შეხვედრის შემზარავი ეპიზოდი აღწერილი აქვს ა. გერცენს მრავალტომიან ავტობიოგრაფიულ წიგნში: „ბილოე ი დუმი", ტ. I).

მერმე და მერმე ჩვენ ვნახავთ, რომ ეს მოდელი - უცხოეთში (რუსეთში) სწავლამიღებული და სამშობლოში დაბრუნებული ახალგაზრდა ინტელიგენტისა, რომელსაც სამშობლოს სამსახურის იდეა მოაქვს თან, საკმაოდ სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდება ქართულ ლიტერატურაში და ნაირნაირი ნიუანსებითაც გამდიდრდება, მაგრამ ეს ცოტა მოგვიანებით მოხდება. აქ კი, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ საიმდროოდ ჩვენს მწერლობას ამ სფეროში განსაკუთრებული წარმატებისათვის არ მიუღწევია. თუმცა, ასე თუ ისე, XIX საუკუნის პირველი ნახევრის ლიტერატურამ მაინც შექმნა ინტელიგენტთა სახეები, რომელთა მხატვრულ-შემეცნებითი ღირებულება ანგარიშგასაწევი გახლავთ.

საერთოდ კი, გულისტკივილით უნდა აღინიშნოს, რომ XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა, თავის ერთიან განვითარებაში,

არ იჩენს განსაკუთრებულ ინტერესს ინტელიგენციის ყოფისა და, რაც მთავარია, ეთიკურ-ინტელექტუალური სამყაროს მხატვრული წარმოჩინებისათვის. ამის მიზეზი სხვადასხვაა: ერთადერთი კი, ალბათ, ისიც არის, რომ:

„ინტელიგენციის პრობლემა ყოველთვის იპყრობდა და იპყრობს მსოფლიო დიდი ლიტერატურის ყურადღებას. ცნობილია, აქ მხოლოდ რჩეულთა შორის რჩეულებმა შეძლეს სრულყოფილი სახეების შექმნა. არ დაგვაეიწყდეს, ერთია „ინტელიგენტური ლიტერატურა“ და მეორე ლიტერატურა, რომელიც ინტელიგენციის სახის დახატვას ისახავს მიზნად.

ინტელიგენტები იყვნენ სულით ხორამდე აკაკი წერეთელი, ყაზბეგი, ვაჟა, დავით კლდიაშვილი, მაგრამ არცერთ მათგანს, არსებითად, ხელი არ უხლია ამ თემისათვის. ეს ფაქტი თავისთავად მიუთითებს საგნის სირთულეზე“ (გურამ ასათიანი, სათაეებთან, თბ. 1982, გვ. 89).

მაგრამ ყველაფერს ოდენ „სიძნელეს“ ვერ დავაბრალებთ: თვალის ერთი გადავლებითაც აშკარაა, რომ მთელი XIX საუკუნის მწერლობა, ორ „წყეულა-კრულვიან“ საკითხს უტრიალებდა განსაკუთრებული ყურადღებით: ეროვნულსა და სოციალურს. რაც შეეხება პირველს, ჩვენმა რომანტიკოსებმა ამ პრობლემის მხატვრული გაშუქება, უპირატესად, წარსულის რეპროდუქციერებით სცადეს და ისიც მხოლოდ პოეზიის ჟანრში, რაც თითქმის გამორიცხავდა ინტელიგენტის სახის შექმნას (თუმცაღა, ნ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისას“ პერსონაჟი - სოლომონ ლეონიძე, აშკარად დიდი ინტელიგენტის თვისებებით არის აღბეჭდილი და გარკეული აზრით, ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილების“ მთხრობელის სულიერ მამად უნდა ჩაითვალოს. სამწუხაროდ, აქ არ მაქვს საშუალება, ამ საკითხზე გამოწვლილვით საუბრისა).

მეორეს მხრივ, როგორც ჩანს, სოციალური პრობლემებით დაინტერესებული რეალისტი მწერლების უმრავლესობა ფიქრობდა, რომ საიმდროოდ არსებული მწვავე სოციალური კონფლიქტების ჩვენება მხოლოდ გულქვა, ან ბრიყვი თავადაზნაურობისა და გლეხობის ურთიერთობის ფონზე იყო შესაძლებელი.

ასე თუ ისე, ორივე შემთხვევაში, XIX საუკუნის ქართველი ინტელიგენტი თითქმის იგნორირებული დარჩა. არადა, ძალზე დასანანი კია: წარმოიდგინეთ, რაოდენ ღარიბი იქნებოდა ჩვენი ცოდნა, ვთქვათ, რუსი ხალხისა, მისი ფსიქიკური სტრუქტურისა, კულტურისა საერთოდ, მეგზურად რომ არ გვყავდნენ: ჩაცკი, ონეგინი, პეჩორინი, რუდინი, ლავრეცკი, ბაზაროვი, რახმეტოვი, მიშკინი, სტავროგინი, ვერხოვენსკი, ალექსეი, დიმიტრი და ივან

კარამაზოვები, ბეზუხოვი, ლევინი, ნეხლიუდოვი, ჩეხოვის, ანდრეევის, გორკის ინტელიგენტები და მრავალი სხვანი და სხვანი.

დიახ, ძალზე დასანანია, რომ ესთეტიკური კმაყოფილებით ვერ ვილაპარაკებთ ქართველ ინტელიგენტ პერსონაჟებზე, მაგრამ აქ, ტალანტებისა და მხატვრული ოსტატობის მეტ-ნაკლებობის გარდა, ერთი ობიექტურად არსებული ფაქტორიც „მუშაობს“, რომელსაც უეჭველად უნდა გაეწიოს ანგარიში. საქმე ისაა, რომ XIX საუკუნის ჩვენი ინტელიგენცია, საიმდროოდ, ჩამოყალიბების პროცესში გახლდათ, ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიღებული მყარი ფორმა, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნიშანი, რაც, სხვათა შორის, ჩვენში ქალაქური ცხოვრების განუვითარებლობითა და უმაღლესი სასწავლებლების უქონლობითაც უნდა აიხსნას. ესეც სათქმელია: მაშინ თითქმის არ გვქონდა ტრადიცია რომანის ჟანრისა, მხოლოდღა ყალიბდებოდა, იკრებდა ძალას, ხოლო, მოგეხსენებათ, რომანის გარეშე ძნელია ეპიკური ხასიათების ხატვა, რთული ფსიქიკის სვეულებში წვდომა. აი, რას ამბობს ამის თაობაზე ა. ჯორჯაძე:

„მოთხრობაში და რომანში ქართული ინტელიგენტური კლასები ჯერხანობით გამოხატულნი არ არიან. რამდენიმე უნიჭოდ დაწერილი ამ ხასიათის თხზულება ჩასათვალავი არ არის.

რა არის ამის მიზეზი? მთავარი მიზეზი, ჩემის აზრით, ის არის, რომ ინტელიგენტ წრეებში მხატვარი ვერ ხედავს იმას, რასაც უწოდებენ სახეს და ტიპს“. (თხზულ. არჩ. ჯორჯაძისა, წ.III, ტფ. 1911, გვ. 9).

ნიშნავს თუ არა ეს, რომ ჩვენ არ შეგვიძლია საუბრის გამართვა XIX საუკუნის ინტელიგენტ პერსონაჟებზე, ანდა, მით უმეტეს, იმ დროს რეალურად არსებულ ინტელიგენტებზე საერთოდ? რაღა თქმა უნდა, არა, და ქვემორე ამაში თვალნათლივ დავრწმუნდებით.

წინამდებარე ნაშრომი, შეძლებისდაგვარად წარმოაჩენს, თუ ვინ არიან, რას წარმოადგენენ XIX-XX საუკუნის (ე. წ. საბჭოთა ლიტერატურის ჩათვლით), ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში გამოყვანილი (დახატული) ინტელიგენტები, მეორეს მხრივ კი, რეალურად, ისტორიულად არსებულ შემოქმედ-ინტელიგენტთა ეთიკურ-ფსიქოლოგიურ-ინტელექტუალური სილუეტის მოხაზვაც აქვს მიზნად დასახული. (გაითვალისწინეთ: მხოლოდ სილუეტის! მეტის პრეტენზია, ამ პირობებში, ნაშრომს არ გააჩნია). ასე რომ, რეალურსა და მხატვრული ფანტაზიით შექმნილ ინტელიგენტებს შორის, მკვეთრი ზღვარი არცაა გავლებული,

ისინი, ხშირად, ერთ მთლიანობაში განიხილებიან, ერთმანეთს ავსებენ და აკონტროლებენ. ნაშრომის ავტორს მიაჩნია, რომ ასეთი მეთოდი მარჯვეა და შესაძლებლობას იძლევა პრობლემის გულისგულში წვდომისას.

სიტყვამ მოიტანა და ბარემ აქვე მოგახსენებთ, რომ XIX საუკუნისა და ე. წ. საბჭოთა ლიტერატურის რეალურად არსებული, თუ მხატვრული ხერხებით შექმნილი ინტელიგენტები, სტრუქტურულად, საკმაოდ ჰგვანან ერთმანეთს. შორს წაგვიყვანს დეტალების აღნუსხვა. კონკრეტულად, ამ შემთხვევაში, მე მაინტერესებს სამი ინტელიგენტი, სამი ფსიქოლოგიური ტიპი, რომლებშიც იმანენტურად იჩინა თავი მომდევნო სახის ინტელიგენციისათვის დამახასიათებელმა ნიშან-თვისებებმა. ესენია: 1. ცხოვრებისეულ, რთულ ვითარებათა მიმართ შეუპოვარი დაუმორჩილებლობა (ს. დოდაშვილი), 2. ცხოვრებასთან შემგუებლური, კონფორმისტული დამოკიდებულება (გრ. ორბელიანი), 3. ჯანყი, შეურიგებლობა (დ. ყიფიანი). არსებითად, ამ სამი არქეტიპის მიხედვით შეიძლება დაჯგუფდეს ქართველი ინტელიგენცია, თავისი მსოფლაღქმის მიხედვით, XIX საუკუნიდან მოყოლებული, თვით დღევანდელობამდე.

შეთქმულების ბედითი მარცხის მერმე, განსაკუთრებით მსჯავრდებულთა გადასახლებიდან დაბრუნების მომდევნო ხანებში, თავი იჩინა ჩვენი ინტელიგენციისათვის მეტად ნიშანდობლივმა „სინდრომმა“, რომელსაც შეიძლება, პირობითად, „შემგუებლური“ ვუწოდოთ. ინტელიგენციის უდიდესმა ნაწილმა რუსის ხელმწიფის სამსახურს მიაშურა - სამხედრო თუ სამოქალაქო კარიერის გაკეთების მიზნით და გუშინ რუსის მმართველობის დაუძინებელი მტრები, „ნალივაიკოს აღსარებას“ რომ თარგმნიდნენ და „იარალის“ პატრიოტული აღტკინებით სავსე სტრიქონებს წერდნენ, მხრები ჯინჯილებით დაიმშვენეს, მკერდი ჩინ-მედლებით და იმავე მარჯვენით, რომლითაც დავით აღმაშენებლისა და თამარის ხოტბას წერდნენ, სისხლში მოთხვრილი ნიკოლოზ I პანეგირიკი შემოგვა-პარეს. ეგეც არ იკმარეს, ახალ თაობას, რომელსაც ქვეყნისათვის ღვწა ლამის რელიგიის დონეზე ჰქონდა აზიდული, მკაცრად დაუქნიეს თითი და უაღრესად პარადოქსული შეგონება მიაწოდეს: „სიტყვა სიტყვაა, საქმე კი სხვაა, ოქროს ჯაჭვი სჯობს თავისუფლებას“. აი, სწორედ ასეთ კაცებზე დაწერა ილია ჭავჭავაძემ დიდი გულისტკივილით: „შენი რაა, რომ ამშვენებ შენს დამლუპველ ოსმალეთსა?“ ძნელია, როცა კარგად გაქვს შეგნებული, ერეკლე მეფის სისხლხორცობის რაობა, ისიც კარგად მოგეხსენება, რომ რუსეთი შენი ქვეყნის პირველი მტერი და

გადამსანსელელია და მაინც მის სამსახურში ხარ, მის აყვავებას, განმტკიცებასა და კეთილდღეობას ემსახურები. შეუძლებელია, ასეთი „მწარე გათიშვა“ და გაორება არ დაგიბრუნდეს უკან და სულის სიმშვიდე სამუდამოდ არ დაგაკარგვინოს. აი, სწორედ მაშინ იწერება ასეთი მდუღარე, სამსალანარევი სტრიქონები: „დაებერდი, ბედს ვერ მოევსწარ, დაემხო ჩემი სამშობლო, გულს მიკლავს უიმედობა, საფლავს ჩავდიარ სიმწარით.“

ქვემორე, ჩვენ ვნახავთ, რომ ეს „მწარე გათიშვა“ საბჭოთა შემოქმედებითი ინტელიგენციისათვისაც იქცა უშრეტი ტრაგიზმის წყაროდ, რამაც სათანადო მხატვრული გამოხატვა ჰპოვა კიდეც.

* * *

„ორ დიდ მოვლენას ჰქონდა მნიშვნელობა ქართველი ინტელიგენციის ფსიხიურ ფიზიონომიის შემუშაებისათვის წარსულის საუკუნის დასაწყისში. ეს იყო გაუქმებული ეროვნულ-პოლიტიკური ცხოვრების ტრადიციები და საქართველოში თითქმის ძალით შემოჭრილი ახალი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ფორმა მმართველობისა. ახალი მთავრობა გზას ცეცხლითა და მახვილით იკაფავდა. 1804-1814 წლების შემდეგ, მან საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ ჩვენს ქვეყანაში „ეროვნულ-ქართული“ უნდა ძირითადად აღმოიფხვრეს და მის ადგილას დამკვიდრდეს და აყვავდეს „რუსულ-სახელმწიფოებრივი წესი“ (თხზულ. ა. ჯორჯაძისა, ტ.II, ტფილისი, 1911, გვ. 150).

არსებითად ამ მოვლენამ მოამწიფა ცნობილი 1832 წლის შეთქმულება. მისი ჩასახვის განვითარებისა და ტრაგიკული ფინალის პერიპეტიები, იასე ფალავანდიშვილის გამცემლობით დაგვირგვინებული, კარგად არის ცნობილი ჩვენი საზოგადოებისათვის, მე ახალს ვერაფერს ვიტყვი და ამიტომ სიტყვასაც არ გაეაგრძელებ. მხოლოდ შეგახსენებთ, რომ შეთქმულებაში მონაწილეობას იღებდა იმდროინდელი ქართველი ინტელიგენციის თითქმის ყველა, ცნობილი თუ ნაკლებცნობილი წარმომადგენელი. ეს ინტელიგენტები, რაღა თქმა უნდა, სხვადასხვა ფსიქიკის, ინტელექტის, რწმენის, მსოფლაღქმის, გამძლეობისა და, ბუნებრივია, ბიოლოგიური ნიშან-თვისებების ადამიანები იყვნენ. აქედან გამომდინარე, შეთქმულების მოულოდნელი „ჩავარდნა“ და ამის მომყოლი მძიმე სასჯელიც სხვადასხვაგვარად გადაიტანეს. გარდა სუბიექტურისა, იყო ობიექტური მიზეზებიც: როგორც ჩანს, რუსის მრისხანე ხიშტის ხანგრძლივმა ბატონობამ დიდად შეუწყო ხელი ქართველი ინტელიგენტის თავისებური ფსიქიკური

სტრუქტურის ჩამოყალიბებას, რაც უპირველეს ყოვლისა, მისი ხასიათის ორბუნებოვნებაში, დუალიზმში, ამბივალენტურობაშია გამოხატული, (ეს თვისება, რასაკვირველია, ახასიათებს „საბჭოთა ინტელიგენციასაც“, უფრო ზუსტად, ქართველ საბჭოთა შემოქმედ ინტელიგენტს, რომლის შესახებაც წინამდებარე ნაშრომის მესამე ნაწილში დეტალურად მაქვს საუბარი). ერთის მხრივ, რუსული ფრაკი (ან მუნდირი) და მეფის (ან საბჭოთა დიქტატურის) ერთგული სამსახური აქედან გამომდინარე ყველა პრივილეგირებული ატრიბუტიკით, ხოლო მეორეს მხრით, ქართული სისხლის ძალუმი ყივილი და აჯანყებული სინდისი, ან მუხლებზე მხოხავი ლაქიობა და, კიდევ უარესი: იუდას ამბორი, შაეი მანტია გამცემლისა.

იყო ეს, ყოველივე მართლაც იყო და საუბედუროდ, ახლაც არის!

ქართველმა ინტელიგენციამ, ორი საუკუნის მანძილზე, უშუალოდ გამოსცადა, როგორც ძალუმი აღზევება სულისა, ისე დაცემის და დაკნინების სამარცხვინო ვითარებანი. მას ხშირად ტრაგიკული შარავანდი უმკობდა თავს და თითქმის ყოველთვის, დაისრულ სებასტიანედ გვევლინებოდა.

ერთ-ერთი მათგანი, უდაოა, დიმიტრი ყიფიანი (1811-1887) გახლდათ:

დოკუმენტებით არ დასტურდება, რომ იგი აქტიური თავკაცთაგანი ყოფილიყო 1832 წლის შეთქმულებისა, ან რაიმე განსაკუთრებული რადიკალიზმით გამორჩეული, მაგრამ შინაგანად რომ ღრმად თანაუგრძნობდა შეთქმულებს და საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას ძვირფასი საიდუმლოსავით ელოლიავებოდა, ეს ცხადია. დ. ყიფიანს უახლესი მეგობრობა აკავშირებდა შეთქმულთა ხელმძღვანელობასთან, ოჯახში დაიარებოდა ერეკლე მეფის ასულ თეკლასთან, რომელიც თავისუფალ საქართველოს დროშას თავისი ხელით კერავდა თურმე, მაგრამ დ. ყიფიანი ახალგაზრდობიდანვე ფხიზლად მოაზროვნე პიროვნება იყო და მშვენიერად უწყოდა, რომ საქართველოში რუსის მმართველობის დამხობა არც მხოლოდ ენთუზიაზმით შეიძლებოდა და არც მხოლოდ პატრიოტული აღტკინებით. ამისათვის სულ სხვა რამ იყო საჭირო, რისთვისაც მაშინდელი საქართველო ფიზიკურად და სულიერად არ იყო მზად. დ.ყიფიანის უკომპრომისო ბუნებიდან გამომდინარე, იგი, ალბათ, ავითარებდა კიდეც ამ აზრს შეთქმულთა შორის, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, მომხრე არ ეყოლებოდა, რადგან შეთქმულნი პოლიტიკური რომანტიზმის ფსიქოზით იყვნენ შეპყრობილნი და მოვლენათა ფხიზელი განჭვრეტის უნარი დაბინდული ჰქონდათ“ (იხ. კიტა

აბაშიძე, „პოლიტიკური რომანტიზმი“, „მოამბე“, №1, 1905 წ.).

შეთქმულება, რაღა თქმა უნდა, გამცემლობის გარეშეც მარცხით დამთავრდებოდა. თავკაცებს სასჯელის სხვადასხვა ზომა შეუფარდეს და რუსეთის უზარმაზარ იმპერიაში მიჰფანტ-მოჰ ფანტეს. დ. ყიფიანს ვოლოგდაში გადასახლება ხვდა წილად. უცხოობაში, მას, ცხადია, უამრავი დრო ექნებოდა იმაზე დასაფიქრებლად, თუ რა შედეგები მოიტანა 1832 წლის შეთქმულებამ ქართველი ერისათვის, ანდა მიზანშეწონილი იყო თუ არა იგი საერთოდ. უნდა ვივარაუდოთ, რომ დ. ყიფიანი ფიქრობდა: ღირდა, უეჭველად ღირდა, თუნდაც უფრო დიდი მსხვერპლის გაღებაც, ქართველი ერის საღათას ძილისაგან გამოსაფხიზლებლად, ბრმა მორჩილებაზე პროტესტის გამოსაცხადებლად. დამოუკიდებლობა და თავისუფლება ერთადერთი და ურყევი პირობაა ერის ამ ქვეყნად ნორმალური ბუნებრივი არსებობისა, მაგრამ საამისოდ დაუცადებელი მუშაობაა საჭირო, მუშაობა მისხალ-მისხალ, ნაბიჯ-ნაბიჯ და ასე ნელ-ნელა, მოთმინებით მიახლოვება სანუკვარ აღთქმულ ქვეყანასთან. ასეთ ვითარებაში არც ხელისუფლებასთან თანამშრომლობას უნდა განერიდოს ადამიანი, მაგრამ ისე კი, რომ გული ნამდვილი ქართული ჰქონდეს და მხოლოდ მუნდირი რუსული. სხვათა შორის, სწორედ ამგვარმა აზროვნებამ, შემდგომ და შემდგომ, წარმოშვა ქართველ ინტელიგენტთა მთელი თაობები, რომლებმაც ზემოხსენებული პრინციპი ცხოვრების დევიზად გაიხადეს და თვიანთ მოღვაწეობას საფუძვლადაც დაუდეს. ერთ-ერთი მათგანი ვოლოგდის გადასახლებიდან 1837 წელს დაბრუნებული დიმიტრი ყიფიანიც იყო. საბედნიეროდ, დაბრუნდა აგრეთვე, რეპესირებულთა უმრავლესობა, იმდროინდელი „ნაღები“ ინტელიგენციისა: ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, გ. ერისთავი, ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები... (ციმბირის მიწაში ჩატოვეს ტანჯული ძვლები სოლომონ დოდაშვილმა და სოლომონ რაზმაძემ). მათი დაბრუნება, არც მეტი, არც ნაკლები, ქართული კულტურული ცხოვრების აღორძინებას ნიშნავდა, აქედან გამომდინარე ყველა დადებითი შედეგით. ეს ის დროა, როცა ჩაისახება და გამოიკვირტება ახალი ქართული თეატრი, როცა დაარსდება პირველი სქელტანიანი ჟურნალი „ცისკარი“, მაგრამ ეს ცოტა მოგვიანებით მოხდება, მანამდე კი უკვე დაწერილია შედევრი ქართული პოეზიისა გრ. ორბელიანის „იარალის“. აგრეთვე, ასეთი სტრიქონები: „შორით მოსული ჩემს მყვედრის ცხოვრებას, მოყვრულადა გემტრობს, გეტაცებს ყოველს, გვიქმს ალერსობას“. თარგმნილია კონდრატე რილეევის ბუნტარული ლექსი „ნალიეაიკოს აღსარება“, რომელსაც ერთ-ერთ მთავარ ბრალდებად

წაუყენებენ მსჯავრდადებულ გრიგოლ ორბელიანს, მაგრამ რაც უმთავრესია, საიმდროოდ მძლავრად იშლება გენიალური ტალანტი ახალგაზრდა ინტელიგენტისა - ნიკოლოზ ბარათაშვილისა. ჯერ კიდევ მთლად ჭაბუკი, იგი ავტორია „შემოღამებისა მთაწმინდაზედ“ და „ხმა იდუმალისა“ ხოლო შეთქმულთა დაბრუნების შემდგომ წერს პოეზიის წარუვალ შედევრებს, აგრეთვე, წყებას პირადი წერილებისას, რომელთა ადრესატები მისი ახლობელი ადამიანები არიან. ეს წერილები არის უდახვეწილესი აღსარებანი ჭაბუკის მდუღარე სულისა და უნდა ჩაითვალოს პირველ „ინტელიგენტურ“ რომანად ქართული მწერლობისა ეპისტოლარულ ჟანრში. თამამად შეიძლება ითქვას, სხვა რომ არაფერი დაეწერა ბარათაშვილს, ამ წერილებითაც დარჩებოდა, როგორც დიდი შემოქმედი, მესაიდუმლე მიუსაფარი, რომანტიკული სულისა.

დიმიტრი ყიფიანი და ნიკოლოზ ბარათაშვილი უახლოესი მეგობრები იყვნენ. ძნელი მისახვედრი არ არის, თუ რაზე შეიძლებოდა ემუსაიფათ ერთად ყოფნის ჟამს, ამ ორ დიდებულ ჭაბუკს. ეს იყო, უპირველეს ყოვლისა, „ქართლის ბედი“ და მასთან დაკავშირებული ტკივილები, ჯერ კიდევ რომ არ მოშუშებულიყო. ცხოვრების საზრისისა და ადამიანის ამქვეყნიური დანიშნულების საკითხი, იმდროინდელი ყოფის ნაირნაირი პრობლემები და სხვა. ეჭვი არაა, დ. ყიფიანი უშუალო თანამედროვე იქნებოდა ბარათაშვილის არაერთი ლექსის დაბადებისა და მათი პირველი მკითხველიც.

როგორც გადმოგვცემენ, იმპერიის უმაღლეს ჩინოვნიკურ სამსახურში (ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშალი), დ. ყიფიანი იყო მკაფიო აზროვნების, უაღრესად პრინციპული, უკომპრომისო, შეუპოვარი, უდრეკი ნებისყოფის, მოუღალავი კაცი და რაც მთავარია, ეს უნდა მუდამ გვახსოვდეს, მისი რუსული მუნდირის ქვეშ, მამულიშვილობით აბრიალებული ქართველის გული სცემდა. რასაკვირველია, იგი ერთგული მსახური იყო რუსის მეფის ტახტისა. მისი მოღვაწეობის პირველ პერიოდს, იქნებ ზედმეტადაც მსჭვალავდეს რუსულ-მონარქისტული განწყობილებანი, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია, რა საქმესაც მოეკიდებოდა, კვალში ჩადგომოდა, ქართული თვალსაზრისით გაეზომ-აეწონა და მხოლოდ საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე ეკეთებინა. „დიმიტრი ყიფიანი ნებისყოფის პიროვნება იყო, მტკიცე და შეურყეველი თავის საქმიანობაში. მისთვის სიტყვა და საქმე, პრინციპი და პრაქტიკა განუყოფელს წარმოადგენდა. მისმა ხანგრძლივმა მოღვაწეობამ არ იცოდა კომპრომისები და საკუთარი პრინციპის ღალატი“, წერს სიმონ ხუნდაძე (დ.

ყიფიანი, მემუარები, ს. ხუნდაძის რედაქციით, 1930, გვ. 17).

„ხასიათის კაცი" - უწოდა მას ილია ჭავჭავაძემ და დააყოლა: „იგი იყო კაცი, რომელიც თავის დღეში არ იტყოდა „ჰოს", როცა მისი გული ამბობდა „არას". ძნელია უკეთესად გამოთქმა ადამიანის ღირსებისა. დიახ, დიმიტრი ყიფიანი იყო მართალი კაცი!"

სიმართლე ჩემთვის ყველაზე მაღლა სდგას! - ამაყად აცხადებდა თვით დიმიტრი ყიფიანი. აქედან გამომდინარე, ძნელი მისახვედრი არაა, თუ რატომ მოხდა, რომ 80-იან წლებში, ამაზრზენი ცინიზმით გაშლილ, აღვირახსნილ რუსიფიკატორულ პოლიტიკას საქართველოში, რაც მთავარმართებლის - დონდუკოვ-კორსაკოვის, შოვინისტი „პედაგოგის", იანოვსკისა და ეგზარქოს პავლეს აქტიური თანადგომით მიმდინარეობდა, პირველ რიგში, სწორედ დ. ყიფიანი აღუდგა წინ.

მის კამათს „მზრუნველ" იანოვსკისთან, ჩვენი საზოგადოებისათვის უაღრესად პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. „დიაღ, ჩვენ რუსეთის ქვეშევრდომნი ვართ და ამავე დროს, ქართველნი, ჰფიქრობდა დ. ყიფიანი. ქართველობით გვინდა გამოვიდეთ კულტურულ ასპარეზზე, მაგრამ იცოდეთ კარგად, რომ „ქართველობა" მოითხოვს ქართულ საზოგადოებრივ დაწესებულებათა არსებობას, ქართული ენის უზრუნველყოფას სკოლებსა და ეკლესიებში. თუ ამას არ გვანებებთ, ჩვენი ქართველობა შეილახება და თუ შეილახება ქართველობა, შეილახება ჩვენი ერთგულების გრძნობაც. იმ ხანად საკითხის უფრო ფართოდ დაყენება შეუძლებელი იყო" (არჩ. ჯორჯაძე, წგ. II, გვ. 165).

მაინც რა უშფოთებდა სულს აგრერიგად დ. ყიფიანს? საქმე ის გახლავთ, რომ „პედაგოგი" იანოვსკი, ოფიციალურ ხელისუფლებისგან კვერდაკრული, ავითარებდა აზრს - ქართველმა ყმაწვილებმა პირველდაწყებითი განათლება რუსულ ენაზე უნდა მიიღონო. ხოლო ვინც ამ აზრს არ ეთანხმებოდა, მათ პირდაპირ უწოდებდა „უჭკუო პედაგოგებს". დ. ყიფიანმა მაშინვე იგრძნო შორსმიმავალი ხიფათი ამ „თეორიისა" და, რაღა თქმა უნდა, კალამს მოჰკიდა ხელი:

„ჩვენ აღარ გვასწავლიან სამშობლო ენას და ათას დაბრკოლებას გვიქმნიან ამ საქმეში. ხალხის ენის შებღალვა ხომ ხალხის წმიდათა წმიდის შებღალვაა. ქართველებს არ უნდა აკადრონ ეს. ნუ დაივიწყებთ, რომ საქართველო დაპყრობილი ქვეყანა არ არის, ქართველები რუსეთის მონარქთა ქვეშევრდომობაში შევიდნენ ნებაყოფილობით და შეგნებულად" (ა. ჯორჯაძე, „დიმიტრი ყიფიანი", ცისკარი, 1988, №4-8, თ. მაღლაფერიძის პუბლიკაცია).

საქართველო დაპყრობილი ქვეყანა არ არის!...

ამ რწმენით, ამ ილუზიით ერთხანს კიდევ იცხოვრებს და იმუშაკებს დიმიტრი ყიფიანი, იქნება მრავალი ეროვნულ-საზოგადოებრივი საქმის წამომწყები და თაეკაცი, მათ შორის, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებისა, თეატრალური საზოგადოებისა და სათავადაზნაურო ბანკისა, სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკისა და სხვა, მაგრამ სიცოცხლის მიწურულში, სწორედ სიცოცხლის მიწურულში განუქარდება ის რწმენა, რომ თითქოს მისი სათაყვანებელი სამშობლო დაპყრობილი ქვეყანა არ იყო და მაშინ ერთხელ კიდევ გაიბრძოლა უკვე ბებერმა, 73 წლის ლომმა.

საიმდროოდ (1884 წ.) ქართველთა შეეიწროება ყოველგვარ ზომას გადასცილდა. დ. ყიფიანი დაჟინებით მიაქცევდა მთავარმართებლის ყურადღებას, რომ სემინარიაში, რომელიც ქართველებისათვის იყო დაარსებული, ქართველებს აღარ ღებულობდნენ, თან ქართულ ლაპარაკსაც უშლიდნენ. სასწავლებლის რექტორი იყო ვინმე ჩუდეცკი. და აი, ერთ დღეს იგი მოკლეს. მკვლელი აღმოჩნდა სემინარიელი იოსებ ლაღიაშვილი. რაღა თქმა უნდა, მთავრობა განრისხდა, ხოლო ეგზარქოსმა პავლემ სამწყსოსადმი მძულვარება იმით გამოხატა, რომ ჩუდეცკის გასვენებაზე საჯაროდ დასწყევლა და შეაჩვენა ერი, რომლის წიაღმაც მკვლელი წარმოშობა.

ეს იყო გაუგონარი მკრეხელობა!

საზოგადოება დაიბნა, თან შიშმა მოიცვა მისი გული. ხსნა თითქოს არსაიდან ჩანდა, მაგრამ აქაც დიმიტრი ყიფიანმა მიაგება თავისი განიერი მკერდი შხამიან ისრებს და ეგზარქოსს ასეთი წერილი მისწერა:

„თქვენო მაღალსამღვდელოებავ! მიიღეთ მწყემსმთავრული მოწყალება და თუ, გატაცებული დაუჯერებლის ხმებით, ვცოდავ, შემინდეთ ჩემი დიდი შეცოდება. მაგრამ ამბობენ, თქვენ თითქოს დასწყევლეთ ის ქვეყანა, რომელშიც სამწყსოდ ხართ მოწოდებული და რომელიც მარტოოდენ სიყვარულსა და შეწყალებას მოელოდა თქვენგან, ქრისტეს მსახურისა და წარმომადგენლისაგან.

იგივე ხმები არ კმაყოფილდებიან თქვენი ღირსების შეურაცხყოფით, იმასაც ამბობენ, ვითომ თქვენ განზრახვა გქონდეთ ბოდიში მოიხადოთ სამწყსოს წინაშე იმ უუცოდველესი სიტყვების გამო, რომელიც ვითომ წარმოსთქვით:

თუ ყოველივე ეს, უფალო, მართალია, თქვენი თანამდებობის ღირსების გადარჩენა მხოლოდ იმით შეიძლება, რომ შეურაცხმყოფელი შეურაცხყოფილი ქვეყნიდან დაუყოვნებლივ გავიდეს. ამას

მოგახსენებთ, წრფელის გულით, თქვენის სამწყსოისა ერთი წევრი, რომელმაც უნდა თავიდან ააცილოს ქვეყანას რაიმე ახალი დიდი შეცოდება.

ხოლო თუ ეს ყოველივე ტყუილია, შემინდეთ და მაკურთხეთ თქვენის მწყემსმთავრული ხელით.

თქვენი მაღალსამღვდელოების მორჩილი მსახური

დიმიტრი ყიფიანი.
8 ივნისი, 1886 წ.
სადგური ხაშური".

ეს მრისხანე გამოწვევა იყო! დიმიტრი ყიფიანმა მწარე ალიყური აჭამა იმ რეჟიმს, რომელმაც ერთი, კონკრეტული ფაქტის გამო, მთელი ერი დაუნდობლად გაიმეტა და რომლის ანტიქართული მიმართულება ახლა კი საბოლოოდ ცხადსახილველი შეიქნა. დ. ყიფიანი მაღალი რანგის ჩინოვნიკი იყო, ბუნებრივია ცდილობდა კიდეც ერთგული სამსახური გაეწია ტახტისათვის, რამეთუ უნდოდა ერწმუნა, რომ რუსეთის თვითმპყრობელობა საქართველოს კანონიერ უფლებათა დამცველიც იყო, მაგრამ ახლა უკვე ეჭვი აღარ ეპარებოდა, ქართველთაგან მორჩილი ქვეშევრდომობის მეტს არას ითხოვდნენ, მამულიშვილობის პრინციპი სიცილად არ ჰყოფნიდათ და მედგარი წინააღმდეგი იყვნენ ყველაფრისა, რაც გარუსების პოლიტიკას დაბრკოლებას უქმნიდა. ამის მოთმენა დ. ყიფიანისთვის, დიახაც შეუძლებელი აღმოჩნდა. უნდა ვიცოდეთ, რომ ეგზარქოსთან გაპაექრება არ იყო ლოკალური მნიშვნელობის ფაქტი, რაც, მით უმეტეს ითქმის, სტავროპოლში გადასახლებულ დ. ყიფიანის მოკვლაზე თვითმპყრობელობის აგენტის მიერ.

ამით ყოველივე ნათელი გახდა. მოკვდა პატიოსანი, კეთილშობილი მოხუცი და მასთან ერთად დაიღუპა ის, რაც ინტელიგენციის მოქმედებას აზრს ანიჭებდა. დიმიტრისთან ერთად მოჰკლეს პოლიტიკური სარწმუნოების სიმბოლო, რომელზედაც პირველ ადგილზე ერთგულ - ქვეშევრდომობის მოვალეობა ეწერა. ამ დროიდან იწყება ქართველი ინტელიგენციის გულში ახალი სულიერი მუშაობა, მწარე იმედგაცრუების შედეგი, რუსის მთავრობასთან თანამშრომლობით გამოწვეული, ნებისა და მოქმედების ახალი ორიენტაცია, რასაც, საბოლოო ანგარიშით, გამოფხიზლება და საბრძოლო განწყობილება მოჰყვა. დიმიტრი ყიფიანის სიკვდილი ის ღერძი იყო, რომელმაც გარდაქმნა და განაახლა ქართველი ინტელიგენციის თვითშეგნება და შემეცნება.

ვამთავრებ კ. გამსახურდიას სიტყვებით:

„დიმიტრი ყიფიანი XIX საუკუნის საქართველოს ტრაგედიის ერთ-ერთი გმირია. მარტვილი და გმირი ერს მუდამ სჭირდება, მაგრამ ის ფაქტი, რომ ჭეშმარიტი ქართველობა უსათუოდ მარტვილი უნდა იქნეს ეს დიდი უბედურებაა.

ჩვენს თაობას არ აკლია არც პათოსი, არც პატრიოტიზმი, არც სიმჭევრე და არც ინტუიცია. ის, რაც ჩვენ დიმიტრი ყიფიანისაგან უნდა ვისწავლოთ, არის აქტიურობა!“ (კ. გამსახურდია, თხზულებანი ათ ტომად, ტ. VII, გვ. 396).

* * *

მწერალი, დრამატურგი, რომელმაც XIX საუკუნის 50-იანი წლების ქართულ საზოგადოებაში მომხდარი ცვლილებანი შენიშნა და ასახა კიდეც, გიორგი ერისთავი იყო. მან ჩვენს ლიტერატურაში შემოიყვანა ინტელიგენტები, რომლებიც სტრუქტურულად საკმაოდ სიცოცხლისუნარიანნი აღმოჩდნენ. ეგულისხმობ ბეგლარს („შეშლილი“) და ივანე დიდებულიძეს („გაყრა“), რომლებიც საკმაო საფუძველს ქმნიან დაკვირვებისათვის. ეს განსაკუთრებით ითქმის ბეგლარზე, რომელსაც ავტორი, ივანესაგან განსხვავებით, თანაგრძნობითა და სიმპატიით გვიხატავს.

ვინ არის ბეგლარი? როგორ აისახება იგი მკითხველის, მაყურებლის ცნობიერებაში?

ბეგლარი პოეტია, რუსეთში სწავლამიღებული, ნიჭიერი, დაფიქრებული, ანალიტიკურად მოაზროვნე ახალგაზრდა კაცი და უნდა ვიფიქროთ, მისი „ვაის“ მიზეზიც, სწორედ მისსავე „ჭკუაშია“. (იქნებ არ იყოს ზედმეტი იმის გახსენება, რომ გ. ერისთავი, თაეის დროზე დიდად დაინტერესებულა ა. გრიბოედოვის კომედიით და უთარგმნია კიდეც მისი ფრაგმენტები). ბეგლარი ისეეე, როგორც გრიბოედოვის ჩაცკი, საერთოს ვერ პოულობს ფილისტერულ საზოგადოებასთან, გრძნობს, რომ მისი სული სხვა ცხოვრებას ელტვის, ცდილობს კიდეც გარემომცველი ყოფის ამაღლებას, თუმცა ისიც კარგად იცის, რომ პიროვნებასა და საზოგადოებას შორის კონფლიქტი ზოგადი, მარადიული ხასიათის პრობლემაა და მისი მოგვარება არცთუ იოლია.

ბეგლარი და მისი სატრფო ტასო, ფილისტერული საზოგადოების მიერ ღვარძლიანი ირონიით, „შეშლილებად“ რომ მოინათლნენ, აშკარად უპირისპირდებიან ვულგარულად, წვრილმანი ინტერესებით მოაზროვნე ადამიანებს, რომელთა სულიერი მიდრეკილებანი ლოტოს თამაშის იქით აღარ მიდის. ბეგლარს და

ტასოს „აქვთ მგრძნობიარე გული და შემოქმედი გონება, მაგრამ შესაფერისი ჭკუა არ გააჩნიათ, უნარი არ შესწევთ, თანმიმდევრული ბრძოლა გამოუცხადონ ჩამორჩენილობასა და ზნეობრივ დაცემულობას. მათ თითქოს საკუთარი თავის დასასჯელად აქვთ მაღალი ადამიანური ღირსებები“ (ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1956, გვ. 303).

ზემოთქმულიდან ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ახალი ქართული მწერლობის საწყის ეტაპზე, გიორგი ერისთავმა, მართალია, განსაკუთრებული მხატვრული ელვარების გარეშე, შექმნა გარკვეული მოდელი ახალგაზრდა ქართველი ინტელიგენტისა, რომელიც ზოგადადმიანურ კონფლიქტებშია მოქცეული. რა მოდელია ეს?

მაღალი არისტოკრატული წრიდან გამოსული ახალგაზრდა კაცს განათლება რუსეთში მიუღია, ევროპულ კულტურასაც ზიარებია, მერმე სამშობლოში დაბრუნებულა და მეშჩანურ საზოგადოებასთან შეჯახებაში საკუთარი იდეალების ბედითი მსხვრევის თანადამსწრე გამხდარა (ბეგლარი).

ანდა მეორე:

ახალგაზრდა კაცს ევროპული განათლება მიუღია, მაგრამ მხოლოდ ზედაპირულად შეუთვისებია ინტელიგენტობის ეტიკეტი და სამშობლოში ტყვედაბრუნებულ ადამიანად დაბრუნებულა რის გამოც, ავტორის სატირული დამოკიდებულება დაუმსახურებია (ივანე დიდებულიძე).

ჩვენს ლიტერატურაში დიდი განსწავლულობა სულაც არ არის საჭირო იმის შესამჩნევად, რომ გ. ერისთავის მიერ შექმნილი მოდელი ინტელიგენტისა, მიუხედავად მხატვრული უღიმღამობისა, საკმაოდ სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა მომდევნო ხანის მწერლობისათვის. აქ შეიძლებოდა დაგვესახელებინა ლავრენტი არდაზიანის ცნობილი რომანი, აკაკი წერეთლის „ძველი ამხანაგები“ (1859 წ.) და „რუსეთუმე“ (1859 წ.). შეიძლებოდა სხვა მაგალითების მოხმობაც, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ გერონტი ქიქოძის სამართლიანი თქმით: „გიორგი ერისთავი უფრო მნიშვნელოვანი ფიგურაა, როგორც ახალი გზების მაჩვენებელი და გამკვლევი, ვიდრე მხატვარი“ (გ. ქიქოძე, თხზულებანი, ტ. 3, 1965, გვ. 225).

სწორედ ამიტომ, გ. ერისთავის ინტელიგენტთა სახეებმა საეტაპო ღირებულება ვერ შეიძინეს, ეს პრიორიტეტი ილია ჭავჭავაძის ინტელიგენტებს ერგო წილად.

* * *

ილია ჭავჭავაძის მრავალფეროვანი მემკვიდრეობიდან, ამჟამად, მე მხოლოდ ორი ბელეტრისტული თხზულება მაინტერესებს: „მგზავრის წერილები“ (ბოლო რედაქცია: 1871 წ.) და „ოთარაანთ ქვრივი“ (1887 წ.).

(განზე ეტოვებ „გლახის ნაამბობის“ ერთ-ერთ მთავარ პერსონაჟს მღვდელს, რომელიც სპეციფიკურ მსჯელობას მოითხოვს და „უცნაურ ამბავს“, რომელიც დაუმთავრებელია).

ორი მოთხრობა, სამი ინტელიგენტი: მგზავრი ანუ იგივე მთხრობელი და არჩილი და კესო. სწორედ ამ ინტელიგენტებმა განასახიერეს ილიას მსოფლმხედველობის ძირითადი ასპექტები: მგზავრმა - ფილოსოფიურ-ეროვნული და არჩილმა და კესომ სოციალ-ფსიქოლოგიური. მეტიც ითქმის: ეს ინტელიგენტები, თავის დროზე, ქართველი საზოგადოების ერთი, მოზრდილი ნაწილის ფიქრთა და მისწრაფებათა გამომხატველად მოგვეევლინენ და დიდი გაელენითაც აღბეჭდეს მომდევნო თაობების ფილოსოფიურ-ეროვნული და, თუ გნებავთ, მხატვრული აზროვნებაც.

განული საუკუნის ქართულ პროზაში ძნელია დავასახელოთ ისეთი თხზულება, რომელიც „მგზავრის წერილებს“ გადააჭარბებდა წამოყენებულ პრობლემათა სიუხვითა და მნიშვნელოვანებით, აგრეთვე, შესრულების ჭეშმარიტი სრულყოფით. აკი იმთავითვე აღინიშნა კიდეც, რომ „მგზავრის წერილები“ არის ის ნიშანსვეტი, საიდანაც სათავეს იღებს მომდევნო ხანის ჩვენი ლიტერატურის არაერთი და ორი თემა. აღიარებული მეტრი ქართული კრიტიკული აზროვნებისა, კიტა აბაშიძე, თავის „ეტიუდებში“ წერდა: „ყველაზე უფრო გრძნობიერი, რაღაც ბავშვურად გულუბრყვილო, მაგრამ თანაც ღრმა და სერიოზული გრძნობებით აღსავსე არის ი. ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები“ (კ. აბაშიძე, ეტიუდები, 1962, გვ. 142). ხოლო კ. გამსახურდია აღნიშნავს: „ილია ჭავჭავაძის ნაწერებში „მგზავრის წერილები“ ჩაითვლება შედევრად“ (კ. გამსახურდია, თხზულებანი, ტ. VII, 1965, გვ. 236). მსგავს შეფასებათა აღნუსხვა შორს წაგვიყვანდა და მიზანსაც აგვაცდენდა.

ვინ არის „მგზავრის წერილების“ პერსონაჟი და რითაა ჩვენთვის საინტერესო?

იგი ინტელიგენტია, განზოგადებული სახე განული საუკუნის 60-იანი წლების ღრმად მოაზროვნე ახალგაზრდა კაცისა. აქ „განზოგადებული“ შემთხვევით არაა ნახმარი: ყურადღება მივაქციოთ თუნდაც იმას, რომ ილიამ საჭიროდ არ ჩათვალა თავისი პერსონაჟისათვის კონკრეტული გვარი და სახელი ეწოდებინა. ამით მან, უნდა ვიფარაუდოთ, საგანგებოდ მიგვანიშნა: მგზავრის

ემოციურ-ინტელექტუალური სამყარო რომელიმე კონკრეტული პიროვნების კუთვნილება კი არ არის, არამედ ზოგადი სახეა მსგავსი ფიქრებითა და განცდებით შეურვებელი ინტელიგენტი ქართველებისა.

მოდელი ასეთია:

ახალგაზრდა კაცმა რამდენიმე წელი სამშობლოს გარეთ, რუსეთის უნივერსიტეტში გაატარა, რათა თავისი გონი მსოფლიო ინტელექტუალური სიმაღლეებისათვის მიესადაგებინა, ყოველიეე მოწინავეს ზიარებოდა. ბოლოს, დაასრულა „განსწავლისა და მოგზაურობის" წლები და დაჩაგრული, დამონებული სამშობლოს სამსახურის წყურვილით აყვანილმა, თავისი ქვეყნისაკენ გამოსწია.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ ხსენებული მოდელი, ჯერ კიდევ სოლომონ დოდაშვილის პიროვნებაში ჩამოყალიბდა. თუ როგორ ტრაგიკულად დასრულდა მამულის გამოხსნისათვის მიმართული მისი დაუცადებელი კვეთება, ვნახეთ. ვნახეთ, აგრეთვე, სულმნათი დიმიტრი ყიფიანის მოღვაწეობის ფინალიც. რაც შეეხება მხატვრულ სახეებს ინტელიგენტებისას, ესეც ითქვა, რომ ჩანასახოვანი ფორმით, ისინი, ჯერ კიდევ გ. ერისთავის შემოქმედებაში გამოკრთნენ, მაგრამ ჭეშმარიტი სიცოცხლე მათი მხოლოდ „მგზავრის წერილების" შემდგომ იწყება. გაიელის დრო და ეს სტრუქტურა სხვადასხვა მწერალთა ხელში ნაირნაირი ნიუანსით შეივსება, მაგრამ არსი - იგივე დარჩება: ყურადღების ცენტრშია ახალგაზრდა ინტელიგენტი, რომელსაც ცხოვრების მიზნად უფლებააყრილი სამშობლოს სამსახური დაუსახავს.

ასეთია მგზავრი, ანუ მთხრობელი, ასეთი იყო თვით ილია ჭავჭავაძეც, „საქართველოს მამად" მიჩნეული, წმინდანად შერაცხული და „ილია მართლად" სახელდებული.

უნდა გავახსოვდეს, რომ დიმიტრი ყიფიანი პირდაპირი არქეტიპია ილია ჭავჭავაძისა. ერთიც ერის მსახურების ცეცხლში განიწმინდა, მეორეც. ერთს თეთრმა რუსეთმა გაუჩეჩქვა ჭკვიანი შუბლი, მეორეს მომავალი წითელი რუსეთის სისხლიანმა დამქაშებმა ესროლეს ბერდანკის ტყვია. ასე რომ, წრე შეიკრა! და ის ოცწლეული (1887-1907), რომელიც მათი მკვლელობის შუა ძევს, იყო, არის და იქნება შხამით საესე ბარძიმი ქართველებისა.

სამი ტარიგი: დოდაშვილი, ყიფიანი, ილია... გაიელის ცოტა დრო და მათ დათხეულ სისხლს მიემატება მდინარეები სხვა ინტელიგენტთა სისხლისა - საბჭოთა ჯალათების მიერ დათხეული.

მანამდე კი...

მანამდე, ოთხი წლის ოდისეის შემდეგ, მგზავრი დარიალის ხეობით შემოდის საქართველოში. ძნელი საგრძნობი არ არის

შინაგანი თრთოლვა, რომლითაც აღტაცებულა მგზავრი, საკუთარ მიწა-წყალზე ფეხის დადგმის ჟამს. ნაწარმოების პირველი სტრიქონებიდანვე ჩვენ ვეცნობით ფხიზელ, ირონიული ჭკუის პიროვნებას (გაიხსენე „იამშჩიკის“, ფრანსიელისა და რუსის აფიცრის სცენები) და მოველით, რომ სწორედ ასეთი ტონით გაგრძელდება შემდგომი თხრობა, მაგრამ ირონიულ ტონს მალე ენაცვლება პათეტურ-დრამატული ღაღადისი და მკითხველი უმალვე გრძნობს, რომ სწორედ აქაა საძებარი უმთავრესი დერიტა ნაწარმოებისა:

„ოთხი წელიწადი იყო, რაც მე რუსეთში ვიმყოფებოდი და ჩემი ქვეყანა არ მენახა. ოთხი წელიწადი!...იცი, მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია! პირველი, რომ მთელი საუკუნეა მისთვის, ვინც თავის ქვეყანას მოშორებია. მეორე, ეგ ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა, ბეწვის ხიდია, სიბნელისა და სინათლის შუა ბედისაგან გადებული. მაგრამ ყველასათვის კი არა, მარტო იმათთვის, ვინც რუსეთში წასულა, რათა ჭკუა ავარჯიშოს, ტვინსა და გულს მოძრაობა მისცეს, ფეხი აადგმევინოს. ეს ის ოთხი წელიწადია, რომელიც ჭაბუკის ტვინსა და გულში გამოჰკვანძავს ხოლმე ცხოვრების კვირტსა. ეს კვირტი კიდევ ის კვირტია, რომლიდანაც მშვენიერი და ბრწყინვალე მტევანიც გამოვა და ძაღლყურძენაცა. ოო, ძვირფასო ოთხო წელიწადო! ნეტავი იმას, ვისაც შენგან გადებული ბეწვის ხიდი ფეხთა-ქვეშ არ ჩასწყდომია, ნეტავი იმას, ვინც შენ რიგიანად მოგიხმარა“ (ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრული კრებ., თბ., 1950, ტ. II, გვ. 10).

ეს სიტყვები კარგა ხანია ქრესტომათიათა ბინადარი შეიქნა, და თუ აქ მაინც გავიხსენე, მხოლოდ იმიტომ, რომ თვალსაჩინო გამხდარიყო ჩვენი მთხრობელის სულიერი მიდრეკილებანი, აშკარად დაგვენახა, თუ რაოდენი პასუხისმგებლობითა და მომთხოვნელობით ეკიდება იგი საკუთარ პიროვნებას, რითაც იმთავითვე ნდობას აღუძრავს მკითხველს. ჩვენ ვგრძნობთ, რომ ამ სიტყვების წარმოთქმა მხოლოდ ისეთ ადამიანს შეუძლია, რომელსაც აშკარად ესმის მამულის იდუმალი გულისთქმა და რომელსაც სიტყვის გარდა, ნამდვილი საქმის კეთებაც ხელეწიფება.

საერთოდ, „მგზავრის წერილები“ არ არის მოთხრობა - ამ ტერმინის საყოველთაოდ მიღებული გაგებით. ამიტომ მგზავრის მხატვრული სახის შესაქმნელად არცაა გამოყენებული პერსონაჟის გამოკვეთისათვის აუცილებელი მხატვრული ხერხები. ჩვენ მას (მგზავრს), ვიცნობთ არა ადამიანურ განცდათა და ენებათა ნაირგვარობით, არამედ მხოლოდ იმ ფიქრებით, რომელთა წინა

პლანზე წამოწევაც მიზნად აქვს დასახული მწერალს. აქ გამოვყოფდი: 1. „როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე"..., ანუ, სხვაგვარად თუ ვიტყვით, იდეა ქვეყნის მსახურების და 2. „მიგიხვდი, ჩემო მოხეევე, რა ნესტარითა ხარ ნაჩხვლეტი. „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო"- სთქვი შენ და მე გავიგონე. მაგრამ გავიგონე თუ არა, რაღაც უეცარმა ტკივილმა ტვინიდან გულამდე ჩამირბინა, იქ, გულში გაითხარა სამარე და დაიმარხა. როდემდის დამრჩეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის? ოხ, როდემდის, როდემდის? ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მომეც ამის პასუხი" (ილია ჭავჭავაძე, ტ. II, გვ. 30).

აქ ლელთ ღუნიასა და მთხრობელის პირით, იმათი პირით, რომლებიც საქართველოს „მარილნი ქუეყნისანი" იყვნენ, ილია ჭავჭავაძე გვიმხელს ყველაზე სანუკვარ, შინაგანად გამოტანჯულ ლტოლვას, ფიქრსა და ოცნებას.

მგზავრი პირველი მხატვრული სახეა მთელს ქართულს მწერლობაში, რომლისთვისაც თავის ქვეყანასთან დამოკიდებულება ლამის რელიგიის დონემდეა ამაღლებული, მაგრამ იგი სრულიადაც არაა ბრმად მორწმუნე. თავისი ერის თაყვანისცემა მგზავრისავე ფხიზელი, მძლავრი ინტელექტითაა გაშუალებული და ახლოსაც არ იკარებს რეგენული ურაპატრიოტიზმის მწიკლს. მგზავრი ინტელიგენტია, „რომელსაც ძილშიაც არა სძინავს, ქვეყნის უბედურებით გულ-აღტყინებულსა" და სწორედ ამიტომ, იგი და მისთანანი პოტენციურ თაკაცებად, ბელადებად გეევლინებიან ერისა.

„არიან სიტყვები, რომელნიც სულ მალე, მეორე-მესამეჯერ ხმარებაზე ჭკნებიან და ცვდებიან, სამაგიეროდ არიან სიტყვები, რომელნიც ზეცის ვარსკვლავებივით არასოდეს დაბერდებიან. ასეთი დაუძველებული სიტყვებით შემოვიდა ილია საქართველოში: „ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდესო!" (ს. გამსახურდია, ტ. VII, გვ. 237).

ეს სიტყვები, ბიბლიური მოსეს შეუპოვრობით რომ იქნა გადმოსროლილი, დიდხანს რეკდა ქართულ მწერლობაში და როგორც უკვე ითქვა, ერთგვარად განსაზღვრა კიდეც მომდევნო ხანის ინტელიგენტთა სამოქმედო პროგრამა.

არ ვიცი, საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, „მგზავრის წერილებს" ღმერთმა უბერებლობა დააკვება. საქმე ის გახლავთ, რომ ეერცერთი მტკივნეული პრობლემა, ამ თხზულებაში თავის დროზე წამოჭრილი, ჟამთა სვლამ ვერ გააქარწყლა, ვერ მოხსნა, სადღეისოდ, პირიქით, უფრო გაამწვავა კიდეც.

„მგზავრის წერილები" ნატვრისა და იმედის წიგნია. ამ ნატვრითა და იმედით იცხოვრეს და იღვაწეს ჩვენმა წინამორბედებმა, სისხლი და ცრემლი უხვად ანთხიეს და მეტი

ტრაგიზმი რაღა იქნება, რომ სწორედ დღევანდელ, XX საუკუნის მიწურულს ინტელიგენციას ერგო წილად ამ ნატერისა და იმედის ხელახალი დასამარება, გამოტირილი.

თურმე, ამ ასი წლის მანძილზე, თითქმის არაფერი შეცვლილა:

პირდაუბანელი, ლოთი და ოყრაყი „იამშჩიკები", მიდუნ-მოდუნებული ზლაზვნითა და პირუტყვული მიხვრა-მოხვრით, დღესაც დაძრწიან საქართველოს გზებზე. „ფრანსიელი" ანუ უცხოელიც მრავლადაა: იგი გვეზვერავს, გვწონის და „კვდება სიცილითა", ჩვენს ტექნიკურ სიბეჩავესა და მათხოვრულ ყოფას რომ უმზერს. ჭკუამხიარული, ბრიყვი რუსის ოფიცერიც არსად წასულა, მხოლოდ ეგაა, ქართველებზე გაბოროტებულა და საშაქრეში ბუზის ჩასმის მაგიერ, ბრძანებისთანავე, ან რუსთაველზე გვეჩეხავს და გვწამლავს, ან ზემო ქართლში და აფხაზეთში გვისწორდება ცეცხლითა და მახვილით, გვერეკება საკუთარი საცხოვრისიდან. „მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მომცემი", დღესაც ძალაში რჩება ძვირფასი მოძღვრის გაფრთხილება, მაგრამ რად გინდა, გამგონი არაეინაა. ნეტავ, ლელთ ღუნიები სადღა არიან, ბრძნული, დარბაისლური განსჯის უნარით, დინჯი ბაასითა და ქველი პირდაპირობით გამორჩეული ლელთ ღუნიები? არიან, როგორ არ არიან, ოღონდ ეგაა, დახლებში გადაუნაცვლიათ, ხორცსა და ყველს მამასისხლად ყიდიან, ღდინს აცლიან ისედაც გაძვალტყაეებულ მოსახლეობას და გაქონილ კუპონებს უბეში იტენიან.

აი, ესღა დაგვრჩა...

ამდენი ბრძოლისა და წყეეტების შემდეგ, როცა თაეისუფლებისა და „საკუთარი თაეის ყუდნების" ზღურბლზე ვიდექით, ყოველივე ქვიშასაეით ჩაგვეპნა თითებშუა, ისეე რუსეთის კალთას შეეეფარეთ და კვლაე როდის დაგვჩეხაეენ კაციჭამია აფიცრები, არაეინ იცის.

გაფრინდა, გადაიკარგა (სამუდამოდ?!) მტრედი თაეისუფლებისა!

აღარსად ჩანან „ძილშიაც ქვეყნის უბედურებით გულაღტყინებული" ინტელიგენტები...

ახლა წინ ისეე უსაშეელოდ დიდი ღამეა, გაწელილი ლოდინი, მიბჟუტული იმედი, უნდილი ბრძოლა, ზღეა სისხლი და ცრემლის მდინარე.

მანამდე კი:

„ტკიეილმა ტეინიდან გულამდე ჩამირბინა. იქ, გულში გაითხარა სამარე და დაიმარხა. როდემდის დამჩეს ეგ ტკიეილი

გულში, როდემდის? ოხ, როდემდის, როდემდის? ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მომეც ამის პასუხი".

* * *

1887 წელი. ქრისტეშობისთვის 6. ტფილისი.

ამ დღეს დაწერს ილია „ოთარაანთ ქვრივის" ბოლო ფრაზას: „მაგრამ სხვა ვინ არ არის ცოდო? ერთიც ეს არის საჭირბოროტო და წყევლა-კრულვიანი საკითხავი ამ უთავბოლო და უსწორმასწორო წუთისოფელში".

შეიქმნა ე. წ. „გვიანი ჭაუჭაუაძის" უკანასკნელი შედევრი და მასზე მნიშვნელოვანი, ილიას აღარაფერი მიუცია მკითხველისათვის. მოთხრობა 1888 წლის „ივერიის" რამდენიმე ნომერში დაისტამბა. ლიტერატურაში შემოაბიჯა და სამუდამოდ დაივანა უკვდავმა სახემ ქართველი დედაკაცისამ ოთარაანთ ქვრივმა. და თუ მოთხრობა დღევანდელი მკითხველისთვისაც ინარჩუნებს მხატვრულ მომხიბლაობას, ამის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, თვითონ ოთარაანთ ქვრივია. სწორედ ამ სახესთანაა დაკავშირებული მოთხრობის გამძლეობის საიდუმლო. მეორეს მხრივ, აუცილებლად უნდა აღინიშნოს: თუ მოთხრობას, წუთით არჩილისა და კესოს გარეშე წარმოვიდგენთ, ოთარაანთ ქვრივის მხატვრულ სახეს იქნებ ბევრი არაფერი დაეკარგა, მაგრამ, სამაგიეროდ, ნაწარმოების იდეური ჩანაფიქრიდან ხელში ცოტა რამ დაგვრჩება, რადგან მთავარი აზრი, მამოძრავებელი იდეა მოთხრობისა, არჩილის, კესოს და გიორგის ურთიერთობებსაც ეფუძნება.

სხვათა შორის, ნიშანდობლივია, რომ „ოთარაანთ ქვრივის" პირველი კრიტიკოსები (ეგევე ითქმის მერმინდელებზეც), თითქო უსიტყვოდ არიან შეთანხმებულნი: მთლიანობაში მოთხრობა იმდროინდელი ლიტერატურული ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენად აღიარონ, მსოფლიო მხატვრულ სახედ დასახონ ოთარაანთ ქვრივი, აქონ მოთხრობის ენა და სხვა, ხოლო დანარჩენი პერსონაჟები, თვით გიორგი, განსაკუთრებით კი არჩილი და კესო, მწერლის მარცხად მიიჩნიონ. მაგალითად, კიტა აბაშიძე, ჩვეული მოურიდებლობით შენიშნავს: „ეგ კესო სწორედ რომ ნულია და ავტორს სულაც რომ არაფერი ეთქვა რა მის შესახებ და ეთქვა მხოლოდ, რომ არჩილს ჰყვედა ნულიეით უშინაარსო დაი, რომელიც გიორგის უყვარდაო, ამით არას წავაგებდით".

უფრო ერცელი და საბუთიანია მისი მსჯელობა არჩილის ირგვლივ, მაგრამ დასკვნა არც ამ შემთხვევაში გვაქვს სანუგეშო:

„არჩილი არ წარმოადგენს არავითარ მაენეს საზოგადოებისათვის, მაგრამ არც არა სასარგებლოა მისთვის“ (კ. აბაშიძე, ეტიუდები, გვ. 202).

ხოლო გერონტი ქიქოძე წერს:

„მოთხრობის დანარჩენი მოქმედი პირები, ოთარაანთ ქვრივზე ნაკლებ ორიგინალურნი და გაცილებით ფერმკრთალნი არიან“ (გ. ქიქოძე, რჩ. თხზ., ტ.III, გვ. 257).

ეს აზრები იქნებ გასაზიარებელიც იყოს, მაგრამ მაინც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „ოთარაანთ ქვრივის“ იდეური ჩანაფიქრის ერთი მთავარი მაგისტრალი, უპირატესად, 80-იანი წლების ორ ინტელიგენტთან, არჩილთან და კესოსთან არის დაკავშირებული.

რა ჩანაფიქრია ეს?

საქმე ის გახლავთ, რომ საიმდროოდ, თერგდალეულთა ბაირალტარისა და ბელადის - ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობაში გარკვეული ცვლილებები შეინიშნება. სოციალურ პრობლემებთან დაკავშირებით ადრე რადიკალურად მოაზროვნე ილია, მოგვიანებით, წმინდა ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, პუბლიცისტური წერილების სერიაში „ცხოვრება და კანონი“, შემდეგ აზრს გაატარებს:

„ჩვენში გლეხთა და სხვათა წოდებათა შორის კეთილი მიდრეკილება სუფევს. ისინი ერთმანეთს არამცთუ ეუცხოებიან, არამედ ერთმანეთისაკენ მიიზიდებიან. ერთი სიტყვით, ჩვენს ცხოვრებაში არის იმისთანა ფესვი, რომელთა ზედაც შეიძლება ამოვიდეს სიკეთე ერთობისა და ყოველთვის სახეიროდ გაიშალოს. ამას უნდა დავტრფოდეთ და შევხაროდეთ და არა ვთაკილობდეთ და ვმტრობდეთ. ამას ხელის შეწყობა ჰმართებს და არა ხელის შემართება“ (ი. ჭავჭავაძე, ტ. VI, გვ. 56).

ხოლო ცოტა ქვემოთ:

„ნუთუ ყველა საზოგადოებრივ ძალთა ერთს კვალში ჩაყენება სანატრელი არ უნდა იყოს ყველასთვის? ნუთუ ყოველი ჩვენგანი არ უნდა ცდილობდეს სრულად აღმოფხვრას ჩვენთა წოდებათა შორის განხეთქილების მიზეზნი, რომ ჩვენი ცხოვრება წარმოადგენდეს ერთს დიდებულს დენას შეერთებულის ძალისას?“ (იქვე, გვ. 57).

როგორც ვხედავთ, ილია აქ, ქართული სოციალური ყოფის დიდი ცოდნისა და ღრმა ანალიზის შედეგად, მიდის ძალზე მნიშვნელოვან დასკვნამდე, რაც საზოგადოებრივ ძალთა, წოდებათა (და არა კლასთა! ამ ტერმინს ილია საქართველოში „ეაინაჩრობით“ შემოტანილად მიიჩნევს თ. მ.) შორის თანამშრომლობასა და სრულ ურთიერთგაგებას გულისხმობს.

ამიტომაც:

„დიდად სცოდავენ ქვეყანასა და ხალხსაც, ნამეტნავად ჩვენში, ისინი, ვისაც გულში ჩაუდვია, გინდა თუ არა, განხეთქილება უნდა იყვესო წოდებათა შორის, რადგანაც ევროპაში ეგ განხეთქილება (ე. ი. კლასთა ბრძოლა თ. მ.) სუფევსო“.

ამ საკვებით სწორმა მოსაზრებამ, მოგვიანებით, გაუთავებელი დავა და პოლემიკა გამოიწვია (იხ. „პოლემიკური წერილები“ “ცხოვრება და კანონის“ გამო (1871), ი. ჭავჭავაძე, ტ. VI, გვ. 101) და მრავალ უბირსა და უკეთურს, განსაკუთრებით ჩვენს ნაფიც მარქსელებს, საბაბი მისცა ერის მამის წმიდა სახელის ლაფში ამოსვრისათვის. საუბედუროდ, არც წიწამურის ტრაგედიის შემდეგ დამთავრებულა ეს შემზარავი ბაკქანალია. საინტერესოა, რომ უკეთურთა ამ ცდებს, თავის დროზე, წინა აღუდგა ვაჟა-ფშაველა. აი, რა ამბობს იგი წერილში „ყვავ-ყორნები ილიას აჩრდილის გარშემო“ (1901 წ.):

„ილია რომ ბატონ-ყმობის მომხრე ყოფილიყო, „ოთარაანთ ქვრივს“ როდი დასწერდა. დიდებული, ბრწყინვალე თავადიშვილის ქალს, ნაზსა და ნარნარს კესოს, ვიღაც ოთარაანთ ქვრივის სასძლოდ არ დაჰსახავდა და არ გვეტყოდა: დაუახლოვდით ერთმანეთს, თავადნო და გლეხნო, რითაც, როგორც კი შეიძლებოდესო, ხოლო უებარ წამლად და საშუალებად ამ ერთობისა, მოყვრობა დასახა. ილიამ გლეხისა და თავადის სისხლი ერთნაირი თვისებისადა სცნო და მათს ერთმანეთში შერევას თავის მადლიანი მარჯვენით ხელი მოუმართა, რათა გაემრთელებინა „ჩატეხილი ხიდი“. ამ ჩატეხილი ხიდის გამრთელება მისი ოცნება იყო.“ (ვაჟა-ფშაველა, თხზ. სრ. კრებ., ტ. IX, 1964, გვ.276).

ამ სიტყვებიდან ნათლად ჩანს, რომ გასული საუკუნის ორი დიდი შემოქმედის სოციალური აზროვნება დაახლოებით, ერთ კალაპოტში მიედინება. გარდა ამისა, ვაჟასეული მიმართება საკითხთან იმითაც არის საყურადღებო, რომ პირდაპირ გვიხსნის გზას მოთხრობის დედააზრთან მისასვლელად. ვაჟას მიხედვით, ილიამ მიზნად დაისახა მხატვრული საშუალებებით მიეწოდებინა მკითხველთათვის თავისი სანუკვარი, თეორიულად უკვე დაფუძნებული ოცნება წოდებათა შორის ხიდის გადების გარდაუვალი აუცილებლობისა. ხოლო „უებარ საშუალებად ამ გაერთებისა, მოყვრობა დასახა“, ანუ თავად-აზნაურული „დონდლო, დუნე“ და გლეხური „ჩაკირული“ სისხლის შეერთება-შედუღაბება. აი, მაშინ გამთელდება „ჩატეხილი ხიდი“ და მხოლოდ მაშინ იქნება „ჩვენი ცხოვრება ერთი დიდებული დენა შეერთებულის ძალისა“.

მაგრამ მაინც როგორ, რა გზით უნდა მოხდეს ეს „შედუღაბება?“

გიორგის სიკვდილისწინა აღსარება, არჩილისა და კესოს წინაშე, მოულოდნელად, წამოაყენებს „წყეულა-კრულვიანი“ საკითხების მთელ რიგს, რაზედაც მათ, თუ ნამდვილი ინტელიგენტები არიან და არ დაუკარგავთ ცხოვრებისეულ მოვლენებთან ინტელექტუალურ-ეთიკური დამოკიდებულება, ამა თუ იმ ფორმით, პასუხი უნდა გასცენ. მათ, ვითარცა განსწავლულ ადამიანებს, ზნეობრივად ევალებათ მოიძიონ არსებული ვითარებიდან გამოსავალი, ყველაზე უფრო გონივრული გზა და ისინიც ეძიებენ პატიოსნად. მაინც როგორ, რანაირად იქნებოდა შესაძლებელი, რომ კესოს „ბრმა გული, გვარიშვილობის ცხრა კლიტით დაკეტილი“, გახსნილიყო გიორგისათვის? თავში, რომელსაც „დასაწყისი განთიადისა“ ეწოდება, და-ძმის დიალოგი ასე ბოლოვდება:

„ შენი ტირილი მიხარიან მეც ვიტირებდი, რომ მარტო უკანლა ვიხედებოდე, როგორც ეხლა შენ. იქ, უკან ბნელა... ღამეა...

- და ხიდი ჩატეხილი, ხიდი! - წამოიძახა ტკივილით კესომ.

ეგ მინდა რომ ყველამ დავინახოთ, ეგ მინდა, რომ ყველამ ვიცოდეთ. შენ ეხლა ჰხედავ, შენ ეხლა იცი.

ვიცი და ვტირი...

ამიტომაც მიხარიან შენი ტირილი...

არჩილ, წინ რაღაა, წინ?!

- ეგ ცრემლიანი ცოდნა უკან სწვაეს და ჰბუგავს. წინა ჰნამავს და ამწვანებს. ეგ ნამი რომ გაბევრდება, მდინარე წყლად იქცევა და მთელს ტივს მოიტანს, რომ ჩვენ შორის ჩატეხილი ხიდი გაამრთელოს და ეგრე ორსაე ნაპირს გააერთებს. ეგ ცრემლიანი ცოდნა თუ ცოდნიანი ცრემლი უკანისა, შუქია წინასი“. (ილია ჭავჭავაძე, ტ. II, გვ. 319-320).

ასე მთავრდება და-ძმის საუბარი. ხოლო თუ ამ საუბრის ქვეტექსტს ფართო პლანით მოვიაზრებთ, აი, რას მივიღებთ: საზოგადოების სხვადასხვა წოდებათა შორის „ხიდია ჩატეხილი“, თავის დროზე არსებული, ბატონ-ყმობის ინსტიტუტის მიზეზით. ეს ვითარება განსაკუთრებით მაშინაა საცნაური, როცა საქმე სიყვარულზე მიდგება, რომლის წინაშე ყველა ადამიანი თანასწორი უნდა იყოს. არ მოხდა ასე, კესომ ვერ გაუგო გიორგის გრძნობას. როდის გაუგებდა, თანაუგრძნობდა? თუკი გიორგი, გარდა თანდაყოლილი, დიდი პიროვნული ღირსებისა, განათლებული, კულტურას ნაზიარები კაციც იქნებოდა. ეს მაშინ მოხდება, თუ „ცრემლიანი ცოდნა“ მოიტანს ტივს, ჩატეხილი ხიდის გასამრთელებლად, რაც მაღალ ფენას (კესო) და დაბალ ფენას (გიორგი), საშუალებას მისცემდა „შეედულებოდნენ“ ერთმანეთს. დაახლოებით

ასეთია არჩილისა და კესოს დამოკიდებულება ამ ურთულეს სოციალურ-ფსიქოლოგიურ პრობლემასთან.

ერთი კია: არჩილსა და კესოს მართლაც აკლიათ ილიას მწერლური ოსტატობისათვის დამახასიათებელი მხატვრული ფერხორცი. ჩვენ ვიცით, რომ მათ სწავლა რუსეთში შეუსრულებიათ, სამშობლოში დაბრუნებულთ, სოფლად მამა-პაპეულ ფუძეზე დასახლებულებს, მეურნეობის გონივრულად მოწყობისათვის მიუყვიათ ხელი, კითხულობენ, უსმენენ მუსიკას, კეთილგანწყობილნი არიან სოფლის დაბალი წოდების მიმართ და მეტი არაფერი. ავტორი არ გვაზიარებს მათი სულის სიღრმისეულ შრეებს და ამიტომ სახე-სიმბოლოები უფრო გერჩება ხელთ, ვიდრე ჭეშმარიტი მხატვრული სახეები. მაგრამ, ამის მიუხედავად, მათი გაელენა მაინც საკმაოდ ძლიერი გამოდგა მომდევნო ხანის ლიტერატურაზე, რასაც ვასილ ბარნოვის შემოქმედება თვალნათლივ ადასტურებს.

მართლაც, ვ. ბარნოვის ე. წ. „ინტელიგენტურ მოთხრობებს" მკაფიოდ აჩნიათ ილია ჭავჭავაძის იდეური ზეგაელენის კვალი. მეტიც: ვასილ ბარნოვის ინტელიგენტი პერსონაჟები ილიას ინტელიგენტთა სულიერი მემკვიდრენი არიან მეტ-ნაკლებად, ერთნაირ მსოფლმხედველობრივ სამყაროში ტრიალებენ და ისეევე ბუნებრივად აგრძელებენ მას, როგორც ტოტები ხეს.

სხვა ვითარება გვაქვს, როცა საკითხი ე. ნინოშვილს ეხება. აღმოჩენად არ ჩაითვლება თუ ვიტყვით, რომ მხატვრული თვალსაზრისით ე. ნინოშვილის პროზა დიალაც ვერ უტოლდება ილიას პროზას. სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ ნინოშვილი - მხატვარი, დიდადაა დავალებული ილიასაგან („რაც შეეხება გარეგნულ მხატვრობას, უნდა ითქვას, რომ ნინოშვილი ი. ჭავჭავაძის სკოლიდან არის გამოსული", ვ. კოტეტიშვილი, რჩ. ნაწ., ტ. I, გვ. 634), მაგრამ ვერავინ უარყოფს იმ ფაქტსაც, რომ ნინოშვილია ის მწერალი, რომელიც იდეურ-მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით, მკვეთრად განსხვავდა ილიასაგან.

ბუნებრივი იქნებოდა, თუ აქვე გავიხსენებდით გ. წერეთლის, ა. ფურცელაძის, ა. ყაზბეგის („განკიცხულნი"), ნ. ლომოურის, ს. მგალობლიშვილის, ე. გაბაშვილის, ა. ერისთავ-ხოშტარიასა და სხვათა შემოქმედებას, სადაც აქა-იქ გაიელვებენ ხოლმე ინტელიგენტი პერსონაჟები, მაგრამ მხოლოდ გაიელვებენ და მეტი არაფერი, მათი იდეურ-მხატვრული დონე, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ვერ უძლებს სერიოზულ მსჯელობას. ეს, ცხადია, არ ნიშნავს, რომ მწერლები, რომელთა შემოქმედებაში ჩვენთვის საინტერესო პერსონაჟები დაიძებნებიან, შესწავლის

ობიექტად არ ვაქციოთ, მაგრამ ეს სამომავლო საქმე გახლავთ.

საუკუნის გარიჟრაჟზე 1901 წელს, „მესამე დასელთა“ „კვალში“ გაიელვა მოთხრობამ, რომელსაც ხელს აწერდა „სპირიდონ მცირიშვილი“ სულ მალე მკითხველთათვის საცნაური შეიქნა, რომ ხსენებულ ფსევდონიმს ეფარებოდა დამწყები მწერალი ჭოლა ლომთათიძე. საცნაური შეიქნა ისიც, რომ არჩეული ფსევდონიმი, მწერლის ლიტერატურული მანერულობა კი არ იყო, არამედ სავსებით გააზრებული საქციელი, რაიც, უწინარეს ყოვლისა, იმას ნიშნავდა, რომ ჭ. ლომთათიძე ე. ნინოშვილის, კერძოდ, მისი ინტელიგენტი პერსონაჟის სულიერ მემკვიდრედ სახავდა თავს. როგორც შემდეგ გაირკვა, ამას ჰქონდა კიდეც თავისი საფუძველი.

საერთოდ კი, თითქმის ყველა მწერალი, რომელიც ინტელიგენციის თემას შეეხო, გარკვეული თვალსაზრისით ან ავსებდა ან ამრავალფეროვანებდა ილიას მიერ შექმნილ მოდელებს, ანდა უპირისპირდებოდა მას. ზემოთ უკვე ითქვა, რომ ე. ბარნოვის ინტელიგენტები ისევე ბუნებრივად აგრძელებენ ილიას ინტელიგენტებს, როგორც ტოტები - ხეს.

ვნახოთ, რამდენად სწორია ეს მოსაზრება.

ნაწილი პირველი

ინტელიგენტთა სახელმი ქართულ მწერლობაში საბჭოთა დიქტატურის დამყარებამდე

თავი პირველი

„მრავალ არიან წოდებულ და მცირედნი რჩეულ“

მკითხველთა ფართო წრე ვასილ ბარნოვს (1857-1934) უმეტესწილად იცნობს, როგორც ისტორიულ თემებზე შექმნილი ნაწარმოებების ავტორს. ეს იქნებ იმითაც აიხსნას, რომ მწერლის თხზულებების მთლიანად გამოქვეყნებამდე (ვასილ ბარნოვი, თხზულებათა სრული კრებული, ათ ტომად, „საბჭოთა მწერალი“, 1961, ქვემოთ ყველგან ვიმოწმებ ამ გამოცემას). ჩვენ საშუალება არ გვქონდა გავცნობოდით მის ე. წ. არაისტორიულ ნაწერებსაც, რადან ცალკე წიგნებად ისინი თითქმის არ დასტამბულა, ხოლო „თბილისის აჩრდილები“ და „ფერად-ფერადი“, დღევანდელი არასპეციალისტი მკითხველისათვის მიუწვდომელი იყო. ამან, ერთგვარად, ხელი შეუწყო ვასილ ბარნოვის შემოქმედების ცალმხრივ აღქმას. ლიტერატურის ისტორიის მკვლევარებიც იმთავითვე განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევდნენ ბარნოვის იმ ნაწარმოებებს, რომლებიც გარდასული ეპოქის გაცოცხლებას მიუძღვნა მწერალმა და თვალთახედვიდან თითქმის გამორჩათ შემოქმედი, ამსახველი XX საუკუნის დამდეგის საქართველოს ყოფის მრავალფეროვანი სურათებისა, რომლის დამსწრე და მხილველიც თვითონ ვასილ ბარნოვი იყო. (ამ ნაკლს ერთგვარად ასწორებს პროფ. ვ. ცისკარიძის ნაშრომი: „უახლესი ქართული ლიტერატურის საკითხები“, სადაც ბარნოვს მთელი მონოგრაფია ეძღვნება. ეს მონოგრაფია კეთილსინდისიერებითა და პროფესიონალიზმით არის დაწერილი). ამდენად, ბუნებრივია, ეპოქის საჭირბოროტო, აქტუალური პრობლემებისადმი მწერლის დამოკიდებულება და ამა თუ იმ საკითხის ირგვლივ მისეული საზრისი ე. წ. თანამედროვე თემაზე დაწერილ ნაწარმოებებში უნდა ვეძიოთ.

როცა მხატვრულ შემოქმედებაზეა ლაპარაკი, მაშინ სტატისტიკას, რაღა თქმა უნდა, მცირე ფასი ადევს, მაგრამ იქნებ არ იყოს ინტერესმოკლებული იმის აღნიშვნა, რომ ბარნოვს, ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე, სულ 84 ბელეტრისტული ნაწარმოები დაუწერია. აქედან 19 ისტორიული წარსულისადმია

მიძღვნილი, 65 კი „თანამედროვე“ ცხოვრებისადმი.

ამ მონაცემების მიხედვით, ცხადია, ვერავინ დაამტკიცებს, თითქო ვასილ ბარნოვის მწერლური ტალანტი არაისტორიულ ნაწარმოებებში უფრო სრულყოფილად იყოს გაცხადებული, ვიდრე იმ თხზულებებში, სადაც ავტორი აცოცხლებს ისტორიულად ცნობილ პიროვნებებს, მათს ვნებებს, პოლიტიკურ თუ ფილოსოფიურ მისწრაფებებს. ყველამ კარგად ვიცით, რომ ვ. ბარნოვის საპატიო ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში სწორედ ამ სახის ნაწარმოებებთან არის დაკავშირებული და, როცა ბარნოვს დიდ შემოქმედად მიიჩნევენ, უპირველეს ყოვლისა იხსენებენ „მიმქრალ შარავანდედსა“ და არა „სევდის საგუბარს“, „ტრფობა წამებულს“ და არა „ლევრელას“, „ისნის ციხკარსა“ და არა „აჩრდილს სიკვდილისას“, „არმაზის მსხვრევას“ და არა „მეჩვენას“... დიახ, ზემოთქმული სწორია, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ მწერლის ე. წ. არაისტორიული თხზულებები ჩვენი განსაკუთრებული ყურადღების ღირსნი არ იყვნენ. პირიქით, ხსენებული მოთხრობების ანალიზი, როგორც დავინახავთ, სრულიად საპირისპირო სურათს წარმოაჩენს.

ცნობილია: ვ. ბარნოვს XIX საუკუნის მიწურულში და XX საუკუნის პირველ ოცდაათწლეულში არგუნა .ბედმა ცხოვრება და შემოქმედება. ეს იყო ხანა უმწვავესი სოციალური და პოლიტიკური კატაკლიზმებისა, უზარმაზარი გარდაქმნებისა, ძირფესვიანი ნგრევისა და ახლის შენებისა და დიდად შეცდება, ვინც იფიქრებს, თითქო ყოველივე ამან, ბარნოვის, ვითარცა ისტორიული წარსულით მოსულდგმულე მწერლის, თვალისა და ყურის მილმა ჩაიარა. სამართლიანად აღნიშნავს პროფ. ს. ჯილაია: „არ იქნებოდა მართებული, რომ ვ. ბარნოვი მთლიანად წარსულში გადასახლებულად წარმოგვედგინა. ვ. ბარნოვი დიდი მხატვარი იყო, ჭეშმარიტ მხატვარს კი არ შეუძლია პასუხი არ გასცეს თავისი ეპოქის, თავისი დროის კითხვებს. ვ. ბარნოვის შემოქმედებაში ვპოულობთ დაინტერესებას ეპოქის აქტუალური საკითხებითაც“ (ს. ჯილაია, მეოცე საუკუნის ქართული მწერლობა, ნაწ. I, 1956, გვ. 312).

ამ საკმაოდ სწორ მოსაზრებას კიდევ უფრო ამაგრებს გ. ქიქოძის სიტყვები: „ ვ. ბარნოვი კარგად იცნობს სოფელსაც და ქალაქსაც, გლეხკაცობასაც და ინტელიგენციასაც. მან ინტელიგენტებისა და ხელოსნების პორტრეტების, უკეთ ვთქვათ, სილუეტების მთელი გალერეა დაგვიტოვა. ამ მხრივ მას ვერც ერთი ქართველი ბელეტრისტი ვერ შეედრება მეცხრამეტე საუკუნეში“ (გ. ქიქოძე, ტ. III, გვ. 402).

მართლაც, ვ. ბარნოვის მოთხრობებსა და რომანებში საკმაოდ ხშირად ფიგურირებენ ინტელიგენტი პერსონაჟები. მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის ამ თვალსაზრისით გადასინჯვამ შედეგი საესებით დამარწმუნებელი მოიყოლა. აი, ის ნაწარმოებები, რომლებშიც ავტორს მთავარ პერსონაჟებად ინტელიგენტები გამოუყვანია: „ემმა“ (1893), „მეჩვენა“ (1901), „პროფესორი“ (1901), „უძღები“ (1903), „ბედის ვარსკვლავი“ (1910), „აჩრდილი სიკვდილისა“ (1913), „სევდის საგუბარი“ (1916), „არქეოლოგიური ნაშთი“ (1923), „წოდებული“ (1926).

როგორც ვხედავთ, რაოდენობა საკმაოდ სოლიდურია. ამ სიის კიდევ უფრო გაზრდაც შეიძლებოდა იმ მოთხრობების ხარჯზე, რომლებშიც ინტელიგენტები, მართალია, არა მთავარ, მაგრამ მაინც ასრულებენ გარკვეულ როლს, როგორც მეორეხარისხოვანი პერსონაჟები. სხვა შემთხვევაში იქნებ აუცილებელიც ყოფილიყო მათზე გამოწვლილვით საუბარი, მაგრამ ზემოთჩამოთვლილი ნაწარმოებები იმდენ მასალას იძლევა განხილვისათვის, მეორეხარისხოვანზე შეჩერება, გასაგები მიზეზებისა გამო, მომავლისათვის უნდა გადაიდოს.

მიუხედავად იმისა, რომ ვასილ ბარნოვი ძალიან ადრე, 21 წლის ჭაბუკი გამოჩნდა სამწერლო ასპარეზზე (1878), იგი მაინც გვიან მომწიფდა მაღალი რანგის შემოქმედად. არიან მწერლები, რომლებიც ახალგაზრდობაში, პირველი ნაწარმოების გამოქვეყნებისთანავე იქცევენ მკითხველთა ყურადღებას, იმთავითვე იმკვიდრებენ უნიჭიერესის სახელს. ვ. ბარნოვის სამწერლო ბედი სხვაგვარად წარიმართა. საყოველთაო აღიარება მასთან, უნდა ვიფარაუდოთ, იმის შემდეგ მოვიდა, როცა გამოქვეყნდა თავისი შემოქმედებისა და საერთოდ ქართული პროზის ერთი პატარა შედევრთაგანი „ისნის ციკარი“. ეს მოხდა 1901 წელს, მაშინ მწერალი საკმაოდ იყო სიმწიფეში შესული იგი 45 წლის ასაკს უწევდა.

„ისნის ციკარი“ კარიბჭეა იმ მონუმენტური ანსამბლისა, რომელსაც ვასილ ბარნოვი ააგებს XX საუკუნის პირველ ოცდაათწლეულში. მანამდე კი, მთელი 22 წლის განმავლობაში, იგი, როგორც ჩანს, ერთგვარ მოსამზადებელ სამუშაოს აწარმოებდა დიდი მწერლობის დასაწყებად. 1878 წლიდან საუკუნის დასასრულამდე მწერალს ოციოდე მოთხრობა გამოუქვეყნებია მხოლოდ და პირდაპირ უნდა ითქვას, ისინი ჩანაფიქრისა და ისტატობის ბრწყინვალებით არ გამოირჩევიან.

ამჟამად ძნელი გასარკვევია, თუ რა მოსაზრება ამოძრავებდა გ. ქიქოძეს, როცა ვ. ბარნოვს XIX საუკუნის ლიტერატურის

ისტორიაში მიაკუთვნა ადგილი (იხ. გ. ქიქოძე, ტ. III, გვ. 398). ან საერთოდ, რა პრინციპებით უნდა ხდებოდეს მწერლისათვის ლიტერატურის ამა თუ იმ პერიოდში ადგილის მიკუთვნება, როცა გარდამავალ ქრონოლოგიასთან გვაქვს საქმე. ერთი კი ცხადია: ეასილ ბარნოვს რომ მხოლოდ XIX საუკუნეში ეცხოვრა ფიზიკურად (ე. ი. 1857-1900 წ.), ჩვენ მისგან დაგვრჩებოდა ერთი მჭლე ტომი (1878-1900 წლებში დაწერილი ნაწარმოებები), რომლის მიხედვითაც ძნელი, ან სულაც უნიადაგო იქნებოდა ე. ბარნოვის დიდ შემოქმედებით შესაძლებლობებზე სიტყვის ჩამოგდება. ეს იქნებ არ იყოს ამოსავალი პრინციპი, მაგრამ ანგარიშგასაწევი კი გახლავთ.

აღნიშნული დიახაც არ ნიშნავს, რომ XIX საუკუნის უკანასკნელ ოცწლეულში, მაშინ, როცა ე. ბარნოვის სამწერლო „დადუღება", ხდებოდა, მის შემოქმედებაში ჩვენი თემისათვის საინტერესო არაფერი მოიპოვებოდეს.

თუ 1893 წელს შესრულებული ესკიზი „პატარა ლევანი" სათავეს უდებს მწერლის გამახვილებულ ინტერესს საქართველოს ისტორიისადმი, ამავე წელს დაწერილი მოთხრობა „ემმა" პრელუდიაა, ასე ვთქვათ, პირველი თავია, თხზულებათა იმ ციკლისა, რომლებშიც მთავარ მოქმედ პირებად ინტელიგენტები არიან გამოყვანილნი.

„ემმა" მხოლოდ ქრონოლოგიურად როდი იწყებს ხსენებულ ციკლს. საყურადღებოა, რომ ამ მოთხრობით ე. ბარნოვმა თითქო წინასწარ მოხაზა თავისი მომავალი ინტელიგენტი პერსონაჟების სამოღვაწეო ასპარეზი, სულიერი წყობა და გონებრივი ჰორიზონტი. მოთხრობაში გამოყვანილი სტუდენტი ილიკო, რომელიც ცხოვრებაში გამოსასვლელად და სამშობლოს სამსახურისათვის ემზადება, ასაკით უმცროსი თანამედროვეა სხვა მოთხრობების იმ პერსონაჟთა, რომლებიც ილიკოსაგან მონიშნულ იდეალებს ამა თუ იმ ფორმითა და საკუთარ შესაძლებლობათა ფარგლებში განახორციელებენ.

გავსინჯოთ მოთხრობა უფრო დეტალურად:

ილიკო რუსეთის ერთ-ერთ დიდ ქალაქში უმაღლესი სასწავლებლის ბოლო კურსის სტუდენტია. ავტორი ასე გვაცნობს მას: „ზღუდის კოშკთან იდგა ახალგაზრდა, რომლის ახლადაშლილი შავი წვერ-ულვაში, შავი თვალები, ელფერი და მთლად სახის მოყვანილობა აჩვენებდა, რომ ის ჩრდილოეთის შვილი არ იყო. მოქანცული, ფერმიხდილი, დაკვირვებით უყურებდა ის სამხრეთისაკენ მთებათ აღმართულ ღრუბლებს: იმათ მიეპყრო ყმაწვილი კაცის ყურადღება და მისი აზრი გაფრენილიყო იქით,

მის მთიან სამშობლოში“ (ვ. ბარნოვი, ტ. I, გვ.59). ამთავითვე, ჩანს, რომ ილიკო სამშობლოზე ფიქრსა და სევდას შეუპყრია და იქ, შორეულ ჩრდილოეთში, მის თანამემამულე ახალგაზრდებსაც იგივე განწყობილება დაუფლებიათ.

ავტორის ჩანაფიქრით, ეს ახალგაზრდები ახალგაზრდა ქართველი ინტელიგენტები არიან, რომლებსაც სანუკვარ მიზნად განსწავლის გასრულება და პატრიოტული მოღვაწეობა დაუსახავთ. ამ უზოგადესი ცნობის მეტი ჩვენ არაფერი ვიცით მათზე.

უკეთაა ინდივიდუალიზებული ილიკო. მისი უფრო რელიეფურად გამოკვეთისათვის, მოთხრობაში შემოდის ქალი ემმა.

როგორც ირკვევა, ილიკო და ემმა ღრმად, სერიოზულად ელტვიან ერთმანეთს და მათ ბედნიერებას თითქო აღარაფერი უდგას წინ, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ილიკოს ეჭვი და ყოყმანი შეიპყრობს: აქვს კი უფლება ქართველ ახალგაზრდას, რომელმაც დამონებულ სამშობლოს ინტერესებს უნდა შესწიროს თავი, პირად, ინტიმურ გრძნობებსაც დაუთმოს ყურადღება? მითუმეტეს, თუ სატრფო უცხო ტომელია?

ბოლოს იგი მაინც ახერხებს პირადი სურვილების დათრგუნვას: „მაცთურო აზრო! თავმოყვარეობისაგან მოსყიდულო მსჯელობავ! გახსოვს, რომ „ერავის ეხელმწიფების ორთა უფალთა მონებად?“ ან რომელი მაღალი აზრი ასრულებულა, თუ იმას არ ჰყოლია მოღვაწეები, რომლებსაც დაეტოვოთ იმის გულისათვის ყველაფერი, რაც ძვირფასია ამ სოფლად, მსხვერპლად მიეტანოთ მისთვის ყველაფერი, უარეყოთ ყველაფერი და შესდგომოდნენ მას?“ (ვ. ბარნოვი, ტ. I, გვ. 64). ამის შემდეგ, იმის შიშით, რომ ცდუნებამ კვლავ არ იჩინოს თავი, ემმასთან უკანასკნელ გამოთხოვებაზეც უარს ამბობს და თავს სახარების ცნობილი სენტენციით იმშვიდებს: „უკეთუ თუალი შენი გაცდუნებდეს შენ, აღმოიღე იგი“.

და აი, ილიკო სამშობლოში ბრუნდება ზღვით. ზღვა ღელავს. შორს კი ნაპირზე, სამშობლოს მთები მოჩანს...

„კიდევ მელირსა ჩემი ქვეყნის მთების ნახვა, ვიხილე ზღვა, რომელიც რწყავს ჩემი ქვეყნის კიდეებს... რა საშინლად ჰღელავ! რად მრისხანებ ესე? ნუთუ მარტო შორიდან დამანახე სამშობლო და დანთქმას მიპირებ? დამნთქი, ძლიერო, და ნუ მაღირსებ სამშობლოს ნიადაგს, თუ მიგყევარ უღირსი შვილი, თუ ღირსი არ ვარ ეემსახურო იმ მიზანს, რომელიც თვალწინ უდგა ყველა ჩვენგანს, რომლის მისაღწევად ბრძოლა ისტორიამ ვალად გვადვა ჩვენ. ჰქაფდით, ტალღებო! მე მიყვარხართ თქვენ, რადგან ღელავთ

და კვნესით ისე, როგორც ღელავს და კვნესის ჩემი გული, რადგან თქვენ მრისხანებთ ისე, როგორც მრისხანებს ახალა ჩემი სატრფო... შეისმინე ჩემი, აზვირთებულო ზღვაო! გინდა დამნთქა შენს უფსკრულში, როგორც ულირსი? დეე! ნუ გგონია შემაკრთო: სამშობლოს სტიქიონს სიამოვნებით მოგებარები სამშობლოსავე ნაწილი" (ვ. ბარნოვი, ტ. I, გვ. 65).

მკითხველი დამეთანხმება: შეუძლებელია ეს მონოლოგი წავიკითხოთ და ილიას „მგზავრის წერილები" არ გაგვახსენდეს. ვასილ ბარნოვი აქ თითქმის იმეორებს ცნობილ ადგილებს ამ ნაწარმოებიდან. „როგორ შეეყურები ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყურება იგი მე"... „იცი, მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია"... ან კიდევ: „მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობა არის, ჩემო თერგო"... ყველა ეს მონაკვეთი საპროგრამო ფუნქციის მქონეა „მგზავრის წერილებში". ამაზე ბევრი თქმულა და მეც საკმაოდ ვილაპარაკე წინა თავში. ამიტომ სიტყვას აღარ გავაგრძელებ. ჩვენთვის მეორე გარემოებაა საინტერესო: „მგზავრის წერილებისა" და „ემშას" ასეთი აშკარა შეხვედრები სრულიადაც არ ჩანს შემთხვევითი და უბრალო გაელენით ან რემინისცენციით ვერ აიხსნება. აქ საქმე გვაქვს ერთი მწერლის (ილია ჭავჭავაძის) ეროვნული კონცეფციის სავსებით გაცნობიერებულ გაზიარებასთან მეორე შემოქმედის (ვასილ ბარნოვის) მიერ.

ილია ჭავჭავაძესა და ვასილ ბარნოვს შორის იდეური კონტაქტები რომ მართლაც საფუძვლიანია, ამაში ჩვენ სხვა მოთხრობების განხილვის ჟამსაც დავრწმუნდებით. ახლა კი, უნდა აღინიშნოს შემდეგი:

თავის დროზე დოსტოევსკის უთქვამს: „ჩვენ ყველანი გოგოლის „შინელიდან" ვართ გამოსულიო". ასევე შეიძლებოდა თქმულიყო, რომ ქართული ინტელექტუალური პროზა, ამ ტერმინის სპეციფიკური მნიშვნელობით, ილიას „მგზავრის წერილებში" იღებს სათავეს. როგორც უკვე აღინიშნა, „მგზავრის წერილებში" გამოჩნდა ინტელიგენტი, რომელიც აზროვნებით, იდეალების სიღრმითა და სიფართოვით, საკუთარ ევროპულ დონეზე დგას. თხზულებაში თავი მოიყარა რამდენიმე ისეთმა პრობლემამ, რომელსაც დაჟინებით ამუშავებდა შემდგომი ხანის ქართული ლიტერატურა.

ინტელიგენტს რომ სამშობლო უყვარდეს, ამაში აბა რა არის უჩვეულო და მოულოდნელი, მაგრამ ქართულ ლიტერატურაში ასახული ინტელიგენტების ერთი წყება მამულიშვილობას ძალზე ჰიპერტროფიულად განიცდის. ამას, ცხადია, თავისი ახსნა აქვს. სამშობლო დამონებულია, დამოუკიდებლობისაგან განძარცულია,

მას შველა და პატრონობა სჭირდება და რაკიღა ფიზიკური ძალისხმევით გათავისუფლებაზე ოცნებაც კი უნიადაგოა, ამიტომ ინტელიგენტთა მთელი პლეადა ენერგიას კულტურული ფრონტისაკენ მიმართავს.

„ემმა“, მხატვრული თვალსაზრისით, რაღა თქმა უნდა, ახლოს ვერ მივა „მგზავრის წერილებთან“, მაგრამ კონცეფციური ნათესაობა მათ შორის თვალსაჩინოა. მხოლოდ, მგზავრისათვის სამოქმედო პროგრამა უფრო დაკონკრეტებულია და გაცნობიერებული, „ემმას“ ილიკოსთვის კი, ზოგადი იდეების ფარგლებს არ სცილდება. მართალია, ჩვენ ვიცით, რომ ილიკომ თავისთავში იპოვნა ძალა, პირადი გრძნობები სამშობლოსთვის ენაცვალებინა, მაგრამ ბოლომდე არ ვიცით ის იდეები, რომლით აღჭურვილი იგი სამშობლოსაკენ მოდის. როგორ და რა გზებით წარიმართება მისი ინტელექტუალური ენერგია, რა საკითხების გადაჭრისთვის იმუშავებს იგი, ამის თაობაზედ ვ. ბარნოვი არაფერს გვეუბნება. ჩვენ არ ვიცით, რომელ სოციალურ წრეს ეკუთვის ილიკო. (სხვათა შორის, არც ილიას მგზავრის სოციალური წარმომავლობა ვიცით), არც ის ვიცით, თუ რა ცოდნა აქვს მიღებული და თავისთავად რაიმე ღირებულება გააჩნია თუ არა ამ ცოდნას. ყოველივე ეს მკითხველისათვის შეუცნობელი რჩება. ილიკო სქემატური სახეა. იგი ავტორის მიერ „გარედან“ არის დანახული და ჩვენ გვიჭირს მისი „ცოცხლად“ აღქმა. ერთი სიტყვით, მოთხრობაში ნაკლებად იგრძნობა გვიანდელი ბარნოვის გაწაფული, დაოსტატებული კალამი. ქართულიც კი, რომლის ბრწყინვალე მცოდნე გახლავთ ბარნოვი, „ემმაში“ არ დგას სათანადო სიმაღლეზე.

მაგრამ „ემმაში“ ჩანასახის ფორმით მოცემულია ერთი მნიშვნელოვანი ტენდენცია, რომელიც უცხოა ილიას ინტელიგენტებისათვის, და რომელიც ძალზე სიმპტომატური შეიქნა ბარნოვის შემდეგდროინდელი მოთხრობებისათვის: ესაა ინტელიგენტთა პირადი, ინტიმური ცხოვრებით დაინტერესება.

სადავო არ არის, ადამიანი საზოგადოებრივი არსებაა, მაგრამ ისიც უდავოა, რომ ადამიანს, გარდა საზოგადოებრივისა, უამრავი სხვა ინტერესებიც გააჩნია და მათი შეუმჩნეველობა, ან შეგნებულად ყურადღების მიღმა დატოვება, ადამიანის გამარტივებას, გაცალმხრივებას ნიშნავს. ეს კიდევ უფრო აშკარად იგრძნობა მწერლობაში, რომლის ამოცანა, სხვა მრავალთა შორის ისიცაა, რომ ადამიანი, ამ შემთხვევაში ინტელიგენტი, რაც შეიძლება ამომწურავად, მის დიალექტიკურ მთლიანობაში წარმოგვიდგინოს.

ჩვენ ვნახეთ: თუმცა ილიას ინტელიგენტები

საზოგადოებრივად ძალზე მნიშვნელოვანნი, შეიძლება ითქვას, საეტაპონი არიან, მაინც ვერ ვიტყვით, რომ მწერალი მათ სულს ამომწურავი სისრულით გვიხატავდეს. მათი შინაგანი სამყაროს ყველა ხვეულს გვიმზეურებდეს და ამით საშუალებას გვაძლევდეს წარმოდგენა ვიქონიოთ არა მარტო მათს საზოგადოებრივ იდეალებზე, არამედ მათ შინაგან არსზე საერთოდ.

ამ თვალსაზრისით, საყურადღებო სურათს იძლევა ვ. ბარნოვის „მეჩვენა". საუკუნის დასაწყისს ვასილ ბარნოვი ჩამოყალიბებულ, დაოსტატებულ მწერლად შეხვდა, ამ დროისათვის იგი უკვე ფლობს რთული ადამიანური ხასიათების ხატვის უნარს და საერთოდაც, მწერლის ხელობის საიდუმლოებანი კარგად აქვს გაცნობიერებული. ნათქვამის დასადასტურებლად „მეჩვენაც" იკმარებდა. მოთხრობა 1901 წელსაა დაწერილი.

„მეჩვენაში" უფრო ღრმავდება „ემმაში" მონიშნული ხაზი ინტელიგენტის ხატვისა, მაგრამ აქ აღარ არის „ემმასათვის" დამახასიათებელი სქემატურობა. ავტორი ცდილობს, თავისი გმირი ყველა კუთხიდან დაანახოს მკითხველს, ისეთ სიტუაციაში მოაქციოს, რომელშიც მაქსიმალურად გამოაელენს მისი ხასიათის დაფარულ მხარეებს.

მოდელი ნაცნობია:

რუსეთში სწავლამიღებული ახალგაზრდა ინტელიგენტი საქართველოს უბრუნდება და გულწრფელად ცდილობს, რომ მთელი ცხოვრება სამშობლოს სამსახურს შეალიოს. დიახ, კარგად ვიცით ეს მოდელი: „ემმაში" ჩვენ დავინახეთ ილიკოს სტუდენტური ყოფა (თუმც, მკრთალად მოხაზული), ჭიდილი გრძნობასა და მოვალეობას შორის, მოვისმინეთ გულწრფელი, თუმც მაღალფარდოვანი აღთქმა სამშობლოსადმი და აი, ახლა ვხედავთ, რომ „მეჩვენას" გმირი, თანამოაზრე და დაახლოებით თანამოასაკეც „მგზავრის წერილების" მგზავრისა და „ემმას" ილიკოსი, რუსეთიდან დაბრუნებულა და პირისპირ დამდგარა ცხოვრების წინაშე, სამშობლოს წინაშე. აღთქმებისა და დაპირებების ჟამი დამთავრდა, ეს თავის დროზე მშვენივრად მოახერხეს „მეჩვენას" ლიტერატურულმა წინამორბედებმა. ახლა სამშობლო საქმეს ითხოვს თვისთა შვილთაგან. დანაპირების შესრულებას ითხოვს და ამდენად, „მეჩვენას" გმირი უფრო რთულ სიტუაციაშია მოქცეული, ვიდრე მისი წინაპრები.

ეს ინტელიგენტი გახლავთ სოსანა სანდომიძე.

„მეჩვენა" გაურცელებული კომპოზიციური ხერხითაა აგებული. ფინალი დასაწყისშია გადმოტანილი და მკითხველი ამთავითვე გრძნობს, რაც მოელის მთავარ პერსონაჟს. სოსანა ბარათს უგზავნის

თავის მეგობარს დათიკოს, სადაც, სხვათა შორის, წერს: „ამ წერილს რომ გახსნი, იქნებ აღარც კი ვიყო... ცხოვრებამ დამჯაბნა, სამსალა შემასვა და ვეღარ ვგრძნობ თავს კარგად... ეს რეული ბოლომდე ჩაიკითხე. მიმიხვდები, გაიგებ იმას, რამ გამითახსირა აზრები, გამიტეხა გული, წარმტაცა იმედები: გაიგებ, რამ გამხადა უსარგებლო, რამ მაქცია მჩვრად“ (ვ. ბარნოვი, ტ. I, გვ. 298).

ამის შემდეგ იწყება სოსანას აღსარება.

საგულისხმოა, რომ თხრობა, „ემმასი“ არ იყოს, იწყება ქართველი ახალგაზრდების მიერ უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების სცენით. აქაც იგივე აღტაცებაა და მომავლის უსაზღვრო რწმენა, აქაც იგივე წყურვილი მამულის თავდადებული მსახურებისა. „მაშინ გულწრფელად ვსახავდით ჩვენს თავს მოციქულებად, ყველა ჩვენგანს თავი მახარობლად მიაჩნდა, რადგან ბევრი რამ კეთილი უნდა გვეხარებინა ჩვენი დაქვეითებული მოძმეებისათვის, ჩვენი დაჩაგრული ერისათვის, ჩვენი, წამებული სამშობლოსათვის“.

ამხანაგთა კრებული ნდობით ეკიდება სოსანას და მომავალ სამოღვაწეო ასპარეზზე მნიშვნელოვან ძალად მიიჩნევს. თვითონ სოსანასაც ერთი სული აქვს, სანამ მამულის მიწას დაადგამდეს ფეხს: „რა ძალიან მეჩქარებოდა სამშობლოში მოსვლა! ყოველი საათი, უცხო მხარეს, დაკარგული დრო მეგონა, დარწმუნებული ვიყავი, რომ შევდგამდი თუ არა ფეხს ჩემს საყვარელ ქვეყანაში, მაშინვე დავადგებოდი საკეთილო გზას, რომელსაც უნდა გამოეყვანა ჩვენი ერი კვლავ ისტორიულ ასპარეზზე, ჩაეთრიენა ის დაწინაურებული ხალხების რიცხვში და საპატიო ადგილიც მიენიჭებინა მისთვის. გემიდან გადმოსვლისას, ფოთში სამშობლო მიწას ვემთხვიე, ამით გულწრფელად მივესალმე მთელ ქვეყანას, როგორც მოსიყვარულე შვილი. ის ცრემლი, რომელიც თვალთ მომადგა მაშინ, ნეტარების ცრემლი იყო. იცი, ჩემ ცხოვრებაში ის წუთი იყო ყველაზე ბედნიერი და მშვენიერი“. (ვ. ბარნოვი, ტ.I, გვ. 300).

ძნელი არ არის, ამ სიტყვებში „ემმას“ ილიკოსეული ინტონაციები დავიჭიროთ, მაგრამ ამის შემდეგ კი, მათი გზები საბოლოოდ იყრება. ახლა ვ. ბარნოვისათვის, უპირველეს ყოვლისა, საინტერესოა სოსანასი და მსგავსთა მისთა შემდგომი ცხოვრებისათვის თვალის მიდევნება, მოღვაწეობის შეფასება და მათ მიერ ასე უხვად გაცემულ აღთქმებთან დამოკიდებულება.

„სამუშაოდ პედაგოგიური ასპარეზი ამოვირჩიეო“ - გვამცნობს სოსანა და ამით ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ იგი პატიოსანი, უანგარო, საქმის ერთგული, დაუნჯებული გონების კაცია. ზედმეტია

საუბარი იმის თაობაზე, რომ მასწავლებლობა ერთ-ერთი ყველაზე საპატიოა ინტელიგენტურ პროფესიათა შორის და არსად ისე აშკარად არ მჟღავნდება ინტელიგენტის შინაგანი ავლადიდება, როგორც მასწავლებლად მოღვაწეობის ჟამს. აკი თვითონ სოსანამაც კარგად იცის: „ეს საქმე წმინდა, დიდშედეგიან საქმედ მიმაჩნდა და იმისთვის მოვკიდე ხელი. აქ შენ ხელშია ხალხის მომავალი, შენ თვალწინ მიმდინარეობს ახალ-ახალი თაობა და შეგიძლია გზა წაუმართო მას, განავითარო, მოამზადო ცხოვრებისათვის, ჩაუნერგო მაღალი აზრები და კეთილშობილური გრძნობები. ამაზე პატიოსანი სამუშაო?“

სოსანა მთელის გულისყურით შეუდგა საქმეს. მისთვის აღარაფერი არსებობს სკოლისა და მოსწავლეების თვინიერ. „ჩემი გასამრჯელოდან თუ რამე გადაუარჩენდი, წიგნებისთვის მინდოდა, გარდა ამისა, ეცდილობდი ცოტა რამე ფულითაც დაეხმარებოდი ჩემ ღარიბ მოწაფეებს“.

მაგრამ გაიელის ცოტა დრო და სოსანა დარწმუნდება: ცხოვრება არც ისე იდეალურად ყოფილა მოწყობილი, როგორც რომანტიკული გატაცებებით აღსავსე ჭაბუკს ეჩვენებოდა საქართველოს ფარგლებს გარეთ. ერთის მხრივ მოხუცი დედა, რომელიც, სოსანას საუალალოდ არაა მოკლებული ფილისტერულ მისწრაფებებს, დღენიადაგ ჩასჩიჩინებს: „სწავლული კაცი ჩამოხვალ რუსეთიდან, ეხლა შენ თითებიდანაც ოქრო უნდა გცვიოდესო“ და მეორეს მხრივ, უხამსი კოლეგების სულისშემხუთველი გარემოცვა. კოლეგებისა, რომელთა დროშაზე აშკარად და გამომწვევად აწერია: „ფული და სიამოვნება“!

სხვათა შორის, წერილის ერთ ადგილას, სოსანა საგულისხმებელ თვითდახასიათებას აწვდის დათიკოს: „ხომ იცი, გული მჭარბობს“ -ო, ე. ი. ემოციური წყობის ადამიანი ვარ, გრძნობით და არა ინტელექტით აღვიქვამო ცხოვრებას. ასეთი ადამიანები, ჩვეულებრივ, ნაკლებ გაწონასწორებულნი არიან და სიხარულსაც და მწუხარებასაც მეტის სიმძაფრით განიცდიან. სოსანას სულში პირველი ბზარი მაშინ ჩნდება, როცა იგი სასოწარკვეთილი ამოიძახებს: „მე იმან უფრო შემაძრწუნა, რომ ფლიდი და უსინდისო მძარცველი ვინმე, რომელიც ავაზაკობით გამდიდრებულიყო, რომელსაც მოყვრისათვის სისხლი გაეშრო და მით გასუქებულიყო, ეხლა ხალხის კეთილის მყოფლობას ჩემობდა. ბრბოც შესძახოდა: დიაღ, პატიოსანო ბატონო! უვიც ვისმე, რომელიც გაიძვერობით და სხვისწყალობით გამდიდრებულიყო, დაჰვიწყებოდა თავისი უტვინობა, ჭკვასა ჩემობდა. ბრბოც შესძახოდა: დიაღ, ჩვენო ბრძენო“ (ვ. ბარნოვი, ტ. I, გვ. 30).

ძლიერთა ამა ქვეყნისათა, დიაღაც არ უყვართ, როცა ვინმე მათს სიბრიყვეს შეამჩნევს და მათზე ლოცვას სავალდებულოდ არ გაიხდის და რაკიღა სოსანა სწორედ ასეთად სცნეს, შედეგმაც არ დაიგვიანა: „ცდილობდნენ გაებათილებინათ ჩემი სკოლაში შრომა. ეს ძალიან მხედებოდა გულზე, მე თავს ვაკლავდი ჩემს საყვარელ საქმეს, ისინი კი თვალებს განგებ იბრმავებდნენ, ხეპრე და უგ'ულო მასწავლებლობას წინ სწევდნენ, მე კი მჩრდილავდნენ". ამის მიუხედავად, ფარ-ხმალის დაყრა სოსანას ფიქრადაც არ გაუელია: პირიქით, იმ აზრმა აიყოლია, რომ „სამშობლოს სიტყვიერებისათვის შეეძინა რამე" და ამ მიზნით, არდადეგებზე, სოფელ-სოფელ დაიწყო სიარული, რათა შეეგროვებინა „ხალხის გონების ნაწარმოები - ზღაპრები, ლექსები, გამოცანები, ანდაზები, ზმები, ენისგასატეხები, იარაღის სახელები და სხვა ამისთანები."

ამ ნაბიჯით სოსანამ ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ ცხოვრებაში თბილი ადგილის მაძიებელი კი არ იყო, არამედ ჭეშმარიტად მამულიშვილური მიზნები ამოძრავებდა. მაგრამ ეს ნაბიჯი საბედისწერო გამოდგა მისთვის.სოფელ-სოფელ ხეტიალის ჟამს, გადაეყარა ქალს, თეკლეს, ანუ თეკოს, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა მის მომავალ ცხოვრებაში. შორს წაგვიყვანდა დეტალების გამოდევნება. ეს კი უნდა ითქვას: თეკოს და სოსანას ურთიერთობას, სათანადო დაგვირგვინება არ ეწერა,რადგან თავის დროზე სოსანამ „სიყრუეე" გამოიჩინა „უზენაესის ხმისადმი", ხოლო როცა მიხვდა, რომ თეკო ერთადერთი საბედო იყო მისი, უკვე გვიან აღმოჩნდა: -თეკო გარდაცვლილიყო. აი ,რას ამბობს სოსანა: „ვაი, თუ თეკო სწორედ ის ნახევარი იყო ჩემი არსებისა, რომელსაც იმთავითვე განმაშორა შემოქმედმა და რომელიც უნდა მეძებნა ამ ქვეყნად! ხომ გახსოვს, ქალ-ვაჟი დასაბამიდანვე გაპობილი ნახევრები არიან ერთისა და იგივე ქმნილებისა, ამისათვის ესე ძლიერად მიელტვიან ისინი ამ სოფლად და უსაზღვრო სიხარულს ეძლევიან, როცა პოულობენ. ბედშავი იგი შეცდება, სხვის ნახევარს მიითვისებს და ამ სოფლადვე დაიმკვიდრებს ჯოჯოხეთს. ძმაო ტკბილო! ამბობენ ადამიანს სიცოცხლეში ერთხელ ჩამოურბენს იღბალი, ფრთას შეასხამს და ვაი იმას, ვინც ვერ შეამჩნევს. იმ წუთს: იმას წილად უბედურებაღა დარჩებაო. მე სწორედ მაშინ დაეკარგე ბედი, მაშინ!" (ვ. ბარნოვი, ტ. I, გვ. 311).

აქ მივადექით ვასილ ბარნოვის შემოქმედების ერთ-ერთ კარდინალურ პრობლემას: კერძოდ, სიყვარულის, ანუ ეროსის გაგების საკითხს; ეჭვს გარეშეა, თუ სათანადოდ არ გაეერკვიეთ მისი მსოფლმხედველობის ამ ასპექტში, მთელი შემოქმედება გაუგებარი აღმოჩნდება ჩვენთვის. სწორედ ამიტომ მოგვიწევს

მცირედი ექსკურსი, რამეთუ მსგავს საკითხებს სხვა მოთხრობებთან დაკავშირებითაც ხშირად წავაწყდებით.

არაერთხელ თქმულა და დაწერილა, რომ ვასილ ბარნოვი ფილოსოფიურობით აღბეჭდილი მწერალია. ამ თვალსაზრისით, მრავალსაუკუნოვან ქართულ ლიტერატურაში მას ძნელად დაეძებნება ჯუფთი და ტოლი. ვ. ბარნოვისათვის, შეიძლება ითქვას, ისტორიული ან ყოფითი სინამდვილე ერთგვარი „ჭურჭელია“, რომელსაც იგი თავისი ფილოსოფიური იდეების „მოსათავსებლად“ იყენებს. ამიტომაც, ისტორიულ თუ ყოფით თემებზე დაწერილ ნაწარმოებთა შორის მკვეთრი ზღვარის გაყვლება ჭირს. ეს ნაწარმოებები ერთი გლობალური ფილოსოფიური იდეის გარშემო ჯგუფდებიან და, როგორც იტყვიან, ერთ წისქვილზე ასხამენ წყალს.

იმ ნაწარმოებებშიც, სადაც ვასილ ბარნოვი სოციალური უკუღმართობის მამხილებლად გვევლინება, იგი მყარად ინარჩუნებს ფილოსოფიისა და ეთიკის პოზიციას. მწერალი სოციალურ უთანასწორობას არ განიხილავს კონკრეტულ, ასე ვთქვათ, ემპირიულ სინამდვილეში, იგი ამ უთანასწორობას მიიჩნევს სამყაროს დასაბამიდან არსებულ კეთილისა და ბოროტის ბრძოლად და ადამიანთა სოციალურ ურთიერთობებს, უმეტესწილად, ზოგად ფილოსოფიური და ზოგადეთიკური პრობლემების წარმოსაჭრელად იყენებს.

აქ შეიძლებოდა მრავალი მაგალითის მოხმობა ვ. ბარნოვის თხზულებებიდან, მაგრამ ერთი ვიკმაროთ. აი, როგორ მონოლოგს გვთავაზობს მწერალი თავის ნაკლებ პოპულარულ რომანში „სევდის საგუბარი“:

„იცი? აღურიცხავია ძალა ბუნებისა, განუსაზღვრელია სისასტიკე მისის ბოროტისა. დაუცხრომლად ებრძვის იგი, პირქუში, ნათელს ჭეშმარიტს. ისწრაფვის ჩაანელოს იგი ყოველგან, ჩააქროს მთელს სამყაროში და განამტკიცოს თავის მპყრობელობა. დაუნდობელია ის, საუკუნო ეჭვის ნაშობი, ჭეშმარიტების უარმყოფელი, კეთილთა მათ მიწყივ მთრგუნველი, ბოროტთა სულთა მამრაველებელი, მშვენიერების მარადმსპობელი, არარაობის და სიკვდილის უხვად მფრქვეველი. რაინდი ხარ შენ ნათელთაგან წარმოშობილი? იბრძოლე უტეხათ, რომ განამრავლო ქვეყნად კეთილი, აღაგზნო და განაბრწყინო ნათელი და მხიარული, გადაშალო და განამტკიცო სიცოცხლე თვალწარმტაცი. ნუ შედრკები, შემმართებელო ბუმბერაზთა წინაშე გარესკნელისა, გაჰკვეთე ნაშობნი წყვდიადისა უსახონი! ნათელი სახიერი განგიმტკიცებს მებრძოლ მარჯვენას. იცოდე, უძლეველია იგი ნათელი მხიარული და

სამარადისო“ (ვ. ბარნოვი, ტ. IV, გვ. 207).

აქ ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ ვ. ბარნოვისათვის ქვეყანა ორი პოლარული ძალის, კეთილისა და ბოროტის, განუწყვეტელი ჭიდილის სარბიელია. ხშირად ბოროტი იმარჯვებს და მაშინ საყოველთაო ბნელი ისადგურებს, ეჭვი, ლალვა, ურვა მრაელდება, მაგრამ კეთილის „არსება გრძელია“ და იგი დაუცადებლად ერკინება ბოროტს, ამარცხებს კიდეც ჟამიდან ჟამზე და მაშინ აღიგზნება და განმრავლდება ქვეყნად ნათელი და გარდიშლება სიცოცხლე თვალწარმტაცი.

ყოველი არსი სრულყოფას ელტვის, ჭეშმარიტ სრულყოფას კი მხოლოდ მაშინ მიაღწევს, თუ იგი ზეგარდმო სიყვარულთან არის წილნაყარი. სიყვარულის შემწეობით ხდება პიროვნების გადაშუქება პიროვნებაში, სულთა თანა ზიარება. ეს არის, აგრეთვე, უკვდავების თანაზიარებაც, ვინაიდან სიყვარული უფრო ძლიერია, ვიდრე თვით ბედისწერა და სიკვდილი. „ეს ის სირაა, ნათელთაგან გრეხილი სიმი, რომელს არა ჰკვეთს ბედისწერის ბასრი მახვილი, მას დრო ვერ სწვდება და მანძილი მის წინა დნება“.

ვ. ბარნოვის თხზულებებში სიყვარული თითქო ფატალურ ძალადაა წარმოდგენილი. მწერალი ქმნის მოდელს ქალ-ვაჟის ურთიერთობისას და მერმე ამ მოდელის ნაირნაირ ვარიაციას იძლევა თავის სხვადასხვა მოთხრობებსა და რომანებში. ამ თვალსაზრისით არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭება იმას, ნაწარმოებში ისტორიული თუ არაისტორიული სინამდვილეა დახატული: მოდელი და მისი ვარიაციები ორივეგან ერთნაირად მოქმედებს. კერძოდ:

...სიყვარული ღვთისაგან არის დადგინებული, მისი ამქვეყნიური სახეა. ამიტომ „ამა და ამ“ ვაჟისათვის ღმერთს მხოლოდ „ესა და ეს“ ქალი, ერთადერთი და უცვლელი, განუჩინებია. ისინი სულით ხორცამდე საერთმანეთონი არიან, მაგრამ მხოლოდ მაშინ ეზიარებიან ჭეშმარიტებას, თუ ერთმანეთს იპოვნიან. ეს კი, არც ისე იოლია, რადგან ცხოვრება რთულია და წინააღმდეგობებით აღსავსე. სიყვარულს, ანუ სიკეთეს განუწყვეტლად ერკინება ბოროტი და ხშირად სძლევს კიდეც მას. სწორედ ამიტომ, საერთმანეთოდ განჩინებული ქალ-ვაჟი, მიუხედავად დაუცადებელი ურთიერთძიებისა, ზოგჯერ მაინც ვერ პოულობენ ერთმანეთს და მაშინ სათაყე ედება სულისშემძვრელ დრამას, რაიც შეიძლება ასეთიც იყოს:

კაცმა იპოვნა „სათაყისო“ ქალი, ქალიც, მიხვდა, რომ ვაჟი „სამისო“ იყო, მაგრამ ამ დროისთვის იგი, სურვილის წინააღმდეგ, გათხოვილი აღმოჩნდა, რამაც გარდუვლად გამოიწვია ამ „საერთმანეთო“ წყვილის დაღუპვა. („ტკბილი დუდუკი“). ქალი

და ვაჟი საერთმანეთო არ არიან, მთელი შინაგანი არსებით გრძნობენ კიდეც ამას, მაგრამ გარკვეული ანგარებიანი მოსაზრებით მაინც ერთდებიან. ეს კი არა მარტო მათს, ორი სხვა ადამიანის ტრაგედიასაც იწვევს („მიმქრალი შარავანდედი"), ქალი და ვაჟი საერთმანეთო არიან, დროულად მიხვდნენ კიდეც ამას, რის შემდეგაც მათ შეერთებას სპარსთა ძლევამოსილმა ლაშქარმაც ვეღარ შეუშალა ხელი („ისნის ციხკარი").

ბარნოვის თხზულებებში ჩახედული მკითხველი დამერწმუნება, რომ ვარიანტების გაზრდა ათეულობით შეიძლება, მაგრამ ეს საკითხს აგვაცდენდა. ქვემოთ ვნახავთ: ყველა იმ მოთხრობაში, რომელიც თემასთან დაკავშირებით იქნება მოხმობილი, ქალისა და ვაჟის ურთიერთობა, ბარნოვის მიერ, სწორედ აღნიშნულ ფარვატებრში განიხილება. ამიტომ აქ სიტყვის გაგრძელება ზედმეტია. დაინტერესებულ მკითხველს კი მივუთითებდი გ. ქიქოძის, ა. გაწერელიას, ი. ვართაგავას, შ. რადიანის, ს. ჩიქოვანის, ს. ჭილაიას, და ვ. ცისკარიძის ნაშრომებზე (იხ. გ. ქიქოძე, რჩ. თხზ. ტ. I, გვ. 269-275, ტ. II, გვ. 373-378, ტ. III, გვ. 398-409, ა. გაწერელია, რჩ. ნაწ. ტ. I, გვ. 162-166; ს. ჩიქოვანი, თხზ. ტ. III, გვ. 307-333; ს. ჭილაია, უახლესი ქართ. მწერ. ტ. I, გვ. 152; ვ. ცისკარიძე, უახ. ქართ. ლიტ. საკით. გვ. 98-334 და სხვ).

ახლა თუ კელავ დაუბრუნდებით „მეჩვენას", იოლი იქნება იმის ვარაუდი, რომ სოსანამ დამღუპველი შეცდომა ჩაიდინა, როცა თეკოს მისამართით ინდიფერენტიზმი გამოიჩინა, რადგან ისინი სწორედ „ღვთივკურთხეული" წყვილები იყვნენ, ბარნოვის სიყვარულის ფილოსოფიის მიხედვით. სოსანა ამის შემდეგ სიყვარულს ვეღარ პოვებს. მოთხრობაში, შემდგომ, გადმოცემულია, თუ როგორ შეხვდა სოსანა სპექტაკლზე ქალს, რომელიც სახით თეკოს ჰგავდა (სხვათა შორის, სახელად მასაც თეკლე ერქვა), როგორ გადააწყვეტინა სწორედ ამ ლანდურმა მსგავსებამ მისი ცოლად შერთვა და როგორ განიცადა გაუძლისი ხელმოცარვა. ეს ხელმოცარვა იმთავითვე ჰქონდა შუბლზე ამოტვიფრული სოსანას, რადგან მან თავის დროზე ალღო ვერ აუღო იმას, რომ ერთადერთ მენახევრედ პირველი თეკო ჰყავდა დადგინებული. ალღო ვერ აუღო და, შედეგმაც არ დაიგვიანა: მეორე თეკლე, გარდა საოცრად ფილისტერული ბუნებისა, რაც სოსანასათვის, ცხადია, ვერ იქნებოდა იოლად ასატანი, ხორცითაც მეძავი აღმოჩნდა.

სოსანა მთლად ჩაიგდო და ჩაიხვია ცხოვრების ჯარამ.

სკოლაშიც სრულიად არაორაზროვნად აგრძნობინეს: გიჟობს „დაისვენოო". რაღა დარჩენოდა? „გამეგონა, ყანწის ძირში ყოველიე კეთილი მოიპოვებაო, ცოტა ნაცადიცა მქონდა ეს და მივყევი:

ნოესებურს ვეწაფე, რომ თავი დავიწყებისათვის მიმეცა. ვერ მიფონა. ცეცხლზე ნავთი დამისხა, აზრები ამიმღვრია, გრძნობები გამისისხლიანა... არ ჩაგიხედნია ყანწის ძირში? თუ ძმა ხარ, ნუ ჩაიხედავ! ბნელა იქ, ძალიან ბნელა!"

ერთადერთი ნათელი წერტილი სოსანას გაუხარელი ყოფისა ისევ პირველი თეკოა, უფრო სწორად გარდაცვლილის ხატება, სოსანას სამუდამოდ დაკარგული ნახევარი და მისი მუდმივი ურვის წყარო. თეკოს სული დროდადრო მოევლინება ხოლმე მიწასთან გასწორებულ სოსანას და ლმობიერად ანუგეშებს.

მოთხრობის ფინალი ასეთია:

სულიერად და ფიზიკურად დეპრესირებული სოსანა მესამე სართულიდან ვარდება და თავს იკლავს.

ასე დასრულდა ინტელიგენტ იოსებ სანდომაძის ცხოერების გზა.

რა დასკვნები უნდა გავაკეთოთ ყოველივე აქედან?

ახალგაზრდა კაცი რუსეთში სწავლის გასრულების შემდეგ კეთილშობილური მიზნებით აღძრული დაბრუნდა სამშობლოში. მასწავლებლობა დაიწყო. საკუთარ შეგნებული ჰქონდა ამ საქმის უდიდესი მნიშვნელობა ერისათვის. ძალ-ღონეს არ იშურებდა, მაგრამ ფილისტერი ადამიანებით გარემოცულს, მალე დაემსხვრა ფრთები. ამას ზედ დაერთო ფატალური ხელმოცარვა პირად ცხოერებაში და სოსანა სანდომაძე ზედმეტ ადამიანად იქცა. საერთოდ, მოთხრობას აკლია სოციალური სიმახვილე, მაგრამ ამის მიზეზი, როგორც უკვე აღინიშნა, ვ. ბარნოვის მსოფლმხედველობაში უნდა ვეძიოთ. მწერლის აზრით, სოსანას მარცხი მნიშვნელოვანწილად განაპირობა იმან, რომ ამ უკანასკნელმა, დროზე ვერ აუღო ალღო შინაგანი, მისტიური ხმის შეგონებას და, აქედან გამომდინარე, საბედისწერო შეცდომებით, გვერდი აუარა პირველ სიყვარულს. საინტერესოა, რომ ავტორი საჭიროდ არ თელის მკითხველს გააგებინოს სოციალურად რომელ წრეს ეკუთვნის ინტელიგენტი სოსანა სანდომაძე. ამით იგი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მოთხრობის წერისას მიზნად არ ჰქონია დასახული ეიწრო სოციალური პრობლემებით დაინტერესება.

მხატვრული თვალსაზრისით მოთხრობა ადრეული ბარნოვის გამარჯვებად უნდა მივიჩნიოთ. იგი გვარიანი ოსტატობით გადმოგვეშლის მეშჩანურ საზოგადოებასთან შეჯახებული ინტელიგენტის ფსიქოლოგიას. ასე რომ, „მეჩვენაში" მწერალი დიდად უწინაურდება „ემმას" ფსიქოლოგიური ანალიზის თვალსაზრისით. ამ მოთხრობაში ვ. ბარნოვმა დაჟინებით იზრუნა

სამშობლოში დაბრუნებული ინტელიგენტის სულის ფსიქოლოგიური ნახატის წარმოჩინებაზე. მართლაც, ჩვენ ვხედავთ, თუ რა საქმიანობას ეწეოდა სოსანა და რამ შეამზადა მისი კრახი. ჩვენ ვირწმუნეთ, რომ სოსანა მაღალეთიკური ინტელიგენტი იყო, რამაც უკანასკნელი როლი როდი ითამაშა მისი პირადი ბედ-იღბლის ტრაგიკულად წარმართვაში. ეს კი, უკუაზრით, ავტორისაგან იმდროინდელი საზოგადოების გაკიცხვას უდრიდა.

აქვე უნდა აღინიშნოს: ვ. ბარნოვის შემოქმედებაში ჩვენ ვნახულობთ მეორე წყებას ინტელიგენტებისას, რომლებიც ძირფესვიანად უპირისპირდებიან სოსანას და „სოსანებს“ საერთოდ. ესენი გახლავთ ექვთიმე უნდობელი „პრაფესორიდან“ და კაკატო „უძღებიდან“. პირველი 1901 წელს დაიბეჭდა „მოამბეში“, ხოლო მეორე 1903 წელს.

„ახლო ვიცნობდი სინდისამომწვარ, ზნეობაგანადგურებულ ექვთიმეს. დატანჯულები ვიყავით იმისგან. ცბიერი, ძუნწი, მატყუარა. ამხანაგის დასმენა, მეგობრის გაუტანლობა, ბეჩავის დაჩაგვრა, ძლიერთან ღრეჭა ყველა სისაძაგლე გამოუვიდოდა ხელიდან. საკვირველი ის იყო, რომ არაფერ სიმდაბლეს და ულირს ქცევას არ უკადრისობდა, საძრახ და საგმობელ საქმეს ისე უყურებდა, როგორც ჩვეულებრივ რამ მოქმედებას. რადგან ესე ესმოდა საქმე, არცა ჰმალავდა თავის უზნეობას. ისე მიამიტად გვიამბობდა თავისგან ჩადენილ ავაზაკობას და თან ისე გულუბრყვილოდ შემოგვყურებდა თავისი ჭრელი თვალებით, თითქო საქები რამ საქმეები ჩაუდენიაო. დაგვაბეზღებდა და როცა ავი დაგვემართებოდა, თავის საქციელს საქეყნოდ მოგვითხრობდა, მოიპარავდა, თუ მივასწრებდით, ხითხითებდა. ნივთს რასმე გააფუჭებდა და, რომ ვეჯავრობდით, ხარხარებდა. არ ესმოდა ბოროტის სიავე და, რომ ვამხილებდით, უკვირდა. გგონიათ, უნიჭო იყო? არა! გონებამახვილი იყო, მხოლოდ ზნეობითი სიბინძურის შეგნება არ ჰქონდა. მართალია, ბოროტებას თვით ბოროტებისთვის კი არ ჩაიდენდა, ესეთებიც შემხვედრიან, მაგრამ თუ ბოროტებას მისთვის მცირეოდენი სარგებლობის, არ სიამოვნების მოტანა შეეძლო, მის თვალში ალარ იყო ის სიავე“ (ვ. ბარნოვი, ტ. I, გვ. 330).

ასეთი გახლავთ ადეოკატი ექვთიმე უნდობელი მოთხრობიდან „პრაფესორი“. ნაწარმოები სატირული თვალთახედვითაა დაწერილი. მიუხედავად იმისა, რომ ვ. ბარნოვს, როგორც მხატვარს, რბილი ტონები უფრო ხელეწიფება, ამ მოთხრობაში იგი ვნებიან სატირიკოსად წარმოგვიდგება.

ექვთიმე უნდობელს სწავლა რუსეთში დაუმთავრებია, სამშობლოში დაბრუნებულა და ადეოკატობისათვის მიუყვია ხელი.

ჩვენ უკვე ვნახეთ, რა ზნეობრივი კანონებით ცხოვრობდა ინტელიგენტი სოსანა სანდომაძე. ახლა გაესინჯოთ ექვთიმე უნდობელის ზნეობრივი კოდექსი:

„ცხოვრება ბრძოლაა, სასტიკი, დაუზოგველი ომი და საკადრის-საპატიო მხოლოდ ის არის, რაც ჩემთვის, პირადად ჩემთვის არის სასარგებლო, რაც მე გამიყვანს გამარჯვებულს არსებობისთვის ბრძოლიდან. ადამიანი ადამიანისთვის მგელია, იცოდე"! (ვ. ბარნოვი, ტ. I, გვ. 331).

დათარეშობს ექვთიმე უნდობელი უზრუნველად. კითხვები, პრობლემები, რომლებიც მის წინამორბედ ინტელიგენტებს აგრერიგად აწუხებდათ და აშფოთებდათ, მისთვის საერთოდ არ არსებობს. ინტელექტუალური წყურვილით, რომლის გარეშე წარმოუდგენელია ინტელიგენტი, იგი არასოდეს დატანჯულა.

ექვთიმე უნდობელი ცენზითაა ინტელიგენტი და ეს თვითონაც მშვენივრად აქვს გაცნობიერებული. დღეს ერთ ქალთან მოიმწვანილებს, ხვალ მეორესთან, გააუბედურებს მათ, მერმე კვლავ თავიდან დაიწყებს ყველაფერს. შედეგი კი... შედეგი ის გახლავთ, რასაც მოთხრობის ფინალში გვეუბნება მწერალი: „ექვთიმე ეტლს მოაგრიალებდა, მუხლებზე შალი ეფარა, ზიზილ-პიპილები აესხა, სამსახური გამოეცვალა"...მაშასადამე, დაწინაურებულა, ჩინმედლები მიუღია და კიდევ უფრო ფართო ასპარეზი გადაშლია მგლობისათვის. რაღა თქმა უნდა, ქვეტექსტი მოთხრობისა გამჭვირვალეა და იოლად ამოსაკითხი: ვაი, იმ ინტელიგენტს, რომელიც უნდობელისებური ზნეობრივი იდეალებით ცხოვრობს და ვაი, იმ საზოგადოებას, რომელიც ასეთ ინტელიგენტებს საფარფაშო ასპარეზს აძლევს. თანაც, არ დაგვავიწყდეს, რომ ექვთიმე უნდობელი მართლმსაჯულების მუშაკია.

ახლა, რაღა თქმა უნდა, ძნელია რაიმე გარკვეულის თქმა,თუ რა გაელენა მოახდინა მაშინ მოთხრობამ მკითხველზე, თუ როგორი იყო მისი რეზონანსი, მაგრამ ნაწარმოების საზოგადოებრივი ღირებულება ყოველგვარი ეჭვის მიღმა დგას. გაიელის „პრაფესორის" გამოქვეყნებიდან ერთი წელი და ჭოლა ლომთათიძე დაწერს ნოველას „ერთი საღამო ბატონ ადეოკატთან", რომელშიც ისმის ბარნოვის ხსენებული მოთხრობის შორეული გამოძახილი.აქვე უნდა ითქვას:„პრაფესორი", მიუხედავად წინასწარგამიზნული სწორხაზოვნებისა, კარგად, მაღალოსტატურად არის დაწერილი.

„უძღები" ერთგვარად აგრძელებს „პრაფესორში" მონიშნულ თემას - აქაც, წყება ინტელიგენტებისა, სატირული თვალით არის დანახული. ამ თვალსაზრისით, გამოირჩევა მასწავლებელი კაკატო.

კაკატო სოფლის მასწავლებელია. მას „თეთრ-წითელი თმა ჯალჯიით ეყარა, შუათანა ტანისა იყო, მკვეთრად ჩასხმული. სახე რომ ცოტა მოკლე არა ჰქონიყო, სწორედ ლამაზი იქნებოდა. სანდომიანი რამ კი ჩანდა, მადიანი. კოხტად დაკერცხილ ხელებზე ეტყობოდა სუფთა ჩამომავლობა“.

დათიკოს აზრით, რომლის პირითაც მიმდინარეობს თხრობა, „მასწავლებლობა მთლად აშრობ-ახმობს ქალს, სისხლსა სწოვს და ჰფიტავს, ფერს უკარგავს, ძარღვს უდუნებს, ვარდს უჭკნობს, სახიდან შლის, ადუხჭირებს, აბოროტებს“. ეს აზრები, ეტყობა, კარგად არის ნაცნობი კაკატოსათვის, რადგან ცხოვრების მიზნად მას სარფიანი გათხოვება და ამ გზით საძულველი მასწავლებლობისაგან თავის დაღწევა დაუსახავს. ეს შემთხვევაც მალე მიეცემა. სოფელ მგლეთში, სადაც კაკატო მუშაობს, გამოჩნდება სიმდიდრითა და გვარიშვილობით განთქმული კაცი არჩილ ვამიყიანი, რომელიც მთელ დროსა და ქონებას ქეიფსა და ქალებში ფლანგავს. „მუქი რამ კაცი იყო, ნუჟრიანი, მოთეთქილ სახეზე სიმწვანე გადასდიოდა, ფაჩხატი წვერ-ულვაში მოსდებოდა, განივრად გახლეჩილ ბაგეს მომსხო ტუჩები მოსჯარვოდნენ“... ამ „ნუჟრიანი“ კაცის „ჰობი“ და ცხოვრების მიზანი ქალებთან ურთიერთობაა მხოლოდ.

უბრალო მოქეიფე ვინმე მეგონა.

რა მოქეიფე, როდესაც ღვინოსაც კი არ სვამს ხეირიანად. ქაღალდსა და სხვა მისთანა ყომარბაზობას არ მისდევს. ქალებია მაგისი ბედნიერება. მონაა ხორცისა, ყურმოჭრილი ყმა. დიდი ფული გადაუგდია ქალებზე, უფრო მეტს წააგებს, მთელ დოვლათს დანთქამს და მერმე რა დოვლათს!“ (ვ. ბარნოვი, ტ. II, გვ. 43).

რაღა თქმა უნდა, არჩილს ნახვისთანავე აღეძერება ვნება კაკატოს მიმართ, რადგან მისთვის „ქალის სხეულის სურნელება და საკვები იყო ტკბილი მუსიკა, თორემ რას ამბობდა ის, ან რას კითხულობდა, ეს სულერთი იყო“.

კაკატო?

„სხვა თვალით უყურებდა ჭაბუკს. არჩილი ერთი ჯირკვა კაცი იყო და თავისი აგებულებით ქალს ვერ გაიტაცებდა, ვერც გონებით მოხიბლავდა მსჯელობანაჩვევს. კაკატოს იზიდავდა მხოლოდ მისი გვარიშვილობა და დოვლათი“.

როგორც ეხედავთ, პოზიციები იმთავითვე გამოკვეთილია: ქალისაც და სალახანა თავადისაც. იგი, ცდილობს ქალის სხეულის დაპყრობას, კაკატო სულაც არაა ამის წინააღმდეგი, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, როცა კანონიერად „იფსკვნის ჯვარს“. გარნა მას თვით არჩილზე კი არ ეჭირა ხარბი თვალი, მის ჯიბეს

მისჩერებოდა. „და იწყება „დუელი“. ამ „დუელმა“ ბოლომდე გამოამზეურა კაკატოს სულის სიბეჩავე და, მიუხედავად გააფთრებული წინააღმდეგობისა, გამარჯვებული, როგორც მოსალოდნელი იყო, არჩილი დარჩა. მან აისრულა წუთიერი წადილი! კაკატოს მოეცარა ნახტომი!...

ერთხელ დათიკო, რომელიც ამ ნაწარმოებში მთხრობელად გვევლინება, შემთხვევით გადაეყრება მოქეიფე არჩილ ვამიყიანს. არჩილი თავის ამპლუაშია: ღვინო, დუდუკი, ქალები... დათიკოს გაოცება გამოეხატება სახეზე, რაკიღა მასთან კაკატოს ვერ დაინახავს.

„ გიკვირს? ეუბნება არჩილი, ტყუილად! მე და ოჯახობა?! ჯერისწერის დრო რომ მოვიდა, გული მომიკვდა, დავიტანჯე!

კაკატო?

ვაჰ, რომ მის თვალებში არ არის მოთავსებული მთელი ქვეყნის ქალობა, რომ ყველას მიუალერსო ერთბაშად!“

ამით მთავრდება მოთხრობა.

უნდა აღინიშნოს, რომ არჩილ ვამიყიანს საკმაოდ ჰყავს წინამორბედი XIX საუკუნის როგორც ქართულ, ისე არაქართულ ლიტერატურაში. ფუქსავატი, მფლანგველი, ქალებს გადაგებული თავადი, რომელიც არაფერს ერიდება თავისი ხვადაგური ჟინის დაკმაყოფილებისათვის, ჯერ კიდევ ილიას „გლახის ნაამბობში“ გამოიკვეთა და მის ფონზე არჩილ ვამიყიანი იქნებ არ გამოირჩეოდეს განსაკუთრებული მხატვრული ელვარებით, მაგრამ, რაც შეეხება კაკატოს, იგი სრულიად ახალი სახეა. ვასილ ბარნოვამდე ინტელიგენტი ქალისათვის არავის შეუხედავს სატირიკოსის თვალით, არავის გაუშიშვლებია ინტელიგენტის გადაგვარების, სულიერი დაღმასვლის პროცესი ისეთი სიზუსტით, როგორც ეს ვ. ბარნოვმა გააკეთა „უძღებში“. ქალი ვ. ბარნოვის შემოქმედებაში ყოველთვის დედობას, სიფაქიზესა და ამაღლებულ სიყვარულს ასიმბოლოებს. ამ ქალების ფონზე, ქვეყნა ინსტიქტებს დამორჩილებული კაკატო გვევლინება ღვიძლ შვილად სოციალურად დაწყლულებული საზოგადოებისა. გავიხსენოთ: იგი მასწავლებელია, თაობის ამღზრდელი. თუ მოვიგონებთ ვაჟა-ფშაველას აზრს იმის თაობაზედ, რომ „ინტელიგენციამ უნდა გამოსცეს ნათელი. მან უნდა მოჰფინოს შუქი უმრავლესობის ბნელ გონებას“, შეუძლებელია უსიხარულო ფიქრები არ აღგვეძრას კაკატოსებრი მასწავლებლისათვის. რა ნათელი უნდა გამოსცენ კაკატომ და მსგავსთა მისთა? რა შუქი უნდა მოჰფინონ უმრავლესობის ბნელ გონებას?“ ყოველივე აქედან გამომდინარე, რა სანუგეშო მომავალი

შეიძლება ჰქონდეს საზოგადოებას, რომელსაც ასეთი მასწავლებელი ჰყავს? და თუმცა, როგორც უკვე ითქვა, ვ. ბარნოვი არ მიეკუთვნება სოციალური რადიკალიზმით აღბეჭდილ მწერალთა რიგებს, განხილული მოთხრობებიდან ამოკითხული აზრი საკმაოდ რადიკალურობით არის აღბეჭდილი: ასეთი საზოგადოება უვარგისია!

ამაზე შორს ვ. ბარნოვი არ წასულა, მაგრამ ისეთი განყენებული ფილოსოფიური კატეგორიებით მოაზროვნე მწერლისაგან, როგორც იგია, მეტი არც იყო მოსალოდნელი.

1903 წლის შემდეგ (ამ წელს დაისტამბა „უძღები"), ვასილ ბარნოვის შემოქმედებაში ინტელიგენტი პერსონაჟი კარგა ხნით წყვეტს არსებობას. ამ საკითხს მწერალი კვლავ მიაპყრობს ყურადღებას მხოლოდ 1910 წელს, როცა აქვეყნებს მოთხრობას „ბედის ვარსკვლავი".

იმ ხანებში რუსეთის იმპერია საერთოდ და საქართველო კერძოდ, გლობალური სოციალური და პოლიტიკური პრობლემებით დაყურსული ქვეყანა იყო. სხვას რომ თავი დავანებოთ, ორის აღნიშვნაც იკმარებდა: 1905-7 წლების რევოლუცია და ილია ჭავჭავაძის მკვლელობა. ეს უკანასკნელი, გრანდიოზულ სანიშანსვეტო მოვლენად იქცა, უამისოდაც სვეგამწარებული ქართველი ერისათვის. სიცოცხლეში ხომ ილია საჭეთმპყრობელი იყო საზოგადოებრივი აზრის გარკვეული ფრთისა, ტრაგიკული სიკვდილის შემდეგ, მისი გავლენა ერთი ათად გაიზარდა ინტელიგენტთა წრეებში. უნდა ითქვას, რომ ილიას მკვლელობამ დიდად გამოაცოცხლა ინტერესი მისი ეროვნული და სოციალური ნააზრევისადმი. ამის მკაფიო გამოხატულებაა ვასილ ბარნოვის მოთხრობა „ბედის ვარსკვლავი".

მოთხრობა, როგორც აღინიშნა, 1910 წელს არის დაბეჭდილი „დროების" სურათებიან დამატებაში. რაკიღა ამ ნაწარმოებს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის საინტერესო საკითხების გარკვევისათვის, ამიტომ შედარებით ფართოდაც უნდა შევეხოთ:

...დაბაღ კოპრუას და მის ცოლს, მართას, ჰყავთ უმცროსი შვილი - ბესიკი, რომელიც მიუხედავად მშობლების დიდი წინააღმდეგობისა, მთელი არსებით ელტვის სწავლა-განათლებას და, თუმცა მატერიალური უსახსრობა გადაულახავ ზღუდედ ეღობება, მაინც მიაღწევს მიზანს: ჯერ მშობლიური, პატარა ქალაქის სასწავლებელს დაამთავრებს, მერმე თბილისში გადაინაცვლებს და ბოლოს, რუსეთის უმაღლესი სასწავლებლის

კურსსაც გაივლის, რის შემდეგაც, პატრიოტული გრძნობებით აღძრული და მამულის საკეთილდღეო მოღვაწეობას მოწყურებული ინტელიგენტი, კვლავ საქართველოს უბრუნდება.

„ხალხის შვილი ვარ, მშრომლისა, ხალხმა მომანიჭა სიცოცხლე, მანვე მომცა ღონე აღზრდისა თუ განვითარებისა, მოვალე ვარ ამაგი დავუფასო მას, მოლოდინი გაუმართლო, მცირედ მაინც შევუმსუბუქო ტვირთი ცხოვრებისა, - ფიქრობდა ახალგაზრდა“ (ვ. ბარნოვი, ტ.II, გვ. 315).

ბესიკის ამ ფიქრებში აშკარად იგრძნობოდა ილიას „მგზავრის წერილებისა“ და ბარნოვისავე „ემმასი“ და „მეჩვენას“ ანარეკლი. მაგრამ ამ შემთხვევაში ეს არაა მთავარი. „ბედის ვარსკვლავში“ მწერალს მიზნად დაუსახავს „ოთარაანთ ქვრივის“ იდეური ხაზის გაგრძელება და, შეიძლება ითქვას, ამ ხაზის ბოლომდე მიყვანა.

როგორც აღინიშნა, ბესიკი უდაბლესი სოციალური წრიდან არის გამოსული. რაც შეეხება შუქურს, იგი არისტოკრატიის წრეს ეკუთვის. მისი მამა, თენგიზ ვამეყის ძე, „პირველი კაცი იყო ქალაქში და დიდად პატივცემული. ლაშქარი იყო დაბანაკებული ქალაქში და ამ ლაშქრის სარდლად ბრძანდებოდა თენგიზი. ძალიან დამსახურებული კაცი იყო, მთელი მკერდი ჯვრებით თუ სხვა საპატიო ნიშნებითა ჰქონდა სავსე. ამაყი, რიხიანი“.

აბა სად დღიური ლუკმისათვის შრომით განაწამები მეტყვაის ბიჭი და სად კიდევ ნანატრად გაზრდილი ერთადერთი ქალიშვილი ზვიადი არისტოკრატისა. აკი თვით ბესიკიც ამბობს პირდაპირ: „დიდი მზღვარი სძევს შუქურისა და ჩემს შუა, უფსკრული გარდუალი. ვინ ის, გალაღებული ოჯახის ქალი მშვენიერი და ვინ მე, ვიღაც დაბალის შვილი“.

ოცნებაც კი ვერ გაებედნა ბესიკს სათავისოდ დაესახნა შუქური, მაგრამ ამის მიუხედავად, ბესიკი და შუქური შეერთდნენ. მოთხრობის ფინალში სწორედ მათი ჯვრისწერაა აღწერილი: „ბრწყინვალედ შემოსილი მღვდელი ჯვარსა სწერდა. გარკვევით, ხმამაღლა როცა წარმოსთქვა, „იქორწინებს მონა შენი კეთილშობილი ბესარიონ“, შუქურის მამა შეტოკდა, მსწრაფლ ფეხი შეიცვალა, დეზები შეაჟღარუნა, კინაღამ შესძახა: „კეთილშობილი ბესარიონ, დაბაღ კოპრუას ბესო?!“, მაგრამ დღეს ეს კოპრუას შვილი მისი სიძე ხდებოდა და აბა რაღას იზამდა?! ღელავდა ბატონი თენგიზი, ბობოქრობდა, მაგრამ ხედავდა, აუცილებელი რაღაც ხდებოდა იმის თაეს და ბოლმას გულშიეე იტრიალებდა“.

დიახ, „ბოლმას გულშიეე იტრიალებდა“, რამეთუ სხვა გამოსავალი არ ჰქონდა ზვიად ღენერალს. რაღაცა ძალა მის

უფლებებზე ქმედითი აღმოჩნდა და ერთადერთი ქალიშვილი ნებაყოფლობით დაუსვა ცოლად დაბაღის ვაჟს.

მაინც რა ძალა იყოს ეს?

ბარნოვის აზრით, აქ რამდენიმე ფაქტორი მოქმედებდა: უპირველეს ყოლის ის, რომ მწერლისეული სიყვარულის თეორიის მიხედვით, ბესიკი და შუქური „საერთმანეთონი იყვნენ". შუქური იყო „ერთადერთი ქალი, რომელთანაც შეეძლო ვაჟს შეერთებინა თავისი ბედი", მაგრამ რაც გინდ დიდი მნიშვნელობა მივანიჭოთ, ამ შემთხვევაში, ეს მაინც არ არის გადამწყვეტი. აქ გადამწყვეტი აღმოჩნდა ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძისაგან ნალოლიავები იდეა დაბალი წოდების განათლებისა, გაკულტუროსნებისა და მაღალი წოდებისაგან იმის მიხვედრა, რომ მათთან (დაბალ წოდებასთან) „ძმურად ხელის გადახვევაა საჭირო"... ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ბესიკს შესაფერისი უმაღლესი განათლება არ მიეღო და ინტელიგენტად არ ქცეულიყო, გაიზიარებდა თუ არა, მის გრძნობებს შუქური?

რაღა თქმა უნდა, არა!

შუქურიმ მხოლოდ მაშინ მიაქცია ყურადღება ვაჟს, როცა მიხვდა, რომ იგი: „მშვენიერი ახალგაზრდაა, განათლებული, საღი მიმართულებისა, ხასიათიც კარგი აქვს. რა მარჯვეა, რა მახვილი, რა ადვილად შრომობს! რაზედაც სხვას მთელი დღე უნდა, მას ერთ საათში ვერ ჰყოფნის. სწორეთ შესძლებს ცხოვრებასთან ბრძოლას".

და იქვე:

...მართალია, დედ-მამას არ ესიამოვნება, მაგრამ იმათ ხომ ისიც არ მოსწონთ, რომ მდაბიო ხალხში გავდიარ და მათში ეტრიალებ. ეჰ, არც გასამტყუნარნი არიან: არ იცნობენ ხალხს და როგორ შეიყვარებენ?! ვერც ის შეუგნიათ, რომ ეხლა ცხოვრების ასპარეზზე ერი გამოდის მქმედად, ერი მთლიანი. (მიაქციეთ ყურადღება: „ერი მთლიანი" თ. მ.). მის წიაღიდან უნდა იშვნენ ხალხის წინამძღვარნიც. უსაზღვრო ძალაა დაკრძალული ხალხის გულში: მხოლოდ ერს შეეძლო ამოდენა თავგანწირული მოეცა ჩვენთვის, მხოლოდ მასვე შეუძლიან გაგვიზარდოს მხსნელნი ყოველგვარ სამარცხვინო მონობისაგან" (ვ. ბარნოვი, ტ. II, გვ. 332).

ერთი სიტყვით, ბესიკი და შუქური „ოთარაანთ ქვრიეის" გიორგისა და კესოში პოულობენ თავიანთ არქეტიპებს. ბესიკი მოგვიანო დროის გიორგია, ოღონდ განათლებული და გაინტელიგენტებული, გარკვეული მიზნებითა და იდეალებით აღჭურვილი, ხოლო შუქური იგივე კესოა.

აი, ასე დაუწინაურდა შუქური თავის სისხლს სისხლთაგანს კესოს, ხოლო ბესიკი - გიორგის. ას გამთელდა „ჩატეხილი

ხიდი“ ვასილ ბარნოვისეულ კონცეფციით.

მაგრამ გამთელდა კი?

მოვლენათა განვითარების ლოგიკამ სულ სხვა მოიტანა. გაივლის შვიდიოდე წელი „ბედის ვარსკვლავის“ დაწერიდან, მრისხანე ჯალათიეით წამოისვეტება კლასობრივი თვალსაზრისი და იგი გამოცხადდება ცხოვრებისეულ მოვლენათა ახსნის ერთადერთ ჭეშმარიტ კრიტერიუმად. მართალია, ამ თვალსაზრისს ჩანასახოვანი ფორმით ჩვენ უკვე ვხვდებით ეგნატე ნინოშვილისა და, ძალზე გამოკვეთილად, ჭოლა ლომთათიძის შემოქმედებაში, მაგრამ ხსენებული მწერლები მაინც ერთგვარ გამონაკლისად ჩანან 1917 წლამდე, ვიდრე კლასობრივი თვალსაზრისი სახელმწიფო იდეოლოგიად გამოცხადდებოდას.

ელისბარ - ასე ჰქვია „აჩრდილი სიკვდილისას“ მთავარ პერსონაჟს, ჭაბუკ ინტელიგენტს, რომელსაც პირველსავე ფურცლებზე ვეცნობით. „იჯდა ჭაბუკი ხევის პირს ღიმმორეული. იგი შეჰხაროდა ბუნებას და შესტრფოდა, მთელის არსებით შეერთებოდა მის დაუშრეტელ ძალას სიცოცხლისა, მის სიმდიდრეს უძლეველს, მრავალფერობას შეუსაზღვრელს, სიტურფეს უცვალებელს. ჰგრძნობდა ცხადად, რომ თვითონაც თავისი არსებით მხოლოდ ნაწილი იყო იმავ სამარადისო ბუნებისა, ქმნილება მისი განცალკევებული და თანაც მასთანვე გაერთიანებული განუკვეთელის კავშირით, მისივე სიცოცხლით სულდგმული, მისი წიაღიდან გამოსული და მისსავე წიაღად მიმქცევი, მის არსებაში სამუდამოდ ჩასანთქმელად. გული გაჰლებოდა ჭაბუკს სასიკეთოდ, კეთილთა საუნჯემდინ გაჰხსნოდა მას შეგნება და მხოლოდ კარგსღა ჰგრძნობდა ამჟამად, მხოლოდ სიკეთის თუ სიყვარულის განხორციელებაღა გამხდარიყო მისი მიზანი და მისწრაფება. ჰსურდა ჭაბუკს ძლიერად გაეშალნა მკლავნი, გარს შემოეჭდო მთელის არსისათვის, მიეზიდნა თავისკენ და დაეკოცნა იგი, როგორც სატრფო ვინმე, ცხოვრების მომცემელი“ (ვ. ბარნოვი. ტ. II, გვ. 97).

ასეთი დახასიათების შემდეგ, ჩვენ წარმოდგენა გვექმნება, რომ ელისბარის სახით საქმე გვაქვს ნათელი, ამაღლებული, პოეტური ბუნებისა და მოსიყვარულე გულის ადამიანთან. ინტელექტუალურად იგი საბუნებისმეტყველო დისციპლინების შესწავლისკენაა მიდრეკილი. „უნივერსიტეტში კარგად განსწავლილი შევიდა და განაგრძო საბუნებისმეტყველო განყოფილებაში თავისი საყვარელი საგნის შეთვისება და შესწავლა. აღარც ეს იკმარა: რუსეთში სწავლის დამთავრების შემდეგ, ორი წელიწადი საფრანგეთში დაჰყო მეურნეობის შესასწავლად, საგანგებოდ მოწყობილ დაწესებულებაში და ეხლა მეცნიერულად

დახელოვნებული ბუნებისმეტყველი და მეურნე დაბრუნდა შინ.

განყენებული მეცნიერი არ დადგა ელისბარი, მარტო ჰაზრთა სამფლობელოებში დახელოვნებული, არამედ მოქმედი კაცი გამოვიდა, მშრომელი. მეცნიერებასთან ერთად, გატაცებით უყვარდა მცენარეც და მისი აღმომცენებელი ნიადაგიც, ხოლო კერძოდ, თავისი მამული სოფლად, რომელიც იმდენად ვრცელი იყო, რომ შეეძლო ბატონკაცურად ეცხოვრებინა თავისი პატრონი, თუკი ისურვებდა მის მოვლას და მოახერხებდა მის პატრონობას". (იქვე ტ. III, გვ. 101).

ხოლო თუ ამას დავუმატებთ, რომ:

„ელისბარი დაბრუნდა უცხოეთიდან და თავის მამულის მოვლა-მოწყობას შეუდგა. მარჯვედ მიჰყვანდა საქმე, ხვაშიანად. განა მეტად ხელმომჭირნო იყო, ან ვისმე ავიწროვებდა და სხვის მარჯვენით მუქთად სარგებლობასა სცდილობდა! სრულებითაც არა! მის მამულში დახიზნული ან მომუშავე ყველა მადლიერი იყო მისი" (ვ. ბარნოვი, ტ. III, 103), მაშინ ელისბარის სოციალური პორტრეტი ჩვენს ხელთ იქნება. ეს არის საუკუნის დასაწყისის ლიბერალი მებატონის იდეალიზირებული სახე, რომელიც გენეტიკურად ილია ჭავჭავაძის არჩილს უკავშირდება. თუ ელისბარის „მამა მდიდარი კაცი იყო", არჩილსაც ხომ მამისაგან „გვარიანი სახლ-კარი და მამულები დარჩა". თუ ელისბარის „მამულში დახიზული ან მომუშავე ყველა მადლიერი იყო მისი", არჩილსაც და კესოსაც „სოფელი ძალიან ემადლიერებოდა. კაი ხალხიაო, ყველა ამას იძახდა, ვისაც კი დაეკითხებოდით".

ერთი სიტყვით, არჩილიცა და ელისბარიც არისტოკრატი ინტელიგენტები არიან, რომლებიც დაბეჯითებით იღვწიან საკუთარი მამულების გონიერულად მოწყობისათვის, რათა კიდევ უფრო მეტი შეძლება და ქონება მოიხვეჭონ, მაგრამ ამავე დროს, საქვეყნო ბედ-იღბალზეც არიან დაფიქრებული და „წყევლა-კრულვიან საკითხავზე" თავისებურად პასუხის გაცემასაც ცდილობენ.

ჩვენ უკვე ვნახეთ, თუ როგორ ესახება მამულის ხვალინდელი დღე არჩილს და სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ იგი მართლაც გულწრფელი მოსურნეა „ჩატეხილი ხიდის" გამთელებისა. უფრო მეტი: ხედავს კიდეც, სხვა საქმეა სწორად თუ არასწორად, გამთელების გზებს. „ბედის ვარსკვლავის" ბესიკი პირადად ახორციელებს არჩილისაგან დასახულ პროექტს „ჩატეხილი ხიდის" გამთელებისა. რაც შეეხება ელისბარს, მის წინაშე „ჩატეხილი ხიდის" პრობლემა არ დგას უშუალოდ. მას უფრო სხვა რიგის პრობლემა აწუხებს: კერძოდ, როგორ უნდა მოხერხდეს, რომ წყაროები, რომელსაც კონკრეტული ადამიანისთვის ბედნიერება

და კეთილდღეობა მოაქვს, ამავე დროს, სამშობლოს ხვალინდელი დღის გამაუმჯობესებელიც იყოს? და სერთოდ, ხელს ხომ არ უშლის ერთმანეთს ეს ორი მცნება? ამის თაობაზე, ელისბარს, დროთა განმავლობაში, გარკვეული თვალსაზრისი უმუშავდება, რაზედაც ქვემოთ იქნება საუბარი.

ელისბარი ყოველმხრივ შემკული ინტელიგენტია: „ცდილობდა განათლების დენას არ ჩამორჩენოდა, და შეუმჩნეველად არ გარიყულიყო უვიცობის ჭაობში. მეტადრე სურვილით მისდევდა თავის საყვარელ მეცნიერებას. აკი საუკეთესოდაც ჰქონდა შესწავლილ-შეთვისებული მცენარეთა ცხოვრება და მათი არსებობის კანონები. მხოლოდ კვირა-უქმეღა ჰქონდა საზოგადოებაში გასასვლელად და ნაცნობ-ნათესაებისა თუ ტოლ-ამხანაგების სანახავად. დღიური ცხოვრების ეს წესი მტკიცედა ჰქონდა დაცული. ანკი რა დაუშლიდა, ან ნირს რა შეუშლიდა? ვერც ქეიფი, ვერც ბანქო თუ სხვა დროის დამღუპველი გასართობი მას ვერ იზიდამდა, არც საზოგადოებაში უყვარდა უსაქმოდ ყიალი“ (ვ. ბარნოვი, ტ. III, გვ. 120).

ერთი სიტყვით, ელისბარი ცხოერობს ბედნიერად, თბილად და ტკბილად, მაგრამ: „იგი გრძნობდა, რომ მისი არსებობა ხორციელი, ან მშვენიერი და ძლიერი, მხოლოდ ჟამიერი იყო და უნდა დამჭკნარიყო, დაკნინებულიყო, დაშლილიყო. და ჰსურდა განეგრძო თავისი ხორციელი არსებობა, განემეორებინა იგი თავის ხატად და მსგავსად ქმნილ ახალ არსებაში, რომ მასში ენახა თავისი თავი განახლებული“.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ელისბარს ცოლის შერთვის ჟამმა უწია. მოთხრობაში საკმაოდ ვრცელი წიაღსვლებითაა გადმოცემული ის პერიპეტიები, რომელიც წინ უსწრებდა ელისბარისა და მისი გულის რჩეულის - ლიზიკოს დაქორწინებას. აქ, თქმა არ უნდა, სიყვარულის ბარნოვისეული თეორიაა საგულისხმებელი. ქალ-ვაჟის ურთიერთობა „სულთა კავშირს“ ეფუძნება და ამდენად „ღვთივ ნაკურთხია“, უმწიკვლოა და სამარადჟამო. ლიზიკო ღარიბი ინტელიგენტური ოჯახის შვილია (მამა პედაგოგი ჰყავს) და თვითონაც მასწავლებლად მსახურობს, მაგრამ მასწავლებლობა მისთვის ისეთი მძიმე იძულება კი არ არის, როგორც კაკატოსთვის „უძღებიდან“, არამედ სულის მოწოდება, რითაც ის „ბედის ვარსკვლავის“ შუქურის ენათესაება. ამდენად, ელისბარისა და ლიზიკოს კავშირი ემოციურს გარდა, ინელექტუალურიცაა, „ელისბარისათვის მეუღლის იქით აღარ არსებობს სხვა ქალი არც საქმით, არც სიტყვით, არცა თუ გულისთქმით დაფარულით. ხორციელმა მათმა ერთობამ შეტკბობილ-

შეწყობილმა განამტკიცა ერთობაცა მათი სულიერი, აკურთხა იგინი უცვალებელმა ძალმა ბუნებისა, ჰქმნა ორნი ერთხორც და ერთსულ. მათი გული თუ გონება, მისწრაფება თუ ოცნება შეთანხმდნენ, შეკავშირდნენ განუყრელად და ეს ორი ადამიანი მწყობრად გავიდა ცხოვრების ასპარეზზე, ვით არსება ერთი განუკვეთელ-განუყრელი" (ვ. ბარნოვი, ტ. III, გვ. 144).

ბედნიერია ელისბარი, მაგრამ იგი ინტელიგენტია და ვერ დაკმაყოფილდება მხოლოდ პირადი ბედნიერების ემბაზით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ტიპიური ფილისტერი შეგვრჩებოდა ხელთ. ავტორი, ეტყობა, ისედაც გრძნობს, ელისბარს ნამეტანი მოერგოო თვითკმაყოფილი მებატონის შარავანდი და საქმეს იმით ასწორებს, რომ მას საზოგადოებრივად მტკივნეულ პრობლემებზე დაფიქრებულ ინტელიგენტად წარმოგვიდგენს.

როგორც მამულის კეთილდღეობაზე, მის ხვალინდელ დღეზე ზრუნვით შეპყრობილი კაცი, ელისბარი კვალში უდგას და მისდევს თავის წინამორბედ ინტელიგენტებს, მაგრამ მათგან განსხვავებით, ელისბარის ეროვნულ-სოციალური პროგრამა ძალზე ფართოდ არის გადმოშლილი და შეძლებისდაგვარად დასაბუთებულიც.

„ჩვენს მოვალეობას შეადგენს დავიცვათ ჩვენი მიწა-წყალი, შევინარჩუნოთ ის, არ დავანებოთ იგი შემოსეულ მტერს და ბოლოს, უკანვე დავიბრუნოთ ის მამულიც, რომელიც წარუტაცნია ჩვენთვის ჩვენის გონებითი ძილისა და უძლურების დროს. უწინაც ამას ედგნენ მამულიშვილნი დარაჯად, მხოლოდ მაშინ ხმლით იცავდნენ ამ მისწრაფებას, რადგან მოსულ მტერსაც ხმალი ეჭირა ხელში, ეხლა კი მხოლოდ ხერხით შეიძლება ამაზე ზრუნვა, რადგან შემოტყუებულ მტერსაც ხერხი უჭირავს ხელში და თანდათან ჰხერხავს იმ ფესვებს, რომელზედაც დამკვიდრებულია ქართველი ხალხის კეთილდღეობა. შრომა და წინდახედულობა უნდა დავახვედროთ ამგვარ მტერს, რადგან მამულის შერჩენა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა სასარგებლო იქნება იგი მამული და პატრონს შეაძლებინებს ცხოვრებას. მიწა კი მაშინ შეიძლება ესეთი, როდესაც გონივრულად მოუვლი მასაც და მის მომცემელ საუნჯესაც. და რომ ჩვენს მიწა-წყალს შეუძლიან თავის თავიც შეინახოს და პატრონიც ასაზრდოოს, ეს დაგვიმტკიცეს უცხოელებმა, რომლებიც დაბინავდნენ ჩვენს მიწაზე და ჰხარობენ. მეც ვცდილობ დავამტკიცო ეს აზრი ჩემს მამულზე შრომით. როცა ამისთანა მემამულეები გამრავლდებიან ჩვენში და ხელი ხელს გააბამენ ზღვიდან ზღვამდე, მაშინ დაიძლევა მტერი, მაშინ განწორდება ქართველი წელში და შეუერთებს თავის რიხიან ხმას სხვა ხალხთა ძახილს. მხოლოდ ამ გზით შეიძლება შევინახოთ

მამული. აი, ეს არის ის საზოგადო აზრი, რომელიც მიუძღვის ჩემს კეძო შრომას. ჩემი შრომა პირადი მეცადინეობაა, იგი ჩემს საკუთარ კეთილდღეობას ემსახურება, გარნა საზოგადო კეთილისადმიც მიისწრაფვის. ჩემისთანა მშრომელი ისევე აუცილებელია სამშობლოს დაცვისათვის, როგორც აუცილებელნი იყვნენ ის კერძო მეომარნი, რომელნიც შეადგენდნენ ლაშქარს და რომელთა სისხლით ირწყვებოდა სამშობლო“ (ვ. ბანოვი, ტ. III, გვ. 150-151).

იოლი წარმოსადგენია, თუ როგორი ირონიული ღიმილით და შესაძლოა აღშფოთებითაც წაიკითხავდა თავის დროზე, 1913 წელს, ამ სტრიქონებს რომელიმე ორთოდოქსი სოციალ-დემოკრატი! მაგრამ ეს მწარმსი გახლავთ, მრწამსი მამულის სიყვარულის გულანთებული ინტელიგენტისა. როგორც ჩანს, ავტორშიც და მის პერსონაჟშიც ზემომოხმობილი მსჯელობა ერთგვარ უკმარობის გრძნობას ტოვებდა, ამიტომ მომდევნო გვერდებზე კვლავ დიდი ყურადღება ეთმობა იგივე საკითხებს ოღონდ უფრო გაშლილი სახით. აქ ზედმეტი არ იქნება, თუ ელისბარის პროგრამიდან რამდენიმე არსებით პუნქტს გამოვყოფთ.

1. ყველა ქართველისათვის პირველზე უპირველესი ამოცანაა დაცვა და შენახვა სამშობლოისა მოყვარულად მოსული მტრისაგან. ეს ძალზე რთული ამოცანაა, რამეთუ მტერი იარაღით ხელში არ მოდის და ვერც ჩვენ დაუხვდებით იარაღასხმული. ამიტომ მტერს უნდა დავუპირისპიროთ წინდახედულება, დაუცადებელი შრომა და მიწის გონიერულად მოვლა. აი, მხოლოდ ამით შეგვიძლია შევინახოთ მამული! ამისათვის კი, ე. ი. მიწის გონიერულად მოვლისათვის, აუცილებელია განათლებული მეურნე. და ელისბარიც პირდაპირ ამბობს: „ჩემისთანა გონიერი მეურნე ისევე საჭიროა სამშობლოსათვის, როგორც იარაღასხმული მეომარიო.“

2. ადამიანი იმიტომაცაა ადამიანი, რომ პირველ რიგში საკუთარი, პირადი ბედნიერებისათვის ზრუნავდეს, გარნა პირადი კეთილდღეობისაკენ სწრაფვა, უკუ აზრით, მამულის კეთილდღეობისათვის სწრაფვას უდრის, რადგან საბოლოო ანგარიშით, კერძო დოვლათი შემადგენელი ნაწილია საზოგადოებრივი დოვლათისა. მხოლოდ, ერთი კია: კერძო ქონება პატიოსანი შრომით უნდა იყოს მოხვეჭილი და, საბოლოოდ, კერძო მისწრაფება უნდა ეთანხმებოდეს საზოგადო საქმეს. თავისთავად, ეს გარკვეული მსხვერპლია პიროვნებისაგან საზოგადოებისადმი შეწირული, მაგრამ პიროვნება იმდენად შეგნებული უნდა იყოს, რომ მსხვერპლი თავისი ნებით გაიღოს.

3. ზემოთ აღნიშნული პროგრამა, ელისბარის აზრით, „ხალხის უმრავლესობისათვის, მასისათვის არის ჩამოსხმულ-

ჩამოყალიბებული, რადგან სწორედ მათ, „უმრავლესობას“, სჭირდებათ „გეგმა და გზის მაჩვენებელი“. ხოლო თუ გინდა, რომ უმრავლესობამ სრულიად შეიგნოს ამ პროგრამის მთელი სიკეთე, საჭიროა დაუღალავად ვიღვწოდეთ მათი განათლებისათვის, კულტურის დონის ამაღლებისათვის.

საქმეში ჩახედული მკითხველისათვის აქ ერთხელ კიდევ ცნაურდება ვ. ბარნოვის სისხლხორცეული კავშირი ილიას სოციალურ აზროვნებასთან.

თითქო ამით უნდა დამთავრებულიყო ელისბარზე საუბარი, მაგრამ მოთხრობაში საქმე სხვაგვარადაა წარმართული. მომდევნო ნაწილი, რომელიც მოთხრობის ნახევარს შეიცავს, სრულიად მოულოდნელი კუთხით დაგვანახებს მას. თუმცა, სიტყვა „მოულოდნელი“, აქ მთლად ზუსტი არაა. თავი რომ დავანებოთ სათაურს, რომელიც რაღაც იდუმალზე და სიკვდილთან წილნაყარზე მიგვანიშნებს, მოთხრობის შესავალში ხაზგასმულადაა აღწერილი ტანაშოლტილი მაგრამ რაღაც მიზეზით „დაჟღლილი“ ლერწამი, თავს რომ დასტრიალებს აჩრდილი სიკვდილისა. გადატეხილი და სიკვდილისაკენ მიდრეკილი მშვენიერი ლერწმის სიმბოლო ლაიტმოტივად გასდევს მთელ მოთხრობას, მაგრამ ეს სიმბოლო განსაკუთრებულ აზრს მხოლოდ მას მერე იძენს, რაც ელისბარის წარმოდგენაში საკუთარი მეუღლე - ლიზიკო და ლერწამი ერთმანეთს გაუიგივდება. უმზერს ელისბარი ცოლს, სტკბება მისი სიმშვენიერით და რატომღაც, ქვეცნობიერად, დაჟღლილი ლერწამი აგონდება. მკითხველიც ძალაუნებურად ემზადება რაღაც დრამატულის აღსაქმელად და მისი გუმანი არც ტყუვდება: მოთხრობის მეორე ნაწილში ლიზიკო გარდაიცვალა.

ამთავითვე უნდა ითქვას, ლიზიკოს სიკვდილი სიუჟეტური აუცილებლობით არ არის გამოწვეული. მისი დაღუპვა შემთხვევითმა გაცივებამ მოიყოლა და ამით ავტორს ალბათ იმის თქმა სურდა, რომ ადამიანის სიცოცხლე თუ სიკვდილი, სრულიად გაუგებარ და აუხსნელ შემთხვევითობაზეა დამოკიდებული. ასე თუ ისე, მეუღლის გარდაცვალება ელისბარისათვის საბედისწერო შეიქნა, მან ვერ გაუძლო მოულოდნელად დატეხილ უბედურებას და თვითონაც ზედ გადაეგო, მაგრამ სანამ ეს მოხდებოდეს, ელისბარი უკიდურესად დაძაბული ინტელექტუალური ცხოვრებით ცხოვრობს. კითხვები, რომელიც მანამდე ცნობიერების კუნჭულში იყვნენ მიჩქმალულნი, ახლა წამოყელყელავდნენ და ერთიან მოიცვეს მისი არსება. რა არის სიკვდილი? როგორ უნდა აიხსნას მისი არსებობა? ნუთუ სიკვდილის შემდეგ მთლიანად ჰქრება და მტვრად იქცევა ადამიანი? ან იქნებ წლებისა და საუკუნეების შემდეგ,

კელავ იღორძინებს სული და ამა თუ იმ სახით განსხეულებული მოევლინება ქვეყანას? აი, არასრული ჩამოთვლა კითხვებისა, რომელთა პასუხებსაც გაშმაგებული წყურვილით დაეძებს ელისბარი. და ეს ძიება მით უფრო მტკივნეულია, რომ მას ინტელიგენტი, გონებაგახსნილი კაცი აწარმოებს. ყოველივე ამას ერთგვარ ტონს აძლევს ელისბარისადმი ლიზიკოს მიერ სიკვდილის წინ ნათქვამი სიტყვები:

„ ვაი თუ საიქიოს ველარ გიპოვნო, ან ველარ გიცნო? ვაითუ ეს ბინდი თან გამყვეს, უფრო ხშირმა ბინდმა დამბუროს იქ და ველარ გაგარჩიო, როცა შემდეგში, ბევრი, ძალიან ბევრი წლების შემდეგ, შენც მოხვალ იმ ქვეყანაში. თუ ველარ გნახავ, სამოთხეშიც ხომ ბნელი იქნება ჩემთვის, მაშინ გაუვალი წყვდიადი მომიცავს მე და დამფარავს ბნელი. საუკუნოდ მარტო დავრჩები მაშინ და დაუსრულებელი სევდა დამაწვება გულზე, როგორც რამ ლოდი მძიმე, უზარმაზარი“.

ადვილი წარმოსადგენია სულიერი განწყობილება, რაც დაეუფლებოდა ელისბარს ამ სიტყვების შემდეგ.

ამ მძიმე სულიერი დეპრესიის ჟამს, ელისბარს ერთადერთ მეგობრად და სევდის მენახევრედ ლიზიკოს მამა მოევლინა. იგი მასწავლებელია, „მიზნად ახალი თაობის აღზრდა დაუსახავს“, ამაზე დაემყარებინა მას პირადი სიკეთე თუ სარგებლობა და თანაც ხალხისა და მამულის კეთილდღეობა, სწორედ ისე, როგორც ელისბარი ამყარებდა თავის კეთილდღეობას მამულის მოვლა-გაუმჯობესებაზე და ამასვე სთვლიდა სასარგებლო საქმედ ერისა და მამულისათვის“.

თუ ელისბარის საუბარი მეუღლესთან ავტორს მისი სოციალური შეხედულებების გადმოშლისათვის ესაჭიროებოდა, მეუღლის სიკვდილი, როგორც ჩანს, იმიტომ დასჭირდა, რომ ელისბარისავე ფილოსოფიური მსოფლმხედველობის ზოგიერთი ასპექტი გაეცნო ჩვენთვის.

და აი, სიძე და სიმამრი საუბრობენ:

„მათი ბაასი შეეხებოდა უმთავრესად საიქიოს ცხოვრებას და პიროვნულ უკვდავებას, რადგან, მიზეზი მათის კაეშნისა იქ იყო, იმ ქვეყნად და იქვე იზიდავდა მათ ფიქრს თუ სურვილს. ეს მათთვის ვრცელი ასპარეზი იყო მსჯელობისა, რადან ისეთ კითხვებს ეხებოდნენ აქ, რომელთა შესახებ შეთანხმება, ერთს აზრზე თუ დასკვნაზე დამყარება, შეუძლებელი იყო: ორივენი უკვე დასცდებოდნენ რჯულისმდებელთაგან მოწოდებულ მცნებებს, მეცნიერებას კი ვერ შეემუშავებინა ამ კითხვათა შესახებ დასკვნა შეურყეველი“.

უნდა ითქვას, ელისბარი ერთ-ერთი ყველაზე უფრო ღრმად ინტელექტუალური ინტელიგენტია ქართულ ლიტერატურაში: მართალია, იგი ვერ არის დახატული საკმარისი ემოციურობითა და პლასტიკურობით, რაც საკმაოდ ანელებს მისი, როგორც მხატვრული სახის, ზემოქმედების ძალას, მაგრამ აქ ბარემ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ვ. ბარნოვი საერთოდ არ გამოირჩევა პერსონაჟთა პლასტიკური ხატვის განსაკუთრებული უნარით, რასაც თავის დროზე, მართებულად შენიშნაედა ს. ჩიქოვანი: მისი გმირები მონუმენტურ ფრესკებს უფრო მოგვაგონებენო. სამაგიეროდ, ჩვენ გვხიბლავს ელისბარის, თუ შეიძლება ასე ითქვას, აზრის პლასტიკა, დაუოკებელი სწრაფვა სოციალური თუ ფილოსოფიური პრობლემების გაცნობიერებისა და გაშინაგანებისაკენ.

მოთხრობა პესიმისტური ინტონაციითაა დაწერილი:

ადამიანი წვალობს, ჯახირობს, ბუდეს იშენებს, სარჩოს ეძიებს, ათასგვარ სოციალურ, ფილოსოფიურ თუ პოლიტიკურ პრობლემებს ეპოტინება, მაგრამ ეს ყველაფერი ამაოა და იოლად განქარებადი, რამეთუ გამუდმებით თავს დაგეტრიალებს გაუგებარი, მიუწვდომელი, აუხსნელი და საზარელი აჩრდილი სიკვდილისა! აი, ამგვარად შეიძლება წაკითხულ იქნას მოთხრობის მთავარი აზრი, რაც, თავისთავად ცხადია, მძიმე, დამაფიქვრელ განწყობილებას უქმნის მკითხველს.

მოთხრობა გაჭიანურებულია, რჩება შთაბეჭდილება, რომ თავისუფლად შეიძლებოდა მისი შეკუმშვა. როგორც ითქვა, ავტორს მიზნად დაუსახავს ინტელიგენტი ელისბარის სოციალურ-ფილოსოფიური შეხედულებათა გადმოშლა და ამდენად, ნაწარმოები საკმაოდ ატარებს დეკლარატიულობის დამღას, მაგრამ მასში მაინც საკმაოდაა მიმობნეული ბარნოვის კალმის დამამშვენებელი ადგილები. კარგია ნამზნევი ლერწმის სიმბოლო, რომელიც მთელს მოთხრობას ლაიტმოტივად გასდევს, კარგია სოფლის პეიზაჟები და ლიტაო ფიჭვის აღწერა, პირდაპირ შემზარავი სიძლიერითაა დახატული ელისბარის მეუღლის ლიზიკოს სიკვდილის სცენა და სხვა, მაგრამ საერთოდ, ჩანს, რომ მოთხრობა ავტორის მძიმე სულიერ განწყობილებათა შედეგია და ეს ეტყობა კიდევაც მის აზრობრივ თუ მხატვრულ ასპექტებს. ცხადია, არ არის გამორიცხული, რომ ავტორისეული განწყობილებანი იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების (იგულისხმება ჩვენი საუკუნის პირველი თხუთმეტწლეული) ერთგვარი ანარეკლიც იყოს, რაღა თქმა უნდა, არც ბიოგრაფიული მომენტებია უარსაყოფი.

შემდეგი ნაწარმოები, სადაც ქართველ ინტელიგენტს კვლავ ეთმობა ას.პარეზი, გახლავთ „სევდის საგუბარი“. რომანი, როგორც თხზულებათა აკადემიური გამოცემა გვაუწყებს, 1916 წელს დაუწერია ვ. ბარნოვს.

ეს ვრცელი რომანი (დაახლოებით 10 თაბახი) ერთი პერსონაჟის ირგვლივ ტრიალებს. ავტორს მიზნად დაუსახავს) რაც შეიძლება საფუძვლიანად გაგვაცნოს იგი, ღრმად ჩაგვახედოს მისი სულის ხვეულებში.

მოდელი აქაც სტერეოტიპულად ნაცნობია:

ახალგაზრდა კაცს ფართო იურიდიული განათლება მიუღია რუსეთში, იქვე სახელმწიფო სამსახურში შესულა და კარიერის შექმნის კარგი შესაძლებლობები ჰქონია, მაგრამ პატრიოტულ გრძნობებს გაუმარჯვნია და საქართველოში დაბრუნებულა. აქ იგი განაგრძობს ჩინოვნიკის სამსახურს და საქმეც მშვენივრად მიუდის (სოციალურად მაღალ წრეს ეკუთვნის). მაგრამ ელისბარისა არ იყოს, ცოლის შერთვის დრო უწევს. იგი დიდხანს ეძიებს თავის ნანდაურს, ძიების გზაზე სოფლის მასწავლებელს, საბედოს გადაეყრება, მაგრამ მალევე მიატოვებს მას, ვითარცა „სულთა კავშირის“ არათანაზიარს და, გარკვეული სირთულეების შემდეგ, გულნაზს შეირთავს. გულნაზს კარგა დიდი დრო დასჭირდება, ვიდრე მიხვდებოდეს, რომ მეუღლესთან „ღვთივკურთხეული“ კავშირით არის „შეთხზული“, მაგრამ ბოლოს მაინც მიხვედება და მოთმინებით მომლოდინე ქმარს გააბედნიერებს.

ასეთია რომანის უზოგადესი სქემა და როგორც ყველა სქემა, ესეც გვარიანად სცოდავს გამარტივების ცოდვით, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, თუ რა შინაარსი „ჩაასხა“ მწერალმა ამ „ჭურჭელში“, რითი „გაავსო“ იგი. ბოლოს და ბოლოს, ყველაზე უფრო შაბლონური სქემის მიხედვითაც შეიძლება შედევრი დაიწეროს! სამწუხაროდ, ვ. ბარნოვს, ამჯერად შედევრი არ გამოუვიდა. „სევდის საგუბარი“, არც მეტი, არც ნაკლები, სუსტი რომანია, საერთოდ, 1915-1918 წლებში ვ. ბარნოვი უჩვეულო შემოქმედებით ნაყოფიერებას იჩენს მხატვრული თხზულებების რაოდენობის მიხედვით, რამაც, უნდა ვიფიქროთ, ერთგვარი დაღი დაამჩნია ამ რომანის ხარისხს. თვით ისეთ გამორჩეულ ნიმუშსაც კი ვ. ბარნოვის რომანისტიკისა, როგორიც არის „ტრფობა წამებული“, აშკარად ატყვია ბოლომდე შეუმუშავებლობის, ნაჩქარევობის კვალი. ეს მით უმეტეს ითქმის „სევდის საგუბარზე“. სწორედ ამიტომ, მთლად ზუსტად არ მეჩვენება პროფ. ვ. ცისკარიძისეული ნააზრევი ამ რომანის თაობაზე. იგი, მსჯელობს

რა გმირის იდეალზე ვ. ბარნოვის შემოქმედებაში, მართებულად ასისტემებს მის შეხედულებებს ამ საკითხზე, მაგრამ პრინციპულად მიუღებელია პროფ. ვ. ცისკარიძის თვალსაზრისი, თითქო „სევდის საგუბარის“ მთავარი პერსონაჟი - ოთარი, გმირთა ამ კატეგორიას ეკუთვნოდეს.

პროფ. ვ. ცისკარიძე წერს:

„გმირის ცნების ბარნოვისეული გაგება მეტად საინტერესო მომენტია მისი საერთო ფილოსოფიური შეხედულებებისა.

გმირს წარმოშობს ერი თავისი არსებობის გარკვეულ პერიოდში. ეს გმირი მოწოდებულია განახორციელოს ერის საუკუნოვანი მისწრაფება. მაგრამ ამ გმირის დიად მოქმედებას წინ უსწრებს თაობათა სისტემატური ბრძოლა, ნიადაგის შემზადება გმირის თავისუფალი, ფართო მოქმედებისათვის. აქ, ამ წინასწარ, ასე ვთქვათ, შავ სამუშაოში მონაწილეობას ღებულობს ყველა, ვისაც შესწევს ძალა და უნარი, ვისაც სწორედ ესმის თავისი ადამიანური დანიშნულება.

„რადგან აწმყო არის დაუნდობელი ბრძოლა ნათელსა და ბნელს შორის და რადგან კაცის დანიშნულება არის ამ სასტიკ ბრძოლაში დაეხმაროს ღმერთს ნათელს, ამისათვის ადამიანი ვალდებულია განამტკიცოს ამ ბრძოლისათვის თავისი ნიჭი, სულიერი თუ ხორციელი თავის უნარი: მებრძოლი სულიერადაც ძლიერი უნდა იყოს, ხორციელადაც“. (ვ. ბარნოვის სიტყვებია).

„აეტორის ეს შეხედულება განსაკუთრებით მკვეთრად იჩენს თავს რომანში „სევდის საგუბარი“, - განაგრძობს პროფ. ვ. ცისკარიძე,

„ოთარის სახით ნაწარმოებში წარმოდგენილია შეგნებული, განათლებული პიროვნება, მას საკუთარი გაგებული აქვს თავისი ადამიანური დანიშნულება, რაც მდგომარეობს ერის სამსახურში. ოთარის პოზიცია ქართველ სამოციანელთა პოზიციას უახლოვდება იმ თვალსაზრისით, რომ იგი ნაციონალური თავისუფლებისათვის ბრძოლას თვლის დღევანდელი დღის წესრიგის პირველ საკითხად.

„ოთარიო გეუბნება მწერალი, მაშინათვე ჰსახავდა თავის თავს ერთ იმ გმირთაგან, რომელთ ვალად ედვათ მძლე მარჯვენით ჩაწვდომოდნენ უფსკრულში მდგარ მძიმე აკვანს, რომ აეხსნათ არტახები, ზე ამოეყვანათ ჯადოსანთაგან მიძინებული ბედი ქართველისა, გაელვიძებინათ იგი, აღეზარდათ, აელორძინებინათ, შთაენერგათ მისთვის უნარი კეთილმოქმედებისა და წარემართათ მსვლელობა მისი საბედნიეროდ თვისისა ქვეყნისა“.

ოთარი შეგნებულად უქცევს გვერდს სახელმწიფო სამსახურს, რადგან სწამს, რომ ეს სახელმწიფო „ხალხის სულიერ თუ ნივთიერ კეთილდღეობას არ ემსახურება“.

ამ შემთხვევაში ბარნოვმა კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მხოლოდ ის საქმიანობაა სასარგებლო, რომელიც საზოგადოების კეთილდღეობას ემსახურება" (ვ. ცისკარიძე, უახლესი ქართ. ლიტ. ისტორიის საკითხები, გვ. 154).

ზემოთმოყვანილი მსჯელობის არსებითი უზუსტობა ის გახლავთ, რომ ოთარი ვერავითარ შემთხვევაში ვერ ჩაითვლება ბარნოვისეული გმირის იდეალის განსახიერებად! ჩემი ღრმა რწმენით, ვ. ბარნოვმა ოთარის სახით დაგვიხატა ფილისტერული მიდრეკილების მქონე, მერყევი ინტელიგენტი, რომელსაც ხელეწიფება ბრტყელ-ბრტყელი ფრაზებით საუბარი მაღალ მატერიებზე, მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგება, მხოლოდ პირადი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს. საერთოდაც, ოთარის მოღვაწეობის ქვაკუთხედი საპირადო მისწრაფებებია მხოლოდ. ხოლო თუ უფრო დავაკონკრეტებთ, აღმოჩნდება, რომ ოთარის ცხოვრებისა და სიცოცხლის მიზნად ცოლის შერთვა და ოჯახის შექმნა გაუხდია: „სამსახური ართმევდა მას დროს, ხოლო უმთავრესი ფიქრი თუ მისწრაფება ნთქავდა მთელს მის დანაშთენ წამებს თუ სულიერ ძალებს. იგი საკითხი პირადი მისი საკითხი იყო, კერძო, მაგრამ საფუძველი მთელი მისი ცხოვრებისა და არსებობისა. გადაწყვეტილი ჰქონდა მოჰკიდებოდა ოჯახს. ძვირფასი სასძლოები მოფენილიყვნენ მის გარშემო, როგორც რომ ყვავილნი ფერად-ფერადი. ხედავდა ამას ვაჟკაცი. ისა სტანჯავდა, რომ ამ კეკლუცთა შორის ვერ აერჩიენა ვერცერთი." (ვ. ბარნოვი, ტ. IV, გვ. 24).

როგორ მოგწონთ? მშვენიერი პორტრეტია გმირისა! ამ „გმირს" ვერ აერჩიენა კეკლუცებში ვერცერთი, მაგრამ თუ რომელიმეს „ძალიან დიდი მზითევი ექნებოდა", მაშინ ის, რაღა თქმა უნდა, ხელად აირჩევდა რომელიმე მათგანს. როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია! მაგრამ ჩავყვეთ ქვემოთ, აი, როგორ ახასიათებს თავის „გმირს" მწერალი:

„ეს ორი მისწრაფება (ე. ი. ცოლის სარფიანად შერთვის დაუოკებელი წყურვილი და სამსახურებრივ ვალდებულებათა სამაგალითო შესრულება თ. მ.). ავსებდა მის პიროვნებას და თითქმის დროს აღარ უტოვებდა სხვა კარგ საქმეთათვის მიექცია ყურადღება. იმ საზოგადო საქმეებისათვის, რომელნიც ასჩენოდნენ ქართველებს ყველგან და ყოველ დარგში, როგორც ხალხს შეეიწროვებულს, ბუნებრივ სადინელიდან ცხოვრებისა გადავარდნილს, მსელელობა აბნეულს, უგზო-უკვლოდ მავალს".

აკი მისი ამხანაგები ამბობენ კიდეც:

„ჩვენი ოთარი ყველაფრით კარგი ადამიანია. ჭკვიანი,

გამრჯელი, ხათრიანი, თავაზიანი, მაგრამ ძალიან ერთსახე ცხოვრებას შესჩვევია, ჩათხრობილს. სულ სამსახურში, ან თაიცის ქერქში შემწყვდეული ყოფნა?! გონების თვალი შიგნითა აქვს მიქცეული. არ იზიდავს მას არც საზოგადოება, არც სახალხო საქმეები.

მართალს ამბობ! ეს ქართული საზოგადო საქმეები ხომ საეალდებულოა ყველა ჩვენთვის, მეტადრე განათლებულთათვის, და აბა თუ სადმე დაგვეხმაროს, ან რასმე ხელი მოჰკიდოს".

მართალია, რაღაცას კი ფართი-ფურთობს ოთარი, სიტუაციას აფასებს და ამ სიტუაციაში კონკრეტულ გეგმებსაც ჰსახავს ეროვნული მოღვაწეობისათვის, მაგრამ ავტორი იქვე დასძენს, რომ ყოველივე ეს ოთარისავე გონების ფარგლებს არ სცილდება, რაც თვით ოთარმაც მშვენიერად იცის:

„გარნა უკეირდა ეაჟკაცს, რომ გული აღფრთოვანებით არ ასდევდა მის ფიქრთა სრბოლას, არც მის ნებისყოფას ემჩნეოდა ძლიერება მედგრად მიმდინარე. ზღვის კაბადონზედ მოცეკვაეე ტალღებით ძალთა სიმრავლით აღსავსე. გრძნობათა არეში და ნებისყოფის მიდამოებში ისევ სინაკლულე მოსჩანდა ფერმიხდილი, უილაჯო, თითქო უმადური".

და იცით, რატომ?

მხოლოდ იმიტომ, რომ ოთარს „სწყუროდა პირადი ტრფობა აღტაცებული და ტკბილად მწველი". ეგ არის და ეგ!

რა დასკვნები შეიძლება გამოვიტანოთ?

ოთარი ერთგვარი სიახლით გამოირჩევა იმ ინტელიგენტებს შორის, რომელიც ვასილ ბარნოვმა დახატა, მაგრამ ეს სიახლე მის სასარგებლოდ სულაც არ ლაპარაკობს. თუ წინამორბედ ინტელიგენტებს მეტ-ნაკლებად მიზანსწრაფულობა მაინც ახასიათებთ თვისთა იდეალთა განხორციელების გზაზე, ოთარზე ამასაც ვერ ვიტყვით. თითქო შესაძლებელია რაღაც პარალელების დაძებნა ოთარსა და სოსანას შორის „მეჩვენადან", მაგრამ ოთარი სოსანასთან შედარებით, აშკარად დაღმავალი სახეა. თუ სოსანას დაღუპვა საპირადო მიზეზების გარდა, სოციალურად მოუწყობელმა საზოგადოებრივმა ყოფამაც განაპირობა, და ამდენად „მეჩვენა" საკმაო დოზით შეიცავდა არსებული ყოფისადმი პროტესტის ელემენტებს, „სევდის საგუბარი" აბსოლუტურად განძარცულია ამ პროტესტისაგან. საერთოდ, "სევდის საგუბარი" ბარნოვის ერთ-ერთ ყველაზე ნაკლებ სოციალურ ნაწარმოებად უნდა მივიჩნიოთ. მაგრამ აქ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ვ. ბარნოვი პრინციპულად დგას ამ თვალსაზრისზე.საკუთარი სამართლიანად მიუთითებს ვ. ცისკარიძე უკვე ხსენებულ წიგნში:„ რამდენადაც სოციალური და კლასობრივი ძვრები ბარნოვის თვალსაზრისით არაა გადამ-

ჭრელი მოელენები, ის ნაწარმოებში მათ პრობლემატურ ღირებულებას არ ანიჭებს“ (ვ. ცისკარიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 228). ამიტომ, სოციალურ წინააღმდეგობათა ახსნა ვ. ბარნოვთან ზოგადად კეთილისა და ბოროტის ბრძოლაში პოულობს გამოხატულებას.

ახლა, თუ კვლავ ოთარს მივუბრუნდებით, აღმოჩნდება, რომ იგი სულაც არ არის „რაინდი ნათელთაგან წარმოშობილი“, მაგრამ ვ. ბარნოვი ბოლომდე მაინც ვერ იმეტებს თავის გმირს და საერთოდაც, გაორებული დამოკიდებულება აქვს მასთან. ცალკერძ გვარწმუნებს, ოთარი განათლებული, ღრმად ერუდირებული ინტელიგენტიაო, ქვეყნის ავ-კარგზე გული შესტკივაო, ცალკერძ კი მის უნებისყოფობას, უნიათობასა და მერყეობას გვიჩვენებს, მაგრამ მაინც არ კიცხავს და, იმედს იტოვებს, თუ საპირადო საქმეები რიგიანად წაუვიდა, ეინძლო საზოგადოებისთვისაც არ აღმოჩნდესო ზედმეტი ბარგი.

ასეთია ინტელიგენტი ოთარი რომანიდან „სევდის საგუბარი“, რაც უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ იგი გმირი კი არა, ანტიგმირია ამ ტერმინის პირდაპირი მნიშვნელობით. ეს, კი, ქართული ლიტმცოდნეობის თვალსაზრისით, საინტერესო სიახლე გახლავთ.

1916 წლის შემდეგ, ვიდრე 1923 წლამდე, როცა ბარნოვმა „არქეოლოგიური ნაშთი“ დასტამბა, რუსეთის იმპერიამ გრანდიოზული მნიშვნელობის სოციალური თუ პოლიტიკური ცვლილებები განიცადა: თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციები, მრისხანე სამოქალაქო ომი, ხოლო საქართველოში მენშევიკური ხელისუფლების შეცვლა ბოლშევიკური დიქტატურით და სრულიად ახალი ხანის დაწყება ჩვენი ერის ცხოვრებაში.

ვ. ბარნოვის შემოქმედებაში ჩვენ ამაოდ დაეუწყებთ ძიებას ამ კოლოსალური მოვლენების ისტორიულ ასახვას. კაცმა რომ თქვას, ეს ასეც იყო მოსალოდნელი! უკვე საკმარისად აღინიშნა იმის თაობაზედ, რომ ვ. ბარნოვი არ ყოფილა მაინცდამაინც გამახვილებული სოციალური ალღოს მწერალი, რასაც ჰქონდა კიდეც თავისი ფილოსოფიური გამართლება. გარდა ამისა, ნუ მოეთხოვთ ვ. ბარნოვს იმას, რაც მასზე გაცილებით უფრო რადიკალურად მოაზროვნე მწერლებმაც ვერ გააკეთეს. როგორც ჩანს, აუცილებელი იყო გარკვეული დრო, ერთგვარი დისტანცია, რათა ყოველივე მომხდარს მხატვრული განსხეულება ეპოვნა. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, ვ. ბარნოვი ცხოვრებისაგან

განმდგარ, გულგრილ მოყურიადედ მივიჩნიოთ.

არქეოლოგი მეცნიერის, პაველეს სახე მოთხრობიდან „არქეოლოგიური ნაშთი“ გამორჩეულია ყველა იმ ინტელიგენტებისაგან, რომლებიც მანამდე დაუხატავს ვასილ ბარნოვს.

ვინ არის პაველე?

მოხუცი სწავლული, განთქმული მეცნიერი, ფანატიკურად მოყვარული ისტორიისა, რომლის კვლევისა და შესწავლისათვის მას ყველაფერი შეუწირავს სახსრებიცა და ჯანღონეც. ასეთ რუდუნებაში გაუვლია ცხოვრებას და ახლა, როცა მოწეულა „ჟამი რთველობისა“, პაველე სინანულით ხედავს, რომ სრულიად მარტოდმარტოა, უშვილძიროდ და უმემკვიდრეოდ ვითარცა ხე ფუტურო. ერთ დროს კი, ახალგაზრდობაში, „რა ძლიერი ვაჟკაცი იყო! ორი არ სჯობდა ამხანაგებში. ქუდი სრულებით არ უნდოდა ჯალჯიევით თმის პატრონს. გრძლად დაყენებული ფაფარი მხრებამდინ სცემდა. გამბედაობის ნიშანიც იყო ეს, საბრძოლველად მთავრობის გამოწვევისა: არ მოსწონდათ უფლების მექონთ გრძელთმიანი მზეჭაბუკები და თმაშეკრეჭილი ქალიშვილები, მხარდამხარ რომ მისდევდნენ ვაჟებს ბნელთან ბრძოლაში. პავლე...

სულითაც უტეხი, იყო ხორცით ძლიერი, თავის მიზანს ჯიუტად სდევდა. იტანდა შრომას, გაჭირვება არრად მიაჩნდა. რამდენჯერ ჩასვეს. ციხის საკანი თავის ოდად ეჩვენებოდა. დიდ იმედებს იძლეოდა. მომავლის თაიგულად ისახებოდა“ (ვ. ბარნოვი, ტ. VII, გვ. 42). მაგრამ მერმე ისე გაუტაცნია ისტორიასა და არქეოლოგიას, რომ გულის სწორი, მელანო, უარუყვია, რადგან ვეღარ მოუცლია სიყვარულისათვის. და დარჩენილა ეულად, არქეოლოგიური ნაშთების ამარა.

ცხოვრებამ ისე მოიტანა, რომ პაველე და ოდესღაც მისი გულის ნანდაური მელანია, მრავალი წლის მერმე, კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. მელანია ახლა მელანიაყოფილი მონაზონი მავრაა. ქალთან საუბარში პაველე ცხადად იგრძნობს, რომ შეცდომით გაუტარებია ყველაზე ძვირფასი რამ - სიცოცხლე და მოპოვებულ არქეოლოგიურ ნაშთზე, რომელსაც მანამდე აღტაცებით შეჰ ფოფინებდა, მკვახეთ იტყვის: „გადააგდეთ“! ამით პაველეს თითქოს უნდა წარსულის შეცდომები ჩამოიბერტყოს, მაგრამ გვიანღაა: იგი ხელმოცარული ადამიანია და ავტორიც სრულიად არაორაზროვნად გვეუბნება, წარსულით ასე ცალმხრივი გატაცება ზიანის მეტს არაფერს მოუტანსო ადამიანს. ეს განსაკუთრებით ითქმის გონიერ, განათლებულ, ინტელიგენტ ადამიანზე.

„არქეოლოგიური ნაშთი“ პირველი მოთხრობაა, რომელიც

მხცოვანმა მწერალმა საბჭოთა რეჟიმის დროს შექმნა იმ ციკლიდან, სადაც ინტელიგენტი პერსონაჟები მოქმედებენ. მეცნიერ პავლეს სახით, ე. ბარნოვმა მოიარებით თქვა: თუ არ გვინდა, რომ მისი ბედის თანაზიარნი აღმოჩნდეთ, უნდა „მოვიკლათ“ წარსულ დროებაზე დარდი, „ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავსო.“

ესაა ერთი პლანი, რომელიც იკითხება მოთხრობაში. არის მეორეც, საცნაურს რომ ჰყოფს „არქეოლოიური ნაშთის“ შინაგან კავშირს ბარნოვის ადრეულ მოთხრობასთან „ემმასთან“.

„ემმაში“ როგორც გვახსოვს, მწერალმა გვაჩვენა ჭიდილი პერსონაჟის, ილიკოს, პირადულ და საზოგადოებრივ მისწრაფებებს შორის. ბევრი ყოყმანის შემდეგ, ილიკო საზოგადოებრივ მისწრაფებებს მიეცემა მთლიანად, უმსხვერპლებს მას პირადულ გულისთქმას და დათმობს სიყვარულს. მოთხრობა აქ წყდება. „არქეოლოგიური ნაშთის“ პავლე თითქო აგრძელებს ილიკოს ხაზს, მხოლოდ პაულე, ილიკოსაგან განსხვავებით, მოხუცია. მასაც, მსგავსად ილიკოსი, ახალგაზრდობის ჟამს საპირადო მისწრაფებები დაუთრგუნავს საზოგადოებრივის სასარგებლოდ, მაგრამ ახლა, როცა წელთამრაელობა დააწვა ბეჭებზე და უშვილძირო, მარტოსული უნდა გადაეგოს, მიხვდება, რომ სწორად არ მოქცეულა. როგორც ჩანს, ადამიანი მაშინ კი არ იქცევა ღირსეულად, როცა პირადულს თრგუნავს საზოგადოებრივის სასარგებლოდ, არამედ მაშინ, როცა საზოგადოებრიესა და პირადულს ჰარმონიულად უხამებს ერთმანეთს. ეს პრობლემა ვასილ ბარნოვის შემოქმედების ერთ-ერთი ორგანული პრობლემა გახლავთ. საერთოდ, ჰარმონიულ ადამიანად, განსაკუთრებით კი ჰარმონიულ ინტელიგენტად ბარნოვის მიხედვით, ის ვერ ჩაითვლება, ვინც პირადულ და საზოგადოებრივ მისწრაფებებს განუყოფელ მთლიანობად ვერ (თუ არ) შეუნივთებს ერთმანეთს. სადაც მთლიანობა ირღვევა, ვლებულობთ ისეთ მერყევ ინტელიგენტებს, როგორებიც არიან სოსანა „მეჩვენადან“, ოთარი „სვედის საგუბარიდან“, პაულე „არქეოლოგიური ნაშთიდან“. როცა პირადული იმარჯვებს საზოგადოებრიეზე, მაშინ საქმე გვაქვს ისეთ მტაცებლებთან, როგორიც არიან „პრაფესორისა“ და „უძღების“ ექვთიმე უნდობელი და კაკატო. მეტ-ნაკლებად „იდეალურ“ ვარიანტს ვხედავთ „ბედის ვარსკვლავსა“ და „აჩრდილში სიკვდილისა“, მაგრამ, როგორც უკვე დავრწმუნდით, ბესიკიცა და ელისბარიც ავტორისეული სოციალური უტოპიის ნაყოფნი უფრო არიან, ვიდრე ცოცხალი სინამდვილისა. ეგეც არ იყოს, რაღა ფასი აქვს ჰ არმონიულ, ან არაჰარმონიულ პიროვნებას, თუკი განურჩეველად გვიდარაჯებს გაუგებარი და აუხსნელი აჩრდილი სიკვდილისა? აქედან ერთი ნაბიჯიღაა დარჩენილი გლობალურ პესიმიზმამდე

და უნდა ითქვას, რომ ვ. ბარნოვი გამუდმებულად ირყევა ამ ბეწვის ხიდზე...

„წოდებული" 1926 წელს დაუმთავრებია ვასილ ბარნოვს. ამ დროს იგი 70 წლის ბერიკაცი იყო, მაგრამ ნაწარმოებს ოდნავადაც არ ეტყობა მხცოვანის დაქანცულობა. პირიქით, მოთხრობა ჭაბუკი შემოქმედის აქტიურობითა და ენებით არის შესრულებული. აქ თითქო ერთმანეთს შეერწყა უშრეტი შემოქმედებითი აზრი და გაბრძნობილი ოსტატობა და სწორედ ამიტომ, „წოდებული" ობოლი მარგალიტივით ელვარებს ვ. ბარნოვის მთელ შემოქმედებაში, გამოირჩევა იდეის მკაფიობითა და ფორმის სრულყოფით. ეს არც უნდა გაგვიკვირდეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ მწერალს მოთხრობის ჩანაფიქრი მთელი 16 წელიწადი უტარებია. ამის თაობაზე საინტერესოდ მოგვითხრობს პროფ. ვ. ცისკარიძე თავის წიგნში და ამიტომ სიტყვას აღარ გავაგრძელებ (ვ. ცისკარიძე, უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხები, გვ. 319. იხ. აგრეთვე: ო. ჩხეიძე, „რომანი და ისტორია" ყველაზე გამორჩეული ნაშრომი ვ. ბარნოვის შემოქმედებაზე).

როცა ნაწარმოებს საბოლოოდ დასრულებული სახე მიუღია, ავტორს ეპიგრაფად სახარებიდან ამოღებული ფრაზა წაუმძღვარებია: „მრავალ არიან წოდებული და მცირედნი რჩეულ". ამ ეპიგრაფს, ცხადია, თავისი გამართლება აქვს, მაგრამ ამაზე ქვემოთ. აქ კი უნდა ითქვას: როგორც ჩანს, ბარნოვისათვის ინტელიგენციის თემას სულაც არ ჰქონია შემთხვევითი ხასიათი და მათი ჯეროვანი მხატვრული ასახვისათვის დაჟინებით რუდუნებდა მწერალი შემოქმედების დასაწყისიდან-დასასრულამდე, „ემმადან" „წოდებულამდე".

ჭაბუკი ზეგარდმო ნიჭით ცხებული დაიბადა. ჯერ კიდევ სრულიად ბალღი იყო და სოფლად ცხოვრობდა, რომ იგრძნო: „არს ენა რამ საიდუმლო, უასაკოთ და უსულოთ შორის". შეენივთა ბუნებას. თანდათან მწიფდებოდა მასში შემოქმედი. გადმოეიდა ქალაქში, განათლება მიიღო. მომხიბლავი იყო გულნათელი და ხელმართალი ჭაბუკის პირველი ლიტერატურული ცდები. საზოგადოებამ მოუწონა, წაახალისა ახალბედა ავტორი. დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, თუკი შეძლებდა და გვერდს აუვლიდა ცდუნებებს ამქვეყნიურს. ცდუნებები კი მეტად ძლიერი იყო. ჩასაფრებული სატანა ალერსითა და ლიქნით იწვევდა თავისკენ, არ ასვენებდა, ნებისყოფას უსინჯავდა და უმოწმებდა, ჩანს, ეგულებოდა რაღაც სათავისო ჭაბუკის სულში.

არ მოტყუებულა!

ჭაბუკი აიყოლა ნივთიერი უზრუნველყოფისათვის ფიქრმა და სწორედ აქედან დაიწყო აღსასრული ზრახვათა მაღალთა, აღსასრული ღირსეულობისა და სათავე პატივმოყვარეობისა, ჭაბუკი ქვეცნობიერად გრძნობდა, რომ მოლიპულ გზაზე შედგა ფეხი და თაეს ინუგეშებდა - ნივთიერი უზრუნველყოფა ხომ მისთვის მინდა, რომ დრო მეტი მომეცეს, დაეეხსნა ლუკმაპურზე ზრუნვას და მთელის არსებით მივეცე ნამდვილ, დიდ შემოქმედებასო, მომბეზრდა ასეთი ძაღლუმადური ცხოვრებაო. ჭაბუკის ამ სახიფათო ფიქრებს წინ აღუდგა ქალის სახით მოვლენილი ნათელი არსება, კეთილ სულად და მუზად რომ დასტრიალებდა მუდამ თავს, ვინც იმთავითვე ასწავლა „უასაკოთ და უსულოთ ენა“, ვინც მოუწოდა, ებრძოლე ბნელს, ემსახურე ნათელსო, მაგრამ გვიანღა იყო, ჭაბუკმა დაუშვა კომპრომისი და სატანამაც სიხარულით ჩაიხუტა იგი.

მერმე თითქო ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც ჭაბუკს უნდოდა: მილიონერი ვაჭრის ქალიშვილი ცოლად, ულევი ფული, ბრწყინვალე აპარტამენტი, ბანქო, ნადიმები... მაგრამ განა ეს უნდოდა? ჭაბუკში დღითიდღე, ნელიად იშრიტებოდა შემოქმედის სული. ვეღარა წერდა, ან თუ წერდა უხეიროდ. ტეინს იჭყლეტდა, მაინც არაფერი გამოსდიოდა. სხვებისა შურდა, პატივმოყვარეობა ახრჩობდა. ბოლოს მიხვდა, რომ წოდებული შეიძლება ბევრი იყოს ამქვეყნად, მაგრამ თუ გინდა, რომ რჩეულთა შორის იხსენიებოდე, არამცდაარამც კომპრომისზე არ უნდა წახვიდე საკუთარი სინდისისა და საქმის წინაშე, რჩეულის იდეალი ბიწიერ სურვილებს არ უნდა ანაცვალო. მიხვდა ამას ჭაბუკი და კიდევ კარგი, იმდენი ვაჟკაცობა მაინც ეყო, რომ საკუთარ თავს თვითონვე გამოუტანა განაჩენი: თავი მოიკლა!

ეს ჭაბუკი გახლავთ ვ. ბარნოვის „წოდებულის“ მთავარი პერსონაჟი გუგუნა.

„ნივთიერ უზრუნველყოფას სხვა სიცოცხლე უნდა, პოეზიას სხვაი. ერთი კაცი ორივეს ერთად ვერ მოერევა, ვერ აიტანს, ვერ გადაურჩება. მიწიერი ცდუნებანი უნდა დაითმინოს წოდებულმა, მრავალ არიან წოდებულ და მცირედნი რჩეულ, რჩეული დაითმენს, რჩეული აიტანს, ჯვარს ეცმევა და მაინც აიტანს, გაჰფანტავს ბნელსა, გამოიხსნის სიკეთესა დიდებად თავისუფლებისა და მშვენიერებისა. გუგუნა დაეცა“ - სავსებით სამართლიანად აღნიშნავს მწერალი ოთარ ჩხეიძე თავის მშვენიერ წიგნში (ო. ჩხეიძე, რომანი და ისტორია, გვ. 365), სხვათა შორის, იქვეა გადმოცემული მოთხრობის დაბეჭდვასთან დაკავშირებული ისტორია, რომელსაც დიდი ტრავმა მიუყენებია მხცოვანი მწერლისათვის.

დიახ, გუგუნა დაეცა!

და არცერთ ქართველ მწერალს, არც ბარნოვამდე, არც მის შემდეგ, ისე ღრმად და მძაფრად არ გადმოუცია სულიერად გაკოტრებული შემოქმედის ტრაგედია, როგორც ეს ვ. ბარნოვმა გააკეთა „წოდებულში“. აქ უნებლიედ გვახსენდება ვაჟა-ფშაველას მინდია „გველის-მჭამელიდან“, რომელიც ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟზე, 1901 წელს შეიქმნა. იქაც ხომ თავისი რწმენის წინაშე კომპრომისზე წასული დიდბუნებოვანი კაცის ტრაგედიაა აღწერილი.

საერთოდ, „წოდებულის“ იდეა სიახლით არ გამოირჩევა, მასზე არაერთ მწერალს დაუხარჯავს დრო და ენერგია. საკმარისია გავიხსენოთ ერნესტ ჰემინგუეის „კილიმანჯაროს თოვლიანი მთა“ და ნათელი გახდება, რომ ჩანაფიქრის მიხედვით, მართლაც არსებობს საკმაო მსგავსება ამ ორ ნაწარმოებს შორის. ცხადია, ეს მსგავსება არ სცილდება მთავარი ჩანაფიქრის ფარგლებს, რადგან ძნელია, კაცმა ორი უფრო განსხვავებული მწერალი წარმოიდგინოს, ვიდრე ბარნოვი და ჰემინგუეი იყვნენ.

გადმოგვცემენ: ბარნოვს უდიდესი სიხარული შემოსწოლია, როცა გუგუნას დაღუპვის სცენას სწერდა თურმე. როგორც სჩანს, ბუნებით ჰუმანისტ მწერალს, გუგუნასთვის მაინც ღირსეულ სასჯელად მიაჩნდა თავის მოკვლა. კიდევ უფრო დაუნდობლად იმეტებს ჰემინგუეი მწერალ ჰარის. იგი სიკვდილის მოლოდინში ცოცხლად ლპება და იხრწნება.

ასეთი უკომპრომისოა ორივე შემოქმედი იმ მწერლების მიმართ, (გუგუნა, ჰარი), რომლებმაც პირადი კეთილდღეობისათვის უღალატეს რწმენასა და საქმეს.

„წოდებული“ არის უკანასკნელი მოთხრობა, სადაც ვ. ბარნოვი ინტელიგენციას მიაპყრობს მზერას. ამის შემდეგ, ხსენებულ თემაზე მწერალს აღარაფერი შეუქმნია. „წოდებულით“ მან თითქო ანდერძი დაუტოვა მომდევნო ხანის შემოქმედებით ინტელიგენციას: უღირსი ნუ მოინდომებ ხელოვნების წმიდა ტაძარში ფეხმორთხმით ჯდომას, იქ ყოფნა მხოლოდ რჩეულთა, გულმართალთა, სინდისდაუბზარავთა ხვედრიაო. თქმა არ უნდა, ეს გაფრთხილება აქტუალობას ინარჩუნებს დღესაც და იქნებ სწორედ აქ იყოს საძებნი ამ მოთხრობის მხატერული გამძლეობის საიდუმლო. სიტყვამ მოიტანა და „წოდებული“ ჯერ კიდევ არ არის ქართული კრიტიკის მიერ სათანადოდ დაფასებული. ეს ხარეზი აუცილებლად უნდა გასწორდეს. ჩვენს ახალგაზრდობას, განსაკუთრებით კი შემოქმედებით ინტელიგენციას, ჰაერივით სჭირდება „წოდებულის“ მსგავსი

ნაწარმოებები მოვლენილნი კეთილ მრჩეველად და გულშემატკივრულ გაფრთხილებადაც.

ამგვარად, ჩვენს წინ ჩაიარა ცხრა ქართველმა ინტელიგენტმა: ილიკომ, სოსანამ, ექვთიმემ, კაკატომ, ბესიკმა, ელისბარმა, პაელემ, გუგუნამ. როგორც დავრწმუნდით, თვითეულ მათგანს თავისი ინდივიდუალური ცხოვრება, საფიქრალ-საზრუნავი, საკუთარი ინტელექტუალურ-ეთიკური, თუ ეროვნულ-სოციალური შეხედულებანი აქვს. ნაშრომის მიზანი ყოველივე ამის წარმოჩინება გახლავთ. ახლა შეიძლება დასკვნებიც გაკეთდეს:

1. როგორც დავინახეთ, ვ. ბარნოვს თავის მრავალფეროვან შემოქმედებაში, ვრცელი ადგილი დაუთმია XX საუკუნის დასაწყისის ინტელიგენტთა მხატვრული ასახვისათვის. ისინი განასახიერებენ საზოგადოების იმ ნაწილს, რომლებიც საკუთარი ძალებით ემხრობიან ილია ჭავჭავაძის ეროვნულ თვალსაზრისს, ხოლო სოციალური პრობლემების მოგვარების გზად, მარქსისტებისაგან განსხვავებით, კლასთა ბრძოლასა და რევოლუციურ აფეთქებას კი არ მიიჩნევენ, არამედ წოდებათა შორის მშვიდობიან თანაარსებობას და „ჩატეხილი ხიდის“ გამართულებისათვის ღვწას, რაც, აგრეთვე, ილიას სოციალურ შეხედულებათა გაზიარებას ნიშნავს. საერთოდ კი, ბარნოვისათვის ორგანულად უცხო და მიუღებელია კლასთა ანტაგონიზმის მარქსისტული თეორია, იგი საზოგადოებაში არსებულ ურთიერთწინააღმდეგობას ფილოსოფიური თვალთახედვით ჭვრეტს და ეს წინააღმდეგობანი, კეთილისა და ბოროტის ბრძოლის მარადიულ, კოსმიურ გამოვლენად მიაჩნია, ხოლო მისი მოგვარების გზები (თუკი საერთოდ შეიძლება მოგვარებაზე ლაპარაკი), ეთიკის სფეროში ეგულება.

მაგრამ ისტორიულ მოვლენათა განვითარებამ მთლიანად უარჰყო ბარნოვის თვალსაზრისი და ეროვნული ნიჰილიზმისა და კლასთა ანტაგონიზმის თეორია ერთადერთ მოძღვრებად აღიარა, რამაც სულ მალე მოიტანა საეალალო შედეგები: რევოლუციური ნგრევა, ძალადობა, შიში, სიცრუე, ძმათაკვლა, ცრემლი, ინტელიგენციის განუკითხავი ჟლეტა, უღმერთობა, სულიერი გაკოტრება, უნიადაგო დოქტრინები და ბოგანოთა დიქტატურა.

2. ვ. ბარნოვის ინტელიგენტთა მჭიდრო ნათესაობა ი. ჭავჭავაძის ინტელიგენტებთან, რაღა თქმა უნდა, არ ნიშნავს, თითქოს მათ მკაფიოდ გამოხატული თავისებურებანი არ ახასიათებდეთ. ვ. ბარნოვმა, პირველად ქართულ მწერლობაში, ინტელიგენტ-პერსონაჟებს დაუკავშირა ისეთი პრობლემები,

როგორიცაა გრძნობისა და მოვალეობის ურთიერთობა („ემმა"), ცხოვრებაში ხელმოცარული, პატიოსანი ინტელიგენტის ტრაგედია, რომელიც თვითმკვლელობით ამთავრებს სიცოცხლეს („მეჩვენა"). დაგეიხატა „გამთელებული ხიდის" შედეგად მიღწეული ჰარმონია („ბედის ვარსკვლავი"), ღრმად გვაგრძნობინა გლობალურ ფილოსოფიურ პრობლემებთან შეჭიდებული ინტელიგენტის სულიერი შეჭირვებანი („აჩრდილი სიკვდილისა"), თვალნათლივ დაგვანახა პირადულსა და საზოგადოებრივ ინტერესთა შორის მოჭოჭმანე, უხერხემლო ინტელიგენტის კნინი ზრახვანი და მისწრაფებანი(„სევდის საგუბარი"), მძაფრი სატირული კალმით ამხილა „მგლის თვალებიანი და ღოჯებიანი " მტაცებელი „ინტელიგენტების" საპირადო სურვილები („უძღები", „პრაფესორი"), არქეოლოგი პაველს სახით გვაჩვენა ძალზე მძიმე ხვედრი მოხუცებაში შესული ინტელიგენტისა, რომელმაც ხელაღებით უარჰყო საკუთარი ბედნიერების შესაძლებლობა („არქეოლოგიური ნაშთი") და ბოლოს, დიდი მხატვრულ ძალით გვაზიარა ცხოვრებისეულ ცდუნებებსა და მამონას აყოლილი ნიჭიერი მწერლის სულიერ დაცემასა და თვითმკვლელობას („წოდებული").

ეასილ ბარნოვის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ზემოხსენებულ ნაწარმოებებში, მან დიდი შემოქმედებითი ძალისხმევა და სიახლისკენ დაუოკებელი ლტოლვა გამოიჩინა, შესაძლებელია, ყველა დასახელებული მოთხრობა არ ბრწყინავდეს განსაკუთრებული მხატვრული ძალმოსილებით, მაგრამ ქართულ მწერლობის ფონზე თვითეული მათგანი რომ უჩვეულო ინდივიდუალობით ანათებს, ცხადია.

ამის შემდეგ ვნახოთ, რა ვითარება გვაქვს შიო არაგვისპირელის შემოქმედებაში.

თავი მეორე

„ესაა ჩვენი ცხოვრება?!“

ფრიად საინტერესო იყო ლიტერატურული ატმოსფერო, რომელიც შიო არაგვისპირელის (1867-1926) სამწერლო ასპარეზზე გამოჩენის ჟამს სუფევდა XIX საუკუნის ოთხმოც-ოთხმოცდაათიანი წლების საქართველოში. ამ დროს, ახალი ლიტერატურის გვერდით და მის წიაღში, უახლესი ლიტერატურა წარმოიშვა. განმანათლებლობის ეპოქის რეალიზმს რევოლუციის ეპოქის რეალიზმი მოჰყვა, თუმცა ჯერ კიდევ გაისმოდა კლასიკური რეალიზმის უდიდესი წარმომადგენლების: ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას და სხვათა მძლავრი ხმები.

ნაყოფიერი გამოდგა ქართული პროზისთვის საუკუნის დასასრულის უკანასკნელი თხუთმეტწლეული. სწორედ ამ ხანებში გამოქვეყნდა „ხევისბერი გოჩა“ და „მოძღვარი“ ყაზბეგისა, „სიმონა“ და „ჩვენი ქვეყნის რაინდი“ ნინოშვილისა, მთელი ციკლი ვაჟას ბრწყინვალე ნოველებისა, „ჩემი თაგვადასავალი“ და „ბაში-აჩუკი“ აკაკი წერეთლისა, „სამანიშვილის დედინაცვალი“ და „ქამუშაძის გაჭირვება“ დ. კლდიაშვილისა და ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივი“. თუ ამას დავუმატებთ ხსენებულ პერიოდშივე გამოქვეყნებულ ა. ერისთავ-ხოშტარიას რომანს „მოლიპულ გზაზე“ და გ. წერეთლის „პირველ ნაბიჯს“, აგრეთვე, ნ. ლომოურის, ს. მგალობლიშვილის, თ. რაზიკაშვილისა და ე. გაბაშვილის ზოგ თხზულებას, ჩვენ ხელთ გვექნება საუკუნის მიწურულის ბელეტრისტიკის ნიმუშთა მეტ-ნაკლებად სრული სია.

როგორც ვხედავთ, ჩამოთვლილი ლიტერატურული თხზულებანი საკმაოდ უხვია და მნიშვნელოვანი, როგორც რაოდენობრივად, ისე იდეურ-მხატვრული თვალსაზრისითაც. თავისუფლად შეგვიძლია ვილაპარაკოთ ჟანრთა მრავალფეროვანებაზეც: გვაქვს რომანი, მოთხრობა, ნოველა, დოკუმენტური პროზა და, რაც მთავარია, დასმულია ნაირნაირი სოციალური, ეროვნული და თუ გნებავთ, წმინდა წყლის ყოფით-ეთიკურ-ფსიქოლოგიური პრობლემები.

აი, სწორედ ამ დროს იწყებს გამოკვეთას შიო არაგვის-პირელის მწერლური პროფილი. მოკლე, სხარტი ნოველებით

მან სწრაფად მიიქცია მკითხველთა ყურადღება, ამიტომ შემთხვევითობად არ უნდა მიეიჩნიოთ ის ფაქტი, რომ აკაკი წერეთელი რამდენჯერმე დადებითად გამოეხმაურა ახალგაზრდა ნოველისტის მუშაობას და ლექსიც კი მიუძღვნა მას. აი, რას წერს აკაკი ერთ „ბიბლიოგრაფიულ შენიშვნაში“, რომელიც საკუთარ ჟურნალში დაუსტამბავს 1898 წელს:

„ადრეც მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, რომ ახალ მწერლობაში ყველაზე უფრო საყურადღებოა შიო არაგვისპირელი თავისი პსიხოლოგიური ეტიუდებით. მისმა ზეგავლენამ, მიმბაძველობამ ბევრი გამოიწვია, თითქმის სკოლა შექმნა“ (ა. წერეთელი, თხზ. სრ. კრებული, ტ. 13, გვ. 365).

ხოლო ტიციან ტაბიძე წერდა:

„შიო არაგვისპირელის ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსვლა დიდი ზეიმით იქნა მიღებული. ყოფილა ისეთი მომენტიც, როცა მას ილია ჭავჭავაძესაც ადარებდნენ. ახლა ჩვენ ვერწმუნდებით, რომ აქ შემთხვევა ჰქონდა ერთგვარ ლიტერატურულ გაუგებრობას“ (ტ. ტაბიძე, ტ. II, 1966, გვ. 55).

ეს მართლაც ლიტერატურული გაუგებრობა იყო, მაგრამ ფაქტს მაინც თავისი ახსნა სჭირდება. მართლაცდა, რას ემყარებოდა ხსენებული თვალსაზრისი? ჰქონდა თუ არა მას რაიმე საფუძველი? რა თქმა უნდა, ჰქონდა, და ეს საფუძველი, უპირველეს ყოვლისა, მწერლის მიერ წამოწეულ პრობლემებში და განსაკუთრებით ამ პრობლემების მისეულ გაშუქებაში უნდა ვეძიოთ.

ცნობილია, რომ მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურა, გასაგები მიზეზებისა გამო, ორ „წყევლა-კრულვიან“ საკითხს დასტრიალებდა დაჟინებული ყურადღებით: ეროვნულსა და სოციალურს. „მარადიული ღირებულების“ ფილოსოფიური კითხვები მხოლოდ აქა-იქ თუ გაიელვებდნენ. და აი, შიო არაგვისპირელი იყო პირველი მწერალი, რომელმაც რკვევის, ძიებისა და დაკვირვების საგნად ადამიანის „შიშველი სული“ გაიხადა. შიო არაგვისპირელი სწორედ „შიშველი სულის“ მწერალია უმთავრესად, ადამიანის გარშემო ტრიალებს, მისი „ბედისწერა“ აღონებს და აწუხებს, მისი შინაგანი მექანიზმის გაგება სწყურია. პრობლემა პიროვნებისა, მისი უფლებები, ღირებულება, მისი დამოკიდებულება სამყაროსთან. აი, კითხვები, რომელნიც ასვეტილან მწერლის წინაშე და დაუოკებლად ითხოვენ პასუხს. და მწერლის სასახელოდ უნდა ითქვას, იგი თამამად, პატიოსნად უსწორებს თვალს სინამდვილეს, სურს ადამიანი „ბუნების მეფედ“, ქვეყნის გვირგვინად იხილოს, მაგრამ სინამდვილე სულ სხვა დასკვნებს გამოატანინებს: თურმე ადამიანის ცხოვრება ერთობ

ეფემერული მოვლენა ყოფილა, ხოლო თვით ადამიანი აუარებელ, ურთიერთგამომრიცხავ წინააღმდეგობათა ხლართი. თურმე ადამიანი უმაღლესი ღირებულება კი არ არის, არამედ რაღაც ნაბოლარა, რომელიც ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ილახება და მდაბლდება. თურმე ადამიანს ყველა დასცინის და, უპირველეს ყოვლისა, თვით ბუნება.

ძნელი მისახვედრი არ არის, რომ მსგავსი პრობლემებით დაინტერესება მართლაც არ ახასიათებს XIX საუკუნის ქართულ ბელეტრისტიკას და მათი შემოტანისა და დამკვიდრების პრიორიტეტი უდავოდ შიო არაგვისპირელს ეკუთვნის. მის გამოჩენას მწერლობაში იმთავითვე მოჰყვა განცდა უჩვეულო სიახლისა, რადგან, მწერალი თუმც კი რეალისტურად ასახავს საზოგადოებრივი ცხოვრების მახინჯ მხარეებს, მაგრამ მიზეზებს სიმახინჯისა ეძებს არა იმდენად სოციალურ სინამდვილეში, რამდენადაც თვით ადამიანის ბიოლოგიურ ბუნებაში და აქვე უნდა ითქვას, რომ შიო არაგვისპირელი, არსებითად, უარყოფის მწერალია. მან მხოლოდ ადამიანური ზადი გამოიტანა საამკარაოზე, ღირსება კი ვერაფრით დაუნახა მას. ცხოვრების დიალექტიკურ მთლიანობაში აღქმა უცხოა შიო არაგვისპირელის მსოფლმხედველობისთვის და ამიტომაც მისი მხატვრული პალიტრა სწორხაზოვანია, ხოლო ერთადერთი ფერი შემოქმედებისა, არის - შავი.

შიო არაგვისპირელის ლიტერატურული მემკვიდრეობა მოცულობით არაა დიდი. მისი ყველაზე სრული გამოცემა, ორ ტომს მოიცავს მხოლოდ (შ. არაგვისპირელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. I-II, თბ., 1947. ქვემოთ ვსარგებლობ მხოლოდ და მხოლოდ ამ გამოცემით). თუ ამ პუბლიკაციის მიხედვით ვიმსჯელებთ, მწერალს, დაახლოებით 30 წლის მანძილზე, 80 პროზაული ნაწარმოები დაუწერია. მათში, შემოქმედი ნაირნაირ პრობლემებს წამოაყენებს და, შესაძლებლობის ფარგლებში, გადასჭრის კიდეც. აქაა ადამიანის „შიშველი სულის" კვლევა, ამ თვალსაზრისიდან დანახული ეროვნულ-სოციალური საკითხები, სექსის პრობლემა და საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთდამოკიდებულება, ცხოვრების საზრისზე მძაფრი დაფიქრება და მრავალი სხვაც. სწორედ ამიტომ, ძნელია ამ თხზულებათა ზუსტი მოდუსებით ერთმანეთისაგან გამიჯვნა და კლასიფიცირება-დაჯგუფება, მაგრამ რაკიღა ამ შემთხვევაში მე მხოლოდ ის ნოველები მაინტერესებს, რომლებშიც, ინტელიგენტები ფიგურირებენ, მათი მოხმობით დავკმაყოფილდები.

აქვე უნდა აღინიშნოს შიო არაგვისპირელის შემოქმედების ერთი თავისებურება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს:

ინტელიგენციაზე, მის მსოფლაღქმაზე, ვნებებზე, განცდებზე, მისწრაფებებზე, საკმაოდ ხშირად წერს ჩვენი მწერალი, მაგრამ ამაზე, უნდა ვივარაუდოთ, განზრახ არ მიუთითებს და, ეტყობა მკითხველი თავად უნდა მიხვდეს, რომ ამა თუ იმ პერსონაჟის ხასიათი, ბუნება თუ საქციელი სწორედ ინტელიგენტურია და არა, ვთქვათ, გლეხური, ან მუშური. მაგალითად, ეტიუდში „წერილის ნაგლეჯი“ მინიშნებაც კი არ არის ინტელიგენტზე, ეს ტერმინი საერთოდ არაა ნახსენები, მაგრამ უამისოდაც იოლი გასარკვევია, რომ იქ აღწერილ განცდათა გამმა ოდენ ინტელიგენტისა შეიძლება იყოს და მხოლოდ მას ახასიათებდეს. ეგეთე უნდა ითქვას ნოველაზე „ბუნების მეფენი“, აგრეთვე, „გმადლობ, უფალო, გმადლობ“ და ზოგ სხვაზეც.

ნოველა, რომლითაც, ჩვეულებრივ, იხსნება შიო არაგვისპირელის თხზულებათა კრებულები და რომელიც ქრონოლოგიურადაც ყველაზე ადრინდელად ივარაუდება, გახლავთ „ესაა ჩვენი ცხოვრება“ (1889). ამ ნოველაში არაფერია „ინტელიგენტური“, იგი გლეხთა ყოფის ერთ პატარა ეპიზოდს ასახავს, მაგრამ თუ ყურადღებას მაინც ვამახვილებ მასზე, მხოლოდ იმიტომ, რომ დასათაურება ნოველისა, მოკლედ, მაგრამ ხატოვნად გადმოსცემს არსს არაგვისპირელის მთელი შემოქმედებისას. ამ წინადადებაში განფენილი სკეპტიკურ-ირონიული და შაენაღვლიანი ტონი, შეიძლება ითქვას, მთლიანად ვრცელდება დანარჩენ ნაწარმოებებზეც.

...გლეხებს საახალწლოდ შეშა გაუყიდნიათ ქალაქში და ახლა, საჩუქრებით დატვირთულებს, შინისაკენ მიეჩქარებათ, რათა ჯალაბთან ბედნიერად გაითენონ შობა, მაგრამ გზაში მოხდება უბედური შემთხვევა, ურემს ვიღაც „დიდი კაცის“ ეტლი დაეჯახება და ახალგაზრდა მეურმე დაიღუპება. თავზარდაცემული, გაოგნებული კაცები ჩუმად დასცქერიან მის ცხედარს. ბოლოს, ერთი გულმდუღარედ წამოიძახებს:

„ესაა ჩვენი ცხოვრება?!“

აშკარაა: ჯერ კიდევ ახალგაზრდა მწერალმა პირველსავე თხზულებაში მოინიშნა თავისი შემოქმედების ძირითადი გზასავალი: თურმე ადამიანი ერთი მღილთაგანია ამ უსასრულო სამყაროში და მისი სიცოცხლე არაფრად ღირს, არაფერს ნიშნავს, წამიერ შემთხვევითობაზეა დაფუძნებული. ადამიანი ღალატის, ორპირობის, ცუდმედიდობის, სიცრუისა და მზაკვრობის ბუდეა თურმე, ხოლო მისი ამქვეყნად არსებობის აზრი სრულიად გაუგებარი და

შეუცნობელია. ეს თვალსაზრისი, ამა თუ იმ ვარიაციით, მერმე და მერმე, მრავალ ნაწარმოებში განიცდება მხატვრულად, ხოლო ქვეტექსტი ყოველივესი იქნება ირონიითა და მწარე ნაღველით შეფერილი სამი სიტყვა:

„ესაა ჩვენი ცხოვრება?!“

გარდა იმისა, რომ ადამიანი (ამ შემთხვევაში ინტელიგენტი - თ. მ.) მხოლოდ დაცინვით თუ შეიძლება „ბუნების მეფედ“ მოვიხსენიოთ, იგი უძლური, მხდალი და მკვეხარაც ყოფილა. მაგრამ ეს ცოტაა: მისსა და დედა-ბუნებას შორის გარდაუვალი, ამოუხსნელი უფსკრულია გათხრილი, რომელიც ვერასოდეს ამოიცვება. ეს საცოდაობა, რომელსაც ადამიანი ჰქვია, სრულიად მარტოა „გასროლილი“ ამ უსასრულო კოსმიურ სამყაროში და არც თანამგრძნობი ჰყავს, არც მშველელი.

დიახ, ბუნებისათვის, ჩანს, სულერთი ყოფილა, ადამიანის ბედ-იღბალი, მაგრამ აქვე იბადება მსახვრალი კითხვა: საერთოდ, არის კი ადამიანი თანაგრძნობის ღირსი? ამის პასუხად, შ. არაგვისპირელი მართლაც რომ ჯოჯოხეთურ აღლუმს გამართავს მკითხველის თვალწინ ნოველაში „გმადლობ, უფალო, გმადლობ!“ (1897).

ნოველა პირველი პირით არის დაწერილი, გაკვეული პირობითობის დაშვებით. მთხრობელს, საკვარაუდოა, ინტელიგენტს, მოულოდნელად, უზენაესისაგან გულთამხილაეის ნიჭი მიეცემა. „ადამიანის გული ჩემთვის დაფარული არ არის... სულ უღრმესი და უჩინარი, თვალწინ გადამეშალა“, ამბობს მთხრობელი და გულმხურვალედ შეჰღაღადებს ღმერთს:

გმადლობ, უფალო, გმადლობ, ამ დიდი საბოძვარის მონიჭებისათვის!

ბედნიერი დღეა, ზარებს არისხებენ, ადამიანები ეკლესიისაკენ, რწმენის ტაძრისაკენ მიეშურებიან. ეკლესია ხომ სიმბოლო უნდა იყოს განწმენდისა, ამაღლებისა, პატიოსნებისა, თანალმობისა... მთხრობელი გვაუწყებს: „აგერ იქ, გალავნის კუთხეში დავდგები. იქედან არავინ გამომეპარება. მე კი ვერავინ დამინახავს და ყველას გული, ღმერთო, წინ გადამეშლება“.

და იწყება საზეიმო ასაბია.

პირველად ღვთის ტაძარს ვინმე დიაცი მიეახლება, რომელმაც თურმე საკუთარ ბავშვს საშოში დასრულება არ აცალა, ძალით დაჰბადა, მოჰკლა და წყალში გადააგდო, მაგრამ ახლა ტაძრად მონანიებისათვის კი არ მოსულა, არამედ იმისათვის, რომ ღმერთს ევედროს: ჩემს გამაუბედურებელს სამაგიერო მიაგე, ან ჩემივე ხელით მაყრევინეო ჯავრი.

აგერ, მოხუცი მანდილოსანი, რომელსაც ღვთისმოსაეი ადამიანის სახელი აქვს მოხვეჭილი, საზოგადოებისაგან მართალი და პატიოსანი ქალის ჯილა აქვს თავს დადგმული, მაგრამ თურმე გული სიცრუითა და ორპირობით ჰქონია საესე...

აი, ღირსეული ცოლი ღირსეულის ქმრისა თითით საჩვენებელი და სამაგალითო თავისი ზნეკეთილობით, სიფაქიზით, მოსულა, რათა შორს გასტუმრებული მეუღლე შეაეედროს უფალს?... არა, თურმე ამ მანდილოსანს სხვისთვის უცემს გული და ქმართან განშორების გახანგრძლივებისთვის ლოცულობს.

ახალგაზრდა შეყვარებულები... მაგრამ სულ მალე ირკვევა, რომ ისინიც ერთმანეთს ატყუებენ და როგორც კი ერთმანეთს მოცილდებიან, ორივენი სხვებისაკენ მიისწრაფიან.

მწყემსი კეთილი, მსახური რწმენისა და ჭეშმარიტებისა, შეეიდა ტაძრად და თან შეჰყვა ბრბო, რათა მისგან უფლის სიტყვა მოისმინოს, მაგრამ ღვთის მსახურს „თან მოაქვს გულწრფელობის გარდა ყველაფერი!"

ასე შეეიდა ტაძრად „მხურვალე მამულიშვილის" სახელით ცნობილი გვამი, რომელიც სინამდვილეში, სამშობლოს ჩალის ფასად ჰყიდის ყოველ გზაჯვარედინზე. ასე გაემართნენ ტაძრისაკენ მეგობრები - ზურგსუკან ერთმანეთის კილეით რომ ათენ-აღამებენ, პირში კი შეყვარებულებივით ელაციცებიან ერთმანეთს.

„ვინღა დარჩა? უფალო, შეარყიე ტაძარი, შემუსრე მისი მკვიდრი კედლები, როგორც შიგ მყოფთ შემუსრეს ყოველი ადამიანური გრძნობა! უფალო, ნუთუ აღარაფერი დარჩა? ერთი, ერთი ადამიანი მაინც ვნახო, რომელიც გულწრფელად მოქმედებდეს!" - ბიბლიური იერემიასავით ჰგოდებს მთხრობელი, მაგრამ ნუგეშის ნაცვლად, ყველაზე დიდი გამოცდა სწორედ ახლა ელოდება: ტაძრისაკენ მისი დედა და ცოლი მიემართებიან.

„გული, გული მაინც დამალეთ! არ მინდა თქვენ გულს შევხედო! თქვენი საიდუმლო გავიგო! მინდა, ეგ ორი გული მაინც არ ვიცოდე! ეგ ორი გული მაინც მაკავშირებდეს ადამიანებთან. მინდა ადამიანის გულწრფელობა მწამდეს!" სასოწარკეეთით ყვირის მთხრობელი, - „დაჩლუნგდი, გონებავ! თვალო, დაბრმავდი! ადამიანის გულწრფელობა მინდა მწამდეს! მინდა! მინდა!"

მაგრამ აქაც მწარე იმედგაცრუება ელოდება მთხრობელს და მას სხვა აღარაფერი დარჩენია, თუ არ ხელის გაწვდა დამბაჩისაკენ. მართალია, ნოველის ბოლოში შ. არაგვისპირელი მოულოდნელ დასასრულს გვთავაზობს: გვაუწყებს, ყოველივე ზემოაღწერილი, მთხრობელმა სიზმრად ნახაო, მაგრამ საქმის არსს პრინციპში, ეს არ ცვლის: მკითხველი მხილველი გახდა

ქართული მწერლობისათვის უპრეცედენტო „ამაოების ბაზრისა“ და მწერლის გოდებისა:

აი, ასეთები არიან ადამიანები! აი, ესაა ჩვენი ცხოვრება!

ყოველივე ამის შემდეგ, სათქმელი თითქო აღარაფერი უნდა დარჩენილიყო, მაგრამ შიო არაგვისპირელის ძიებანი აღნიშნულ სფეროში უფრო შორს და უფრო ღრმად მიდის: ნოველაში: „შემუსვრილი სამი მცნება“ (1899 წ.) მოთხრობილია ამბავი ერთი სეფეწულისა, რომელმაც ცხოვრების მიზნად დაისახა ადამიანის რაობაში ბოლომდე ჩაწვდენა, რადგან „შეუძლებელია, ადამიანი ცხოვრობდეს და კი არ იცოდეს, რას წარმოადგენს, რა ადგილი უჭირავს ცხოველთა, მცენარეთა და სხვათა შორის“. ამ მიზნით მიატოვა სამეფო, დერეიშულად გადაიცვა და გაემგზავრა ჭეშმარიტების საძიებლად, მაგრამ მრავალწლიანი პილიგრიმობის შემდეგ მხოლოდ სამი მცნების დადგენა შეიძლო: „ჰოი, კაცო! ნურასდროს ნუ დაეკითხები შენს თავს, რა არის ადამიანი! ყოველგვარს მოვლენას შენს ცხოვრებაში გულგრილად შეხვდი. ეცადე, შენი ცხოვრება მხოლოდ სიამოვნებით გაატარო!“ მაგრამ 30 წელიწადი ნუთუ იმიტომ იტანჯა სეფეწული, რომ „ეს სისულელე დაეწერა?“ მთელი ძალღონე ამის მოპოვებას შეალია? „ადამიანო, რა ხარ, ადამიანო?“ - დაიღრიალა მაშინ სასოწარკვეთით და რაღაც ხმამ მკაფიოდ უპასუხა: სისულელე!“

როგორც ვნახეთ, ზემოგანხილულ ნოველებში მწერალი შეგნებულად მიმართავს ფორმის პირობითობას, სათქმელს ზღაპრულ ფეერიულ სამოსელში ახვევს და ისე აწოდებს მკითხველს. აქედან გამომდინარე, პრობლემა გარკვეული აზრით, ზოგადდება, ზოგადადამიანური ხდება, მაგრამ არაგვისპირელს აქვს ისეთი ნაწარმოებებიც, სადაც საკითხი განხილულია კონკრეტულ-ქართული ყოფითი მასალის მოშველიებით. უფრო ზუსტად, ამ წყების ნოველებში ქართული სინამდვილეა აღწერილი, ხოლო პერსონაჟები ორი საუკუნის მიჯნის ქართველი ინტელიგენტები არიან. იგულისხმება „ადამიანი“ (1892), „ჰარამხანის სურათი“ (1892 წ.) და „ანტონ ზურაბიჩი“ (1900 წ.). სამივე ეს ნაწარმოები, გარკვეული აზრით, ერმანეთის გაგრძელებად შეიძლება ჩაითვალოს. თუ „ადამიანში“ საზღვარგარეთ მყოფი ქართველი სტუდენტების, თედოს და მისი მეგობრების საკმაოდ მძიმე ცხოვრების ეპიზოდებია მოთხრობილი, „ჰარამხანის სურათსა“ და „ანტონ ზურაბიჩში“ იმ ინტელიგენტებს გვიჩვენებს მწერალი, რომლებმაც უმაღლესი სასწავლებელი კი დაამთავრეს და სამშობლოსაც დაუბრუნდნენ ცოდნით აღჭურვილნი, მაგრამ ინტელექტუალურ ძიებას თავი ანებეს (რომ აღარაფერი ვთქვათ ქვეყნის სამსახურზე) და ცინიზმით

გულამოჭმულნი, ზნეობრივი გათახსირების გზას დაადგნენ. ამ თვალსაზრისით მართლაც აპოთეოზია „ანტონ ზურაბიჩი“.

საზოგადოდ, უნდა ითქვას, რომ შ. არაგვისპირელი, როგორც ჩანს, მაინც და მაინც არ ყოფილა მოხიბლული ქართველი ინტელიგენტის ეთიკურ-ინტელექტუალური ჰაბიტუსით. ამ აზრს თვალნათლივ ადასტურებს მისი ერთი ჩანაწერი უბის წიგნაკში, (დაცულია გ. ლეონიძის სახ. ლიტ. მუზეუმში).

„ინტელიგენტი რაღაცას ეძიებს, რას თვითონაც არ იცის. ამისთვის გარემოებას ჰლანძღავს. თავის ძალ-ღონეს ფუქსავატობაში ატარებს. იბნევა, იძახის: მხარი რომ მოეცათ სხვებს, ქვეყანას ვიხსნიდიო.

ინტელიგენტი პირველსავე შემთხვევაში ფარ-ხმალს ძირს უშვებს და თავს დევნილად აცხადებს“.

ალბათ სწორედ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ შ. არაგვისპირელს არ შეუქმნია არცერთი, ცოტა თუ ბევრად დადებითი სახე ქართველი ინტელიგენტისა. ისინი ან დაბნეულნი არიან თედოსავით, ან კომპრომისზე წასულნი და გამოტვინებულნი სოლომონ ბერიკაშვილივით, ანდა კიდევ, მაღალი რანგის ცინიკოსი არამზადები ანტონ ზურაბიჩივით. ანტონ ზურაბიჩით შეიკრა წრე: ადამიანის რაობის დაჟინებული ძიება დასრულდა. პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულებაც გაირკვა („გულციობამ“, „ღირსი ვარ ამისა, ღირსი!“) შედეგი კი, როგორც დავინახეთ, უნუგეშოა, რამეთუ:

„ესაა ჩვენი ცხოვრება“!

* * *

დღიდან ქართული ლიტერატურის ჩასახვისა, ქალისა და კაცის ურთიერთობათა კვლევა მუდამ დამახასიათებელი იყო ჩვენი მწერლობისათვის. თხუთმეტი საუკუნის მანძილზე არ დარჩენილა არც ერთი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი შემოქმედი, რომელსაც თავისი დამოკიდებულება არ გამოემჟღავნებინოს ე. წ. სიყვარულის გრძნობისადმი და ნაირნაირი ვარიაციებით არ აღეწეროს იგი. არც იმის დაეწყება გვმართებს (და ამ შემთხვევაში, ეს მთავარია), რომ ქართული მწერლობის მიერ ასახული სიყვარული უმეტესწილად ჯანსაღ რაინდულ ეთოსზეა დაფუძნებული და თვით ისეთი აშკარა ეროტიზმით შეფერილი ავტორის შემოქმედებასაც კი, როგორიც ალექსანდრე ყაზბეგი გახლავთ, ფესვები უღრმეს ზნეობრივ ღირებულებებში აქვს გადგმული. „სიყვარული აღგვამაღლებს!“ რუსთაველის დამღით მოჭრილი

ეს მონეტა საუკუნეების მანძილზე გაუხუნარი ელვარებით გადადიოდა ხელიდან ხელში, ვიდრე XIX საუკუნის დასასრულს, მოულოდნელად, ქართველი მკითხველი ასეთ „უცნაურ“ სტრიქონებს წაიკითხავდა:

„უკვირდები, ჩემო კარგო, ჩემ გრძნობას და თმა ყალყზე მიდგება. ნუთუ ყოველივე, რაც გითხარი ჩემს გრძნობაზე, ტყუილი უნდა გამოდგეს? რა მემართება? არ ვიცი. წინადაც ასევე მემართებოდა, მაგრამ არ მეჯერა, თუ ეს მემართებოდა, ჩემ გრძნობას არ ვენდობოდი. აგერ ერთი წელიწადია, რაც სიყვარული გამოგიცხადე და ქმრობის პირობა მოგეცი. მგონი ერთი წლის დაკვირვება საკმარისია, რომ ასე თუ ისე, შენი გრძნობა ასწონდასწონო და რაიმე დასკვნა გამოიტანო. რასაც იმ წამს ვგრძნობდი, როდესაც პირველად გითხარ: „მიყვარხარ“, ახლაც იმას ვგრძნობ. მართლადაც მიყვარხარ, თაედავიწყებამდის მიყვარხარ...

მაგრამ მხოლოდ მაშინ ხარ ჩემი ყველაი, როდესაც გხედავ, ან მაგონდები, როდესაც კი შენს მაგივრად სხვასა ვხედავ, ან მაგონდება სხვა ქალი, რომლის წინააღმდეგ არა მაქვს - რა, მაშინ მაპატიე, ჩემო კარგო, შენდამი სიყვარული აღარ არსებობს, შენ აღარ ხარ ჩემი ყველაი. ჩემი ყველაი ის არის, რომელ მშვენიერსაც ვხედავ და რომელი მშვენიერიც ჩემ წინ დგას იმ ჟამად. ის მიყვარს იმ ჟამად, მხოლოდ ის მიყვარს, გაგიჟებით მიყვარს ის და ეს გრძნობა ისეთივე გულწრფელია, როგორც შენდამი.

შენ იმასთან არ მახსოვხარ და მივიწყებული მყავხარ, როგორც შარშანდელი თოვლი და შენთან კიდევ ის.

რად მემართება ეს? არ ვიცი. პირველში ეფიქრობდი, ვითომ ჯერ გამოურკვეველია ჩემი გრძნობა და ამისათვის მემართება-მეთქი. იმის გამო გაგშორდი, რომ გამომერკვია და ჩაკვირვებოდი, მაგრამ, რაც ბევრს ვცდილობ გამორკვევას, უფრო გაურკვეველად მრჩება და ჩემთვის გაუგებარია ის იდეალური სიყვარული, რომელსაც პოეტები გვიხატავენ. მე მგონია, მათი ოცნების ნაყოფია ის სიყვარული და ცხოვრებასთან არავითარი კავშირი არა აქვს. ან იქნებ მე ვარ ამგვარი ბუნებისა და სხვები კი არა? ნეტავ მაგრე იყვეს, მაგრამ... ფუი, კიდევ „მაგრამ“ წამოიჩხირა. ყველა რომ ასე გულწრფელად ლაპარაკობდეს, როგორც მე შენ გელაპარაკები, მაშინ, მგონია, ყველა ამას იტყოდა.

იმედია, შენც მომწერ, თუ ჩემსავით გემართება. აბა ჩაუკვირდი შენ თავს, გულს და ისე მომწერე... ნუ იმტყუნებ, გეთაყვა, ნუ იმტყუნებ და“... (შ. არაგვისპირელი, ტ. I, გვ. 279).

ეს ვრცელი ამონაწერი, გახლავთ ნოველიდან „წერილის ნაგლეჯი“ (1897 წ.) ძნელი მისახვედრი არ არის, რომ აქ ყველაფერი თავდაყირაა დაყენებული და სიყვარულის გრძნობა ქართველი მწერლობისათვის სრულიად უჩვეულო რაკურსით განათებული. „სიყვარული აღგვამაღლებს!“ - ბრძანებდა რუსთაველი, ამის პასუხად კი „წერილის ნაგლეჯის“ მთხრობელი ამბობს: „ჩემთვის გაუგებარია ის იდეალური სიყვარული, რომელსაც პოეტები გვიხატავენ. მე მგონია მათი ოცნების ნაყოფია ის სიყვარული და ცხოვრებასთან არავითარი კავშირი არ აქვს“. ეს აზრი, რომელიც თავისთავად გლობალური სკეპსისის შემცველია, ჯერ კიდევ არაა ნამეტნავად საგანგაშო, რამეთუ ერთი კაცის აზრია ბოლოს და ბოლოს, ადამიანს შეუძლია ის იფიქროს, რაც უნდა და ალბათ საგანგაშოც დიდი არაფერი იქნებოდა, მთხრობელი აქ რომ გაჩერებულიყო, მაგრამ იგი გაცილებით უფრო შორს მიდის და აქვს პრეტენზია, რომ მის ნათქვამს ზოგადადამიანური ფასი დაედოს. მისი აზრით, სიყვარული, თურმე, რუსთაველისაგან ასე სასტიკად გაკიცხული „დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა“ ყოფილა, მხოლოდ სექსუალური, ბიოლოგიური ლტოლვა და მეტი არაფერი, მაგრამ ადამიანები, თავიანთი თვალთმაქცური ბუნების გამო, ძალზე გულმოდგინედ ცდილობენ ამის დამალვას. თორემ „ყველა რომ ასე გულწრფელად ლაპარაკობდეს, როგორც მე (ე. ი. მთხრობელი) გელაპარაკები, მაშინ, მგონია, ყველა ამას იტყოდა“. აქ სწორედ ეს „ყველა ასე იტყოდა“ გახლავთ მთავარი, რადგან, პრობლემა, თუ შეიძლება ითქვას, ზოგადკაცობრიულ და ერთგვარად ზედროულ ასპექტში განიხილება: ადამიანები, ყველანი ასე ფიქრობენ და ყოველთვის ასე ფიქრობენ.

„წერილის ნაგლეჯი“ შეიძლება ეპიგრაფად გამოადგეს იმ ნაწარმოებებს, რომელიც არაგვისპირელს ე. წ. სიყვარულის თემაზე დაუწერია (გარდა რომანისა „გაბზარული გული“). უნდა ითქვას, რომ „წერილის ნაგლეჯი“ არ შეიძლება ჟანრობრივად ტიპიურ ნოველად მივიჩნიოთ, აქ მხოლოდ მსჯელობასთანა გვაქვს საქმე და, ამდენად, მასში გამოთქმულ აზრებს შეიძლება გარკვეული თეორიის მნიშვნელობაც მიენიჭოს. მაგრამ ამ თეორიას ნაკლები ფასი ექნებოდა, თუკი კონკრეტულ მხატვრულ სახეებში არ ექნებოდა ხორცშესხმა. ეს მართლაც ასე მოხდა და „წერილის ნაგლეჯამდეც“ და მის შემდეგაც, არაგვისპირელს საკმაოდ ბევრი ნაწარმოები დაუწერია, სადაც არის დაჟინებული ცდა სიყვარულის სრული არარაობის მხატვრულად დასაბუთებისა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ცნება სიყვარულისა და ცნება ზნეობისა, უმჭიდროესად უკავშირდება ერთმანეთს. იმის მიხედვით, თუ როგორ

ამჟღავნებენ ინტელიგენტები თავს სიყვარულში, თავისუფლად შეგვიძლია ვიმსჯელოთ მათ ზნეობასა, ან უზნეობაზე. თუ ამ თვალსაზრისით გაეცნობით შ. არაგვისპირელის სიყვარულის თემაზე დაწერილ ნოველებს, მაინცდამაინც სანუგეშო სურათს ვერ მივიღებთ. ამ ნოველათა პერსონაჟები, ჩვეულებრივ, სტერეოტიპულად ჰგვანან ერთმანეთს: ცოლები ატყუებენ ქმრებს, ქმრები -ცოლებს, შეყვარებულები კი, როგორც წესი, ერთმანეთის ღალატში ატარებენ დროს. მაგალითისათვის, განვიხილოთ რამდენიმე ტიპიური ნიმუში:

...ნოველაში „ქარი კი ამ დროს ზუოდა, კენესოდა და გმინავდა“ (1895 წ.) ასეთი ვითარება გვაქვს. ცოლ-ქმარს, ბათოსა და ტიტიკოს, გაგიჟებით უყვართ ერთმანეთი, მაგრამ მოულოდნელად ცოლი მოკვდება. მისი გარდაცვალების შემდეგ კი, უეცრად წერილის წყალობით, გაირკვევა, რომ ბათო თურმე გამუდმებით ღალატობდა ქმარს და საყვარელთან უჩუმრად ნებივრობდა.

ქმრიანი ქალი ისე მოაწყობს საქმეს, რომ საყვარელი მუდამჟამს მასთანაა სახლში, რქებდადგმული მოხუცი ქმარი კი ვერ ხვდება სასტიკად მოტყუებული რომაა და კმაყოფილებით „ხითხითებს და ხითხითებს“ (1896წ.)

ინტელიგენტ გაიოზს უყვარს განათლებული ქალი გულჩინა, მაგრამ ბოლომდე ვერ დარწმუნებულა მის პატიოსნებასა და ერთგულებაში. წუხს, ვალალებს, გამოსავალი ვერ უპოვნია და აი, ერთხელ, ბედნიერი (თუ უბედური!) შემთხვევითობის წყალობით (წერილები შეიცვლება), გაიგებს, რომ გულჩინას მხოლოდ და მხოლოდ თავის შესაღება უნდოდა გაიოზისათვის, რათა მერმე, ვითარცა ქმრიან ქალს, უფრო თავისუფლად გაეტარებინა დრო საყვარელთან. „ქმარი ქალისათვის ფარია, ფარდაა და მეც ამ ფარდას ვეძებ, რომ იმის იქით მე და შენ უშიშრად, მოურიდებლად ვისიყვარულოთ!“ სწერს გულჩინა თავის გულის მურაზს. („მხრებიღა ავიჩეჩე“, 1896 წ.).

ყმაწვილებო, დავლიოთ ჩვენი ქალების სადღეგრძელო. ვუსურვოთ მათ, მოიგონონ ჩვენი წარსული დედები და იმათსავით პატიოსნათ ემსახურონ სამშობლოს და თავიანთ ოჯახს!“ პათეტიკურად გაიძახის გიგი, ნოველიდან „ბალღი ყოფილხარ!“ (1899 წ.), ამ დროს კი მის ცოლსა და მეგობარ არჩილს მაგიდის ქვეშ ფეხები ერთმანეთში გადაუხლართავთ და ვნებისაგან თრთიან. ხოლო როცა მოგვიანებით მეორე მეგობარი არჩილს შეუტევს ეს სისაძაგლე რად იკადრეო, არჩილი ცინიკურად მიუგებს: „ბალღი ყოფილხარ“.

იოლი შესამჩნევია, რომ ზემორე და კიდევ სხვა ნაწარმოებში, მწერლის განსაკუთრებული ზნეობრივი განჩხრეკის ობიექტი ქალი

გახლავთ. შ. არაგვისპირელმა დაუნდობლად ჩამოჰხადა ქალს საერთოდ, კერძოდ კი ინტელიგენტს, რომანტიკული საბურველი, რომლითაც იგი საუკუნეების მანძილზე შეჰმოსა ქართულმა მწერლობამ როგორც დედა, როგორც მეუღლე, როგორც სატრფო.შ. არაგვისპირელის ქალები უმეტესწილად ფლიდი, მატყუარა, ხორციელ წადილს აყოლილი მემრუშენი არიან. ეს უდავო ფაქტია, რომლისთვისაც თვალის გასწორება გემართებს. მეორეს მხრივ, ხომ ცნობილია: ყოველი საზოგადოების დაცემა მაშინ იწყება, როცა მდედრთა ზნეობრივი სიმტკიცე შეირყევა. და თითქმის ყველა ნოველაში ჩვენ ვუყურებთ ასეთი დაცემის სურათებს რაც, უკუ ანგარიშით, იმდროინდელი საზოგადოებისათვის გამოტანილ დაუნდობელ განაჩენად უნდა აღვიქვათ.

რა გამოდის ყოველივე აქედან?

სიყვარული მხოლოდ ხორციელი ვნებაა, ქალი და კაცი „ მარტო ეხახუნებიან ერთმანეთს, სხვა არაფერი. არც სული და არც ხორცი ერთმანეთს არ უდგება“ („მხრებიღა ავიჩეჩე“). ის სიყვარული, რომელზედაც ამდენს მღერიან პოეტები და მწერლები, ილუზიაა, მათ მიერვე შექმნილი. ადამიანს მხოლოდ ხორცი ჰშია უძლები ნდომით. ვიდრე დაკმაყოფილდებოდეს - ყველაფერს ჰქმნის, შემდეგ კი სწრაფად ცარიელდება და გამძღარი ზურგს უბრუნებს სათაყვანებელ არსებას. კაცმა რომ თქვას, სხვანაირად არც იყო მოსალოდნელი, რადან ადამიანი სისულელეა!“

არ ვიქნებოდით ბოლომდე ობიექტურნი, თუ ერთსაც არ ვიტყოდით: მწერალი გულწრფელად თავზარდაცემულია, რომ ადამიანი სწორედ ასეთია და არა სხვაგვარი, იგი ნიშნს კი არ უგებს ადამიანს, არამედ სწუხს და ვალალებს, მაგრამ გამოსავალს ვერ ხედავს და არც ხვალინდელი დღე ესახება საიმედოდ, რადგან ასე იყო და ასე იქნება, რადგან კვლავ და კვლავ:

„ესაა ჩვენი ცხოვრება!“

* * *

სამშობლოს თემა, ე. წ. „ქართლის ჭირისა“ თუ „ქართლის ბედის“ საკითხი იმთავითვე ერთი აქტუალურთაგანი იყო ქართული მწერლობისთვის. ამას, რაღა თქმა უნდა, ჩვენი ერის ბედუკუღმართი ისტორია განაპირობებდა. XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში ეს ბედუკუღმართობა კიდევ უფრო ხელშესახები გახდა და უაღრესად მძაფრი სახე მიიღო. ჯერ დიმიტრი ყიფიანის მკვლელობამ 1887 წელს, მერმე კი, ზუსტად

20 წლის შემდეგ, ილია ჭავჭავაძის მკვლელობამ, ძირფესვიანად შეარყია ქართველი საზოგადოების ეროვნული აზროვნება და მამულიშვილობასთან დაკავშირებული მრავალი საკითხი სრულიად ახლებური კუთხით იქნა დანახული. ეს ოცწლეული ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების მძლავრი აღმავლობის ხანა გახლდათ. არ დარჩენილა არცერთი იმდროინდელი მწერალი, პუბლიცისტი თუ საზოგადო მოღვაწე, ეროვნულ პრობლემას ამა თუ იმ კუთხით რომ არ შეჰხებოდეს.

ხსებულ პროცესში არც შიო არაგვისპირელი დარჩენილა გამონაკლისი. მან ნოველების ერთ წყებაში გააცხადა კიდეც თავისი დამოკიდებულება პატრიოტიზმთან. მათ შორის, იდეურ-მხატვრული გააზრებით გამოირჩევიან „მიწაა“ და „ჩემი სამშობლო ჩემი გულია“ თუ „მიწააში“, მთიელი გლეხის ბერას სახით მწერალი გვიხატავს ჭეშმარიტი მამულიშვილის იდეალს, მეორე ნოველაში ცხადად გვიჩვენებს, თუ როგორი არ უნდა იყოს პატრიოტი. აქ მთავარ პერსონაჟად გვევლინებიან ინტელიგენტები: ქართველი ქალი - მარო და პოლონელი ზდისლავ პშიავალსკი.

მათ შეუყვარდებათ ერთმანეთი (ნოველა კომპოზიციურად რთულია, ამ სიყვარულს წინ უძღვის მრავალი, მხატვრულად არაა უცილებელი პერიპეტია) და აი, პოლონელის გულში იწყება ბრძოლა: ის ხედავს, რომ მარო სამშობლოს მოყვარე ქალია, ხედავს და ჰგონია, რომ მე რაც უნდა ვუყვარდე, სამშობლოს თავს ვერ დაანებებს, მე კიდევ ჩემს პოლონეთს ვერ მოვშორდები და ამიტომ ჩვენი სიყვარული უბედური და განწირული იქნებაო, მაგრამ ერთი საუბრის დროს, ქალმა უცბად და მარტივად უპასუხა: „მაგას რად ჰფიქრობ, ჩემი სამშობლო ჩემი გულია და სადაც მე ვიქნები, სამშობლოც იქ იქნება! სადაც გინდა იქ წამოვალ! ყველაფერს დავივიწყებ!“

როცა ეს მითხრა, თვალებში ჩავხედე ქალს, - ამბობს პოლონელი, და მის თვალებში პირუტყვი დავინახეო. და იქვე უმატებს: ჩვენი ქალები, (ე. ი. პოლონელები თ. მ.) სულ სხვას ამბობენ ამ შემთხვევაში: „ჩემი გული ჩემი სამშობლოსია და თუ ჩემი სამშობლო არ იქნება, ნურც ჩემი გული იქნებაო.“ აი, ჩვენი ქალების წმინდათა წმინდა და თავიანთ გულს კიდევაც ანაცვალებენ სამშობლოს, მაგრამ მგონი ქართველი კაცებიც მაროს ეთანხმებიან.

ასე მთავრდება ნოველა.

თავის დროზე, ამ უმკაცრესმა განაჩენმა დიდად ააღელვა ინტელიგენტ ქართველ ქალთა (და არამარტო ქალთა) საზოგადოება. ყველაზე მძიმე მაინც ის იყო, რომ ზღვარდაუდებელ ნიჰილიზმში ბრალი ედებოდა სწორედ ქალს, ეროვნული ორგანიზმის დედაბოძსა და შემნახველს. აქედან ერთი ნაბიჯიღა რჩებოდა საბოლოო

დაცემამდე და გადაგვარებამდე.

პარალელი აშკარაა: უბირი გლეხი ბერა თავს სწირავს ერთი მუჭა მშობლიური მიწისთვის, ინტელიგენტი მარო კი დაუფიქრებლად ანაცვალებს სამშობლოს ინტერესებს პირად სურვილებს. თავის დროზე, კრიტიკოსები უკიჟინებდნენ მწერალს საკითხის ასე უტრირებას და იქნებ მართალნიც იყვნენ, მაგრამ უნდა ისიც გავითვალისწინოთ, რომ, ჯერ ერთი, შ. არაგვისპირელი საერთოდ უტრირებათა ოსტატია, მეორეც კიდევ ის, რომ ასეთ შეშფოთებასა და განგაშს მართლაც ჰქონდა საფუძველი XX საუკუნის დასაწყისში, რაც აღნიშნა კიდეც ჭოლა ლომთათიძემ ნოველაში „უბედური".

„როცა მოთხრობა („ჩემი სამშობლო ჩემი გულია", თ. მ.) დაიბეჭდა, გაწყრნენ: „ეს ცილისწამებაა, ეს როგორ შეიძლებაო!" ერთი კრიტიკოსი სწერდა: „მე ღრმად მწამს, ქართველი ქალი ასეთი არისო!" ნეტარ არიან მორწმუნენი, მაგრამ ვთქვათ გულახდილად, ნუთუ არაგვისპირელმა სიმართლე არ გაგვიცხადა ამ მოთხრობაში?"

დიახ, მისი აზრით, სიმართლე გვითხრა და ისიც დაუმატა: რა გინდ მწარე, გაუძლისი იყოს ეს სიმართლე, მისი გარდაქმნისა და გაუმჯობესებისათვის დაუცადებელი შრომაც კი ნაყოფს ვერ მოიტანსო, რამეთუ ცხოვრებისეულ უკეთურებათა მიზეზი, იმთავითვე, ადამიანის ბიოლოგიურ არსებაშია კოდირებულიო. უფრო მეტიც: შიო არაგვისპირელს, ჭოლა ლომთათიძისაგან განსხვავებით, არ სჯერა რევოლუციური გარდაქმნების შედეგად ადამიანური არსებობის გაუკეთესებისა!

როგორც ვხედავთ, უსასოო პესიმიზმი აქ თავის აპოგეას აღწევს და მწერალსაც სხვა აღარაფერი დარჩენია გარდა იმისა, რომ ნაღვლიანად დაასკვნას

„ესაა ჩვენი ცხოვრება"...

თავი მესამე

„აჯანყებას გლეხკაცობის განთავისუფლება უნდა ჰქონდეს მიზნად და არა რუსების განდევნა“

ეგნატე ნინოშვილმა 35 წელი იცოცხლა (1859-1894). ეს ასაკი არც ისე დიდი დროა საიმისოდ, რომ კაცმა სულის მღვიძარება ბოლომდე გამოამჟღავნოს და ნიჭიერი ბელეტრისტის სახელიც დაიმკვიდროს. როგორც დადასტურებულია, ნამდვილი, დიდი პროზა, უმეტეს შემთხვევაში, სწორედ ამ ასაკიდან გადაცილების შემდეგ იქმნება. და თუ ეგნატე ნინოშვილმა მაინც მოასწრო, რომ შთამომავლობისათვის მნიშვნელოვანი ლიტერატურული მემკვიდრეობა დაეტოვებინა, ეს მის ნიჭიერებასა და ნებისყოფის სიმტკიცეს უნდა მიეწეროს. ქართულ ლიტერატურაში ალბათ ვერ დაეასახელებთ მეორე ისეთ ინტელიგენტს, რომელსაც მთელი სიცოცხლე გამუდმებულ შიმშილობაში, სიტიტველეში და მძიმე ავადმყოფობაში გაეტარებინოს და თავისთავში მაინც ეპოვნოს ზნეობრივი ძალა, რათა შემორჩენილი სასიცოცხლო ენერგია მთლიანად მწერლობის სამსხვერპლოზე მიეტანოს.

სხვათა შორის, ეგნატე ნინოშვილს დარჩა ოცდაჩვიდმეტამდე პირადი წერილი, (ე. ნინოშვილი, თხზულებათა სრული კრებული, გ. ქიქოძის რედაქციით, თბ. 1954 წ. გვ. 549-610. აქ და ქვემოთ, ვსარგებლობ ამ გამოცემით, რაც ერთ-ერთი ყველაზე ამაღელვებელი დოკუმენტთაგანია გასული საუკუნის ლიტერატურული ცხოვრებისა. ამასთანავე, ეს წერილები ძვირფას საბიოგრაფიო მასალასაც შეიცავს. ვიდრე უშუალოდ გადავიდოდეთ ჩვენთვის საინტერესო პრობლემის განხილვაზე, ზედმეტი არ იქნება, თუ პირადი წერილების მიხედვით მოვხაზავთ ინტელიგენტი კაცის ბიოგრაფიულ სილუეტს.

იაკობ გოგებაშვილისადმი: „ახლა, ჩემი საქმე ასე არის: მახველებს ძლიერ ბევრს, ხანდახან სისხლიანსაც. ხმა სრულად ჩაწყვეტილი მაქვს. მარცხენა მკერდის ქვეშ ვგრძნობ ხველების დროს და ხან სუნთქვის დროსაც, ძლიერ ტკივილს. საჭმლის მადა სრულიად დაკარგული მაქვს. სიარული აღარ შემიძლია, ცოტა რომ გავიარო, მაშინათვე ქშენა ამომიარდება, სუნთქვა

შემეხუთება და მუხლებშიც საშინელ დაღლილობას ვგრძნობ. ამ ზამთრის სამი მეოთხედი ლოგინზე ვეგდე ავადმყოფობის გამო".

იმავე წელს (1894), ეგ. ნინოშვილი სილიბისტრო ჯიბლაძეს მწარე ირონიით ატყობინებს, თუ როგორ დაითხოვეს ბათუმის სასტუმროდან, როგორც უკანასკნელი ბოგანო:

„როცა მიტკალივით თეთრს ჩემს „სახე-ჩონჩხს" შეხედეს, გამომიცხადეს: მიბრძანდით, ავადმყოფს ნომერს ვერ მივაქირაებთ, რადგანაც სხვა პასაჟირები დაგვიფრთხებაო. რაღა მექნა, დავიცადე დაღამებამდე (ვითომ კარგა ვერ დამინახავენ სახესო) და დაღამებულში შევატყუე თავი ერთ სასტუმროს პატრონს".

თედო სახოკიას: „უნდა გითხრა, რომ მშიერი კუჭის შესახებ ზრუნვა უფრო მაწუხებს, ვინემ წერაზე ფიქრი. ძალლივით დავწანწალებ იქით-აქეთ ლუკმაპურის საშოვნელად, დღეს-ხვალობით მოველი შიმშილი ამომართმევს სულს-მეთქი და აბა, ამ მდგომარეობაში კაცს რაღა გემწერლება, მოდექი და მშიერი მუცლის ამარა ჯღაბნე კაცმა „სიმონები".

და ისევ თედო სახოკიასადმი მიმართული, შემზარავი თვითირონიით აღსავსე სტრიქონები:

„მომილოცე, ჩემი საყვარელი მეუღლე ამ დროებით ისევ ჩემთან ცხოვრობს, ესე იგი ისევ ავად ვარ. აბა რომ შეუყვარდება კაცი ეს არის. პატივით ვეპყრობი. ხან ხინის პორციას ვაძლევ, ხან ზეთს, მაგრამ ის კი ჩემს სხეულს უფრო გემრიელად სცნობს და ძალიან მადიანადაც მიირთმევს. სულ გამოსუტნა ჩემი უიმისოდაც მსუქანი სხეული, სისხლი შეხვრიპა და ახლა დავდივარ ძვალტყავი, ნაცრისფერი და ჯანმრთელობას ღრმა ხვრელებით ვამტკიცებ".

ახლა მის ბინაშიც შევიხედოთ:

სად ცხოვრობდა ეს უკიდურესად სნეული ადამიანი და რა პირობებში უხდებოდა მუშაობა? ბარათის ადრესატი კვლავ თედო სახოკიაა: „ეს ოხერი ჩვენი ოთახი ყველას დუქანი ჰგონია. ვეუბნები, გადი გარეთ, ეს დუქანი არ არის-მეთქი, მაგრამ რა ბრძანებაა, სანამ აყალმაყალს არ გაგაწევინებს, ვერ გადევნი გარედ. ერთი ჩამციებია, „მარილი მომყიდეო", აბა შენი „არა" და „კი" სადღა ეყურება სიმთვრალისაგან თვალდაბნეულ ოსს! „ღამით მაინც მოვისვენო". ფიქრავ, მაგრამ ეგ იმედიც კი გიმტყუნდება: ჩვენ ოთახზედ მიკრულ დუქანში სმა, ყვირილი, ჩხუბი, ზურნა, ლანძღვაა, ასე რომ დილამდე უნდა უყურო ამ შეზავებულ გარმონიულ ხმაურობას".

კვლავ თედო სახოკიას:

„არ ფიქრობ, რომ აქ რამის დაწერა შეიძლებოდეს, თუმცაღა კი შენ ძლიერ მირჩევ რამე დაგწერო. აბა წარმოიდგინე, რის

დაწერა შეიძლება ასეთ გარემოებაში: ასნაირი გარყვნილი ხალხის სამიკიტნოს გვერდზე არის მიკეთებული ერთი ოთახი, რომელსაც სიგრძე 5 არშინი აქვს, სიგანე 3-2 არშინი. იატაკი დამპალი, ოღრო-ჩოღრო. უხვირო ჭერს ქვემოდან ისეთი დვიროები აკრავს, რომ კაცს თავი უწვდება ქვეშიდან. ერთი ხელის გულის ოდენა ფანჯარა. ამ კუბო - ოჯახს სამიკიტნოდან აშორებს კარდონივით თხელი ფიცრის კედელი. ჩვენი ოთახი ისეა გავსილი(გახსოვდეს, რომ ამ ოთახში ორი კაცი ვცხოვრობთ) უხვირო სტილით, უხვირო ლოგინებით, ნიჩბებით, წალკატებით, რაღაც ჩვენი ხაბაკხუბაკით, რომ ვერც კი გაინძრევი შიგ. ჯერ სიცხეები არ დაწყებულა და სულის შეხუთვას ეგრძნობ. რაღა იქნება შემდეგ? ახლა მოდი და ან იმუშავე, ან წერე ამისთანა მდგომარეობაში! შეიძლება? არ ვფიქრობ".

ამ სისხლითა და ცრემლით დაწერილ სტრიქონებს კომენტარი აღარ ესაჭიროება,ისინი თვითონ ღაღადებენ. და მაინც, უმძიმესი ცხოვრების მიუხედავად, ეგ. ნინოშვილმა უკანასკნელ დღემდე შეინარჩუნა სულის სიმტკიცე და უდრეკი უკომპრომისო ხასიათი. აი რას სწერდა იგი ვინმე ვარლამ ჭიჭინაძეს ერთი, ამჟამად ჩვენთვის უცნობი შემთხვევის გამო:

„კაცო, სადაც წასაჩხუბებელია, იქ წაჩხუბება უნდა! რას მიქვიან მოთმენა და ისიც ადგილის გულისათვის! ჯანი გავარდეს იმ სიცოცხლეს, თუკი ჩემს ღეში კომპრომისზე ვიელი! ჩვენი ცხოვრება უამისოდაც კომპრომისებით არის საესე. არა, ძმაო, სადაც უსინდისობას დაინახავ, იქვე უნდა უკიჟინო!"

ე. ნინოშვილის პირადი წერილებიდან ჩვენ ვგებულობთ არა მარტო იმას, თუ რა პირობებში უხდებოდა არსებობა ბელეტრისტს, არამედ იმასაც (და ეს მთავარია), თუ რა სულიერი ინტერესები ამოძრავებდა მას, როგორც, 90-იანი წლების „ახალი ინტელიგენციის" წარმომადგენელს. ვგებულობთ მის ლიტერატურულ გეგმებს, შეხედულებებს ამა თუ იმ მწერლის შემოქმედებაზე, მისი ზოგიერთი მოთხრობის დაწერის ისტორიას, მწერლისეულ აზრებს ამ მოთხრობებზე და მრავალ სხვა საგულისხმო ცნობას. ერთი სიტყვით, ჩვენ საქმე გვაქვს საესებით ჩამოყალიბებულ ინტელიგენტთან, რომელით მთელი არსებითაა ჩაბმული საუკუნის მიწურულის მწვავე იდეოლოგიურ ბრძოლაში და თავისი ცოდნა-განათლებით თუ არ სჭარბობს, არავის ჩამოუვარდება თანამოკალმეთაგან. ეს, როგორც ჩანს, თვითონაც კარგად ჰქონდა შეგნებული, როცა მებრძოლი-პოლემისტის ვნებიანობით სწერდა ერთ-ერთ ადრესატს, ანასტასია წერეთლისას:

„ჩემი სტატიის „ძველი თუ ახლის" დაჩქარებით დაბეჭდას

გთხოვ. მოთხრობა „ჩვენი ქვეყნის რაინდის“ დასრულებამდე თუ ის სტატია დაუბეჭდავი დარჩა, მაშინ ძლიერ დაგვიანებული იქნება. ძლიერ საინტერესოა გაიგოთ, რა ფაქტებსა და მოსაზრებებს დაუყენებენ წინ ჩვენი კავაზიპატრიოტები ჩემს სტატიას? მე რომ „მოამბის“ პროგრამა და შინაური და უცხოეთის ქრონიკები წავიკითხე!: ღმერთო ჩემო! ასე გეგონებათ, ამ კაცებს საფრანგეთის პირველ რევოლუციას აქეთ ფაქტების, მიმართულებანის, კლასების, დასების და სხვების, რომლებიც ევროპაში გაჩნდნენ და მომდინარეობდნენ, ამბათაც კი არა გაუგიათ რაო. პოლიტიკური ეკონომიის ხომ, მგონია, ადამ სმიტის გარდა, არა წაუკითხავთ რა ამ საგანზე

„ივერია“ ხომ ადგია და ადგია რეაქციის გზას. ამ უკანასკნელ დროს მისგან არც არაეინ მოელოდა უკეთესს.

ერთის სიტყვით, ჩვენ ქვეყანაში აზროვნებას სძინავს და მხოლოდ ხანდახან, ბოდვასავით ნაჭერ-ნაწყვეტად წამოიძახებს იმას, რაც უკვე ნახევარი საუკუნეა საზროვნო არხიში არის გადადებული. ამიტომ საჭიროა რომელიმე სამწერლო ორგანომ ვალად ჩასთვალოს ჩვენ ქვეყანაში აზროვნების გამოფხიზლება. შარშან ეტყობა, რომ „კვალი“ არ გაურბოდა ასეთ მოვალეობას, ის არ უშინდებოდა კავაზიპატრიოტების საყვედურებს. წლეულსაც, იმედია, „კვალი“ არ უმუხთლებს თავის ვალს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჭეშმარიტების გამორკვევისათვის დავა და პოლემიკა აცოცხლებს და საინტერესოს ხდის გაზეთს, ანუ ჟურნალს და არამც და არამც არ აფრთხობს საზოგადოებას მისგან (გაზეთისგან), როგორც ეს ჩვენში ბევრს ჰგონია. ადრე თუ გვიან, ჭეშმარიტებას უფრო ბევრი თაყვანისმცემელი ეყოლება, მანამ დღეს ჩვენ ქვეყანაში მოწონებულს სოფიზმებს და დამყაყებულ აზრებს.

მე ამ უკანასკნელ დროს ფიზიკურად ძლიერ დავსუსტდი, მაგრამ ამისი კი სრული იმედი მაქვს, რომ ჩემი აზრი, რომელსაც კი ბეჭდვით გამოვთქვამ, ფაქტებითაც დავამტკიცო. ჩვენს კავაზიპატორებთან საბრძოლველად ჯანიც მეყოფა, სწავლაც და ფაქტებიცა. ამათი ცრუაზროვნების გამოაშკარავებას ბევრი არა უნდა რა“.

აქ ცოტა უფრო დეტალურად მოგვიწევს შეჩერება:

მოყვანილი ნაწყვეტი ბარათისა რამდენიმე თვალსაზრისით არის საყურადღებო: პირველი იმით, რომ ჩვენ გვესაუბრება ერუდირებული, იმ დროისათვის აქტუალურ საკითხთა გულისგულში ღრმად ჩახედული ინტელიგენტი, რომელიც საკმაოდ დგას ევროპული აზროვნების დონეზე.

გარდა ამის, დიდ ინტერესს იწვევს ეგ. ნინოშვილისაგან ილიასეული „ივერიის“ არც თუ სახარბიელო კონტექსტში

მოხსენიება. ცნობილია, რომ ეგ. ნინოშვილი, როგორც მწერალი, როგორც მხატვარი, ვერ გაემიჯნა ილიას სკოლის პროზას და მის მოთხრობებში, ხან აშკარად, ხანაც ნაკლებსახილველად, ირეკლება XIX საუკუნის ქართული პროზის მამამთავრის გავლენა.

ჩვენს კრიტიკაში მკაფიოდ არის აღნიშნული, რომ ტარიელ მკლავაძე დათიკოს ჩამომავალია, სიმონა შორეულად ენათესავება გაბრიელს, ხოლო ქრისტინეს „წინაპრად" შეიძლება ილიასაევე თამრო ჩაითვალოს. უფრო მეტიც: ეგ. ნინოშვილის, გამოსახვის საშუალებათა თვალსაზრისით ახალი არაფერი შემოუტანია ქართული პროზისათვის და იგი მთლიანად იყენებს ილიას პროზის მონაპოვარს ხშირად არცთუ დიდი წარმატებით. ასე რომ, ეგ. ნინოშვილს ილიასი, როგორც მხატვრისა, პრინციპულად საწინააღმდეგო არაფერი უნდა ჰქონოდა და არცა ჰქონია. მაშ, რაღას ნიშნავს ამ უკანასკნელის მიერ გამომწვევად ნასროლი ფრაზა „ივერია" ხომ ადგია და ადგია რეაქციის გზასო?"

საიმდროოდ ეგ. ნინოშვილს „კვალში" უკვე გამოქვეყნებული აქვს ორი პუბლიცისტური წერილი: „ძველი დავა ახალ ქერქში" და „უებარი საშუალება საქართველოს გამდიდრებისათვის" და, თუ სტილის თვალსაზრისით მხატვარ ნინოშვილს არა ჰქონდა რა საკამათო მხატვარ ჭავჭავაძესთან, სამაგიეროდ, პუბლიცისტი ნინოშვილი მთელი სიგრძე-სიგანით უპირისპირდებოდა ილიასა და მისთა მოდასეთა ნააზრევს.

ეგ. ნინოშვილი იყო ერთ-ერთი პიონერთაგანი საუკუნის მიწურულის ახალი საზოგადოებრივი აზრისა. მან პირველთაგანმა სცადა ქართულ სინამდვილეში მარქსიზმით აეხსნა ცხოვრებისეული მოვლენები. ამიტომაც მოგვიანო „კვალელთა" და ეგ. ნინოშვილის მიმართულება სავსებით მიესადაგება ერთმანეთს. ამიტომაც დაუკავშირდა „III დასის" საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოჩენა ეგ. ნინოშვილის სახელს. 1894 წლის 8 მაისი, უდროოდ გარდაცვლილი ეგნატე ნინოშვილის დაკრძალვის დღე, როგორც ცნობილია, გადაიქცა ახალგაზრდა ქართველ მარქსისტთა საპროგრამო დღედ. „კვალი" მიესალმა ამ მოვლენას და უწოდა მას ისტორიული ხანის დასაწყისი საქართველოს საზოგადოებრივ მოძრაობაში.

„ერთი რამ შესანიშნავი მოვლენა აღმოჩნდა ეგ. ნინოშვილის დასაფლავებაზე, წერდა გიორგი წერეთელი, მის კუბოს გარს შემოკრბენ, ასე ვთქვათ, მესამე დასი ახალგაზრდობისა, ე. ი. სულ უკანასკნელი წლების თაობა, რომელნიც გამოსულან ასპარეზზე მეოთხმოცდაათე წლებიდან. ნამდვილი ამათი მოთავე, ამათი სახელი და იმედი ყოფილა ეგ. ნინოშვილი, რომლის

ნაწერებშიც ბრწყინავს ამ მესამე დასის ახალგაზრდობის სულის მისწრაფება და მათი მოქმედების პროგრამა მომავალში" (იხ. „კვალი", 1894, მაისის 15, ხელმოწერა: „დამსწრე").

წინამდებარე ნაშრომი მიზანს არ შეადგენს წამოჭრილი საკითხების ჩაღრმავებული კვლევა. ეს აგვაცდენდა დასახულ ამოცანას. აქ მხოლოდ გაკვრით უნდა აღინიშნოს, რომ განსული საუკუნის მიწურულისა და 900-იანი წლების ქართული ლიტერატურის წინაშე ბუნებრივად წამოიჭრა მოთხოვნილება, რათა თავის ფურცლებზე ადგილი დაეთმო ე. წ. ახალი ტიპის ინტელიგენციისათვის, რამეთუ ეს ინტელიგენცია ქართული საზოგადოებრივი აზრის მდინარების ახალ ასპექტებს განასახიერებდა.

ეგ. ნინოშვილი გამახვილებული თვალისა და სმენის მწერალი იყო და სწორედ მას ერგო წილად ყოფილიყო პირველი ამსახველი დაბალი სოციალური წრიდან გამოსული ინტელიგენტებისა.

ეს ინტელიგენტები, კლასობრივი თვალსაზრისით გამოირჩევიან, რითაც უპირის-პირდებიან ილიას და ბარნოვის საერთო-სახალხო ინტერესებით მოქმედ ინტელიგენტებს.

თავისი ბიოგრაფიითაც, რომელიც სილუეტურად იყო წარმოდგენილი, და თავისი მრწამსითაც, ეგ. ნინოშვილი თვითონვე განასახიერებდა ახალი ტიპის ინტელიგენციას.

„ხომ გინახავთ ფრთებდაჭრილი ფრინველი, რომელიც აღმა-დაღმა გასაფრენად იწევდა, მაგრამ ძალი კი არ შესწევდა? სწორედ ამ ფრთებმოჭრილ ფრინველს ჰგავს ჩემი წადილიც: გულს სწყურია, ენატრება სწავლა-განათლების შეძენა, ჟენევა-პარიჟის თავისუფალი ცხოვრების შეხედვა, მაგრამ ღონე და გარემოება არ შემწევს, ეგ წადილი განვახორციელო. ვინ იცის, იქნება როდისმე თუ არა ისეთი ბედნიერი შემთხვევა, ისეთი ბედნიერი დრო, როცა მე პარიჟი, ჟენევა და სხვა მისთანა თავისუფლების სამშობლო ქალაქები ვნახო, თავისუფლების ჰანგებით სავსე „მარსელიოზა" გავიგონო!"

ამ სიტყვებში ერთგვარად დაკრისტალებულია ყოველივე ის, როგორც ცხოვრობენ და რითაც ცხოვრობენ ეგ. ნინოშვილის ინტელიგენტი პერსონაჟები. არ იქნება გადაჭარბება, თუ ვიტყვით, რომ აქვეა საძებნი ჭ. ლომთათიძის ინტელიგენტთა სათაესაც. მაგრამ ამაზე - ქვემოთ.

* * *

ქრონოლოგიურად „ჯანყი გურიაში" ეგ. ნინოშვილის პირველ ნაწარმოებად ითვლება. ასეთი ვრცელი და რთული რომანი ახალგაზრდა, 29 წლის კაცს დაუწერია 1888-1889 წლებში.

რომანის წერა ავტორს დაუწყია თავის სამშობლო სოფელში და იქვე დაუსრულებია. მართალია, სამჯერ გადაუწერია კიდეც, მაგრამ მაინც სრულყოფილად არ მიუჩნევია და თავის სიცოცხლეში აღარც გამოუქვეყნებია: როგორც ჩანს, აპირებდა კვლავ დაბრუნებოდა მას. ნაწარმოების ხუთი თავი „სამწუხარო შედეგის“ სათაურით, პირველად „კვალში“ დაიბეჭდა 1902 წელს, №1-9. შემდეგ მისი ბეჭდვა აკრძალულ იქნა ცენზურის მიერ. მთლიანად ეს რომანი კ. თავართქილაძემ გამოსცა 1904 წელს, ეგ. ნინოშვილის ნაწარმოებთა სრულ კრებულში.

პროფ. ს. ხუნდაძემ, თავის დროზე დეტალურად გამოარკვია, თუ რა წერილობითი წყაროებით სარგებლობდა მწერალი ამ ისტორიულ რომანზე მუშაობისას. გარდა ამისა, ეგ. ნინოშვილს უნდა გამოეყენებინა იმ დროისათვის ჯერ კიდევ ცოცხლად არსებული ზეპირი ცნობები, რომელიც აჯანყების უშუალო მონაწილეებისა, ან მათი ნაცნობებისაგან მიუღია.

იქნებ არ არის მთლად შემთხვევითი ის ფაქტი, რომ ეგ. ნინოშვილმა მწერლობა „ჯანყით“ დაიწყო. როგორც ჩანს, იგი იმთავითვე მშვენივრად მიხვდა: 1841 წლის გურულების ამბოხი ძალზე მარჯვე მასალას შეიცავდა საკუთარი სოციალური თუ პოლიტიკური კონცეფციების გადმოსაშლელად. თუმცაღა ისიც უნდა ითქვას, რომ ეგ. ნინოშვილი კარგად იცავს, როგორც ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას, ისე ისტორიულ კოლორიტს, რეალურად არსებული პიროვნებების ამბაკო შალიკაშვილის, ათარმიზა თოიძის, როსტომა მეჯიხურის, პეტრია მჭედლის, გენერალ ბრუსილოვის, ჰასან-ბეგ თავდგირიძის გვერდით ავტორს გამოჰყავს შეთხზული პერსონაჟები გულო, მანა, სიმონი, ბესია და სხვები, რომელთაგან ამჟამად ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა რომანის ერთი ცენტრალურ პერსონაჟთაგანი ინტელიგენტი გიორგი, რომელიც გ. ქიქოძის სიტყვებს თუ გავიმეორებთ, „უფრო ავტორის იდეების განხორციელებას წარმოადგენს, ვიდრე რეალურ ტიპს.“

ჩვენ უნდა ახლოით განვიხილოთ გ. ქიქოძის ეს ძალზე პრინციპული ხასიათის დებულება და, ან მივიღოთ, ან უარვყოთ იგი. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, დაგვჭირდება ექსკურსი გიორგის „ბიოგრაფიაში“.

თუ გიორგის ბიოგრაფიის ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გადმოცემას განვიზრახავთ (რომანში მისი ბიოგრაფია რეტროსპექციით გეეძლევა), დაახლოებით ასეთ სურათს მივიღებთ:

...მებატონე №-მა და მისმა მეუღლემ, გადაწყვიტეს შვილად აეყვანათ მათივე შინაყმის ვარსკელავისას „ცოდვის ნაყოფი“

გოგი, ანუ გიორგი. ეს განზრახვა მით უფრო საფუძვლიანი იყო, რომ თავადებს ვაჟები დაეხოცათ და ერთი ქალიშვილის - გულოს ამარა დარჩნენ. ხოლო „ერთი ქალი როგორ შეიძლებდა მოვლას და პატრონობას იმდენი ყმა და მამულისა, რამდენისაც იყო თავადი №? მერმე კიდევ, სანამ ეს ქალი სრულწლოვანი შეიქნებოდა, თავადი და მისი მეუღლე ძლიერ მოხუცდებოდნენ. მეტი გზა არ იყო, თავადს და მის მეუღლეს უნდა ეშვილებინათ გლეხის „უკანონო“ შვილი გოგი“

ამის შემდეგ, გიორგი ჯერ თბილისში, ხოლო შემდეგ რუსეთს გაემგზავრა სწავლის მისაღებად. „თავადი № მხოლოდ ხანდახან ღებულობდა მისგან წერილს, რომლიდანაც ჩანდა, რომ გიორგი რუსეთში იყო და უნივერსიტეტში სახელმწიფო ხარჯით სწავლობდა“. წლები გადიოდა, გიორგი არსად ჩანდა, რამაც თავადს ასეთი მწარე სიტყვები ათქმევინა მისი მისამართით: „ნუ დაუყრი ღორს მარგალიტსო, რომ იტყვიან, მართალი ყოფილა. გოგოს შვილი გავათავადეთ და ამის სამაგიეროდ აგი გვიქნა, სიბერის დღეს თვალითაც არ გვნახა“. როგორც ვხედავთ, თავადს სულაც არ დავიწყნია გიორგის პლებეური წარმოშობა.

მაგრამ აი, პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის კურსდამთავრებული, „ნიჭით საესე გიორგი“ სამშობლოს და ოჯახს უბრუნდება. გავიხსენოთ: უმაღლესში ნასწავლი და დაბრუნებული ახალგაზრდა ინტელიგენტის მოდელი ჩვენ უკვე არაერთხელ განვიხილეთ. ბრუნდებიან ეს ინტელიგენტები საქართველოში და პრაქტიკული მოღვაწეობის ამა თუ იმ სფეროს ირჩევენ (ან ვერ ირჩევენ). გიორგი? გიორგი რაღას აკეთებს? სამწუხაროდ, რომანის მხატვრული ქსოვილი ჩვენ არ გვაძლევს საშუალებას, მკაფიოდ გავითვალისწინოთ გიორგის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების მომენტები. არ ვიცით, რატომ, რა მიზეზით აზროვნებს იგი ასე, და არა სხვაგვარად. საერთოდაც, გიორგი არ მიეკუთვნება რომანის ყველაზე ოსტატურად მოხაზულ მხატვრულ სახეთა რიცხვს - აქ საკმაოდ იგრძნობა ნაჩქარეობისა და კონსპექტურობის კვალი, მაგრამ ამის მიუხედავად, გიორგის ეროვნულ-სოციალურ იდეალებს გვარიანი სისრულით ვეცნობით. რაც შეეხება სამიჯნურო ურთიერთობებს გულოსთან, პრინციპულად ახალი არაფერი შემოაქვს გიორგის შინაგანი არსის გასაცნობად. მთელი ეს ისტორია ხელოვნურ იერს ატარებს და სუსტად არის დაწერილი.

რომანის სამოქმედო ასპარეზზე გიორგი სწორედ პეტერბურგიდან ჩამოსვლის შემდეგ გამოდის. აჯანყებული გლეხები, მას, ვითარცა განათლებულ კაცს, რჩევის საკითხავად ეწვევიან

შუაღამეზე. გლეხობას რუსეთის წინააღმდეგ მოუკიდნია იარაღისათვის ხელი, რამეთუ: „უნამუსობა, ლოთობა, ბოზობა, ქურდობა და რა ვიცი, ვინ მოსთელის, ათასი სხვა, შემოიტანეს ჩვენში. ერთი ოცი-ოცდაათი წელი კიდევ რომ დააგვიანდეს, ჩვენს ქვეყანას ველარც იცნობ. აქამდი, მართალია, ყველამ მოვითმინეთ, ენა კბილით გვეჭირა, მარა დღეს ნამეტანი დაგვემართა და მოთმინება გაგვიწყდა, ან ჩვენ უნდა ვიყოთ ამ ქვეყანას, ან იგინი, ასე იძახის დღეს მთელი გურია“ (ე. ნინოშვილი, გვ. 18).

გიორგი რაკიღა დარწმუნდა, რომ ხალხი მართლაც იარაღით ხელში ბრძოლას აპირებს, საჭიროდ მიიჩნია, რომ საკუთარი საზრისი ამის თაობაზე, პირდაპირ, დიპლომატიური სვლების გარეშე, ვითარცა პატიოსან ინტელიგენტს შეჰფერის, გამოეთქვა.

გიორგის ნააზრევი ჩვენთვის მრავალმხრივ არის საყურადღებო და ამიტომ მომყავს მთლიანად:

„ სწორეთ გითხრათ, ყურებს ვერ ვუჯერებ! - დაიწყო გიორგიმ კარგა ხნის ჩაფიქრების და მდუმარების შემდეგ: ჯანყი, ანუ ხალხის არეულობა, ესეთი ხელწამოსაკრავი საქმე არ არის. მართალია, ზოგიერთ შემთხვევაში ჯანყი ხალხის ბედნიერების მომასწავებელია, მაგრამ, სამაგიეროდ, უგუნური აჯანყება სრულიად დაღუპავს ხალხს. ნუ გეწყინებათ, რაც კი ამის შესახებ მოგახსენოთ, რადგანაც აჯანყება ასეთი საქმეა, რომ არ შეიძლება განუსჯელად ემორჩილებოდეს ერთის, გინდა ასი კაცის წადილს. ის საერთო საქმეა, იმის შესახებ დიდიან-პატარამდე ყველას აქვს ხმა, ყველას უდევს წილი. ამ შემთხვევაში, მე ვალად მადევს, რაც შემიძლია, რასაც მიეხვდები, პირუთნელად აღვიარო.

მე ამას ვიტყვი, რომ ვინც ჩვენს ხალხს რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებას ურჩევს, იმას ჩვენი ქვეყნის დაღუპვა მოუწადნია. ან, რომ თქვას კაცმა, რა გვაქვს ჩვენ რუსეთთან სასაყვედურო? მე მგონია, ჩვენში ბევრმა კარგად იცის, რომ ჩვენი ქვეყანა რუსეთს ომით და ძალადობით არ დაუპყრია. არამედ ჩვენი რუსეთთან შეერთება მოხდა ჩვენივე სურვილით. ჩვენი ქვეყანა შეერთდა რუსეთთან იმიტომ, რომ ჩვენში უგუნური, არამზადა მთავრებ-მეფეების ურთიერთშორის ჩხუბებით და ცარცვა-ღლეტის გამო სრულიად დაუძლურებული ვიყავით და მოველოდით, აი დღეს, აი ხვალ აგვიკლებს სპარსი, ოსმალი, ლეკი და სხვა ბარბაროსი ხალხიო. რა რომ რუსეთს შევუერთდით, მას შემდეგ ამ მხრივ სრულად უშიშარნი შევიქენით. შესაძლებელია, დღეს ჩვენთვის უმჯობესი იყოს, რომ ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებელი შეიქმნებოდეს, მაგრამ სამაგიეროთ იმას კი აღარ ბრძანებთ, თუ რა ვიქნებოდით

აქამომდე, რუსეთს რომ ჩვენთვის პატრონობა არ გაეწია? დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ჩვენ ვიქნებოდით მაშინ ბარბაროსი ოსმალეთის, ანუ ეგრეთვე ბარბაროსი სპარსეთის ყურმოჭრილი ყმა, მხოლოდ რუსეთმა დაიხსნა ჩვენი ქვეყანა ამ უბედურებისაგან. ეს ყოველივე უნდა ვიქონიოთ სახეში და ცალმხრივ მსჯელობა აღარ მოგვივა. რაც შეეხება იმას, რომ გლეხკაცობა ცუდ მდგომარეობაშია, ცალკე თავადაზნაურობა იმსახურებს და ცალკე მთავრობაო, ამას თუ ბრძანებთ, ამისი მეც თანახმა ვარ. არც ერთ რიგიან სახელმწიფოში, გარდა რუსეთისა, ბატონყმობა აღარ არსებობს. ასე გასინჯეთ, თვით გაუნათლებელ ოსმალეთშიაც კი მოსპეს ეს სამარცხვინო და საზარელი სენი ადამიანის მონობა. მაგრამ ამასთან ვიტყვი, რომ დღეს რუსეთშიც ძლიერ გაცხარებული ლაპარაკი და მოქმედებაა მონობის დარღვევის და გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. საუკეთესო კაცები ამისი მუშაკნი და მომხრენი არიან. იმედია, ადრე თუ გვიან, აღსრულებული იქნება ეგ სამართლიანი წადილი, ესე იგი, რუსეთშიც მოენიჭება გლეხკაცობას თავისუფლება. რა თქმა უნდა, რომ მაშინ ჩვენ გლეხკაცებსაც ეშველება და გადაეგდება კისრიდან მონობის უღელი. ამის შემყურადე უნდა ვიყვეთ, თორემ მეტი რა გზა გვაქვს? თუნდაც რომ ძალიან აჯანყდეს ჩვენში ერთი მუჭა ხალხი, რას გახდება რუსეთის მრავალრიცხოვან, ომში გავარჯიშებულ ჯართან? მგონია, დიდი გონიერება არ უნდა, რომ კაცმა დაინახოს ჩვენი უძლურება: ჩვენ არც ჯარი გვყავს, არც ფული გვაქვს, არც თოფ-ზარბაზნები და ტყვია-წამალი. ამასთან, გარდა დაუძლურებული სპარსეთისა და ოსმალეთისა, რომლებიც ისე გვიყურებენ, როგორც წიწილას ქორი, ჩვენ ქვეყანას არ იცნობს ხეირიანი სახელმწიფო. რაღა ბევრი განვაგრძო, თუნდაც რომ ძალიან მოვიწადინოთ და სასურველიც იყოს, თუ რაიმე უცაბედმა შემთხვევამ არ მოუმართა ხელი, ჩვენ ქვეყანას არ შეუძლიან რუსეთისაგან გამოცალკევება...

ჩვენი გლეხკაცობა უნდა იყვეს შემყურადე რუსეთისა და უნდა მოელოდეს იმავე ბედს, რასაც რუსეთის გლეხკაცობა. ვინიცობაა, რუსეთში გლეხკაცობამ ნებაყოფლობით ვერა რა გამოიტანოს და აჯანყდეს, მაშინ, რა თქმა უნდა, ჩვენი გლეხკაცობაც ვერ გაჩერდება გულხელდაკრეფილი, მიხედავს რუსეთის მაგალითს და იომებს თავისუფლების მოსაპოვებლად" (ეგ. ნინოშვილი, გვ. 19-20).

რა არსებითი პუნქტების გამოყოფა შეიძლება გიორგის ამ ვრცელი სიტყვიდან?

1. ვინც რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებას გირჩევთ, იგი ხალხის მტერია.

2. რუსეთმა ძალით როდი დაგვიპყრო, არამედ ჩვენი ნებით შეეუერთდით მას, რადგან:

3. ჩვენი მეფე-მთავრები უტვინოები და არამზადები იყვნენ და მხოლოდ პირად სარგებლობაზე ფიქრობდნენ.

4. საქართველო რუსეთმა გადაარჩინა და ამიტომ რუსეთს კი არ უნდა ვებრძოლოთ, არამედ დიდ სოციალურ სატკივარს ბატონ-ყმობას.

5. მაგრამ ბატონყმობასთან განმარტოებულად ბრძოლითაც ვერას გავაწყობთ, თუ არ შეეუერთდით რუსის გლეხობას. სწორედ იგია წარმმართველი ძალა და ამიტომ „ჩვენი გლეხკაცობა უნდა იყოს შემყურადე რუსეთის გლეხობისა".

აქ, როგორც იტყვიან, ყველაფერი თავდაყირაა დაყენებული. სადღაა ლელთ ღუნიას ნათქვამი და ინტელიგენტი მგზავრისაგან სულის სიღრმემდე გაზიარებული „ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნესო", ან კიდევ ელისბარის („აჩრდილი სიკვდილისა") მშვიდობიანი სოციალური პროგრამა, სადაც ერთი მთავარი პუნქტი ისიცაა, რომ „ყველა ქართველისათვის უპირველესი ამოცანაა დაცვა და შენახვა სამშობლოისა მოყვრულად მოსული მტრისაგან".

ინტელიგენტი გიორგი სასტიკ ბრძოლას უცხადებს ყოველივე ამას. თანაც, არა მხოლოდ სიტყვით, არამედ საქმითაც. უნდა ითქვას, რომ გიორგის ნააზრევი დიახაც გვახსენებს, და გვარიანადაც გვახსენებს 90-იანი წლების ქართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიის თაყვანცემულთა ნააზრევს.

თავის დროზე პროფ. ს. ხუნდაძემ სწორედ შენიშნა ეს. მერმე მისი დაკვირვება გაიზიარა ქართულმა საზოგადოებრიებმა აზრმა, პროფ. ა. მახარაძის გამოკლებით, რომელიც 1965 წელს გამოცემულ „ნარკვევებში ქართული ლიტერატურის ისტორიიდან", წინ აღუდგა ამ საყოველთაოდ მიღებულ თეზისს. იგი წერს:

„ჩვენ სამეცნიერო და კრიტიკულ ლიტერატურაში გაბატონებულია აზრი, რომ შეუძლებელია 1842 წლის გურიის გლეხთა აჯანყებასთან დაკავშირებული ყოფილიყო ისეთი მოაზროვნე ინტელიგენტი, როგორიც არის გიორგი. მათი აზრით, გიორგის პიროვნებაში ეგ. ნინოშვილმა თავისი ეპოქის (XIX საუკუნის 90-იანი წლების) იდეებით შეიარაღებული ინტელიგენტი განასახიერა. ლიტერატურათმცოდნეობის დღევანდელ საფეხურზე ეს ტრადიციული გაგება კრიტიკას ვერ უძლებს" (ა. მახარაძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. III, განათლება, 1965, გვ. 316).

სამწუხაროდ, პატივცემულ პროფესორს არცერთი საბუთი არ მოუხმია თავისი მოსაზრების დასამტკიცებლად. ლიტონი

განცხადებით მიღებული და განმტკიცებული აზრის დარღვევა კი ვაი თუ არ მოხერხდეს.

განა ცხადი არ არის, რომ ეგნატე ნინოშვილმა თავის რომანში გამოიყენა საყოველთაოდ გავრცელებული ხერხი, რომელიც არაერთხელ გამოუყენებიათ სხვადასხვა დროისა და ქვეყნის მწერლებს: პერსონაჟს (ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს მწერლისეული ფანტაზიის ნაყოფია იგი თუ რეალურ-ისტორიულად არსებული). ავტორი მიაწერს ამ აზრებს და იდეებს, რაც ყველაზე აქტუალურია, როგორც ეპოქისათვის, ისე თვით მწერლისათვის. შეუძლებელია, რომ ე. ნინოშვილი, დროის კონკრეტული პრობლემებით აგრე დაძაბულად დაინტერესებული მწერალი, მეოცე საუკუნის 40-იანი წლების ქართველი ინტელიგენტის მოდელის სიზუსტით წარმოჩინებაზე გაცდენილიყო. საამისო მას არც დრო ჰქონდა და არც სურვილი. იგი ესწრაფვოდა, ზოგადად მაინც მოეხაზა საქართველოში ახლადჩასახული პროლეტარიატის მომავალი სამოქმედო პროგრამა. ამოიღეთ გიორგის ვრცელი ციტატიდან სიტყვა „გლეხი“ და მის მაგივარდ ჩასვით „მუშა“, თქვენ მიიღებთ საუსებით ჩამოყალიბებულ თვალსაზრისს სოციალურ და ეროვნულ საკითხებზე, კლასთა ბრძოლაზე საერთოდ, რაც შემდგომში მთლიანად იქნა გაზიარებული „III დასის“ პუბლიცისტების მიერ. ვინც თავს შეიწუხებს და „კვალის“ ნომრებს გულისყურით გადაათვალიერებს, მისთვის განმარტების გარეშეც ნათელი იქნება ნათქვამის სისწორე. ასე, რომ ჩვენს სამეცნიერო და კრიტიკულ ლიტერატურაში იმთავითვე სწორად გამოთქმული აზრი ეგ. ნინოშვილის შეგნებულად დაშვებული ანაქრონიზმის თაობაზე, ძალაში რჩება და მისი რევიზიის ცდა, „ლიტერატურათმცოდნეობის დღევანდელ საფეხურზე“, მართლაც რომ ვერ უძლებს კრიტიკას.

მივყვეთ კვლავ გიორგის „ბიოგრაფიას“:

მოჯანყეების წასვლის შემდეგ გიორგი დიდ საგონებელი ჩავარდა. მან დაუფარავად, პატიოსნად თქვა, რომ არ იზიარებდა ჯანყის მიზანდასახულობას, ისიც აშკარად დაინახა, რომ მოჯანყეებმა სულაც არ გამოხატეს აღტაცება მისი სიტყვის მოსმენით. რაღა დარჩენოდა ამის შემდეგ? არ იქნებოდა უცნაური, თუ ვიტყოდით: ხელის დაბანა და განზე გადგომა! ასე მოიქცეოდა ბევრი, მაგრამ არა ყველა! და სწორედ აქ არის საძებნი გიორგის, როგორც პიროვნების მნიშვნელოვნების წყარო. აი, რას ფიქრობს იგი:

„არა, არ შემიძლიან ამას შორიდან გულგრილად ვუყურო. მე ვურჩევ ხალხს, რომ ეგეთი უგუნური და დამღუპველი განზრახვა უარჰყონ. და თუ ეგ ვერ მოვახერხე, იმ შემთხვევაში ყოველ

ღონისძიებას ვიხმარ, რომ ჯანყის მიზანი შესცვალონ, ესე იგი, ჩვენმა ხალხმა რუსებს კი არ გაუწიონ წინააღმდეგობა, არამედ მონობას. დიახ, გლეხკაცობის განთავისუფლება, მისი მდგომარეობის გაუმჯობესება უნდა ჰქონდეს მიზნად აჯანყებას და არა რუსების განდევნა“ (ეგ. ნინოშვილი, გვ. 31).

ესაა უაღრესად მნიშვნელოვანი განცხადება, რომელიც საქმითაა დამტკიცებული! გიორგი გულმხურვალე მონაწილეობას ღებულობს ჯანყში და მის სამსხვერპლოზე მიაქვს ყველაფერი საპირადო, ბოლოს თვით სიცოცხლეც კი.

შეუერთდა გიორგი აჯანყებულებს და მათი ერთ-ერთი თაეკაცი გახდა. ამის შემდეგ მთელი მისი მოღვაწეობა იქით წარიმართა, რომ აჯანყება ეროვნულის ნაცვლად, სოციალური მიზნებით აღჭურვა.

მაგრამ სათანადოდ მოუმზადებელი და გაუთვითცნობიერებელი ხალხი რომ ბრბოა, კარგად იცის გიორგიმ. იგი სათავეშივე გრძნობს ტრაგიკული ფინალის სიახლოვეს, თუმცა მოქალაქეობრივი ეთიკა უფლებას არ აძლევს განზე გაუდგეს აზავთებულ სტიქიას.

„რუსეთში რომ ვიყავი, ამბობს გიორგი, სტუდენტებს ხშირად გექონდა ხალხის მდგომარეობის შესახებ ლაპარაკი. ყველას გული გეწყოდა იმისი ცუდი მდგომარეობის გამო, ყველას გეწყადა რამე შველა მიგეცა, ვინ მოსთვლის, რა და რა საშუალებებს არ დაეძებდით ამისთვის. როცა ხალხის აჯანყებაზედ ჩამოვაგდებდით ლაპარაკს, ერთი ჩვენი ამხანაგი, რომელიც კარგა დაახლოებით გაცნობილი იყო რუსეთის დაბალ ხალხთან, მაშინვე იტყოდა: თქვენ ჩვენი გაუწერთნელი ხალხი სანდო ნუ გგონიათ. ჯერ ჩვენმა ხალხმა არ იცის, სად როგორ უნდა მოქმედება. ის, სადაც საჭირო არ არის, თაეშეუმაგრებელი ჯიუტი საქონელივით აწვება და ალეწს თავის ძალ-ღონეს, სადაც საჭიროა, იქ კი გიმუხთლებს და ხელს არ გაანძრევს. ამას გარდა, ხალხი ადვილად მოსატყუებელი და მოსარიგებელია იმის მხრით, ვის წინააღმდეგაც ის აჯანყებულია. მაშინ იმ ჩვენი ამხანაგის აზრი ხალხის შესახებ სიმართლე არ მეგონა, დღეს კი ვხედავ, რომ ჭეშმარიტება ყოფილა“ (ეგ. ნინოშვილი, გვ. 106).

მაშასადამე, სანამ ხალხი შეიძლებდეს ქვეყნის ცხოვრებაში რადიკალური, სოციალური და პოლიტიკური ცვლილებების მოხდენას, საჭიროა მისი გაწვრთნა, განათლება, თვითშეგნების ამაღლება და მონოლითურ კოლექტივად დარაზმვა. საჭიროა ხალხმა იცოდეს: ვის ებრძვის და რატომ ებრძვის. და რადგანაც გურულ მოჯანყეებს სწორედ ასეთი მიზანსწრაფულობა აკლდათ (მიუხედავად გიორგის დიდი მცდელობისა!), მარცხი იმთავითვე იყო საგულვებელი.

ეს მშვენივრად იცის გიორგიმაც.

იგი პირველი რევოლუციონერია ქართულ მწერლობაში. გაიცლის ამ რომანის დაწერიდან სულ რაღაც ოცი-ოცდახუთი წელი და ცხოვრებაშიც და ლიტერატურაშიც მოვლენ გიორგის „ჩამონავალნი“, ინტელიგენტი რევოლუციონერები რომლებიც თავიანთი „მამისაგან“ განსაკუთრებულ რადიკალიზმითა და ბრძოლის დაუოკებელი წყურვილით განსხვავდებიან. მანამდე, კი, გიორგი პირველი ინტელიგენტია, რომელმაც ჯანყის საქმეს შესწირა თავი.

მრავლისმეტყველია რომანის ეპილოგი:

მთავრობისაგან დევნილი გიორგი იძულებულია თურქეთში გაიქცეს. აქ მას შეიპყრობენ, როგორც რუსეთის „შპიონს“ და „სამი წამის განმავლობაში შეუბრალებელმა ჯალათმა, გიორგის გააგდებინა ნიჭით სავსე, ხუჭუჭთმიანი, ლამაზი თავი“.

მართალია, ესთეტიურის თვალსაზრისით გიორგის მხატერული იერსახე ვერ მოჰგვრის დიდ სიამოვნებას გემოგახსნილ მკითხველს, იგი ბოლომდე დაუმუშავებელი და, აქედან გამომდინარე, საკმაოდ უფერულიცაა, მაგრამ მის მიერ წარმოთქმული აზრები სოციალურ თუ ეროვნულ პრობლემებზე, რომელთა უკანაც აშკარად იგრძნობა თვით ავტორის ენებიანი, პოლემიკური სული, განსაკუთრებული რელიეფურობით გამოირჩევა.

არ დაგვავიწყდეს, „ჯანყი გურიაში“ მაშინ იწერებოდა როდესაც, ილია ჭავჭავაძეს ჯერ კიდევ მტკიცედ ეპყრა ხელთ ერთობლივი საქართველოს აზრთა მეუფის საჭე. და იგი, ილია, დაუცადებლად მოაგონებდა ერს: 1. ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდესო და 2. წოდებათა შორის ჩატეხილი ხიდის გამთლიანებაა საჭირო, თუკი გვინდა, რომ ერის დაწყლულებული სხეული განიკურნოსო.

აი, სწორედ ამ დროს, ახალგაზრდა კაცი, 29 წლის ეგნატე ნინოშვილი, ქმნის მხატერულ სახეს ინტელიგენტისას, რომელიც საფუძველშივე უპირსპირდება ილიას ინტელიგენტებს - როგორც წარმოშობით (გიორგი გლეხის შვილია, ნაშვილები თავადისაგან), ისე სოციალური და ეროვნული მრწამსით. იგი გადაჭრით ამბობს: ის კი არაა მთავარი, რომ ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს, არამედ ის, რომ მჩაგვრელთა უღელი გადავიგდოთ ქედიდანო. გიორგისთვის არავითარი გზები არ არსებობს „ჩატეხილი ხიდის“ გამთელებისა, იგი შეურიგებელი ბრძოლის მომხრეა მოპირდაპირე წოდებასთან. ასე რომ, გიორგი სოციალური და ეროვნული პრობლემების მოგვარების სულ სხვაგვარ საშუალებებს გვთავაზობს.

ეს ხომ ასეა, მაგრამ სამაგიეროდ გიორგის ხატვის პრინციპი

თითქმის იდენტურია ილიას ინტელიგენტების ხატვის პრინციპებისა. გიორგი, ისე როგორც მგზავრს და არჩილს, მხოლოდ ეგრეთწოდებულ „საზოგადოებრივ პრობლემებთან“ დაკავშირებით ვეცნობით. ფსიქოლოგიური წიაღსვლები პერსონაჟის სულში, ჩვენს ავტორს სრულიად არ ახასიათებს. (გაიხსენე: ძალზე ზედაპირულად დაწერილი სცენა, როცა გიორგი გაიგებს, რომ თავადების ნამდვილი შვილი არ ყოფილა და მრავალი სხვა). მკრთალია გიორგის და გულოს ურთიერთობის სცენებიც. უფრო ზუსტად, ჩაღრმავების გარეშეა მოთხრობილი გიორგის დამოკიდებულება ამ რომანთან. მაგრამ, ერთი კია: როგორც ჩანს, ეგნატე ნინოშვილს შეგნებული ჰქონდა (იქნებ ინტუიტიურად), რომ მხოლოდ „საზოგადოებრივი პრობლემებით“ დაინტერესება ინტელიგენტს ვერ აქცევს მხატვრულად სრულყოფილ სახედ და სცადა, რომ გიორგისათვის სხვა კუთხეებიდანაც შეეხედა, მაგრამ იგი მაინც უფერხორცო გამოვიდა, ვითარცა პირველი ცდა.

რაც შეეხება სპირიდონ მცირიშვილს „ჩვენი ქვეყნის რაინდიდან“, იგი უკვე ნამდვილი ხასიათია მაღალი ლიტერატურული მნიშვნელობით.

„ჩვენი ქვეყნის რაინდი“ ერთი ყველაზე პოპულარული მოთხრობაა ეგნატე ნინოშვილისა. შეიძლება ითქვას, მას დღესაც არ დაუკარგავს პირვანდელი ხიბლი და მკითხველთა ფართო წრეების ინტერესს იწვევს. ამის უპირველესი მიზეზი ის გახლავთ, რომ ე. ნინოშვილმა შეძლო შეექმნა ორი მართლაც რომ უკვდავი სახე ტარიელ მკლავაძე და სპირიდონ მცირიშვილი. მათს დაპირისპირებაში, მათს სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილში, არის რაღაც ისეთი ზედროული, ზოგადი მარცვალი, რომელიც ყოველი ეპოქისთვის შეინარჩუნებს აქტუალობას და სწორედ აქაა საძებნი მოთხრობის გამძლეობის საიდუმლო, თუმცაღა იოლი მისახვედრია, რომ ნაწარმოებს არაერთი მხატვრული დეფექტი ახასიათებს. ეს, სხვათა შორის, თვითონ ეგნატე ნინოშვილმაც მშვენივრად იცოდა. აი, რას წერს იგი ანასტასია წერეთელს (1894):

„ჩემი მოთხრობა „ჩვენი ქვეყნის რაინდი“, ისეთ დროს არის დაწერილი, რომ არ მგონია, როცა სულ ბოლომდე გადაიკითხავთ, თქვენ ის მოთხრობა მოგეწონოთ. მაგრამ, როცა ამ მოთხრობის წერა დავიწყე, თბილისში ვიყავ. ჯერ ერთი თავი არ დამეწერა, რომ მომივიდა ტელეგრამა - „მამა გიკვდება და მოდიო“. მივატოვე მოთხრობის წერა და წამოველ სოფელში, სადაც დაერჩი ავადმყოფ მამასთან რამდენიმე დღე. შემდეგ ისევ დავბრუნდი

თბილისს და განაგრძე წერა. მაგრამ დაწერა თუ არა რამდენიმე თავი, მომივიდა მეორე ტელეგრამა, რომლითაც მაცნობებდნენ მამის სიკვდილს. მივატოვე ხელმეორედ თბილისი და წაველ მამის დასამარხად. შემდეგ როცა მეორეჯერ დავბრუნდი თბილისს, როგორც იყო, დაღლილმა, მოქანცულმა დავასრულე მოთხრობა. მოგეხსენებათ, ასეთ დროს დაწერილი მოთხრობა სუსტი გამოდგებოდა. ჩემი ფიქრით, შეუკეთებლად არ იყარგებს" (ე. ნინოშვილი, გვ. 577).

თითქმის იგივეს იმეორებს ე. ნინოშვილი იაკობ გოგებაშვილისადმი გაგზავნილ ბარათში: მოთხრობა ნაკლულოვნებით სავსე დარჩაო".

განსაკუთრებით საყურადღებოა ალ. თოიძისადმი გაგზავნილი ბარათი, სადაც ე. ნინოშვილი წერს:

„მოთხრობა „ჩვენი ქვეყნის რაინდის" გმირი, მცირიშვილი, ერთ ჩემ ნაცნობს ჰგავსო, ამბობ. რაღა, მოთხრობის ავტორს? მართალია, მაგრამ მხოლოდ გარეგნობით. ისე კი, მცირიშვილი, უფრო ყოჩაღია ავტორზე" (იქვე, გვ. 586).

ამჟამად თავი დავანებოთ იმას, თუ რამდენად ზუსტია ავტორსა და მის პერსონაჟს შორის პარალელების დაძებნის ცდები. აქ უფრო მეორე მხარეა საინტერესო: როგორც ჩანს, ე. ნინოშვილს თავისი გმირი სპირიდონ მცირიშვილი, ასე ვთქვათ, „ყოჩაღ" კაცად მიაჩნია, რასაც საფუძველშივე გამორიცხავს გერონტი ქიქოძის შემდეგი სიტყვები:

„რაც შეეხება ტარიელ მკლავაძის ანტიპოდს, სპირიდონ მცირიშვილს, ის მკითხველში, ავტორის განზრახვის წინააღმდეგ, სრულიადაც თანაგრძნობას არ იწვევს. ქართველი მკითხველისთვის, რასაკვირველია, მიუღებელია ტარიელ მკლავაძის პრიმიტიული ზეკაცური მორალი, რომლითაც ის ლამობს ჩვეულებრივ მოკვდავთა საზოგადოებაში მიღებულ ზნეობრივ ნორმებზე მაღლა დადგეს. მაგრამ ქართველი მკითხველისათვის მიუღებელია სპირიდონ მცირიშვილიეთ ბეჩავი მამაკაციც, რომელიც ცხოვრების საბრძოლო ასპარეზზე მთავარ იარაღად წიგნებს იყენებს, რევოლვერს კი მხოლოდ მას შემდეგ მიმართავს, როცა საყვარელი არსება დაჰკარგა" (გ. ქიქოძე, რჩ. თხზულებანი, ტ. III, გვ. 387-388).

საერთოდ უნდა ითქვას, რომ „ჩვენი ქვეყნის რაინდს", კერძოდ კი სპირიდონ მცირიშვილს ქართული ლიტერატურული კრიტიკისაგან არასოდეს მოჰკლებია ყურადღება. პირიქით, დაწყებული ივანე გომართელიდან, რომელმაც ჯერ კიდევ 1899 წელს ვრცელი გამოკვლევა უძღვნა ამ მოთხრობას მონოგრაფიაში „ხალხის გულის მესაიდუმლე" (იხილე: ი. გომართელი, რჩ.

თხზულებანი, ტ. I, გვ. 102-109), ვინღა არ შეეხო მას. მართალია, თვითონ სპირიდონი, როგორც პიროვნება, იშვიათად ყოფილა განსჯა-შეფასების საგანი, უმეტესწილად მკვლევარებს მოთხრობის სოციალური ასპექტები აინტერესებდათ ხოლმე, მაგრამ გ. ქიქოძისებური ნეგატიური დამოკიდებულება სპირიდონ მცირიშვილისადმი, არც მანამდე და არც შემდეგ, არავის გამოუმჟღავნებია. და რაკიღა ზემომოყვანილი აზრი გერონტი ქიქოძეს, ქართული კრიტიკული აზროვნების ფრიად მნიშვნელოვან წარმომადგენელს ეკუთვნის, მისი გვერდის ავლა არ იქნება გამართლებული.

მაშ, ვნახოთ, მართლა ბეჩავი კაცია სპირიდონი? მართლა არავითარ თანაგრძნობას არ იწვევს მკითხველთა შორის? ანდა, ვითომ ასერიგად უცხოა ქართველი ინტელიგენტისათვის მისი მამაკაცური ბუნება?

„კაცი ასე ოცდახუთი თუ ოცდარვა წლის იქნებოდა. ხმელ-ხმელი, ჩია ტანის, ბეჭებში ცოტა მოხრილი, გამხდარი, ავადმყოფი პირსახისა, გახუნებული პალტოთი და შლიაპით. რა თქმა უნდა, ასეთ ადამიანს ამოდენა ხალხში, ნაცნობის გარდა, არავინ შენიშნავდა და არც არავინ იკითხავდა მის ვინაობას, რომ ამ კაცის თანამგზავრ ქალს არ მიეპყრო ყურადღება. ეს იყო თვრამეტი თუ ცხრამეტი წლის ყმაწვილი ქალი, ლამაზად მოყვანილი, საშუალოზე ცოტა მაღალი ტანისა, ცოტათი ფერმკრთალი, სწორი პირსახე, დიდრონი შავი თვალები, მსხვილად დაწნული, წელამდე, წაბლისფერი თმა ჰქონდა. რაღაც ისეთი, როგორც იტყვიან, სანდომით იყო შემკული, რომ თვალის მოშორება გაგიძნელდებოდათ. ძლიერ შეენოდა გაბედული მეტყველება და თავისუფალი მიხრა-მოხრა. ტანზე ღარიბულად ეცვა, - გახუნებული ტალმა და ჩალისფერი თივთიკის ყაბალახი შეადგენდა მის ტანსაცმელს“.

ასე წარმოგვიდგინა მწერალმა თავისი გმირების სპირიდონისა და დესპინეს გარეგნული პორტრეტები, როცა ეს უკანასკნელნი დაგვიანებულ მატარებელს უცდიან, მარტის თოვლჭყაპიან საღამოს, რომელიღაც პროვინციის სადგურზე. პორტრეტიზაციის ავტორისეული ხერხი, პირდაპირ უნდა ითქვას, ვერ გვხიბლავს განსაკუთრებული მხატვრული ეფექტით, მაგრამ ერთი ღირსება კი უდავოდ გააჩნია: მკაფიოდ მიგვანიშნებს პერსონაჟთა ნივთიერ შესაძლებლობებზე და აქედან გამომდინარე, სოციალურ წარმომავლობაზედაც. მივაქციოთ ყურადღება: სპირიდონს გახუნებული პალტო აცვია. გახუნებული ტალმა აცვია დესპინესაც. აქ კიდევ ერთი დეტალია საგულისხმო: სპირიდონი ჩია, ბეჭებში მოხრილი, ავადმყოფურ პირსახის კაცია. ასე, რომ მოთხრობის

პირველი სტრიქონებიდანვე, თუ მხოლოდ გარეგნობის მიხედვით ვიმსჯელებთ, მთელი უპირატესობა ტარიელ მკლავაძის მხარეზეა. ავტორის აღწერით ტარიელი „შესანიშნავი რამ იყო თავისი ვაჟკაცური თვალტანადობით: მაღალი ტანი, სქელი, განიერი ბეჭები, მსხვილ-მსხვილი მკლავები, ცოტად ფერნაკლული, სავსე, ლამაზი პირისახე, მელანივით შავი პატარა წვერი, სწორედ გითხრათ, ძველებურ რაინდს წარმოადგენდა“.

აი ეს ორი ადამიანი, სოფლის მასწავლებელი, დაბალი სოციალური წრიდან გამოსული ინტელიგენტი - სპირიდონ მცირიშვილი და აზნაური ტარიელ მკლავაძე მოთხრობის პირველ გვერდებზევე შეაჯახა ავტორმა ერთმანეთს. თუ როგორ დამთავრდა ეს ტრაგიკული დაპირისპირება, ყველა ქართველი მკითხველისათვის ცნობილია. ამ უთანასწორო დუელში სპირიდონმა გამოამჟღავნა ჭეშმარიტი რაინდის დიდბუნებოვნება და მიუხედავად იმისა, რომ მის უპირატესობას არ წარმოადგენდა არც ფიზიკური ზეალმატება მოწინააღმდეგესთან შედარებით და არც სახელმწიფო მართლმსაჯულების მხარდაჭერა, მაინც გაიმარჯვა, თუმცა ეს გამარჯვება ორი ადამიანის სიცოცხლის ფასად იქნა მოპოვებული.

უნდა აღინიშნოს, რომ მოთხრობაში არ არის სიტუაცია, სადაც სპირიდონი თავისი ადამიანური ღირსების შეუფერებლად იქცეოდეს და ოდნავ მაინც გვაძლევდეს საშუალებას, იგი ჯაბან მამაკაცად მივიჩნიოთ.

მამა, რომელსაც არ აკლდა გლეხის პრაქტიკული ჭკუა, იმთავითვე მიხვდა, რომ ჯანსუსტი სპირიდონი შრომის უღელს დიდად ვერაფრით შეუმსუბუქებდა და ამიტომ გადაწყვიტა წელებზე ფეხი დაედგა და სასწავლებელში მიეცა იგი. ცოტა წერა-კითხვას და ანგარიშს ისწავლის და მერე სადმე დუქანში დავაყენებ მოჯამაგირედო. ყველასაგან მოულოდნელად, ყმაწვილმა სწავლის იშვიათი უნარი გამოამჟღავნა და დიდი ყოყმანის შემდეგ მამა დათანხმდა, რომ სწავლის გაგრძელების საშუალება მიეცა მისთვის. გახარებულ სპირიდონს ხარჯი - ფქვილი, ყველი და ლობიო თავისი ზურგით მიჰქონდა შინიდან ყოველ კვირადღეობით ოცი ვერსის მანძილზე. ის იდგა ქალაქის განაპირას, მიწით შელესილ ქოხში, რომელიც ქირით მიცემული ჰქონდა მისთვის, თვეში ოთხ აბაზად, ერთ რუსის მუჟიკს. ყოველ საღამოს მოიტანდა სპირიდონი მახლობელი ტყიდან თითო ტვირთ ფიჩხს, როცა დაღამდებოდა, სანთლის მაგიერად დაანთებდა ცეცხლს და მის სინათლეზე სწავლობდა გაკვეთილებს. საჭმელს თავისი ხელით იკეთებდა. ტანისამოსი მუდამ აკლდა. „ორი ზამთარი პარუსინის ბლუზის და შარვლის ამარა გაატარა“ და როცა საოსტატო სემინარია

დაასრულა, „ოცი წლის იყო, მაგრამ რომ შეხედავდი, გეგონებოდა ოცდაათის თუ ოცდათხუთმეტი წლის არისო“. ამის შემდეგ დაიწყო დიდი ხნის ნაოცნებარი ხანა სპირიდონის ცხოვრებაში: იგი მასწავლებლად გაამწესეს, რითაც საშუალება მიეცა, რომ ყმაწვილების აღზრდის საპატიო საქმეს მთელის არსებით მისცემოდა.

სხვათა შორის, იქნებ ღირდეს იმის აღნიშვნა, რომ სპირიდონს საქართველოს ფარგლებს გარეთ არ მიუღია ცოდნა. ასე, რომ იგი პირველია, ჯერ კიდევ გიორგი ერისთავის მიერ მოწიშნულ, ჩვენთვის ცნობილ მოდელში, ერთგვარი კორექტივი რომ შეაქვს.

შორეულ სოფლის სკოლაში მასწავლებლად გამწესებულმა სპირიდონმა გაიცნო მღვდლის ოჯახი და ამ ოჯახის ქალიშვილი დესპინე.

სოფლის გლეხებს პირველ ხანებში არ ეხატებოდათ გულზე ახალი მასწავლებელი, რადგან „მასწავლებელს მძარცავად რაცხდნენ და ფიქრობდნენ: „მოსულხარ“ რომ ფულები აგვცანცლო, მეტს, ნუ გეშინია, არაფერს შეგვძენო“. მაგრამ გაიარა დრომ და „ხალხს“, რომელიც ასე ალმაცრივ, იჭვიანი თვალით უყურებდა მას, ახლა ძლიერ შეუყვარდა სპირიდონი, რადგანაც დაინახა, რომ სპირიდონი არ სჯერდებოდა მხოლოდ ფორმალურად სწავლებას, ის ხალხის მასწავლებელიც იყო, ხალხს ესარჩლებოდა, იღვწოდა მათი წარმატებისათვის. არ ერიდებოდა ისეთ მოღვაწეობასაც კი, რომელიც პირადად მისთვის ძლიერ საშიში იყო“. ამ უკანასკნელ ფრაზაში, ეჭვი არაა, ავტორი არსებული წყობილების საწინააღმდეგოდ მიმართულ მუშაობას გულისხმობს სპირიდონისას, მაგრამ თუ უფრო აშკარად ვერ ლაპარაკობს, ეს იმდროინდელ ცენზურულ პირობებს უნდა მიეწეროს. თუმცა, მწერალი მაინც ახერხებს, რომ სრულიად არაორაზროვნად გვაგრძნობინოს სპირიდონის რევოლუციური მიდრეკილებანი. გავიხსენოთ სადგურის ცივ, ჭუჭყიან სასტუმროში დაბინავებული სპირიდონისა და დესპინეს საუბარი ხალხის კეთილდღეობისათვის თავშეწირულ გმირებზე, „იმ მოღვაწეების ცხოვრებაზე, რომლებმაც ისე მამაცურად შესწირეს სიცოცხლე უსამართლობასთან ბრძოლას ცხოვრების გაუმჯობესებისათვის“, როცა „გრძნობაჭარბი სპირიდონის“ მონათხრობი დესპინეს აღტაცებით წამოაძახებინებს: „წავიდეთ ჩვენც, ჩვენც შევწიროთ თავი ხალხის წარმატებისათვის ბრძოლასო“. სიტყვამ მოიტანა და, აქ უნდა შევჩერდეთ დესპინეს და სპირიდონის ურთიერთობაზე. ეს ურთიერთობა, უნდა ითქვას, ერთ-ერთ ყველაზე მაღალეთიკური ურთიერთობაა მთელს XIX

საუკუნის ლიტერატურაში, მაგრამ სამწუხაროდ, ამ ურთიერთობასაც სათანადო მხატვრული დამუშავება აკლია. ავტორი ემპირიულად გვიამბობს ამბავს და არა გვყოფს თანაზიარად იმ ფსიქოლოგიური სიღრმეებისა, რომელიც თანა სდევს დედაკაცისა და მამაკაცის ყოველგვარ კონტაქტებს. მაგრამ იქიდან, რაც მწერალმა მოგვცა, მაინც საკმარისად მოჩანს ძლიერი, ანალიტიკური ჭკუის, ნებელობას დამორჩილებული და პატიოსანი მამაკაცი.

როცა სპირიდონი გაიგებს, რომ დესპინესაც უყვარს იგი, პირველი აზრი, რაც თავში მოუვა, შემდეგია: „დესპინე, გაგიტყდები და გეტყვი, რომ დიდი ხანია ჩემმა გულმა იგრძნო შენი სიყვარული, იგრძნო ისე მძლავრად, რომ მთელ ღამეებს უძილოდ მატარებინებდა და მატარებინებს. მარა გადავწყვიტე, ეგ სიყვარული ჩემსავე გულში ჩავიკლა. გადავწყვიტე იმიტომ, რომ არ მეგონა თუ შენც გიყვარდი, მაგრამ, თუნდაც ეგეც მცოდნოდა, მე მაინც ამ გადაწყვეტილებას დავადგებოდი, რადგანაც არ მინდა ჩემი ცხოვრების ვარამი შენც გაგინაწილო, არ მინდა გაგხადო იმ ტანჯვის მონაწილედ, რომელიც მე შემხვედება ცხოვრებაში. მე შენ მიყვარხარ და ამიტომ მსურს, რომ შენ ბედნიერი იყო და არა უბედური“.

ნუ დავიწყებთ კამათს ამ ტირადის საეჭვო მხატვრულ ღირსებებზე. ეს იმდენად ცხადია, რომ არ ღირს კამათად. ჩვენთვის, ამ შემთხვევაში, უფრო საინტერესოა მთავარი აზრი, გულისგული სპირიდონის სიტყვებისა. მთავარი აზრი კი შემდეგი გახლავთ: „მე შენ მიყვარხარ და ამიტომ მსურს, რომ ბედნიერი იყო და არა უბედური“. სხვა არგუმენტებიც მრავლად მოჰყავს სპირიდონს დესპინეს გადასარწმუნებლად, მაგრამ როცა ამ უკანასკნელისაგან გაიგონებს: „გრძნობას უარი უნდა ჰყოს ადამიანმა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იმ გრძნობის დაკმაყოფილებას ზნეობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენა მოჰყვება. სხვა შემთხვევაში წვრილმანი ანგარიშები სიყვარულთან მოსახსენებელი არ არისო“, ფარხმალს დაჰყრის.

ასე შეუერთდა ეს ორი ადამიანი ერთმანეთს, რათა შემდეგ, მოგვიანებით, ტარიელ მკლავაძის ხვადაგური ჟინის მსხვერპლნი გამხდარიყვნენ და ტრაგიკულად დაემთავრებინათ სიცოცხლე.

ჩვენ ვნახეთ, რომ „ორ განზომილებაში“, სიყვარულთან და საქმესთან დამოკიდებულებაში, სპირიდონ მცირიშვილი მაღალზნეობრივ ინტელიგენტად წარმოგვიდგა. მისთვის სიტყვა და საქმე ერთი გარკვეული მთლიანობაა. იგი იღვწის სოფელში განათლების შესატანად, მაგრამ არა იმიტომ, რომ მერმე ამ განათლებამ

„ტიეი მოიტანოს“, რომელიც დაბალ და მაღალ წოდებას შორის „ჩატეხილ ხიდს“ გაამთელებს. ეს პრობლემა საერთოდ არ დგას სპირიდონის წინაშე.

როდესაც გიორგიზე („ჯანყი გურიაში“) ესაუბრობდით, ჩვენ დავრწმუნდით, თუ რა დამოკიდებულებას ამჟღავნებს იგი ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილისაგან აგრერიგად ნალოლიავები ეროვნული პრობლემებისადმი. რაც შეეხება სპირიდონს, მისთვის საერთოდ არ დგას ეს პრობლემა. ამით იგი მკაფიოდ ემიჯნება ილიას და ბარნოვის ინტელიგენტებს. სამაგიეროდ, სპირიდონ მცირეშვილი შინაგანად მომზადებულია მჩაგვრელებისაგან ადამიანის განსათავისუფლებელი ბრძოლისათვის. მაგრამ მიაქციეთ ყურადღება: ბრძოლა ადამიანის განსათავისუფლებლად და არა ეროვნული თავისუფლებისათვის.

ასეთია საქმის ვითარება.

ახლა ვნახოთ, როგორ გამოიყურება სპირიდონი „მესამე განზომილებაში“, ანუ ტარიელ მკლავაძესთან ურთიერთობაში. ეს ურთიერთობა, ან უფრო ზუსტად ეს კონფლიქტი, მოთხრობის წამყვანი ხაზია და სპირიდონის შინაგანი ბუნების გასაგებად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. არსებითად, აქ უნდა დადასტურდეს გ. ქიქოძის ზემოთმოყვანილი აზრის სისწორე, ან მცდარობა.

ნაწარმოებში ტარიელი და სპირიდონი რამდენჯერმე შეხვდებიან ერთმანეთს:

ტარიელის ამფსონმა, დათიკომ, მოახერხა ცოლ-ქმრის ოთახში შეღწევა. აიტაცა მძინარე დესპინე და ისაა გამოყვანას აპირებს, რომ სპირიდონს გაეღვიძა და „გაშმაგებული ეცა მას. ამ კაცის ხანჯალი მოხვდა ხელში. მან მოგლიჯა ეს ხანჯალი ქამრიდან, დაანარცხა იატაკზე, ისე რომ ფიქრადაც არ მოსვლია ესარგებლა ამ იარაღით, სწვდა ისევე უცხო კაცს“...

ბეჩავი მამაკაცები ასე არ იქცევიან!

გამხეცებული ტარიელი წიხლებს უშენს სასტუმროს ნომრის ჩაკეტილ კარებს. სპირიდონი, როგორც ეს ინტელიგენტ, კულტურულ ადამიანს შეჰფერის, ცდილობს დაარწმუნოს იგი, რომ უღირსად იქცევა, მაგრამ როცა მიხვდება, რომ საქმე სახუმაროდ არ იყო, სწრაფად ჩაიცვამს, რევოლვერს მოიმარჯვებს და ელის. ბედად, ტარიელი მოაშორეს კარებს, თორემ იმ ფრაზას, რომელიც მან მოთხრობის ფინალში თქვა („ვის ხელში ვკვდები“), სწორედ აქ, სასტუმროს კარებთან იტყოდა.

სპირიდონმა საესებით შეიგნო ვისთანაც ჰქონდა საქმე ტარიელის სახით. იმასაც მიხვდა, რომ პირუტყვთან ადამიანური

ლაპარაკით ვერას გააწყობდა, მაგრამ სასტუმროში ხომ ვერ დასახლდებოდა სამუდამოდ და უკანასკნელ ხერხს მიმართა: წერილი მისწერა ტარიელს. უნდა ითქვას, ეს წერილი არ ბრწყინავს დიპლომატიური მახვილგონიერებით,: მართალია, სპირიდონი ერთგვარი რევერანსით იწყებს, მაგრამ ბოლო ნაწილი ბარათისა შეურაცხყოფილი, შურისმაძიებელი კაცის დაწერილია და არა გულდედალისა. თვითონვე განსაჯეთ: „თუ მაინცდამაინც არ დაგაკმაყოფილოთ ამ ჩემმა ბოდიშმა, იმ შემთხვევაში, გთხოვთ, წინდაწინვე გვაცნობოთ ეს, რომ ჩვენც მოვემზადოთ დასახვედრად. სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ, როგორც კარგი ვაჟკაცი, მოულოდნელად არ დაგვესხმით თავს. როცა მეცოდინება, რა ვუყოთ, რაც მოსავალია, მოვიდეს. მართალია, მე თქვენთან ვაჟკაცობაში, ესე იგი მკლავღონიერებაში თავი არ მომაქვს, მაგრამ თანასწორ იარაღით ბრძოლას არ გაეექცევი“.

ასეთ წერილებს არ სწერენ ბეჩავი მამაკაცები!

მაგრამ სპირიდონი ერთ რამეში მწარედ შეცდა. ვერ გაითვალისწინა რა ახვართან ჰქონდა საქმე. ტარიელმა არაადამიანურად სცემა მას. ტარიელისათვის ხომ არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა ფიზიკურად სპირიდონის ცემა. სცემა, მაგრამ მაინც ვერ გატეხა. გააგიჟა ტარიელი იმან, რომ ამ ჩია კაცმა ერთხელ არ სთხოვა - შემიბრალე, ნუ მომკლავო. პირიქით, რევოლვერს დაუწყო ძებნა და, რომ არა შემთხვევითობა, ტარიელი აქ ხომ უეჭველად მაინც იტყოდა ფინალში სათქმელ ფრაზას.

ამასობაში მოაწია მატარებელმა.

„სპირიდონი ცხადად ხედავდა, რომ მოეცადა და დაკმაყოფილება მოეთხოვა ტარიელისაგან უმართლოდ შეურაცხყოფის მიყენებისათვის, უფრო სასაცილოდ გაიხდიდა თავს, მეტს ვერას გახდებოდა“. სულერთია, იარაღით მას არავინ მიუშვებდა ტარიელამდე. ამიტომ ცოლთან ერთად ვაგონში ავიდა.

მათ თან წაჰყვათ ამფსონებით გარშემორტყმული ტარიელ მკლავაძის დამცინავი ხარხარი.

ამის შემდეგ დაიწყო ამ ორი ადამიანის გაბმული წამებით აღსავსე ცხოვრება. სხვათა შორის, მოთხრობის ეს ნაწილი მხატვრული შესრულებით გამოირჩევა. მართალია, კონსპექტურობა აქაც იგრძნობა, მაგრამ მთლიანობაში იგი ე. ნინოშვილის პროზის საუკეთესო ფურცლებს უნდა მიეკუთვნოს. რადა ღირს, თუნდაც დესპინეს კოშმარების, ანდა სპირიდონის ღრმა დეპრესიის აღწერა.

სულიერად და ფიზიკურად მთლად განადგურებული დესპინე „მარტის უკანასკნელ რიცხვს ჩაწვა ლოგინში და მას შემდეგ აღარც ამდგარა, ისე დალია სული მაისის ერთ დღეს“.

„დესპინეს სიკვდილის შემდეგ სწრაფად ირღვეოდა მისი მეუღლის უსიხარულო სიცოცხლეც. კვირაში თითქმის ხუთი დღე ავადმყოფობის გამო ლოგინზე ეგდო სპირიდონი". ასე გაიდა რამდენიმე წელი. სპირიდონ სულ მთლად დაჯაბნა სევდამ და ავადმყოფობამ: „საცოდავი, წელში მოხრილი, თვალებჩაცვივნული, ძვალ-ტყავად ქცეული " ძლივს და ნაძალადევად მიათრევდა გაჯახირებულ სიცოცხლეს. რამდენჯერმე თავის მოკვლაც გადაწყვიტა. „რაღასთვის ვარ ცოცხალი? ჩემთვის სიცოცხლე დიდი ხანია მოწამლულია. სხვისათვის აღარაფერი გამოსადეგი ვარ, არავითარი საქმის გაკეთება, ავადმყოფობის გამო, აღარ შემიძლია! მაშ, რაღას ვუცდი ამ ქვეყნად?"

გადაწყვიტა, მაგრამ არ აღასრულა, რადგან მტანჯველი კითხვები უშანთავდა გონებას: რატომ? რატომ მოხდა ყოველივე ეს? რატომ შეეწირა გაზულუქებული ნაძირალას ხვადაგურ ჟინს ორი უდანაშაულო ადამიანის ცხოვრება? სად არის მართლმსაჯულება? ან, არის კი საერთოდ? ესე იგი, ვისაც ძალა აქვს, იმას უფლებებიც ყველაფრისა გააჩნია? კი, მაგრამ ეს ხომ უსამართლობაა, რომელსაც დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოუცხადდეს! საზოგადოება, რომელიც ტარიელ მკლავაძეებს ზრდის, დამპალია და დასანგრევად განწირული.

მკითხველი, რომელიც რიგიანად იცნობს მოთხრობის ტექსტს, უჩემოდაც მიხვდება, რომ მსგავსი პრობლემების არსებობა მხოლოდ და მხოლოდ ივარაუდება სპირიდონთან დაკავშირებით. ე. ნინოშვილი დიახაც არ მიეკუთვნება ქვეტექსტებით მოაზროვნე მწერალთა რიცხვს, მაგრამ ხსენებული პრობლემები უდავოდ იკითხება მოთხრობის ქვეტექსტში და ამდენად, მისი საზოგადოებრივი ღირებულება ერთ-ორად იზრდება. ხოლო ეს პრობლემები მეტი სიცხადითა და მხატვრულობით ზედაპირზე ამოცურდებიან და თვალნათლნი გახდებიან ცოტა მოგვიანებით, უკვე ნინოშვილის შემდგომ, ჭოლა ლომთათიძის შემოქმედებაში.

მივუბრუნდეთ კვლავ სპირიდონს:

ამ ხნის განმავლობაში მას არაერთხელ მოსვლია ფიქრად: „წავალ, მოვნახავ და მოვსთხოვ პასუხს ჩემს დამღუპველსო", მაგრამ ბოლოს მაინც იმორჩილებდა სპირიდონის გონება შურის საძიებლად აზვირთებულ გრძნობას." იმორჩილებდა, რადგან ძალიან ძნელია ინტელიგენტმა, რომლის ემოციები გონებითაა გაშუალებული, წინასწარ გაიშინაგნოს კაცის მოკვლის აუცილებლობა. ეს ის ბარიერია, რომლის გადალახვა მართლაც ძალიან ძნელია, მაგრამ, როგორც ეტყობა, შეუძლებელი მაინც არაა, მით უმეტეს, თუ საქმე არა მარტო საკუთარ, არამედ

სხვათა ღირსების დაცვასაც ეხება. უფრო მეტიც: აქ ეს მთავარია.

სრულიად შემთხვევით იმ საბედისწერო სადგურზე, სპირიდონი კვლავ გადაეყრება ტარიელს და აშკარად გაიგონებს მის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს, ვილაც ბანოვანს ტრაბახით რომ ეუბნება: „იმ ოჯახს მე პატივს ვცემ და არც მინდოდა, დაგარწმუნებთ, იმ ოჯახში ამ საქმის ჩადენა... მაგრამ მოთმინებიდან გამოვედი და მერმე კი ვკარი ფეხი, მგონია სამ საჟენზე გავისროლე".

„სპირიდონმა გარკვევით გაიგონა ტარიელის სიტყვები და რაღაც საშინელი ალმური მოედო მთელ სხეულში". „კიდევ ვილაცის დაჩაგვრა და გაქელვა! თითქოს იმისთვის არის დაბადებული, რომ ყველა გაქელოს და შეურაცხყოს! თავი მოსწონს კიდეც ამით!" გაურბინა ელვისებრ სპირიდონს ფიქრებში და შემდეგ მტკიცე გადაწყვეტით დაუმატა: „მოვთხოვ პასუხს! ორი ადამიანის სიცოცხლე ღირს იმათ, რომ მათ დამღუპველს პასუხი მოეთხოვოს! ორის და იქნებ მეტისაც.

აი, სწორედ ამ „ორმა და იქნებ მეტმაც" ითამაშა აქ გადამწყვეტი როლი. შურისმაძიებლის წყურვილმა დაუნდობლად გადალახა ყველა გონებისმიერი ჯებირი და ინტელიგენტი სპირიდონ მცირიშვილი შეგნებული მკვლელი შეიქნა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სპირიდონ მცირიშვილი პირველი ინტელიგენტია მთელს ქართულ მწერლობაში, რომელმაც ვაჟკაცურად ახალა ტყვია ძალმომრეობასა და ზნეობრივ სიმდაბლეს!

ამის დაიწყება არამცდარამც არ გვმართებს, რამეთუ სულ მალე ჩვენს ლიტერატურაში სპირიდონს გაუჩნდებიან სულიერი მემკვიდრეები, რომლებიც მხოლოდ კონკრეტული მკლავაძეების კი არა, მთელი საზოგადოების ძირფესვიან ამოგდებას დაისახავენ მიზნად.

მანამდე კი, სპირიდონი თავისი სიკვდილითაც ქმნის მძლავრი პროტესტის პრეცედენტს. გავიხსენოთ პატარა ეპილოგი მოთხრობისა:

„სამსჯავროში სპირიდონი სრულიადაც არ ცდილობდა, რომ გამართლებულიყო. მან მხოლოდ თავიდანვე უამბო მსაჯულებს საქმის გარემოება. ოლქის სასამართლომ გადაუწყვიტა სპირიდონს ციმბირს გაგზავნა და იქ მადნებში მუშაობა, მაგრამ მანამდე აღარ მიუღწევია, გზაში გარდაიცვალა".

ყველა სამსჯავრო, რომელსაც ჰუმანიზმი და სამართლიანობა უდევს ბალავრად, გაამართლებდა სპირიდონის მსგავს „დამნაშავეს", როდესაც თავიდან ბოლომდე გაეცნობოდა საქმის ვითარებას. სპირიდონი არ გაამართლეს. მით უარესი სამსჯავროსათვის! ანათემის ღირსია ასეთი სამსჯავრო. აი, დასკვნა, რომელიც სპირიდონმა

თავისი სიკვდილით გამოატანინა მკითხველებს.

ვფიქრობ, ზემორე თქმულის შემდეგ, აშკარა უნდა იყოს გ. ქიქოძის მიერ სპირიდონის მისამართით თქმული სიტყვების უსაფუძვლობა. საქმე პირიქითაა: ჩემი ღრმა რწმენით, ე. ნინოშვილმა მოთხრობას „ჩვენი ქვეყნის რაინდი" ორლესულად დაარქვა. ერთი, რეალური პლანი, ჩვენი ქვეყნის რაინდში, სწორედ სპირიდონ მცირიშვილს გულისხმობს, მეორე კი, ირონიული, ტარიელ მკლავაძეს.

* * *

ეგნატე ნინოშვილი ბიოგრაფიით XIX საუკუნეს ეკუთვნის, ამ საუკუნის ღვიძლი შვილია მხატერული გამოსახვის ხერხებითაც (პოეტიკით მთლიანად ილიას ეყრდნობა), მაგრამ იდეური თვალსაზრისით, მკვეთრად დაუპირისპირდა ილიას და, როგორც ჩანს, არ არის შემთხვევითი, რომ სწორედ ეგნატე ნინოშვილი შეიქნა ჩვენში წამომწყები საზოგადოებრივი მოძრაობის იმ ნაკადისა, „მესამე დასის" სახელით რომ არის ცნობილი. ამ დასის სახელმძღვანელო დებულება, როგორც ცნობილია, ანტაგონისტურ კლასთა შორის ბრძოლის აუცილებლობის აღიარება იყო. ეგნატე ნინოშვილი ვერ მოესწრო ხსენებული მოძღვრების საფუძვლიანად ფეხის მოკიდებას, მაგრამ მის შემოქმედებაში მაინც იჩინა თავი ტენდენციებმა, რაიც მოწმობს, რომ ჩვენი მწერალი ცხოვრებისეული მოვლენების ახსნას და გაშუქებას მარქსიზმის მომარჯვებით ცდილობდა.

ამის მაგალითია რომანი „ჯანყი გურიაში", დაწერილი „ოთარაანთ ქვრივის" გამოქვეყნებიდან 6-7 წლის შემდეგ. რომანის მთავარი პერსონაჟთაგანი - ინტელიგენტი გიორგი ილიას მგზავრს უპირისპირდება, როცა გადაჭრით ამბობს: ის კი არაა მთავარი, რომ „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს", არამედ, მჩაგვრელთა უღლის კისრიდან გადაგდებაო. ხოლო მეორეს მხრივ, „კრიჭაში უდგას" ილიასაც არჩილს. გიორგისათვის არავითარი შესაძლებლობა არ არსებობს „ხიდის გამრთელებისა", იგი შეურიგებელი ბრძოლის მომხრეა მოპირდაპირე წოდებასთან. ალბათ გახსოვთ მისი ნათქვამი: „აჯანყებას გლეხთა გათავისუფლება უნდა ჰქონდეს მიზნად და არა რუსების განდევნა". ასე, რომ გიორგი სოციალური და ეროვნული პრობლემების სულ სხვაგვარ გადაჭრას გვთავაზობს.

ეგნატე ნინოშვილს, ეტყობა, გიორგის სახის შექმნის მერმეც აწუხებდა ქვეცნობიერად ეგრეთ წოდებული „თანამედროვე ინტელიგენტის" პრობლემა, უნდოდა შეექმნა სახე გლეხობის

წრიდან გამოსული ინტელიგენტისა, რომელიც სიცოცხლის აზრს განყენებულ დოქტრინებში კი არ დაინახავდა, არამედ უბრალო ხალხის საკეთილდღეოდ პრაქტიკულად იმოღვაწებდა. ერთი სიტყვით, სპირიდონ მცირიშვილი სწორედ ის კაცია, რომელთა მომრავლება, გარკვეული აზრით, აგრერიგად სასურველი უნდა ყოფილიყო ილიას არჩილისათვის, რადგანაც დაბალი წოდების გაინტელიგენტებაში, განათლებაში ხედავდა იგი „ჩატეხილი ხიდის“ გამთელების ერთ-ერთ გზას. მაგრამ რა გამოვიდა? ცხოვრების სინამდვილემ სულ სხვა სურათი აჩვენა: სანამ ტარიელ მკლავაძეები არსებობენ, ტარიელი კი, სოციალურად ღვიძლი ძმაა არჩილისა, მანამ ნინოშვილის აზრით, ლაპარაკიც კი შეუძლებელია რაიმე ხიდის გამთელებაზე. პირიქით, რაც უფრო განათლდება დაბალი წოდება, რაც უფრო გაღრმავდება და გართულდება სულიერად, მით უფრო გამწვავდება ანტაგონიზმი სხვადასხვა სოციალურ წრეებს შორის, რადგან მით უფრო დასანახი იქნება საკუთარი დამცირებული ყოფის ტრაგიზმი. კიდევ კარგი, თუ მაღალი წოდების შვილი ისეთი რბილი და მონანიეა, როგორიც არჩილი გახლავთ, მაშინ მასთან იქნებ მოხერხდეს საერთო ენის გამონახვა, მაგრამ თუ ეს ტარიელ მკლავაძეა?

დაახლოებით ასეთია ეგნატე ნინოშვილის აზრთა მდინარება.

სპირიდონის გასროლას ერთგვარი სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა. მართალია, ეს გასროლა არ გასცილებია ინდივიდუალური პროტესტის ფარგლებს, მაგრამ მალე, XX საუკუნის გარიჟრაჟზე, მოვლენ ჭოლა ლომთათიძის ინტელიგენტები, რომლებიც სიცოცხლეს სწირავენ ბრძოლას იმ უზარმაზარი სახელმწიფო მანქანის წინააღმდეგ, რომელიც ერთგული დამცველი იყო ტარიელისა და ძმათა მისთა.

თავი მეოთხე

სახრჩობელას წინაშე

ჭოლა ლომთათიძე საუკუნეთა გზაგასაყარზე ცხოვრობდა, სულ რაღაც ოცდაჩვიდმეტი წელი (1878-1915) გაატარა ამქვეყნად, მაგრამ იმდენი განიცადა, ბარე სამ სიცოცხლეს გასწვდებოდა. იმთავითვე ტრაგიკულად აეწყო მისი ცხოვრება: ეს, უპირველეს ყოვლისა, მისივე „ბრალი იყო". საამისო უნარი კი შესწევდა, რომ თბილი ადგილი ეპოვნა და მშვიდად, უზრუნველად გაეტარებინა წუთისოფელი, მაგრამ, როგორც ჩანს, ჭოლას მსგავსი ადამიანები სხვა ვარსკვლავზე იბადებიან. მასში სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე დუღდა და გადმოდიოდა ცხოვრების უკუღმართობით შეძრული, აჯანყებული სინიდისი,

აჯანყებულმა სინიდისმა გააძლებინა ჭლექით სნეულს საპყრობილეს ჯურღმულებში შვიდი წელიწადი ისე, რომ ვაგლახი კვნესა არ დასცდენია.

აჯანყებულმა სინიდისმა ააღებინა ხელში კალამი და ჩვენთვის, შთამომავალთათვის, დაატოვებინა მოთხრობები, სადაც ჯეროვანი ფსიქოლოგიური სიღრმით აისახა XX საუკუნის პირველი თხუთმეტწლეულის ქართველ ინტელიგენტთა, უფრო ზუსტად: რევოლუციონერ ინტელიგენტთა სულიერი სამყარო.

ტრაგიკული იყო მისი ცხოვრება.

არანაკლებ ტრაგიკული იყო მისი მწერლური ბედიც!

ყოველივე საუკეთესო, რაც ჭოლას კალამს მოუღვაწნია, 7-8 წლის მანძილზე შეიქმნა საპატიმროს ჯოჯოხეთურ პირობებში. მართლაც, არაადამიანური ძალისხმევა იყო საჭირო, რომ ჯერ წერა მოეხერხებინა საკანში გამოხრჩობილ კაცს, მერმე ნაწერის სამზეოზე გამოპარებისთვისაც მიეღწია და ბოლოს, ამ ნაწერებს ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე მოენახათ ადგილი. იმდროინდელი ცენზურის პირობებში, ეს ალბათ ყველაზე ძნელი იყო. მოთხრობები იბეჭდებოდა ნაწყვეტ-ნაწყვეტად, „ასერილ-დასერილად" (ჭოლას სიტყვებია), დაიწყებოდა თბილისში, გაგრძელდებოდა ქუთაისში, ან ბათუმში, ანდა საერთოდ შეწყდებოდა და ერთი-ორი წლის

შემდეგ კელავ განახლდებოდა.

და მოხდა ისე, რომ შემოქმედებამ, რომელმაც მანამდე უცნობი თვალსაწიერი გაუხსნა ქართულ პროზას, პრაქტიკულად შეუმჩნეველად ჩაიარა, გავლენა არ მოუხდენია თავისდროინდელ ქართულ ბელეტრისტიკაზე და ჭოლას მწარე ჩივილიც „ოღონდ კი კრიტიკამ რაიმე თქვას ჩემზე და თუნდაც შემაგინოსო“, დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

დიდ ხანს გაგრძელდა ასე.

იგი „ხელახლა დაიბადა“ 1925 წელს, როცა მისი თხზულებების ორტომეული დაისტამბა. ქართველმა საზოგადოებამ მაშინვე იგრძნო, რა ძალისა და გაქანების მწერალიც გვყოლია და ამის პირდაპირი შედეგი იყო ის კრიტიკული წერილები, ჭოლას შემოქმედებას რომ მიეძღვნა ოციანი წლების ქართულ პრესაში.

პირდაპირ უნდა ითქვას: წერილები არ გამოირჩეოდა შესაშური პროფესიონალიზმით, მათში დილეტანტობა მეტი იყო, ვიდრე მოშუშებული განსჯა და დინჯი ანალიზი. სწორედ ამის თაობაზე წერდა ტიციან ტაბიძე:

„ჯერ ნაწილობრივადაც არ არის შესწავლილი ჭოლა ლომთათიძის ოსტატობა, გამოცდილება და იმათ, ვისაც თავიანთ ალმოჩენად მიაჩნიათ ჭოლას პროზა, არც კი იციან, საიდან არის ის ჟრუანტელი, რომელიც მას ახლავს და რა ძალა ტეხავდა და ამავე დროს, კეებავდა მის ოსტატობას. ამ მხრივ ჭოლა ლომთათიძე ყველაზე უფრო საინტერესო ფიგურაა ახალ (წაიკითხე უახლოეს - თ. მ.) ქართულ პროზაში.“ (ტ. ტაბიძე, წერილები, ნარკვევები 1957).

1925 წლის შემდგომ ისე გაიარა ოცდაათ წელზე მეტმა, ჭოლას მოთხრობებს საერთოდ აღარ უნახავთ მზის სინათლე და მხოლოდ 1956 წელს დაიბეჭდა მისი თხზულებების ერთტომეული პროფ. ს. ჯილაიას წინასიტყვაობითა და რედაქციით. (ჭ. ლომთათიძე, თხზ. სრ. კრებ. თბ., 1956, ქვემოთ ვსარგებლობ მხოლოდ ამ გამოცემით). ამ ერთტომეულს არა აქვს სისრულის პრეტენზია, იგი ვერ ამოსწურავს ჭოლას ლიტერატურულ მემკვიდრეობას, მაგრამ იმ დროისათვის წინ წადგმული ნაბიჯი იყო და დიდი როლიც შეასრულა მისი შემოქმედებისადმი ინტერესის გაღვივებაში.

ჭოლამ ერთხელ და სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი ქართული მწერლობის ისტორიაში. დღეს მასზე იწერება მონოგრაფიები, (იხ. დ. რამიშვილის „ჭ. ლომთათიძე“, 1960 წელი და გ. ციციშვილის „ჭოლა ლომთათიძე“, 1966 წელი), კრიტიკული წერილები, ისტამბება თხზულებათა კრებულები, მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, მაინც ძალაში რჩება ტიციან ტაბიძის მიერ დიდი

ხნის წინ ნათქვამი: „ჯერ ნაწილობრივადაც არ არის შესწავლილი ჭოლა ლომთათიძის ოსტატობა".

დღესდღეობით ყველა, სპეციალისტიც და არასპეციალისტიც, ჭ. ლომთათიძეს ფსიქოლოგ მწერლად მიიჩნევს. მაგრამ, მხოლოდ იმის თქმა, რომ ჭ. ლომთათიძე ფსიქოლოგი მწერალია, პრინციპში არაფრის თქმას არ ნიშნავს, რადგან ადამიანის სულის სიღრმეებში წვდომის სურვილი თანაბრად დამახასიათებელია ყველა დროის დიდი თუ პატარა მწერლისთვის, „ფსიქოლოგი მწერლის" ტიტული კი რაღაც სპეციფიურ ნიუანსს უნდა შეიცავდეს.

აქ მცირედი ექსკურსის გაკეთება მოგვიწევს:

XIX საუკუნის ქართულმა რეალისტურმა პროზამ, განსაკუთრებით ილია ჭავჭავაძისაგან მოყოლებული, გამოიმუშავა საკმაოდ ზუსტი მხატვრულ-ფსიქოლოგიური ანალიზის მეთოდი. ეს მეთოდი ავტორისეული ინტროსპექციის ფართოდ გამოყენებას გულისხმობდა. მაინც, როგორ უნდა გვესმოდეს „ავტორისეული ინტროსპექცია?" ეს ის მეთოდი გახლავთ, როცა მწერალი, თანმიმდევრულად, დაჟინებით ადევნებს თვალყურს თავისი გმირის სულიერ მდგომარეობას, განუწყვეტლად აკვირდება მის განცდებს, ამ განცდათა ცვალებადობას და ურთიერთწინააღმდეგობას. ავტორმა, იმთავითვე „ყველაფერი იცის" თავისი პერსონაჟების სუბიექტურ სამყაროზე - თვით უმცირეს ინტიმურ წვრილმანებამდეც კი, და აუჩქარებლად გვიამბობს ჩვენ, მკითხველებს.

XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ავტორისეული ინტროსპექციის ნიმუშებად შეგვიძლია მივიჩნიოთ ილიას, აკაკის, ყაზბეგის, გ. წერეთლის, დ. კლდიაშვილისა და სხვათა პროზა. მაგ. ყაზბეგთან თხრობა, ჩვეულებრივ, მესამე პირში წარმოებს, რაც მკითხველს უქმნის სინამდვილის ობიექტური ასახვის ილუზიას. აქ, იმთავითვე იგულისხმება, რომ ავტორმა ისეთი იდუმალი მხარეებიც იცის თავისი პერსონაჟის ცხოვრებისა, რაც გარეშე დამკვირვებლისათვის შეუმჩნეველია.

ამ მეთოდისაგან ძალზედ მნიშვნელოვან გადახვევასთან გვაქვს საქმე ჭ. ლომთათიძის შემოქმედებაში.

თავისი გმირების შინაგანი, სუბიექტური სამყაროს გადმოსაშლელად ჭ. ლომთათიძე მიმართავს აღსარების, დღიურის ფორმას, როცა პერსონაჟები საკუთარ თავზე თვითონვე გვიამბობენ, სხვის „დაუხმარებლად" წარმოგვიდგებიან და არა ავტორისეული ინტროსპექციის საშუალებით. და ეს აღსარება არის არა ჰიპოტეტურად ობიექტური აღწერა პერსონაჟის განცდათა, არამედ სუბიექტური ინტერპრეტაცია გმირის მიერ საკუთარიევე სულიერი ვითარებისა.

აღსარების ფორმის გამოყენებისას ჭ. ლომთათიძეს ხშირად შემოაქვს თხრობაში პერსონაჟთა მოგონებები, რადგან აღსარება იმთავითვე შეიცავს თავისთავში მოგონებას. ხშირად ეს მოგონებები ძალზედ მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ჭოლას პროზაში, ჰქმნიან ეგრეთ წოდებულ მეორე პლანს, რასაც პერსონაჟის სულიერი ვითარების დახასიათებისათვის გადამწყვეტი ღირებულება გააჩნიათ. მოგონებები, როგორც წესი, პერსონაჟის გონებაში წარმოიქმნებიან ცალკეულ გაელვებებად და, უმეტეს შემთხვევაში, ამ დროს, ქრონოლოგიური თანმიმდევრობა მოგონებული ფაქტებისა დარღვეულია. ეს მოგონებები „ამჟამად" უკვე გარდასულნი და დავიწყებულნი არიან გმირის მიერ, მაგრამ გარკვეული ასოციაციური კავშირებით უეცრად იჩენენ თავს მის ფსიქიკაში.

ხშირად, ჭ. ლომთათიძის გმირები ბოლომდე არ იცნობენ საკუთარ თავს და არც ის იციან, რას მოიმოქმედებენ მომდევნო წუთებში. არც თუ იშვიათად, მათი სულიერი სამყარო გაუვალი წყვდიადია მათთვისაც.

ერთი სიტყვით, მწერალი დაჟინებით ილტვის პერსონაჟთა შინაგანი არსის სრულიად გადმოშლისაკენ და ხშირად გვიჩვენებს ხოლმე გაურკვეველ, ბნელითმოცულ მხარეებს ადამიანური განცდებისა თუ საქციელისა, მიგვანიშნებს ისეთ სულიერ ვითარებაზე, რაც შეუძლებელია აიხსნას მხოლოდ განსჯის გზით. ჭ. ლომთათიძე წინა პლანზე წამოსწევს მომენტებს სულიერი აფეთქებისას, მძაფრი წინააღმდეგობისას, არათანმიმდევრულობას საქციელისას. მოკლედ რომ ვთქვათ, მისი ყურადღების ცენტრშია წყვეტილები ადამიანის ფსიქიკისა.

საქმეში ჩახედულთათვის ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ პერსონაჟთა ასეთი მეთოდით ხატვა უცნობი იყო XIX საუკუნის ქართული ლიტერატურისათვის. მაგრამ ეს ჯერ ყველაფერი როდია:

პრინციპული სიახლე გახლდათ აგრეთვე, ასოციაციური და ე. წ. ცნობიერების ნაკადის წერა. ყველასათვის აშკარაა, თუ რა დიდი ადგილი დაიკავა მოგვიანო ხანის ზოგიერთი ევროპული დიდოსტატის შემოქმედებაში ასეთი მეთოდის მომარჯვებამ.

სიტყვამ მოიტანა და, ბარემ ისიც უნდა ითქვას, რომ ჭოლას შემოქმედებაში აშკარად შეიმჩნევა ე. წ. „სიმფონიური" მანერა წერისა. ეს ის მეთოდი გახლავთ, როდესაც სიტყვაკაზმული ხელოვნების ნიმუში მუსიკალური ნაწარმოების, კერძოდ, სიმფონიის თარგით იქმნება. არ არის ძნელი იმის თვალნათლივ ჩვენება, რომ ჭოლას ერთ-ერთი საუკეთესო მოთხრობა „თეთრი ღამე", სწორედ სიმფონიას ენათესაება თავისი სტრუქტურით. აქ აშკარად გვაქვს სიმფონიისათვის ეგზომ აუცილებელი პოლიფონიურობა, მთავარია

თემა ვარიაციებით, კონტრაპუნქტი და ლაიტმოტივიც კი. თანაც, გვაქვს, თუ შეიძლება ითქვას, მთავარი ლაიტმოტივი, მთელ ნაწარმოებს რომ მიჰყვება ბოლომდე და ე. წ. „ქვეელაიტმოტივები“, რომლებიც ამა თუ იმ ეპიზოდს ერთვიან, რათა შემდეგ ამ ეპიზოდთან ერთად გაჰქრნენ.

კიდევ ერთია სათქმელი და ამ შემთხვევაში, ეს განსაკუთრებით არის საინტერესო: მწერლის მთავარი პერსონაჟები, უმრავლეს შემთხვევაში, ინტელიგენტები არიან. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ არც ერთ ქართველ მწერალს, ჭოლამდე, ასეთი განსაკუთრებული ყურადღება არ დაუთმია ინტელიგენტების გამოსახვისათვის.

საზოგადოება და საზოგადოებრივი მოვლენები, აგრეთვე, ადამიანის სულში მიმდინარე ფსიქო-ბიოლოგიური პროცესები, ჭოლასთან ინტელიგენტის თვალით არის დანახული, რევოლუციურად განწყობილი ინტელიგენტის ფსიქიკაშია გადატეხილი.

ამჟამად მე არ მაქვს საშუალება თვალი მივადევნო ყველა ინტელიგენტს ჭოლას შემოქმედებაში. აქ მხოლოდ ზოგიერთ მოთხრობას მიექცევა ყურადღება.

უპირველეს ყოვლისა, შევჩერდეთ ნაწარმოებზე „მატლი“.

ამთავითვე უნდა აღინიშნოს, „მატლი“ (1902 წ.) არ განეკუთვნება ჭ. ლომთათიძის შედევრთა რიცხვს. მოთხრობის ფორმა ნაკლებად ტოვებს გაწაფული ოსტატის ხელიდან გამოსულის შთაბეჭდილებას. ეს არცაა გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ, რომ იგი 23 წლის ჭაბუკმა დაწერა. სამაგიეროდ, ნაწარმოებში ჩადებული აზრი ძალზედ მნიშვნელოვანია და ერთგვარად საპროგრამო ხასიათსაც ატარებს. ამ მოთხრობაში თავი მოიყარა რამდენიმე ისეთმა საკითხმა, რომელსაც შემდეგ დაჟინებით უბრუნდება და ამუშავებს ჭოლა.

ამბავი მოთხრობისა მარტივია. კაცმა რომ თქვას, აქ საერთოდაც არაა ამბავი. ორი მეგობარი, ორი ინტელიგენტი, ვანო და სანდრო, აზრებს უზიარებენ ერთმანეთს სხვადასხვა საკითხებზე. აი, ესაა სულ.

ვანო დიდხანს დაეხეტებოდა უზარმაზარ ქალაქში შიმშილისაგან არაქათგამოცლილი. დაეხეტებოდა და სამუშაოს ეძებდა, მაგრამ ამაოდ. ყველგან ერთი და იგივე პასუხი ესმოდა: „არ გვჭირხარ, უშენოდაც ვკმარვართო“. და ვანო კვლავ დაყიალობდა „ხან აღმა, ხან დაღმა, ხან წინ, ხან უკან, შიშველ-ტიტველი და მშიერ-მწყურვალე“. ბოლოს, მოთმინებიდან გამოსულმა გადააფურთხა ყველაფერს, ოთახში ჩაიკეტა და კარში აღარ

გამოდიოდა. გაუჯაერდა ცხოვრებას! და იგი უცბად მიხვდა, რომ ყველაფრის მიზეზთა მიზეზი საზოგადოებაში გაბატონებული სოციალური უთანასწორობა იყო. „მე მინდა ვიშრომო, მინდა თავი ვირჩინო, მეც კაცებში გავერიო და ამის მაგიერ გსრესენ, ტყავს გაძრობენ, ფეხქვეშ გთელავენ... ქუჩაში რომ ვინმემ მზარი გაგკრას, ბოდიშს მოგიხდის, და როდესაც კისერში ფეხს დაგაბიჯებენ, უკანასკნელ სახსარს მოგისპობენ, მაშინ კი არავინ არ ცნობს თავს დამნაშავედ. განა ეს დაცინვა არ არის ზრდილობის, ადამიანობის?“ შესჩივის იგი დიდი ხნის უნახავ მეგობარს, სანდროს და ბუნებრივია, თანაგრძნობასაც მოელის, მაგრამ წარმოიდგინეთ მისი გაკვირვება და რისხვაც კი, როცა თანაგრძნობის მაგივრად, მწარე დაცინვას მიიღებს. ამით უნდა შეაცოდოს თავი ვანომ სანდროს? ტყუილი იმედია, მოტირალი კაცი არავის ეცოდება. მეორეც, ტირილი და ვიშვიში კი არა, თურმე ბრძოლაა საჭირო, „რადგან საწინააღმდეგო საგანი ძალას წარმოადგენს და ძალა და გულჩვილობა ხომ ვერ დაუდგება ერთმანეთს?“

კი, იქნებ სწორიც იყო სანდრო, ალბათ მართლა ბრძოლაა საჭირო, მაგრამ რა ბრძოლა შეუძლია ადამიანს მშიერი კუჭით? როცა შიმშილისაგან ისე გაქვს ნისლი გადაფარებული თვალებზე, რომ ცხვირწინ საგანი ვერ გაგირჩევია?

ამის პასუხად სანდრო წარმოსთქვამს ვრცელ ტირადას, რომელიც საყრდენია, ბალავერია მოთხრობისა და იქნებ ჭოლას შემოქმედებისაც:

„თუ გსურს რაიმე გააკეთო, თუ კი გსურს, სიკვდილამდე სიკვდილის გემო არ იწვნიო, კუჭი ცარიელი უნდა გქონდეს. კუჭის სიმაძღრე, აი, სად არის ძაღლის თავი ჩამარხული, აი, რას უნდა ერიდოს თანამედროვე მებრძოლი. მგელი ორწილ გაბედული და ღონიერი მაშინ არის, როდესაც შია. კუჭი უნდა იყოს ცარიელი, სამაგიეროდ გული, გული უნდა ასაზრდოო. გული უნდა ერთი ვეებერთელა ქურა იყოს, სადაც ცეცხლი მუდამ უნდა გუზგუზებდეს და აი, მაშინ, დარწმუნებული იყავი, რომ შენი გასროლილი ტყვია მიზანს არ ასცდება, ის ისეთი საიმედოა, როგორც დედის სიყვარული და ისეთი გამძლე, როგორც უკვდავება. შენ, რასაკვირველია, გაგიგონია სოფელში: „დაიცა დაცოლშვილიანდება და დაჭკვიანდებაო“. და მერე იცი რას ნიშნავს „დაჭკვიანება?“ ეს არის არც მეტი, არც ნაკლები, სულის სიკვდილი, „დაჭკვიანება“ წელკავია ჩვენი, ისეთი მათრახია, რომელიც, სოფლურად რომ ვთქვა, ღდინს ართმევს, არაქათს ულევს კაცობრიობას. ამ სენის წყალობით არის, რომ ჩვენი

ცხოვრება ჯოჯოხეთად გადაქცეულა. შეგნებული, პატიოსანი ნაწილი კაცობრიობისა, მაგის წინააღმდეგ მთელი თავისი ძალღონით უნდა ამხედრდეს. ისტორია კაცობრიობისა განუწყვეტელი ბრძოლაა „დაჭკვიანებასთან". ვის ებრძოდა ვოლტერი, შილერი, ჰიუგო, დიკენსი? „დაჭკვიანებას"! ვინ აწამა ბრუნო, გალილეი და სხვები? „დაჭკვიანებულებმა". ვინ სდევნის დღეს მეცნიერებას, კულტურას, ნათელ აზრს? იგივე „დაჭკვიანებულები". „დაჭკვიანება" - ამ სიტყვაზე მეც თვალწინ მიდგება უსულო ადამიანი, ცოცხალი მიცვალებული, მგლური თვალებითა და კბილებით, მიდგება თვალწინ გაბატონებული მუცელი და დამონებული სული, ადამიანი, რომელსაც ყოველნაირი კავშირი გაწყვეტილი აქვს თავისუფლებასთან, რომელიც მომკვდარა, როგორც ადამიანი და ცოცხალია, როგორც პირუტყვი! „დაჭკვიანება" დღესასწაულია ღორის და წესის აგებაა ადამიანის, მე ვერ წარმომიდგენია „დაჭკვიანება" და ადამიანობა ერთად. დღიდან ადამიანის გაჩენისა, ეს ორი ელემენტი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაშია და აი, ეს ბრძოლა არის წითელი ზონარი ისტორიისა, ამ ზონარზეა აკინძული ყველა ფაქტები ადამიანის წარსულისა... მე აკი გითხარი - მებრძოლს კუჭი ცარიელი უნდა ჰქონდეს-მეთქი, და აბა ერთი მიბრძანე, სად ნახე შენ, რომ „დაჭკვიანებულ" კაცს კუჭი ჰქონდეს ცარიელი. კაცის დაჩუმება რომ უნდათ, იმას სადილად პატიჟობენ. ეს არის უმაღლესი ფილოსოფია „დაჭკვიანებულთა" ზნეობრივ შეხედულებისა. და ბედნიერია ის კაცი, რომელიც ისე მომკვდარა, რომ არ „დაჭკვიანებულა". თუ ინატროს კაცმა, ასეთი სიკვდილი უნდა ინატროს!" (ჭოლა ლომთათიძე, გვ. 33).

ეს სრულიად უჩვეულო ინტონაციებია. უჩვეულოა, საიმდროოდ ჩვენს ლიტერატურაში ასახული ინტელიგენციისათვის. არცერთ ქართველ ინტელიგენტ-პერსონაჟს თავისი დამოკიდებულება ასე რადიკალურად არ გამოუმჟღავნებია საკითხისადმი, თუ „როგორ უნდა იცხოვრო". დიახ, ჩვენს ინტელიგენტებს აწუხებდათ და აწვალებდათ პრობლემები, რომლებსაც ისინი ნაირნაირი ვარიაციებით წამოაყენებდნენ და შეძლებისდაგვარად წყვეტდნენ, მაგრამ აქ რაღაც სხვაა:

თურმე კაცობრიობა ორ ნაწილად იყოფა იმთავითვე: ფილისტერებად, ანუ „ჭკვიანებად" და „უცენზურო ადამიანებად" (ჭოლას სიტყვებია), ანუ მებრძოლებად. ამიტომ ყველა მებრძოლის ვალია, დაუნდობლად ებრძოლოს „დაჭკვიანებას" - თავის თავშიც და სხვაშიც, თუ უნდა, რომ ადამიანებმა შეინარჩუნონ ადამიანური სახე. ეს ის სატკივარი გახლავთ, რაც 1909 წელს ვაჟა-ფშაველას გენიალურად დააფორმულებინებს „დაჭკვიანებულთა" მთელ არსს:

„არა თქვენ, სადიაცენო, რო ძროხებივით სძლებითა, ღამე მაძღრები დასწვებით, დილით მშივრები სდგებითა, თავის ჯამს ჩასცქერთ, საქეყნოდ არც. როს არ გამასდგებითა. თავისად სცოცხლობთ, მცონარედ, ლეში ალაღოთ, ჰკვებდითა. გაიგებთ კარგის გარჯასა, გწყინსთ და შურითა ხდებითა. უქმად ჩამაჰლევთ სიცოცხლეს, უქმად საფლავში სწვებითა, დაჰკარგავთ სააქაოსა, ვერც საიქიოს სწვდებითა, არ იცით, დასჩდით რისადა, ან რაისთვისა ჰკვდებითა!“

ასეთები არიან „ჭკვიანები“. ხოლო მებრძოლთა, ანუ „უცენზურო ადამიანების“ დროშაზე სისხლითაა ამოტვიფრული ორად-ორი სიტყვა: „ბრძოლა და იმედი“ და აი, სწორედ აქ იღებს სათავეს ჭოლასეული ვარიანტი ინტელიგენტის მოდელისა. ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ჯერ კიდევ გიორგი ერისთავმა შექმნა ინტელიგენტის გარკვეული ტიპი: საქართველოს ფარგლებს გარეთ სწავლაგასრულებული ახალგაზრდა კაცი სამშობლოს უბრუნდება და მოღვაწეობას იწყებს - აქედან გამომდინარე სხვადასხვაგვარი შედეგებით. ამ მოდელმა მეტნაკლები გამძლეობით იარსება საუკუნის დასაწყისამდე და აი, ჭოლა ლომთათიძის შემოქმედებაში ძლიერი ტრანსფორმაცია განიცადა.

დავიწყოთ იმით, რომ ჭოლას ინტელიგენტები, როგორც წესი, „უცენზურო ადამიანები“ არიან, ან თუ სხვაგვარად ვიტყვით, „დაჭკვიანებულთა“ საზოგადოების წინააღმდეგ დაუცადებელ მებრძოლებად გვევლინებიან. მათ არ სწამთ „დაჭკვიანებულთა“ ცხოვრების ფილოსოფია, მათ მიერ დამყარებული სოციალური ურთიერთობა, ზნეობა და საერთოდ ყველაფერი, რაზედაც დაფუძნებულია „დაჭკვიანებულთა“ სახელმწიფოებრივი სტრუქტურა. სწორედ ამიტომ ისინი აშკარა ომს უცხადებენ „ჭკვიანებს“. თავის მხრივ, არც „ჭკვიანები“ სხედან გულხელდაკრეფილნი. ომს იმთავითვე ომითვე უპასუხებენ და რაკიღა ძალა ჯერ კიდევ მათ მხარეზეა, იჭერენ „უცენზუროებს“ და უვნებელყოფის მიზნით, საპატიმროებში ჰყრიან. აქედან იწყება უთანასწორო შერკინება: მარტოდმარტო, თავისთავის ამარა დარჩენილი მებრძოლი-ინტელიგენტი და უზარმაზარი, კბილებამდე შეიარაღებული არმია „ჭკვიანთა“ საზოგადოებისა. ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლოა და იმის მიხედვით, თუ როგორ ამჟღავნებენ თავს ამ უთანასწორო ბრძოლაში, მებრძოლი- ინტელიგენტები მთელი თავისი ადამიანური ბუნებით წარმოსდგებიან ჩვენს წინაშე.

მაშასადამე, ასე:

უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის წყურვილით ანთებული ინტელიგენტი „ჭკვიანთა“ საპყრობილეში ხვდება. აქ იგი არაადამიანურ, ჯოჯოხეთურ გამოცდას გადის, მაგრამ სტოიკურად

უძლებს ტანჯვა-წამებას და ბოლომდე ქედმოუხრელი რჩება.

ან: მიუხედავად დიდი დაძაბვისა, ვერ უძლებს დამთრგუნველი ძალების ზემოქმედებას და ჩაიმუხლებს. იქნებ წაიქცევა კიდეც.

ასეთია სქემა, რომელიც თვითეულ მოთხრობაში სხვადასხვა ნიუანსითა და დეტალით მრავალფეროვნდება, რასაც ქვემოთ უფრო კონკრეტულად დავინახავთ, მაგრამ არსი უცვლელია: საპყრობილეში გამომწყვდეული, ან სულაც სახრჩობელას წინაშე მდგარი მებრძოლი ინტელიგენტი და მისი ფსიქოლოგიური განცდები.

ინტელიგენტის ამნაირი მოდელის შექმნით ჭოლა ლომთათიძემ ორიგინალობა გამოიჩინა და სრულიად უვალი გზა გაწვალდა ქართულ მწერლობაში. მანამდე, თითქმის ყველა ინტელიგენტი, როგორლაც მშვიდად არსებობდა და, შეიძლება ითქვას, პასიური ჭვრეტით აღიქვამდა ცხოვრებას. მათ აქვთ საფიქრალ-საზრუნავი, მაგრამ ეს საფიქრალი თვით მწერალთა მიერ წამოყენებული, დროისთვის აქტუალური დოქტრინებია მხოლოდ. ეს ინტელიგენტები, ხშირ შემთხვევაში, სახე-იდეები არიან და არა მრავალფეროვანი ადამიანური (ამ შემთხვევაში ინტელიგენტური) ბუნების მხატვრული წარმოჩინება.

სულ სხვაგვარადაა საქმე ჭოლასთან:

მას, უპირველეს ყოვლისა, თავისი ინტელიგენტი პერსონაჟების ფსიქოლოგიურ განცდათა დეტალური ანალიზი აინტერესებს - მიუხედავად იმისა, „მსხვილმანია" თუ „წვრილმანი" ეს განცდები.

მწერალს საგანგებო მიზნად დაუსახავს სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე მოქანავე ინტელიგენტების სულიერ განცდათა სიღრმისეული კვლევა, რაც უკვე თავისთავად გულისხმობს ჭოლა ლომთათიძის პროზაში ფსიქოლოგიზმის განსაკუთრებულ მოჭარბებას და რაზედაც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

* * *

ერთ თვეში ოცდახუთი წლისა შესრულდებოდა.

ჯანსაღი იყო სულითაც და ხორცითაც.

ლექსებს წერდა.

უყვარდა და სწყუროდა სიცოცხლე.

ეს ახალგაზრდა „სასიკვდილო საქმეებზე წასულა ისე, რომ წარბიც არ შეუხრია. ბარიკადებზე მდგარა, როცა მას ტყვიას უშენდნენ, როცა გვერდში უკლაედნენ ამხანაგებს და მაინც არ უგრძვნია შიში", რადგან „ბრძოლისა" და იმედის" დროშით, იარაღით ხელში, ებრძოდა „დაჭკვიანებულთა" საზოგადოებას.

ჯეირან ვარდოსანიძე ასე ერქვა რევოლუციონერ ინტელიგენტ ახალგაზრდას.

გამძვინვარებულმა რეაქციამ შეძლო მისი დაპატიმრება. მალე სასამართლოც გაიმართა თუმცა, ეს სასამართლო კი არა, გულისამრევი სიყალბით გათამაშებული ფარსი იყო. პროკურორმა მაღალფარდოვნად წარმოსთქვა: „ესენი სამაგალითოდ უნდა დასჯილ იქნან! მაგათ ფეხქვეშ გათელეს ერის წმიდათა-წმიდა, მისი რწმენა, ჭირსა და ლხინში მისი იმედი, რელიგია შეარცხვინეს ამათ. არაფერს არ ზოგავენ, არაფერს არ ერიდებიან, იერიშით მიდიან ოჯახსა და საკუთრებაზე, ღმერთსა და მეფეზე, იერიშით მიდიან კულტურასა და კაცობრიობის უდიდესი შრომით შექმნილ და მოწესრიგებულ საზოგადოებაზე. ამ ახალი ჯურის ვანდალებმა იერიში მიიტანეს ზნეობაზე და სინდისზე. ქრისტეს მაღალი მცნება ურთიერთის სიყვარულისა, სიძულვილით შეცვალეს, მისი პატიოსანი და ცხოველმყოფელი ჯვარის ნაცვლად ხელში აიღეს ბომბები და ბრაუნინგ-მაუზერები... კმარა დაზოგვა და გულჩვილობა! საზოგადოებას დაეკარგა მოთმინება, ის სამართლიანად მოითხოვს კანონისაგან დაცვას! გულჩვილობა ასეთ შემთხვევაში დანაშაულია საზოგადოების წინაშე და ამიტომ, ბ-ნო მსაჯულნო, მე ვთხოულობ მაგათთვის უმაღლეს სასჯელს სიკვდილს“ (ჭ. ლომთათიძე, გვ. 86).

და მართლაც, ჯეირან ვარდოსანიძეს არგუნეს „ყოველივე ღირსების ახდა და სარჩობელაზე სიკვდილი“.

სწორედ აქედან ვეცნობით მას.

მწერალმა მიზნად დაისახა ქართული ლიტერატურისათვის მანამდე უპრეცედენტო ვითარების წარმოსახვა: თუ რას განიცდის სიკვდილმისჯილი ახალგაზრდა ინტელიგენტი განაჩენის აღსრულებაზე. და მკითხველი იწყებს მოგზაურობას მისი სულის უღრმეს ლაბირინთებში. მოთხრობა ჭოლასთვის ჩვეული მანერით, აღსარების ფორმითაა დაწერილი. ავტორი აქ თითქო „არც არსებობს“, „გამქრალა“ და მისი „როლი“ მინიმუმამდეა დაყვანილი. სამაგიეროდ, ჩვენს წინაშე დგას „აღმსარებელი“, ჯეირან ვარდოსანიძე, რომელიც საჭიროდ არ თელის რაიმე დაგვიმალოს, ან შეალამაზოს საკუთარი სულიერი განცდებიდან. მიუხედავად მოსალოდნელი უმძიმესი ფინალისა, იგი მაინც ინარჩუნებს თვითდამკვირვებლის ფხიზელ გონებას და უმცირეს დეტალსაც კი სულიერი მოძრაობისას, არ ტოვებს შეუნიშნავს და აღუნუსხავს. თვითანალიზი, გაბედული თვითანალიზი, რაიც აგრერიგად აკლდათ ჯეირან ვარდოსანიძის წინამორბედ ინტელიგენტებს, აქ ერთბაშად უმაღლეს საფეხურზეა აყვანილი და სწორედ ამიტომ, „სარჩობელას

წინაშე“ ქართული ბელეტრისტიკის საუკეთესო მონაპოვართა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ.

ამგვარად, განაჩენი გამოტანილია:

„არ ვიცი, რა ვიგრძენი იმ წუთს, არ მახსოვს“, - გვეუბნება ჯეირანი. მერე საშინელი დაღლილობა გაიცნობიერა. დაღლილობა და არა შიში. პირიქით, „არაფრის არ მეშინია, მხოლოდ დაღლილი ვიყავი და ძილი მინდოდა... მე გავიხადე ტანზე, გაეწვიე საბანში და ღრმად, უგრძნობოდ დავიძინე“... მაგრამ გათენდა დილა და გოლგოთაც აქედან დაიწყო. ის ორი დღე, რომელიც ჯეირანმა განაჩენის აღსრულების მოლოდინში გაატარა, აღსავსეა უმძაფრესი შინაგანი ბრძოლით - ერთი მხრივ, სიკვდილის გამთანგავ შიშისა, რომელსაც თან სდევს სულის შემხუთველი კოშმარები და ჰალუცინაციები და, მეორეს მხრივ, მებრძოლი კაცის რწმენას შორის, რომელიც დარწმუნებულია, რომ სამართლიანი საქმისათვის იბრძვის და შეუძლია კიდეც ამ საქმისთვის უდრტვინველად მიიღოს სიკვდილი. დიახ, შეუძლია, მაგრამ ძნელია, იქნებ შეუძლებელიც, მისი ბოლომდე „გათავისება“, გაშინაგანება. მით უმეტეს, თუ სულიან-ხორციანად ჯანსაღი ხარ და ხარბადაც გწყურია სიცოცხლე. და აი, იწყება კოშმარების მთელი ჯაჭვი.

ეს კოშმარები გაავებული სიჯიუტით დასდევს თან ჯეირან ვარდოსანიძეს ორი დღე-ღამის მანძილზე და უკიდურესად უფორიაქებს ისედაც აფორიაქებულ ფსიქიკას. „სევდა! სევდა! ბინძური, მახინჯი და აუტანელი სევდა შემოეხვია გულს. მძიმე, როგორც განწირულება, მახინჯი, როგორც სილაჩრე და აუტანელი, როგორც ნოტიო. როგორც ღალატი საყვარელი ადამიანისა, შუბლგადარეცხილი, თმააბურძგნილი, ახმახი და საზიზღარი სევდა გამეფდა გულში“. და დროებით მაინც რომ გაუსხლტეს ხელიდან ამ „საზიზღარი სევდის“ მეუფებას, ჯეირანი მოგონებებს, რეტროსპექციას მიმართავს. საერთოდ, ე. წ. მოგონებები ძალზე მნიშვნელოვან მეორე პლანს უქმნის მოთხრობას. მოგონებებში ცოცხლდება რამდენიმე ფაქტი ჯეირანის ცხოვრებიდან. კერძოდ, ეპიზოდი დედის გარდაცვალებისა, სანოსკიპოსთან დაკავშირებული ასოციაციების მთელი სერია, დამოკიდებულება ჯაშუშთან, „მაქციერას“ ეპიზოდი და სხვ. ამ მოგონებების ჯეირანისეული გააზრება და მათთან ემოციური კონტაქტის დამყარება, ერთხელ კიდევ გვიმტკიცებს, თუ რაოდენ ფაქიზი, ამაღლებული სულის მქონე კაცია ჯეირანი და როგორი პოეტური წარმოსახვით შეიგრძნობს სამყაროს. და სწორედ ამიტომ, მისთვის ასწილ მძიმე უნდა ყოფილიყო იმის განცდა, რომ: „ჩვენი კარები გარედან იკეტება და გასაღები მათ ხელშია. როცა უნდათ, მაშინ გააღებენ,

შემოულენ, გაგვიხსნიან მკერდს და შიგ სინდისში ჩაგვაფურთხებენ, შეგვიკრავენ ხელებს და გვცემენ".

და უსახური, მღვრიე, ამაზრზენი ქაოსიდან მოიპარება შიში!

სხვათა შორის, ჭ. ლომთათიძემ პირველად ქართულ მწერლობაში, დასვა პრობლემა შიშისა და შეეცადა მისი ფსიქოლოგიური საფუძვლები აეხსნა. ერთ მოგვიანებით დაწერილ ნოველაში, რომელსაც „შიში" ეწოდება, იგი წერს: „მე მეშინია შიშის, მეშინია იმიტომ, რომ შიში სტიქიურია. მეშინია იმიტომ, რომ ეფიქრობ, ოდესმე უალაგო ალაგს მომისწრებს, მომწყვეტს წელს და მიწასთან გამასწორებს. გაუმაძღარი ყოფილა შიში ისე როგორც სიკვდილი. სიკვდილივით, შიშიც ჭამს თურმე ყველაფერს სიყვარულს, რწმენას, იმედს და როგორც სიკვდილი, შიშიც ვერ ძღება თურმე" (ჭ. ლომთათიძე, გვ. 434).

შეშინდა ჯეირან ვარდოსანიძეც. როცა მთლიანად გაისიგრძეგანა სიკვდილის არსი, შეშინდა და თანაც, როგორ შეშინდა:

„ერთიან კანკალი დავიწყე, გიჟივით ვიცქირებოდი გარშემო, პირუტყვულმა შიშმა შემიპყრო და, როცა ვიღაცეების ფეხის ხმა შემომესმა, გადავწყვიტე ჩემთან მოდიან-მეთქი და ლოგინის ქვეშ მინდოდა დავმალულიყავ... დიახ, დიახ, მე, ჯეირანს, მინდოდა ტახტის ქვეშ შეძრომა და ჯალათისაგან თავის გადარჩენა. და თუ არ შევძვერი, ეს იმიტომ, მივხვდი, დავრწმუნდი, უაზრო აზრი იყო, რომ არასგზით დამალვა არ შემეძლო. დიახ, მხოლოდ ამიტომ არ შევძვერი. თორემ მე, ჯეირან ვარდოსანიძეს, კი არ შემრცხვენია ამის, კი არ მიფიქრია, რომ ეს არ შეშვენოდა მებრძოლს. არა, მე მივხვდი მხოლოდ, რომ ამით თავს ვერ გადავირჩენდი, თავის გადარჩენა კი მინდოდა, მინდოდა აუცილებლად. მაგრამ როცა დავრწმუნდი, რომ არაფერი არ მიშველიდა, მე შეშლილივით გავიცინე, შეშლილივით დავიწყე სირბილი".

მერმე დაღლილ-დაქანცულს ჩაეძინა და აი, აქ არის მოთხრობის კულმინაციური წერტილი, როცა ჯეირანის სულში ახალი ძალით იფეთქებს მებრძოლის ჟინი და შეუპოვარი რწმენა. ეს ის რწმენაა, რაც ადამიანს შეუძლებელს შეაძლებინებს, დააძლევინებს სიკვდილის შიშსაც კი. ამ რწმენას კაცური ღირსება და საკუთარი სიმართლის უღრმესი შეგნება ჰქვია.

საქმე ის გახლავთ, რომ ასე უამურად ჩაძინებულ ჯეირანს თანამებრძოლი მეგობარი, ბრძოლაში ვაჟკაცურად დაღუპული პაულე გამოეცხადება. არა, მას შეგონებები არ დაუწყია. გულხელდაკრეფილმა, წყენანარევი ღიმილით, ერთი ფრაზა უთხრა

მხოლოდ: „არ მოველოდი, მართალი გითხრა, შენგან არ მოველოდი მაგას!“ მეტი არაფერი, უთხრა ეს და გაქრა, მაგრამ ამ ერთმა ფრაზამ უზარმაზარი ზნეობრივი ძალა შესძინა ჯეირანს. თენდება და სინათლესთან ერთად, მატულობს მისი სინდისის ქენჯნაც. ნუთუ მართლა მიძვრებოდა ტახტის ქვეშ? ნუთუ, მართლა უნდოდა მუხლებზე დაცემა და ხვეწნა სიცოცხლე მაჩუქეთო? დიახ, უნდოდა! სირცხვილი! სირცხვილი! და მისმა შინაგანმა მეორე ნახევარმა, მისმა გახლეჩილმა „მემ“, გამუდმებით დაუწყო წამქეზებელი ჩურჩული: „დამშვიდდი, დაიძინე, ყვავილო! ჩემო მინდვრის იავ, შენ პოეტები გეარშიყებიან... დილის ცვარო, პირი დაბანე ქვეყნიერებას... ყვავილო მოწყვეტილო, დაფიქრდებიან, შენ რომ დამჭკნარს გიხილავენ“... და შინაგანი ხმა იწყებს მღერას აკაკის ლექსისას, სადაც ასეთი სტრიქონებიც არის: „და მითქვამს, თუ რომ უმსხვერპლოდ ვერ გაიხარებს ქვეყანა, ღმერთო, მიმიღე ზვარაკად, გულში დამერჭოს მე დანა“. სიცოცხლეც სხვათა კეთილდღეობისთვის, სიკვდილიც სხვათა საკეთილდღეოდ!

აი, ქმედითი აზრი, რომელიც გაიშინაგანა ჯეირანმა და ამის შემდეგ ყველაფერი თავთავის ადგილას დალაგდა, ყველაფერი გასაგები, შესაძლებელი და იოლი შეიქნა. ჯეირანმა ახლა უკვე საბოლოოდ იცის - რა უნდა და რატომ უნდა. ის უფალია საკუთარი თავისა და ნებისა. ასეთი შინაგანი სრულყოფისათვის მანამდე ცოტა პერსონაჟს მიუღწევია ქართულ მწერლობაში. რასაკვირველია, სიკვდილის მისტიური იდუმალება მაინც ვერ ამოიხსნა. აკი ჯეირანი თვითონვე ამბობს: „შორიდან უბრალო რამ მეგონა სიკვდილი, მაგრამ რამდენადაც პირისპირ ვუდგები მას, რამდენადაც ვუახლოვდები და ვგრძნობ მის ცივ ქშენას, იმდენად ვრწმუნდები, რომ ის ზედმიწევნით რთული რამ ყოფილა, უფრო რთული, ვიდრე თვით სიცოცხლე, მისი მრავალფეროვნებითა და სხვადასხვაობით“ (ჯ. ლომთათიძე, გვ. 115). დიახ ეს ასეა, მაგრამ ჯეირანის ყოვლისმომცველ კათარზისთან შედარებით, სიკვდილის გამოუცნობი იდუმალება ფერმკრთალდება, შემბოჭავ ძლიერებას კარგავს. ჯეირანი აქ წარმოსთქვამს სიტყვებს, რომლის გულწრფელობასა და სიმართლეში ეჭვის შეტანა დიდი მკრეხელობა იქნებოდა:

„ბედს კი არ ვემდური, განა! ის კი არა, ხელახლა თავიდან რომ დავიწყო სიცოცხლე, ისე, რომ ყოველივე ეს მახსოვდეს, დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ისევ აქ მოვალ, არა, ბედს არ ვემდური! მე ვიცოცხლე ისე, როგორც მინდოდა და მესმოდა სიცოცხლე. თუ ვინმე დამტკბარა სიცოცხლით, მეც ერთი იმათგანი ვარ, თუ ვინმეს გამოუცდია შეება და სიხარული, მეც გამომიცდია.

ჩემი სიყვარულიც სრული იყო და სიძულვილიც, რწმენაცა და უარისყოფაც. აბა ერთი ის რად ღირს, რომ მე ვიცი - ჩემი საშუალებით ბევრი, ბევრი თავი ამუშავებულა, ბევრი დაფიქრებულა!"

მაგრამ აქ „დაჭკვიანებულთა" მთელი არმია წამოყოფს თავს. მათ სახრჩობელა არ ემუქრება, მათ არავინ ერჩის, რამეთუ ისინი „ჭკვიანები" არიან, მხიარულნი, ბედნიერნი, კმაყოფილნი, აქებენ საკუთარ ბედს, თან ნიშნს უგებენ ჯეირანს: რატომ არ დაეტიე შენს ტყაში? რად წაიხდინე თავი? ვინ დაგიკავებდა შენ თბილ ადგილს და კაი ჯამაგირს? ახლა კი ხედავ? სახრჩობელა გიცდის! შენ თავს დააბრალე, შენ თავს დაემდურე... ეუბნებიან ამას და მათ სახეზე გარკვევით სწერია: ჩვენ არავინ დაგვახრჩობს, იმიტომ, რომ „ჭკვიანები" ვართ, ვიცით, როგორ უნდა თამაში, ვიცით ცხოვრების ხვრელები და დაეძვრებით, მადლობა ღმერთს, დაეძვრებით ისე, რომ ფეხს წავიტეხთ, არაფერი დაგვიშავდება.

მკითხველს ეხსომება, „დაჭკვიანებულებმა" ჯერ კიდევ ადრე, „მატლში" გამოაჩინეს მგლური თვალები და კბილები", მაგრამ მაშინ, მოთხრობის ერთ-ერთი პერსონაჟი - სანდრო, ამის აღნიშვნით დაკმაყოფილდა მხოლოდ, აქ კი დაჭკვიანებულთა წყალობით სახრჩობელას წინაშე მდგომი ჯეირანი, უმძაფრეს, ჭექა-ქუხილის მსგავს ანათემას დაატეხს მათ (ჭ. ლომთათიძე, გვ. 121-123).

ჯეირან ვარდოსანიძე სრულიად ახლებური სახეა ქართველი ინტელიგენტისა. მართალია, მისი არსებობის ძირითადი პათოსი უმჭიდროესადაა დაკავშირებული ჯანყთან, მაგრამ ჭ. ლომთათიძის მწერლური ნოვატორობა ისიც გახლავთ, რომ მან სწორხაზოვნად, მხოლოდ ერთ პლანში კი არ გაიაზრა თავისი პერსონაჟი, არამედ ფსიქოლოგიურ განცდათა მთელი მოზაიკით, რითაც ჭეშმარიტი მხატვრული გამძლეობა მიანიჭა მას.

ჯეირანმა დაამარცხა სიკვდილი!

შეუძლებელია გულუძრავად წაიკითხო მოთხრობის ფინალი, როცა იგი მეგობრებს ატყუებს - სიკვდილით დასჯა კატორღით შემიცვალესო. ატყუებს, რათა ზედმეტი შფოთი და აღელვება არ გამოიწვიოს მათში.

ასე ადის ეშაფოტზე.

ამგვარია ჯეირან ვარდოსანიძე, „თავზეხელაღებული" ინტელიგენტი, რომელმაც შეუპოვარი ბრძოლა გაუმართა „დაჭკვიანებულთა" უზარმაზარ არმიას, შეეწირა კიდეც ამ ბრძოლას, მაგრამ ქედი არ მოუხრია.

„სახრჩობელას წინაშე" 1907 წელს დაიწერა. მას მერმე, 1914 წლის ჩათვლით, ჭ. ლომთათიძემ შექმნა ოცდაერთი მოთხრობა,

რომელთა აბსოლუტურ უმრავლესობაში მთავარ პერსონაჟად ინტელიგენტები არიან გამოყვანილნი. მათგან ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესოა „საპყრობილეში (1909), „უსათაურო (1909), „ჩემი დღიური“ (1910), „პირველი მაისი“ (1910), „უბის წიგნიდან“ (1910), „თეთრი ღამე“ (1911) და „ძე კაცისა“ (1912). განსაკუთრებით საინტერესოა იმიტომ, რომ ამ მოთხრობებშია გამჟღავნებული ყველაზე უკეთ, ჭოლას იდეური და მხატვრული საზრისი. ხსენებული მოთხრობები ზღვა მასალას გადაუშლის მკვლევარებს. აქ ძალდაუტანებლად შეიძლება სიტყვის ჩამოგდება დოსტოევსკისებურის არსებობაზე ჭოლას შემოქმედებაში, ეკზისტენციალიზმზე, ექსპრესიონიზმის საკმაოდ მკაფიო ნიშნებზე და მრავალ სხვაზე, მაგრამ ამჟამად საშუალება არ არის ყოველივე ამაზე საუბრისა. ამიტომ, იძულებული ვარ, უკვე განხილული მოთხრობების შემდგომ, ვილაპარაკო კიდევ მხოლოდ ორზე: „თეთრი ღამე“ და „უბის წიგნიდან“.

ბუნებრივია, დაისმის კითხვა, რატომ მაინცდამაინც ეს ორი იქნა შერჩეული?

აქ რამდენიმე წინადადებით უნდა გავიხსენოთ, თუ როგორია ჭოლასეული მოდელი ინტელიგენტისა:

სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ დაუცადებლად მებრძოლი ინტელიგენტი „ჭკვიანთა“ საპყრობილეში ხვდება. აქ იგი სახრჩობელაზე აჰყავთ, მაგრამ მაინც ვერ ტეხენ მის ნებისყოფას და იღუპება ამაყად. სხვებს, უშუალოდ ეშაფოტი არ ემუქრებათ, მაგრამ არანაკლებ ჯოჯოხეთურ გამოცდას გადიან სატუსაღოს ჯურღმულებში. ამის მიუხედავად, ისინი მაინც ინარჩუნებენ ზნეობრივ სისპეტაკეს, რწმენას, შეუპოვრობას და, რაც მთავარია, ბრძოლის წყურვილს. ასეთები არიან: მცირიშვილი („საპყრობილეში“), ვანო და ხვარამზე („უსათაურო“), ბიკტორ აგიაშვილი და თინა („პირველი მაისი“).

მეორეს მხრივ: მიუხედავად ნებისყოფის დიდი დაძაბვისა, ინტელიგენტ რევოლუციონერთა ერთი ნაწილი ვერ უძლებს დამთრგუნველი ძალების გამუდმებულ დაწოლას და რწმენა ებზარება. სკეპსისი ძლევს, ბრძოლის გაგრძელება უაზრობად ეჩვენება და განდგომას არჩევს. ასეთია კოლა დროზდოვი („საპყრობილეში“), ილიკო იაშვილი („ჩემი დღიური“) და მიხა („თეთრი ღამე“).

რაც შეეხება მოთხრობას „უბის წიგნიდან“, დიდი მნიშვნელობა აქვს ჭ. ლომთათიძის ეროვნული კონცეფციის წარმოსაჩენად და ამიტომ მისი გამოცალკევება, როგორც დაერწმუნდებით, მიზანშეწონილი გახლავთ.

„თეთრი ღამე“ ჭ. ლომთათიძის ერთ-ერთი ყველაზე

საუკეთესო თხზულებათაგანია. ეტყობა, ამას თვითონაც გრძნობდა, რაკიღა საგანგებოდ დაუმუშავებია იგი, სხვა ნაწარმოებებისაგან განსხვავებით, ამ მოთხრობის ორი ვარიანტი არსებობს. გარდა ამისა, „თეთრი ღამე“ ავტორს თვითონვე უთარგმნია რუსულად და ვ. გ. კოროლენკოსათვის გაუგზავნია. მოთხრობას მართლაც ეტყობა მომწიფებული ოსტატის ხელი. ყველა ის მხატერული ხერხები, რომელსაც მანამდე არ იცნობდა ქართული პროზა და რომელიც უშუალოდ ჭოლას მოტანილი იყო, „თეთრ ღამეში“ უკვე სრულყოფილად დასისტემებულ, დახვეწილ და პრინციპულ სახეს ღებულობს.

მოთხრობაში თითქმის წაშლილია ზღვარი რეალურსა და გაფიქრებულს, მომხდარსა და ფსიქიკურს, ფაქტსა და ოცნებას შორის. წარმოსახული და ემპირიული, ცნობიერი და არაცნობიერი ერთმანეთისგან გამოუყოფელია, მოგონება და აწმყოს ფაქტი ურთიერთგაურჩეველია, სუბიექტური ასოციაციებით ერთმანეთთან დაკავშირებულია ემპირიულად კავშირის უქონელი მოვლენები. დროები ერთმანეთში იჭრება. ერთნაირი ტონებით გადმოცემა და ცხადიდან ვიზიონზე, ფიქრიდან რეალობაზე გადასვლა ხდება ყოველგვარი შემზადების გარეშე.

ერთი სიტყვით, ჭოლა ლომთათიძე უკვე ჩვენი საუკუნის დასაწყისში იყენებს გამოსახვისა და გამოთქმის იმ მეთოდებს და ხერხებს, რასაც მოგვიანებით ლიტმცოდნეობაში „ცნობიერების ნაკადს“ უწოდებენ.

ხსენებული მეთოდი ფრიად განსაკუთრებულ შესაძლებლობებს ქმნის ადამიანის, პერსონაჟის ფსიქიკაში სიღრმისეული წვდომისათვის და „თეთრი ღამის“ მიხაც სწორედ ასე გახლაათ დახატული.

სანამ უშუალოდ მის დახასიათებას შევუდგებოდეთ, წინასწარ საჭიროა აღინიშნოს შემდეგი:

როგორც ცნობილია, „თეთრი ღამე“ 1911 წელს დაიწერა. 1907 წლის შემდეგ ჭოლა ციხეში იყო გამოკეტილი, საიდანაც იგი ცოცხალი აღარ გამოსულა, სარატოვის უპატრონოთა თავშესაფარში დაასრულა ტანჯული სიცოცხლე. გადაიგრუხუნა საყოველთაო რევოლუციურმა აღტყინებამ. საზოგადოება მოდუნდა, მოეშვა, უგანა მაღალ იდეალებს.

ყოველივე ეს ძალზე უხვ მასალას შეიცავდა მხატერული ასახვისთვის. უნდა ითქვას, ქართველი რეეოლუციონერი ინტელიგენტი საერთოდ ლიტერატურის მიღმა დარჩებოდა, ჭოლა ლომთათიძე რომ არ ყოფილიყო. არავის ისე რელიეფურად და მაღალმხატერულად არ გადმოუცია რწმენაგაბზარული

ინტელიგენტის ტრაგედია, როგორც ეს ჭოლა ლომთათიძემ გააკეთა.

* * *

„თეთრ ღამეს“ ედგარ პოს ცნობილი ლექსის „ზარების“ ბალმონტისეული თარგმანიდან ორი სტრიქონი აქვს წამძღვარებული ეპიგრაფად. ბალმონტისეული-მეთქი, იმიტომ მოგახსენებთ, რომ სხვა, მოგვიანო თარგმანებში ასეთი სტრიქონები არ მოიპოვება. არადა, დაბზარული ზარები, რომლებიც ვეღარ ხმიანობენ, საწყალობელ ჟღარუნს გამოსცემენ მხოლოდ, მოთხრობის გმირის მიხას სულის ადექვატურ გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ.

„მარტო! სულ მარტო!

და შეიპარა ვიღაც ჩემს გულში, შეიპარა და გაიხედ-გამოიხედა. და ეს ვიგრძენი მე.

სევდა! აღრჩევა სულისა, სევდა!

და მარტოობა! მარტოობა!“

ასე იწყება მოთხრობა. ხსენებული ეპიგრაფი და ბიბლიის ეკლესიასტესეული „აღრჩევა სულისა“, თითქო ერთგვარ უვერტიურას ქმნის, რომელსაც მძიმედ შევყავართ მოთხრობის პირქუშ, უკიდურესად ნაღვლიან, დამაფიქვრელ გარემოში. მთხრობელი, აღმასრულებელი, მთავარი პერსონაჟია მიხა. მას, როგორც თვითონ გვიმხელს, ერთი შესაშური თვისება გააჩნია: „ნიჭი მოგონებისა“, რომელიც მისი მშველელია უსასოო მარტოობის ჟამს სატუსაღოში, სადაც იგი უკვე რამდენიმე წელია ზის.

თხრობა აწმყოს და წარსულის გამუდმებული მონაცვლეობით მიმდინარეობს.

ქრონოლოგიური პრინციპი მოთხრობის აგებისა, მთლიანად უარყოფილია. კომპოზიცია, როგორც იტყვიან, „თაკდაყირაა დაყენებული“, რაც წინ უნდა ყოფილიყო, ბოლოშია, ან შუაშია გადატანილი და ასე შემდეგ. ვცადოთ, ერთგვარ ქრონოლოგიას დაუქვემდებაროთ მიხას ცხოვრება:

უდედმამოდ ამოიზარდა. დიდი ტანჯვით გავიდა გზაზე. უცნობი და მიუსაფარია ამ ქვეყნად, მაგრამ თვითონ ის ბევრს იცნობს და ბევრი უყვარს. ამ სიყვარულის სახელით დგას იგი ბრძოლის ველზე და ელოდება გამარჯვებას, თუმცა არც დამარცხების ეშინია. გამარჯვება ვერ დააბრმავებს მას, ვერც დამარცხება გასთელავს იმის მღვიძარე გულს. მეტსახელად სტეპა შეურქმევიათ, მაგრამ სინამდვილეში რეოლუციონერი მიხაა, რომელსაც გამწარებით დაეძებენ. ხოლო ვიდრე მის კვალს მიაგნებდნენ, რომელიღაც რედაქციაში მუშაობს, წერს მოკლე მოთხრობებსა და რეცენზიებს ახალგამოსული წიგნების შესახებ.

აი, ახლაც ერთი ახალბედა პოეტის წიგნი ჩაუვარდა ხელში მიხას. რაზე სწერს პოეტი? დამდგარა და ტირის. „დიდისაგან დიდი მწუხარება სწვეევია მას - ვიღაც ლამაზ ქალს გადაეყარა, რომელმაც თურმე არც კი შემოხედა ჩვენ პოეტს. და მიხაც ქვას-ქვაზე არ ტოვებს ამ წირპლიანი პოეზიიდან. „ვის ცალია ახლა საამისოდ? ახლა, როცა უკვე დაწყებულია სამკვდრო-სასიცოცხლო ომი - სიმდიდრე- სიღარიბეს შორის?“ ახლა უნდა ბრძოლის ველზე იდგეს პოეტი, როგორც რიგითი ჯარისკაცი!

და მიხაც დგას ვაჟკაცურად, თავისი კალმითა და საქმით.

მერმე მოვიდა სიყვარული. სომხის ქალიშვილი - მანუშაკ. მათ ურთიერთობას არც პოეზია აკლია, არც პირველყოფილი სიცინცხალე, რაც მთავარია, არც მიხას მაღალეთიკურობა, მაგრამ აქ მიხა ერთ დეტალზე მიგვანიშნებს, რაც უნებლიეთ გვაფიქრებინებს, რომ ისინი დიდხანს ვერ გაჰყვებოდნენ ერთმანეთს.

„მანუშაკ ჯანსაღი ქალია, საღი ნერვები აქვს და როგორც ყველა ჯანსაღ ადამიანს, მის ტვინს არ შეუძლია ბევრი ოცნება და ფანტაზიორობა, და ვიცი მე, რომ ის მშვენივრად ივახშმებს ამაღამ, მაგრად დაიძინებს და თამამად მივა ხვალ გამოცდაზე. ის ჯანსაღი ადამიანია და ალერსი სჭირია ჯანსაღ ადამიანს. ეს ისეთი ბუნებრივი რამ არის“...

მიხა კი რომანტიკოსია, პოეტია, მხოლოდ სიყვარულს კი არა, პოლიტიკას და რევოლუციასაც რომანტიკოსის თვალით უცქერის. თან, „ცოტა დავიღალე, ნერვები, ასე თუ ისე, დაქანცულია, თითქო ნარკოზის გავლენის ქვეშ ვიყო“...

დროს არ დასცალდა გამოეცადა მათი სიყვარულის სიმტკიცე. ერთ საღამოს, როცა ისინი მორიგი პაემანის შემდეგ ერთმანეთს დაემშვიდობნენ, მიხას ვიღაცამ ზრდილობიანად სთხოვა პოლიციაში გამომყვეიო. იქ ხელად დაუმტკიცეს, რომ იგი სტეპა არ იყო და მეტეხის „სასტუმროში“ გააგზავნეს. იქიდან კი არხანგელსკის გუბერნიაში უკრეს თავი.

პეტერბურგს ჩავიდა არალეგალურად.

მე ცოტა მეგულება ქართულ მწერლობაში ასე ზუსტად, ტრაგიკული სიმძაფრით, მართლაც რომ დოსტოევსკისებურად დახატული ურბანისტული პეიზაჟი.

„... ახირებულზე უახირებულესი, მისტიური თეთრი ღამე!

ზღაპრულად ფერავდა თეთრი სხივი თეთრი მზისა უზარმაზარ ქალაქს, ქალაქზე დაწოლილ თეთრ ნისლს...

ეს იყო ქალაქი პეტერბურგი.

და მეგონა, რომ ოკეანის ძირში ვიმყოფები მეთქი. და მეგონა რომ ეს იყო სიზმარი, უჩვეულო მოგონება. რომ საცაა

გაეაჭყეტ თვალებს და გამომეღვიძება-მეთქი, და მეგონა, აგრეთვე ისიც, რომ ყველაფერი ეს ერთხელ კიდევ წინათაც მინახავს სადღაც, მინახავს და გამომიცდია, და რომ ეხლა ყველა ეს მხოლოდ მოგონებაა ერთხელ გამონაცადის-მეთქი. და ეს ვეებერთელ სახლები და სასახლეები, ეს ქალები და კაცები, გრძელი, ფართე ქუჩები, ავტომობილ-ეტლები, ეს ხშირი სუნთქვა ლოკომოტივებისა და ორთქლის ნავებისა, ეს სიცილი და ხმაურობა ირგვლივ. ეს მთვრალი სიმღერა პროსტიტუტკებისა და ის, რომ ვიღაც ხულიგანი, გულგრილ პოლიციელის წინაშე, სასტიკად ამათრახებდა ვიღაც დედაკაცს და აგრეთვე ისიც, რომ ვიღაც გოგონა თავს მაწონებდა, მეფიცებოდა, რომ ის მხოლოდ ცამეტი წლის არის, მხოლოდ ცამეტის, რომ ყველა ეს იყო მხოლოდ მოგონება და არაფითარი მსგავსი ნამდვილად, ამ წუთში არ ხდება მეთქი... და ირგვლივ კი, ზევით, ქვევით იყო თეთრი ღამე, ახირებული, მისტიური თეთრი ღამე, აღსავსე სევდითა და მოლოდინით, აღსავსე გამოუთქმელი, შეუცნობი სურვილებით.

და ისევ მგონია, რომ ყოველივე ეს მხოლოდ მოჩვენებაა და სიზმარი და ამასთან ერთად - „ფეხის ფრჩხილებამდე" ვგრძნობ მარტოობასა და მიუსაფარობას, ცივს, მძიმე ობლობას სულისას. მარტო ვარ, მარტო!... და ვხედავ ამ ვეება ქალაქს, ქალაქს სავსეს ისეთივე ადამიანებით, როგორიც მე, და მე კი მარტო, სულ მარტო ვიყავი... და ვიცოდი, აგრეთვე, რომ აქ ყველა მარტოობას გრძნობდა, რომ ყველას სევდა მარტოობისა გულს აწვა და რომ ყველა ჩქარობდა აქ იმიტომ, რომ ეჩქარებოდა გაცლოდა მოჯადოებულ ალაგს, ამ მოჩვენებით სიცოცხლეს, ამ სიზმარს, სულის ობლობით გაჟღენთილს".

ეს არის პეტერბურგი!

არხანგელსკის გუბერნიიდან მე პირდაპირ პეტერბურგში მოვხვედი და როცა პეტერბურგის დამპალ ზეცას შევხედე, ტირილი მომინდა სადღაც, ოდესღაც რაღაც ამდაგვარი მენახა თითქოს და იქ მე ვიტანჯებოდი, ვიტანჯებოდი. პეტერბურგის ზეცამ ეს დიდი ხნის წარსული გააღვიძა ჩემში, - სადღაც, ოდესღაც, სწორედ ასეთი ზეცის კალთების ქვეშ ვიყავი მე მარტო, სულით ობოლი, განწირული და მე ვიტანჯებოდი. მაგრამ

სად იყო ეგ? როდის იყო ეგ?

და როცა ქუჩაზე მოცინარე ბავშვის სახე დავინახე, ძლიერ გამიკვირდა ნუთუ პეტერბურგშიაც იცინიან?“ (ჭ. ლომთათიძე, გვ. 414-415).

ამ მისტიურ და ახირებულ ქალაქში კიდევ ერთი დარტყმა აგემა ბედმა მიხას:

რომელიღაც ვერნისაჟზე მანუშაკს წააწყდა ვიღაც სტუდენტთან ერთად! მართალია, ქალისაგან, რომელსაც არ შეუძლია ბევრი ოცნება და ფანტაზიორობა, რომელიც „ჯანსაღი ადამიანია და ალერსი სჭირია“, თითქო მეტი არც იყო მოსალოდნელი, მაგრამ მიხაზე ზომაზე მეტად იმოქმედა ამ ამბავმა და კიდევ უფრო გაუძლიერა მარტოობისა და მიუსაფრობის განცდა. ამიერიდან, თეთრი ღამე, თეთრი ფერი საერთოდ, მისთვის გადაიქცა სიმბოლოდ სიკვდილისა, გლოვისა, ცრემლისა. და შემდეგ, კვლავ საპყრობილეში მოხვედრილი მიხა იტყვის: „თეთრ ღამეში ვარ გახვეული, თეთრი ღამე არ მიშვებს თავის კლანჭებიდან“.

ასე დაიწყო მიხას ცხოვრების „მეორე პერიოდი“.

ოთხი წელი სრულდება, ციხეში ზის. წარსულს ჩაბარდა ბრძოლისა და იმედის განწყობილებანი. ახლა მიხამ შეიცნო ერთი უმტკივნეულესი ჭეშმარიტება: „ბრძოლაში მარცხდება არა მხოლოდ ის, ვინც დამარცხდა, არამედ ისიც ვინც გაიმარჯვა. ცეცხლი, რომელიც წვავს შეშას, თვითონაც ჰქრება“. შეიცნო ეს და საბოლოოდ უმტყუნა ნერვებმა.

ერთადერთი ნუგეში მიხასთვის, ამ დროს, წერაა. და ისიც წერს თავისი სულის მდუღარე მისტერიებს აჩქარებული, აცახცახებული ხელით, წერს სულმოუთქმელად. მაგრამ ვისთვის წერს? ეს თითქო გასაგები კითხვაა, სინამდვილეში მძიმე ჯვარივით აწვება მიხას მხრებს. ვწერ იმათთვის, ვისაც ვუყვარვარ უპასუხებს შინაგან ხმას, მაგრამ შინაგან ხმას აქვე მზადა აქვს მომდევნო კითხვა: „უყვარხარ კი ვინმეს?“ აი, აქედან იწყება ნამდვილი გოლგოთა. ვუყვარვარ მე ვინმეს?

მანუშაკი მოღალატე აღმოჩნდა, ელენე - უნათლესი რწმენა მიხას ცხოვრებისა, თვითმკვლელობით ამთავრებს სიცოცხლეს, ვასოს ცოლი - ვასოსავე მეგობარზე სცვლის ქმარს, იუდამ ქრისტე გაჰყიდა, მოციქულმა პეტრემ სამჯერ უარჰყო მოძღვარი თვისი, ფილოსოფოსი ბეკონი მექრთამე იყო, კონტის ცოლი ფულზე იყიდებოდა, აზეფი ჯაშუში გამოდგა... მეტი რაღა გინდათ? არა, ადამიანებს არ შეუძლიათ სიყვარული. და მიხაც ფიქრობს, რომ მარტოა, ყველასაგან მოძულებული, და რომ არავის ამ ქვეყნად ის არ ახსოვს, არავის უყვარს და, რაც მთავარია, არც შეიძლება უყვარდეს.

ამიტომ არც ღირს და არც საჭიროა სიცოცხლე!

სწორედ აქ პოულობს სათაეეს გამუდმებული, პირდაპირ პათოლოგიურად აქციატებული ფიქრი სიკვდილზე და შიშზე სიკვდილისა.

ეს მძიმე განცდა მთელ მოთხრობას გასდევს ლაიტმოტივად.

დროდადრო მიხა თითქო გამოერკვევა ხოლმე, ციხის ადმინისტრაციასთან ურთიერთობაში იგი კვლავ ძველი მიხაა, ქედმოუდრეკელი, უკომპრომისო და ამაყი, მაგრამ როცა მარტო რჩება, სულს აბეზარი ჭიასავით უღრღნის სამი სიტყვა „მე ჩქარა მოვკვდები!"

ძალზე საცნაურია, რომ ერთმანეთზე მჭიდროდაა გადახლართული სურვილი სიკვდილისა და ამაეე დროს, სიკვდილის შიში. „საშინელმა შიშმა შემიპყრო, შემეშინდა სიკვდილისა და დასაკლავი საქონელივით ეკანკალებდი იმ ფიქრზე, რომ უცებ გაიღება კარები, შემოვლენ ჩემთან და მომკლაენ. და ეს ველური, პირუტყეული შიში სიკვდილისა, შემდეგ იქცა სიკვდილის დაუოკებელ სურვილად"...

ბოლოს, ტუსაღი მოკროუსოვის სიკვდილმა თითქო ყველაფერი შეჰკრა და გააერთიანა. თუ აქამომდე მიხას მზერა, უმეტეს წილად, საკუთარი სულის ხვეულებისაკენ იყო მიპყრობილი, ახლა იგი „გარესამყაროსაც" მიაქცევს ყურადღებას და ჩართულის სახით, ბრწყინვალე ნოველას გვთავაზობს. აქ თვითეულ სიტყვას თავისი წონა და ფერი აქვს და მათემატიკური სიზუსტით არის ნახმარი. მოკროუსოვის სიკვდილმა საშინელი კოშმარული ხილვები დაუტოვა მიხას, მისი აღსარებაც არაქათგამოცლილი ადამიანის აღსარებაა უკვე და დასასრულისაკენ მიედინება.

„ეს სტრიქონები დაწერა კაცმა, რომელმაც ველური ღამე გაატარა. გათენებამდე მას არ დაუხუჭია თვალი, ფანჯარას კი სცემდა და ეხეთქებოდა ავი სულებით აღსავსე შემოდგომის ღამე, ქარი კენესითა და ქვითინით დაძრწოდა, წვიმა ბოროტი სისინით სცემდა, ამათრახებდა ვიღაცას, ხოლო ბებერი, უკბილო კუდიანი ჩამომჯდარიყო ტელეგრაფის ბოძებზე და თავის ძვალტყავა თითებით ამღერებდა ტელეგრაფის მავთულებს რაღაც საშინელ სიმღერას. და მთელი ღამის განმავლობაში ესმოდა ეს საშინელი სიმღერა იმ კაცს, რომელმაც დაწერა ეს სტრიქონები. ის ციხის ოთხ კედელში იყო გამომწყვდეული და საშინელ სევდას გრძნობდა, საშინელ წუთებს განიცდიდა" (ჭ. ლომთათიძე, გვ. 427).

და როცა მიხას ეასოს მოღალატე ცოლი გამოეცხადება თავის მართლების მიზნით, მიხა გაცოფებული შეუძახებს: „სწორედ იმიტომ, რომ ერთხელ ვცოცხლობთ ამ ქვეყნად, ღორობას უნდა

ვერიდოთ! ერთხელ, მხოლოდ ერთხელ მოხვიდე ამ ქვეყნად და წაიღო თან ღორის სახელი? ფუ!“

და ბოლო ფრაზა:

„მე ჩქარა მოვკვდები, იმიტომ რომ არავის ვუყვარვარ, არავის... არავის... არავის...“

ასე თავდება მოთხრობა. მიხას წინათგრძნობა არ ღალატობს, ის მართლაც მალე უნდა მოკვდეს. თუ ციხის ადმინისტრაცია არ ჩაჰკლავს, უკურნებელი ჭლექი მოუღებს ბოლოს. და მაინც, მისდა სასიხარულოდ უნდა ითქვას, რომ იგი თან არ „წაიღებს ღორის სახელს“. მართალია, გაიბზარა, რწმენა შეერყა, შიში შეეპარა, მაგრამ არ დაგვაიწყდეს, ეს ყოველივე მის სულში ხდება, გარეგნულად კი, სხვათა თვალში, მიხა კვლავ უზადო ვაჟკაცის შთაბეჭდილებას ახდენს.

ასეა თუ ისეა, „თეთრი ღამის“ ინტელიგენტი მიხას მხატვრული სახე უნდა ჩაითვალოს XX საუკუნის ქართული მწერლობის დიდ გამარჯვებად. იგი უაღრესად ტიპიური სახეა. ერთგან, როცა გიჟურ ექსტაზშია შესული, ყვირის: „სიცოცხლე მინდა, სხვა არაფერი!... სიცოცხლეს ხომ მხოლოდ ერთხელ განიცდის ადამიანი, მხოლოდ ერთხელ! ნუ წამართმევთ ამ სიცოცხლეს, ის ისეთი მშვენიერია! ყველაფერი ფეხებზე მკიდია, მხოლოდ სიცოცხლე დამანებეთ, დამანებეთ ეისუნთქო და ქვეყნიერებას ვუცქირო“... მაგრამ გაიელის ცოტა ხანი, აფორიაქებული ნერვები მშვიდდება და იგივე მიხა ამბობს: „ეჰ, ეხლა მესმის მე ის ვაკხანალია, ის გარყვნილი ქეიფი, რომელმაც მოიცვა საზოგადოება რეაქციის შავ დღეებში... და მე მრცხვენია“...

ეს უკანასკნელი „და მე მრცხვენია“, არის სწორედ ის, რის გამოც ავტორიც და ჩვენც, მკითხველები, ასეთი თანალმობით ვართ გამსჭვალულნი მიხასადმი.

დასკვნის სახით უნდა ითქვას შემდეგი:

ჭოლა ადამიანის დაცემას იმიტომ კი არ აღწერს, რომ მას მოსწონს ასეთი ყოფა, რომ იგი თითქოს მოუწოდებდეს ადამიანებს - ბედნიერებაზე ფიქრს მოეშვან. პირიქით, როცა ჭოლა აღმოაჩენს ადამიანურ სიძაბუნეს, მთელი ხმით კიევის ამის შესახებ. და თუ ზოგჯერ იგი პოზიტიურ იდეალს არ სახავს, ეს იმიტომ, რომ უბრალოდ ვერ ხედავს მას. ჭოლას, როგორც მხატვრისა და მოქალაქის, სუბიექტურ პატიოსნებაში ეჭვის შესატანად კი, არც მის შემოქმედებაში და არც, მით უმეტეს, მის უიღბლო, გატანჯულ ცხოვრებაში, საფუძველი არ მოიძებნება.

უნდა გვახსოვდეს:

„თეთრი ღამე“ და ამ პლანის სხვა მოთხრობები კრიზისისა და დაცემულობის აპოლოგია კი არ არის, არამედ მისი მხატვრული

გამოხატულებაა და ამდენად მდიდარი მასალის შემცველია ამ კრიზისის შესასწავლად.

* * *

დასასრულ, შევეხოთ ჭ. ლომთათიძის კიდევ ერთ მოთხრობას, რომლის სათაურია „უბის წიგნიდან". ეს მოთხრობა, როგორც აღინიშნა, უხვ მასალას იძლევა მწერლის ეროვნული კონცეფციის წარმოსაჩენად.

საკითხის შესწავლამ დაგვარწმუნა: ვასილ ბარნოვის ინტელიგენტები სრულ სოლიდარობას უცხადებენ ილია ჭავჭავაძის მგზავრს, როდესაც საქმე ეროვნული მრწამსის დაფორმულებაზე მიდგება. ეს ფორმულა გახლავთ ლელთ ღუნიას პირით გადმოსროლილი „ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნეს!"

სხვაგვარად წარმოგვიდგა სურათი, როდესაც ეგნატე ნინოშვილის ინტელიგენტები გავაანალიზეთ. აღმოჩნდა, რომ ინტელიგენტი გიორგი რომანიდან „ჯანყი გურიაში" (სპირიდონ მცირიშვილისათვის საერთოდ არ დგას ეს პრობლემა, რაც თავისთავად სიმპტომატურია!), ილია ჭავჭავაძის მგზავრის ფორმულას საკუთარი ფორმულით ცვლის. ეს გახლავთ: მთავარი ის კი არ არის, ჩვენი თავი ჩვენადვე გეეყუდნოდეს, არამედ ის, რომ დაბალი წოდების ხალხი კლასობრივი ჩაგვრისაგან გათავისუფლდესო.

აშკარაა, აქ სრული ურთიერთწინააღმდეგობა გვაქვს. გაივლის მწერლის გარდაცვალებიდან სულ რაღაც ათიოდე წელი და ქართული ინტელიგენციის ერთ ნაწილში, თავს რომ ე. ნინოშვილის სულიერ მემკვიდრეებად რაცხდნენ, ეროვნული საკითხისადმი მიდგომა კიდევ უფრო რადიკალურ, შეიძლება ითქვას, მახინჯ ფორმას მიიღებს.

მაგალითად, 1903 წლის „კვალის" №28-ში ყვირილელი (კაკი წერეთელი) „შინაურ მიმოხილვაში", ქართველი პატრიოტების მიმართ ნამეტანი იალმასებს კალამს (სიტყვა „პატრიოტი", რაღა თქმა უნდა, მის მიერ დაცინვით არის ნახმარი!) და წერს:

„როგორც არ არსებობს ქართული, რუსული, ფრანგული, ნემენცური მეცნიერება, ისე არც ქართული თეატრი უნდა არსებობდეს, არც რუსული და არც ფრანგული (ხაზი ჩემია - თ. მ.), მაგრამ ქართველ ინტელიგენტებს... ისინი ქართველებია და ყველაფერი ქართული უნდათ". („კვალი", 1903, № 28).

ხედავთ, როგორ გათავხედებულან რეტროგრადი ქართველი პატრიოტები? ქართული თეატრიც კი მოუნდომებიათ!

საუბედუროდ ჩვენდა, ასეთი ხანაც იდგა საქართველოს ცხოვრებაში! გაიარა დრომ და ყვირილელმა და ძმათა მისთა

„ნააზრევმა“, არქივის თაროებზე ჰპოვა სამუდამო განსასვენები, ამიტომ მათთან ახლა პოლემიკის გამართვა ზედმეტია, მაგრამ იმის დავიწყება კი არ გემართებს, რომ ყვირილელი ერთ-ერთი ლიდერთაგანი გახლდათ სოციალ-დემოკრატიული პარტიის მენშევიკური ფრთისა და ამა თუ იმ საკითხზე მის მიერ გამოთქმული მოსაზრებანი ერთგვარი სჯულმდებლის უფლებით სარგებლობდა. ხოლო თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ჭოლა ლომთათიძე ოფიციალურად მეუმცირესეთა რიგებში ირიცხებოდა, თითქო მოსალოდნელია, რომ მისეული თვალსაზრისი ეროვნულ საკითხში, იდენტური უნდა ყოფილიყო მენშევიკთა შორის გავრცელებული თვალსაზრისისა.

ასე იყო მოსალოდნელი, სინამდვილეში კი სულ სხვა აღმოჩნდა, რასაც ადასტურებს არა მარტო „უბის წიგნაკიდან“, არამედ ჭოლას შემოქმედება მთლიანად.

„სამშობლო ქვეყანავ! წამოიძახა გულში ბიქტორმა, განა შეიძლება კი ჩემსავით უყვარდე ვინმეს? შენ და მხოლოდ შენ გეკუთვნის ჩემი სიცოცხლე! შენ და მხოლოდ შენ შეადგენ ჩემს მიზანს! შენ და მხოლოდ შენ მაკავშირებ ცხოვრებასთან... და შენ კი, შენ გიყვარვარ, ჩემო სამშობლოვ? არ შეიძლება, უნდა შეგაყვარო თავი, თავს მოვიკლავ, და სხვა თუ არა გამოვიდა რა, სიკვდილით მაინც დავიმსახურებ შენს სიყვარულს...

ვეებერთელა გემი ქშენით უახლოვდებოდა შენს ნაპირებს, გაშმაგებული ატრიალებდა ის თავის ბორბლებს, რომლებიც თითქო დასცინიან ტალღების ამაო გამკლავებას, დამცინავის ღრენით გადადიოდნენ ნაბიჯებს და გემიც, თითქო იგრძნო ჩემი სულწასულობა, - ასე მეგონა უფრო და უფრო ჩქარობდა... ვისაც რამდენიმე ხნის დაშორება არ გამოუცდია თავისი სატრფოსი, იმას არ გამოუცდია ნამდვილი სიყვარული და მეც, თუმცა დოქტრინა წამდაუწუმ ჩამძახოდა ყურში, რომ კაცი ყველგან კაცია და მთელი ქვეყანა იგივე სამშობლოა, მეც, შენზე დაშორებულს, უფრო მეტად მიყვარდი, უფრო მენატრებოდი, მაგრამ მაინც უბედური და ცხოვრებისაგან გარიყული მეგონა ჩემი არსებობა უცხოეთში. არის ხოლმე ისეთი მცენარე, რომელიც ხმება, თუ უცხოეთში გადარგეს, ამის გამო ადვილი წარმოსადგენია, თუ რა რიგად აძგერდა გული, როდესაც შორიდან შენს ნაპირებს მოვკარი თვალი. გემი კი ჰქშინავდა და ჰქშინავდა, უზარმაზარი მკერდით შეუპოვრად აპობდა ტალღებს, უმატებდა ხმაურობას და ამ ხმაურობაში მე დედის ნანასავით მესმოდა დიდი პოემა მამულის სიყვარულისა, უმაღლესი აღტაცება შეყვარებულისა... მე მივადექი №-ის ნაპირს და მინდოდა სალამი მომეცა შენთვის,

გადმოვმხტარიყავი და მეკოცნა შენი მიწისთვის"... (ჯ. ლომთათიძე, გვ. 40-41).

რა არის ეს? „მგზავრის წერილების" პერსონაჟის მონოლოგთა ვარიაცია, თუ ილიკოს აღსარების პერიფრაზი ბარნოვის „ემმადან?" ან იქნებ „მეჩვენას" სოსანას ლირიკული ამონათქვამი?

რაღა თქმა უნდა, არც ერთი და, თან, ყველა ერთად, რადგან ჯ. ლომთათიძის ბიქტორის (ადრინდელი მოთხრობიდან „დასაფლავება") ზემოთმოხმობილ მონოლოგში შინაგანად იგულისხმება წინამორბედი ინტელიგენტების მიმართება სამშობლოსთან, ოღონდ, აქ ერთი ძალზე მნიშვნელოვანი ნიუანსია გასათვალისწინებელი: თუ ბიქტორის წინამორბედ ინტელიგენტებს საქართველოს სიყვარულში „დამშლელი არავინ ჰყავდათ", ბიქტორს წამდაუწუმ ჩასძახიან დოქტრინას, რომ „კაცი ყველგან კაცია და მთელი ქვეყანა იგივე სამშობლოა", რომ არ ღირს სამშობლოს სიყვარულზე თავის გამოდება, რადგან მთავარზე უმთავრესი „საკაცობრიო იდეალია", მაშასადამე, ჭოლას ინტელიგენტებს თავიანთი მამულიშვილური მრწამსის დასაცავად საკმაოდ მნიშვნელოვანი ბარიერების გადალახვა უწევთ. ამის მიუხედავად, ისინი მაინც რჩებიან მხურვალე პატრიოტებად. საერთოდაც, უნდა ითქვას, რომ პატრიოტიზმი ჭოლას ინტელიგენტთა შინაგანი ბუნების ერთ-ერთი განმსაზღრელი ნიშან-თვისებაა. დამადასტურებელი მაგალითების მოხმობა შესაძლებელია თითქმის ყველა მოთხრობიდან.

ციხის ჟურნალებში ჩაგდებული, ავადმყოფი ჯ. ლომთათიძე ქმნის ნაწარმოებს, რომელიც მიზნად ისახავს, ინტელიგენტი პერსონაჟის საშუალებით გაიცნობიეროს დამოკიდებულება სამშობლოსთან, მის წარსულთან, მის აწმყოსა და მომავალთან, მის სიტყვაკაზმულ მწერლობასთან. ერთი სიტყვით, ყოველივე იმასთან, რისი მკაფიო გააზრების გარეშე, ინტელიგენტი სრულფასოვან ინტელიგენტად ვერ ჩაითვლება.

„უბის წიგნიდან" ერთი შედევრთაგანია ქართული პატრიოტული პროზისა.

ინტელიგენტ კაცს გადაუწყვეტია, რომ ზაფხულის დასვენების დრო საქართველოში, უფრო ზუსტად, სამხრეთ საქართველოში მოგზაურობას მოანდომოს. მაინცდამაინც სამხრეთს იმიტომ, რომ იგი აკვანია ქართული კულტურისა და ტრადიციის მიხედვით, რუსთაველის სამშობლოდაც ითვლება. (სხვათაშორის, მგზავრის ერთადერთი „ტვირთი" მოგზაურობისას „ვეფხისტყაოსანია"). მოგზაურს თან გამყოლი ახლავს გლეხი იოსებ ზაზაძე.

დაახლოებით 50 წლის წინათ, გამყოლის ლელთ ღუნიას თანხლებით, შემოვიდა საქართველოში ილია ჭავჭავაძის მგზავრიც.

არც ერთის სახელი ვიცით, არც მეორისა, ორივე მგზავრია, მამულის წარსულზე, აწმყოზე და მომავალზე სულის სიღრმემდე შეყვარებული მგზავრი. მაგრამ თუ ილიას მგზავრი მკაფიო რაციონალურ საწყისს ეფუძნება, ჭოლას მგზავრი უფრო ემოციური წყობის ინტელიგენტია და გარემომცველ სამყაროსაც „გონებით" კი არა, „გრძნობით" აღიქვამს. აი, მაგალითად, მისი მეტყველების ნიმუში:

„მიხარია, რომ შეყვარებული ვარ და მიხარია აგრეთვე ისიც, რომ მეთორმეტე საუკუნეში ცხოვრობდა ქვეყანაზე დიდი პოეტი რუსთაველი და რომ ის იყო ქართველი და მეც ხომ ქართველი ვარ... მე მიხარია კიდევ, რომ თამარ მეფე ჩვენი მეფე იყო... ჰო, მართლა, მე და მეფეები ვერ ვართ მოწყობილი, მაგრამ მე მაინც მიხარია, რომ თამარი იყო ქართველი მეფე... მე მიხარია, რომ ეს ქვეყანა ჩემი სამშობლოა. შეიძლება აქ ოდესმე გაუელიათ თვითონ რუსთაველს და მეც იმ სურათებს ვუცქერი ახლა, რომლებსაც ის უცქეროდა! შეიძლება ის მაშინ ფიქრობდა „ვეფხისტყაოსნის" გმირებზე? და აი, მეც მიჭირავს ხელში მისი წიგნი და მეც ამ წიგნის გმირებზე ვფიქრობ ამ წუთას. ვიცი მე წიგნები, რომლებიც იმდენად ახლოა ჩემთან, რომ ხანდახან მიკვირს, რომ ისინი ჩემი დაწერილი არ არის, მიკვირს, რომ სხვამ მომასწრო მათი დაწერა. ერთი ასეთი წიგნი „ვეფხისტყაოსანია"...

დიახ, ჭოლას მგზავრი ემოციური წყობის ინტელიგენტია. მას შეუძლია უსაზღვრო აღტაცებით ილაპარაკოს რუსთაველზე, როგორც პეიზაჟის ხატვის ოსტატზე, ფატმანზე, როგორც მხატვრულად სრულყოფილ სახეზე, სიხარულის ყიჟინით შეხედოს მოწკრიალებულ მზიან დილას და წამოიძახოს: „ვიარო მინდა ახლა მე, ვიცქირო მინდა გარშემო, შევუერთდე მინდა ბუნებას, გავქარწყლდე, გავქრე შიგ, ნიაღვით გავიფანტო. სალამი, სალამი ზეცავ, ჩემი ქვეყნის უძირო ზეცავ, სალამი თქვენ მაღალო მთებო, სალამი ბუნებავ! სალამი, სალამი წმინდა და ჯანსაღო ჰაერო, სალამი შენც, წყნარო ნიაღვრ თქვენი შვილი ვარ მე, მიიღე ჩემი სალამი!"...

ყოველივე ეს უცხოა ილიას მგზავრისათვის.

მისთვის მყინვარი და თერგი არ არსებობს, როგორც დამოუკიდებელი მშვენიერება. ისინი მხოლოდ მიზეზნი არიან გარკვეული ფილოსოფიური დასკვნის გამოტანისათვის. „ვეფხისტყაოსანიც", უპირველესად, აღიქმება, როგორც გარკვეული ზნეობრივი კოდექსი და არა როგორც ესთეტიკური ფაქტი.

ეგეც არ იყოს, ჭოლას მთხრობელს „წარსული ჭირიკით არ ეზიზღება“, მას, პარტიული ამხანაგებისაგან განხვავებით, უყვარს სამშობლო, იცის მისი დიდი წარსულის ფასი და დღევანდელ წყლულებსაც კარგად ხედავს, ოღონდ ეგაა, წყლულთა კურნებას ოდენ რევოლუციური აფეთქების გზით ფიქრობს და ერის ნათელ მომავალთან მისელაც მხოლოდ ამნაირად ესახება.

სხვა საქმეა, დავეთანხმებით თუ არა ჭოლას (და მის პერსონაჟთა) უკიდურესად რადიკალურ შეხედულებებს, მაგრამ მის ადამიანურ პატიოსნებასა და გულწრფელობაში ეჭვის შეტანა მკრეხელობა იქნებოდა.

მაშასადამე, წრე შეიკრა:

ჭოლას ინტელიგენტები სოციალური ბუნტარიზმით ე. ნინოშვილის გიორგის გზის გამგრძელებელნი არიან, ხოლო, მეორე მხრივ, სრულ ურთიერთობას ამყარებენ ილიას ეროვნულ კონცეფციასთან.

და კიდევ:

XX საუკუნის პირველ თხუთმეტწლეულში, როცა სხვა მრავალთა შორის, ეროვნულ საკითხში სრულმა დაბნეულობამ იჩინა თავი, როცა ნიჰილიზმი და ერის ისტორიულ-კულტურულ მონაპოვართა ხელყოფა თითქმის დაკანონებულ ნორმად იქცა ნაირნაირი კოსმოპოლიტი ვიგინდარის მიერ, როცა საქართველო ორმაგად იყო ტანჯული: რუსის ჩაგვრისაგან და იქნებ კიდევ უფრო მეტად, „ინტერნაციონალისტ მსოფლიო მოქალაქეებისაგან“, აი, ამ უაღრესად ძნელბედ ვითარებაში, ჭოლა ლომთათიძის მგზავრმა ილიას მგზავრისებული მამულიშვილობა იქადაგა მხურვალედ. კიდევ ერთხელ, მაღალი პოეზიის ფორმით, მოაგონა, ვისაც ჯერ იყო, რომ ქართველი ადამიანისათვის საერთოდ და ინტელიგენტისათვის კერძოდ, მიუხედავად ათასგვარი მაცდუნებელი დოქტრინებისა, ეროვნული თავისუფლების საკითხი კვლავაც რჩებოდა ნომერ პირველ, გამოტანჯულ პრობლემად. ყოველივე ამის თქმა, მაშინ, დიდი ზნეობრივი გმირობის ტოლფასი გახლდათ.

ასეთი იყო საქმის ვითარება.

ნაწილი მეორე

არჩილ ჯორჯაძე — საქართველოს კულტურული ცხოვრების ახალი ხანის შემქმნელი

არჩილ ჯორჯაძე: პიროვნება და ნააზრევი

შესავალი

XX საუკუნის პირველი თხუთმეტწლეული უაღრესად რთული და საინტერესო პერიოდი იყო რუსეთის იმპერიაში საერთოდ და საქართველოში - კერძოდ. სოციალურ, ეკონომიკურ, სამხედრო-პოლიტიკურ და სხვა რიგის პრობლემებს, რომლებიც საიმდროოდ ცხოვრებამ წამოაყენა და დაუყოვნებლივ ითხოვდა მოგვარებას, საქართველოში ემატებოდა კიდევ ერთი უმტკივნეულესი პრობლემა: ე რ ო ვ ნ უ ლ ი

1905 წლის რევოლუციამ ნათელი გახადა, რომ მახვილზე და სისხლზე დაფუძნებული ტახტი რომანოვებისა, სულს ღაფავდა და დიდხანს ვეღარ იბოგინებდა. ამას კარგად გრძნობდნენ მაშინ ძალზე მომრავალებული პოლიტიკური პარტიები, რომლებიც ერთმანეთთან გააფთრებული პოლემიკით ცდილობდნენ საკუთარი თვალსაზრისის დაცვას და ხვალინდელი დღის პროგნოზირება-განჭვრეტას.

საქართველოში ასეთი პარტია, ძირითადად, ორი იყო: ე. წ. „მესამე დასი", რომელიც დაარსების შემდეგ, ცოტა მოგვიანებით, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის განუყოფელი ნაწილი შეიქნა. აგრეთვე, პარტია სოციალ-ფედერალისტებისა, რომელიც ზუსტად ჩვენი საუკუნის დასაწყისში (1901 წ.) ჩამოყალიბდა და რომელსაც ეროვნულ საკითხებში, სოციალ-დემოკრატებისაგან (ნ. ჟორდანია, ფ. მახარაძე, ი. წერეთელი და სხვანი) მკვეთრად განსხვავებული შეხედულებები ჰქონდა. ამ პარტიას აქტიურად ეხმარებოდა მამულიშვილურად განწყობილ ინტელიგენტთა და გლეხთა ფართო წრეები, აგრეთვე, მუშათა გარკვეული ნაწილიც. აღსანიშნავია, რომ რევოლუციის შემდეგ, ხსენებულ ინტელიგენტთა მოზრდილი ჯგუფი, ეროვნული ისტორიის, ლიტერატურისა და კულტურის უაღრესად თვალსაჩინო მოღვაწეებად მოგვევლინენ. საკმარისია დავასახელოთ ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, კიტა აბაშიძე, დიმიტრი უზნაძე, ფილიპე გოგიჩაიშვილი, შალვა ნუცუბიძე და მრავალი სხვა. აგრეთვე, XX საუკუნის თითქმის ყველა თვალსაჩინო მწერალი, რომელთა სახელებს, სადღეისოდ კრძალვითა და პატივისცემით წარმოთქვამს მთელი ქართველი ერი.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სოციალ-ფედერალისტთა პარტიის აღიარებული ლიდერი, ინტელექტუალური და ზნეობრივი მედროშე არჩილ ჯორჯაძე იყო.

არჩილ ჯორჯაძე არის პოპულარული სახელი ჩვენში, მას, შეიძლება ითქვას, არ იცნობს მკითხველთა ფართო საზოგადოება და მისი მემკვიდრეობაც, დღესდღეობით, სპეციალისტთა ვიწრო წრის ანაბარად არის მიტოვებული. (ამჟამად ვითარება შედარებით გამოსწორებულია: ამ ნაშრომის შემდეგ, გამოქვეყნდა რამდენიმე სოლიდური მონოგრაფია ჯორჯაძისადმი მიძღვნილი, აგრეთვე, მისი რჩეული თხზულებების კრებული. იხ. ბოლოში, გამოქვეყნებული ლიტერატურის სია - თ. მ.)

ამას, რაღა თქმა უნდა, აქვს თავისი მიზეზი: უპირველეს ყოვლისა, ის მიზეზი უნდა მოვიხსენიოთ, რომ თებერვლის რევოლუციის შემდეგ, როცა უნიათო რეზონიორებს, მენშევიკებს, ძალაუფლება ციურ მანანასავით გაურჯელად ჩაუვარდათ ხელში, ბუნებრივია, ღირებულებათა ტოტალურ გადაფასებასაც შეეცადნენ და სწორედ ამიტომ, ნაადრევად გარდაცვლილი არჩილ ჯორჯაძე (1913), როგორც იტყვიან, ჩრდილში აღმოჩნდა, რადგან იგი, თავის დროზე (ამას ქვემოთ დავინახავთ), მოუნელებელი იდეოლოგიური მოწინააღმდეგე იყო ნოე ჟორდანიასი და ძმათა მისთა.

მენშევიკების შემდგომ კვლავ შეიცვალა პოლიტიკური სიტუაცია და იმდროინდელი მთავრობის ზოგიერთი ხელმძღვანელის სუბიექტური მოსაზრებებისა გამო, (მათ ხომ საკუთარ თავზე ჰქონდათ ნაწვნევი არჩილ ჯორჯაძის მსუსხავი პოლემიკური ისრები), აგრეთვე, ვულგარული სოციოლოგიზმის განუკითხავი პარპაშის ვითარებაში, როცა „რაპპელები" მზად იყვნენ საკუთარი მამაც კი ჯვარს ეცვათ, თუკი მათ პარტიულ დოქტრინებს არ დაეთანხმებოდა. არჩილ ჯორჯაძე, ბუნებრივია, ისევ ჩრდილში დგას. მის ღრმა ცოდნასთან, დარბაისლურ მსჯელობასთან, ჭეშმარიტად მამულიშვილურ პოზიციებთან, ნაჩქარევი დოქტრინებით ბრძოლა ძნელი იყო და ამიტომ ნაცად, გარნა ნაზრახ მეთოდს მიმართეს მაშინაც: არჩილ ჯორჯაძე საერთოდ მიაჩუმათეს, ხოლო ვითარება ისე წარმოსახეს, თითქოს იგი არცკი არსებულიყო. ამავე დროს, მავანი სქელშუბლა კრიტიკოსები უხვად „სესხულობდნენ" აზრებს მისი ნაშრომებიდან, ცხადია, ავტორის მიუთითებლად.

იცის ისტორიამ მსგავსი პარადოქსები, საუბედუროდ, იცის!

ასე წამოვიდა ეს ბნელი ინერცია ოციანი წლებიდან, იგორა, იტრიალა და დღევანდლამდე მოვიდა. სწორედ ამიტომ, როგორც ითქვა, არჩილ ჯორჯაძის სახელი თითქმის აღარაფერს ეუბნება თანამედროვე ქართველ ინტელიგენტს. არადა, სამწუხაროა!

კაცი, რომელმაც მთელი სიცოცხლე დაანაცლა საქართველოს უკეთეს მერმისზე ფიქრში, რომლისთვისაც აზრი და საქმე განუყოფელი ერთიანობა იყო, კია ღირსი, მის ნაწერებს კითხულობდნენ, ხოლო სახელს პატივისცემით იხსენიებდნენ. მით უმეტეს, რომ ყოველად შეუძლებელია XX საუკუნის პირველი მეოთხედის საზოგადოებრივ-კულტურული ვითარების ოდნავ მაინც ობიექტური ასახვა, თუ არჩილ ჯორჯაძეს ჯეროვანი ადგილი არ დაეთმო ამ პროცესში.

რაღა თქმა უნდა, ყოველივეს მისი ნაწერებიდან, სადღეისოდ, თანაბარი მნიშვნელობა არა აქვს. ეს ბუნებრივიცაა: ისეთი, აბა, ვის რა დაუტოვებია ამ ქვეყნად, რომ შთამომავლობას აწონდაწონისა და განსჯის გარეშე, პირდაპირ დროშად აეზიდოს, თუ ეს თაობა მართლაც დოგმატიკოსი და ტეინგაყინული არაა. დიახ, ზოგიერთი რამ არჩილ ჯორჯაძის ნააზრევიდან მოძველდა და მხოლოდ ისტორიის კუთვნილება შეიქნა, მაგრამ ჩვენ ხომ ვალდებულნი ვართ მის შემოქმედებაში მოვიძიოთ ის „რევოლუციური მარცვალი", რაც მარადჟამული გამძლეობით არის აღბეჭდილი და, აქედან გამომდინარე, სადღეისოდაც მისაღებია და საჭირო.

ახლა, როცა ჩვენს ცხოვრებაში, როგორც იქნა, დადგა აგრერიგად ნანატრი დიდი გარდაქმნების ჟამი, როცა მოვლენებზე სრულიად ახლებური, რაც მთავარია, ჭეშმარიტების ადექვატური შეხედულებანი უნდა გამოვიმუშაოთ, მოვალენი ვართ, ჩვენი ისტორიის ამა თუ იმ მონაკვეთსაც ობიექტური მსჯავრი დავდოთ და ყოველივეს მხოლოდ მისთვის კუთვნილი სახელი დავარქვათ. აქ შეიძლება მოვითმინოთ ისტორიული ფაქტების ფალსიფიცირება, ანდა ურცხვი მიჩუმათება, რაც ხშირად ხდებოდა ხოლმე აკვიატებული დოქტრინის სახელით. ადამიანური ზნეობა გვავალებს უმადურნი არ ვიყოთ წინაპრების მიმართ და დავიწყების ფერფლი მოვაშოროთ ყველა იმ მოღვაწის სახელს, რომლებიც ისტორიის პარადოქსებისა თუ ამ პარადოქსების აებედითი ინერციის გამო, დღეს ჩრდილშია მოქცეული და მოთმინებით ელოდება იმ დროს, როცა თავის კუთვნილ, მართლაც რომ სისხლით მოპოვებულ ადგილს დაიკავებს ჩვენი კულტურის ისტორიაში.

ასეთი დრო, როგორც იქნა, დაგვიდგა და ჩვენი ზნეობრივი ვალია, ფეხი ავუწყოთ მას.

ზემოთ უკვე ითქვა: არჩილ ჯორჯაძის გარეშე შეუძლებელია XX საუკუნის პირველი მეოთხედის საზოგადოებრივი აზროვნების ობიექტური ისტორიის გადმოცემა. იგი იმდროინდელი საქართველოს ინტელექტუალური ცხოვრების ცენტრში იდგა, ინტელიგენციის აღიარებული ლიდერი და, დიმიტრი უზნაძის

სიტყვებით თუ ვიტყვით, „კულტურული ცხოვრების ახალი ხანის შემქმნელი“ იყო.

აი, ამ აზრის დამადასტურებელი რამდენიმე კონკრეტული ფაქტი:

ძვირფასო არჩილ!

დიდის სიამოვნებით წავიკითხე თქვენი წერილი: მოხარული ვარ, რომ ჩვენის თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებისათვის აუცილებლად საჭირო საქმე ითავეთ და ჟურნალის წინამძღოლობა გიკისრიათ. მეც, ჩემდა თავად, შეძლებისდაგვარად, ვეცდები დაგეხმაროთ და ჟურნალში მხურვალე თანამშრომლობით მაინც ჩემი ზნეობრივი მოვალეობა ავასრულო. ვწუხვარ, რომ გზის სიშორე ნებას არ მაძლევს სხვაფრივაც დაგეხმაროთ, რომ ცოტადაც არის, მაინც მძიმე სარედაქციო მუშაობა თქვენთვის შემემსუბუქებინა. დარწმუნებული ვარ, რომ ყველა თქვენ მიერ დასახელებული თანამშრომლები თავიანთი რწმენითა და ენერგიით, თქვენთან ერთად გამოაცოცხლებენ ჩვენი საზოგადოების მიძინებულსა და ზანტ აზროვნებას.

თქვენი პატივისმცემელი
ივანე ჯავახიშვილი
პეტერბურგი 1908, 21, XI

„ქართველ ერს დიდი წინასწარმეტყველი ეჭირვება ცეცხლით შობილი. თქვენ მისი წინამორბედი ხართ. ჩემის ღრმა და გულწრფელი განცდით: ადამიანში მე „ღვთიურობას“ ვაფასებ და ამ მხრივ მარტო წაღვერში თქვენთან შეხვედრა რად მიღირს? აზრთა სხვადასხვაობა ბევრს არას ნიშნავს, მთავარი რამ ღვთიური ცეცხლის ანთებაა. გისურვებთ ყოველივე კარგსა და მშვენიერს.

თქვენი გრიგოლ რობაქიძე
1.XI 1912.

„თავის მოტყუებას ძვირად დაგიჯდებს ისტორია. ჭეშმარიტება აი, რით უნდა ვხელმძღვანელობდეთ. და თუ ჭეშმარიტება აუტანელია თავისი სიმკაცრით, დაე, მოვკვდეთ, რადგან არ ვყოფილვართ ღირსი ჭეშმარიტებისა და მაშასადამე, არც არსებობისა. რა საჭიროა არსებობა, თუ რაიმე „აზრს“ არ ვახორციელებთ. მამულიშვილობის გადაწყვეტა „ფიზიოლოგიურის ემოციით“ ყოლად შეუძლებელია.

იყავით კარგად! ადამიანის ბედნიერება ღვთიური ვალის ასრულებაშია. ვინც ამ ვალს ასრულებს, იგი უკვდავია და ერთვის მარადისობას. თქვენც ასეთ ვალს ასრულებთ. და მაშასადამე, ვერც უგვანო სინამდვილე გაგიტეხთ გულს.

თქვენი გრიგოლ რობაქიძე
21 .I 1912.

(ნაშრომში მოხმობილი ყველა პირადი წერილი მოპოვებულია ჩემს მიერ და ქვეყნდება პირველად თ. მ.).

არჩილ ჯორჯაძის სახელთან უშუალოდ არის დაკავშირებული XIX საუკუნის საზოგადოებრივი აზროვნების მაღალკვალიფიციური ისტორიის დამუშავებაც. ამ „ისტორიიდან“ მრავალ დებულებას დღესაც არ დაუკარგავს პირველქმნილი ელვარება, სიღრმე და მასშტაბები.

არჩილ ჯორჯაძის სახელთან არის დაკავშირებული, აგრეთვე XIX საუკუნის ქართული ესთეტიკური და ფილოსოფიური აზროვნების საეტაპო ღირებულებათა შექმნა, საიდანაც, სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ქართული მოდერნიზმი ამოიზარდა.

დასასრულ, ერთი ჭკვიანი მწერლის ნათქვამი მინდა გავიმეორო: „წარსულს ჩვენ არ ვირჩევთ. რაც გვერგო, ისაა ჩვენი წარსული. მაგრამ წარსულიდან იმის ამორჩევა კი უნდა შეგვეძლოს, რაც ჩვენი კულტურული ფონდის განუყოფელი ნაწილია, რაც გვაგრძნობინებს და გვაზიარებს სულიერი ცხოვრების მაშინდელ დონეს. წარსულზე ფიქრი უნებურად იმის სურვილსაც აღძრავს, რომ დღეს და მომავალში აღარ განმეორდეს ჩვენი მიღწევების შეგნებული გაღარიბება, წარსულის მიღწევათა დავიწყება, ერის ისტორიიდან მათი „ამოღება“. ესეც ჩვენზეა დამოკიდებული და უნდა მივხედოთ ამ საქმეს. ამით კიდევ ერთხელ დასტურდება მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის აზრის სიმწიფე, ქართული მწერლობის მაღალი პრესტიჟი და ქართული მწერლობის სახელი“ (თ. ბუაჩიძე, მცირე პროზა).

1988 წელი

1. პირონება

1913 წლის „სახალხო გაზეთის“ № 853-ში, პირველ გვერდზე, ასეთი ცნობა გამოქვეყნდა:

> რედაქცია ღრმა მწუხარებით აუწყებს თავის მკითხველს და ქართველ საზოგადოებას, რომ 21 მარტს, საღამოს 11 საათსა და 35 წუთზე, ბათომში გარდაიცვალა გაზეთის მუდმივი თანამშრომელი
>
> არჩილ ჯორჯაძე
>
> დასაფლავება მოხდება ქ. ტფილისში. დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. პანაშვიდი დანიშნულია დღეს, ნაშუადღევის 2 საათზე, ქაშუეთის წმ. გიორგის ეკლესიაში.

ამავე ნომერში განცხადებებს ათავსებენ ამხანაგთა და მეგობართა ჯგუფი, ასოთამწყობნი და სტამბის თანამშრომლები, ქართველი მუშები და სხვა. არის ცნობა იმის თაობაზეც, რომ „განსვენებულმა არჩილ ჯორჯაძემ თავისი თხზულებანი უანდერძა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“. გამოქვეყნებულია, აგრეთვე, სურათი განსვენებულისა: სანდომიან, წვერ-ულვაშიან ახალგაზრდა კაცს ხელი ყვრიმალისთვის შეუბჯენია და საოცრად მეტყველი, ნაღვლიანი თვალებით იმზირება. სურათს ქვეშ მიწერილი აქვს დაბადებისა და გარდაცვალების თარიღი:

1872-1913

ამის შემდეგ, გაზეთის მომდევნო ნომერში კარგა ხნის მანძილზე იბეჭდება სამძიმრის დეპეშა, გამოგზავნილი ევროპის, რუსეთისა და საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან თუ სოფლებიდან. გავეცნოთ ზოგიერთ მათგანს:

ბერლინი: თქვენთან ერთად ცხარე ცრემლით დავსტირი ძვირფასი მასწავლებლის კუბოს.

გერონტი ქიქოძე

ლაიპციგი: დამწუხრებულნი და დაობლებულნი ვგლოვობთ. დაკარგეთ ერის გუშაგი. ერო, სტიროდე შენს მოამაგეს, ვინღა

შეგიხვევს მწუხარეს აწ წყლულს? ერო, სტიროდე შენს ჭირისუფალს, შენთვის წამებულს, შენთვის დაკარგულს.

კ. გამსახურდია, ს. შანშიაშვილი და სხვები.

ბერლინი: გზაში გავიგე შეუდარებელი არჩილის გარდაცვალების ამბავი. სიცოცხლე, აღსავსე შვენებითა და ტანჯვით, გაფრინდა მარადისობის წიაღში. უდაბნოსებურმა სიცარიელემ მოიცვა სული.

გრიგოლ რობაქიძე

პეტერბურგი: ვწუხვარ არჩილის სიკვდილს. მაგრამ ახლა მისი ტანჯვა გათავდა. და მისი ხსენება და აღთქმანი მარადი იქნება. ეს მანუგეშებს.

ზურაბ ავალიშვილი

ხარკოვი: დავტირი არჩილს, რომელმაც საქართველოს კულტურული ცხოერების ახალი ხანა შექმნა.

დიმიტრი უზნაძე

დააკვირდით ამ სიტყვებს: „საქართველოს კულტურული ცხოერების ახალი ხანა შექმნა“... ასეთი აზრის დაუფიქრებლად წამოსროლა უპატიებელი არასერიოზულობა იქნებოდა, რასაც დიმიტრი უზნაძეს ვერასგზით დაეწამებთ. საიმდროოდ მას უკვე დაცული ჰქონდა გერმანიაში სადოქტორო დისერტაცია ვლადიმერ სოლოვიოვის მეტაფიზიკურ მსოფლმხედველობაზე.

„სულო ძლიერო, რომელმაც მამობრივი მზრუნველობით გულს ჩაგვინერგე მტკიცე იმედი წამებული სამშობლოს ბრწყინვალე აღდგომისა, იყავ კურთხეულ ამიერიდან!“ - წერს არისტო ჭუმბაძე, „სახალხო გაზეთის“ იმჟამინდელი რედაქტორი, ხოლო უსასოო ნაღველით გამსჭვალულ ლექსებს უძღვნიან ი. ევდოშვილი, ი. გრიშაშვილი, ს. ფაშალიშვილი და სხვები.

აი, კიტა აბაშიძეც:

„იგი ღრმა, გრძნობიერი ადამიანი იყო და ერთ დღეს, როცა დადგება მისი შესაფერისი დრო, ჩვენ დავინახავთ მრავალ მომხიბვლელ და საოცარ თვისებას მისი ბუნებისას, რომელიც

ჯერჯერობით დუმილის სამგლოვიარო ლეჩაქით უნდა იყოს შებურვილი. ასეთი იყო მისი ნება.

გათავდა ტანჯვა, მაგრამ დაიწყო სულიერი აღდგომა. მისი აზრი ქართველი ერის უფლებების დაცვის შესახებ, „საერთო შემოქმედების“ შესახებ, მომაყალს ეკუთვნის.

იგი განხორციელდება, ან ქართველი ერი მოკვდება.

და აი, მკვდრეთით აღდგება იგიც, მისი საყვარელი სამშობლოც. თუ არა და, მის აზრთან ერთად დაიმარხება მისი სამშობლოც“.

როგორც ჩანს, არჩილ ჯორჯაძე, პიროვნება და მოაზროვნე, დიდად ხიბლიანი კაცი იყო, მას წარუხოცელი შთაბეჭდილება მოუხდენია სხვადასხვა ადამიანებზე, მათთვის უშურველად გაუნაწილებია გულის სითბო და ინტელექტის სხივმოსილება, ამიტომაც ზოგიერთ მათგანს მოუწადინია კიდეც, რომ მისი ბიოგრაფიული შტრიხები და ადამიანური ნიშატი ქაღალდზე აღებეჭდა, მოგონებათა სახით დაეტოვებინა ჩვენთვის.

ლიტერატურა საკმაო რაოდენობისაა. რაღა თქმა უნდა, ყველას თანაბარი ღირებულება არა აქვს, მაგრამ ერთი დადებითი თვისება თითქმის ყველას გააჩნია: მათი შემწეობით ხერხდება თვალის მიდევნება არჩილ ჯორჯაძის ცხოვრების პერიპეტიებისა, ადრეული სიჭაბუკიდან მოყოლებული, თვით უკანასკნელ დღემდე.

ადრეულ ბავშობის პერიოდს ეხება ექიმ გ. გოკიელის მოგონება:

„არჩილს პატარაობიდან ვიცნობდი: ერთად დავიწყეთ სწავლა ქუთაისის გიმნაზიაში. კოხტა, ცქრიალა, ცქვიტი ბავშვი იყო, ხშირად ნახავდით თეთრ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილს, შეკაზმულ ვირზე მჯდომარეს, უკან მხლებლით. ხან ერთ მეზობელს შეეჭრებოდა ეზოში, ხან მეორეს.

გიმნაზიაში ცელქი და მოუსვენარი მოწაფე გახლდათ. საწყალ მოხუც მასწავლებელს მაისურაძეს არჩილისგან ილაჯი ჰქონდა გაწყვეტილი. მახსოვს, ერთხელ მოაბა ქაღალდისაგან გაკეთებული კუდი და ამრიგად მასწავლებელი წარუდგა ბ. დირექტორს სტოიანოვს. უნდოდათ გაერიცხათ დამნაშავე, მაგრამ ვერ იპოვეს. ჩვენ, ამხანაგებს ძლიერ გვიყვარდა არჩილი და არ გავეცით. ქუთაისის გიმნაზიაში არჩილმა დაჰყო 3-4 წელი. ამ ხანებში მის მშობლებს მძიმე უბედურება ეწვიათ: მოწამეთადან ჩამოიტანეს ამბავი, რომ ჯორჯაძის ორი მოზრდილი ქალიშვილი, წმ. ნინოს სასწავლებლის უფროსი კლასის მოწაფეები, წყალწითელაში ბანაობის დროს, უეცრად დაიხრჩენენო. თურმე პატარა არჩილიც იმ დროს წყლის პირას იყო. იმ უბედურმა შემთხვევამ ისეთი

მძიმე შთაბეჭდილება იქონია ახალგაზრდა არჩილზე, რომ წარუშლელი დაღი დაუტოვა ცხოვრებაში. ამის შემდეგ მშობლები მალე გაეცალნენ „უბედურ“ ქუთაისს და არჩილიც ტფილისის გიმნაზიაში მიაბარეს“.

დგება ახალი პერიოდი ჭაბუკი არჩილის ცხოვრებაში. სწორედ ამ ხანას გვისურათებს მარადდაუვიწყარი თედო სახოკია:

„არჩილ ჯორჯაძე 1891 წელს გაეცანი თბილისში, როცა ის პირველი გიმნაზიის მერვე კლასის მოწაფე იყო. დინჯი, დაფარული და თან მეტად სანდომიანი სახის ყმაწვილი კაცი ამხანაგებში გამოირჩეოდა და მთელ ჩვენ სიმპატიას იზიდავდა. დედ-მამა, ერთ დროს შეძლებულები, ადრევე დაეხოცა და ახალგაზრდა არჩილის საზრუნავი იყო საკუთარი თავი, ორი და და ერთი პატარა ძმა, მაშინ რეალური სასწავლებლის მეოთხე კლასის მოწაფე. თვალწინ მედგა, როგორ ზრდიდა და ერთ ღარიბულ სასადილოში როგორ აჭმევდა, თავისთან ერთად, ღარიბულ სადილებს უმცროს ძმას, კერძო გაკვეთილებში აღებული ფულით (თვეში სამი მანეთი), მთლად მშობლიურ ზრუნვად გადაქცეული, თვით საზრუნავი ახალგაზრდა კაცი!“

გიმნაზიაში კურსის დამთავრების შემდეგ არჩილი პეტროგრადის უნივერსიტეტში შესულა. აქ გაუტაცნია ფილოსოფიას, კერძოდ, სარწმუნოებრივ საკითხებს და ჯერ კიდევ სტუდენტობაში, ბუდას მოძღვრების შესახებ ერთი სერიოზული ნაშრომიც დაუბეჭდავს რუსულ ჟურნალ „სევერნი ვესტნიკში“.

1895 წლითაა დათარიღებული ბარათი, რომელსაც იგი პეტერბურგიდან უგზავნის თავის დას თამარს. (ქვეყნდება პირველად).

„დიახ, ძალზე ბევრი და მრავალი შრომა - გარჯაა საჭირო! შენ, თამარ, მშვენიერად გესმის, რომ მხოლოდ წინ უნდა ვიყურებოდეთ. მომავალი ჩვენს წინაა ყოველივე ჩვენზეა დამოკიდებული შეგვიძლია სასარგებლონი ვიყვნეთ ჩვენთვისაც და სხვებისთვისაც, საზოგადოებისათვის. მე მწამს, რომ არ დაემგვანები იმ ტვინცარიელ ქალიშვილებს, რომლებიც არისტოკრატულ წარმატებებს და მოჩვენებით ბედნიერებას დასდევენ“.

ამ ნაწყვეტში კარგად ჩანს ადამიანის და საზოგადოების ურთიერთობის პრობლემებზე დაფიქრებული ახალგაზრდა კაცი, რომელიც მზად არის საზოგადოების უანგარო სამსახურისთვის და დასაც იგივეს ურჩევს. კიდევ უფრო საინტერესოა მეორე წერილი, დათარიღებული 1895 წლის 10 ნოემბრით. ეს ბარათი ძვირფას ცნობებს გვაწვდის არჩილ ჯორჯაძის იმჟამინდელ

განწყობილებებზე და საბიოგრაფიოდაც ერთობ ფასეულია:

„უნივერსიტეტი მე საკმაოდ შეგნებულად მივატოვე, ჩემივე ნებით, რადგან პრინციპული წინააღმდეგი ვარ სახელმწიფო სამსახურისა. განათლების თვალსაზრისითაც არაფერი დამიკარგავს, რადგან ერთის მხრივ მე უკვე შევიძინე იმდენი, რამდენიც ამ ვითარებაში შემეძლო შემეძინა, მეორეს მხრივ, სწავლულთა და ლიტერატორთა ფართო წრესთან ნაცნობობამ, რომელთა მხარდაჭერითაც მე ვსარგებლობ, ამჟამად საშუალება მომცა დავძლიო და გამოვასწორო ჩემი ჩამორჩენა. რჩება ერთი კითხვა კითხვა ნივთიერი უზრუნველყოფისა და ლუკმა პურისა. ამ თვალსაზრისით ჩემი საქმეები კვლავ აწეწილია. როგორღაც გამაქვს თავი. ჩემი დიდი ხნის ოცნებაა ლიტერატურული მუშაობა, მაგრამ ჯერჯერობით თავს მომზადებულად არ ვთვლი საამისოდ, რომ აშკარად ვიმუშაო ამ სარბიელზე. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია შემოვიფარგლო უპრეტენზიო ლიტერატურული შრომით (იქნებ მხოლოდ კომპილაციურით). ვფიქრობ მოვახერხებ პეტერბურგის ერთ-ერთ ჟურნალის რედაქციაში მოწყობას. ყოველივე ეს, რასაკვირველია, იმიტომ მჭირდება, რომ განსწავლა გავასრულო იმ მიმართულებით, რომელიც განსაკუთრებით შეესატყვისება ჩემს ნიჭსა და ხასიათს. თანაც, ცოცხალ ლიტერატურულ წრეში მომიწევს ცხოვრება.

უკეთესი პირობები სწავლის გასასრულებლად და საკუთარ თავში კულტურული მიდრეკილებების აღსაზრდელად, არც მჭირდება, ამიტომ არ უნდა შეშფოთდეთ იმის გამო, რომ დიპლომი არ მიმიღია. მე დიპლომზე უარი იმიტომ კი არ ვთქვი, რომ ვერ შევძელი მის მისაღებად აუცილებელი პირობების შესრულება, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ მე იგი არ მესაჭიროება, რადგან არ მინდა ვიცხოვრო ბიუროკრატიული და ბურჟუაზიული ცხოვრებით. რომ არც მომიწიოს ჩემი სურვილების განხორციელება, მე მაინც ვამჯობინებ ცუდ ნივთიერ პირობებს, ვიდრე უზრუნველყოფას, თუკი ეს უზრუნველყოფა საკუთარ სინდისთან კომპრომისისკენ მომიწოდებდა“.

წერილის ბოლოს იგი ასე არიგებს დას:

„შენ წარმოდგენაც კი არ შეგიძლია, თუ როგორ მახარებ, ჩემო თამარ, იმით რომ კითხვის დიდი სურვილი გაგეღვიძა. წიგნები ბევრს მოგცემს. მაგრამ წინდახედულად კითხვას გირჩევ. მოპასანის მთლიანად წაკითხვა არა ღირს, დიდი ნიჭიერების მიუხედავად, მაინც ჭუჭყიანია. არც ზოლაზე ღირს მაინცდამაინც ხანგრძლივად შეჩერება“.

ამ ბარათში ორი საკითხი იქცევს ჩვენს ყურადღებას: პირველი

ის, რომ არჩილი ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე მიუთითებს: უნივერსიტეტი სავსებით შეგნებულად მივატოვე, ჩემი ნებასურვილით, რადგან პრინციპულად წინააღმდეგი ვარ სახელმწიფო სამსახურში ჩადგომისაო და მირჩევნია მატერიალურად შეჭირვებული ვიყო, ვიდრე საკუთარი სინიდისის ძახილს ვუღალატოო.

მეორე: აშკარად ჩანს, რომ ჭაბუკი არჩილის გულში მკაფიოდ გამოკვანძულა ლიტერატურული მუშაობისკენ ლტოლვა. მართალია, აქ სახელდობრ ნახსენებიც კი არ არის მშობლიური, ქართული ლიტერატურა, არჩილი პეტერბურგის რომელიმე რედაქციაში მუშაობაზე ოცნებობს მხოლოდ, მაგრამ გაიელის სულ ცოტა დრო, სისხლის ყივილი თავისას გაიტანს და მამულის მსახურების უმტკივნეულესი პრობლემა მთელი არსებით წამოისვეტება მის წინაშე. მანამდე კი არჩილმა „მოგზაურობისა და განსწავლის“ წლები უნდა გაასრულოს, მოიაროს ევროპა, ბევრი რამ ნახოს, მრავალი შეიმეცნოს, ერთ ხანს ტოლსტოის მოძღვრების მიმდევარი შეიქნეს, ორიოდ წელიწადი ლონდონში დაჰყოს ტოლსტოის მოწაფის და მოთაყვანის - ჩერტკოვის წრეში და შემდგომ, რელიგიის საკითხებზე საკმაოდ გულგაგრილებული, პარიზში გადავიდეს,სორბონაში სასწავლებლად.

ჩვენამდე მოღწეულია არჩილის ორი წერილი, ინგლისიდან გამოგზავნილი, დათარიღებული 1897 და 1898 წლებით. ადრესატი კვლავ დაა, თამარი.

„გწერ ინგლისიდან, სადაც ერთი თვის წინ ჩავედი. პეტერბურგს იმიტომ მოვშორდი, რომ ცხოვრების საზიზღარი პირობები იყო. მეცადინეობას ახლა აქ გავაგრძელებ. იმედი მაქვს, ცხოვრების სახსარსაც აქვე მოვძებნი. ვცხოვრობ სოფელში, ლონდონის სიახლოვეს, ინგლისელი ფერმერის ოჯახში, სადაც ენის ცოდნაში ვიწაფები. გარეშემო ბევრი რამ ახალია და საინტერესო, იმედი მაქვს არ მოვინანებ, რომ საბოლოოდ მივატოვე უნივერსიტეტი და ყოველივე ის, რაც პეტერბურგში მაკავებდა. აქ ცხოვრება უფრო ფართოა, უფრო სრული და ღრმაც, ბევრი რამის სწავლა შეიძლება. გავეცანი მრავალ ინგლისელს, რომლებიც განსაკუთრებული ყურადღებით მეპყრობიან. მეც ვმეცადინეობ, ვმუშაობ და ცხოვრებაც ჯერხანობით კარგად მიდის. ზაფხულში ცოტაოდენი ფული დავზოგე ჯერ არ მიჭირს კარგია აქ სოფლად, ძალიან იაფად მოეწყვე. ყოველივე აუცილებელს ვაკეთებ, რომ მომავალი უზრუნველყოფილი მქონდეს.

პირველ ხანებში მანაღვლიანებდა უცხოთა შორის ცხოვრება, შინაურებისა და მეგობრების მოშორებით. ახლაც, როცა

მეცადინეობას მოვრჩები, სევდა მეუფლება, მოგონებებს ვეძლევი და ვცხოვრობ მოგონებათა სამყაროში, მაგრამ ეს გაივლის და ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩემი ცხოვრება აქ კარგად წარიმართება, გავაკეთებ, რის გაკეთებაც მინდა."

ნაწყვეტი მეორე ბარათიდან:

„ამ ხნის მანძილზე მრავალი დაეჭვება მქონდა ცხოვრებაში (ჭორებს ნუ დაუჯერებთ სიცრუეა, თითქოს მეზარმაცოს). გაზაფხულზე თავს ცუდად ვგრძნობდი. პარიზში გავემგზავრე მხოლოდ იმიტომ, რომ ცხოვრების ნირი შემეცვალა (დროებით). პარიზში კიდევ იმიტომ წავედი,. რომ მინდოდა იქ ხელოვნების ნიმუშებით შემემოწმებინა ტოლსტოის შეხედულებანი ხელოვანებაზე. (აქ გამოვიდა მშვენიერი სრული თარგმანი მისი წიგნისა „რა არის ხელოვნება?") პარიზში ზუსტად ერთი თვე ვიცხოვრე. იქიდან ლონდონს დავბრუნდი, სადაც, აგრეთვე, ერთ თვეს დავყავი. ახლა კი ისევ სოფელში ვცხოვრობ (იმასთან ახლოს, სადაც ადრე ვცხოვრობდი). ერთ ხანს მართლაც გაჭირვებული ვიყავი, მაგრამ ახლა არა უშავს კარგად ვცხოვრობ. ბევრს ვმეცადინეობ. ჩემზე ნუ იდარდებ. საერთოდ, თუ ცხოვრებისა და შრომის სურვილი გაქვს, არ დაიკარგები. მე კი, დროდადრო ძალზე ძლიერად ვგრძნობ ცხოვრების ძალას". (წერილები დაწერილია რუსულად).

ამ ბარათების უკან დგას 26 წლის ყმაწვილი კაცი, სერიოზული, ფიქრიანი, ცხოვრებისა და ხელოვნების შეცნობას მოწყურებული, ზოგადკაცობრიული კითხვებით მოაზროვნე, მაგრამ, ამავე დროს, საკუთარი პატარა ქვეყნის ტკივილებისა და წყლულებისადმი სრულიად გულგრილი. საიმდროოდ საქართველო მისთვის ფიქციაა, შემოუფარგლავი, დაუკონკრეტებელი ცნება. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ იგი ვერც კი ხედავს საქართველოს. მაგრამ აი, ლონდონიდან არჩილი კვლავ პარიზში გადადის და სწორედ ამ ხანებში იწყება მისი, თუ შეიძლება ითქვას, „გამოღვიძება".

ჩვენ უკვე ვნახეთ ექიმ გოკიელის მოგონებანი არჩილ ჯორჯაძის ბავშვობის პერიოდზე ქუთაისში. იგივე გ. გოკიელი პარიზშიც შეხვედრია არჩილს.

აი, რას იგონებს იგი:

„განვლო დიდმა ხანმა და არჩილს შევხვდი პარიზში 1899 წელს. მას გაეგო ჩემი იქ ყოფნა და თვითონვე მომძებნა. არჩილი იმ ხანებში გატაცებული იყო ლევ ტოლსტოითა და საზოგადოდ, ფილოსოფიურ-რელიგიური იდეებით. მეტად აღფრთოვანებული გახლდათ ბუდდას კვაკერების სწავლითა და მცნებით, თავისი

სამშობლო კი თითქმის სულ მივიწყებული ჰქონდა. ბუდდას და კვაკერების მოძღვრების შესახებ ბროშურად გადმობეჭდილ „სევერნი ვესტნიკიდან“ თავის შრომას გვაძლევდა ხოლმე ნაცნობ-ამხანაგებს წასაკითხავად. ზოგიერთი ამხანაგი, ამგვარ იდეებით აღტაცებულ არჩილს ხშირად ეუბნებოდა: „კაცო, დაანებე თავი მაგ ბუდდას მცნებას! გაგონილა, ადამიანი მოკვდეს და მისი სული გაცოცხლდეს?“ მაგრამ არჩილი სერიოზული სჯა-ბაასის დროს, თავისი ძლიერი ნიჭის წყალობით, გონიერი და გამჭრიახი პასუხებით, თვით ბუდდას კითხვებშიც მუდამ გამარჯვებული გამოდიოდა.

იმ ხანებში ჩვენ პარიზში მოგვდიოდა „კვალი“, „ცნობის ფურცელი“ თავისი „მოამბით“. თავისუფალ დროს ხან სახლში, ხან მახლობელ ლუქსემბურგის ბაღში ვკითხულობდით მათ და ვიზიარებდით ჩვენი ქვეყნის ჭირ-ვარამს. არჩილი დიდის აღფრთოვანებით ჩაებმებოდა ხოლმე სჯა-ბაასში ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხის განხილვის დროს და დინჯი, გამჭრიახი და თავაზიანი მსჯელობით მუდამ სჯობნიდა მოკამათეებს. როცა ვუყურებდით ამგვარ უხვად დაჯილდოებულ პიროვნებას, ვნანობდით, რომ ამისთანა ნიჭიერი, უანგარო, ცოდნის პატრონი არ ემსახურება ჩვენს ღარიბ ლიტერატურას. ეს აზრი ზოგჯერ თვით არჩილისთვის გაგვიზიარებია და კიდევაც გვისაყვედურია: ვურჩევდით, მალე მიეღო მონაწილეობა რომელიმე პროგრესული მიმართულების გაზეთში.“

არანაკლებ საინტერესოა მცირე მოგონება ჩვენი სასიქადულო მოქანდაკის იაკობ ნიკოლაძისა:

„1899 წელს ჩავედი პარიზში, სადაც პირველად ვიყავი და, რასაკვირველია, ქართველობას ვეცნობოდი. ამ წლიდან იწყება ჩემი ნაცნობობა არჩილ ჯორჯაძესთან. შთაბეჭდილება ძლიერ კარგი იყო: წყნარი, ცოტას ლაპარაკობდა, თვალებში სევდა ეხატებოდა თითქოს რაღაცა აწუხებსო. მაშინვე შევნიშნე მისი განსაკუთრებული, ფრიად დამახასიათებელი მჯდომარე პოზა და ხელების დაჭერის მანერა, რასაც ფიზიკური ნაკლი იწვევდა (მარცხენა ხელის მტევანი არ ჰქონდა).

პარიზელი ქართველობა იმჟამად ძლიერ ეტანებოდა სხვა და სხვა სულიერ და პოლიტიკურ საკითხებს. არჩილი მაშინ ისეთ საკითხებს სწავლობდა, რომელთაც ცოტა კავშირი ჰქონდათ მისი ბოლო ხნის ნაწერებთან: მისი შეხედულებები მეტად კოსმოპოლიტური იყო. რაც შეეხება ნივთიერ მდგომარეობას, ძლიერ გაჭირვებას განიცდიდა.

დილით ადრე სამხატვრო აკადემიაში მივდიოდი და შინ საუზმისთვის 12 საათზე ებრუნდებოდი. არჩილი ამ დროს ჯერ

კიდევ არ იყო ამდგარი. მივადგებოდი ხოლმე მისი ოთახის კარებს და რახუნს დავუწყებდი, თანაც ვფიქრობდი: „რა ზარმაცია-მეთქი". მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ გავიგე, რომ არჩილი ღამით შეუწყვეტლივ მუშაობდა, ხშირად თურმე 6-7 საათამდე.

რამდენიმე ხნის შემდეგ პატარა ატელიე დაიქირავე და აქ ჭიქა ყავაზე, ან ღვინოზე ერთობოდნენ პარიზელი ქართველი ახალგაზრდები და სამშობლოზე ლაპარაკში ატარებდნენ დროს. არჩილმა ქართული ლაპარაკი ცუდად იცოდა, წერა-კითხვა კი სულ არა. ამხანაგები ურჩევდნენ ქართული ესწავლა.

- როდესაც სამწერლო ასპარეზზე გამოსვლას მოვისურვებ, მაშინ შევისწავლი კიდეცო.

და მართლაც, გამაოცა რამდენიმე ხნის შემდეგ მისმა დაწერილმა წერილებმა. საერთოდ, მას დიდი უნარი ჰქონდა ენების შესწავლისა: თავისუფლად ლაპარაკობდა ფრანგულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე".

როგორც ამ მოგონებებიდან ჩანს, არჩილ ჯორჯაძის სულში, ნელა, მაგრამ ჯიუტად მოიკვლევს გზას, წინაურდება და სულ მალე მის პიროვნებასა და მსოფლმხედველობაში მთავარ ადგილსაც დაიკავებს სამშობლოს, საქართველოს პრობლემა. ეს რომ ნამდვილად ასეა, მშვენივრად გვიდასტურებს თედო სახოკიას ჩანაწერი:

„პარიზში არჩილს 1900 წელს ჩავუსწარი პანთეონის მოედანზე, ჰოტელში, რომელიც, სახუმაროდ „ქართველთა სასტუმროდ" იყო მონათლული. ტოლსტოის ფილოსოფიაზე ჯერ კიდევ ხელი არ აეღო, ყოველ შემთხვევაში, მასთან ბაასისაგან იმ შთაბეჭდილებას კაცი ვერ გამოიტანდა, რომ არჩილი საქართველოს ბედ-იღბლის უღელში შეებმებოდა ოდესმე და კერძოდ ქართულ მწერლობაში მიიღებდა მონაწილეობას. იმას მაინც ვერ იფიქრებდით, რომ არჩილი გახდებოდა საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა პარტიის იდეოლოგად და თეორიულ ხელმძღვანელად. ყოველივე ამას ისიც უშლიდა ხელს, რომ ქართული ენა თითქმის დავიწყებული ჰქონდა, ქართულად საყვედურო ბაასს თუღა ახერხებდა. მოკლედ რომ მოვჭრათ, არჩილი ეკუთვნოდა ქართველი ახალგაზრდობის იმ წრეს, რომელსაც რუსულად ნასწავლ-აღზრდილს, ქართული ფიზიონომია დაკარგული ჰქონდა და თვით საქართველოს პოლიტიკურ კალოს გალეწილად სთვლიდა... ამ წრეს სამშობლოსათვის ზრუნვა, ქართველი ხალხის აღდგენისათვის ფიქრი და მისთვის მეცადინეობა, მეტი რომ არ ვთქვათ, მოცლილი ადამიანის საქმედ მიაჩნდა.

მთელი წელიწადნახევარი, რაც ერთად ვიყავით, დიდ სულიერ ბრძოლას განიცდიდა. 1901 წლის შემოდგომაზე, ერთ საღამოს

ვინახულე არჩილი და იმანაც აღსარებასებრ შემდეგი მითხრა: მომბეზრდა ამდენი უგზოუკვლო და, თუ გინდა, უმიზნო ცხოვრება. გადაეწყვიტე სამშობლოს დაუბრუნდე. მაგრამ ისე არ მინდა ჩასვლა, თუ წინასწარ რამდენიმე წერილი არ დაებეჭდე „ცნობის ფურცელში“ და, ასე თუ ისე, ჩემი თავი არ გავაცანი საზოგადოებას აქედანვეო.

ქართულად წერა რომ არ იცი, ჩემო არჩილ, როგორ უნდა დასწერო რამ? ვკითხე.

მართალია, მაგრამ ერთი-ორჯერ შენ მითარგმნე რუსულიდან, ერთი-ორჯერ ჩემი ქართული გამისწორე და მერე ვნახოთ.

თქმა და საქმის შედგომა ერთი იყო. ორ კვირას თუ ცოტა მეტს, გაგრძელდა ამნაირი მუშაობა. პირველად ძალიან გვიჭირდა, მაგრამ შემდეგ თვითონ ახერხებდა პირდაპირ ქართულად ეწერა. ბოლოს და ბოლოს, მსუბუქი შალაშინის გაკვრაღა სჭირდებოდა მის ნაწერს. როცა პარიზში მოგვდიოდა „ცნობის ფურცლის“ ნომრები, სადაც არჩილის წერილები იყო დაბეჭდილი, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა! ადამიანი გამოცოცხლდა, გადახალისდა, თითქო ხელახლა დაიბადაო. ახლა კი შემიძლია სამშობლოში დაებრუნდეო, ამბობდა.

1901 წ. დამდეგს არჩილი საქართველოში გამოვისტუმრეთ“.

გიორგი ლასხიშვილი, არჩილ ჯორჯაძის უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი , 1934 წელს გამოცემული მემუარების წიგნში წერს:

„1901 წელს „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვისხედით მე და შაქრო ბილანიშვილი, როცა უეცრად კარი გაიღო და ოთახში შემოვიდა შესახედავად მეტად სიმპატიური ახალგაზრდა, რომელმაც მე მიკითხა. მივეგებე, გამეცნო: არჩილ ჯორჯაძე ვარო. მე მას არ ვიცნობდი, თუმცა ამხანაგებისაგან ცოტა რამ გაგებული მქონდა. არჩილმა გამოთქვა სურვილი ჩვენს გაზეთში მუშაობისა. დიდხანს ვისაუბრეთ საიმდროო საკითხებზე და ბოლოს გადავწყვიტეთ, რომ არჩილი დაიწყებდა მუშაობას, როგორც მუდმივი თანამშრომელი“.

ეს ის დრო იყო, როცა მომწიფდა აზრი საქართველოს სოციალ-ფედერალისტური პარტიის დაარსებისა, წელი 1901, „ცნობის ფურცლის“ რედაქციის ირგვლივ თავი მოიყარა იმ ახალგაზრდობამ, რომლებმაც შემდეგ ხანებში დააარსა კიდევაც ეს ახალი პარტია.

„ახალ პარტიაზე ლაპარაკი გაცხოველდა, იგონებს გ. ლასხიშვილი, როცა ჩვენ წრეში შემოვიდა არჩილ ჯორჯაძე. არჩილი მხურვალე მომხრე შეიქნა იმ ახალგაზრდა ჯგუფისა,

რომელსაც საჭიროდ მიაჩნდა სრულიად ახალი და დამოუკიდებელი ქართული პარტიის შექმნა. ერთ-ერთ კრებაზე არჩილ ჯორჯაძემ წამოაყენა საკითხი არალეგალური ორგანოს შესახებ. საქმე ის არის, „ცნობის ფურცელში“ მაშინდელი პოლიტიკური პირობების მიხედვით, მეტად ჭირდა ეროვნულ პროგრამაზე და პირობებზე ლაპარაკი. ამიტომ არჩილის აზრი ერთხმად იქნა გაზიარებული: დავა გამოიწვია მხოლოდ საკითხმა, თუ სად იქნეს დაარსებული თავისუფალი ორგანო. არჩილ ჯორჯაძე გატაცებით იცავდა იმ აზრს, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა ამგვარ ორგანოს დაარსება საზღვარგარეთ. ბოლოს, გადაწყვიტეთ თავისუფალ ორგანოს შექმნა საზღვარგარეთ და საქმე უახლოეს ამოცანად აღვიარეთ“.

კომიტეტმა არჩილ ჯორჯაძეს დაავალა პარიზშივე დაბრუნება და რედაქტორობა პარტიის ორგანოსი, რომელსაც „საქართველო“ უნდა დარქმეოდა. 1902 წლის შემოდგომაზე არჩილ ჯორჯაძე მართლაც წავიდა პარიზში. მას მიჰყვა გიორგი დეკანოზიშვილიც. დეკანოზიშვილმა საგანგებოდ ჩამოასხმევინა მომავალი გაზეთისათვის შრიფტი, „პარიზულად“ წოდებული, ხოლო არჩილი შეუდგა წერას, მაგრამ 1904 წელს მას ჭლექი გაუმწვავდა და იძულებული გახდა შვეიცარიაში წასულიყო საექიმოდ. მიუხედავად ავადმყოფობისა, შვეიცარიიდან განაგრძობდა „საქართველოსათვის“ მასალების მიწოდებას. ამავე დროს, პარიზში აგზავნიდა პირადი ხასიათის ბარათებს, რომელთა ადრესატები არიან ანეტა ოქრომჭედლიშვილის ქალი და სარედაქციო საქმეების წარმმართველი, გიორგი დეკანოზიშვილი. საბედნიეროდ, მოხდა ისე, რომ ამ ბარათების ერთი ნაწილი გადაურჩა დროის მსახვრალ გავლენას და ჩვენამდე უვნებლად მოაღწია. წერილები, რიცხვით თხუთმეტი, უნიკალური ხასიათისაა: მასში ნათლად ჩანს სამშობლოს სიყვარულით გულანთებული კაცი (საიმდროდ არჩილ ჯორჯაძე 32 წლისაა მხოლოდ!), რომელსაც ხვალინდელი დღისათვის, მისი თავისუფლებისათვის ბრძოლა ცხოვრების უმთავრეს მიზნად გაუხდია. ფილტვები ჭლექითა აქვს დაცხრილული, უცხოობაში ეულადშთენილს, ხშირად სცივა და შია კიდეც, მაინც არ კარგავს სულიერ წონასწორობას, სიტყვაც კი არ წამოსცდება მოლალვის თაობაზე, დიდი სიცხით აალმურებული, მოცახცახე ხელით წერს პატრიოტული გზნებით ანთებულ წერილებს არალეგალური გაზეთისათვის და ამავე დროს, პოულობს შინაგან ძალას, რომ სხვებს მოუწოდოს სულიერი მხნეობის შენარჩუნებისაკენ.

სამწუხაროდ, ადგილის სიმცირე ნებას არ იძლევა ამ წერილების ვრცლად ციტირებისა. მოვიყვან ნაწყვეტებს რამდენიმე მათგანიდან:

ანეტა ოქრომჭედლიშვილს:

„კარგი, მეგობრული, გულწრფელი საუბარი, მგონი, ერთადერთი ნამდვილი სიამოვნებაა, რომელიც ადამიანის გულში სეედის და ნაღველის კვალს არ ტოვებს. როცა გულწრფელად, გულახდილად ელაპარაკობ, ან კიდევ სხვა ვინმე მელაპარაკება ამგვარად, ასე მგონია, რაღაც იზრდება ჩემში, ჩემი ვინაობა, არსება ჰფართოვდება, ორკეცდება და მე მეკარგება მარტოობის გრძნობა, რომელიც თან სდევს თითქმის ყოველ ადამიანს. აზრების და გრძნობების დაგუბება გულში არ ვარგა. ადამიანი იხუთება, იღრჩობა ამ შეგუბებულ ტბაში. საუბარი, აზრთა აღებ-მიცემობაა, ის მილია, რომლის შემწეობით გული სხვას აძლევს ნაფიქრს და ნაგრძნობს და სხვისაგანაც იმასვე ითვისებს.“

უაღრესად საინტერესოა 1904 წლის 16 და 20 იანვრით დათარიღებული ბარათები. მკითხველი განმარტების გარეშეც მიხვდება, თუ რაოდენ საჭირბოროტო საკითხებს უტრიალებს აქ არჩილ ჯორჯაძე. ამიტომ მე კომენტარებისაგან თავს შევიკავებ. ადრესატი კვლავ ანეტა ოქრომჭედლიშვილია:

„თქვენს წერილებში ორი საგანი მაჯავრებს და საღერღელს მიშლის. პირველი გახლავთ წერის რუსული მანერა (ენას ვიღა ჩივის). ვერ წარმომიდგენია, რომ ქართველი ქალი, რომელსაც რუსეთში თავის დღეში არ უცხოვრია, რომელსაც ქართველი გამდელი ჰყავდა, ვერ წარმომიდგენია, რომ ამ პირობებში აღზრდილი ქართველი ქალი იმ ზომამდე გარუსებულიყოს, როგორც თქვენ ხართ გარუსებული. მართალი გითხრათ, მე მანამდე მომდიოდა ჯავრი, თქვენს სუფთა რუსულ კილოს რომ ეუგდებდი ყურს, განსაკუთრებით ბოლმა ივსებოდა ხოლმე, როდესაც თქვენს გვარს ამბობდით უცნაურის გამოთქმით: ოკრომჩედლოვა. მე პეტერბურგში მოსამსახურე ქალები „ჟორჟაზინს“ მეძახოდნენ და ნაკაშიძეს „ნაკაშევიჩს“. არ ვიცი, ოკრომჩედლოვა რითი სჯობია ჟორჟაზინს? იქნება გგონიათ, ეს წვრილმანი და უმნიშვნელოა, მაგრამ ასჩქარდებით... ამ გზით რომ ვიაროთ, ყველანი დაეკარგვით ენას, ლიტერატურას, ხელოვნებას და ამის დაკარგვა ერის სიკვდილს მოასწავებს და ერთი მიბრძანეთ, რომელი სარწმუნოება, ანუ ფილოსოფია ამართლებს ერის განადგურებას?“

მეორე ბარათიდან:

„ჩემს წარსულში, მე ჩემდათავად, სწორედ იმგვარი სულიერი მდგომარეობა გამოვიარე, რომელსაც თქვენ გაყვედრით. ბევრი ვიტანჯე იმ ხანში, ძლივს, რის ყოფით და წვალებით, სამშობლოში ჩავედი და ადამიანად ვიგრძენ თავი. გარდა ამისა, ორ-სამ ქალს, რომელთაც წარსულიდან დაახლოვებით ვიცნობ, ამგვარივე სულიერი

ავადმყოფობა სჭირდათ. და ისე არაფრისა მეშინია სიცოცხლეში, არაფერი მძულს ისე გულწრფელად, როგორც ის, როდესაც ამგვარ თვისებებს რომელიმე ადამიანის ხასიათში დავინახავ ხოლმე. ამჟამად, რასაკვირველია, მე თქვენ ჯერ კიდევ კარგად არ გიცნობთ, მაგრამ თქვენი ხასიათის ზოგიერთი მხარე ჩემთვის კარგად არის გარკვეული. ის, რაც ესთქვი თქვენს შესახებ, თქვენი არ არის, წარსულის ნარჩენია, რომელსაც თქვენ ჯერ კიდევ ბოლო ვერ მოუღეთ და ძირფესვიანად ერთად გულიდან ვერ ამოიღეთ. მე ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ამ ზედმეტ ქერქს გადაიგდებთ და თქვენს საკუთარ ბუნებას აღმოაჩენთ საბოლოოდ. რაც შეეხება ეროვნულ კითხვას, ენას და სხვა აქაც ვხელმძღვანელობდი იმითი, რა გამოვცადე და გამოვიარე. იყო დრო, როცა სამშობლო და მამული ჩემთვის ცარიელი სიტყვა იყო, იყო დრო, როდესაც ვითომ ღმერთს ვეძებდი, სინამდვილეში კი უიმედო, უსაგნო და უმიზნო სიცოცხლეს ვაჩანჩალებდი. რამდენიმე წელია, ყველა ამას თავი დავაღწიე, ჩემს გულში აღმოვაჩინე ის, რაც ჩემი არ მეგონა, ვიპოვნე სიცოცხლის საგანი, ადამიანი და ხალხი შემიყვარდა, შევიგენ, რომ განსაზღვრულ წრეში, იმ ხალხის წრეში, რომელმაც გამზარდა და ფეხზე წამომაყენა და რომლის ვალიც მმართებდა, შემეძლო მოქმედება, განხორციელება სიკეთისა, ჭეშმარიტებისა, ყველა იმისა, რაც ღვივის ადამიანის გულში და რაც სურს მას სხვას გაუზიაროს.

ამ დროიდან შედარებით ბედნიერი ვარ, და ეხლა იმ მდგომარეობაში ვარ, რომ მზადა ვარ ყველაფერი მივცე, თვით სიცოცხლე, იმ აზრის განხორციელებისათვის, რომელმაც მე გამაცოცხლა.

მაგრამ საუბედუროდ, ვინც გონიერი და ჭკვიანია, ხშირად გაურბის ჩვენს ხალხს, საზოგადო ასპარეზზე გამოდიან „მენახშირეები“, ლიტერატორების მაგიერ. ვინც იგემა კულტურა, ვისაც ნერვიული კონსტრუქცია ფაქიზი აქვს, ვისაც აქვს მშვენიერებისა და სამართლიანობის შეგნების ნიჭი, სადღაც შორს გარბიან, გარიყულნი არიან, განმარტოებით ცხოვრობენ და ბურთი და მოედანი იმ „მენახშირეებს“ რჩებათ, რომელნიც თავიანთ პროფესიაში კარგი იქნებოდნენ, ხოლო მწერლობაში, მხატვრობაში და ხელოვნებაში უბადრუკ მოვლენად ჩაითვლებიან.

არც ერთ ინტელიგენტის წრეებში არ არის იმოდენა ნერვებით ავადმყოფი, რამდენიც რუსეთში. რუსეთში ყოველივე ეს უსისტემობის, აღზრდის და სხვა ამგვარ პირობების ნაყოფია. საუბედუროდ, ჩვენშიც იჩინა ამან თავი.

მაგრამ ჩვენში რუსის სხვა თვისებებმაც აღმოაჩინა პირი.

სახეში მაქვს მისწრაფება განუსაზღვრელისადმი, მიუწვდომლობისადმი, მისწრაფება, რომელიც გონების ძალას ბუნების და ცხოვრების შესწავლას კი არ ანდომებს, არამედ იმას, რაც ცოდნით და გამოცდილებით შეუიარაღებელ გონებას სიცოცხლის და ბუნების იქით ელანდება და ეზმანება. სახეში მაქვს, აგრეთვე, რუსული „ხანდრა“, როდესაც კაცი თითქოს განგებ ეძებს იმგვარ შთაბეჭდილებებს, რომელნიც გულს უბრუნებენ და სულს უშფოთებენ.

შეიძლება არ გესიამოვნოთ, რომ ამ საგანს შევეხე, მაგრამ სწორედ მოგახსენებთ, გაჩუმება ძნელია ჩემთვის, რადგან ვხედავ, რომ თქვენ თითქოს განზრახ ჰკლავთ თქვენში ცოცხალ, მომქმედ, საღ და ადამიანურ არსებას და ჰკვებავთ და ასაზრდოებთ უსიცოცხლო, უმოქმედო, უნუგეშო, უიმედო პიროვნებას. ეგ თავის მოკვლაა, სხვა არაფერი.

ყველა ამის წინააღმდეგ მე გულწრფელ პროტესტს ვატარებ.

მინაწერი: დღეს დილით გადავიკითხე ეს წერილი. ცოტა არ იყოს მკაცრი მეჩვენა, მაგრამ მაინც გიგზავნით.

არჩილ ჯორჯაძე

აი, ასეთი გახლდათ იგი, როგორც მეგობარი: გულწრფელი, სათუთი, მზრუნველი, სპეტაკი, უკომპრომისო, სამშობლოს ინტერესებით მოსულდგმული. ახლა ენახოთ, როგორი იყო იგი, ვითარცა არალეგალური გაზეთის „საქართველოს“ რედაქტორი.

გაზეთი „საქართველო“...

დღესდღეობით, ამ გაზეთის ღვაწლი და როლი ქართველთა რევოლუციურ ბრძოლაში თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, მიჩუმათებულია. მიჩუმათებულია ისევე, როგორც ბევრი სხვა რამ ჩვენში ერის ისტორიისა. ალბათ, ეს ამბავი მაკანსა და მაკან დოქტრინიორს კიდეც აძლევდა ხელს ან, ახლაც აძლევდეს, მაგრამ განა ცხადზე უცხადესი არ არის, მიუხედავად იმისა, თუ ვის რა დამოკიდებულება აქვს „საქართველოს“ არალეგალურად ბეჭდვის ფაქტთან, რომ იგი უნდა შეფასდეს, როგორც ქართველი ერის რევოლუციური წარსულის ნათელი და გმირული გამოვლინება? ჩვენ სრული უფლება გვაქვს ვიამაყოთ იმ დიდი წვლილით, რაც ქართველმა ერმა შეიტანა რუსეთის თვითმპყრობელობასთან თავგანწირული ბრძოლის საქმეში, ხოლო არალეგალური გაზეთი „საქართველო“ ამ ბრძოლის ერთ-ერთი ულამაზესი ეპიზოდია. ჩვენ არ უნდა დაეივიწყოთ რევოლუციის ჭეშმარიტი რაინდები

გიორგი დეკანოზიშვილი, მუშა ასოთამწყობი კიკნაძე, თედო სახოკია და სხვები, რომლებიც მშიერ-მწყურვალნი, უცხოობაში საკუთარი სისხლის ფასად ბეჭდავდნენ გაზეთს, მერმე სიცოცხლის რისკით შემოჰქონდათ საქართველოში და ხალხს ბრძოლისა და თავისუფლების ჟინს უღვივებდნენ. დიახ, ჩვენ უფლება არა გვაქვს, ასე უსამართლოდ დავივიწყოთ ჩვენი ეროვნული გმირები!

რაც შეეხება არჩილ ჯორჯაძეს, „თავისი ფიზიკური სისუსტისა და თავმდაბლობის მიუხედავად, ის, როგორც ეტყობა, ბელადის თვისებებით იყო აღჭურვილი და თანამოაზრეების წრე მას ყოველთვის ისე უცქეროდა, როგორც წინამძღოლს. მას ჰქონდა დიდი ღირსებები, რომლებიც ყველა ჭეშმარიტ ბელადს ახასიათებს: უანგარობა, ზნეობრივი სიფაქიზე, უკომპრომისობა",- წერს ერთგან გერონტი ქიქოძე.

აქ ისიც უნდა ითქვას, რომ არჩილი არ იყო ამა თუ იმ დოქტრინით შეზღუდული მოღვაწე. მან მშვენივრად უწყოდა, რომ ეს „უთვალავი ფერით" გადაშლილი ქვეყნიერება ერთი რომელიმე, თუნდაც ძალზე მახვილგონიერულად მოგონილი დოქტრინით ვერ აიხსნება და ამოიწურება, ამიტომ, იმ მოღვაწეთაგან განსხვავებით, რომლებიც დოქტრინამომარჯვებული ცდილობენ ცხოვრებისეულ მოვლენებში წვდომას, იგი, უპირველეს ყოვლისა, საერთო-ეროვნული ინტერესებიდან ამოდიოდა, სწორედ ერის კონკრეტული საჭიროებიდან გამომდინარე ქმნიდა დოქტრინებს, რათა აუცილებლობის შემთხვევაში უმალვე უარეყო იგი და ახალი წამოეყენებინა.

ჩემს ხელთაა არჩილ ჯორჯაძის რამდენიმე ბარათი გიორგი დეკანოზიშვილისადმი მიწერილი შვეიცარიიდან პარიზში. ეს ბარათები უძვირფასეს ფაქტობრივ მასალას შეიცავს „საქართველოს" ბეჭდვის ისტორიიდან, საინტერესოა ის არჩილის ბიოგრაფიისთვისაც, მით უმეტეს, რომ დღემდე არსად ყოფილა გამოქვეყნებული.

მომყავს მხოლოდ ნაწყვეტები:

30 იანვარი, 1904

„სრულიად გეთანხმები, გიორგი, რომ საქმე არ უნდა შევაჩეროთ. გულს არ ვიტეხავ, თუმცა ცუდად დატრიალდა ჩვენი საქმე. თქვენ იქ მშიერ-მწყურვალნი ხართ, მე აქ დასნეულებული, უსაქმოდ ვიმყოფები, მაგრამ საქმე შეიძლება მაინც გამოვიდეს. ჩვენზე ბევრია დამოკიდებული. მე, ჩემის მხრივ, ყოველ ღონისძიებას ვიხმარ, რომ ფეხზე წამოვდგე და მეტი სიმტკიცით გავაგრძელო დაწყებული შრომა.

იქვე:

„ჩვენს ახლანდელ სისუსტეს, რასაკვირველია, არ გამოვაჩენთ. პირიქით, სიმტკიცე და ენერგია უნდა დავანახვოთ ყველას: დიდი სურვილი და ენერგია, ჰქმნის ხშირად ახალ ისტორიულ ხანას".

იქვე:

„მე მგონი, გიორგი, ახლა კი მალე მოგვივა ფული ჩვენებისაგან. სოფელში რომ წახვიდე ხოლმე, ემჯობინება. თავს გაუფრთხილდი... თორემ შენც რომ გიღალატოს ღონემ, უარესად გახდება ჩვენი მდგომარეობა. ფული რომ მოგვიდეს, თუ ძმა ხარ, ტანისამოსი და წაღები გამომიგზავნე, ძალიან მესაჭიროება. აქ კაი დარია, მაგრამ, რასაკვირველია, ხველა თავს არ მანებებს, ასე რომ, მეშინიან კიდევ არ წამსკდეს სისხლი. ჩემი იმედი გქონდეს, არ დაგივარდები, სანამ შევძლებ".

31 იანვარი, 1904.

„გურჯი" მეკითხება (ფრანგული წერილის ავტორი, ვინაობა არ ვიცი), დაიბეჭდება თუ არა ჩემი წერილიო. მე ეუპასუხე: დაიბეჭდება-მეთქი. „შეურიგებელსაც" უნდა თავისი წერილის დაბეჭდა ფრანგულად. მე მგონი ურიგო არ იქნება. უნდა ვაჩვენოთ უცხოელებს და რუსებს, რომ ჩვენში სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობის მომხრენიც არიან. ინგლისში ეს წერილი ძალიან მოეწონებათ. ჩვენ ჩვენი შენიშვნა გავუკეთოთ და ისე დავსტამბოთ. ასე რომ, ააწყოს ჯერ ქართულად და მერე გამომიგზავნე. გადათარგმნი ფრანგულად, ან კიდევ თუ გინდა, რადგან ფრანგულის ნომერი დაგვიანდა, გამომიგზავნე, ეხლავე გადათარგმნი მე თვითონ, ან ბრიუსელში გავგზავნი გადასათარგმნელად. კაი ძალ ადგილს დაიჭერს, ორად რომ გავყოთ. კიდევ ერთ-ორ წერილს მოვამზადებ, ახალ ამბებს ჩავურთავ და ნომერი მომზადდება. „საქართველო და კავკასიის ფედერაცია" (აწყობილი რომ გქონდა), არ დაიბეჭდება განა, მეცხრეში? მომწერე პასუხი ყველაფერზე".

12 თებერვალი, 1904.

ჩემი საქმე ასე დატრიალდა, მგონი, ველარ მოვახერხო ცალკე აპარტამენტში დგომა. თუ რაიმე მოგცეს, გაჰყიდე ავეჯეულობა, ხოლო წიგნები კი გამოაზიდვინე, მაგრამ შენ არ გაგაყიდვინებენ, მგონი. ისე მოიქეცი, როგორც ამჯობინო, არაფერს ვინაღვლი მაინცა და მაინც".

7 სექტემბერი, 1904.

„რამდენჯერმე ვცადე წერა, ვერ შევძელი. სამი კვირა იქნება ცუდათ ვარ. სიცხე გამოულეველი მაქვს. ძალიან დავსუსტდი და კალამი არ მემორჩილება. მაწუხებს იმ წერილის საქმე. მისწერე, ნუღარ დაბეჭდავენ დასაწყისს, რადგან გაგრძელებას

ვერ მოვუსწრებ ამ მოკლე ხანში. ნეტავი მანდ ვიყო, ამ მარტოობაში დაიღალა გული. დასუსტებული რომა ვარ, უფრო მწყურიან ყველა თქვენთაგანის ნახვა. რა ვიცი, მეღირსება კი? გულს ნუ გაიტეხ, ძმაო! ასე თუ ისე, ერთ ურემში ვართ ჩაბმულნი და ფეხი არ უნდა შევაჩეროთ, სანამ ძალა შეგვწევს. გიორგი ლასხიშვილის ნახვა ძალიან საჭიროდ მიმაჩნია. ისე არ წავიდეს, რომ აქეთ არ შემოუხვიოს. სთხოვე ჩემს მაგივრად. ბევრი მაქვს სათქმელი".

პარიზში მყოფმა გიორგი ლასხიშვილმა თხოვნა შეუსრულა არჩილს და კლარანსში ეწვია. აი, რას მოგვითხრობს იგი ამის თაობაზედ:

„ჟენევიდან გავემგზავრე სოფელ კლარანსში არჩილის სანახავად. კარგა ხნის ძებნის შემდეგ მივადექი პატარა კოტეჯს, რომელშიც არჩილი ცხოვრობდა. შესავალ კარებთან მოსამსახურე ქალი შემხვდა. ჩემს კითხვაზე: - სად შემიძლიან არჩილ ჯორჯაძის ნახვა-მეთქი, ქალმა ნაღვლიანად მიპასუხა:

ავად არის, ძალიან ავად არისო, - და წინ გამიძღვა.

შევედი ოთახში, სადაც არჩილი იწვა. თუმცა მომელოდა, მაინც ძალიან აღელდა და ხველა აუტყდა. ერთი დღე და ღამე დავყავი არჩილთან. ხარბად დაეწაფა საქართველოს ამბებს, ჩვენი პარტიის საქმეებს, რუსეთის მდგომარეობასა და სხვა. საღამოს იმდენად კარგად შეიქნა, რომ ლოგინიდან ადგა და, მიუხედავად დიასახლისის პროტესტისა, გარედაც გამოვიდა გასასეირნებლად.

არჩილი პირდაპირ ოცნებობდა სამშობლოში დაბრუნებაზე:

- მე აქ ვერ მოვრჩები, გიორგი, დავიღუპები... რაც შეიძლება მალე უნდა დაებრუნდე და იქ, კახეთში, უეჭველად ვსძლევ ამ ჩემს საშინელ სენსაო.

მე ვამშვიდებდი, ვეუბნებოდი, რომ რუსეთში მალე საკონსტიტუციო რეჟიმი იქნება და ყველა პოლიტიკურ გახიზნულთ საშუალება მიეცემათ დაბრუნებისა და თავისუფლად ცხოვრებისა-მეთქი, მაგრამ არჩილი ამას არ დაჯერდა და სიტყვა ჩამომართვა, რომ ვეცდებოდით დაგვებრუნებინა და არალეგალურად გვეცხოვრებინა საქართველოში.

დიდი სიამოვნებით დავყავი არჩილთან ეს დღეები. საუცხოო მოსაუბრე იყო, მეტად ნაზი და ნამდვილის კეთილშობილის გულის ადამიანი. თვალცრემლიანი გამომეთხოვა და უკანასკნელად კიდევ შემეხვეწა - არ დამტოვოთ აქ, უთუოდ მალე წამიყვანე საქართველოშიო".

თედო სახოკიას მოგონებიდან:

„1905 წლის დამდეგს არჩილი ჩამოვიდა პარიზში და განაგრძობდა მუშაობას უფრო მომეტებულად ისე, როცა 39° სიცხე ჰქონდა ხოლმე.

1905 წლის პირველი თვეებია. იაპონიასთან დამარცხებული მეფის რუსეთი უძლურდება. მთავრობა აღელვებულ ხალხს თავს ვეღარ უჭერს. იწყება რევოლუცია. მომავალი განთავისუფლების სუნი ტრიალებს ჰაერში. პარტიები მხურვალედ მუშაობენ, ყველას აღფრთოვანება ეტყობა. ჩვენი სამშობლო საერთო ფერხულში ებმის. პრესა თითქმის თავისუფლად წერს ყველაფერზე, იმედი გვესახება, რომ მოახლოებულია ჟამი, როცა ფედერალისტთა პარტიის ოცნებას - საქართველოს ავტონომიას ფრთები შეესხმის, სინამდვილედ გახდება.

არჩილი პარიზში დარჩა, რადგან ავადმყოფობის მიზეზით მგზავრობა ალარ შეეძლო, გული კი საშინლად მიუწევდა სამშობლოსაკენ. ამას სჩიოდა: ავადმყოფობისა და თვით სიკვდილისა სრულიად არ მეშინიან, მეორე სიკვდილი ის არის, რომ როცა გარეშემო სიცოცხლე სდულს, ჩვენს ქვეყანას მზიანი დღე უთენდება და საჭიროა ხალხი, მუშა, მოქმედი ხალხი, იძულებული ვარ ლოგინში ვიწვე და შორიდან გულხელდაკრეფილი შევცქეროდე ქვეყანასო.

გაზაფხულის გასულს იგიც გაუდგა სამშობლოს გზას".

ქალბატონი ნინო ნაკაშიძე იგონებს:

„1905 წელს საზღვარგარეთიდან ჩამოვიდა ავადმყოფი მწერალი არჩილ ჯორჯაძე. არჩილი ემალებოდა მეფის ადმინისტრაციას და ამხანაგებმა გადაწყვიტეს ჩვენთან მოეყვანათ იგი. ჩვენ მაშინ დიდუბეში საგურამოს ქუჩაზე ვცხოვრობდით. ერთი ოთახი მივუჩინეთ ავადმყოფს და არავის ვუშვებდით მასთან, გარდა ძალიან ახლო ამხანაგებისა და მეგობრებისა.

და აი, ერთ დღეს, ეს იყო გაზაფხულზე, ჩვენთან მოვიდა ვაჟა-ფშაველა. თვალი აღარ ჰქონდა შეხვეული, მაგრამ ეცრემლებოდა კი. რუხი ფერის ჩოხა ეცვა და მაღალყელიანი წაღები.

მე ძალიან გამიკვირდა და გამახარა მისმა მოსვლამ. მოსალმების შემდეგ მკითხა:

- ილიკო არ არის შინ?

არ არის, მივუგე მე.

- მასთან ერთი ძალიან საჭირო საქმე მქონდა, სწორედ ამიტომ შეგაწუხეთ.

- რა საქმე იყო, ბატონო ვაჟა, იქნებ მე შევძლო მაგიერობის გაწევა?

ვაჟამ გაიღიმა.

- არჩილის ნახვა მინდა, თქვა მოკლედ.

არჩილი? წარმოვთქვი მე და ალბათ შიში გამომეხატა სახეზე.

დიახ, არჩილის. ნუ გეშინიან, გიორგი ლასხიშვილმა მითხრა მისი ჩამოსვლის ამბავი. ისიც მითხრა, ილიკოს შეუძლია გაჩვენოსო, მაგრამ თუ არ გინდათ, ნუ მეტყვით.

- ცოტა დაიცადეთ, - ვუთხარი და არჩილის ოთახში შევედი.

არჩილს ახველებდა, სანთელივით სახე შესწითლებოდა. გული მწარედ შემეკუმშა მის დანახვაზე.

არჩილ, ვაჟა-ფშაველა მოვიდა შენს სანახავად. გაუგია შენი ჩამოსვლა, გიორგის უთქვამს.

- ვაჟა-ფშაველა? შესძახა და მისმა ჩაცვინულმა, შავმა თვალებმა სიხარულით გაუელვა ხშირ, გრძელ წამწამებში. წამოიწია კიდეც ლოგინიდან, მობრძანდეს, მობრძანდეს, თქვა სიხარულით, მაგრამ ხველამ უმატა. დავფაცურდით, რძე მივაწოდეთ, ცოტათი დაწყნარდა.

- აბა მოვიყვან.

დიახ, დიახ, მოიყვანე. მაგრამ ელენე, მიმართა მან ელენე ჯორჯაძეს, თაეის ბიძაშვილს, რომელიც უვლიდა, ხელი მომეცი! - არჩილი ლოგინში უხელოდ იწვა (მას მარცხენა ხელი წაწყვეტილი ჰქონდა მაჯაში, უცაბედად გასროლილმა თოფმა წააგლიჯა). ელენემ მიაწოდა ლაიკის ხელთათმანიანი ხელის პროტეზი, მან გაიკეთა და დაიდვა ბალიშზე.

შემოვიყვანე ვაჟა.

არ ვიცი, მანამდის იცნობდნენ ისინი ერთმანეთს თუ არა, მაგრამ ისე შეხვდნენ, როგორც ძალიან მოსიყვარულე, უფროს-უმცროსი ძმები. არჩილი წამოიწია, ვაჟა დაიხარა, ერთმანეთს გადაეხვივნენ და გადაკოცნეს. როდესაც ვაჟა წელში გაიმართა, ორივეს ცრემლები ადგა თვალებზე.

პირველად ვაჟა გამოერკვა.

დაბრუნდი, არჩილ, სამშობლოში?

- აი, ხედავთ, როგორ დაებრუნდი... მაგრამ ვაჟა, თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორ გამახარეთ თქვენი მოსვლით. დიდი ყურადღებით ვკითხულობდი უცხო ქვეყანაში თქვენს „ბახტრიონს“, „სტუმარ-მასპინძელს“, „სისხლის ძიებას“, „ალუდა ქეთელაურს“... შედევრებია, შედევრები... საზღვარგარეთ თქვენი ბადალი მწერალი არა ჰყავთ, განსაკუთრებით, ამ ბოლო დროს ძალიან დაეცა ფრანგული მწერლობა.

არჩილის ხმა თანდათან ყრუვდებოდა და სუსტდებოდა. ელენემ რაღაც წვეთები დაალევინა და ოდნავ დაწყნარდა. ვაჟა მას კმაყოფილებით და თან მწუხარებით უსმენდა.

- რა ვიცი აბა, კი არაფერი გამოდის ჩემი წერიდან და... ვინ აფასებს, - თქვა მან.

რას ამბობთ, ვაჟა! თქვენ თუ არ გაფასებენ, აბა ვის აფასებს ქართველი ხალხი. თქვენი უფრო დაფასება კი მომავალს ეკუთვნის. მაგრამ მიამბეთ, ახლა რას წერთ, როგორ ცხოვრობთ"...

ვაჟასთან შეხვედრა ჩვენ კიდევ მოგვიწევს ამ ნარკვევში, ახლა კი აქ ისევ უნდა მოვიხმო გ. ლასხიშვილის მოგონება, რომელიც ქართველი ერის სიქადულს აკაკის ეხება და მის დიდბუნოვნებას, რაც მთავარია, არჩილ ჯორჯაძესთან მის დამოკიდებულებას გვისურათებს:

„ერთხელ, ზაფხულის დამდეგს, მარიამ დემურიასთან შევედი. აკაკი იქ დამხვდა. დემურიას შეეჩიელე:

- არჩილის გაგზავნაა აუცილებელი აგარაკზე. ამ ზაფხულს თუ აქ დარჩა, ცუდად იქნება მისი საქმე. ფული კი არა გვაქვს: კომიტეტი ვერ იძლევა, რამდენსაც წინად იძლეოდა არჩილისათვის, რედაქციასაც არა აქვს. იქნება რამე მოგვიხერხოთ, ქალბატონო მარიამ?

რამდენია საჭირო? მომიბრუნდა აკაკი.

მე ვუპასუხე, რომ ერთდროულად საჭიროა თხუთმეტი-ოცი თუმანი აგარაკის ქირის, მგზავრობისათვის და თან, რაღაცეები უნდა ვუყიდოთ-მეთქი.

- გიორგი, წაიღეთ ჩემი ფონდიდან ოცი თუმანი. ბარათს მიგიწერთ წერა-კითხვის საზოგადოებაში. როცა შეძლებთ, სესხს დააბრუნებთ. თუ ვერ შეიძლოთ, თვენი ჭირი წაულიაო.

აკაკიმ ბარათი მომცა და ეს მით უფრო სასიამოვნო იყო, რომ წ.-კ.-ს გამგეობამ აკაკის დაუკითხავად დროებით ადრეც ისესხა მისი ფონდიდან ასი მანეთი იმავე არჩილ ჯორჯაძისათვის. ახლა კიდევ წამოვიღეთ ასი მანეთი".

ახლობლების, მეგობრების, თვით დიდი ერისკაცების ასეთმა თავგამოდებულმა ზრუნვამ და ყურადღებამ არჩილი დროებით გამოამჯობინა. ძმური დახმარებისა და ხელის გაწვდენის წყალობით იგი სხვადასხვა აგარაკებზე მკურნალობს ხან მანგლისშია, ხან წაღვერში, ხან კიკეთში, სურამში ან ზღვაზე და ჯიუტად უმკლავდება ბედითად შემოჩენილ სენს, რათა უკანასკნელი ძალა მოიკრიფოს და მუშაობის გაგრძელება შეიძლოს.

სამსონ ფირცხალავა („სიტყვა") იგონებს:

„მახსოვს, როცა საფრანგეთიდან დაბრუნდა განსვენებული 1905 წელს, უკურნებელი სენით დაავადებული, ბათუმში შევხვდი გემიდან გადმოსვლისას. მისმა ძალზე გამხდარმა, ჩალურჯებულმა სახემ საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. შევშინდი, არ მეგონა, თუ რამდენიმე დღეს გაძლებდა.

მაგრამ სულ სხვა იყო მისი ძლიერი სული, რომელიც

დაავადებულს სხეულს გულგაუტეხლად ებრძოდა, არ ემორჩილებოდა, თითქოს უარჰყოფდა მის არსებობასაც და თუმცა მეტ წილად ლოგინზე იყო მიჯაჭვული, თუმცა ექიმები დღე-დღეზედ მოელოდნენ მის გარდაცვალებას და გაოცებულნიც იყვნენ, რომ ის ცოცხალი იყო, მაგრამ მაღალის, აღფრთოვანებულის სულისა და რწმენის მეოხებით შეიდი წელიწადი იცოცხლა კიდევ და ეს დრო იყო საუკეთესო და უნაყოფიერესთაგანი მთელს მის ცხოვრებაში. მისმა მომწიფებულმა ნიჭმა გამოიჩინა დიდი ანალიტიკური და სინთეტური ძალა ჩვენი საზოგადოებრივობის შესწავლაში და ღრმა რწმენა იმ სოციალ-პოლიტიკური იდეალისა, რომელსაც თავიდან ემსახურებოდა. მისი გული იმედისა და მხნეობის კლდე იყო და ყოველი განსაცდელის დროს მისკენ იყო მიქცეული ამხანაგების თვალები"...

არჩილ ჯორჯაძის სიცოცხლის ბოლო პერიოდზე რამდენიმე საყურადღებო დოკუმენტი მოგვეპოვება. მათ შორისაა ვინმე „ვლადის" (ვინაობა ვერ დავადგინე - თ. მ.) მოგონებანი, რომელიც „სახალხო გაზეთის" 1914 წლის ორ ნომერში დაიბეჭდა:

„სურამში, მისი სახლის აივნის წინ, ორიოდ ნაბიჯზე, წისქვილი იყო, სადაც მილეთის სოფლელი ირეოდა. ზოგს დაფქვილი ჰქონდა, ზოგსაც მოჰქონდა დასაფქვავი ზურგით, თუ ურმით. არჩილის საყვარელი ადგილიც სწორედ ეს აივანი იყო, საიდანაც ადევნებდა თვალს მოფუსფუსე მშრომელ ხალხს, ხან გამოელაპარაკებოდა კიდეც. ეს ის წისქვილია, რომელიც ერთი მისი ფილოსოფიური წერილის საბაბი იყო, ამიტომაც დაარქვა უკანასკნელს „წერილები იტრიის წისქვილიდან, ანუ იმა ქვეყნის ხელშეხება"...

განსაკუთრებით დილაობით სწერდა. თუ არ ჰმუშაობდა, ლოგინზე იწვა და ჰკითხულობდა. თუ ათბილდებოდა, შუადღისას აივანზე გამოვიდოდა და წისქვილს გადაჰყურებდა. საღამოობით ყოველდღე ვაკითხავდი და თუ კმაყოფილი იყო დილის ნამუშევრით, ფურცლებზე მანიშნებდა. მეც ვაგროვებდი დაწერილს ქაღალდებს და სიცილით ვსთვლიდი. ერთი, ორი, სამი... არჩილი ამას ღიმილით უყურებდა.

სურამში მყოფნი ჩვენი მოღვაწენი ვალადა თვლიდნენ არჩილთან მისვლას. მისი ხშირი სტუმარი და ჯანმრთელობის დარაჯი იყო ექიმი იეანე გომართელი. მოდიოდნენ საგანგებოდ ავადმყოფის სანახავად ჩამოსული ზურაბ ავალიშვილი, ევგენი გეგეჭკორი, აგრეთვე გრიგოლ რობაქიძე, გრიგოლ დიასამიძე, ღამბაშიძე და მრავალი სხვა. თანამოკალმეთა და მოღვაწეთა ყურადღება სიამოვნებას ჰგვრიდა. ერთხელ, როგორღაც გაეგო,

ნოე ჟორდანია ჩამოსულაო სურამში. დაინტერესდა: - მინახულებს თუ არაო. როცა ნოე წავიდა დაბიდან, ღიმილით თქვა:

როგორ მოეიდოდა ჩემთან, მოსისხლე მტერთან?

ასეთი ლაპარაკი და ხუმრობა იმას მოასწავებდა, რომ არჩილი კარგ გუნებაზე იყო. ჩვეულებრივ ჩაფიქრებული და ჩუმი, ასეთ წუთებში კარგი მოსაუბრე ხდებოდა. იგონებდა გიმნაზიაში ყოფნის ხანას, უნივერსიტეტს, სამეცნიერო წრეებში მუშაობას, ინგლისს გამგზავრებას, პარიზში ყოფნას, აუტანელ გაჭირვებას და სხვა.

ხშირად ახალგაზრდებისაგან იღებდა წერილებს, სტუდენტები თავის ნააზრევს უზიარებდნენ, საზოგადოებრივ საკითხებზე გამოსაუბრებას სთხოვდნენ. იგი ძლიერ აფასებდა ასეთ ყურადღებას და პასუხსაც ხალისით აძლევდა. უმთავრესად საკითხი ჩვენი საზოგადოებრიობის და მწერლობის დაქვეითების გარშემო ტრიალებდა. უნდა ითქვას, არჩილი დიდი ოპტიმისტი იყო და მომავალს ჩვენსას იმედით შეჰყურებდა. პირადი ჭირსახდელი, ავადობა და ხიფათით და განსაცდელით მდიდარი წარსული მასში სულის სიძლიერეს ვერ ასუსტებდა და თუ პირადად მისთვის დახშული იყო ბედნიერება, თავისი ტანჯული ერისთვის არამც თუ სწყუროდა იგი, კიდეც სწამდა. დიდი იმედი ჰქონდა ახალგაზრდობისა. ახალგაზრდობის გამოსვლა სამწერლო ასპარეზზე საოცრად ახარებდა. რამდენჯერ უთქვამს: ქართულ პრესას რომ სტუდენტობა არა ჰყავდეს მუქთა თანამშრომლად, ამდენ ხანს ყველა დაიხურებოდაო. კარგად მახსოვს მისი სიტყვები: ათი-თორმეტი წელიწადი არ გაივლის, რომ ჩვენი მწერლობა გამდიდრდებაო, აღორძინება ჩვენს მწერლობას, კერძოდ პუბლიცისტიკას, ახლაც ეტყობაო."

1911 წლიდან ავადმყოფობამ კლავე იმძლავრა.

არჩილი ახლა კი სამუდამოდ მიეჯაჭვა ლოგინს, ამჯერად ადგომა უკვე აღარ ეწერა. იძულებული გახდა ხელი აეღო ისეთ ჩვეულებრივ ადამიანურ სიამოვნებაზეც კი, როგორც ვთქვათ, თეატრში წასვლა, ანდა მუსიკის მოსმენაა. ამის მიუხედავად, მაინც არ წყვეტს მუშაობას. წყვეტს კი არა, სწორედ ამ დროს იწყებს და ამთავრებს დიდ წიგნს - მონოგრაფიას დიმიტრი ყიფიანზე, რომელიც ერთი მნიშვნელოვანი რგოლია მისი გამოკვლევების ციკლისა ქართველი ინტელიგენციის ისტორიაში. „დიმიტრი ყიფიანი" კარგა ხნის მანძილზე იბეჭდებოდა 1913 წლის „სახალხო გაზეთის" ფურცლებზე და მკითხველი საზოგადოების დიდი კმაყოფილებაც გამოიწვია. კერძოდ, ჩვენთვის ცნობილია ვაჟა-ფშაველას აზრი (მომყავს სიკო ფაშალიშვილის მოგონებიდან):

„ვაჟას დიდ ნაკლად მიაჩნდა, რომ ჩვენს პროზაში

ინტელიგენციის სულისკვეთება არ იყო ასახული, ვარაუდს გამოთქვამდა, თუ რომელ ბელეტრისტს შეეძლო ამ მიმართულებით სასარგებლო რამ გაეკეთებინა. უფრო კი თვალი ახალგაზრდობისაკენ ეჭირა. როცა იმ ხანებში (იგულისხმება 1913 წელი თ. მ.) დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ არჩილ ჯორჯაძის ვრცელი მონოგრაფია გამოქვეყნდა, ვაჟა კმაყოფილი ამბობდა:

- აი, რა მშვენიერია! განა არ შეუძლიათ ჩვენს ბელეტრისტებს ასევე სინამდვილიდან ამოღებული მოქმედი ადამიანების ტიპები გამოიყვანონ და დაგვიხატონ ჩვენი ახლანდელი ცხოვრება? განა ილია თემა არ არის ? განა ივანე მაჩაბელი, ევდოშვილი თემა არ არის? განა რევოლუციამ ახალი ადამიანი არ დაგვანახა? ახალი ტიპი აკლია ჩვენს პროზას, იქით უნდა მიიხედოს ჩვენმა ახალგაზრდობამ".

სიცოცხლე კი თანდათან იფერფლებოდა, ქრებოდა...

ექიმ შალვა მიქელაძის მოგონება:

„ვიდრე არჩილი ტფილისში ცხოვრობდა, მას მუდმივად მე ვწამლობდი, ამ სამი წლის განმავლობაში არჩილს დავუახლოვდი (მატინოვის ქუჩაზე იდგა), გავიცანი მისი ფაქიზი და მშვიდი ხასიათი, მისი მგრძნობიარე გული, მისი მტკიცე და შეუდრეკელი ენერგია და გასაოცარი სიყვარული შრომისა.

იგი ნამდვილი პატიმარი იყო, მთელი ზამთარი ოთხკედელშუა გამომწყვდეული, უფრო ხშირად ლოგინზე წამოწოლილი, ან ჰკითხულობდა, ან ისვენებდა. დილაობით კი სწერდა ხოლმე. არავითარი გასართობი მისთვის არ არსებობდა, არავითარ პრაქტიკულ საქმეში მონაწილეობის მიღება არ შეეძლო. ვერ დაესწრებოდა კრებას, ვერ წავიდოდა წარმოდგენაზე, ვერ მოისმენდა კონცერტს. მისი დაავადებული სხეულისათვის ყველა ეს შეუძლებელი იყო. ერთადერთი გასართობი არჩილისა კითხვა იყო და ბაასი ნაცნობ-მეგობრებთან. ცნობილი პიანისტი გოფმანი რომ ჩამოვიდა ტფილისში, არჩილი აღელდა, უნდოდა კონცერტზე დასწრება, მაგრამ ვერ გაბედა, ცუდად გავხდებიო და მუშაობას ვეღარ შევძლებო. საერთოდ, არჩილს ძლიერ უყვარდა მუსიკა და აღტაცებით ლაპარაკობდა ხოლმე მასზე. ძლიერ ჰსურდა, აგრეთვე, ენახა გედევანიშვილის პიესა „მსხვერპლი", რომლის ასრულებაზე ბევრი ჰქონდა გაგონილი. მხოლოდ ერთხელ, სამი წლის განმავლობაში მოისურვა მან დასწრება ივანე ჯავახიშვილის ლექციაზე. დიდი სიფრთხილით წავიყვანეთ ქართულ თეატრში, დირექტორის ლოჟაში დავაბინავეთ, მაგრამ ნახევარი საათიც ვერ შეძლო თეატრში დარჩენა და შეწუხებული წავიყვანეთ შინ.

არჩილმა კარგად იცოდა, რომ დიდი ხნის სიცოცხლე აღარ ჰქონდა და სცდილობდა, რაც შეიძლება მეტი ეშრომნა, მეტი დაეწერა. უნდოდა საჩქაროდ გამოეთქვა თავისი აზრები, სამარეში არ ჩაეტანა ნაფიქრი. საკმარისი იყო, ცოტა უკეთესობა დასტყობოდა, უკვე ფიქრობდა, თუ რაზე უნდა დაეწყო მუშაობა, რა ჰქონდა დასაწერი. ჯერ კიდევ სიცხეებს აძლევდა საღამოობით, რომ უკვე სია ჰქონდა შემდგარი საჭირო წიგნებისა, საჭირო მასალისა და მეგობრებს სთხოვდა, ესა და ეს წიგნი, ესა და ეს მასალა მომიტანეთო. არაერთხელ უთქვამს: „თუ ვცხოვრობ, მხოლოდ იმისთვის, რომ ვიმუშავო და რამე დავწერო, ამის მეტი, დაავადებულს, არავითარი ინტერესი აღარა მაქვს ცხოვრებისა და თუ ესეც მომესპო, მაშინ სიცოცხლე რათ მინდა, თუკი ჩემს თავს ზედმეტ ბარგად ვიგრძნობო“. გადაათვალიერეთ უკანასკნელი სამი წლის მისი ნაწერები, გაიხსენეთ, თუ რა მდგომარეობაში იყო არჩილი, როგორი ავადმყოფი იყო და თქვენ დაინახავთ, თუ როგორი ძლიერი ნება, რამდენი იდეური და ზნეობრივი ენერგია ჰქონდა, რაც აკეთებინებდა იმდენ საქმეს, რამდენის გაკეთება მრთელ, ჯანსაღ ადამიანსაც არ შეუძლია.

უკანასკნელ დროს უფრო ისტორიულ წერილებს სწერდა ქართველი ინტელიგენციის ისტორიიდან. ამის მიზეზი ორგვარი იყო: ერთი ისა, რომ საგანი ფრიად აინტერესებდა. მეორეც ისა, რომ თანამედროვე კითხვებზედ წერა და განსაკუთრებით პოლემიკა, ძლიერ აღელვებდა მას. უკანასკნელ წელს ძლიერ სუსტად იყო, თითქმის ყოველ დღე სიცხეებს აძლევდა, საღამოობით მაინც. ნერვებიც, რა თქმა უნდა, დასუსტებული ჰქონდა და ამიტომ ღელავდა ხოლმე, აღელვება კი ძლიერ სწყენდა. ამიტომ არჩილი სცდილობდა საამდროო საკითხებზე წერას მოჰრიდებოდა და თუ ხანდახან მაინც დასწერდა გაზეთში ასეთ წერილებს, ამის მიზეზი ისევ მისი მოუსვენარი და მაძიებელი აზროვნება იყო, რომელიც სძლევდა ხოლმე მის ნებას და თითქოს ძალად გადაადგმევინებდა ხოლმე ასეთ ნაბიჯს.

ქართველი ინტელიგენციის ისტორია ძალიან აინტერესებდა. იგი გრძნობდა, რომ ქართულ ლიტერატურაში დიდი დანაკლისი იყო ასეთი ისტორიის უქონლობა და ცდილობდა ამ დანაკლისის შევსებას. და აი, სწორედ უკანასკნელი წლები თავის სიცოცხლისა, უმთავრესად შესწირა ამ ისტორიის ცალკეული თავების შემუშავებას. არჩილს სურდა ბოლოს ხელახლა შეემუშავებინა და ერთ წიგნად გამოეცა ცალკე წერილებად დაბეჭდილი მასალები ამ ისტორიისათვის, მაგრამ საუბედუროდ ბედმა აღარ არგუნა ამ სურვილის შესრულება.

ერთ დღეს არჩილთან შევედი. გულს შემომეყარა. მთელი პატარა ოთახი ძველ-ძველი წიგნებითა და ხელნაწერებით იყო სავსე. არჩილი, ჩვეულებისამებრ, გულაღმა იწვა და რაღაც ხელნაწერს კითხულობდა. ოთახში დაძველებული ქაღალდების სუნი იდგა. საყვედურით მივმართე, რად შემოგიტანინებია ეს მტვრიანი და ძველი წიგნები და ხელნაწერები, რათ აფუჭებ ოთახის ჰაერსა-მეთქი. არჩილს თითქო ჩემი შერცხვაო დარცხვენილად მიპასუხა -არაუშავს-რაო და აღფრთოვანებით დაუმატა: „რომ იცოდე, რა ძვირფასი მასალაა, რა ძვირფასი მასალაო".

ეს ძვირფასი მასალა დიმიტრი ყიფიანისა იყო. ყიფიანის მოღვაწეობის გაცნობა მისთვის ორგვარად იყო საინტერესო: ერთი-თავისთავად აინტერესებდა ისეთი რთული და შესამჩნევი პიროვნების ბუნება და დახასიათება, როგორიც წამებული მოღვაწე იყო. მეორეც- ამ არხივის შესწავლით არჩილს საშუალება ეძლეოდა ქართველი ინტელიგენციის ისტორიის ერთი უმნიშვნელოვანესი თავი შეემუშავებინა და განზრახული შრომა ქართველი ინტელიგენციის ისტორია წინ წაეწია.

შეუდგა მუშაობას. დილაობით მუშაობდა. ვინც კი მასთან შეივლიდა, ყველას აღტაცებით ესაუბრებოდა ამ არხივზე, განსაკუთრებით გაკვირვებული იყო დიმიტრი ყიფიანით, რომელიც თურმე ერთ მცირედმნიშვნელოვან მოვლენასაც არ გამოსტოვებდა, რომ თაეის დღიურში არ შეეტანა თურმე. „ნამდვილი ევროპელი ყოფილა, ნამდვილი ევროპელიო!" - გაკვირვებით გაიძახოდა არჩილი.

ამ დროს იგი უკვე ძლიერ ცუდად გრძნობდა თავს. ზაფხული წაღვერში გაატარა, მაგრამ მოკეთებით ვერ მოიკეთა, ისევ დასუსტებული ჩამოვიდა ტფილისში. ჩამოსვლის დღეს ქუჩაში გულიც კი წასვლია და ძლივს მოუბრუნებიათ. მიუხედავად ამისა, განაგრძობდა მუშაობას, დაამთავრა კიდეც და ბეჭდვაც დაიწყო, მაგრამ აქამდე თუ მისი ნება და ენერგია ძალას ატანდა დაავადებულ ორგანიზმს, ახლა კი სნეულებამ სძლია. არჩილი ძლიერ ცუდად შეიქნა.

სწორედ შუაღამე იყო, მაცნობეს: არჩილი ცუდად არის და ნახეო. საჩქაროდ გავეშურე. კარი რომ შევაღე, საშინელი სურათი წარმომიდგა: არჩილს ჰაერი აღარ ჰყოფნიდა სასუნთქად, ხრიალებდა... არასოდეს შეშინებული არ მინახავს, კარგად იცოდა, რაც სჭირდა, ისიც იცოდა, რომ მისი მორჩენა არ შეიძლებოდა, ამიტომ თითქოს შერიგებია იმას, რომ ხანგრძლივი სიცოცხლე აღარ დარჩენიაო, ისეთ შთაბეჭდილებას ახდენდა. მაგრამ იმ დღეს კი შეშინებული დამხვდა: „ცუდად არის საქმე, ამაღამ

ველარ გავატანო", მითხრა. ჟანგბადის მოტანისა და ჩასუნთქვის შემდეგ მოიხედა, სულთქმა დაუმშვიდდა, ამ საშინელ ღამესაც გადაურჩა. აი, იმ დღიდან დაიჟინა ბათომში უნდა წავიდეო. ბათომის ჰაერის იმედი ჰქონდა, ფიქრობდა ჯერ კიდევ ვიცოცხლებო და წასვლისას ამხანაგებს სთხოვა ორი კვირის შემდეგ ესა და ეს მასალა გამომიგზავნეთ, ესა და ეს უნდა დავსწეროო, მაგრამ აღარ დასცალდა, იმ დღეს გამოეთხოვა იგი უკანასკნელად ტფილისს".

და ბოლო აკორდი...

ისევ გიორგი ლასხიშვილის მემუარებიდან:

„მარტის დამდეგს მომივიდა დეპეშა არჩილს შენი ნახვა უნდა და ჩამოდიო, იმ დღესვე ბათომს გავემგზავრე და დილას სასტუმრო „ფრანციაში" მივედი, სადაც არჩილს ბინა ედო. იწვა დიდი, მზით უხვად განათებულ ოთახში. ტყავისა და ძვლების მეტი აღარაფერი იყო, მხოლოდ ფერმიხდილ სახეზე ისევ ძველებურად ანათებდნენ მისი შავი თვალები. სუნთქვა გაძნელებული ჰქონდა და ბევრი ლაპარაკი არ შეეძლო, ირგვლივ მჯდომნი ვლაპარაკობდით ერთმანეთში და არჩილი ხანდახან ორიოდე სიტყვით ჩაგვერეოდა. ბევრი ხალხი მოდიოდა მის სანახავად. მოდიოდნენ სხვა პარტიების წარმომადგენლებიც. არჩილის მეგობრებიდან იმჟამად ბათომში იყვნენ: კიტა აბაშიძე, სოსიკო მდივანი და ანდრია დეკანოზიშვილი.

სამ დღეს დავრჩი ბათომში. მე და კიტა არ მოვშორებივართ მის ლოგინს და ვცდილობდით სასიამოვნო მოგონებებით გაგვერთო. ეს საკვირველად სულით ძლიერი ადამიანი მედგრად ებრძოდა საშინლად მორეულ სენს, მაგრამ ცხადი ხდებოდა, მისი დღეები დათვლილი იყო.

არასოდეს დამავიწყდება გამოთხოვების დღე. არჩილი რამდენჯერმე გამომემშვიდობა, მაგრამ ხელის ქნევით უკანვე მეძახდა. ბოლოს, მითხრა: - წადი, გიორგი, წადი, საქმეებს მიხედე!

ტფილისში დაბრუნების შემდეგ არ გაუვლია ათ დღესაც, დილით რედაქციაში დეპეშა მოვიდა: „გუშინ, 21 მარტს, ღამის 11 საათზე, უშფოთველად მიიცვალა მეგობრებით გარშემორტყმული არჩილი".

აღესრულა სული ძლიერი!

ამიერიდან, არჩილ ჯორჯაძის ჭირისუფალი მთელი ქართველი ერი იყო. ერი, რომელსაც იგი დაუცხრომლად მოუწოდებდა ბრძოლისა და თავისუფლებისაკენ, საკუთარი მეობის გარკვევისაკენ, წარსულის, აწმყოს და მომავლის გონიერულად შეცნობისაკენ.

აღსრულა კაცი, რომელმაც უკანასკნელი სისხლის წვეთიც კი სამშობლოს უკეთესი მერმისისათვის მიიტანა სამსხვერპლოზე და შთამომავლობას თავდადების ნათელი მაგალითი დაუტოვა. რომელიც ღირსეული მემკვიდრე იყო დიდი ილია ჭავჭავაძისა!

ეს კარგად იცოდა მაშინდელმა მოაზროვნე საქართველომ, ამიტომაც არჩილ ჯორჯაძეს, მარტის მოღუშულ დღეს 1913 წლისა, მთელი საქართველო ასაფლავებდა.

ქაშუეთის ტაძრიდან გრძელმა პროცესიამ დიდუბისაკენ აიღო გეზი. მაშინ იქ პანთეონი არ იყო, მაგრამ საზოგადოებრიობა, ჩვენგან განსხვავებით, მაინც ძალზე მომჭირნედ იმეტებდა საფლავის მიწას.

რამეთუ მაშინ იქ განისვენებდა ბარათაშვილი!

საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოსული იყვნენ დელეგაციები, უნდა თქმულიყო მრავალი სამგლოვიარო სიტყვა, მაგრამ

როდესაც კუბო ძვირფასი ცხედრით სამარესთან დაასვენეს, „სახალხო გაზეთის“ რედაქტორმა არისტო ჭუმბაძემ ხალხს მცირე სიტყვით მიმართა:

„ ბატონებო, განსვენებულის ამხანაგებისა და ჭირისუფლებისაგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, მიცვალებულის ხსოვნის აღსანიშნავი სიტყვები არ იქნება. ამიტომ გთხოვთ, მუხლმოდრეკითა და ღრმა დუმილით სცეთ პატივი განსვენებულის ცხედარს.

ყველამ მუხლი მოიყარა. სამარისებურ სიჩუმეს არღვევდა მხოლოდ ზარების ნელი რეკვა და სევდით აღსავსე „საუკუნოდ იყოს ხსენება შენი“, რომელსაც ოთხი ხორო ერთად გალობდა.“

„სახალხო გაზეთი“, 1913, №856

სამრეკლოს ჯვარზე იჯდა საიდანღაც მოფრენილი თვალბედითი შავი ყორანი, რომელიც თავს დაჰყრანტალებდა საქართველოს გვემულ სხეულს.

მუხლმოდრეკილთა შორის იყო მყინვარიევით ჩამოთოვლილი აკაკი წერეთელი! იყო კლდის ნატეხი ვაჟა-ფშაველა!

ერთსაც და მეორესაც მზად ჰქონდათ მცირე რამ გამოსათხოვარი, მაგრამ მათგან „დამოუკიდებელი მიზეზებისა“ გამო, საშუალება არ მიეცათ თქმისა. აი,

აკაკის სიტყვა, რომელიც უნდა წარმოეთქვა არჩილ ჯორჯაძის დაკრძალვის დღეს სასაფლაოზე

კურთხეულ იყოს ის ქვეყანა, რომელიც შენისთანა საზოგადო მოღვაწეებს წარმოშობს ხოლმე.

კრულ და წყეულ იყოს ის გარემოებაც, რომელიც უდროოდ სტაცებს ხელიდან ცხოვრებას შენისთანა ნიჭიერ ახალგაზრდებს.

ახალგაზრდა შენ დიდ იმედებს იძლევიენებოდი მომავლისათვის და ჩვენც ვამბობდით: „ჩვენ წარმავალნი ვართ, მოვლენ სხვები, უფრო მომზადებულნი, უმეტესის ენერგიით და ჩვენს ნაკლს გულწრფელად შეავსებენ". მაგრამ სამწუხაროდ აღარ დაგცალდა, რომ მოგეთავებინა დაწყებული საქმე.

მე კი, მოხუცი, როგორც მამა, საიმედო და სანუგეშო შვილის დამკარგავი, ვდგევარ შენს წინ და პირი მიშრება. სიტყვა ვერ მომიხერხებია, მაგრამ დუმილში მეტი თანაგრძნობა იხატება, ვიდრე მრავალმეტყველებაში. მშვიდობით, შვილო! სამარადისოდ იყოს შენი სახსენებელი!"

ხოლო ვაჟას ლექსი „ჭანდარი", რომელსაც ქვესათაურად აწერია „ვუძღვნი არჩილ ჯორჯაძის ხსოვნას" და რომელიც ცოტა მოგვიანებით დაიბეჭდა „ცნობის ფურცლის" სურათებიან დამატებაში, (№26), ასეთი გახლავთ:

„მინდორზე იდგა ჭანდარი ტოტგართხმით, როგორც კარავი, წვიმის და პაპანების დროს მშრომელი ხალხის მფარავი. დაღლილნი მუშაობითა, გულ-მკერდს ოფლ-გადამდინარნი, იმ ხის ქვეშ თავსა იყრიდნენ მუშები სახემცინარნი, სტკბებოდნენ გრილის სიოთი მზეზე მყოფნი და მძინარნი. ხესა ჰლოცავდნენ, ამბობდნენ: „ხეო, იცოცხლე ღვთიანო! უშენოდ გემო წყალს არ აქვს, ვერცა ვჭამთ, როცა გვშიანო". დამწკრივდებიან ხის გრილში, წინ სუფრას გაიშლიანო. ჩრდილი სამოთხეს სჯობია, როცა ჟანასა მკიანო. ლობიოს სჭამენ, ან მაწონს, სხვა იმათ არ იციანო! ცოტ-ცოტა ღვინოსაც შასმენ, გულით დარდს გადიყრიანო. შაჰშრებათ ოფლის ღვარები, გულ-მკერდს რომ უღარვიანო. უფრთხილდებიან ჭანდარსა, მუშების დედა ჰქვიანო. მაგრამ ხე უცებ წაიქცა, მით აატირა გლეხები და ჭანდრის დიდრონ ფესვებზე სხვა ამოვიდა ხეები. დიდი ჭალაკი გაკეთდა ჭანდრის ნადგომზე ფიჩხისა, თუმც ჯერ არა აქვს მათგანსა არც ერთს ლაზათი იმ ხისა. იმედი არის, რომ ერთ დროს დაიზრდებიან დიდები, მათ ჩრდილში მოიგრილებენ მკერდ-ოფლიანი ბიჭები".

დიდუბის პანთეონში, შესასვლელიდან ხელმარცხნივ, რუხი

ქვით შემორაგვული საფლავია. შიგნით ორი ტანძლიერი კეიპაროსი დგას. კენწეროები ურჩად აუწვდენიათ ცაში. დრო-ჟამისაგან ჩაშავებულ მარმარილოს პატარა ფილას აწერია:

არჩილ ჯორჯაძე (1872-1913).
„ძვირფას მასწავლებელს მადლიერი მუშებისაგან"

საფლავს მოუვლელობა ეტყობა, ხავსი, ხმელი ბალახი, ფოთლები, სურო...

ახლა იქ სიმყუდროვეა და ჩუმი მოლოდინი.

II. ნააზრევი
(ზოგადი დახასიათება)

არჩილ ჯორჯაძის ნააზრევი, მთელი მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა, ხუთ მომცრო ტომშია მოთავსებული. აქედან ოთხი მის სიცოცხლეში დაისტამბა, ხოლო მეხუთე სიკვდილის შემდეგ. ამავე ტომის მცირე წინასიტყვაობაში აღნიშნულია:

„განსვენებულმა არჩილ ჯორჯაძემ მეხუთე და მეექვსე ტომისათვის თითქმის სრულიად გამზადებული მასალა დასტოვა. წერილები პორთფელში იმ რიგად იყო დაწყობილი, როგორც ეხლა იბეჭდება. ჩვენ შეუძლებლად დავინახეთ თვით განსვენებულ არჩილ ჯორჯაძის მიერ დალაგებული მასალის წეს-რიგის შეცვლა. თხზულებათა მეექვსე წიგნში შევა მონოგრაფია დიმიტრი ყიფიანის შესახებ.“

კი გვპირდებოდნენ, მაგრამ მეექვსე ტომი ცალკე წიგნად აღარ დაბეჭდილა. აღარ დაბეჭდილა ალბათ იმიტომ, რომ ჯერ მსოფლიო ომმა მოუსწრო, მერმე რევოლუციამ, ბოლოს კი საქართველოში პოლიტიკური ვითარების ძირფესვიანმა შეცვლამ და ცხოვრებამაც დღის წესრიგში სხვა, უფრო აქტუალური საკითხების წყება დააყენა. ხოლო დიდი ერუდიციითა და ელვარე სტილით დაწერილი მონოგრაფია „დიმიტრი ყიფიანი“, რომელზედაც არჩილი უკვე სიკვდილის აგონიით შეპყრობილი მუშაობდა, დღესაც მოთმინებით თელემს „სახალხო გაზეთის“ ჩაყვითლებულ ფურცლებზე და მომპატრონებელს ელოდება, რათა ბოლოს და ბოლოს, მზის სინათლე იხილოს. (ამჟამად ეს ნაკლი გამოსწორებულია: მონოგრაფია „დიმიტრი ყიფიანი“ ჯერ „ცისკარში“ გამოქვეყნდა ჩემი პუბლიკაციით, შემდეგ კი ა. ჯორჯაძის ერთტომეულში 1989 წელს).

ვინც არჩილ ჯორჯაძის ტომეულების კომპოზიციურ განლაგებას დააკვირდება, შეუძლებელია არ შეამჩნიოს ერთი, მეტად ნიშანდობლივი კანონზომიერება: პირველ ტომში მოთავსებულია წერილები ეროვნული პრობლემების გარშემო, მეორეში - საზოგადოების შესახებ (თემატურად ამ რკალს ეკუთვნის მეხუთე და მეექვსე ტომის „მასალები ქართველი ინტელიგენციის ისტორიისათვის“ და „დიმიტრი ყიფიანი“), მესამეში ნააზრევი ხელოვნების, ფილოსოფიის, რელიგიის სფეროში, ხოლო მეოთხე

ტომი მთლიანად ეთმობა დღიური საჭიროებისადმი მიძღვნილ წერილებს. მაშასადამე, სქემა ასეთია: ერი საზოგადოება - ნაზრევი. ეს სამი სფერო, ცხადია, უმჭიდროესად არის ერთმანეთზე გადასკვნილი და ერთმანეთისაგან აუცილებლობით გამომდინარეობს. ერი არ არსებობს საზოგადოების გარეშე, ხოლო საზოგადოება თვითნიერ სახელოვნო, ფილოსოფიური, თუ რელიგიური აზროვნებისა და არჩილ ჯორჯაძესაც, როგორც ჩანს, სწორედ ამის ხაზგასმა ეწადა.

მთლიანად, ტომეულებში დიდი სულიერი ფასეულობაა დაუნჯებული და XX საუკუნის დასაწყისის ქართული კულტურულ-ინტელექტუალური ცხოვრების წარმოდგენა ამ ფასეულობათა გარეშე, თუკი ისტორიის გაყალბების ვანდალური მიზნები არ გვამოძრავებს, ყოვლად შეუძლებელია!

* * *

XX საუკუნის დამდეგი მთელი რუსეთის იმპერიაში დიდი წინათგრძნობით, განგაშითა და დაძაბული მოლოდინით აღინიშნა. ამის მიუხედავად, ახალი ასწლეულის პირველი წელი განსაკუთრებული ფუფუნებითა და ზარზეიმით იდღესასწაულეს. ქუჩები გაკაშკაშებული იყო, ბაღებსა და ბულვარებში მუსიკა გრიალებდა, მაღაზიები დუღდა და გადმოდიოდა. დგებოდა ახალი ხანა ცხოვრებისა და, რაღა თქმა უნდა, ამ თარიღს განსაკუთრებული აღნიშვნაც ეკუთვნოდა, მაგრამ მხოლოდ ამაში არ გახლდათ საქმე: უფრო არსებითი ის იყო, რომ მთავრობა ცდილობდა მასების ყურადღება ჩამოეცილებინა იმ მძაფრი სამრეწველო კრიზისისაგან, რაც იმპერიას დაატყდა თავს 90-იანი წლების ეკონომიური ბუმის შემდეგ.

ყველასათვის, ვისაც მიმადლებული ჰქონდა დაკვირვებისა და განსჯის უნარი, ცხადი შეიქნა, რომ ახალი საუკუნე გრანდიოზულ სოციალურ და პოლიტიკურ ცვლილებებს მოიტანდა: პირისაგან მიწისა აღიგვებოდა ძირმომპალი იმპერია, ერები სამკვდრო-სასიცოცხლოდ წაეკიდებოდნენ ერთმანეთს, დენთისა და მხუთავი გაზების სუნი დახრჩობით დაემუქრებოდა კაცობრიობას, მოხდებოდა გრანდიოზული რევოლუცია, იდენდა სისხლის წვიმები.

დაუცადებელი პოლემიკით აბჯარშემოცვეთილი, ახალი თაობის ერთი ნაწილისაგან ღირებულებათა გადაფასების მტკივნეული პროცესის შუაგულში მოყოლილი ბებერი ლომი ილია ჭავჭავაძე, წერილში „მეცხრამეტე საუკუნე", ჩვეული მაღლამხედობით წერდა:

„დღეს ღარიბსა და მდიდარს შორის, ძლიერსა და უძლურს შორის, უფრო დიდი ზღვარი არის, ვიდრე ოდესმე ყოფილა და აქ არის სიმწვავე იმ ტკივილისა, რომლის მორჩენაც მეცხრამეტე საუკუნემ უანდერძა აწ მომავალს საუკუნეს. მეცნიერება, ადამიანის გონების წინსვლა, ზნეობის აღმატება, - ჯერ კიდევ ძლევამოსილებით მოქმედებს, მაგრამ ამ მეცხრამეტე საუკუნის ანდერძზე უაღრესს საგანს სხვას ვერას აღმოაჩენს და ვერ გაუთვალისწინებს კაცობრიობას დღეის ამას იქით“.

თავი დავანებოთ იმაზე ბაასს, თუ რა გზით მიაჩნდა მიზანშეწონილად ილიას განკურნება „იმა ტკივილისა“, მეცხრამეტემ რომ უანდერძა მეოცე საუკუნეს. აქ მთავარი ის არის, რომ დიდმა ერისკაცმა, ამ სატკივრის მორჩენა მეოცე საუკუნის უმთავრეს საზრუნავად დასახა და ყველას კარგად მოეხსენება, არც შემცდარა.

ხოლო აკაკი წერეთელი 1900 წელს „ჩემს აღსარებაში“ შემტევი კილოთი წერდა:

„მოთმინებასაც თავისი საზღვარი აქვს! თუ მეცხრამეტე საუკუნე მოთმინების საუკუნე იყო, დეე, მეოცე პირდაპირობისა და შეუპოვრობის საუკუნედ გადაიქცეს“.

გავიდა ხუთიოდე წელიწადი და პოეტი თვითონვე შეიქნა მოწმე იმისა, თუ როგორ ექცა ნატვრა - განხორციელებულ სურვილად.

მე განგებ შევჩერდი მეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლობის თაკკაცზე. ბუნებრივია, თუკი მათ ნააზრევში აშკარად იგრძნობოდა რაღაც ახლის დაძაბული მოლოდინი, მაშინ რაღა უნდა ითქვას საზოგადოების ულტრამემარცხენე ნაწილზე, ეგრეთ წოდებულ ახალ თაობაზე, რომელიც მხოლოდ მომავლის იმედით იბრუნებდა სულს, თან კი ჯიუტად, ზოგჯერ ჯიქურადაც ეუფლებოდა იმდროინდელი საზოგადოებრივი აზროვნებისა თუ ყოფის სადაეებს?!

დახავსებული იმპერია რომ მალე აღარ იარსებებდა, ეს ეჭვს არ იწვევდა. სწორედ ამიტომ, საუკუნის დასაწყისშივე თავი იჩინა კითხვამ, რომელზეც პასუხის გაცემაც გადაუდებელი აუცილებლობა იყო: რა გზით უნდა წარმართულიყო ქართველი ერის ბედ-იღბალი რევოლუციის შემდეგ?

ეს კითხვები, სხვა უამრავ პრობლემასთან ერთად, მთელი სიმწვავით წამოიმართა ქართველი მოაზროვნე საზოგადოების წინაშე.

თავის დროზე, XIX საუკუნის 60-იან წლებში, ილია ჭავჭავაძემ გადმოისროლა მოწოდება, რომელიც ფუძემდებლური აღმოჩნდა ერის მომავალი არსებობისათვის:

„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს!“

ლელთ ღუნიასა და ინტელიგენტი მგზავრის პირით, იმათი პირით, რომლებიც იმდროინდელი საქართველოს „მარილნი ქუეყნისანი" იყვნენ, ილიამ გაამხილა ყველაზე სანუკვარი, შინაგანად გამოტანჯული ლტოლვა, ფიქრი და ოცნება.

მართლაც, ეს სიტყვები, ბიბლიური მოსეს უტეხი შეუპოვრობით რომ იყო ნათქვამი, დიდხანს რეკდა ქართულ მწერლობაში და განსაზღვრა კიდეც ერის ის საარსებო ორიენტირები.

მაგრამ აი, დადგა ახალი საუკუნე და ფორმულა, რომელიც XIX საუკუნეში ბუნდოვან მირაჟად ესახებოდათ, ძალზედ რეალური, კონკრეტული და საჭიროდ ამოსახსნელი აღმოჩნდა. დიახ, „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს!", მაგრამ ვიცით კი, ვინა ვართ? საიდან მოვედით? ანდა საით მივდივართ?

არჩილ ჯორჯაძე ერთი უპირველესთაგანი გახლდათ ქართველ მოღვაწეთა შორის, რომელმაც თავისი მძლავრი ინტელექტი და მამულიშვილური სინიდისი ამ პრობლემათა გარკვევას, ახსნასა და განმარტებას შეალია.

პირველი ტომი არჩილ ჯორჯაძის თხზულებათა, როგორც ითქვა, მთლიანად ეროვნულ პრობლემისადმია მიძღვნილი. მასში ექვსი პუბლიცისტურ-პოლემიკური წერილია მოთავსებული: 1. მასალები ეროვნების წარმოშობის ისტორიის შესასწავლად (1907წ.), 2. სამშობლო და მამულიშვილობა (1908 წ.), 3. კიდევ წარსული და მისი ანდერძი (1908 წ.), 4. ისტორიის სამართალი?! (1908 წ.), 5. კამათის დასასრული (1909 წ.) და 6. შეთანხმების იმედი (1909წ.).

ტომისათვის დართულ წინასიტყვაში (1911 წელი) ავტორი წერს:

„დღეს ეროვნული პრობლემა არა მარტო თეორიულ და „რომანტიულ" ინტერესს წარმოადგენს, არამედ სამკვდრო-სასიცოცხლო საგანს, იმისთანა რამ საგანს, რომელიც ჰყოფს ქართველ ინტელიგენციას ორ დიდ ბანაკად, ორ მთავარ ბანაკად.

ჩვენს საზოგადოებაში სხვადასხვა ჯგუფის კლასიფიკაციის საფუძვლად ეროვნული პრობლემა გახდა. იმას არავინ დაეძებს, თუ რა მსოფლმხედველობის პატრონი ხართ საზოგადოდ, რა თვალით უყურებთ შრომის ორგანიზაციის საქმეს, რა გიყვართ ხელოვნებაში და რას ეძებთ, რას ესწრაფებით სიცოცხლეში ყოველივე ეს, დღეს საინტერესო არ არის. საინტერესოა მხოლოდ ერთი რამ, სახელდობრ ის, თუ როგორ გესმით ეროვნული პრობლემა, ავტონომისტი ხართ, თუ ავტონომიის მოწინააღმდეგე, ამაყურად ატარებთ ქართველი კაცის სახელს, თუ სირცხვილით

იწვით იმ უბედურების გამო, რომ განგებამ ქართველად გშობა და ქართულ ენაზე მოსაუბრე ადამიანად გაგაჩინა.

თუ თქვენ იმდენად გულუბრყვილო ადამიანი ბრძანდებით, რომ „ქართველობა" არ გეთაკილებათ, არც გეზიზღებათ, იცოდეთ, შაერაზმელთა ჯგუფში უნდა ჩაირიცხოთ, ნაციონალისტის სამარცხვინო სახელი უნდა ატაროთ და წყვდიადი და ბნელეთია მაშინ თქვენი ხვედრი. და თუ გამოხვედით მოედანზე და შესძახეთ გულში ხელის ჩარტყმით: ამხანაგებო! წარსული მძულს, აწმყო მეზიზღება-თქო, იცოდეთ, თქვენი მომავალი უზრუნველყოფილია, შარავანდედით შეიმკობა თქვენი კოსმოპოლიტური გვამი და ქუჩაში გაელის დროს თქვენზე მიათითებენ და იტყვიან, აი, ჩვენი მხსნელი, აი, თავისუფლების მოციქული და „შაერაზმელ ნაციონალისტთა" ამომგდებიო!" (ა. ჯორჯაძე, ტ. I, გვ. 24).

ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, რომ ა. ჯორჯაძეს ჰქონდა საფუძველი ასეთი მწარე ირონიისათვის. „მესამე დასის" ლიდერებმა ნ. ჟორდანიამ, ი. წერეთელმა (ყვირილელი), ფილიპე მახარაძემ და სხვებმა, თავიანთი „ინტერნაციონალური" და „კოსმოპოლიტური" იდეების ქადაგებით, მართლაც რომ ჯვარს აცვეს ისედაც მრავალგზის ჯვარცმული საქართველო. ა. ჯორჯაძე წერს: „აქ, ამ ხანში ჩააგონეს მუშათა კლასს, რომ დაჩაგრული ერის მოსარჩლეობა ხალხისათვის სათაკილო საქმეა. აქ სთქვეს და გაავრცელეს ის სიცრუე, ვითომ ჩვენში ეროვნულ ინტერესებზე ზრუნვა თავადების და ბატონყმობის აღდგენას ნიშნავდესო. კი, დიდი და დაუფასებელი საქმეა მუშა-ხალხის წინ წამოყენება, მაგრამ რატომ აამხედრეს ეს ხალხი მისი საკუთარი ინტერესების წინააღმდეგ? (ტ. I., გვ. 153).

ა. ჯორჯაძე კარგად ხედავს ფარისევლობას ზემოხსენებული ლიდერებისას, რომლებიც თავიანთი „ინტერნაციონალური" ლოზუნგების გამართლებას კლასთა ბრძოლის პრინციპებით ცდილობენ და მოურიდებლად ამხელს მათ: „არა, განა კლასთა ბრძოლის პრინციპით მოქმედება უსინათლო ადამიანის სიარულს მიაგავს? არასოდეს! ეს პრინციპი გონიერი და წინდახედულია, რადგან მისი საშუალებით მოხდება ცხოვრების განახლება! თქვენ კი ეს პრინციპი, მხედველი და ნათელი, დააბრმავეთ და ისე არიეთ საქმე, რომ მოყვარე მოყვარეს ვეღარ სცნობს, მტერი - მტერსა" (ტ. I, იქვე).

კაკი წერეთელი თავის ერთ წერილში - „მამულიშვილობა, ეროვნება და ხალხის სამსახური" (კვალი, 1903, №14) წერდა: ჩვენ ვართო - ქართველები, რომლებსაც ვერ აკმაყოფილებს ვერც გაცვეთილი პატრიოტიზმი, ვერც სამშობლოს და ქართული ენის

ყვირილი. ჩვენი იდეალი საკაცობრიო იდეალია, ჩვენ ამ იდეალით ვცოცხლობთ, ამით ვიმედოვნებთ. აწმყო ჩვენ გველივით გვეზიზღება, წარსული ჭირივით გვეჯავრება, ჩვენ ვიყურებით ბრწყინვალე მომავლისაკენ".

„ბრწყინვალე მომავალი", გაგიხარიათ, კარგი რამ იყოს, მაგრამ ერთს რასმე არ უწევდა ანგარიშს ჩვენი „მსოფლიო მოქალაქე" ყვირილელი: ვისღა დასჭირდება „ბრწყინვალე მომავალი, თუ ქართველი ერი არ იქნება თავისი წარსულითა და აწმყოთი? თავისი ენითა და კულტურით? თავისი ისტორიული მახსოვრობით, ტრადიციებითა და სულით? თუ ის ძალისხმევა, რითაც იგი დამაშვრალა ამ დედამიწაზე, არარაობად იქცევა, გაბიაბრუვდება და განქარდება?

აი, ასეთ დროს, ასეთ ძნელბედ ვითარებაში მოუხდა ა. ჯორჯაძეს საქართველოს ეროვნულ ინტერესთა დაცვა და მის პირველ ტომში მოთავსებული მასალა მთლიანად ამ მიზნებს ემსახურება. პუბლიცისტური წერილები პოლემიკური ხასიათისაა, ა. ჯორჯაძე მძაფრად ეკამათება ნ. ჟორდანიას, რომელიც საიმდროოდ „ანი"- ფსევდონიმით წერდა.

რა არის მათი კამათის საგანი? ქართველი ერის მომავალი და მისი არსებობის ფორმები სამომავლოდ.

ა. ჯორჯაძე ასე აყენებს საკითხს:

„ვინა ვართ, რა ვართ და საითკენ მიისწრაფის ჩვენი პოლიტიკური აზრი? მთავარი საფიქრებელი საქმე ეხლა ისა გვაქვს, თუ როგორ უნდა მოეწყოს ეროვნული კულტურა. ხოლო ნ. ჟორდანიას ნაწერებიდან ჩანსო, - დასძენს ა. ჯორჯაძე რომ მას ამ კულტურის მოწყობა შესაძლებლად მიაჩნია მხოლოდ რუსეთის ცენტრალისტურად აგებულ სახელმწიფოში. „ჩვენ რადიკალურად უარვყოფთ ამ თვალსაზრისს, - განაგრძობს ა. ჯორჯაძე, და მოწადინებული ვართ წარვუდგინოთ მკითხველს გეგმა საქართველოს ავტონომიისა".

ეს გეგმა ასეთი გახლავთ:

„ჩვენი ავტონომია არც გაფართოებული ერობაა, არც ოლქობრივი თვითმმართველობა, არამედ პოლიტიკური უფლებით აღჭურვილი ტერიტორიულ-ეროვნული ერთეული. საქართველოს პარლამენტი იქნება გამომსახველი და მატარებელი ამ პოლიტიკური უფლებებისა. ამ ძალაუფლების ერთ ნაწილს, კონსტიტუციით განსაზღვრულს, რუსეთის პარლამენტი დაუთმობს საქართველოს პარლამენტს და მით ამ უკანასკნელს მიენიჭება ავტონომიურ სახელმწიფოს ძალა-უფლება. ჩვენ ვამბობთ ავტონომიურ სახელმწიფოს და არა სრულ-უფლებიან დამოუკიდებელ

პოლიტიკურ ერთეულს, რომლის განხორციელებისაკენ არ მივისწრაფვით".

საერთოდ, თუ ა. ჯორჯაძის ეროვნულ კონცეფციას მოკლედ, დაჯამებული სახით წარმოვიდგენთ, დაახლოებით ასეთ სურათს მივიღებთ:

- ქართველი ერი ერთი უძველესთაგანია თანამედროვე მსოფლიოში. მან ადრევე შექმნა თავისი სახელმწიფოებრივი სტრუქტურა და ერადაც ადრევე ჩამოყალიბდა. მისი ძველი კულტურა იქნებ ტონის მიმცემი არ ყოფილა იმდროინდელ ცივილიზაციებისა, მაგრამ მკაფიოდ გამოხატული ინდივიდუალობა გააჩნდა და თავისი კუთვნილი ადგილიც ეჭირა. ისტორიულმა ძნელბედობამ, რასაც პერმანენტულად განიცდიდა საქართველო, ხოლო მეცხრამეტე საუკუნეში ეროვნულ სახელმწიფოებრიობის საერთოდ მოშლამ და გაუქმებამ, უძნელესი ვითარება შეუქმნა ქართველი ერის ბუნებრივ განვითარებას, იგი თითქმის გადაშენების დონემდე მიიყვანა. ამ დამღუპველი პროცესის საწინააღმდეგოდ ბევრი იღვაწეს XIX საუკუნის ინტელექტუალურმა თაობებმა, განსაკუთრებით „სამოციანელებმა" და მათმა იდეურმა ბელადმა ილია ჭავჭავაძემ და აი, XX საუკუნის დასაწყისში, დაისახა ერის მომავალი აღორძინების პერსპექტივა. რომ ეს აღორძინება სწორი გეზით წარიმართოს, საჭიროა ქართველმა ერმა სწორად შეიმეცნოს თავისი წარსული, მასზე დააფუძნოს აწმყო, რეალურად განჭვრიტოს მომავალი, რომელიც რევოლუციის შედეგად ნანატრ და გამოტანჯულ თავისუფლებას მოუტანს მას. მაგრამ როგორი იქნება ეს თავისუფლება? იგი უნდა იყოს უთუოდ ავტონომიური და კონფედერაციული. ე. ი. არა რუსეთიდან გამოყოფა, არა სეპარატიზმი, არამედ ყოფნა და განვითარება მასთან ერთად, მის ფარგლებში მხოლოდ კი საკუთარი ენით, სახელმწიფოებრივი პარლამენტით, ფულით და სხვა ატრიბუტებით.

რაც შეეხება ნ. ჟორდანიას, აი, რას წერს იგი წერილების სერიაში „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი".

„ისტორიულმა საქართველომ ეროვნული შემეცნების აზრი ვერ შეიმუშავა. თავისი დამოუკიდებლობის დროს არ განუვითარებია სამოქალაქო ცხოვრება, არ შეუქმნია მრეწველობა - აღებ-მიცემობა და რაღა გასაკვირველია, ვერ შეემუშავებინა ის ნიადაგი, რომელზედაც ნაციონალური მოძრაობა იწყება". ა. ჯორჯაძის სიტყვით, ნ. ჟორდანიას ისტორიული საქართველო „ზულუ-ბუშმენთა ქვეყანას მოგავს, სადაც ხალხი მოუხარშავ ხორცსა სჭამს და ტანზე საცმელს არ იკარებს. ამ ბედკრულ ველურებს მეთვრამეტე საუკუნეში დიდი ბედნიერება ეწვიათ, მოვიდა დიდებული,

განათლებული, კულტურული ძლიერი ქვეყანა, მფარველობა გაუწია ველურებს, ჭამა-სმა ასწავლა, ტანისამოსსაც მიაჩვია, ფრაკ-სერთუკებში გამოაწყო. და აი, დადის დღეს ამ ტანისამოსში გამოწყობილი ზულუ- ქართველი ქუთაისის ბულვარზე და თბილისის პროსპექტებზე და სტკბება ბედნიერებით, სტკბება გარეშე მტრებისაგან უზრუნველყოფილ მაძღარ სიცოცხლით!"

ერთი სიტყვით, ნ. ჟორდანიას თუ დაეუჯერებთ, არავითარი კულტურა და ციველიზაცია საქართველოს არ ჰქონია. მხოლოდ და მხოლოდ „მეცხრამეტე საუკუნის ისტორია არის ჩვენი განვითარების, გაქალაქების, მუდმივი გაუჩერებელი წინმსვლელობის და კულტურულად ამაღლებისა და ყველა ეს მოხდა არა ნაციონალური დროშის წინამძღოლობით, არამედ გარეშე ძალის, რუსეთის მეთაურობით". ამიტომ, ჩვენ უნდა მივესალმოთ საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაკარგვას, რადგან ამან ობიექტურად ბევრი სიკეთე მოუტანა საქართველოს, მათ შორის ბატონ-ყმობის გადავარდნაც. მალე დაემხობა თვითმპყრობელობა, მოისპობა კლასობრივი ჩაგვრა, თუ მაინცდამაინც, კულტურული ავტონომიის სტატუსით და ეს იქნება მისი დიდი მონაპოვარი რევოლუციის შემდეგ.

ორივე ამ თვალსაზრისზე, ისტორიამ კარგა ხანია თავისი სიტყვა თქვა. მათ ავტორებთან ხელახლა კამათის წამოწყება მხოლოდღა ღია კარის მტვრევა იქნებოდა, და თუ მე მაინც მოვიხმე აქ ერთიც და მეორეც, მხოლოდ იმიტომ, რომ მეჩვენებინა: სოციალ-ფედერალისტი ა. ჯორჯაძის ეროვნული კონცეფცია გაცილებით ახლობელი და მისაღებია ჩვენთვის, XX საუკუნის 90-იანი წლების ქართველებისათვის, ვიდრე სოციალ-დემოკრატი ნოე ჟორდანიას ნააზრევი ამავე საკითხზე. სხვათა შორის, „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" VI ტომში (გვ. 246), სიტყვასიტყვით წერია:

„კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის მენშევიკური პროგრამა კიდევ უფრო განუხორციელებელი იყო, ვიდრე ეროვნულ ავტონომიის ფედერალისტური პროგრამა".

ასე თუ ისე, ა. ჯორჯაძის მიერ ჩამოყალიბებულ ეროვნულ კონცეფციას საკმაოდ ბევრი ადამიანი იზიარებდა. იმავე „საქართველოს ისტორიის ნარკვევებში" წერია: „ფედერალისტების პარტია უმთავრესად ინტელიგენტებისაგან შედგებოდა და ინტელიგენტური განათლებით კეკლუცობდა" (ტ. VI, გვ. 242).

ამ ფრაზის პირველი ნაწილი სწორია და უდავო, მაგრამ მეორე ნაწილი რას უნდა ნიშნავდეს, ნეტა? საინტერესოა, ვინ

კეკლუცობდა ცოდნით? ივანე ჯავახიშვილი? ექვთიმე თაყაიშვილი? ფილიპე გოგიჩაიშვილი? გერონტი ქიქოძე? შალვა ნუცუბიძე? დიმიტრი უზნაძე? გრიგოლ რობაქიძე? თუ ვინ?

ისეთ ფუნდამენტურ გამოცემას, როგორიც „საქართველოს ისტორიის ნარკვევებია“, გამოთქმების შერჩევაში მეტი სიფრთხილე მართებდა.

აქ შეიძლებოდა წერტილი დასმულიყო, მაგრამ ჩემს ხელთაა ივანე ჯავახიშვილის ერთი გამოუქვეყნებელი წერილი არჩილ ჯორჯაძისადმი, რომლის მთლიანად აქ მოყვანა მიზანშეწონილად მიმაჩნია:

პეტერბურგიდან
1911. 31. III.

ძვირფასო ძმაო არჩილ!

დიდად გმადლობთ თქვენი თხზულებების პირველი წიგნის გამოგზავნისათვის, როგორც ჩემ მხრივ პირადად, ისე სამეცნიერო წრის მაგიერ, რომელიც ეხლა, უნივერსიტეტში მყოფ პოლიციის გამო, არ მოქმედებს. მაგრამ წევრები მაინც სიამოვნებით გადაიკითხავენ. წიგნი გადავეცი წიგნსაცავის გამგეს. პირადად დიდად მოხარული ვარ, რომ თქვენი თხზულებები ცალკე წიგნად გამოვიდა და იმედია შემდეგშიც გამოვა, იმიტომ, რომ თქვენ ეხებით ისეთს საყურადღებო და საგულისხმო საკითხებს, რომლის გათვალისწინება და ცოდნა ყველა ქართველისათვის არის საჭირო და სახელმძღვანელოდ ექნება თანამედროვე საზოგადოებას. თქვენის ნაწერებისა მე გულწრფელობა და პირუთვნელობა მომეწონა, მიუდგომელი, ნამდვილი მეცნიერული მსჯელობა, მაგრამ ცივი და გულგრილი კი არა, არამედ მხურვალე, შემატკივარ და თანამგრძნობ გულით დაწერილი. თქვენს გარდა, ჩვენში არავინ იკვლევს ჩვენი ერის საზოგადოებრივ და ეროვნულ მოძრაობის ისტორიას და თქვენი თხზულებები ამ მხრივ პირდაპირ დაუფასებელია. სწორედ საჭირო იყო ამ საკითხს შეჰხებოდნენ ჩვენს მწერლობაში, რომ ჩვენს თანამედროვე აზროვნებას და მსჯელობას მუდამ ღრმა საფუძვლიანობა ჰქონდეს და ხვალ არ დავიწყოთ ის, რაც გუშინწინ ნათქვამი და გაკეთებული იყო.

მოხარული ვარ, რომ ამ საგნის აღწერა და შესწავლა თქვენ იკისრეთ: თქვენზე უკეთესად ამ მიზანს ვერავინ მიაღწევს და განახორციელებს და ამის გამო ყოველს თქვენს წერილს ჩვენს გაზეთებში სიამოვნებით ეკითხულობდი და ეკითხულობ ხოლმე. ჩვენის ერის საზოგადოებრივ და ნაციონალურ მოძრაობის

ისტორიისათვის, განსაკუთრებით XIX საუკუნის პირველი მეოთხედის შესახებ, აქაურ წიგნსაცავებშიც ძვირფასი ცნობები მოიპოვება და მე მინდა, მათი შესწავლა და გამოქვეყნება სამეცნიერო წრის ერთ-ერთ წევრს მივანდო. მაშინ თქვენ უფრო მეტი და მრავალმხრივი ცნობები გექნებათ გამოკვლევისათვის.

დიდად გმადლობთ კვლავ პატივისცემისათვის და გისურვებთ ჯანმრთელობას

თქვენი ივანე ჯავახიშვილი.

მკითხველი იოლად მიხვდება, რომ ეს აღფრთოვანებული ბარათი ერის სასიქადულო შვილისა, არჩილ ჯორჯაძის სწორედ იმ ტომს ეხება, რომელზედაც ზემოთ მქონდა მსჯელობა. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ორი მამულიშვილის მიმართება საიმდროო უმწვავესი ეროვნული პრობლემებისადმი, პრინციპულად იდენტური იყო. რომ ისინი დაუცადებლად, ერთმანეთის მხარდამხარ იღვწოდნენ ქართველი ერის სამომავლო გზების გაწვალდვისათვის, მისი აღორძინებისათვის, რამაც, სხვა მრავალთა შორის, ის ნაყოფიც გამოიღო, რომ 1918 წელს დიდი ხნის ნაოცნებარი ქართული უნივერსიტეტი დაარსდა. არჩილ ჯორჯაძე საქართველოს ისტორიის პრობლემურ საკითხებზე მსჯელობისას სწორედ ი. ჯავახიშვილის ნაშრომებს ეყრდნობა. აგრეთვე, ნ. მარს, ე. თაყაიშვილს და სხვებს, რომლებიც შემდგომში, ქართველი მეცნიერული აზრის გოლიათებად მოგვევლინენ.

აქვეა აღსანიშნავი, რომ ნ. ჟორდანიას და მისი თანამოაზრეების უკიდურესად უტილიტარულმა და ვულგარულმა დამოკიდებულებამ ლიტერატურისა და ხელოვნების მიმართ, როცა დანიელ ჭონქაძისა და ეგნატე ნინოშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა ქართული ლიტერატურის ყველაზე დიდ მონაპოვრად გამოაცხადეს, ძალზედ მავნედ იბარტყა მოგვიანებით და ოციან წლებში უნიჭობასა და არაპროფესიონალიზმს ფართო საპარპაშო ასპარეზი შეუქმნა.

ხოლო არჩილ ჯორჯაძისა და კიტა აბაშიძის ირგვლივ შემოკრებილმა ახალგაზრდა ლიტერატორთა ჯგუფმა (გრ. რობაქიძე, პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე, კ. გამსახურდია, გერონტი ქიქოძე, ვ. კოტეტიშვილი, ი. გრიშაშვილი და სხვები) შეძლეს საიმდროოდ მართლაც რომ კოლოსალური ეროვნული საქმის გაკეთება: დიდი კლასიკოსების - ილიას, აკაკის, ვაჟას გარდაცვალების შემდეგ ქართული მწერლობის დაშრეტილი ნერვის გამოცოცხლება,

მოდერნიზმის შემოტანა და მწერლობის, მხატვრობის, თეატრის, მუსიკის, მეცნიერების „ევროპის რადიუსით გამართვა“. ამ საქმეში არჩილ ჯორჯაძის ღვაწლი სავსებით უნიკალურია და ჯერ კიდევ ელოდება თავის პირუთვნელ დამფასებელს, მაგრამ ეს თემა ცალკე მსჯელობის საგანი გახლავთ.

უმთავრესი, რაც სოციალ-ფედერალისტებს აერთიანებდა, საქართველოს ეროვნული თავისუფლების მოთხოვნა იყო. ეს მოთხოვნა, როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ განმანათლებლებმა წამოაყენეს, მაგრამ მათს იდეურ-ლიტერატურულ და განსაკუთრებით პრაქტიკულ მოღვაწეობას სოციალ-ფედერალისტები ეროვნულ ლიბერალიზმს უწოდებდნენ და მოახლოებულ რევოლუციურ ვითარებაში არასაკმარისად მიიჩნეედნენ, მაგრამ ისინი არა თუ უარყოფდნენ, არამედ ავითარებდნენ და ასაბუთებდნენ ჰუმანისტ და რადიკალ განმანათლებელთა ეროვნულ პროგრამას, მათ იდეურ მემკვიდრეებად გამოდიოდნენ.

ფედერალისტთა პარტია ეროვნულ ჩაგვრისაგან ქართველი ხალხის განთავისუფლებას საზოგადოებრივი ცხოვრების უპირველეს და უმთავრეს საკითხად აცხადებდა. ყოველივე სხვას იგი ამ ამოცანას უქვემდებარებდა. სოციალ-ფედერალისტები არ უარყოფდნენ დაპირისპირებული კლასებისა და კლასთა ბრძოლის არსებობას 1905-1907 წლების საქართველოში, მაგრამ ყველა კლასის ამოცანად საერთო მტრის - რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ეროვნული ბრძოლა მიაჩნდათ და ცარიზმის დამხობამდე ჩაგრული ერის მთელი ძალების ერთობას მოითხოვდნენ.

არსებითად, ამით უნდა დამთავრებულიყო ეროვნული საკითხის ირგვლივ მსჯელობა, მაგრამ არჩილ ჯორჯაძის მთელი ნააზრევის სპეციფიკა ის გახლავთ, რომ ყველა პრობლემას, რასაც კი მისი კალამი ეხება, მხოლოდ ქართველი ერის ძირეული ინტერესებიდან გამომდინარე აშუქებს. ამ თვალსაზრისით იგი ილიას მემკვიდრეა და მისი საქმის ღირსეული გამგრძელებელი. სწორედ ასეა დაწერილი არჩილ ჯორჯაძის მონოგრაფიებისა და წერილების სერია, რომლებსაც თვით არჩილ ჯორჯაძემ „მასალები ქართველი ინტელიგენციის ისტორიისათვის“ უწოდა, მაგრამ თამამად შეიძლებოდა „ისტორიაც“ გვეწოდებინა, რამეთუ ავტორი მართლაც რომ პირუთვნელი ჟამთააღმწერლის სიდინჯით იკვლევს აწლიან პერიოდს ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებისას - დაწყებული საქართველოს რუსეთთან შეერთებიდან, ვიდრე 1905-07 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგდროინდელი ხანით. უნდა ითქვას, რომ კოლოსალური შრომაა ჩატარებული: ნუ დაგვავიწყდება, ამ საქმეში არჩილ ჯორჯაძეს არავითარი ტრადიცია

არ დახვედრია და არც წინამორბედი ჰყოლია, თვითონ უხდებოდა პირველწყაროების შოვნა, ძველ ჟურნალ-გაზეთებში ქექვა და საჭირო მასალების მისხალ-მისხალ მოპოვება. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ არჩილ ჯორჯაძე ამ დროს უკვე მძიმე ავადმყოფი იყო, მიღებული შედეგები ძნელია გადაჭარბებით შეფასდეს.

თუ „მასალებს ქართველი ინტელიგენციის ისტორიისათვის“ დაწერისა და გამოქვეყნების პრინციპით კი არ დავალაგებთ, როგორც ეს არჩილ ჯორჯაძის ხუთტომეულშია გაკეთებული, არამედ დროულ-ისტორიული ქრონოლოგიით, ასეთ სურათს მივიღებთ:

ნაწილი პირველი („თავადაზნაურული ინტელიგენციის პოლიტიკური აზროვნება მე-XIX საუკუნეში“. „როგორ მოხდა?“ „წარსულის გაკვეთილი“. „დოკუმენტების მიხედვით“. თემატურად ამავე რკალს მიეკუთვნება მონოგრაფია „დიმიტრი ყიფიანი“).

ნაწილი მეორე: („ცისკარი“, „საქართველოს მოამბე“, -1852-1863 წ; „დროება“, „მნათობი“, „კრებული“).

ნაწილი მესამე: („მეოთხმოციანნი“ და „მეოთხმოცდაათიანნი“. ამავე წრისაა სპეციალური გამოკვლევები „პუბლიცისტი ილია ჭავჭავაძე“ და „ნიკო ნიკოლაძე“).

დასასრულ, ნაწილი მეოთხე: („რევოლუციის შემდეგ“, „კრიზისის გარშემო“, 1909-1910 წელი. „გარდამავალი ხანა.“ „ჩვენი სატკივარი“. „მავნებელი სენი“. „ავადმყოფი საზოგადოება“. „პრესა და საზოგადოება“. „მუსაიფი“ და სხვა).

მეოთხე ნაწილის წერილებში დასმული და განხილულია პრობლემების ის წყება, რაც ქართული (და არამარტო ქართული) საზოგადოებრივი აზროვნების დღის წესრიგში იდგა, უშუალოდ 1905-07 წლების რევოლუციის დამარცხების შემდეგ. აქ ჩვენ კვლავ ვნახავთ ფართოდ გაშლილ პოლემიკას ნოე ჟორდანიასთან ეროვნული საკითხების ირგვლივ, მხურვალე მოწოდებას იმის თაობაზე, რომ ერის ინტერესებისათვის, უაზრო პარტიული კინკლაობა დროებით მაინც გადაედოთ განზე, გაერთიანებულიყვნენ და მხოლოდ თავისუფლების მოპოვების შემდეგ გაერკვიათ სადავო საკითხები. წინააღმდეგ შემთხვევაში, რისხვას ვერ აიცილებთო ქართული მიწისას. ნუ დაგავიწყდებათო, იძლეოდა გაფრთხილებას არჩილ ჯორჯაძე, რომ ამ „მიწის შვილნი ვართ, მიწას გავუწიოთ ანგარიში, დრო მოვა, მიწას მიეებარებით!“

ამაოდ!

ეს ღაღადისი შესმენილი არ იქნა.

მერმე, გვიან, უკვე ემიგრაციაში მყოფ და პოლიტიკურ

არარაობად ქცეულ ნოე ჟორდანიას, საცა სამართალია, ხშირად უნდა გახსენებოდა თავისი ძველი ოპონენტის ეს წარუვალი ღირებულების გაფრთხილება და ალბათ ერთგვარ სინანულსაც იგრძნობდა იმ „საქმეთა საგმიროთა“ გამო, რაც პირადად მან და მისმა ხელმარჯვე მეუმრავლესე, თუ მეუმცირესე მოდასეებმა, შეიარაღებულებმა „ურყევი“ თეორიული ცოდნით, დაატრიალეს საქართველოში, მაგრამ რაღა დროს, გვიანღა იყო თითზე კბენანი, ქვეყანა უკვე უხვად იმკიდა მათ მიერ დათესილ გუდაფშუტასა და ღვარძლს.

როგორც ვხედავთ, ზემოხსენებულ ფუნდამენტალურ ნაშრომში, რომლისთვისაც საბოლოო, დასრულებული სახის მიცემა ვერ მოასწრო, არჩილ ჯორჯაძე იძლევა მრავალფეროვან სურათს საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების ისტორიისას XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან, XX საუკუნის 10-იანი წლების ჩათვლით. აზროვნების ისტორიისას, რაიც იმდროინდელი პრესის ფურცლებზე აირეკლა უპირატესად.

„მასალების“ ციკლს ხსნის „თავად-აზნაურული ინტელიგენციის პოლიტიკური აზროვნება XIX საუკუნეში“ კერძოდ, „როგორ მოხდა“? აქ ჩვენ შევხვდებით ერცელ საუბარს XIX საუკუნის ქართველ ინტელიგენტთა პირველი თაობის (ს. დოდაშვილი, ს. რაზმაძე...) სულიერ დუალიზმზე, როდესაც იგი, ინტელიგენტი, ერთის მხრივ ემონებოდა გარემოებას, მეორეს მხრივ კი თავისუფლებას ეძებდა, ოცნებით იკვებებოდა. ქართული ინტელიგენტური აზროვნება თითქო გაბრუებული იყო, ძალა, რომელიც მის წინაშე იდგა, უჩვეულო ზომისა აღმოჩნდა, ამიტომ 1832 წლის შეთქმულება იმთავითვე, გამცემლობის გარეშეც, საფუძველშივე იყო განწირული. ჩვენი ინტელიგენციის პირველი ნაკადის სულიერი დრამაც, ა. ჯორჯაძის აზრით, სწორედ აქ იმალებოდა. ინტელიგენტი იმას ცდილობდა, რომ სინიდისი და ნება როგორმე შეგნებასთან მოერიგებინა, მაგრამ მათი მთავარი საბრძოლო ძალა და მთავარი იმედი მხოლოდ ოცნება და სურვილები გახლდათ. შეთქმულების მარცხის შემდეგ, ქართველი ინტელიგენციის სინიდისი ისევ შეიბოჭა, გულში კვლავ შიში, კრძალვა და ორჭოფობა შეიპარა. იმედი ხსნისა დაიკარგა და ხელმეორედ დაიწყო პროცესი შეგუებისა და მოთავდაბლებისა, სისტემად იქცა ორაზროვნება და ორსახოვნება. რაც ყველაზე უარესი იყო, ინტელიგენციამ აქაც იპოვნა გამოსავალი. ეს გამოსავალი იყო ნიჰილიზმი, რაიც ამა თუ იმ სახით იჩენდა ხოლმე თავს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მთელი მეცხრამეტე საუკუნის მანძილზე.

მაგრამ იყო გამონაკლისებიც: ამ გამონაკლისთა რიცხვს, არჩილ ჯორჯაძის რწმენით, ეკუთვნოდა დიმიტრი ყიფიანი. საერთოდ, დიმიტრი ყიფიანი, ილია ჭავჭავაძესთან და ნიკო ნიკოლაძესთან ერთად, ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურაა „მასალებისა ინტელიგენციის ისტორიისათვის". პირველად მისით დაინტერესებამ თავი იჩინა პუბლიცისტურ წერილში „წარსულის გაკვეთილი".ხსენებულ წერილამდე ქართველმა საზოგადოებამ, რალა თქმა უნდა, იცოდა ამ დიდი მამულიშვილის ღვაწლი და მნიშვნელობა, გავიხსენოთ თუნდაც ილია ჭავჭავაძის ბრწყინვალე წერილები, მაგრამ არჩილ ჯორჯაძის დამსახურება ის გახლავთ, რომ მან პირველად სცადა დიმიტრი ყიფიანის პიროვნების შინაგანი, ფსიქოლოგიური ახსნა. მაინც რით მიიქცია დ. ყიფიანმა პუბლიცისტის ყურადღება? რატომ გაიხადა მისი ბიოგრაფია და ფსიქოლოგიური პორტრეტი დაჟინებული კვლევის საგნად? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა „წარსულის გაკვეთილით" შეიძლება.

ა.ჯორჯაძის აზრით, XIX საუკუნის პირველი თაობის ინტელიგენტებმა „მამულიშვილობას" „ერთგული ქვეშევრდომობა" გადააბეს და ამ შეუღლებას მისცეს რაინდული ხასიათი. „მამულის" ინტერესების დაცვისათვის არავითარ გარანტიას არ ითხოვდნენ, ერთგულ ქვეშევრდომობის გრძნობა კი მუდამ ცხოველად ჰქონდათ გულში. ეს ტრაგიკული ეპოპეა, რომელსაც XIX საუკუნის ქართველი ერის ისტორია ჰქვია, იმ გულუბრყვილო რაინდობაზე გახლდათ აგებული, „ხოლო ამ ეპოპეის პირველი დიდი მომქმედი პირი დიმიტრი ყიფიანი იყო", წერს არჩილ ჯორჯაძე და იქვე დასძენს: „მაგრამ დიმიტრი ყიფიანი სრულიად არ იქნებოდა საინტერესო, ამ ერთგულების მეტი სხვა რომ არ ყოფილიყო მის ცხოვრებაში აღსანიშნავი. დიმიტრი ერთგულებას სერიოზულად უყურებდა. მის თვალში ეს იყო საშუალება ქართველი ერის დაცვისა. და მან მოინდომა კიდეც დაცვა ერთგულების საშუალებით, მაგრამ როდესაც ამგვარი მისი მოქმედება არ შეიწყნარეს, უკან არ დაიხია და „ფორმულის" გადარჩენის გულისთვის „მამულს" არ უღალატა და მსხვერპლადაც შეეწირა სამშობლოს". ამ თეზისს, ცოტა მოგვიანებით, ა. ჯორჯაძე საგულდაგულოდ გაშლის ვრცელ, დოკუმენტურ-ბიოგრაფიულ წიგნში „დიმიტრი ყიფიანი", რომელიც 1913 წლის „სახალხო გაზეთის" №794-813-ში დაისტამბა და რომელმაც საზოგადოების ჭეშმარიტი აღტაცება გამოიწვია. მანამდე კი აი, რას სწერს გრიგოლ რობაქიძეს (ქვეყნდება პირველად):

„ისევ ჩავიკეტე კარი და დავუწყე ჩხრეკა დიმიტრი ყიფიანის ქაღალდებს. ახლა უკვე დამთავრებულია ჩემი შრომა და იბეჭდება კიდეც „სახალხო გაზეთში". თქვენი ბარათები რომ წავიკითხე

(ილია ჭავჭავაძის შესახებ, ჩემდამი მოძღვნილი გითვლით გულწრფელ მადლობას), ვიგრძენ, რომ თითქმის ერთი და იგივე აზრი მუშაობდა თქვენსა და ჩემს გულში და ამ აზრმა სხვადასხვა ფორმით ერთიდაიგივე გამოხმაურება ჰპოვა. თქვენ ილიას ფსიხიკას ძლიერ ახლოს მიუდექით. დიდად მენათესავება ის აზრი, რომ ილიას სული „დაავადებული“ იყოს საქართველოს „სახის“ დაავადებით და რომ საზოგადოდ ილია, თავის ფსიხიური განცდით, შემმეცნებელი იყო ამ თითქმის დაკარგული „სახისა“. იგივე ითქმის დიმიტრი ყიფიანზეც, მხოლოდ განსხვავება იმაშია, რომ ილია შეცნობილად ენათესავება ამ „აზრ-ოცნებას“, დიმიტრი კი სრულიად შეუმცნობლად. ამიტომ დიმიტრი მიმაჩნია მატარებლად ამ „სახის“ შეუმცნობელი ნებისა. ჩემს წერილებს თუ წაიკითხავთ, ნახავთ, რომ ეს პრობლემა მაინტერესებდა უწინარეს ყოვლისა. მხოლოდ არ ვიცი, საკმარისად ნათელვყავი იგი თუ არა. ამგვარად საკითხის დაყენება ბევრს არ დააკმაყოფილებს. უნდათ, რომ დიმიტრი უსათუოდ მოწინავე რადიკალი იყოს. არ არის რადიკალი, არც ლიბერალია, უკიდურესი კონსერვატორია აზნაური და მონარქისტი, ასე რომ, ეს დიადი თვისება რომ არ ჰქონოდა, ზემოთ რომ ელაპარაკობდი, დიმიტრის ცხოვრებაში არა იქნებოდა რა მაინცა და მაინც საინტერესო. ხოლო ცენტრს თუ ამ ფსიქოლოგიურს პრობლემაზე გადავიტანთ, სულ სხვა ნათელი ეფინება ყოველივეს - ლიბერალ-რადიკალობას მნიშვნელობა ეკარგება და ჩვენ მოწმენი ვხდებით ფსიხოლოგიურ საიდუმლოებისა, სადაც შეუმცნობელი ჰფარავს შეცნობილსა და ნება ამარცხებს აზრსა. ძლიერ მოხარული ვიქნები, თუ მისაღები გახდება მკითხველისათვის ის დიმიტრი ყიფიანი, რომელსაც ვაწვდი“.

გრიგოლ რობაქიძის პასუხი ასეთი გახლავთ: (ნაწყვეტი).

„21 იანვარი, 1913
პეტერბურგი

ძვირფასო არჩილ!

მადლობა ბარათისათვის. მე თვითონ ვფიქრობდი თქვენს კარჩაკეტვას და თქვენს გაჩუმებასაც მით ვხსნიდი. ესეც არ იყოს, გულნატკენი არასოდეს არ ვიქნები თქვენგან ამ მხრით: პიროვნების განცდა და მისი ცდა, თქვენც კარგად უწყით, სულ სხვა რამით ისაზღვრება.

ვკითხულობ „დიმიტრი ყიფიანს“. თქვენი აზრი ჯერ კიდევ ამ სამი წლის წინ მაქვს გაცნობილი. როცა დამთავრდება გაზეთში ეს შრომა, სიამოვნებით მოგწერთ ჩემს აზრს. მომწონს თქვენი

აზრი: „დიმიტრი მიმაჩნია მატარებლად ამ „სახის“ შეუმცნობელი ნებისა.“ საერთოდ, დიმიტრი ნების მომენტის პიროვნებაა და გმირულს ტიპს ეკუთვნის. ეს ტიპი ისტორიაში განსაკუთრებულია. შესაძლოა სრულებით არ ვეთანხმებოდეთ გმირის მსოფლიო მხედველობას, მაგრამ, ამასთანავე, ისიც შესაძლოა, რომ ასეთი ადამიანი ძალზე გვატყვევებდეს. აზრი, სიტყვა ასეთ პიროვნებაში სულ სხვა ძალას ჰპოულობს. არსებობს „პირადი ენერგია“, გამოუთქმელი, თანდაყოლილი, სასწაულმოქმედი, რაც შეეხება დიმიტრის რადიკალობას, აქ უთუოდ სიმართლემ უნდა დასძლოს მსჯავრი: თავის მოტყუებას ძვირად დაგიჯდენს ისტორია. ჭეშმარიტება, - აი, რით უნდა ვხელმძღვანელობდეთ. და თუ ჭეშმარიტება აუტანელია თავისი სიმკაცრით, დაე, მოვკვდეთ, რადგან არ ვყოფილვართ ღირსი ჭეშმარიტებისა და მაშასადამე, არც არსებობისა“....

თქვენი გრიგოლ რობაქიძე

აქვეა მოსაყვანი ერთი პაწია ბარათი, რომელსაც ხელს აწერს მაშინ ახალგაზრდა კაცი, შემდგომში კი სასიქადულო მეცნიერი აკაკი შანიძე:

„ღრმად პატივცემულო ბატონო არჩილ:

მსურს ორიოდე სიტყვით მოგმართოთ და გთხოვთ, ყური მათხოვოთ.

ქება შეგასხათ, რა საჭიროა: თქვენ ახლა არ გამოდიხართ სამწერლო ასპარეზზე. ეს ერთი, და აგრეც რომ იყოს, ჩემი მოწონება ვის რას შემატებდა, ან დაწუნება ვის რას მოაკლებდა?!

არა! მე მინდა მხოლოდ მოგახსენოთ ღრმა მადლობა იმ სიამოვნების გამო, რომელსაც ვგრძნობ ხოლმე თქვენი წერილების წაკითხვის დროს. დიმიტრი ყიფიანი, გულახდილად უნდა გითხრათ, მხოლოდ ახლა გავიცანი თქვენი წერილების წყალობით. წრფელი გული, ნათელი აზრი, საღი და მიუდგომელი მსჯელობა, აი, რა მახარებს ყოველთვის თქვენს ნაწერებში.

გმადლობთ, დიდად გმადლობთ!

თქვენი ჯანმრთელობისა და დღეგრძელობის მოსურნე და

ღრმად პატივისმცემელი

აკაკი შანიძე“

ამით ვამთავრებ „დიმიტრი ყიფიანზე“ მსჯელობას. დავუმატებ მხოლოდ, რომ იგი დოკუმენტურ ბიოგრაფიული რომანის თაკილდურია ჩვენს ლიტერატურაში, ჭეშმარიტად ევროპულ დონეზეა დაწერილი და თავისი მასშტაბურობით შტეფან ცვაიგის

და ანდრე მორუას საუკეთესო წიგნებს მოგვაგონებს.

„მასალების“ შემდეგი ნაწილი, ჟურნალების „ცისკრის“, „საქართველოს მოამბის“, „დროების“, „მნათობისა“ და „კრებულის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული ლიტერატურული პროდუქციის დეტალურ ანალიზსა და ამ პერიოდული ორგანოების ადგილის მიჩენას ეძღვნება ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში. ა. ჯორჯაძე აქაც პირუთვნელი და ობიექტური მსაჯულია. შეფასების კრიტერიუმი კი, რაღა თქმა უნდა, ისევ და ისევ ეროვნული თვალსაზრისი გახლავთ. მთელი ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის მანძილზე რომელმა მოღვაწემ, რომელმა პერიოდულმა ორგანომ შესძლო დეზორიენტირებული, მეობადაკარგული ქართველი ერისათვის ჭეშმარიტ სამომავლო გზებზე მითითება, მართალი სიტყვის თქმა, ნამდვილი და არა ფარისეველური ჭირისუფლობის გაწევა? აი, ესაა ა. ჯორჯაძის „მასალების“ ამოსავალი წერტილი, შეფასებათა ბალავერი. აქედან გამომდინარე, მას აინტერესებს თვალის მიდევნება ამ პროცესისათვის, თუ როგორ ნელნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ, მაგრამ მტკიცედ და ჯიუტად მტკიცდება ეროვნული თვითშეგნება, როგორ თანდათან განიცდის ევოლუციას და ჩვენი დიდი სამოციანელების, შემდეგ „მეოთხმოც-იანელებისა“ და „მეოთხმოცდაათიანელების“ უშუალო ღვაწლის შედეგად, როგორ აღწევს XX საუკუნის კარიბჭემდე, რათა აქ, მომავალი დიდი რევოლუციის იმედით ძალამოცემული, სახელმწიფოებრივი აზროვნების რანგში ავიდეს.

მანამდე კი დიდი, თითქმის საუკუნოვანი გზაა გასავლელი და ა. ჯორჯაძეც ფხიზელ, მამულიშვილურად გულშემატკივარ მზერას არ აშორებს მთელ ამ პროცესს. მის მიერ გამოტანილი მსჯავრი ამა თუ იმ მოღვაწისა თუ ორგანოს მიმართ, ხან გამანადგურებლად ბასრია და სარკასტული, ხანაც დინჯი დასტურით გაწონასწორებული და ეს ყოველივე იმის მიხედვით, თუ რამდენად მიესადაგება, ან არ მიესადაგება ერის ფესვეულ ინტერესებს ესა თუ ის მოვლენა.

მაგალითად, „ცისკრის“ რედაქტორისათვის გამოტანილი განაჩენი ასეთია: „ივანე კერესელიძეს აკლდა საჭირო გამბედაობა. სანამ საკითხი ენის გარშემო ტრიალებს, იგი მხნედ არის, მაგრამ წარმოსდგა თუ არა ჟურნალის წინაშე სურათი ჩვენი ცხოვრების სრულის უკუღმართობისა, აქ მისი გაბედულება სცხრება“. სამაგიეროდ, ა. ჯორჯაძე დიდად აფასებს „მოლაყბეს“, მიხეილ თუმანიშვილს და იგი „ცისკარში“ ყველაზე პროგრესულ მოვლენად მიაჩნია. ასევე, მაღალ შეფასებას აძლევს იგი დ. ჭონქაძისა და ლ. არდაზიანის ცნობილ მოთხრობებს და, საბოლოდ, ასეთ დასკვნას

გუთავაზობს: „ჟურნალისტიკის ისტორიაში აუცილებელია ისტორიული თვალსაზრისი. ამ თვალსაზრისით რომ შევხედოთ საგანს, აშკარად დავრწმუნდებით, „ცისკარმა“ დააჩქარა ახალ ძალთა მომწიფება და მათი სამოქმედოთ გამოსვლა. იმით კი არ დააჩქარა, რომ ხეირიან საზრდოს აძლევდა ახალგაზრდობას, არამედ სწორედ იმით, რომ გონებრივ შიმშილით შეპყრობილ ახალგაზრდობას ვერ აკმაყოფილებდა, საღერღელს უშლიდა და მოქმედებისათვის აქეზებდა.“

სავსებით სწორი მოსაზრება გახლავთ. და აი, გაჩნდა „საქართველოს მოამბე“ ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, რომელმაც მიძინებულ საქართველოს ხმამაღლა, გაბედულად ამცნო, რომ დგებოდა ახალი ხანა საზოგადოებრივი აზროვნებისა და ყოფისა. აქ საჭირო არაა სიტყვის გაგრძელება „საქართველოს მოამბეზე“. ა. ჯორჯაძემ თავის დროზე, „დასელების“ საპირისპიროდ, სწორი შეფასება მისცა ამ ჟურნალის უაღრესად პროგრესულ მოღვაწეობას, ამის შემდეგ კი ეს საკითხი ისე დეტალურად და ამომწურავად დამუშავდა, რომ სათქმელი დღეისათვის, ალბათ აღარაფერია დარჩენილი. ამ შემთხვევაში, უფრო საინტერესოა ა. ჯორჯაძის დამოკიდებულება ილია ჭავჭავაძის ფენომენისადმი. ინტერესი ი. ჭავჭავაძის პიროვნებისა და მოღვაწეობის მიმართ ა. ჯორჯაძეს სიჭაბუკიდან სიკვდილამდე დაჰყვა. ილია, შეიძლება ითქვას, „მუდმივი სტუმარია“ „მასალებისა“ და ყოველთვის მამულიშვილობისა და საზოგადოებრივი პრინციპულობის შეურყეველ მაგალითად არის დასახული. გარდა ამისა, კარგა მოზრდილი სპეციალური ნაშრომიც აქვს მიძღვნილი სათაურით „პუბლიცისტი - ილია ჭავჭავაძე“. ცნობილია, რომ იგი აპირებდა დოკუმენტურ ბიოგრაფიული წიგნის დაწერას ილიაზე, რომელიც ალბათ „დიმიტრი ყიფიანის“ ტიპისა იქნებოდა, მასალებიც ჰქონია მოგროვილი (ნაწყვეტი, ფანქრით ნაწერი, დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდში, მაგრამ, სამწუხაროდ, აღარ დასცალდა. თუმცა, რაც ხელთა გვაქვს, ისიც მკაფიო წამოდგენას გვაძლევს ა. ჯორჯაძის დამოკიდებულებაზე ილიას მიმართ. ამოსავალი, აქაც, ცხადია, ეროვნულ-მამულიშვილური გრძნობაა და მაშინ, როცა ილია გააფთრებულ თავდასხმებს განიცდიდა „მესამე დასის“ ტენგაყინული თეორეტიკოსებისაგან, ა. ჯორჯაძე ასეთ სტრიქონებს წერდა: „ილია ჭავჭავაძემ ჩვენს თვალში გაასამართლიანა პატრიოტული გრძნობა, დააკანონა იგი, ჩამოაცალა ყველაფერი, რაც ჰუმანურ გრძნობებს ეწინააღმდეგება, რაც კი სჩაგრავს კაცურ კაცობას და რაც ჰხდის მას მყვირალა, კაცთმოძულე გრძნობად. ჩვენ მისი აღარ გვრცხვენია, რადგან

მასში გამოისახება ჩვენი ადამიანური უფლება, ჩვენი კანონიერი ბედნიერებისა და სიცოცხლისა... ამ სახით ეროვნულმა გრძნობამ ბუდე გაიკეთა ჩვენს გულში".

ა. ჯორჯაძეს, „დასელთაგან" განსხვავებით, ი. ჭავჭავაძის მოძღვრება სავსებით მისაღებად და გასაზიარებლად მიაჩნდა, რასაც დაბეჯითებით მიუთითებს კიდეც:

„ჩვენ ხაზს ვუსვამთ იმ გარემოებას, რომ ძველ და ახალ თაობას, ილია ჭავჭავაძის მეოხებით გამორკვეული დარჩა საერთო მოქმედებების ასპარეზი და ეს სწორედ ის ასპარეზია, - ნაყოფი პოლიტიკური ცხოვრებისა, რომელზედაც თავისუფლად მოთავსდებიან ძველის, ახლის და მომავალი თაობის წარმომადგენელნი. ჩვენ ვამბობთ, რომ ამ საერთო შრომის საჭიროებას ილია ჭავჭავაძემ ჩაუგდო საძირკველი."

აქ კომენტარები მართლაც რომ ზედმეტია. ა. ჯორჯაძე თავისი ეროვნული მოძღვრებით ილიასაგანაა „ამოზრდილი", მის წყაროსთავალსაა დაწაფებული და უეჭველია, მის სულიერ მემკვიდრედ უნდა ჩაითვალოს. აი, რას წერს ამ საკითხის თაობაზე ცნობილი კრიტიკოსი ხომლელი:

„ეროვნული პროგრამა, შემუშავებული ქართულ ლიტერატურაში, უცვლელად მიღებული აქვს ა. ჯორჯაძეს. ხოლო რაც შეეხება ეკონომიურ პროგრამას ილია ჭავჭავაძისა, იგი ამაში არ ეთანხმება ილიას და ამბობს: „უმთავრესი საგანი ჩვენი უთანხმოებისა, ეკონომიური ნიადაგიაო"...

საერთოდ, ვისაც ამ საკითხზე უფრო ვრცელი მსჯელობა აინტერესებს, მიეუთითებდი ახალგაზრდა მკვლევარის, გივი ლობჟანიძის სტატიაზე: „ა. ჯორჯაძე ი. ჭავჭავაძის სოციალ-პოლიტიკურ შეხედულებათა მკვლევარი" („ცისკარი", 1985, №10), სადაც ყველა ის პრობლემა, წამოყენებული ილიას მიერ, რომელთა მემკვიდრედ, ან მოპირდაპირედ მიაჩნდა თავი ა. ჯორჯაძეს, კეთილსინდისიერად არის გაანალიზებული.

„არაჩვეულებრივის აღელვებით ვიწყებთ ჩვენ ნიკო ნიკოლაძის ნაწერების დაფასება-განმარტებას", - წერს ა. ჯორჯაძე ნ. ნიკოლაძისადმი მიძღვნილი სტატიის დასაწყისში. სამწუხაროდ, როგორც თვით ავტორი აღნიშნავს, ეს სტატია დაუმთავრებელი დარჩენია, მაგრამ მისი დაბეჭდვა მაინც მიზანშეწონილად უცვნია, რამეთუ მასში „მაინც მოიპოვება რამდენიმე ცნობა წარსულ საზოგადოებრივ ცხოვრების შესახებ".

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს ლიტერატურული მედალიონი, მიუხედავად დაუსრულებლობისა, ბრწყინვალედ არის შესრულებული. მკითხველი პირველი სტრიქონებიდანვე იგრძნობს

ნ. ნიკოლაძის დაუდგრომელ, მაძიებელ სულისკვეთებით გამსჭვალულ ბუნებას, მისი ანალიტიკური გონების უზარმაზარი ზემოქმედების ძალას. ეს სტატია 1901 წელს გახლავთ დაწერილი, მაშინ უკვე დაწყებული იყო ჯვაროსნული ლაშქრობა „დასელებისა", საიმდროოდ „მაშების" თაობადქცეულ მოღვაწეთა მიმართ. ნ. ნიკოლაძეც, ილიასი არ იყოს, ღირებულებათა გადაფასების მტკივნეული პროცესის შუაგულში იყო მოქცეული და ამდენად, ა. ჯორჯაძის სტატიას, რომელიც ადრესატისადმი ღრმა პატივისცემით არის გამსჭვალული, უაღრესად პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. სწორედ შენიშნავდა ზემოხსენებული ხომლელი:

„რაც შეეხება ნიკო ნიკოლაძეს, ახლანდელი „პარტიების" მეოხებით, ვინ გინდათ, ვის ინატრებდით, რომ არ ლანძღავდეს მას, თვარა პირუთვნელ, მიუდგომელ განსჯას ვინღა ჩივის, ამიტომ, განსვენებულ ა. ჯორჯაძის სტატია ნიკო ნიკოლაძეზე სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩაითვალოს ჩვენს მწერლობაში."

ე. წ. მეოთხე ნაწილში „მასალებისა", ერცლადაა მიმოხილული ქართველი ინტელიგენციის სულიერი ვითარება პირველი რევოლუციის ბედითი დამარცხების შემდეგდროინდელ ხანაში. „რევოლუციის შემდეგ" (კრიზისის გარშემო 1909-10 წ.) ასეთია საერთო სათაური ამ ნაწილისა, სადაც გაერთიანებულია შემდეგი წერილები: „გარდამავალი ხანა" (1909), „ჩვენი სატკივარი" (1910), „მავნებელი სენი" (1909), „ავადმყოფი საზოგადოება", „პრესა და საზოგადოება" და სხვ. ყველა ეს წერილი, თავისუფლად შეიძლება ცალკე კვლევის საგანი გახდეს, იმდენად უხვი და მრავალფეროვანია პრობლემათა წრე, რაც მათშია წამოყენებული, მაგრამ ამჟამად არ არის ამის გაკეთების საშუალება, ამიტომ ისევ ზოგადი შენიშვნებით უნდა შემოვიფარგლოთ. ა. ჯორჯაძე მასშტაბურად მიდის პრობლემასთან. დაცემულობის განწყობილებას, რაც ფართოდ მოედო საზოგადოებას, იგი დაუნდობლად აკრიტიკებს და მის სოციალურ ძირებსაც აშიშვლებს. მის ყურადღების არეალში მოქცეულია საიმდროოდ ისეთი აქტუალური ლიტერატურულ-ფილოსოფიური მოვლენები, როგორიცაა არციბაშევისა და პშიბიშევსკის რომანები, მეტერლინკისა და იბსენის დრამები, აგრეთვე, ალმანახი „ვეხი". რაღა თქმა უნდა, მისი დაკვირვების ობიექტი, უპირველეს ყოვლისა, მაინც რეაქციის პერიოდის ქართველი ინტელიგენციის სულიერი ყოფაა. უნდა ითქვას, რომ ა. ჯორჯაძის დამოკიდებულება იმდროინდელი ინტელიგენტისადმი სრულიადაც არ გახლავთ აპოლოგეტური. პირიქით! მისი სარკაზმი, ხშირ შემთხვევაში, საზღვრებგადალახულიც კია. აი, მაგალითად: „ჩვენი ინტელიგენცია ძალიან მორცხვი და მადლიერი არსებაა.

ვინმემ ოდნავ რომ ალერსი, ანუ კეკლუცობა დაუწყოს, სიხარულით შეწითლდება და გასათხოვარი ქალივით წამწამებს დაბლა დახრის. მოარშიყეებმაც გაუგეს ეს ხასიათი და ხან ერთი, ხან მეორე გამოტყვრებოდა ხოლმე, ნაზად ხელს გადაუსვამდა და დარცხვენილ მიჯნურს აქეზებდა: - ფიქრი ნუ გაქვს, რაინდო, იყავი ქართველი და გახდები ნამდვილი რუსიო. და „მოარშიყის“ ანგარიში არც ისე უანგარიშო იყო. ქართველი ინტელიგენტი, „არშიყობით“ გაბედნიერებული, თავზე ხელის გადასმით გაბრუებული, სრულიად ივიწყებდა იმის გაგებას და დეშიფრაციას, თუ რა შინაარსს სახავს სიტყვა „ქართველი“.

ილია ჭავჭავაძისეული კალმის სიბასრე და ტონალობა იგრძნობა „საგულისხმო საუბარში“. აქ რევოლუციამდელი ქართველი ინტელიგენციის ტრაგედია გულშემატკივარი კეთილისმყოფელის დაუნდობელი მამხილებლობით არის გადმოშლილი. აქ თვითეული სიტყვა რეკს და მოუწოდებს:

„... თქვენი თვითმოქმედება მოკლულია, ყოველი თქვენი ნაბიჯი შეზღუდულია, თქვენი პიროვნება ფეხითაა გათელილი და ასეთ პირობებში როგორ შეიძლება განვითარება, წინსვლა, რაიმეს შექმნა. რა უნდა გააკეთოთ, როდესაც თქვენი ნამოქმედარი არ არის თქვენთვის უზრუნველყოფილი, როდესაც არ იცით, რასაც ხელს მოჰკიდებთ, დაგანებებენ თუ ხელიდან გამოგგლეჯენ და თვითონ სადღაც შორს გადაგტყორცნიან! ადამიანის გონება როგორ განვითარდება, როცა ფიქრიც კი არ შეგიძლიათ თავისუფლად, როცა თქვენს მოქმედებას ვიწრო ფარგალი აქვს გარს შემოვლებული და თუ გადასცდით, ათასი ხიფათი და განსაცდელი დაგატყდებათ თავს ურიცხვი მცველისა და მბრძანებლისაგან!

მაგრამ ქართველნი მაინც აზვიადებთ გარეშე მიზეზებს და არ გინდათ თქვენი უბედურების უმთავრესი წყარო ეძიოთ საკუთარს თქვენს არსებაში. ზარმაცები ხართ, არამუყაითნი, დაუდევარნი, არამტკიცენი, აპილპილდებით მოკლე ხნით და გამუდმებული შრომა კი გეზარებათ. გატაცებით მოკიდებთ საქმეს ხელს, ხოლო მალე დატოვებთ დაუმთავრებელს. ოცნებობთ, განყენებულის თეორიებით ცხოვრობთ და გავიწყდებათ, რომ ოცნება, თეორია და პრაქტიკული ცხოვრება ერთი არაა, გიყვართ პოლიტიკაზე ბაასი, მაღალი, დიდი საქმეები და არ ფიქრობთ, რომ სინამდვილე უფრო პატარა საქმეებისაგან შედგება და დიდი საქმე იმსხვრევა, როცა ნიადაგი არა აქვს მომზადებული პატარა, ყოველდღიური მუშაობით. ყველას მაღალი თანამდებობა, დიპლომი, ჩინი, სამსახური გინდათ მაშინ, როცა საჭიროა პატიოსანი, ბეჯითი, მხნე, უბრალო მუშაკი, შემომქმედი ქვეყნის სიმდიდრისა, ახალი კულტურის

გამაერცელებელი, ცხოვრების გამაუმჯობესებელი. გითხარით, რომ პიროვნება თქვენი გათელილია, მაგრამ თქვენ თვითონ სცემთ პატივს თქვენს თავს? არსად მინახავს, არც გამიგონია, რომ რომელიმე ერი ასე აბუჩად იგდებდეს თავის ცხოვრებას, როგორც ქართველები. აიღეთ თუნდაც ქართული ენის გამოძევება ქართულ ოჯახისა და საზოგადოებისაგან თვით ქართველების მიერვე!

არა! ასეა თუ ისე, საშინელია დღევანდელი საქართველოს მდგომარეობა. შეუძლებელია, შეუძლებელია, ამგვარად ცხოვრება! უნდა თავი დააღწიოთ ამ ყოფას, თორემ წინ სიკვდილის მეტი არა იქნება რა. ხომ მოგეხსენებათ, ისტორია არ უცდის ჩამორჩენილებს, დაგვიანებულებს, დაძინებულებს"...

დამეთანხმებით, ეს უკვე ილია ჭავჭავაძის კალმის საკადრისი სტრიქონებია, მაგრამ ა. ჯორჯაძე აქ არ ჩერდება და „მასალების" ბოლო ნაწილში ქართველი და რუსი ინტელიგენციის ერცელ შედარებით დახასიათებას გვაძლევს. იგი იმდენად საინტერესოა, რომ თავს ნებას მივცემ და მთლიანად მოვიყვან:

„საინტერესოა, რა მიზეზია ის მიზეზი, რომელიც ძირს უთხრის ყოველგვარ „საერთო საქმეს, რომელსაც კი კისრულობენ ქართველი ინტელიგენტები. ეს მიზეზი რომ გარკვეული იყოს ჩვენთვის, იქნება უფრო გასაგები გახდეს მაშინ ფაქტი მესამოციანების დაქსაქსვისა და საზოგადოდ ფაქტი „ჯგუფობრივ საქმეების" ქართველებში სისუსტისა და გაუტანლობისა.

ამ საგნის გარკვევაში დიდ სამსახურს გაგვიწევს ანალოგია: საინტერესოა, თუ შევადარებთ რუსეთის ინტელიგენციას ჩვენებურს, თუ შევადარებთ, ასე ვთქვათ, ფსიქოლოგიური შინაარსის და თვისებების მხრით. ამ შემთხვევაში, პირველსავე შეხედვით აშკარაა, რომ ჩვენს წინ ორი სხვადასხვა ფსიქოლოგიური ტიპის მოვლენაა. შესაძლებელია, შედარება უფრო გავაფართოოთ და ვთქვათ, რომ საზოგადოდ, ქართველი და რუსი, სხვადასხვა ფსიხიური ორგანიზაციის მატარებელნი არიან. მაგრამ ამ შედარების ფართო ნიადაგზე დგომა უფრო ძნელია. მაშინ, როდესაც რუსის ხალხის ხასიათი ღრმად არის შესწავლილი, განსაკუთრებით მხატვრულ ნაწარმოებთა საშუალებით, ჩვენსაზე იგი არ ითქმის. არ არის, აგრეთვე, სავსებით შესწავლილი ჩვენი ისტორიული წარსულიც. უკანასკნელად ბევრი საგულისხმო მასალა გამოქვეყნდა, მაგრამ სრულ სურათს ადამიანი მაინც ვერ შეადგენს. რაც შეხება წარსული ეპოქების შესწავლას ფსიხოლოგიურის მხრით, ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო, ეგ საქმე ძლიერ გაძნელებულია. ხოლო რომ მივიღოთ მხედველობაში ის, რაც უკვე გარკვეულია ჩვენს წარსულ ცხოვრებაში, უნდა ვსთქვათ, რომ ძველი ეპოქების ქართველ

ადამიანის ფსიხიკა უკიდურესად საამქვეყნოა და ემპირიული ხასიათისაა. ალბათ ამგვარი თვისება განვითარდა ხალხის ფსიხიკაში ისტორიული პირობების ზედგაელენით. პატარა ერი, რომელიც გამუდმებულ ბრძოლებში იყო თავისი არსებობის დასაცავად, მეოცნებე და გულგრილი მჭვრეტელი ამ ქვეყნიერებისა, ვერ იქნებოდა. და ეს თვით ჩვენს წარსულის რელიგიურ აზროვნებასაც ატყვია. ჩვენი რელიგიური აზროვნება, მიუხედავად იმისა, რომ მასში „ასკეტიზმს“ და „მეუდაბნოებას“ ფრიად საპატიო ადგილი ეჭირა, თითქმის ყოველთვის დაკავშირებული იყო საქართველოს სახელმწიფოებრიობასთან, რომელიც დარაჯი იყო როგორც ხალხისა, ისე ეკლესიისა, „ურჯულოთა“ შემოსევის დროს. პატარა, მცირერიცხოვანი ხალხი დამოუკიდებლად და თავისუფლად ვერ განავითარებდა თავის რელიგიურ აზროვნებას, რომელსაც ნიადაგ უდარაჯებდა საფრთხე განსაცდელისა და განადგურებისა.

ჩვენი რელიგიური აზროვნება თუ არის მისტიკური და მეტაფიზიკური, არის სარწმუნოებრივ და დოგმატიკურ საკითხებში, ხოლო მისტიციზმი ჰქრება მთავარ საგნის გარკვევის დროს, ე. ი. მაშინ, როდესაც საჭიროა არჩევა, ან საამქვეყნოსი, ან „სასუფეველისა ღვთისა“, თუნდ სიკვდილის საფასურით მოპოვებულისა. აქ ჩვენი რელიგიური აზროვნება ემპირიულია, ხორცშესხმული, მიწიერი და საამქვეყნოა. ილია ჭავჭავაძემ რომ თავისი „განდეგილი“ დაამარცხა, საამქვეყნო მშვენების პირველსაეე ხილვის დროს, ეს აუცილებლობა სწორედ ზემოდ აღნიშნულ მოტივებით უნდა აიხსნას. კიტა აბაშიძემ მიაქცია ყურადღება ამ ფსიხოლოგიურ პრობლემას და კარგად გაგვიმარტა, რომ ჭავჭავაძე გამომხატველი იყო, ამ შემთხვევაში, ქართული ბუნებისა, ქართული გენიისა, რომელიც, არსებითად, ემპირიული და საამქვეყნოა. ეს რამდენიმე მოსაზრება ხელს შეგვიწყობს ქართველი ინტელიგენციის ხასიათის გაცნობის საქმეშიაც. თქმა არ უნდა, რომ ყოველივე აქ თქმული, ან ის, რასაც ვიტყვი ქვემოდ, ერთ-ერთი შესაძლებელი ჰიპოთეზაა ეროვნული ხასიათის ასახსნელად. ამიტომ აქ ადგილი აქვს დაკვირვებას და მოსაზრებას და არა მეცნიერულ საბუთს.

ჩვენი ინტელიგენცია რომ შევადაროთ რუს-ინტელიგენციას, მათ შორის დიდ განსხვავებას ვპოვებთ, მიუხედავად იმისა, რომ აზროვნების მხრივ საერთო ბევრი რამა აქვთ. თავდაპირველად, მოჩანს, რუს-ინტელიგენციის კულტურული უპირატესობა (ამგვარი უპირატესობა რუსის ხალხს, ჩვენ ხალხთან შედარებით, არა აქვს). იქ მეტი სიღრმეა, მეტი თავდადება, ენტუზიაზმი, რწმენა და თავგანწირულობა. აქ ზერელობაა, თავდაჭერა, გატაცება და ენტუზიაზმი ხანმოკლე და თავისათვის დაზოგვაა. შესაძლებელია,

ეს ძველისძველად გადმოცემული და ჩვენს დროში ახლადგამოღვიძებული პატარა რიცხოვან ერის თავის დაცვის ინსტინქტის გაფურჩქვნაა, მაგრამ ჩვენ მიზეზებს არ ვიკვლევთ.

წინდაწინვე უნდა ვსთქვათ, რომ ლაპარაკი გვაქვს მეცხრამეტე საუკუნის ინტელიგენციაზე. მეოცე საუკუნის „მოძრაობა“ აქ სახეში მისაღები არ უნდა იყოს, რადგან მაშინ მღელვარება და თავგანწირულობა საზოგადო მოვლენა იყო, ეს იყო ხალხური სტიქია, რომელსაც აჰყვა ინტელიგენციაც. ჩვენ უნდა ავიღოთ ის ხანა, როდესაც, როგორც იყო ერთ დროს რუსეთში, ინტელიგენცია სრულიად განმარტოებულ ჯგუფს შეადგენდა, რომლის წინააღმდეგ სასტიკად იბრძოდა მთავრობა და ხალხი კი მას სრულიად არ თანაუგრძნობდა.

რუსი ინტელიგენტი იმთავითვე თავგანწირული ადამიანია, იგი ავადმყოფია ქვეყნიურ უსამართლობის გამო, იგი არ ითვისებს, არ იწყნარებს უსამართლობაზე დამყარებულ ქვეყანას. დამეთანხმებით, რომ ამგვარ ფსიხიკაში არის რაღაც არაჩვეულებრივი, თითქოს რელიგიური ხასიათის ენტუზიაზმი, რომელიც ზიზღით უყურებს პირად ბედნიერებას, პირად სიცოცხლეს, და უნდა თქვას კაცმა, რომ ეს საერთო თვისებაა რუსის ინტელიგენციისა, თვისება, რომელიც გამოისახა როგორც პოლიტიკურ ბრძოლის ასპარეზზე, ისე კაზმულ სიტყვიერებაში, სადაც საკვირველის და გასაოცარის სიღრმით სხვადასხვა ეთიკური პრობლემებია წამოყენებული.

ამ ხასიათის ფსიხიური მიდრეკილება აწინდელი ქართველი ინტელიგენციის სულიერ განწყობილებას არ ეგუება. ძველად უნდა ყოფილიყვნენ ამ ტიპის ხასიათები, ჩვენი წარსული ისტორიის ზოგიერთი მომენტები ნამდვილი გმირული თვისებებისაა. უნდა ყოფილიყვნენ მამულიშვილნი, რომელთათვისაც პირადი სიცოცხლე არ არსებობდა და, რომელნიც სიხარულით სდებდნენ თავს მამულის კეთილდღეობისთვის. ნამდვილად იყვნენ ამგვარი მებრძოლნი, მაგრამ უნდა ვსთქვა, რომ ეგეც ის არ არის, რასაც წარმოადგენს რუს ინტელიგენციის ფსიხიკა.

მესამოცე წლებში ახალი ტიპის ინტელიგენცია გვიჩნდება. ეს უკვე ნამდვილი ინტელიგენციაა. დიდი კულტურული საქმე გააკეთა ამ ახალმა თაობამ, პირველმა ჯგუფმა ნამდვილ ქართველი ინტელიგენციისა, მაგრამ, თუ შევადარეთ ჩვენი იმდროინდელი ინტელიგენცია რუსის ინტელიგენციას მესამოცე წლებისას, აშკარად დავინახავთ, რომ საქმე გვაქვს სხვადასხვა ტიპის ინტელიგენციასთან, არც უარყოფაში, არც რისამე აღიარებაში, ქართველი ინტელიგენცია არ მიდიოდა ლოღიკურ უკანასკნელ დასკვნამდე, იგი მიდიოდა საშუალო გზით. ეს იყო არამარტო

იმიტომ, რომ ჩვენი ინტელიგენცია უფრო დაბლა იდგა კულტურულად და სულიერ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა რუსის ინტელიგენციასთან, ეს იყო იმიტომ, რომ ქართველს აქვს საკუთარი ტემპერამენტი და ხასიათი. მას მეტად უყვარს საკუთარი თავი, პირადობა მისი ბატონია, საზოგადო საქმე - ძალდატანებაა. იგი მალე ინთება, ხოლო მალევე ჰქრება. მისი ენთუზიაზმი უფრო ფიზიოლოგიურია, ვიდრე ფსიხიური. იგი შრომობს, ხშირად ბევრსაც შრომობს, ხოლო მის შრომას გაუტანლობის ნიშნები ატყვია. არ უყვარს საერთო მუშაობა. იგი ინდივიდუალისტია. ჯგუფობრიობა სულს უხუთავს. იგი განზე იწევა, არ უთმობს სხვას იმას, რაც საჭიროა საერთო საქმის გაკეთებისათვის. და საერთო საქმე მას არ ეხერხება. შესაძლებელია, ეს ყოველივე უკულტურობის ნიშანი იყოს, მაგრამ უკულტურობის გარდა, აუცილებლივ საჭიროა ეროვნული თვისებების მხედველობაში მიღება. ქართველი ინტელიგენტი, არსებითად, საამქვეყნიო კაცია, მისი სიცოცხლის ფესვები, აი, ამ მიწაშია ჩაფლული, რომელზედაც დგას, მას უყვარს მზე, ლაყბობა, ოხუნჯობა, იგი გულუბრყვილოა, მაგრამ თავს არ ივიწყებს. მას მეტად უყვარს თავისი ხორცი, თავისი კეთილდღეობა. ამიტომ არის იგი ხშირად ფარისეველი, როდესაც სასწორზე „პირადი“ და „საზოგადო“ იწონება“. (ა. ჯორჯაძე, წერილები, 1989, გვ. 295-301).

დასასრულ, კიდევ ერთხელ მოვიხმობ ნაწყვეტს ხომლელის რეცენზიიდან, რომელიც „მასალებისადმია“ მიძღვნილი:

„წიგნი ფრიად საინტერესო საგანზეა დაწერილი, მასში ავტორს ჩვეულებისამებრ ჩაუქსოვია თავისი სათაყვანებელი სამშობლოს ღრმად და ძლიერად მოსიყვარულე გული, სინდისიერი დაკვირვებით, დინჯად და ნათლად მოუთხრობს მკითხველს დიდად საინტერესო მომენტებს ახალი ქართული ლიტერატურისა და პუბლიცისტიკისას.

დიდი, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ავტორის ეს ნაშრომი იმიტომაც, რომ ქართველ მკითხველს ცოცხალი ქართული ენით გონების თვალის წინ ფართედ უშლის სამშობლო ქვეყნის უანგარო მოღვაწე ლიტერატურის დიდ, უანგარო სიყვარულს. ჩვენი ინტელიგენცია, ჩვენი საიმედო სტუდენტობა და ასაკში და ცნობაში მოსული მოზარდი მოსწავლე - ახალგაზრდობა, დარწმუნებული ვარ, დაიტაცებს ასეთ წიგნს და დიდ ესთეტიკურ სიამოვნებასაც მიიღებს მისი წაკითხვით“. (ხომლელი, რჩ. ნაწ. 1963, გვ. 97).

ამით ვამთავრებ „ქართველი ინტელიგენციის ისტორიის მასალების“ მიმოხილვას.

* * *

თხზულებათა მესამე წიგნში არჩილ ჯორჯაძე ხელოვნების, ფილოსოფიისა და რელიგიის საკითხებს განიხილავს. ამ ტომში იმდენი პრობლემაა დასმული - საკუთრივ ქართულ ლიტერატურასა და ხელოვნებასთან დაკავშირებული, აგრეთვე, ზოგადთეორიული ხასიათისა, რომ მათს გამოწვლილვით განხილვა-გაანალიზებას მთელი მონოგრაფია სჭირდება. ამიტომ მე აქაც ზოგადი შენიშვნებით მოვიზღუდები. ტომს, არჩილ ჯორჯაძის ჩვეულებისამებრ, მოკლე წინასიტყვა ახლავს, სადაც ავტორი სხარტი ფორმულებით გვაკვალიანებს, თუ კერძოდ რა საკითხების წრეა მოქცეული მისი ყურადღების არეალში და აქაც იგი აბსოლუტურად ერთგულია თავისი მრწამსისა: ლიტერატურის, მუსიკის, მხატვრობისა და თეატრის პრობლემებს ისევე და ისევე ეროვნული თვალსაზრისიდან გამომდინარე, სამერმისო, სისხლხორცეული ინტერესების შესაბამისად აშუქებს.

„ჩვენ გვესაჭიროება ფილოსოფიური ფორმულა, რომელიც ორგანულად უნდა იყოს დაკავშირებული ეროვნული კულტურის ვითარებასთან. და სანამ ამ ფორმულას არ მოვნახავთ, ყოველი ფილოსოფიური მსჯელობა ჩვენთვის მეტხორცი იქნება“.

ამ ერთი შეხედვით ჩვეულებრივ გამონათქვამში ძალზე ღრმა, ფუნდამენტალური ღირებულების აზრია დაუნჯებული, რაც გასაგები გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ იგი დაიწერა საყოველთაო რეაქციის პერიოდში, ილიას საზარელი მკვლელობის შემდეგ, როცა უკიდურესად დაჩლუნგდა და ლამის მთლიანად დაიკარგა ეროვნული საზრისი, როცა ყოველგვარმა ქვენა გრძნობამ, მავანთა ხელშეწყობით, ფართოდ გაშალა ფრთები, როცა სკეპსისმა და ურწმუნოებამ მშობლიური კულტურის მიმართ, თითქმის კანონიკური ხასიათი მიიღო (ჩვენი დღევანდელი ვითარებისა არ იყოს!) და აი, სწორედ მაშინ იწერება ასეთი სტრიქონები:

„დღეს, მაგალითად, თვალსაჩინოდ მომწიფდა ჩვენში საკითხი ეროვნული ხელოვნების აღორძინების შესახებ. ამ აღორძინებას ისე მოველით, როგორც იმგვარ რამეს, რასაც ექნება ნიშნები ქართული კულტურის გამოცოცხლებისა და ჩვენი ფსიხიური შინაარსის გამდიდრებისა. და დღეს ჩვენთვის უქმი სალაპარაკო საგანი არ არის ის, თუ რა მიმართულება მიიღოს ჩვენმა ხელოვნებამ“.

ამ სიტყვების დაწერას მაშინ გარდა მოქალაქეობრივი პატიოსნებისა, შორსმჭვრეტელი, მოვლენების პერსპექტივაში დამნახველი თვალი ესაჭიროებოდა, აგრეთვე, ქართველი ხალხის ეროვნული უკვდაეების, მისი ნიჭიერების ღრმა რწმენა. სწორედ

ასეთი დიდი იმედით არის გამსჭვალული ესე „ურწმუნო მწერლებს“ (1908 წ.), სადაც არჩილ ჯორჯაძე, მავანთა და მავანთა საყურადღებოდ, ჩვენი მცირე ერის სიცოცხლის უკვდავ ნიშატზე ლაპარაკობს.

„თქვენ უგებთ ანდერძს არა მარტო დავრდომილ ადამიანს, არამედ მთელ ერს, მართალია პატარა ერს, მაგრამ იმისთანას, რომელსაც ბევრი რამ გამოუცდია ავიც, კარგიც, რომლის გულიც სიყვარულითაც სძგერდა, სიძულვილითაც, ერს, რომელსაც სჩაგრავდნენ ათასგვარად და ათასფერად, ხოლო რომელსაც არ დაუკარგავს არც სიცოცხლის, არც სიყვარულის, არც სიძულვილის უნარი. დიაღ, არც სიძულვილის უნარი! სიძულვილის გრძნობა ხომ იგეთივე მმოძრავი ძალაა, როგორც სიყვარული. სიძულვილი იბადება იქ, სადაც ჰქრება სიყვარული, სიძულვილი სულის კვეთებაა სიყვარულის დახშობის გამო, სიძულვილი სიყვარულის ნატვრაა. და ვაი იმ ერს, თუ ადამიანს, რომელსაც სიყვარულის დაკარგვის გამო, სიძულვილის გრძნობა დაეხშო. ამ ერს, ამ ადამიანს სიკვდილი მოელის! და ჩვენ ყველას თუ გვაკლია სიყვარული, სიძულვილის წყარო ხომ დაუშრეტელი გვაქვს! და მეც იმედს არ ვკარგავ.“

უნდა ვიქონიოთ ურყევი რწმენა, დასძენს შემდეგ ა. ჯორჯაძე, რომ ერი აუცილებლად მოიპოვებს საჭირო პირობებს არსებობისას და მაშინ ჩვენს ხელოვნებასაც ავაყვავებთ და გავაძლიერებთო. უფრო მეტიც: „მე ვხედავ, როგორ მზადდება ნიადაგი ფართო ეპიკურ და ფსიხოლოგიურ ხასიათის შემოქმედებისათვის.“

აშკარაა, ისევ ღრმა ოპტიმიზმთან და შორს გამიზნულ წინასწარჭვრეტასთანა გვაქვს საქმე, მაგრამ ვიდრე მისი პროგნოზები გამართლდებოდეს, საჭიროა შესწავლა იმ მიზეზებისა, რამაც ქართული მწერლობა დაკნინების გზაზე დააყენა: „ ჩვენ გვაინტერესებს საკითხი, თუ რატომ რჩება განუვითარებელი და თითქმის ერთ წერტილზე გაშეშებული ქართული ბელეტრისტიკა, მოთხრობა და რომანი?“ - კითხვას სვამს ა. ჯორჯაძე და ასკვნის: „თუ ძირითადი სოციალ-პოლიტიკური ცვლილება არ მოხდა ჩვენს საზოგადოებაში, საეჭვო გახდება გამობრუნება და ფეხზე დაყენება სიკვდილის პირამდე მიმდგარ სიტყვაკაზმული მწერლობისა“.

იმჟამინდელი ჩვენი მწერლობის ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ პრობლემად არჩილ ჯორჯაძეს რომანის საკითხი მიაჩნდა. მან მშვენიერად იცის, რომ მწერლობა, რომელიც ფართო მასშტაბის ეპიკურ ტილოებს ვერ ქმნის, ტილოებს, სადაც სრულიად აისახება ერის ეთიკურ-ინტელექტუალური სახე, ნამდვილ, დიდ, ევროპული მასშტაბის ლიტერატურად ვერასოდეს ჩაითვლება, რადგან, „რომანი იგივე ცხოვრებაა, მისი პლასტიკურის და

ტრაგიკულის სახითა“.

მაგრამ ვინ, რა შემოქმედებითი თვისებებისა და პოტენციალის მქონე მწერალი უნდა იყოს ის, ვინც თანამედროვე რომანის შექმნის საქმეს ღირსეულად იტვირთებს?

არჩილ ჯორჯაძე განმარტავს:

„ჩვენ გვესაჭიროება გაბედული მხატვარი, დიდი ოცნების პატრონი, რომელიც გულში სევდას ატარებს, თავი კი გაშუქებული აქვს ღრმა და ფართო აზროვნებით. ესკიზებმა, ეტიუდებმა, პატარა მოთხრობებმა ვერ გამოსახეს ის, რაც უნდა იყოს გამოსახული.ჩვენ გვესაჭიროება, თუ შეიძლება ითქვას, სინტეტური სურათი ქართული ცხოვრებისა. დროა ვნახოთ ჩვენი თავი, ყველანი ვინცა ვართ, მხატვრულ ნაწარმოებებში. ამ სინტეტურ სურათის შექმნა შეუძლიან დიდ სულოვნებას, დიდ ოცნებას და თუ არ გამიწყრებით, „მშვენიერ მატყუერობას“. ჩვენი ცხოვრება მეტად დაკუწული, განკერძოებულია. არ სჩანს საერთო ძარღვის ცემა, არ სჩანს მთელი, არამედ მხოლოდ ნაწილი, პროვინციის კუთხეები, ხევი, ფშავ-ხევსურეთი, გურია და სხვა. არსად ვხედავთ მთელი ერის სულის ძგერას. მის შემადგენელ ნაწილების მთლიან ურთიერთობას. ვიმეორებ, სინამდვილემ ვერ დაგვანახვა სინტეზი ჩვენის ცხოვრებისა. ხელოვნებამ უნდა გაბედოს და მხატვრულ ნაკვეთში დაგვანახვოს ის, რაც ისახება, ხოლო სავსებით არ გამოსახულა, რაც იზრდება და მწიფდება, ხოლო სავსებით ვერ გაზრდილა და მომწიფებულა. ხელოვნებას აქვს ძალა ამგვარ საქმისათვის და ხელოვნება, ოცნებით ფრთაშესხმული, „მშვენიერი სიცრუით“ აღფრთოვანებული, რეალური ცხოვრების შემოქმედებითი განმარტება და შევსება იქნება. აქ საშიში არაფერია, მშვენიერებას რელიგიად არ აღვიარებთ, იგი ერთგვარი ჭვრეტის და მზერის პროცესია და პროცესი უნდა იყოს ფართო, სინტეტური, რათა თავი დავაღწიოთ ესკიზებს და ეტიუდებს და შევქმნათ ქართული რეალისტური რომანი, სადაც გამოსახული იქნება არამარტო ის, რაც სინამდვილეში არსებობს, არამედ ისიც, რაც შეიძლება რომ არსებობდეს, ხოლო ჯერ არ არსებობს. ხელოვნების ძლიერებაზეა დამოკიდებული, რომ შესაძლებელი რეალობად იქცეს და მით იგი შემოქმედ ძალად გახდეს.“

და მართლაც, სულ მალე ქართულ ლიტერატურაში მოვლენ ევროპულად განსწავლული მწერლები - გრ. რობაქიძე, მ. ჯავახიშვილი, კ. გამსახურდია და სხვები, რომლებიც მოძღვრის მოწოდებასა და პროგნოზებს ხორცშესხმულ რეალობად აქცევენ და შეიქმნება „სინტეტური, რეალისტური რომანი“. მაგრამ ეს ცოტა მოგვიანებით მოხდება, არჩილ ჯორჯაძის გარდაცვალების

შემდეგ. მისი სიკვდილის სულ ცოტა ხნის შემდეგ მოხდება, აგრეთვე, კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტი ქართული მწერლობისა: 1916 წელს ქუთაისში გამოსვლას იწყებს ჟურნალი „ცისფერი ყანწები“, რითაც სრულიად საქართველოს ეუწყება, რომ ამიერიდან ლიტერატურულ აზროვნებაში დაუნდობელი ბრძოლა აქვს გამოცხადებული რუტინასა და შაბლონს, მეშჩანობასა და უნიჭობას, რომ იწყება ქართული პოეზიის „ევროპის რადიუსით გამართვა“. მართალია, ეს საქმე ცოტა უფრო ადრე დაწყებული იყო გალაკტიონისა და სხვათა მიერ,მაგრამ ამჟამად ამას არა აქვს პრინციპული მნიშვნელობა. მთავარი ის არის, რომ „ცისფერი ყანწების“ ერთერთი ალამდარი ტიციან ტაბიძე, ჟურნალის საპროგრამო წერილში სრულიად არაორაზროვნად მიუთითებდა: ჩვენთვის, „ცისფერყანწელებისათვის“, არჩილ ჯორჯაძე ერთგვარი ფილოსოფიური საყრდენი და წარუვალი მნიშვნელობის იდეური ავტორიტეტი არისო. „არჩილ ჯორჯაძემ განიცადა თავის თავზე მთელი ტრაგედია XIX საუკუნის საქართველოსი. დასამახსოვრებელია ის, რომ არჩილ ჯორჯაძე, რომელიც ყველაზე მეტად იცნობდა XIX საუკუნის საზოგადოებრივ აზრს, ქართული ფილოსოფიის გაწყვეტილი ძაფის შეკერას და ქართული ეროვნული აზროვნების რევოლუციას უკავშირებდა გრიგოლ რობაქიძის სახელს, რომელიც გამოდის სვიმბოლიზმის შკოლის მეთაურათ“ („ცისფერი ყანწები“, №2).

მერმე კი, ტ. ტაბიძეს მცირეოდენი პერიფრაზით მოჰყავს არჩილ ჯორჯაძის ზემოთ უკვე მოხმობილი აზრები ქართული რომანის თაობაზე: „დღეს ჩვენ გვესაჭიროება გაბედული მხატვარი, დიდი ოცნების პატრონი, რომელიც სულში სევდას ატარებს, თავი კი გაშუქებული აქვს ღრმა და ფართო აზროვნებით. ჩვენ გვესაჭიროება სინტეტური სურათი ქართული ცხოვრებისა“... და სხვა.

ყოველივე ზემოთქმულიდან ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ქართველი მოდერნისტები (მოდერნიზმს განახლების მნიშვნელობით ვხმარობთ) თავიანთ სამომავლო მიზნებს ქართული ლიტერატურის ჰორიზონტის გაფართოებისას, მჭიდროდ უკავშირებდნენ არჩილ ჯორჯაძის სახელს.

უფრო გამოწვლილვით ანალიზს მოითხოვს არჩილ ჯორჯაძისა და გრიგოლ რობაქიძის საზოგადოებრივ-ლიტერატურული, აგრეთვე, პირად-ადამიანური ურთიერთობა. ახლა, როცა გრ. რობაქიძე დაუბრუნდა ქართულ სინამდვილეს, მადლობა ღმერთს, უფლება მოგვეცა ბევრ რამეზე თავისუფლად ვილაპარაკოთ. საქმე ის გახლავთ, რომ ამ ორი მამულიშვილისა და მოღვაწის გარეშე მართლაც

წარმოუდგენელია ოდნავ მაინც სერიოზული ბაასი ჩვენი საუკუნის დასაწყისის კულტურულ ყოფაზე. მათთან, უშუალოდ მათთან და მათ თანამოსაგრეებთან არის დაკავშირებული ე. წ. XX საუკუნის „ქართული რენესანსის" დაწყება, რაც პირდაპირ და კონკრეტულად გულისხმობდა ჩვენი ლიტერატურის, მუსიკის, თეატრის, მხატვრობისა და მეცნიერების აღორძინებას და ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე ასვლას. სწორედ მათი დაუცადებელი ძალისხმევის შედეგია ის, რომ სამომავლოდ, რევოლუციის შემდეგ, ქართველი ერი ე. წ. „პროლეტარული კულტურის" ამარა არ დარჩა, რაც ერის სულიერი კვდომის უცილობელი გარანტი იქნებოდა.

გრიგოლ რობაქიძის მიერ წაკითხულმა ლექციების სერიამ ბარათაშვილზე, ნიცშეზე, ოსკარ უაილდზე, ცოტა მოგვიანებით ვაჟა-ფშაველაზე და სხვებზე, საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია. ამ ლექციებში იყო საკმაოდ წარმატებული ცდები, რომ ქართველი საზოგადოებისათვის უჩვეულო, გლობალური კულტუროლოგიური პრობლემები წამოჭრილიყო, აგრეთვე, ქართველი ლიტერატურისა, თუ საერთოდ ხელოვნების საკითხებშიც უნივერსალურ სიბრტყეზე დასმულიყო და განხილულიყო, რასაც, ბუნებრივია, არჩილ ჯორჯაძის რეაგირება მოჰყვა, რადგან ეს სწორედ ის გახლდათ, რაც საიმდროოდ აგრერიგად მიესადაგებოდა ჩვენი ინტელიგენციის სულიერ მოთხოვნილებებს. რობაქიძის ლექციები საბაბი აღმოჩნდა, რამაც არჩილ ჯორჯაძეს კალამი ააღებინა და დააწერინა რეცენზიები „პოეზიის სამფლობელოში" (1909 წ.) და „ნავთსაყუდელის ძებნაში" (1910 წ.) სადაც იგი ჯეროვნად განმარტავს რობაქიძის ლექციების დედააზრს, ამასთანავე, სარგებლობს შემთხვევით და თვითონაც გამოთქვამს უაღრესად საგულისხმო მოსაზრებებს ფილოსოფიური, ეთიკური თუ ესთეტიკური ხასიათისას.

ყველა ეს წერილი იმ „დიდი მოლოდინითაც" არის აღბეჭდილი, რომ დღეს თუ არა- ხვალ, ქართველი ერის ცხოვრება ძირფესვიანად შეიცვლება და რასაც ამჟამად ვამბობთ, ან ვაკეთებთ, სამომავლოდ სამოქმედო პროგრამად უნდა გაეიხადოთ.

აქ საშუალება არ არის ხსენებული წერილების დეტალური ანალიზისა, ვიტყვი მხოლოდ, რომ ხელთ მაქვს გრიგოლ რობაქიძის რამდენიმე პირადი ბარათი არჩილ ჯორჯაძის მისამართით, რაიც კიდევ ერთხელ ამტკიცებს ამ ორი მამულიშვილის სულიერ სიახლოვესაც და ქართული კულტურის ინტერესების თავგამოდებულ ერთგულებასაც. აი, ერთი მათგანი:

3 მარტი, 1911 წელი

ძმაო არჩილ!

მინდოდა ერცელი წერილი მომეწერა, მაგრამ გადავიფიქრე: აღდგომის კვირაში ტფილისში ვიქნები და პირისპირ მოველაპარაკები-თქო. და მართლაც: მგონი ეს უკეთესი იქნება. მიუხედავად ამისა, ორიოდე სიტყვა მსურს მაინც მოგწეროთ ქართული ლიტერატურის რუსთა შორის გაცნობის შესახებ. კარგია თქვენი აზრი, მაგრამ მეტად საძნელო განხორციელებით. მართალია, ცოტაოდენი ძალა შემწევს ამგვარ გაცნობისათვის. მაგრამ ერთი საშინელი გარემოება მელობება წინ: ეს არის აქაურ მწერალთა გულცივობა. დავდივარ ლექციების მოსასმენად, თუ სალიტერატურო საღამოს ვესწრები, ვხედები მათ (მწერლების) პირისპირ, თუ ვუცქერ მათ ვიწრო საზოგადოებაში, - ყველგან და ყოველთვის გულცივობა, მხოლოდ ლანდი აღფრთოვანებისა, კარშეკეტილობა, ერთი სიტყვით, ვერ ვხედავ ვერსად ღუთაებრივ ცეცხლს. ეს კი აუცილებელი საჭიროა ინტერესის გასაღვიძებლად. რა უნდა ჰქნას აქ ქართულმა ლიტერატურამ? არაფერი... და გადავსწყვიტე, ისევ მწერლობით გავაცნო მათ ჩვენი ლიტერატურა. ამას წინათ კიდეც დავწერე ერთი სტატია (ვაჟა-ფშაველას „გველის მჭამელის“ შესახებ) და პეტრე სტრუვეს, „რუსსკაია მისლის“ რედაქტორს გავუგზავნე. მას მოსწონებოდა და თავის მხრივ ვალერი ბრიუსოვისათვის (ეს განაგებს აქ ლიტერატურას და კრიტიკულ განყოფილებას) გაეგზავნა. ამ დღეებში შემხვდა სტრუვე და გადმომცა: თქვენი წერილი უთუოდ დაიბეჭდება ჩვენი ჟურნალის ერთერთ ახლობელ ნომერშიო (რომელში, დანამდვილებით არ ვიციო). კიდევ კარგი... ვნახოთ, რა შთაბეჭდილებას მოახდენს ჩვენი ვაჟას მძლავრი მხატვრული კონცეფცია.

ერთი აზრი დამებადა: ჩვენი ახალგაზრდა მწერლობა, ჩემის აზრით, ნიჭიერია, მხოლოდ საფრთხე მოელის გზის გაუკვალობის მხრივ. საჭიროა დაარსდეს ჯგუფი ლექტორებისა, რომელიც გააცნობს ჩვენს ახალგაზრდებს მწერლობის ტექნიკურ მხარეს: ფორმას, სტილს, ფაბულას და სხვა. თორემ ჩვენ მგოსანთა (ეხლანდელები მყვანან მხედველობაში) უმეტესი ნაწილი ძლიერ ქაოტურ ხასიათს იჩენენ. მე მგონია, ასეთი ჯგუფი დახმარებას გაუწევს მოუმწიფებელთ და მოსწრაფებულთ.

ეხვდები ლუარსაბ ანდრონიკაშვილს: ძლიერ კარგ შთაბეჭდილებას ახდენს. უბედურებაა: ჩვენც დაგვეკარგა და მგონი ვერც სხვას მიეკედლოს.

იყავით ჯანმრთელად და დანარჩენი თავისით მოვა.

თქვენი ერთგული გრ. რობაქიძე

ბარათი კომენტარს არ საჭიროებს, უკომენტაროდაც

ნათელია, ერთმანეთს ესაუბრებიან ერის კულტურის გულწრფელი მოჭირნახულენი, რომლებიც ბალავერს უყრიან XX საუკუნის ქართული ლიტერატურისა და საერთოდ ხელოვნების აღორძინებას. ამ თვალსაზრისით ძალზე საგულისხმო გახლავთ, აგრეთვე არჩილ ჯორჯაძის წერილი „ქართული მუსიკის შესახებ“ (1910 წელი), სადაც იგი დიდ შეშფოთებას გამოთქვამს იმის თაობაზე, რომ „მთელს საქართველოში თითქმის აღარ ისმის ქართული სიმღერა და გალობა. ეს გარემოება დიდ უბედურების მომასწავებელია, არამარტო ჩვენთვის, ქართველებისათვის, არამედ მუსიკის საქმისათვის საზოგადოდ. ქართული მუსიკა მდიდარი მასალაა სიმფონიურ მუსიკის შემოქმედებისათვის“, მაგრამ ჩვეული ოპტიმიზმი არც ახლა სტოვებს არჩილ ჯორჯაძეს და იქვე წერს: „ატმოსფერო და ნიადაგი იმგვარია, რომ დღეს თუ ხვალ უნდა გამოჩნდეს შემოქმედებითის ნიჭით აღჭურვილი ადამიანი, ქართული ოპერისა და სიმფონიის დასაწერად“. ასეთ ადამიანად მას ჩვენი სასიქადულო ზაქარია ფალიაშვილი მიაჩნია! როგორც ჩანს, საიმდროოდ, ზ. ფალიაშვილს უკვე დაწყებული ჰქონდა მუშაობა თავის უკვდავ „აბესალომზე“, ხოლო შეჭირვებათა ჟამს არჩილ ჯორჯაძისაგან დიდ სულიერ სიმხნევეს ღებულობდა, რასაც აშკარად მოწმობს დიდი ივანე ჯავახიშვილის წერილი, მიმართული არჩილ ჯორჯაძისადმი:

„ზაქარია ფალიაშვილს მეც მივწერ პირადად და თქვენც გადაეცით, რომ დამშვიდდეს და თავისი შრომა დაამთაროს: ყოველნაირად ვეცდები, და იმედი მაქვს, რომ მის თხზულებას გამოცემას მოვუხერხებ. საჭიროა მხოლოდ, რომ თხზულება დამთავრებული ჰქონდეს, მე აქ გამოვარკვევ სულ რამდენი დაჯდება და მაშინ უფრო ადვილი იქნება საქმის გარჩევა“.

წერილებში: „ქართული ხელოვნება გამოფენაზე“ და „გიგო გაბაშვილის მხატვრობის გამო“, არჩილ ჯორჯაძე რამდენიმე ფუნდამენტალურ აზრს გამოთქვამს ქართული ფერწერის თაობაზე. ეს ის დროა, როცა ფეხს იკიდებს ახალი ქართული ფერწერა და ქანდაკება და მის სათავეებთან დგანან გ. გაბაშვილი, მოსე თოიძე, ა. მრევლიშვილი, ი. ნიკოლაძე და სხვები. უნდა ითქვას, რომ მიუხედავად ღრმა პატივისცემისა, არჩილ ჯორჯაძის დამოკიდებულება მათი ხელოვნების მიმართ სულაც არ არის აპოლოგეტური. ეს, უპირველეს ყოვლისა, იმით არის გამოწვეული, რომ ახალგაზრდა მხატვართა შემოქმედებაში იგი ეროვნული ტრადიციებისა და საწყისების ერთგვარ იგნორირებას ხედავს. აი, მაგალითად: „დააკვირდით გ. გაბაშვილის „მოქალაქეებს“, „ხევსურებს“, „მთიულებს“, სხვილი თავები, განიერი ბეჭები, მეტყველი თვალები

და დიდრონი ცხვირები და ყველა გამოწერილია გაბედულად, უშიშრად, წითელი ფერადის გადაჭარბებით, უნებლიეთ გაგონებთ რეპინის „ზაპოროჟცებს“ და ამ რუსის მხატვრის წერის მანერას“. და იქვე: „რამდენად სასურველია ამგვარი წერის მანერის განმტკიცება ხელოვნებაში, ეს საეჭვოა არამც თუ ჩვენში, სხვა ქვეყნებშიც“.

უნდა ვიფიქროთ, რომ არჩილ ჯორჯაძე მხურვალე მხარდამჭერი იქნებოდა გენიალური ნიკალა ფიროსმანისა, „ცისფერყანწელებთან“ ერთად. ეგეც ითქმის ლ. გუდიაშვილის, დ. კაკაბაძის, შ. ქიქოძის, ე. ახვლედიანისა და სხვათა შემოქმედებაზე. ამის თქმის საშუალებას, უპირველეს ყოვლისა, ის გვაძლევს, რომ მათი მხატვრობა, როგორც ცნობილია, ეროვნულ, ძველ-ქართული ხელოვნებისა და ევროპული მოდერნიზმის სინთეზს ეფუძნება, რასაც შეუძლებელია არჩილ ჯორჯაძის თანადგომა არ გამოეწვია.

ძალზე საინტერესოა არჩილ ჯორჯაძის მოსაზრებანი ქართული თეატრის ირგვლივ, რამდენიმე წერილში რომ აქვს გამოთქმული. ესენია: „ქართული თეატრი“, „თეატრი და ხელოვნება“, „ხელოვნების გამარჯვება“, „თეატრი და ხალხი“ და სხვ. მე არ შევუდგები ამ სტატიების ციტატების მოყვანას, რათა მათი სადღეისო, ან თუნდაც ისტორიული მნიშვნელობა დავამტკიცო. მხოლოდ ზოგადად ვიტყვი, რომ უკვე ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟზე, არჩილ ჯორჯაძე სპეციფიურად ქართული თეატრის პრობლემას უტრიალებს დაჟინებულად. ქართული თეატრი მისთვის, რაღა თქმა უნდა, მხოლოდ ქართულ ენაზე მეტყველ თეატრს არ ნიშნავდა. ქართული თეატრი, არჩილ ჯორჯაძის აზრით, მაშინ შეიძენდა ნამდვილი ეროვნული ფენომენის ღირებულებას, თუ იგი ერის სულის უღრმესი შრეების გამომხატველი იქნებოდა და მის სასიცოცხლო ინტერესებს მიესადაგებოდა. (ამიტომ იყო იგი კატეგორიული წინააღმდეგი ე. წ. გადმოკეთებული პიესების დადგმისა) თეატრი ქართული უნდა ყოფილიყო შინაარსითაც, ფორმითაც, მსახიობთა პლასტიკითაც და საერთოდ ყველაფრით. აქედან გამომდინარე, საქმეში ჩახედული მკითხველისათვის, სულ ადვილია პარალელის გავლება 30-იან წლებში ახმეტელისა და რობაქიძის მოღვაწეობასთან ეროვნული თეატრის შესაქმნელად. ცნობილია, როგორი კოლოსალური შედეგები მოიტანა ამ მოღვაწეობამ, ასე ტრაგიკულად რომ დამთავრდა ერთისთვისაც და მეორისთვისაც.

დასასრულ, ორიოდე სიტყვა არჩილ ჯორჯაძის ფილოსოფიურ ნაშრომებზე. ასეთი, ძირითადად, ოთხია: „ინდოეთის სიბრძნე“,

(1908), სადაც ბუდისტური რელიგიის არსებითი დებულებებია გადმოცემული პოპულარული ენით და რამდენადაც მე ვიცი, პირველი შემთხვევაა („ბალავარიანის“ შემდეგ) ქართველ მკითხველთან ბუდიზმის თაობაზე ბაასის გამართვისა.

„ლევ ტოლსტოი“ (სიცოცხლის ტრაგედია, მეგობრები, 1910), რომელიც ვრცელი და საფუძვლიანი გამოკვლევაა ტოლსტოის რელიგიურ-ფილოსოფიურ ძიებათა. სხვათა შორის, არჩილ ჯორჯაძის ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ ის ახლოს იცნობდა ტოლსტოის, ერთხანს მისი მოძღვრების მხურვალე მიმდევარიც გახლდათ და ამის გამო ინგლისში დაარსებულ ტოლსტოელთა ახალშენშიც ცხოვრობდა. მის თვალწინ გაიარა მოახალშენეთა სულიერი აღზევებისა და კრიზისის თითქმის ყველა ეტაპმა, ასე რომ, არჩილ ჯორჯაძის ამ ვრცელ ნარკვევს უტყუარი დოკუმენტის ძალა აქვს. ისიც ცნობილია, რომ ჯორჯაძემ ურთიერთობა გაწყვიტა ტოლსტოელებთან, მაგრამ ეს სრულიადაც არ უშლიდა ხელს, რომ რელიგიურ-ფილოსოფიურ საკითხებზე დაფიქრებულიყო, პასუხები ეძებნა სიცოცხლის საზრისის, სიკვდილ-სიცოცხლის „წყევლა-კრულვიან“ საკითხებზე. ეს განსაკუთრებით ჩანს მის ვრცელ ნარკვევში „ქალის სევდა“ (1911) და კიდევ უფრო მეტად „წერილებში იტრიის წისქვილიდან ანუ იმა ქვეყანათა ხელშეხება“, (1911), რომელიც, ჩემის ღრმა რწმენით, უნდა ჩაითვალოს ქართული ფილოსოფიური აზროვნების უდახვეწილეს ნიმუშად. აქ აზრის სიღრმე და სტილის სინათლე ისე ოსტატურად არის შენივთებული ერთმანეთთან, რომ ამგვარი ლიტერატურისაკენ მიდრეკილ მკითხველს დიდ სიამოვნებას ანიჭებს. უბერებელი კითხვები კაცობრიობისა და საერთოდ ადამიანისა კერძოდ, აქ პირდაპირ ხელისგულზეა გადმოშლილი და ისიც უნდა ითქვას, რომ დაინტერესებული სპეციალისტი - ფილოსოფოსი, „წერილებში“ იოლად აღმოაჩენს ეკზისტენციალისტური ფილოსოფიის თუ სისტემას არა, საფუძვლებს მაინც, რაც, თავისთავად ცხადია, მერმე და მერმე, სასიკეთო როლს ითამაშებდა ქართული ფილოსოფიური სკოლის განვითარებაში.

მაგრამ ეს მაინც ვარაუდის სფეროა.

რეალობა კი ის გახლავთ, რომ ილიას მკვლელობის შემდეგ, ნაბიჯ-ნაბიჯ, დიდის მოთმინებით, რუდუნებითა და ჭაპანწყვეტით ასრულებდნენ მამულის მსახურები საქმეს შედარებით ახალგაზრდა თაობის ერისკაცები და მიუხედავად „მსოფლიო მოქალაქეების“ მიერ განუწყვეტლად დაშენილი შხამიანი ისრებისა, ამ უკანასკნელთ ხომ „ინტერნაციონალური“ დოქტრინები სწამდათ მხოლოდ და ყოველივე ეროვნული ჭირის ღღესაეით ეზიზღებოდათ,

ერისკაცებმა მაინც ათასგვარ ქარცეცხლში გამოატარეს მემკვიდრეობით სათუთად გადმოცემული, ბრძოლებში დაცხავებული დროშა ილია ჭავჭავაძისა და მომავალს შეუმწიკლელად გადაულოცეს.

ამ ერისკაცთა შორის, არჩილ ჯორჯაძეს, უყოყმანოდ შეიძლება ითქვას, ბელადისა და ინტელექტუალური მეტრის ადგილი ღირსეულად ეჭირა. ამიტომაც თქვა დიმიტრი უზნაძემ მასზე: „საქართველოს კულტურული ცხოვრების ახალი ხანა შექმნაო“. ამიტომაც განაცხადა კიტა აბაშიძემ: „დიმიტრი ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე, არჩილ ჯორჯაძე სამი დიდი ეპოქის გამოსახულებააო“. ამიტომაც უწოდა გალაკტიონ ტაბიძემ მის სამუდამო განსასვენებელს „ძვირფასი საფლავი“.

ამიტომაც არ ჰმართებს საქართველოს არჩილ ჯორჯაძის დავიწყება!

ნაწილი მესამე

შემოქმედებითი ინტელიგენცია ძალადობის, შიშისა და სიცრუის ვითარებაში

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ხალხის მშვიდობიან ცხოვრებაში მოულოდნელად შემოჭრილ ძალადობას ღაჟღაჟა, თავხედური სახე აქვს, შავ დროშას ამაყად აფრიალებს და გაჰყვირის: „ძალადობა ვარ მე! დაიშალეთ! გზა მიტიეთ, გაგსრესთ!“

მაგრამ ძალადობა მალე ბერდება, ცოტა ხნის შემდეგ, იგი აღარ არის ძველებურად თავდაჯერებული და კელავაც რომ იბოგინოს და უძლეველად გამოიყურებოდეს, აუცილებელ მოკავშირედ სიცრუეს უხმობს, რამეთუ ბრიყვულ ძალადობას სიცრუის გარდა, ვერაფრით დაფარავ, ხოლო სიცრუეს ძალადობით უდგია სული.

ალექსანდრ სოლჟენიცინ, „ნუ ვიცხოვრებთ სიცრუით!“

როცა ადამიანს თავს ესხმის შიში, მახინჯდება მისი მშვენიერი სახე, მისი სიტყვა, მისი მიხვრამოხვრა, მისი კეთილი ფიქრის გამომხატველი თვალები, მახინჯდება სული.

ჭოლა ლომთათიძე

ამთავითვე უნდა მოგახსენოთ, რომ წინამდებარე მონაკვეთი ჩემი ნაშრომისა სევდიანი ფიქრების ამშლელი იქნება. მკითხველი დაინახავს, თუ რა კონკრეტული შედეგები მოიტანა ძალადობამ ბოლშევიკთა პარტიისამ შემოქმედ ინტელიგენციაზე, როგორ ეცადა მისი ფსიქიკის დამახინჯებას, გადაუგვარა მსოფლაღქმა, ხელი ააღებინა გათავისებულ შემოქმედებით ინტერესებზე, ხოლო სამაგიეროდ, ცრუ დოქტრინები შეაჩეჩა ხელში, როგორც ერთადერთი და გარდაუვალი ჭეშმარიტება.

სადაც განუკითხავი ძალადობაა, ბუნებრივია, იქ წინააღმდეგობაც უნდა იშვას, მაგრამ როცა ცხადი ხდება, რომ ლაგამწაყრილ თავხედობას წინ ვეღარაფერი აღუდგება, აი, მაშინ კი იბადება შიშის შემზარავი სინდრომი, რაც თავის გადარჩენის მძაფრ ინსტინქტში ვლინდება ხოლმე.

შიშის სინდრომი ქართველ ინტელიგენციას საბჭოთა დიქტატურის დამყარებისთანავე გაუჩნდა, თანდათან ღრმად გაიდგა ფესვები და ლირწი საცეცები შეახო უკლებლივ ყველა მწერალს. „ბატონი“ შიში ნაირნაირი ფორმითა და სახით მოგვეელინა, რამაც, თავის მხრივ, პიროვნული და შემოქმედებითი კონფორმიზმი გამოიწვია: ჩვენმა სასიქადულო მწერლებმა დაწერეს, ან მოიმოქმედეს ის, რასაც სხვა დროსა და ვითარებაში, არამცდაარამც არ დაუშვებდნენ. დიახ, იყო გაუმართლებელი კომპრომისები, ხშირად სავალალოც, მაგრამ თითქმის ყოველთვის, მწარე გამოუვალობაზე დაფუძნებული. ეს ვითარება უთუოდ უნდა გვახსოვდეს ჩვენ, სეეგამწარებული მწერლების შთამომაელებს და ღრმა თანალმობით გვაკსებდეს. მით უმეტეს, რომ თითქმის ყველა მათგანმა, საკუთარი ადამიანური სისუსტენი ტრაგიკულად ზღო: ზოგს ბოლშეეიკებმა მოულეს ბოლო, ზოგმა თეითონ მოიკლა თავი, ზოგი ჭკუაზე გადავიდა, ზოგი სამშობლოდან გადაიხვეწა და ნოსტალგიის სამსალა ბოლომდე შესვა, ზოგი განდგა და შემოქმედებაზე საერთოდ აიღო ხელი, ზოგმა საკუთარი შემოქმედებითი სიკედილი სიცოცხლეშიეე იწვნია, ზოგი ფიზიკურად კი გადარჩა, მაგრამ მიცვალებამდე ატარა კონფორმისტის საბედისწერო დამღა.

ერთი სიტყვით, იყო სრული ზეობა ტრაგიკული განუკითხაობისა!

ქვემორე სწორედ ამის თაობაზე მექნება საუბარი.

* * *

ზურაბ ავალიშვილი, თავის მრავალმხრივ საყურადღებო წიგნს „საქართველოს დამოუკიდებლობა“, ასე ამთავრებს:

„25 თებერვალს 1921 წლისა, საბჭოთა ჯარები შემოდიოდნენ ტფილისში. წინ მოუძღოდათ წითელი ბაირაღით ხელში, თეთრ ცხენზე მჯდომი, ერთი ქართველი კომისართაგანი. მას გვერდით უხილავად მოჰყვებოდა, გაძვალტყავებულ ჯაბრიკაზე, ძონძებში გახვეული ჩონჩხი და გასისხლიანებულ თითებში ეჭირა ნგრევის ცელი.

საქართველოს დემოკრატიის მთავრობა გაიქცა ევროპაში მას შემდეგ, რაც ეროვნული კატასტროფით დაამთავრა მოღვაწეობა იმ ქვეყანაში, რომელმაც მას ყველაფერი ანდო, რომელიც მას ერწმუნა სავსებით.

მაგრამ მეხსიერება დაშორდება პიროვნებებს: დავიწყების ფერფლით დაიფარება მათი შეცდომები... ცოცხალის წყლით ნასხურები, აღზდგება ძველი საქართველო. და მისი ჩაკვლა შეუძლია

მხოლოდ მისი შვილების სულმოკლეობას".

დიდ მამულიშვილსა და ინტელიგენტს, ზურაბ ავალიშვილს (ბედუკულმართობისა გამო, უცხოობაში რომ დალია სული), თითქოს გულმა უგრძნო: 1921 წლიდან მოყოლებული, დღეისდღის ჩათვლით, საქართველო მართლაც მრავალჯერ ჩაკვდა თავისივე შვილების სულმოკლეობისა გამო, მაგრამ ამჯერად მე ის წითელბაირაღიანი კომისარი მაინტერესებს, საკუთარი სამშობლოს დასაპყრობად რუსის ჯარს რომ მოუძღოდა.

და რა მოიტანა მან, „რკინის სახკომმა", სერგო ორჯონიკიძემ?

გაივლის ცოტა ხანი და მწერლები თხოვნით ეახლებიან: ვაჟა-ფშაველას შვილს, ლევან რაზიკაშვილს (რომელიც ქაქუცა ჩოლოყაშვილს თანაუგრძნობდა), ნუ დახვრეტთო. ხოლო იგი ისეთ პასუხს სტორტლავს, ჰეროსტრატესაც რომ შეშურდება: „შვილს კი არა, თვით ვაჟა-ფშაველასაც დაეხვრეტდი, ცოცხალი რომ იყოსო".

ბოლშევიკები ველური გამძვინვარებით მოითხოვდნენ: მწერლებს მხოლოდ „მათი" საქმე ეკეთებინათ, მათი „დამხმარენი" ანუ მონები ყოფილიყვნენ, თან იმის ცოდნაც უთუოდ უნდოდათ, თუ ვისი იმედი უნდა ჰქონოდათ და ვისი - არა, სწორედ ამიტომ გადმოისროლეს ლოზუნგი:

მოკავშირე, ან მტერი!

მოკავშირეთა ვინაობა გარკვეული იყო: ეს გახლდათ ლაშქარი ე. წ. პროლეტარული მწერლობისა, ლაშქარი უკულტურო, გაუნათლებელი, სულით ხორცამდე ბოგანო კალმოსნებისა, სისხლიანი დიქტატურის ყურმოჭრილი მონებისა, რომლებიც, პარტიის ბრძანებით, დედას დაახრჩობდნენ და მამას მოკლავდნენ. მათთან ნამდვილ შემოქმედებას ერთი ღამეც არ გაეთია, არც რომელიმე შემორჩა ლიტერატურას და უმრავლესობა ისევე შთანთქა „მშობლიური" პარტიის სტომაქმა, როგორც საჭიროების ჟამს აღმონერწყვა.

ხოლო „მტერი" გახლდათ შემოქმედებითი ინტელიგენცია, ქართულ-ევროპულ კულტურაზე, ილია ჭავჭავაძისა და არჩილ ჯორჯაძის ტრადიციებზე აღზრდილი, მაღალი ზნეობის სულიერი არისტოკრატები, „ქართლის ბედით" შერჩეული ადამიანები, დიდნი სწავლულნი, მსოფლიო დონის ფასეულობათა შემქმნელნი, ერის წარსულის, თუ დღეისდღის მცოდნენი, მომავლის მისნურად მჭვრეტელნი... და განა გასაკვირია, რომ ისინი მტრულად განწყობილნი ყოფილიყვნენ ერის დამაქცევარი ბოლშევიზმის მიმართ?

სწორედ ამ შემოქმედი ინტელიგენციის თვალწინ დაიბადა, დაფრთიანდა და ჭანგები მოიმაგრა, რაღაც პრეისტორიული

ურჩხულის მსგავსმა, ზარდამცემმა ცხოველმა, რომელმაც კიდევ ერთი ლოზუნგი წამოაყრანტალა:

როცა მტერი არ ნებდება, მას ანადგურებენ!

ამ ლოზუნგმა კანიბალიზმი ოფიციალურად დააკანონა: გასაწყინარდა სიცოცხლე, შეუძლებელი შეიქნა წერა, ყველა ნამდვილი შემოქმედის საწერი მაგიდის ფეხზე მიბმული იყო უხილავი ცენზორი-ჭინკა, რომელიც კალმის ხელში აღებისთანავე წინ უსკუპდებოდა მწერალს და აღმაფრენას ცინიკური ხითხითით უბიაბურებდა, ყოველ სტრიქონს უჩხრეკდა და განზრახულის მაგივრად სხვას, უცხოს აკეთებინებდა.

წარმოიდგინეთ მაღალი სულიერი არისტოკრატიზმით აღბეჭდილი ადამიანი, რომელსაც კარგი წიგნების წერისა და კითხვის მეტი, თავის სიცოცხლეში სხვა არაფერი უკეთებია. ევროპაში განსწავლულა, ზიარებია კაცობრიული ნატიფი აზროვნების ნაირნაირ ასპექტებს, უსაზღვროდ, სათუთად უყვარს თავისი პატარა, შინაური თუ გარეული უკეთურთაგან ჯვარცმული ერი, მისი უძველესი კულტურა, მითოსი და ჯერ კიდევ შემორჩენილი მზიანობა სულისა. უყვარს და ერთგულ, თაეგადაკლულ სარანგადაც უდგას მის ყოველ სასიკეთო გამოვლინებას. ერთი სიტყვით, ეს ადამიანი სულიერ ფასეულობათა შემქმნელიც არის და დამფასებელიც. და აი, მისგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო, 1921 წლის თებერვლის ერთ „მშვენიერ" დღეს, სრულიად დაუცველი და უიარაღო (იარაღად კალამი აქვს მხოლოდ), კანიბალებს ჩაუვარდა ტყვედ.

იგი ველურებისგან გამოირჩევა სალუქი გარეგნობით, ლაპარაკობს მათგან განსხვავებული, დახვეწილი ინტონაციებით, რაც ძალიან აღიზიანებთ კანიბალებს. ამიტომ „უჩვეულო ადამიანს, მიუსაფარ ზვარაკს, ათასგვარ „დამამცირებელ" სახელებს უწოდებენ: წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენელიო, ესთეტიო, სპილოს ძვლის კოშკის ბინადარიო, მისტიკოსიო, კლასობრივი მტერიო, მოწუწუნე ინტელიგენტიო და სხვ. უნდათ, რომ მონად აქციონ, ტურტლიანი ფეხები დააბანინონ, სულში ჩააფურთხონ, მოსპონ, უნდათ და აკეთებენ კიდეც (მამული, წმინდა ნინო, ედგარ პო, დოსტოევსკი, ვაჟა... ხრიალებს სიკვდილის წინ ზვარაკი).

„უფალი არი მწე ჩემი და არა შემეშინოს, რაი მიყოს მე კაცმა!" - გვამცნობს სახარება, მაგრამ მოდი და ნუ შეშინდები, როცა შენს თვალწინ ითრგუნება უფლის ნება და აშკარად ზეობს კანიბალური ინსტინქტი. საერთოდ, ვისლა ახსოვს უფალი, ღმერთი მოკვდა, უფრო სწორად: მოკლეს, ხოლო უღმერთო, შიშველ კლასობრივ იდეოლოგიაზე დაფუძნებული მწერლობა რა

ხვითოსაც შექმნის, ამის მიხვედრას რად უნდა დიდი მისნობა. და თუ მაინც შეიქმნა, თანაც საბედისწეროდ, არა ერთი და ორი ლექსი, მოთხრობა, პიესა თუ რომანი, ეს ჩვენ ტანჯულ შემოქმედთა არაადამიანურ ძალისხმევითა და მოქალაქეობრივი ვალის შეგნებით უნდა აიხსნას, რის გამოც მუხლის მოდრეკა გვმართებს მათი წმინდა ხსოვნის წინარე.

1926 წელს გაიმართა სრულიად საქართველოს მწერალთა პირველი ყრილობა, სადაც მთავარ მომხსენებლად და ლიტერატურაში პარტიის ხაზის ოფიციალურ გამტარებლად ფილიპე მახარაძე მოგვევლინა. იგი მაშინ, ვითარცა მთელი რუსეთის ერთგული ლაქია, საქართველოს მარიონეტული მთავრობის ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ, რითაც, უნდა ვიფიქროთ, მისი პოლიტიკური ამბიციები სავსებით დაკმაყოფილებული იყო, მაგრამ ამით მის პლებეურ ლიტერატურულ გემოვნებას მაინც არაფერი შემატებია.

ყრილობას იმდროინდელი საქართველოს ინტელექტუალური ელიტა ესწრებოდა. მათ შორის, ისეთი გიგანტებიც, როგორებიც იყვნენ ნიკო ნიკოლაძე, დავით კლდიაშვილი, ვასილ ბარნოვი, გრიგოლ რობაქიძე, გალაკტიონი, მიხეილ ჯავახიშვილი და სხვ.

რით გაუმასპინძლდა მათ ჩვენი მარქსისტი-იდეოლოგი?

თურმე ნუ იტყვით და, XIX საუკუნის კლასიკოსებს: „ხალხის ინტერესები არ სწამდათ და თვით მწერლობას ხალხში ნიადაგი არ ქონდა. მეორე მხრივ, როგორც ვთქვით, თვითონ მწერლები ეკუთვნოდნენ თავად-აზნაურობას, ისიც - მაღალ თავად-აზნაურობას. შეიძლება სადმე გამორეოდა ისეთი, როგორც დანიელ ჭონქაძე, ეგნატე ნინოშვილი, შემდეგში დავითაშვილი, პირველი ხალხური პოეტი ჩვენში“.

„განა შეიძლება ძველი კულტურა შევადაროთ ახალ კულტურას? ყველაფერი, რაც კეთდებოდა, თვით ეს კულტურა საკუთრება იყო რამდენიმე პირის, რომლებიც კისერზე ასხდნენ ხალხს. განა შეგვიძლია ჩვენ, ეს კულტურა იდეალათ დაეისახოთ?“.

რა ვქნათ, ვუკეთოთ ამ აბსურდულ აზრებს კომენტარი? ეუმტკიცოთ ამხ. ფილიპეს, რომ ლიტერატურაში კლასობრივი თვალსაზრისი სრულ უაზრობამდე მიგვიყვანს? რომ ამის თვალსაჩინო მაგალითია ქართული ლიტერატურა, რომელიც თითქმის მთლიანად ელიტარული წრის წარმომადგენელთა მიერ არის შექმნილი? რომ კლასებში კი არაა საქმე, არამედ იმ ეთიკურ და ესთეტიკურ ღირებულებებში, რასაც ლიტერატურა მოგვაწოდებს? რომ ქართული ლიტერატურა, მიუხედავად „არისტოკრატული“ გენეზისისა, მუდამ უაღრესად ხალხური და

ეროვნული იყო? „კისერზე ასხდნენო“... ერთის წუთით იქნებ წარმოგვედგინა, როგორც „ასხდნენ კისერზე“ ხალხს სულხანსაბა ორბელიანი და გრიგოლ ხანძთელი, დავით გურამიშვილი და ნიკოლოზ ბარათაშვილი, ანდა როგორ სწოვდნენ მშრომელებს სისხლს და ექსპლუატაციას უწევდნენ, თავადები: ილია, აკაკი, ყაზბეგი?

და აღარც კი იცი კაცმა, იცინო თუ იტირო?

მაგრამ ეს, ჯერ კიდევ ყველაფერი როდია:

„აშკარად უნდა გითხრათ: არ შეგვიძლიან, რომ ჩვენი მწერლობა ხელისუფლების გარეშე იდგეს, კარგად იცით, რომ მწერლობა ყოველთვის ამა თუ იმ მთავრობის იარაღს წარმოადგენდა ხალხის წინააღმდეგ. ცდილობდნენ, ხალხს არ გაეგო სიმართლე, ჭეშმარიტება. მათ კვებავდნენ იმით, რაც ერთ მუჭა გაბატონებულს აინტერესებდა. უკარნახებდნენ თავის სურვილებს“.

და იქვე:

„ლიტერატურა უდიდესი იარაღია სახელმწიფოს ხელში და ეს იარაღი მან უნდა გამოიყენოს“.

ბოლოს:

„ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ქართველი მწერლები ჩვენ მოგვიდგებიან გვერდში“. „ქართველი მწერლობა ხელიხელ ჩაკიდებული საბჭოთა ხელისუფლებასთან და პარტიასთან, შეასრულებს დიდ ისტორიულ საქმეს, რომელიც ყველას დაკისრებული გვაქვს“. (ციტატები ამოღებულია წიგნიდან: „სრულიად საქართველოს მწერალთა პირველი ყრილობა“, 1926 წ.).

აი, ასე: არც მეტი და არც ნაკლები, ხელისუფლებას თურმე არ შეუძლია, რომ მწერლობა მის გარეშე არსებობდეს, რამეთუ ლიტერატურა უდიდესი იარაღია და მთავრობამ აუცილებლად უნდა გამოიყენოს იგი...

ვერაფერს ვიტყვი, სანაქებო გულახდილობაა, რომელშიც თავხედი მოძალადის თავდაჭერილობა ჭარბად სჭვივის. იგი, მოძალადე, დარწმუნებულია, რომ ქართველი მწერლები „ გვერდში მიუდგებიან“ და „ხელიხელჩაკიდებული საბჭოთა ხელისუფლებასთან და პარტიასთან“, შეასრულებენ „დიდ ისტორიულ საქმეს“. მაგრამ, საინტერესოა, რატომაა ასე ღრმად დარწმუნებული ჩვენი თეორეტიკოსი? თვითონ მწერლებს აღარას ეკითხება? არა, არ ეკითხება, და დარწმუნებულიც იმიტომ ბრძანდება, რომ ძალა აქვს, მაუზერიანთა მთელი ლაშქარი უდგას მხარში. ეს მაუზერიანები ყოველ წამს მზად არიან ინტელიგენციას დაერიონ, მანამდე კი, ვიდრე ეს მოხდებოდეს, „ამხანაგი ფილიპე“ ხელიხელჩაკიდებული სიამტკბილობისკენ მოუწოდებს მწერალს.

და ეს ხდება დარბაზში, სადაც სხედან ჩვენი ლიტერატურის ნამდვილი კორიფეები, რომლებმაც ქართული ლიტერატურის ყველა ნიუანსი ზედმიწევნით იციან, ზედმიწევნით იციან, აგრეთვე, მსოფლიო მწერლობისა თუ ფილოსოფიის ავანჩავანი, თავისთავში ატარებენ ყოველივე საუკეთესოს, რითაც აღბეჭდილია ეროვნული გენი.

და მე მრცხვენია!

მრცხვენია ამ ვირეშმაკა, მოძალადე მომხსენებლისა გამო. განსაკუთრებით, რატომღაც ნიკო ნიკოლაძისა მრცხვენია, რადგან ადვილად შეიძლება წარმოიდგინოს კაცმა, თუ რას გრძნობდა და განიცდიდა იგი, როცა „ამხანაგ ფილიპეს" უსმენდა.

ახლა სხვებს არ იკითხავთ? ნუ დაგავიწყდება, რომ საამდროოდ უკვე დაწერილი იყო გალაკტიონის გენიალური ლექსების მოზრდილი ნაწილი, აგრეთვე, „ჯაყოს ხიზნები", „თეთრი საყელო", „დიონისოს ღიმილი", „გველის პერანგი" და „ჟამთა სიავე". დასასრულს უახლოვდება შ. არაგვისპირელის, დ. კლდიაშვილისა და ვ. ბარნოვის დიდებული შემოქმედება. აი, ამ მწერლებს ასწავლიდა „ამხანაგი ფილიპე", თუ რას ნიშნავს ლიტერატურა და ვის უნდა ემსახურებოდეს იგი.

მაგრამ ეს ყოველივე უწყინარი აბებია შედარებით იმასთან, რაც მერმე და მერმე მოხდა:

1934 წელს, „მსოფლიო პროლეტარიატის ბელადმა" და „ხალხის მამამ", დიდი ხნის ნალოლიავები ფიქრი აისრულა: მაქსიმ გორკის მეთაურობით, მწერლებს საკავშირო I ყრილობა მოაწვევინა, საერთო-საკავშირო მწერალთა კავშირი ჩამოაყალიბებინა და ამ „ერთიან, ძმურ ოჯახს", შემოქმედებითი მეთოდიც დაუდგინა: „სოციალისტური რეალიზმი".

არსებობს ამ ტერმინის ოფიციალური, სტალინ-გორკისეული განმარტება, რომელიც, პირდაპირ უნდა ითქვას, არ გამოირჩევა სიღრმითა და მახვილგონიერებით. ვისაც აინტერესებს, ნახოს მწერალთა პირველი ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში (გვ. 17) და ალბათ დამეთანხმება (შემდგომში, ლაქია კრიტიკოსებმა სოციალისტური რეალიზმის ნაირნაირი ინტერპრეტაცია შემოგვთავაზეს ამ ტერმინის დაზუსტებისა და გაღრმავების მიზნით, მაგრამ საქმეს არაფერი ეშველა, ბნელ ოთახში კატის დაჭერის ცდამ ამაოდ ჩაიარა), მაგრამ მთავარი ოფიციალური განმარტება კი არაა, არამედ რაც იმალება ამ განმარტების უკან. ან იქნებ არც იმალება, რადგან სამწერლო საზოგადოებისთვის იმთავითვე ცხადი გახდა, რომ სტალინმა და მისმა დამქაშებმა საბოლოო გამარჯვებით დაასრულეს სულიერ ფასეულობათა ჩაკვლის ძნელი,

ხანგრძლივი პროცესი: „ჩვენზე, საბჭოთა მწერლობაზე, ხშირად ამბობენ: პარტიის კარნახით წერთო. არა, ჩვენ გულის კარნახით ვწერთ, ხოლო გული პარტიას ეკუთვნის!“

დიახ, დამარცხდა მწერლობა, „მოთვინიერდა“, როგორც აკაკი ბაქრაძე ბრძანებს თავის წიგნში: ახლა უკვე თავისუფლად შეიძლებოდა ჯირითი, აღარც შიში იყო, აღარც რიდი, რაკიღა ყველაზე სახიფათო მოწინააღმდეგე ჩამოიცილეს გზიდან და სტალინიც, უცხოელი ჟურნალისტების კითხვაზე რატომ არ არის ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება სსრ კავშირში, ჩვეული უტიფარი დემაგოგიით უპასუხებს:

„ბეჭდვითი სიტყვის რომელ თავისუფლებაზე ლაპარაკობთ თქვენ? ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება რომელი კლასისთვის ბურჟუაზიისთვის თუ პროლეტარიატისთვის? თუ ლაპარაკია ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებაზე ბურჟუაზიისთვის, ეს ჩვენში არ არის და არც იქნება, სანამ არსებობს პროლეტარიატის დიქტატურა: ხოლო თუ ლაპარაკია ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებაზე პროლეტარიატისთვის, მაშინ მე უნდა ვთქვა, რომ მსოფლიოში თქვენ ვერ ნახავთ სხვა სახელმწიფოს, სადაც პროლეტარიატისთვის არსებობდეს ბეჭდვითი სიტყვის ასეთი ყოველმხრივი და ფართო თავისუფლება, როგორც არსებობს სსრ კავშირში“ (ი. სტალინი, ტ. 10, გვ. 224).

„დიდი ბელადი“ აქ ძალზე ერთნიშნა, პრიმიტიულ ტყუილს კადრულობს, ან იქნებ იმდენად ტყუილი არც იყოს, რამდენადაც ქედმაღლური აბუჩად აგდება, რაც ჩვეულებრივ, ადამიანურ ენაზე ასე უნდა მოითარგმნოს: თუ იმას დაწერთ, რაც გეჭირდება ჩვენი საქმისათვის, დაგბეჭდავთ, კიდეც მოგიალერსებთ და ლაურეატობასაც გიბოძებთ, თუ არა და, მოგვწყდით თავიდან, თქვენი არაფერი გვინდა, ხოლო თუ მაინც არ მოგვეშვებით, წამალიც, გაგიხარიათ ვიცითო.

მოდი, წარმოვიდგინოთ ერთის წუთითი, რომ ჩვენი საუკუნის უზარმაზარ მწერლებს პრუსტს, თომას მანს, პოლ ვალერის, ჰესეს, ჯოისს, კაფკას, ფოლკნერს, ჰემინგუეის, ვულფს, ჰამსუნს, აკუტაგავას, ჰაქსლის და მრავალ სხვას, იმ დროს რომ საბჭოთა კავშირში ეცხოვრათ, არ დაადგებოდათ დღე ცხელი? ან იქნებ გულუბრყვილოდ ჰგონია ვინმეს, სტალინიც ჰიტლერივით ემიგრაციაში გაუშვებდა რომელიმე მათგანს და თომას მანსაც კლავ მიეცემოდა საშუალება ამაყად, ცოტა არ იყოს ამბიციურად განეცხადებინა: „სადაც მე ვარ, გერმანული კულტურაც იქ არისო“?

არა, აქვე მოეღებოდათ ბოლო ისევე, როგორც მოეღოთ პაოლოსა და ბაბელს, ტიციანსა და პილნიაკს, მეიერხოლდსა და

ახმეტელს, ჯავახიშვილსა და ელიშე ჩარენცს... ვინ მოთვლის, კიდევ რამდენია.

ეს ის დრო გახლავთ, როცა სტალინს უკვე ნათქვამი აქვს თავისი „ეპოქალური“ ფრაზა: „მწერალი ადამიანის სულის ინჟინერიაო“ და ალბათ ღრმადაც არის დარწმუნებული, რომ ამით კომპლიმენტი უძღვნა მწერლებს. წარმომიდგენია, რა უგემურად დაიღრიჯებოდა ჯოისი, ვინმეს რომ ეთქვა მისთვის - სულის ინჟინერი ხარო. სამაგიეროდ, ეს ტიტული „სულის ინჟინრისა“, ეტყობა, ნამეტანი მოეწონა „რევოლუციის ქარიშხალას“ - მაქსიმ გორკის. საერთოდ, „ხალხთა მამამ“ და „პროლეტარიატის დიდმა მწერალმა“ მშვენივრად გაუგეს ერთმანეთს. სწორედ გორკის ეკუთვნის ის ფრაზა, ასე პოპულარული რომ გახდა: „სტალინი ლენინია დღეს!“ და იცით, მადლიერმა ბელადმა რით გადაუხადა სამაგიერო „ქარიშხალას“? მის სიჭაბუკისდროინდელ, ძალზე დაბალი მხატვრული დონის პოემას „ქალიშვილი და სიკვდილი“, ყოველად უცერემონიოდ წააწერა: „ეს პოემა უფრო ძლიერია, ვიდრე გოეთეს „ფაუსტი“. სიკვდილს ამარცხებს სიყვარული“.

ცნობილია, სტალინი ფრთხილი კაცი იყო და ათასჯერ აწონდაწონის გარეშე, ერთ ნაბიჯს არ გადადგამდა, თითსაც არ გაატოკებდა. მით უფრო გასაკვირია, რომ ასეთი წარწერა დაგვიტოვა, რითაც, რბილად რომ ვთქვათ, საბაბი მოგვცა მის მხატვრულ გემოვნებაში საფუძვლიანი დაეჭვებისთვის. აი, დიდი გოეთეს მიმართაც თუ მოხერხდებოდა ურცხვი ძალადობა, ამის წარმოდგენა ძნელი იყო! აქ ნამდვილად უღალატა „გენიალურ მოაზროვნეს“ ზომიერების გრძნობამ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ფრაზამ უმალ შემოიფრინა მთელი საბჭოთა კავშირის პრესა. აღტაცებით გაიძახოდნენ მწერლები: შეხედეთ, ერთ წინადადებაში როგორ ოსტატურად ჩაატია ესოდენ გენიალური აზრიო. ცხადია, ასევე ფიქრობდა ჩვენი „პირველი კომკავშირელი“, კონსტანტინე ლორთქიფანიძეც, დაუღალავი მეხოტბე მექი ვაშაკიძის ქრთილისოდენა ენებებისა, რაკიღა მაშინვე დაჯდა წერად და ყმაწვილი სოსო ჯუღაშვილისა და ახალგაზრდა პეშკოვის „გულთბილ“ ურთიერთობაზე მოთხრობა „მოგზაური“ გამოაცხო. რა შვილი იყო, დააგვიანებდა!

დასასრულ, „ბელადის“ კიდევ ერთ ლიტერატურულ გამჭრიახობაზე მინდა ვთქვა რამდენიმე სიტყვა:

ჭარმაგი ასაკის ადამიანებს უნდა ახსოვდეთ, რომ ორმოცდაათიან წლებში (1951 წ.), საქართველოს მაშინდელმა „ნაცადმა ხელმძღვანელმა“ და „ბერიას ნიჭიერმა მოწაფემ“ - კანდიდ ჩარკვიანმა, ერთ-ერთ პარტიულ კონფერენციაზე, სრულიად

მოულოდნელად და ულოგიკოდ, ვაჟა-ფშაველას წინააღმდეგ „ჯვაროსნული ლაშქრობა“ წამოიწყო. ეს მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა. ვერავინ მიხვდა: საიდან გავარდა მეხი? რატომ „დაბღუჯა ფარ-შუბი“ კ. ჩარკვიანმა და ვაჟას მიმართ რატომ „ამხედრდა?“ „თავისი ინიციატივით ამას ჩარკვიანი ვერ გაბედავდა. აშკარაა, „ვაჟას პრობლემა“ ვიღაც სხვამ გამოიტანა. უნდა ვივარაუდოთ, ეს მოსკოვის მითითებით მოხდა“. (ა. ბაქრაძე, მწერლობის მოთვინიერება, 1990. გვ. 111).

უნდა ვივარაუდოთ კი არა, ნამდვილად ასეა, დირექტივა პირდაპირ მოსკოვიდან მოდიოდა, „ხალხთა მამის“ კაბინეტიდან. აკაკი ბაქრაძეს, ცხადია, ეხსომება, რომ ამ ორი თუ სამი წლის უკან, თვითონ ჩარკვიანმა დაწერა „ლიტერატურულ საქართველოში“: რაც ჩავიდინე, სტალინის უშუალო დავალებით ჩავიდინეო. ასე რომ, სავარაუდო არაფერია. ღმერთმა შეუნდოს, ამხ. კანდიდს „ცოდვანი მისნი“, შეუნდოს, აგრეთვე, სინდისზე მწყრალად-ბრძანებულ ლიტერატორებს, რომლებიც დღესაც დაღოღავენ აქა-იქ, წარსულ, სტალინურ დროებას მისტირიან ჩუმჩუმად და რომლებისთვისაც, თვალის ერთი ჩაკვრა იყო საჭირო, რათა ვაჟასი კი არა, საკუთარი მშობლების ძვლებიც დაეტკვირათ.

ვითარება კი, ალბათ, ასეთი იყო:

„ხალხზე გამუდმებული ზრუნვის“ შემდეგ, მოცალეობის ჟამს, სტალინი, უნდა ვივარაუდოთ, მწერლობისთვისაც იცლიდა და ცხადია, ქართველ ავტორებსაც კითხულობდა. აგერ ილია, აკაკი, ყაზბეგი (მისი პერსონაჟი - კობა ხომ ბავშვობიდანვე ხიბლავდა ბელადს!), აგერ რუსთაველი - „ხალხთა მეგობრობის მომღერალი“, ეს ძალზე აქტუალურია ახლა! თურმე ისე მოსწონდა „ვეფხისტყაოსანი“, რომ ერთი სტროფი უთარგმნია კიდეც. ხუმრობაა?

ილია რომ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ბაირახტარი იყო, გასაგებია, თვითონვე უკარნახა ეს აზრი, როცა საჭირო იყო, მალაქია ტოროშელიძეს. აკაკიც რაღაც ამგვარი გახლდათ. მაგრამ აი, ვაჟა-ფშაველა ვინღაა? ენა მისი ჭარბად არის დამძიმებული დიალექტიზმებით და ეჭვი არაა, პროლეტარიატისთვის გაუგებარია. სად იზრუნოს მუშამ ფშაური დიალექტის შესწავლისათვის? და საერთოდ, რა საჭიროა ეს დიალექტები? განა არ ჯობია, ყველამ ერთიანი ენით ილაპარაკოს? თუ მშრომელებმა ვერ გაიგეს, ის რაღა მწერალია? გარდა ამისა, ვაჟა-ფშაველა თემატურადაც წუნდებულია. მან ხომ „ვერ შეძლო ამაღლებულიყო თავისი დროის ამოცანების გაგებამდე. ვაჟა-ფშაველა ფშაელი ვიწრო ხეობაში ჩაიკეტა და შეგნებულად შეზღუდა თავისი

თემატიკა მთიელ ქართველთა და მათ მეზობელ მთიელ ტომთა სისხლისმღვრელი შინაომებითა და მითოლოგიური წარმოდგენებით. იგი სიყვარულით აგვიწერს მთიულებში გვაროვნული წყობის ნიმუშებს. არამარტო იმ დიდი სოციალური ბრძოლის ამოცანები, რომელიც საქართველოში მის დროს ბობოქრობდა, არამედ ქართველი ხალხის საერთოეროვნული ამოცანებიც ჯეროვნად არ ყოფილა ასახული ვაჟა-ფშაველას პოეტურ შეოქმედებაში" (ეს სიტყვები „ბერიას ნიჭიერი მოწაფის", კ. ჩარკვიანის ნათქვამია, მაგრამ ცხადია, კონსულტანტად და მიმთითებლად „ხალხის მამა" ივარაუდება).

ხედავთ, რაში ყოფილა საქმე? „დიდი სოციალური ბრძოლის ამოცანები", „დროის ამოცანები", „ხალხის საერთოეროვნული ამოცანები"... ამოცანები, ამოცანები... სულ ამოცანები...

პროლეტარიატის დიქტატურისთვის ბრძოლა რომ ვერ ასახა „ვიწრო ხეობაში ჩაკეტილმა" ვაჟამ, კარგი, მაგრამ გლეხთა მოძრაობასაც აუარა გვერდი? ესეც ეპატიოს? რის ქუჩი, რა მთის წყარო, რა ხმელი წიფელი, შვლის ნუკრი და მგელი ტოტია, უფროსი ძმა, გოგოთური და მინდია...

არა! ეს ყოველივე გახვრეტილი შაურის ფასია, თუ ლიტერატურამ მკაფიოდ გამოხატული სოციალური დაკვეთა არ შეასრულა, კლასობრივი დოქტრინები არ იქადაგა მარტივი, მდაბიოთათვის გასაგები ენით. (გაიხსენე: ჭონქაძე, ნინოშვილი, დავითაშვილი). აი, სწორედ ამიტომ: ძირს ვაჟა-ფშაველა!

„ხალხთა მამა" იმას სულაც არ დაგიდევდათ, რომ არსებობს სხვა რანგის მკითხველიც, რომლისთვისაც სწორედ ერთნიშნა ლიტერატურის მიღმა იწყება ლიტერატურით მოგვრილი ხიბლი და ტკბობა. ასეთი მკითხველი, საერთოდ, ფაქიზი ესთეტიკური მოთხოვნილებანი, მას ძალიან აღიზიანებდა, გულს ურევდა „ინტელიგენტური ლამენტაციები" და რაც მალე მოწყდებიან თავიდან, მით უკეთესი. აკი იშორებდა კიდეც. იშორებდა... იშორებდა...

ასე შეიკრა წრე: მიმძლავრებულ იოჰან ვოლფგანგ გოეთეს გვერდში ამოუდგა მიმძლავრებული ვაჟა-ფშაველა. ასე „შეეწირა" ორი საკაცობრიო ბუმბერაზი პროლეტარიატის პრიმიტიულ ინტერესებს, უფრო ზუსტად, მათი ბელადების უტილიტარიზმს, უგემოვნებასა და, თუ გნებავთ, უზნეობას, მაგრამ საქმე ისაა, რომ ვაჟა და გოეთე მარადი, ღვთივკურთხეული თანამგზავრები იქნებიან მსოფლიო უკვდავი სულისა, ხოლო ფანატიკოსი, სალახანა, მოძალადე დოქტრინიორები აგერ, ჩვენს თვალწინ ჩაიძირნენ დავიწყების მღვრიე ქაოსში!

* * *

ძალადობის, შიშისა და სიცრუის ვაკხანალია, რაშიც, ჩვენდა სამარცხვინოდ, დიდის ენთუზიაზმით ჩაერთო ინტელიგენციის მოზარდი ნაწილი, საბჭოთა დიქტატურის ორიგინალური თვისება გახლავთ. თვისება იმ უღუთო და უზნეო საზოგადოებისა, სადაც მოშლილია კრიტერიუმები და სწორედ ამიტომ, დოსტოევსკისა არ იყოს, ყველაფერი ნებადართულია.

ბოლშევიზმმა აღარ იკმარა ლიტერატურაზე სიტყვიერი მიმძლავრების შედარებით უმტკივნეულო ფორმა, რადგანაც ხედავდა, რომ ეს „დამთხვეული" შემოქმედებითი ინტელიგენცია უფრო ჯიუტად ცდილობდა თავისი ეთიკური და ესთეტიკური მრწამსის დაცვას, ვიდრე ძალადობითა და შიშით დაზაფრულთაგან იყო მოსალოდნელი და ამიტომ საჭიროდ იქნა მიჩნეული... მათი ფიზიკური მოსპობა! მაგრამ საამისოდ რაღაც საფუძველი, თუნდაც აბსურდული, იყო აუცილებელი. და აი, მორიგი მსხვერპლი გაქრობამდე, წინასწარ, მავანი ბოლშევიკი-კრიტიკოსების მიერ, იწერებოდა ასეთი (ან მსგავსი) სტრიქონები:

„მთელი წლის მანძილზე ტიციან ტაბიძემ თავის პოეზიაში გადაიღო ის, რაც ოდესმე დალპა და გაიხრწნა ბურჟუაზიული ლიტერატურის ისტორიაში. მისი პოეზიის მასწავლებლები არიან არა მსოფლიოს საუკეთესო კლასიკოსები, არა მაღალი გონების ადამიანები, არამედ „გენიოსები ნახევარი საათით", დენდიზმის ატმოსფეროში აღზრდილი ადამიანები... რეტროგრადიული სიბნელით, საშუალო საუკუნეობრივი თილისმითა და მისტიკური ბედნიერების შხამით მოწამლულია უდიდესი ნაწილი მისი ლექსებისა... ტიციან ტაბიძის ქება-დიდების საგანი მის ლექსებში გამხდარა ყოველივე ანტისაზოგადოებრივი, ამორალური, პატრიარქალური და ანტიადამიანური ტენდენცია... ტიციან ტაბიძემ შეაფურთხა კაცობრიობასაც, სამშობლოსაც, პოეზიასაც და საერთოდ, ყოველგვარ ჭეშმარიტების გრძნობას" („ლიტერატურული საქართველო", 1937, №22).

ამის შემდეგ, ტიციანი, რაღა თქმა უნდა, სულ მალე გაქრა. ამბობენ, როცა ეტაპით მიჰყავდათო ციმბირში, სიცხიანი, მწვავე დიზენტერიით დაავადებული, შეშინდნენ, სენი გადამდებიაო და შუა ტაიგაში ეკიპაჟიდან გადმოაგდესო ღამით, თოვლში და ყინვაში. მშიერი მგლების ხროვის კერძი გახდაო...

გაეიდა დრო.

მინელდა ავადსახსენებელი 1937. მერმე მეორე მსოფლიო ომის მრისხანე ურაგანმაც გადაიგრუხუნა, ბოლოს კი, 1953-ში, სტალინმა მიაბარა ეშმაკს ცოდვილი სული. ძალადობით, შიშითა

და სიცრუით განაწამები ე. წ. „საბჭოთა ერების ძმურ ლიტერატურათა“ გულში იმედის ნაპერწკალი აბჟუტდა იქნებ ახლა მაინც მოეღოს ბოლო სისხლიან ტირანიას და თავისუფლად ამოსუნთქვის საშუალება მოგვეცესო. ეს იმედი რეალურს მაშინ უფრო დაემგვანა, როცა ხრუშჩოვმა „პიროვნების კულტი“ დაგმო და თვითონ, სტალინის ხროვის აქტიურმა მგელმა, თავი მამა აბრამის ბატკნად და დემოკრატიის მებაირახტრედ გამოაცხადა. სწორედ მაშინ იყო, ა. სოლჟენიცინის წიგნის „ივან დენისოვიჩის ერთი დღის“ გამოქვეყნების ნებართვა რომ გასცა. ამ მოთხრობამ ყუმბარასავით იფეთქა საბჭოთა იმპერიაში. ათასჯერ მიმძლავრებულმა, შეშინებულმა და მოტყუებულმა მწერლებმა იფიქრეს: ახლა კი დასტურ გვეშველა, ხუნდები აგვეხსნა და ნანატრი თავისუფლების ჟამმა ჩამორეკაო, მაგრამ ათასჯერ მოტყუებულები, ათასმეერთედ მოტყუვდნენ, როგორც კი ოდნავ გაიჩაჩუნეს და თავის წამოყოფა სცადეს, ხრუშჩოვმა მაშინვე მკაცრად დაუბრაგუნა მათ მუშტი მაგიდაზე და სრულიად არაორაზროვნად უთხრა: ფაფხურს თავი ანებეთ, თქვენი ადგილი იცოდეთო. ე. ი. ერთხელ და სამუდამოდ დაიხსომეთ, რომ პარტიის ლაქიები ხართ და მეტი არაფერიო.

აქა-იქ გავრცელებულია აზრი, განსაკუთრებით რუს ინტელიგენტთა წრეებში, თითქოს ხრუშჩოვის მოსვლამ ხელისუფლების საჭესთან, ერთგვარი „დათბობა“ გამოიწვია და შემოქმედებითმა ინტელიგენციამ, სტალინური მუხრუჭების შემდეგ, თავისუფლად ამოისუნთქა (მაგ. ისეთი ჭკვიანი მწერალიც კი, როგორც ბორის ვასილიევია, თავის წერილში „ზღვარი“, ხრუშჩოვზე წერს: „იგი იყო ერთადერთი საბჭოთა ლიდერი, რომელსაც ადამიანური ღირსება გააჩნდა“).

ეს აზრი სრულ გაუგებრობაზეა დაფუძნებული!

თავი რომ დავანებოთ 1956 წლის 9 მარტის თბილისის ტრაგედიას, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის და პოლონეთის ცნობილ სისხლიან ამბებს, რაც ხრუშჩოვის უშუალო ბრძანებით განხორციელდა და რაც ვერასგზით ვერ ჩაითვლება „ღირსებით შემკობილი“ ადამიანის ქმედებად, ხრუშჩოვის ე. წ. „ლიტერატურული პოლიტიკა“ არაფრით განსხვავდებოდა ლენინურ-სტალინურისაგან, მეტიც, უფრო უხეშიც იყო, რამეთუ ამ „პოლიტიკას“ აწარმოებდა“ სუბიექტი, რომელიც საერთოდ არ იცნობდა მწერლობის ელემენტარულ ანბანს და ამიტომ ლიტერატურაზე მიმძლავრების „მრავალნაცადი“ პრინციპი უფრო უტრირებულად, უფრო სწორხაზოვნად ესმოდა, ვიდრე „დიდ ბელადებს“.

წინ მიდევს 1963 წლის ჟურნალი „ცისკარი“ №3, სადაც დაბეჭდილია ხრუშჩოვის მოხსენება სათაურით: „მაღალი იდეურობა და მხატვრული ოსტატობა საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების დიადი ძალაა“. ეს სიტყვა მას წარმოუთქვამს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა შეხვედრაზე ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან.

მე, ცხადია, არ შევუდგები ამ მოხსენების განხილვას, აქ იმდენი სიბრიყვეა „დახვავებული“, რომ,უბრალოდ, ვერ აუვა კაცი, ამოვწერ მხოლოდ რამდენიმე ციტატას, რითაც ნათელი გახდება, რომ ხრუშჩოვი ერთი ნაბიჯითაც არ ამრუდებს ბოლ'შევიკების მიერ „მტკიცედ გაკვალულ“ გზას.

როგორც გახსოვთ, სტალინმა მწერლებს „ადამიანის სულის ინჟინრები“ უწოდა. ხრუშჩოვს, ეტყობა, ნამეტანი მოსწონდა თავისი ყოფილი მრისხანე შეფის ეს „ფრთიანი“ გამოთქმა, სულო ცოდვილო, ალბათ ცოტა შ.ურდა კიდეც, ძალიან უნდოდა თვითონაც რაღაც ამგვარით „შეემკო“ მწერლები, მაგრამ რით? და აი, გაჩნდა უბადრუკი „მიგნება“: „თქვენ, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებო, - ხატოვნად რომ ვთქვა - მჭედლები ხართ ადამიანთა ფსიქოლოგიის ხელახლა გამოსაჭედად“. (სტილი დაცულია - თ. მ)

ეჰ, ადრე ინჟინერი მაინც იყო ეს საცოდავი მწერალი, ახლა კი მჭედლობამდე ჩამოაქვეითა ძვირფასმა ნიკიტამ. ჰოდა, ურტყას და ურტყას ურო კომუნისტმა მწერალმა ადამიანთა სათუთ სულს და სჭედოს კაპიკიანებივით ერთნაირი, „კომუნიზმის იდეალებისათვის თავდადებული მებრძოლები“, სხვა რაღა გვინდა?

სწორედ ამასვე ბრძანებს ხრუშჩოვიც:

„კომუნიზმისთვის ბრძოლაში, რასაც ჩვენ ვაწარმოებთ, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანის აღზრდას კომუნიზმის იდეალების სულისკვეთებით. და ეს შეადგენს ჩვენი პარტიის იდეოლოგიური მუშაობის მთავარ ამოცანას. ჩვენ საბოლოო წესრიგში უნდა მოვიყვანოთ პარტიის იდეური იარაღის ყველა სახეობა, რომელთა რიცხვს მიეკუთვნება კომუნისტური აღზრდის ისეთი მძლავრი საშუალებაც, როგორიც არის ლიტერატურა და ხელოვნება“ (მქუხარე ტაში).

მწერლები რომ ამისთანა აბსურდულ აზრებზე მქუხარე ტაშს დასცხებდნენ, ის რაღა მწერლობაა, ნება მომეცით ვიკითხო, მაგრამ უბედურება ისაა, რომ მწერლობა საამდროოდ უკვე გადატეხილია ხერხემალში, უღვთოდ არის გამოშიგნული, „მოთვინიერებულია“ და ბოლშევიკური პარტია ისე ეპყრობა მას, როგორც მოესურვება და საჭიროდ მიიჩნევს.

„ჩვენს ხალხს ესაჭიროება მებრძოლი, რეოლუციური

ხელოვნება. საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება მოწოდებულია მკაფიო მხატვრული სურათებით წარმოსახოს კომუნიზმის მშენებლობის დიადი და გმირული დრო, მართლად ასახოს ახალი, კომუნისტური ურთიერთობის დამკვიდრება და გამარჯვება ჩვენს ცხოვრებაში".

და როგორ გგონიათ, ვინ გამოადგება მწერლებს ნიმუშად „მებრძოლი, რევოლუციური ხელოვნების" შექმნის გზაზე? იქნებ ის მარადიული, კაცობრიული ჭეშმარიტებანი, რაიც იქმნებოდა და იქმნება საბჭოეთის მიღმა სამყაროში? არამც და არამც! მხოლოდ ფურმანოვი, სერაფიმოვიჩი, „როგორ იწრთობოდა ფოლადი" და არ გაგეცინოთ... დემიან ბედნი!

„გაიხსენეთ, თავის დროზე როგორ მიიღო ჩვენმა ხალხმა იარაღად დემიან ბედნის პოეზია. სამოქალაქო ომის წლებში, როცა საბჭოთა ხალხი მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ გააფთრებულ ბრძოლაში იცავდა მსოფლიოში პირველ მუშათა და გლეხთა სოციალისტურ სახელმწიფოს, დემიან ბედნის სიმღერებით მიდიოდნენ ბრძოლაში წითელარმიელები. ეს სიმღერები გასაგები იყო ყველასათვის, უწიგნური გლეხებისთვისაც კი, რომლებიც წითელი არმიის რიგებში იყვნენ.

ახლაც ჩვენი თაობის ადამიანები, როცა ერთმანეთს ვხვდებით სადღესასწაულო ვითარებაში, კმაყოფილებით ვიგონებთ ჩვენს წარსულს სამოქალაქო ომის წლებში და ემღერით დემიან ბედნის სიმღერებს იმიტომ, რომ ეს სიმღერები ახლაც ახლებურად და დროულად ჟღერს" (ტაში).

ამის შემდეგ მოდი და ნუ წარმოიდგენ პოლიტბიუროს არყით შეხურებულ წევრებს, რომლებიც შოშიებივით აფჩენენ პირს და ერთსულოვნად, შეხმატკბილებით გალობენ დემიანის ლექსებს, სამარცხვინო, ძმათამკვლელ სამოქალაქო ომისადმი რომაა მიძღვნილი. ოი, რა გულის ამაჩუყებელი სურათია! დარწმუნებული ვარ, მწერალთა დიდ ნაწილსაც აუჩვილდებოდა გული (აკი ტაში დასცხეს), ზოგმა ცხვირსახოციც მოიმარჯვა ალბათ და აზლუქუნდა ჩუმი ნეტარებით, ხუმრობაა განა, „მშობლიური პარტიის" ლიდერმა „პრინციპული, ბოლშევიკური შეფასება" მისცა ბედნის პოეზიას, რა იცი, ეშმაკს არ ძინავს, ხომ შეიძლება ხვალ-ზეგ რომელიმე მათგანის შემოქმედებასაც ელირსოს ეს ბედნიერება? აი, მაშინ კი მოაჯდება ცხოვრებას ქეჩოზე!

მაგრამ საინტერესოა, რა „ბალღამი უდუღდათ გულში" ანა ახმატოვას, კორნეი ჩუკოვსკის, ვიქტორ შკლოვსკის, ნ. ზაბოლოცკის, ი. ერენბურგს, ვ. გროსმანს და ზოგიერთ სხვას, ამ პიტალო სიბრიყვეს რომ უსმენდნენ დარბაზში მსხდომნი?

„წარმოიდგინოს თვითონ მკითხველმა“.

ამასობაში, ნიკიტამ „მიმოიხილა“ მხატერობის, კინემატოგრაფიის, ქანდაკების, მუსიკის საკითხები, როგორც ირკვევა, აღფრთოვანებულა ვინმე ლაკტიონოვის მხატერობით, რუსული ხალხური სიმღერებით რაც კომპოზიტორებს ნიმუშად უნდა გამოსდგომოდათ, აქტიურად არ მოსწონებია დღეს მსოფლიოში ცნობილი ერნსტ ნეიზვესტნის აბსტრაქციონისტული ქანდაკებები, იმდენად არ მოსწონებია, რომ საგამოფენო დარბაზში, მანეუზე, გაცეცხლებული, თურმე წვერებში სწვდა მხატვარს და რამდენჯერმე მოქაჩა. (ბედის ირონიაა, მაშ რა არის, რომ სიკვდილის შემდეგ, სწორედ ნეიზვესტნიმ აუგო ძეგლი ნიკიტას ნოვოდევიჩის სასაფლაოზე!).

„ჩვენ ხელოვნებაში კლასობრივ პოზიციაზე ვდგავართ და გადაჭრით გამოვდივართ სოციალისტური იდეოლოგიისა და ბურჟუაზიული იდეოლოგიის თანაარსებობის წინააღმდეგ!“

ამიტომაც დაგვაყენა ხელი! დაგვაწაფეს მეოცეხარისხოვან მწერლებს, ჰოვარდ ფასტს, ჟორჟი ამადუს და მისთანებს, იმის მაგივრად, რომ ფროიდი, ჯოისი, კაფკა, ფოლკნერი, ვულფი ან სხვები წაგვეკითხა.

მადა ჭამაში მოდისო და ნიკიტამაც გაუტია: ეს მამაცხონებული, ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებში, ბოდიშს კი ეიხდი, მაგრამ ფრიად უვიცი ბრძანდებოდა. სამაგიეროდ, წინამორბედი „ბელადებისა“ არ იყოს, მშვენიერად ფლობდა ძალადობის „ნაცად მეთოდებს“. აი, ამის ცოცხალი ნიმუში. ნიმუში, რაიც ყველა მის წინამორბედს შეაკრთობდა ზღვარდაუდებელი უტიფრობის გამო:

„მხატვრული შემოქმედების საკითხებში პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოითხოვს ყველასაგან განუხრელად ახორციელებდეს პარტიულ ხაზს! ჩვენ მოვუწოდებთ საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს, პარტიის ერთგულ თანაშემწეებს, კიდევ უფრო შეამჭიდროვონ თავიანთი რიგები და ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით წარმართონ თავიანთი ღონისძიებანი კომუნიზმის მშენებლობაში ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად“ (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან).

ასე, ტაშის ქუხილ-ქუხილში მთელმა ე. წ. საბჭოთა ლიტერატურამ და მათ შორის, ცხადია, ქართულმაც, ერთხელ კიდევ და, ვინ იცის, მერამდენედ, საკუთარი თვალით დაინახა, თუ როგორ გამოასაჭურისა იგი უბირმა, უვიცმა, თავხედმა პარტიულმა დოქტრინიორმა და სამაგიეროდ „გულმოწყალედ“

მიუბოძა „პარტიის ერთგული თანაშემწის“ სამარცხვინო როლი. წარმომიდგენია, როგორ კვდებოდნენ სიცილით, ჩვენი შემხედვარე, მთელი მსოფლიოს ნამდვილი მწერლები, ვერაფრით გაეგოთ დედამიწის ერთ მეექვსედზე რა ამისთანა ზოოპარკი იყო გახსნილი, რა გაუვალი წკვარამი და ქვის ხანა იდგა. სამაგიეროდ, შავი ცრემლებით მოსთქვამდნენ ის „საბჭოთა მწერლები“, რომლებმაც ხრუშჩოვში სტალინზე უარესი მოძალადე დაინახეს და საბოლოოდ გადაიწურეს იმედი თავისუფლად ამოსუნთქვისა.

იყვნენ, ცხადია, კუდქიცინა ლაქიებიც:

„ქართული ლიტერატურის საფუძველი ყოველთვის იყო პარტიული, - უტიფრად წერდა ერთი მათგანი, - ამხანაგ ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვის სიტყვაში, ამ უმნიშვნელოვანეს პარტიულ დოკუმენტში, დასახულია ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომი განვითარების გზები. ქართველი მწერლები, რომელთაც ყოველთვის შეგნებული ჰქონდათ თავიანთი შემოქმედების მაღალი დანიშნულება, კვლავაც ძალღონის დაუზოგავად ემსახურებიან კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეს“.

ქართული ლიტერატურის საფუძველი რომ დასაბამითგან პარტიულობა ყოფილა, მადლობა ღმერთს, კარგად განგვიმარტა ჩვენმა ლაქია-კრიტიკოსმა, მაგრამ ეს ცოტაა: თურმე ხრუშჩოვს, თავის სიტყვაში, ქართული ლიტერატურის განვითარების შემდგომი გზებიც მოუნიშნავს.

მოდი და, აღტაცებული ნუ იქნები!

მაგრამ, შეგვიწყალა უფალმა და ბოლომდე არ გაგვწირა, მათებურად არ წავიდა საქმე, თორემ ვიქნებოდით ახლა სერაფიმოვიჩის, დემიან ბედნის, გვადი ბიგვას და მექი ვაშაკიძის მეხოტბენი, დავიხურავდით „ბუდიონოვკებს“ და გარმონზე დავამღერებდით სამოქალაქო ომის „წარმტაცი რომანტიკით აღსავსე“ ჩასტუშკებს.

და ბოლოს, ერთი გამაოგნებელი ფაქტიც, XX საუკუნის უდიდეს პოეტთან, ბორის პასტერნაკთან რომ არის დაკავშირებული:

როგორც ცნობილია, 1958 წელს, შვედეთის აკადემიამ პასტერნაკს მიანიჭა მსოფლიოში უმაღლესი ლიტერატურული ჯილდო - ნობელის პრემია, საერთოდ პოეტური მოღვაწეობისა და კერძოდ, რომანისათვის „დოქტორი ჟივაგო“.

23 ოქტომბერს აღფრთოვანებულმა პოეტმა შვედეთის აკადემიის მდივანს ასეთი დეპეშა გაუგზავნა: „უსაზღვროდ მადლობელი და გულაჩუყებული ვარ. ვამაყობ გაოცებული და დარცხვენილი“.

„ლიტერატურნაია გაზეტას“ რეაქცია ამ მსოფლიო

მნიშვნელობის ფაქტზე, მოკლე და ცინიკური იყო: „პასტერნაკმა მიიღო იუდას ოცდაათი ვერცხლი“.

29 ოქტომბერს პასტერნაკმა მეორე დეპეშა გაგზავნა შვედეთში:

„იმ მნიშვნელობის გამო, რასაც ანიჭებს თქვენს მიერ მოცემულ ჯილდოს საზოგადოება, რომელსაც მე ვეკუთვნი, უარი უნდა ვთქვა საპატიო პრემიაზე. გთხოვთ, ნუ გეწყინებათ ეს ნებაყოფლობითით უარი“.

რა მოხდა?

საქმე ისაა, რომ „დოქტორ ჟივაგოს“, რომელიც მართლად პატიოსნად და დიდი მხატვრული ძალით ასახავს სისხლიან რევოლუციას და ძმათამკვლელ სამოქალაქო ომს დანახულს ინტელიგენტი კაცის, იური ჟივაგოს თვალით, გააფთრებული კბილთახრჭენით შეხვდნენ სამთავრობო თუ ლიტერატურულ წრეებში, რომანისთვის ნობელის პრემიის მინიჭება საბჭოთა მწერლობის კომპეტენციის შელახვად ჩათვალეს და ქვეყნის საშინაო საქმეებში უხეშ ჩარევად მიიჩნიეს.

ცხადია, საჩქაროდ მოიწვიეს აქტივისტთა კრება. თოთხმეტი მწერალი ავიდა ტრიბუნაზე, რიგში უფრო მეტი იდგა გაბოროტებული, სისხლმოწყურებული. პასტერნაკს უწოდეს „ცივი ომის“ მედროშე, აგრეთვე, „საბჭოთა მწერლობის ვლასოვი“ და პირდაპირ მიანიშნეს, რომ თავის დროზე, ვლასოვი ჩამოხრჩობილ იქნა, ვითარცა მოღალატე.

მერე ის იყო, დიდი პოეტი მწერალთა კავშირიდან გარიცხეს, ხოლო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, ხრუშჩოვის უშუალო მითითებით, გამოვიდა ცეკას პირველი მდივანი, სემიჩასტნი და თქვა:

„როგორც რუსული ანდაზა ამბობს, კარგ ფარაშიც გამოერევა ხოლმე ერთი ქეციანი ცხვარი. ჩვენს სოციალისტურ საზოგადოებაში ამგვარი ქეციანი ცხვარი გვყავს პასტერნაკის სახით, რომელმაც საზღვარგარეთ გამოაქვეყნა თავისი ცილისმწამებლური, ეგრეთწოდებული „ნაწარმოები“.

შემდეგ, სემიჩასტნიმ განაგრძო:

„ორმოცდაათი წლის მანძილზე ცხოვრობდა სოციალისტურ ქვეყანაში, ორმოცდაათი წლის მანძილზე იკვებებოდა იმ ხალხის პურითა და მარილით, რომელიც ახალ საზოგადოებას აშენებს ძველის ნანგრევებზე, რომელიც შრომობს და იბრძვის. ხოლო პასტერნაკი ცხოვრობდა ჩვენს საშუალო მშრომელზე გაცილებით უკეთესად. ახლა კი აიღო და ხალხს პირში მიაფურთხა. რა უნდა ვუწოდოთ ამას? ზოგჯერ ჩვენ, სხვათა შორის, სრულიად

დაუმსახურებლად, ვლაპარაკობთ ღორზე, ვამბობთ, რომ იგი ასეთი და ისეთია... მე უნდა მოგახსენოთ, რომ ეს გახლავთ ცილისწამება ღორის მიმართ. ყველამ, ვისაც საქმე ჰქონია ამ პირუტყვთან, მშვენიერად იცის, რომ ღორი არასოდეს წაბილწავს იმ ადგილს, სადაც ჭამს. არასოდეს წაბილწავს იქაურობას, სადაც სძინავს. ამიტომაც, თუკი შევადარებთ პასტერნაკს ღორთან, მე ვიტყვი, რომ ღორიც კი არ ჩაიდენს იმას, რაც პასტერნაკმა ჩაიდინა".

ამ სიტყვებს აუდიტორიის მქუხარე ტაში მოჰყვა.

პოეტი, რომელიც შოპენის ნოქტიურნებისა და ქართული ხალხური სიმღერების მოსმენისას ცრემლებს ვერ იკავებდა, რომელსაც თავის უპირველეს მოთხოვნილებად და ბედნიერებად დაუცადებელი შემოქმედებითი შრომა მიაჩნდა, ეიგინდარებმა ღორადაც არ ჩათვალეს!

მაგრამ პასტერნაკს პიროვნული ღირსება არ დაუკარგავს. აი, რა მისწერა მან იმ სამარცხვინო კრების მონაწილეებს:

„მე ვიცი, რომ საზოგადოების ზემოქმედებით დადგება საკითხი მწერალთა კავშირიდან ჩემი გარიცხვისა. მე არ ველოდები თქვენგან სამართლიანობას: შეგიძლიათ დამხვრიტოთ, გადამასახლოთ, მოიმოქმედოთ ყველაფერი, რასაც მოისურვებთ და მე წინასწარ მინდა შეგინდოთ! მაგრამ ნუ აჩქარდებით! იცოდეთ, ეს არ შეგძენთ არც ბედნიერებას, არც სახელს. და გახსოვდეთ, რომ რამდენიმე წლის შემდეგ, თქვენ მოგიწევთ ჩემი რეაბილიტაცია".

წინასწარმეტყველება ზედმიწევნით ახდა!

მართალია, პოეტი გადარჩა ფიზიკურ განადგურებას, ან უკეთეს შემთხვევაში, ა. სოლჟენიცინის მსგავსად, სამშობლოდან გაძევებას, მაგრამ გადარჩა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სულიერად უკიდურესად გვემული, დამცირებული და შეურაცხყოფილი, მხილველი ბოგანო ადამიანთა ამაოების ბაზრისა, გარდაიცვალა 70 წლის ასაკში. იგი, საკვირველია, კიდევ იცოცხლებდა ერთ ხანს, რომ არა ასეთი არნახული და არსმენილი, ღრმად უზნეო და უკიდურესი სახელმწიფო პოლიტიკა, მწერლის პიროვნებისა და მისი რომანის „დოქტორ ჟივაგოს" მიმართ; არ დაგვაეიწყდეს, დღეს ეს წიგნი XX საუკუნის მწერლობის მშვენებად არის აღიარებული.

რაღაა სათქმელი? უხერხდება ამ სულისშემძვრელ ფაქტს რაიმე კომენტარი?

არა მგონია!

აქედან განსაჯეთ, თუ რამდენად „დათბა" ე. წ. საბჭოთა ლიტერატურაში ხრუშჩოვის ზეობის ჟამს და იყო თუ არა იგი „ერთადერთი ლიდერი, რომელსაც ადამიანური ღირსება გააჩნდა".

პირიქით, მის დროსაც „დიდი წარმატებით“ გრძელდებოდა შემოქმედებით ინტელიგენციაზე მიმძლავრების შავბნელი პროცესი. არამცთუ იკლო, იმატა კიდეც ტოტალურმა შიშმა, მისგან მომდინარე მაამებლურმა სიცრუემ, კონფორმიზმმა და მუცელზე მონურმა ხოხვამ.

ეს ყოველივე, რაღა თქმა უნდა, მთელი სისრულით ერცელდებოდა ქართულ მწერლობაზე და მწერლებზეც. ენა როგორ უნდა მოგიბრუნდეს კაცს სათქმელად, მაგრამ ფაქტი ჯიუტია: ლიტერატორისთვის შეუდარებლად იოლი იყო ცხოვრება და მუშაობა იმ „პირსისხლიანი“ ცარიზმის დროს, ვიდრე საბჭოთა დიქტატურის პირობებში. XIX საუკუნის ქართული მწერლობა სამუდამოდ დარჩება იდეალად მაღალი ჰუმანიზმისა და ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლისა, მაშინ როცა, „საბჭოთა ლიტერატურა“ კლასიკური ნიმუშია დეჰუმანიზაციისა და ეროვნული მისწრაფებების არაადამიანური ჩაკვლა-ჩახშობისა. 1921 წლიდან მოყოლებული, თითქმის ვერ დავასახელებთ ვერცერთ ჭეშმარიტ შემოქმედს, რომელიც ასე თუ ისე, ტრაგიკული ტვიფარით არ იყოს აღბეჭდილი. ამას ცხადია, ჰქონდა თავისი ობიექტური, თუ სუბიექტური მიზეზები. უპირველეს ყოვლისა კი ის, რომ "საბჭოთა შემოქმედებითი ინტელიგენცია“ უხეშად რომ ვთქვათ, „შეეკრა“ და მხარში ამოუდგა სისხლიან, ბოროტ ძალას - საბჭოთა დიქტატურას, შეიქნა მის უკეთურ საქმეთა მეხოტბე და თავგამოდებული იდეოლოგი. სჯეროდა, რომ სწორად იქცეოდა, თუ მოტყუებული იყო? ან, ეშინოდა, რომ მოსპობდნენ? ან იქნებ ბუნებით იყო მლიქვნელი? კიდევ შეიძლება სხვადასხვა მიზეზთა ჩამოთვლა, მაგრამ ახლა ეს არაა მთავარი. არსებითია ის, რომ შემოქმედებითმა ინტელიგენციამ სისხლიან დიქტატურასთან ტანდემით, ნებსით თუ უნებლიედ, უნდოდა მას ეს, თუ არ უნდოდა, ხელი შეუწყო ბოროტების აღზევებას, დამკვიდრებასა და განმტკიცებას.

ამას საბჭოთა ლიტერატურის ისეთი „ბოსიც“ არ უარყოფს, როგორიც ირაკლი აბაშიძე იყო. პირიქით, ადასტურებს კიდეც, თავის მრავალმხრივ საყურადღებო მემუარებში „ზარები ოცდაათიანი წლებიდან“ (მნათობი, 1992, №1).

აი, რას წერს იგი:

„მოხდა საქართველოს გასაბჭოება და ვთქვათ პირდაპირ, საბჭოთა სინამდვილეს სასიცოცხლოდ დასჭირდა მწერლობითა და ხელოვნებით გვერდის გამაგრება, მწერლობისა და ხელოვნების გვერდით ამოყენება. ძნელია გავიხსენოთ სხვა ეპოქა, როცა მწერლობასა და ხელოვნებას ასეთი დიდი როლი დაკისრებოდეს და მინიჭებოდეს ხალხის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. უსაზღვროდ

გაიზარდა მწერლის ფასიც, და უნდა ითქვას, დაფასებაც".

საესებით მართალია, დიახაც „უსაზღვროდ გაიზარდა". მაგრამ როგორი მწერლის ფასი გაიზარდა? მხოლოდ იმისი, ვინც პარტიის „ხაზს" უკმევდა გუნდრუკს და ხალხში მისი ერთადერთობის იდეას დაუღალავად ნერგავდა. ხოლო ვინც უკეთესად შეასრულებდა ამ „საპატიო" მისიას, დაფასებაც განაღდებული ჰქონდა. მწერალი უზენაესი ხელისუფლების ოფიციალური დანამატი შეიქნა.

აი, სწორედ აქ არის საძებნი ჩვენი შემოქმედი ინტელიგენციის ტრაგიზმის წყარო და სწორედ ამით განსხვავდება იგი XIX საუკუნის დიდი ინტელიგენციისაგან, რომელიც ბილწთ არასოდეს შეჰკერია ზავით. ამიტომაც იყო, რომ მრავალი საბჭოთა მწერალი მოესწრო ყველაზე საშინელ რასმე: სიცოცხლეშივე შემოქმედებით სიკვდილს. სატანასთან წილნაყარობას განგება არავის პატიობს. მაგალითები ბევრია და ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

ქვემოთ საუბარი მექნება რამდენიმე მწერალზე. ესენია: მიხეილ ჯავახიშვილი, გრიგოლ რობაქიძე, პაოლო იაშვილი, ვახტანგ კოტეტიშვილი, პაოლე ინგოროყვა, ალექსანდრე აბაშელი და კონსტანტინე გამსახურდია. ამ შემთხვევაში, მე მაინტერესებს საკითხი, თუ როგორ აირეკლა მათს პიროვნებებში (აგრეთვე შემოქმედებაშიც), საბჭოთა დიქტატურასთან ურთიერთობა.

ყველა ეს მწერალი ღრმად ტრაგიკული პიროვნება იყო: მიხეილ ჯავახიშვილს ჩეკას ჯურღმულებში ამოხადეს სული. გრიგოლ რობაქიძემ მოახერხა საზღვარგარეთ გაღწევა, სიცოცხლე შეინარჩუნა, დიდი სულიერი ფასეულობანიც შექმნა, მაგრამ მტანჯველმა ნოსტალგიამ მოუშხამა ყოფა. პაოლო იაშვილმა თავი მოიკლა, ვახტანგ კოტეტიშვილი არ დანებდა და მოსპეს, პაულე ინგოროყვა შეგნებულ კომპრომისზე წავიდა და ამით მომავალი დიდი შემოქმედება გადაარჩინა, ალექსანდრე აბაშელი სიცოცხლეშივე მოესწრო საკუთარ შემოქმედებით სიკვდილს, ხოლო კონსტანტინე გამსახურდიამ უღრმესი მეტამორფოზების გზა გაიარა: გააფთრებული ანტიბოლშევიკიდან - ზომიერ კონფორმისტად გარდაიქმნა და ღრმა მოხუცებულობამდე იცხოვრა დიდებულ „კოლხურ კოშკში".

რაღა მაინცდამაინც ეს მწერლებიო, შეიძლება იკითხოს ვინმემ. მოგახსენებთ: ჯერ ერთი იმიტომ, რომ ისინი საუკეთესონი არიან საუკეთესოთა შორის. მეორე: მათ ცხოვრებასა და შემოქმედებაში კარგად ირეკლება ე. წ. საბჭოთა ლიტერატურის უკიდურესად ტრაგიკული ყოფა. და ბოლოს: ნაშრომის მოცულობის დასაზღვრულობისა გამო, საშუალება არ გამაჩნია, რომ სხვა ავტორებსაც დავუთმო ყურადღება, მაგალითად, გალაკტიონს, რომელზედაც მზად მაქვს ცალკე მონოგრაფია სათაურით: „ხელოვანის ტრაგედია".

თავი პირველი

„რევოლუცია ჩემთვის უდიდესი ტრაგედიაა“

იდგა წელი 1954. პიონერთა სასახლეში, სადაც მე ლიტერატურის წრეში დავდიოდი, მწერალთა ყრილობაზე დასასწრები მოსაწვევი ბარათი მომცეს. ყრილობა მინისტრთა საბჭოს სხდომათა დარბაზში მიმდინარეობდა. დარბაზში არ შემიშვეს, ბალკონისაკენ მიმითითეს. ვხედავ: ტრიბუნაზე ირაკლი აბაშიძე დგას და, ახლაც ბურძგლებს მაყრის, ამას რომ ვიხსენებ: მადლობა მშობლიურ პარტიას, ქართულ საბჭოთა მწერლობის რიგებს მ. ჯავახიშვილი, ტ. ტაბიძე და პ. იაშვილი რომ დაუბრუნაო (რაღაც ამგვარი თქვა). დარბაზში ტაშმა იქუხა, რაც დიდ ხანს არ დამცხრალა. ადამიანები ტიროდნენ, ერთმანეთს ეხვეოდნენ და კვლავ ტაშის ცემით ასკდებოდათ ხელისგულები. მე მაშინ უკვე წაკითხული მქონდა მ. ჯავახიშვილის წიგნები, წაკითხული შიშითა და მალვით. აჰა, როგორც იქნა დამთავრდა მწერლისთვისაც და მკითხველისთვისაც უკიდურესად დამამცირებელი ეითარება, მ. ჯავახიშვილმა როგორც იქნა, გამოარღვია ქვის ჯავშანი და მთელი თავისი სიდიადით წამოიმართა ჩვენს წინაშე. „მშობლიურმა პარტიამ“ დაგვიბრუნა მწერალი და ჩვენ მადლობა უნდა გვეთქვა, თითქოს იგივე „მშობლიურ პარტიას“ არ მოესპოს იგი.

დამთავრდა ტრაგედიის ბოლო აქტი. გააფთრებული ბრძოლა, რომელიც საბჭოთა დიქტატურის მესვეურებმა ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე წამოიწყეს ინტელიგენციის, კერძოდ კი მწერლების წინააღმდეგ, მათი სრული მარცხით დასრულდა. მიხვილ ჯავახიშვილმა, საბოლოო ანგარიშით, ომი მოიგო, მაგრამ თვითონაც დაიღუპა.

მე არ ვიცოდი, ან საიდან უნდა მცოდნოდა, თურმე ხსენებულ ყრილობას ესწრებოდა მიხ. ჯავახიშვილის ქალიშვილი ქ-ნი ქეთევან ჯავახიშვილი. ადვილი წარმოსადგენია ის განცდები, მას რომ დაეუფლებოდა სათაყვანებელი მამის მკვდრეთით აღდგომის გამო. გავა მრავალი წელი და ქ. ჯავახიშვილი დაწერს:

„ხალხი სიხარულით შეხვდა მამას რეაბილიტაციას, რასაც ვერ ვიტყვი ჩვენს სახელოვან მწერლებზე, უფროს თაობაზე, რომლებსაც მისი ყოველი გამოქვეყნებული ნაწარმოები, რატომღაც

ელდას გვრიდა და აბოროტებდა. რასაკვირველია, ამას ყველაზე ვერ ვიტყვით, მაგრამ იყო რამდენიმე მწერალი, რომელიც მწვავედ განიცდიდა ამ ამბავს. ეს იყო შურის გრძნობა, რომელიც ყოველ წუთს იგრძნობოდა და რაც მათ მოსვენებას უკარგავდა. ბედის ირონია იყო ალბათ მათთვის, რომ ისინი მამას რეაბილიტაციას მოესწრნენ. ეს ამბავი ლახვარივით მოხვდათ გულზე. არ მოელოდნენ საქმის ამნაირ შემობრუნებას და გაბოროტებულები, ვეღარ მალავდნენ თავიანთ განწყობას, მე კი თვალს მარიდებდნენ.

მამას ყოფილი მეგობრებიდან ახლოს არ გამეკარა და შეხვედრისას თავი ამარიდა ილო მოსაშვილმა, სანდრო შანშიაშვილმა, კოწია ლორთქიფანიძემ, ბესო ჟღენტმა და სხვა მწერლებმა. თითქოს ვერ დამინახეს".

ზემოჩამოთვლილ მწერლებს რომ ქ-ნ ქეთევანთან მისასვლელი პირი არ ჰქონდათ, ეს ცხადზე უცხადესია, რაშიც იოლად დარწმუნდება ყველა, ვინც ამ ნაშრომს ბოლომდე ჩაიკითხავს. ქვემოთ ჩვენ, კიდევ არაერთხელ მოგვიწევს მათი გვარების ფრიად უსიამოვნო კონტექსტში მოხსენიება.

მანამდე კი ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას ქალბატონ ქეთევან ჯავახიშვილის წიგნებზე, რომელიც მისი დიდი მამის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმია მიძღვნილი. ჩემს წინაშეა სამი ტომი: 1. მიხეილ ჯავახიშვილი (ცხოვრება და მოღვაწეობა, „მერანი" 1984). 2. მიხეილ ჯავახიშვილი (ბელეტრისტი, პუბლიცისტი, „საბჭოთა საქართველო" 1989 წ.). 3. მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება, („მერანი" 1991 წ.)

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ეს წიგნები უნიკალურია თავისი ღირებულებით. ქ. ჯავახიშვილს, არაპროფესიონალ ლიტერატორს, გაუკეთებია თითქმის შეუძლებელი: იმ ძნელბედობის ჟამს, როცა მ. ჯავახიშვილის სახელის ხსენებაც დიდი რისკის გაწევას უდრიდა, ჯიუტი შეუპოვრობით, ნამცეც-ნამცეც უგროვებია მწერლის ირგვლივ არსებული მნიშვნელოვანი თუ ნაკლებ-მნიშვნელოვანი მასალა, ერთ თარგზე გაუწყვია და სამ მოზრდილ ტომად აკინძული, მიუწოდებია მკითხველისათვის. ამ წიგნებში თავმოყრილი მასალის დიდი უმეტესობა პირველად ქვეყნდება. რას არ ნახავთ აქ: უაღრესად საინტერესო შენიშვნებს უბის წიგნაკებიდან, მინაწერებს წაკითხულ წიგნთა არშიებზე, ნაწყვეტებს დღიურებიდან, პირად წერილებს - მწერლის მიერ გაგზავნილს, თუ მისდამი გამოგზავნილს, მოგონებებს, ვრცელ სტენოგრაფიულ ანგარიშებს სხვადასხვა კრებებისა, რაც ცოცხლად, ხელშესახებად აღადგენს ოცდაათიანი წლების კოშმარულ ვითარებას, გამოხმაურებას მ. ჯავახიშვილის ამათუიმ წიგნზე და

მრავალი სხვა. ერთი სიტყვით, აქ არის მთელი სამყარო, სულის მღელვარე ისტორია, მიხეილის ბავშვობიდან მოყოლებული, მოწამეობრივ აღსრულებამდე.

ახლა, როცა სრულიად მკაფიო მიზეზებისა გამო, უარსაყოფია და მეთოდოლოგიურად დასაგმობი მთელი ის შრომა, რაც ამ სამოცდაათი წლის მანძილზე გასწიეს ლიტერატურის პარტიულობის პრინციპით შთაგონებულმა ნაფიცმა კრიტიკოსებმა და ლიტერატურის ისტორიკოსებმა, როცა თითქმის ყველაფერი, მათ მიერ ხელდასხმული, უნდა განიხილებოდეს, როგორც სიცრუისა და დემაგოგიის პირველხარისხოვანი ნიმუშები, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქ. ჯავახიშვილის სამტომიანი ნაშრომი დარჩება, როგორც შეუნაცვლებელი პირველწყარო მ. ჯავახიშვილის რთული და მრავალწახნაგოვანი შემოქმედების შესასწავლად. აქ მკვლევარი, დღესაც და მომავალშიც, უხვად იპოვის თავისთვის საინტერესო „საზრდოს“. როდესაც წინამდებარე ნარკვევზე მუშაობას შევუდექი, კიდევ ერთხელ გადავიკითხე ქ-ნ ქ. ჯავახიშვილის წიგნები და საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ აქ ისეთი სიუხვეა ფაქტოლოგიისა, ბიოგრაფიული, თუ შემოქმედებითი თვალსაზრისით, რომ ოღონდ მოერიოს და, თავსაყრელად ეყოფა მკვლევარს. მე, როგორც საქმეში ჩახედული მკითხველი თავადაც დარწმუნდება, ხელგაშლილად დავესესხე ქ. ჯავახიშვილის ნაშრომებს, განსაკუთრებით ეს ითქმის ფაქტოლოგიაზე, რომლებზედაც მხოლოდ ამ მონოგრაფიების წყალობით მიმიწვდა ხელი. ოღონდ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ფაქტების ჩემებური „მონტაჟი“ გავაკეთე და მათი ინტერპრეტაციაც, ე. ი. ფაქტების „წაკითხვა“, მხოლოდ ჩემეული გახლავთ. აქვე ვიტყვი, სქოლიოების მითითებით, რაც ნამეტანი უხვი გამოვიდოდა, აღარ გადავღალე მკითხველის ყურადღება.

ახლა კი რამდენიმე სიტყვა თვით ქ-ნ ქ. ჯავახიშვილზე:

ბედი ძალზე უამურად მოექცა მას. ბავშვობასა და ადრეულ ქალიშვილობას თუ არ ჩავთვლით, რაც მან მამის ფრთებქვეშ გაატარა, ცხოვრებისაგან ტანჯვა-წვალებისა, დაუმსახურებელი შეურაცხყოფისა, უმადურობისა, ძალადობისა და ღალატის მეტი არაფერი უნახავს. მაინც არ გატყდა, სული არ გაიქავა, არ გაბოროტდა, მიმტევებლობის უნარი შეინარჩუნა და სათაყვანებელი მამის რწმენა არ დაკარგა. სწორედ ამ რწმენამ შეაძლებინა სამი ფუნდამენტური წიგნის დაწერა, ამ რწმენამ უკარნახა, რომ დახვეწილ, დარბაისელ ინტელიგენტად დარჩენილიყო. თავის დროზე, ყმაწვილქალობის ჟამს, მამას მის ალბომში „ჩვენი დროის ათი მცნება“ ჩაუწერია, რომელთაგან ბოლო, მეათე, ასეთი გახლავთ:

"ყველაფერი, რაც გაქვს და გექნება, შენი სიცოცხლეც კი, შენს მამულს ეკუთვნის. შენ ხარ მისი მუდმივი მოვალე და განუყრელი შვილი. მიეცი მას წრფელი გულით ყოველივე და ისიც მოგცემს ყოველივეს".

ცოტა მეეჭვება, რომ ბოლშევიკურმა მამულმა „ყოველივე მისცა" ქ-ნ ქეთოს, მაგრამ ის კი ცხადია და უეჭველი, რომ მან „წრფელი გულით" მთელი სიცოცხლე უძღვნა სათაყვანებელ საქართველოს, რისთვისაც მადლობა ეკუთვნის ჩვენგან, შთამომავალთაგან.

ერთ ადგილას ქ-ნი ქეთო ასე ახასიათებს მამას:

„მის გულს შიში არ გაჰკარებია. უშიშარი ბუნებისა იყო და გულმაგარი. თამამად იტყოდა ხოლმე, რაც გულში ჰქონდა: ყველას ენდობოდა, ყველასთან გულახდილი და გულწრფელი იყო, ყველას პირში ეუბნებოდა ავსაც და კარგსაც, ზურგსუკან ჩურჩული არ ეხერხებოდა. ხალასი ბუნება ჰქონდა და არაფრის არ ეშინოდა. მარტონი რომ დაერჩებოდით, მეტყოდა: „კარგად იცოდე, ცხოვრებაში არ უნდა იყო მხდალი. თუკი გრძნობ, რომ მართალი ხარ, ნურაფრისა გეშინიან, თამამად მოიქეცი. ამ ქვეყნად ადამიანი არც მძორი უნდა იყოს, არამხდალი. ხომ გაგიგია: მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირსუკანაო. მეც ასეთი ხასიათი მაქვს, მაგრამ ესენი (ე. ი. ბოლშევიკები თ. მ.) ვერ მიგებენ", ნაღვლიანი იტყოდა ხოლმე".

აი, ასეთ ვითარებაში, ასეთი მამის გვერდით იზრდებოდა ქეთევანი და, ბუნებრივია, უშიშრობა, შეუპოვრობა, პირდაპირობა და სხვა ღირსეული თვისებანი, დამამშვენებელი ადამიანისა, მას გენეტიკურად უნდა გადასცემოდა. გადაეცა კიდეც, მაგრამ შეუძლებელი იყო ესეც გულწრფელად არ ეღიარებინა:

„იმ დღიდან, რაც მამა წაიყვანეს, შიში ჩემი ცხოვრების თანამგზავრი გახდა. ეს შიში დღემდე მომდევს, სისხლში მაქვს, ვეღარ მოვიშორე"

მაგრამ ამის მიუხედავად:

„ვალდებული ვარ მომავალ თაობებს შემოვუნახო მწერლის მძიმე ცხოვრებისა და ტრაგიკული დასასრულის ყოველი წვრილმანი, რათა მათ სრული წარმოდგენა შეექმნათ მწერალზე და იმ დროზე, რომელშიც ის ცხოვრობდა და თაეის ნაშრომებს ქმნიდა. თაობებმა არაფერი იციან იმ მძიმე და სულისშემხუთველ ატმოსფეროზე, რომელიც მ. ჯავახიშვილის ირგვლივ სუფევდა და რომელმაც მისი სიცოცხლე შეიწირა. ახალგაზრდობამ არაფერი იცის იმ ბოროტ და თვალთმაქც ადამიანებზე, რომლებიც მწერლის გვერდით ცხოვრობდნენ, ზოგი მეგობრობდა კიდეც მას.

ყოველ ღამე ხალხს აპატიმრებდნენ. ყველა თავზარდაცემული, შეშინებული და გაოგნებული დადიოდა. თბილისში ნამდვილი საცოდაობა ტრიალებდა, არავის ესმოდა ირგვლივ რა ხდებოდა, ამდენი მოღალატე როგორ არსებობდა ქალაქში. ყველა ერიდებოდა საკუთარი აზრის გამოთქმას, დარდს გულში იტრიალებდა. ირგვლივ უნდობლობის ატმოსფერო სუფევდა. ეს იყო ინკვიზიციის ნაირსახეობა, რომელიც 1937 წელს საქართველოს ქარიშხალივით დაატყდა თავს. ენით აუწერელი ამბები ხდებოდა. აგვისტოს თვეში დაჭერებმა მასობრივი ხასიათი მიიღო და კულმინაციას მიაღწია. პატარა ერს, რამდენიმე თვის მანძილზე, ბრწყინვალე ინტელიგენციის დიდი და საუკეთესო ნაწილი გაუწყვიტა, მათი ოჯახები გაანადგურეს, ჩვილი ბავშვები დედის კალთას მოგლიჯეს და ბავშვთა სახლებში შეყარეს, უდანაშაულო დედები კი ციმბირში გადაასახლეს. უბედურების ტალღა მაინც ინტელიგენციას უფრო არჩევდა. საუკეთესოთა შორის საუკეთესონი უკვალოდ იკარგებოდნენ და სამუდამოდ იღუპებოდნენ. მთელი ოჯახები გოლგოთას გზას ადგებოდნენ. მათი მონაგარი ვიღაცეების ხელში გადადიოდა, იმათ ხელში, რომლებმაც თავიანთი ავკაცობით დაიმსახურეს ეს წყალობა".

„ვალდებული ვარ" - ამაყად ბრძანებს ქალბატონი ქეთევანი.

ხოლო ჩვენ, მრავალტანჯული, ყველაფრისმომსწრე და ყოლის გადამტანი ქართველი მანდილოსნების მიმართ დიდი მოკრძალებითა და პატივისცემით აღვსილებმა, უნდა ვთქვათ, რომ მან ღირსეულად მოიხადა თავისი მამულიშვილური ვალი. ქალბატონი ქეთევან ჯავახიშვილი აღესრულა 1985 წელს.

* * *

ვიდრე უშუალოდ ვნახავდეთ, თუ როგორ თანდათან, მაგრამ დაჟინებით გაუჯდა შიშის მომაკვდინებელი მეტასტაზები მიხეილ ჯავახიშვილის პიროვნებას - კანიბალთა შორის მოქცეულს, მანამდე ზედმეტი არ იქნება თვალი მივადევნოთ დასაწყისს, სათავეს მისი შემოქმედებითი გზისას. ეს იყო საუკუნის დამდეგი (1903 წ.), როცა მ. ჯავახიშვილმა, 23 წლის ჭაბუკმა, გამოაქვეყნა პირველი მოთხრობა „ჩანჩურა" და რამდენიმე სხვაც, ერთბაშად რომ გაუთქვეს სახელი და ადგილი აპოვნინეს იმდროინდელ ქართულ მწერლობაში.

მკითხველთათვის ცხადი შეიქნა, რომ მოდიოდა ახალი მწერალი, ახალგაზრდა კაცი, საკუთარი სათქმელითა და მხატვრული სტილისტიკით, რაც ამოზრდილი იყო და თან

ეფუძნებოდა კიდეც XIX საუკუნის ქართულ კლასიკურ ლიტერატურას, აგრეთვე, ევროპული ბელეტრისტიკის გამოცდილებასაც. არ უნდა დაგვავიწყდეს: ეს იყო დრო, როცა ცხოვრობდნენ და ჯერ კიდევ ნაყოფიერად იღვწოდნენ ჩვენი მწერლობის კორიფეები: ილია, აკაკი, ი. გოგებაშვილი, ვაჟა, დ. კლდიაშვილი, ვ. ბარნოვი, შ. არაგვისპირელი... ამ ფონზე გამოჩენა და საყოველთაო აღიარების მოპოვება, დიახაც საპატიო საქმე გახლდათ დამწყები მწერლისათვის. გაიელის ხანი და მ. ჯავახიშვილი დაწერს: „ქართული ენის მასწავლებლად ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და ვაჟა-ფშაველა მყავდა (მის პროზას ვგულისხმობ)".

თავისი დროის მეტრი ქართულ ლიტერატურულ-კრიტიკულ აზროვნებისა, კიტა აბაშიძე, მ. ჯავახიშვილისადმი მიძღვნილ სპეციალურ წერილში აღნიშნავდა: „იმ მწერალთა შორის, რომელთაც 1905 წლის რევოლუციის ეპოქაში იჩინა თავი, ყველაზე დიდი ყურადღების ღირსია მ. ჯავახიშვილი, რომელსაც უეჭველი ნიჭი აქვს მხატვრობისა და თავისებური მანერა წერისა. ამ მანერაში ნატურალიზმი და რომანტიზმია შედუღებული".

ეს ძალზე მაღალი შეფასება იყო. შეიძლებოდა მოხმობა სხვათა გამონათქვამებისა, რომლებიც დიდ მწერლურ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ მ. ჯავახიშვილს (მაგ. გ. რცხილაძე „ზანგი"), მაგრამ ეს აგვაცდენდა მიზანს. აქ უნდა ითქვას მთავარი: მ. ჯავახიშვილი, იმთავითვე, საუსებით ბუნებრივად „ჩაეწერა" იმ ქართველ ინტელიგენტთა რიგებში, რომლებიც XIX საუკუნიდან მოდიოდნენ და რომელთა ინტერესების სფერო ერთ წერტილში იყრიდა თავს: ეს იყო ეროვნული საკითხი, თავდადებული მსახურება სამშობლოს საკეთილდღეოდ და ბრძოლა რუსის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ, ბრძოლა თავისუფლებისათვის. მ. ჯავახიშვილმა ამ საზოგადოებაში ჰპოვა რეალური საზრდო, რომელიც მისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო. ამან, რაღა თქმა უნდა, ბევრწილად განაპირობა კიდეც მ. ჯავახიშვილის პიროვნული ჩამოყალიბება და დადგინება.

აქ შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ილია ჭავჭავაძის სახელს, რომელსაც მწერლის შემოქმედებით და სულიერ ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა: „14 წლის ყმაწვილმა უკვე ვიცოდი ვინაობა და რაობა იმ საუკუნის კლასიკოსებისა. ისიც ვიცოდი, რომ ყველაზე დიდ მწერლად, მოღვაწედ და ქართველთა მეურვედ ილია ჭავჭავაძე ითვლებოდა", წერს ერთგან მ. ჯავახიშვილი. ილიამ მართლაც ღრმა კვალი დაამჩნია ჭაბუკის სულიერ სამყაროს. მომავალმა მწერალმა, ცხადია, არ იცოდა, რომ ათიოდე წლის შემდეგ მოუწევდა სამწერლო ასპარეზზე

გამოსვლა, ილიასეულ „იერიაში“ თანამშრომლობა და საკმაოდ ახლო პირადი კონტაქტები მასთან. მით უმეტეს, არ იცოდა, რომ მათი ცხოვრებისა და შემოქმედების ფინალი ერთნაირი იქნებოდა: ილია ჭავჭავაძესაც სოციალ-დემოკრატებმა განუგმირეს შუბლი (1907) და მიხეილ ჯავახიშვილსაც რსდმპ (ბ) პარტიის წევრებმა მოუსწრაფეს ტანჯული სიცოცხლე, ზუსტად 30 წლის შემდეგ. და კიდევ: განა ბედის ირონია არ არის, რომ ფ. მახარაძის „მოგზაურში“, ვიღაც ნაძირალა ნაცვლიშვილი სიცოცხლეს უმწარებდა ილიას, ხოლო მ. ჯავახიშვილის დაკითხვებისა და წამების საქმეში, აგრეთვე, სახელმწიფო უშიშროების ლეიტენანტი, ვინმე ნაცვლიშვილი აქტიურად მონაწილეობდა? (იხ. ქ. ჯავახიშვილის „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება“, ბოლოსიტყვა რამაზ შიშნიაშვილისა).

მოვიყვან რამდენიმე ამონაწერს მ. ჯავახიშვილის უბის წიგნაკიდან, რაც მეტ ნათელს მოჰფენს მის დამოკიდებულებას ილია ჭავჭავაძის პიროვნებისა და ღვაწლისადმი:

„ილია ჭავჭავაძე იყო ქართველი ერის მედროშე, რომელმაც სანიმუშო დროშა მოჰქსოვა ეპოქისათვის“.

„ილიას თვითმჯერობა უსაზღეროა: ის გრიგალივით შემოიჭრა და არა შემოვიდა ქართველთა ცხოვრებაში. იგი ტიტანივით ესვრის ლოდებს ჩვენს ნაკლს, ჩამორჩენას, ცრუმორწმუნეობას“.

აქვეა შეფასება ილიასი, როგორც ორატორისა:

„ილია ჭავჭავაძის საჯარო ლაპარაკი რამდენჯერმე მოვისმინე. საოცარი ორატორი იყო. არ აღელდებოდა, კილოს არ აუწევდა. თავი რკინის ძეგლივით ეჭირა, მოპირდაპირეს იშვიათად შეაწყვეტინებდა, და თუ რამდენიმე სიტყვას მიაწოდებდა, მისი რეპლიკა მუდამ იყო მომაკვდინებელი. ხმა ძლიერი ჰქონდა, ლოგიკის ძალა - უნაკლო, დაუნდობარი, რკინისებური, ლაპარაკის მანერა ბოლომდის დინჯი, მაგრამ შეუბრალებელი, მკვეთრი, განმგმირავი, ზოგჯერ ზომიერად ირონიული, მაგრამ მუდამ ზრდილობიანი, დარბაისლური. მოპირდაპირის სუსტალაგებს ფოლადის მარწუხივით დასწვდებოდა და ჰგლეჯდა, ათრევდა და მანამდის სთელავდა, სანამ საბოლოოდ არ მოსპობდა. არა თუ ილიას ტოლი, მისი ტიპის ორატორიც აღარ მომისმენია“.

ამ რამდენიმე სტრიქონში პორტრეტის სიტყვიერი ხატვის მშვენიერი ნიმუშია გაცხადებული. ასევე მშვენიერია აღწერა ილია ჭავჭავაძესთან შეხვედრისა. ნაღველის მომგვრელიც. ეს ის დროა, როცა იგი, ილია, სოც-დემოკრატებისაგან უკიდურესად დევნილი და გვემული, როგორც იტყვიან, „ქუთხეშია მიმწყვდეული“ და დღეს თუ ხვალ, უნდა ჩამორეკოს ჟამმა საბედისწერომ.

„1906 წლის გაზაფხულზე ავადმყოფ ილია წინამძღვრიშვილის სანახავად მივედი. მალე ილია ჭავჭავაძეც შემოვიდა, ავადმყოფი მოიკითხა და საუბარი გაიბა. შაბნელი აზრებით იყო შეპყრობილი. ჯერ „ივერიის“ ბედი გაიხსენა. ეს გაზეთი მისი ნაშვილევი იყო, იგი რამდენიმე ათეულ წელიწადს ზიდა, მერმე თავის ერთგულ ა. სარაჯიშვილს გადასცა, მან ილიას გზით მაყალ ყიფშიძეს ჩააბარა, ამან კი - ამ ახალგაზრდას გადაულოცაო - სთქვა ილიამ ჩემზე და შემდეგ გოგიჩაიშვილსაო. ეს კიდევ არაფერი. ერთმა გაზეთმა ილია ფეოდალად და გლეხების მტანჯველად გამოაცხადა. - გესმის, ილიაე, თურმე ხალხის მტერი ეყოფილვარ! შეოთავდა ჭავჭავაძე, ფეოდალი ეყოფილვარ, ბატონყმობის აღდგენა მსურვებიაო!

მე და ილია წინამძღვრიშვილი ვლამობდით ილია დაგვეწყნარებია, მაგრამ ის ვეღარ ისვენებდა. ახალმა თაობამ ჩემდამი უმადურობა გამოიჩინაო. ვიღაც ვიგინდარამ ილიას სახელს წუმპე შეასხა, სიყალბით სავსე კორესპოდენცია შეთითხნა. „ივერიამ“ იგი „მოგზაურიდან“ გადმობეჭდა და შემდეგ უარესიც ჩაიდინა: ილიას პასუხს, „ნუთუს“ შენიშვნა დაურთო, ზოგ რამეს არ ვიზიარებთო, ესე იგი - ილიამ საკუთარი თავი ვერ იმართლაო. ამ დროს მეც „ივერიაში“ ვმუშაობდი.

ყმაწვილო, ნუთუ ამ შენიშვნამ არ გაგაწითლათ? მომიბრუნდა ჭავჭავაძე.

მე თავი ვიმართლე: წერილისა და შენიშვნისა წინასწარ არაფერი ვიცოდი-მეთქი.

იმ უსინდისომ, (კორესპოდენციის ავტორმა მ. ჯ.), ალბათ კარგად იცის, განაგრძო ილიამ, რომ მე ვცადე, საგურამოში ეკზეკუცია არ გაეგზავნათ. ჩემ მოურავსაც კი მივწერე: ყველა ზომა იღონე, რომ ხალხი არ დააწიოკონ-მეთქი“.

თოფი მაინც დაიცალა. მოხდა საუკუნის მკვლელობა. მოგვიანებით მ. ჯავახიშვილი დაწერს: „საქართველოს აგონია წიწამურში დაიწყო, 1907 წლის აგვისტოში“ ამ აგონიამ იარა, იგორა, ძალა მოიკრიბა, ბოლოს იბარტყა, სისხლიანი საბჭოთა რეჟიმი შობა და თვითონ მ. ჯავახიშვილიც დაუნდობლად გასრისა.

სულისშემძვრელია და ღრმად სიმბოლურ ხასიათს ატარებს მწერლის პატარა მოგონება ი. ჭავჭავაძის ნეშტის საგურამოდან გამოსვენების წინ:

„არ დამავიწყდება ის ღამე. სხვებმა დამასწრეს და ლოგინები დაიკავეს. დარჩა მხოლოდ ერთი ბალიში, ილიას სისხლით მოსერილი ბალიში, რომელიც მოკვლის დროს ზურგსუკან ედო. ბევრი ყოყმანის შემდეგ ძლივს გავბედე: ის ბალიში კაკლის ქვეშ, წყაროსთან დავდე, სადაც მრავალი დაუვიწყარი საათი მქონდა გატარებული,

ზედ ცხვირსახოცი დავაფარე და ფსიქიურად დატანჯულმა და ფიზიკურად დაქანცულმა, მამლის ყივილისას ძლივს ჩავიძინე".

დიახ, ილია ჭავჭავაძესაც და მიხეილ ჯავახიშვილსაც ერთიდაიგივე ბალიშზე ედოთ თავი, ორივე ზვარაკი იყო იმ განუკითხავი ვაკხანალიისა, რომელიც საუკუნის დამდეგს გააჩაღეს სოციალ-დემოკრატებმა და აგერ, ჰა, თითქმის ჩვენს დღემდე მოაღწევინეს. ბოლშევიკებს გააფთრებით ეწადათ: როგორმე გაეწყვიტათ, გადაეჭრათ კულტურული მემკვიდრეობისთვის ის ჯაჭვი, რომელიც ერის სასიცოცხლო ინტერესებში იღებს სათაველს. ამით ისინი საბოლოოდ დაბინდავდნენ ერის ისტორიულ-კულტურულ მახსოვრობას, რის შემდეგაც მისი მართვა, იოლზე იოლი საქმე იქნებოდა. ამიტომ იყო, რომ გამუდმებით უღრენდნენ ილია ჭავჭავაძეს, შხამით უმასპინძლდებოდნენ, ამიტომ გააქრეს მ. ჯავახიშვილის სახსენებელი და ტაბუ დაადეს მის გვარს, - თითქოს საერთოდ არ არსებულიყოს.

მ. ჯავახიშვილი გულისტკივილით წერდა (1936 წ.):

„ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ გალაშქრება ახალი არ არის, ამ დარბაზში ბევრჯერ მოგვისმენია. შვიდი-რვა წლის წინათ რამდენიმე ჭაბუკი ლაპარაკობდა ილია ჭავჭავაძეზე, ისინი ერთმანეთს უმტკიცებდნენ: დიდი მწერალი კი არა, იქნებ მწერალიც არ იყოსო. ილიას შეყვანა ლიტერატურის ისტორიაში არ შეიძლებაო და ამიტომ სახელმძღვანელოებიდანაც ამოვაგდოთო. იმ დროს მე და რამდენიმე მწერალი ამის წინააღმდეგ გამოვედით".

იცოდა მ. ჯავახიშვილმა, კარგა იცოდა, რასაც ნიშნავდა ქართველთავის ილიას მიმართ ასეთი უგვანო დამოკიდებულება. ეს ჯერ კიდევ მაშინ იცოდა, როცა ახალგაზრდა კაცმა, სოციალ-ფედერალისტების ყოფილმა წევრმა, თავის დღიურში ჩაინიშნა:

„ფედერალისტების პარტიიდან გაედი (1907 წ.) ოთხი მიზეზისა გამო: 1. პარტიამ ერთა გამიჯვნის ეთნოგრაფიული პრინციპი აღიარა. ე. ი. რამდენიმე მაზრას სომხებს უთმობდა. 2. პარტიაში მრავალი ანარქისტი შეუშვა. 3. სოციალიზმი არ მწამდა და 4. ილია ჭავჭავაძის მკვლელს, სოციალ-დემოკრატიას პასუხისმგებლობა მოხსნა".

ამ ოთხი პუნქტიდან ჩვენთვის, ამჟამად, ბოლო ორია საინტერესო: მესამე, სოციალიზმი არ მწამდაო და მეოთხე, როცა მწერალმა სოციალ-ფედერალისტების ეროვნულ პარტიას არ აპატია ილიას ბარბაროსულ მკვლელობასთან შედარებით ლოიალური დამოკიდებულება და დემონსტრაციულად მიატოვა იგი. ამასთან დაკავშირებით, მისი ერთი მოგვიანო ხანის ჩანაწერი უნდა შემოგთავაზოთ:

„2.VI - 25 წელს მუხრანში ვიყავი. ილიას მკვლელი მაჩვენეს, ბერბიჭაშვილი. შუა ტანის ჩასხმული მხეცი. ხშირი ულვაში. გრუზა. გმირად არის ჩათვლილი. ეხლა ყველაფერი ცხადია! მაგონდება: 1909, ან 10 წელს, მის ამხანაგებს რომ სიკვდილი გადაუწყვიტეს, საზოგადოებამ პატიება ითხოვა. ოლღასაც მოაწერინეს ხელი. აპატიეს. მაგრამ ისტორია გვაპატიებს? დიდად მნიშვნელოვანი ფაქტია“.

- ისტორია გვაპატიებს? ნაღვლიანად კითხულობს მ. ჯავახიშვილი, გვაპატიებს?

არ გვაპატია. ქართველმა ერმა, მძიმედ დაავადებულმა ილია ჭავჭავაძის „ბედნიერი ერის“ ავბედითი სინდრომით, პირწმინდად მოიმკო თავისი ბედოვლათობის ნაყოფი: სისხლის წვიმები დაიტეხა თავს და „სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებელი შეიქნა“, ლაღად, ყელმოღერებით შემოსძახა: „ჩვენო სტალინ, ჩვენო მკვიდრო, ჩვენო დიდო მოამაგეე, გაიხარა იმ ნაყოფმა, შენ რომ შენი ხელით დარგე“...

კი, გაიხარა „ნაყოფმა“, გაიხარა იმაზე მეტადაც, ვიდრე ამას ვინმე წარმოიდგენდა, მაგრამ მ. ჯავახიშვილი სწორედ ამიტომ იყო დიდი მწერალი და მამულიშვილი, კვალში მიმყოლი ილია ჭავჭავაძის მიერ გავლებული ურნატისა, რომ იმთავითვე კარგად მიხვდა: „გახარებული ნაყოფი“ ღვარძლისა და ლენცოფას მეტი სხვა არაფერი გახლდათ. აკი ამიტომაც წერს დღიურში: „სოციალიზმი არ მწამდაო“, ხოლო ერთი ავტობიოგრაფიული ჩანაწერი ამ აზრს უფრო აზუსტებს და აკონკრეტებს (დაწერილია მესამე პირით):

„მ. ჯავახიშვილის მოღვაწეობის მთავარი მიზანია საქართველოს თავისუფლება. ის რწმენით ევოლუციონისტია. მისი აზრით, ერის ძალა და მომავალი ქონებრივ-გონებრივ სიმდიდრეშია... 1904-905 წლებში მ. ჯავახიშვილი უკიდურესი რადიკალი იყო, თუმცა სიმბოლიზმის იდეა ვერ შეითვისა, რადგან სოციალიზმის იდეამ განუზომელი ზარალი მოუტანა საქართველოს და შემდეგშიც უკიდურეს ხიფათს უქადის“.

მაშ: ერთი მხრივ, „მთავარი მიზანია საქართველოს თავისუფლება“, ხოლო მეორეს მხრივ: „სოციალიზმის იდეამ განუზომელი ზარალი მოუტანა საქართველოს“... აშკარაა, ეს ისეთივე შეუთავსებელი ცნებებია, როგორც ცეცხლი და წყალი, არადა, სწორედ ამ შეუთავსებელ გზათა გადაკვეთის წერტილზე მოუწია ცხოვრება და შრომა მ. ჯავახიშვილს. ეს უკვე იყო ღრმა ტრაგედიის საფუძველი და აკი დაიწყო კიდეც გააფთრებული, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მწერალსა და „სოციალიზმს“

შორის, რაც მწერლის ჯვარცმით დასრულდა.

მ. ჯავახიშვილის ერთ ჩანაწერში ვკითხულობთ:

„რევოლუცია ჩემთვის საშინელი ტრაგედიაა, ვინაიდან ჩემს თვალწინ კვდება ძველი ქვეყანა - დედა. ზოგისთვის ეს უზენაესი სიხარულია, ვინაიდან იბადება შვილი ახალი ქვეყანა. ამიტომ არის მგლოვიარე გუშინდელი პოეტი. ამიტომაც ხარხარებს დღევანდელი ჭაბუკი - კომკავშირელი. სჯობდა სჯობდა, ან უფრო ადრე გაჩენილიყავი, არ უფრო გვიან".

(ამ ბოლო ფრაზას, რომელშიც თუ ტრაგიზმი არა, დრამატიზმი მაინცაა აკუმულირებული, მოგვიანებით არსენას ათქმევინებს მწერალი „მარაბდელში").

მაშ ასე: „რევოლუცია ჩემთვის საშინელი ტრაგედიაა"...

მეტი რაღა თქვას კაცმა? თანაც, მწერალმა? მით უმეტეს, რომ მას ცხოვრება და შემოქმედება სწორედ ამ რევოლუციის „მონაპოვარი" სოციალიზმის „დიდებულ" ხანაში მოუწია. თანაც, და ეს უაღრესად მნიშვნელოვანია, მის თვალწინ მოხდა სათაყვანებელი ეროვნული იდეალების ბედითი მსხვრევა დევალვაცია. ამაზე უარესი შეჭირვება რა უნდა დამართოდა სულითხორცამდე მამულიშვილ მწერალს?

„რევოლუცია ჩემთვის საშინელი ტრაგედიაა"...

ამ ფრაზამ იქნებ მ. ჯავახიშვილის მთელი შემოქმედების ეპიგრაფად ივარგოს. მართლაც, დამოკიდებულება რევოლუციასთან, მისგან გამომდინარე უარყოფითი შედეგით, მ. ჯავახიშვილის ბელეტრისტიკის ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემა გახლავთ და ამ თვალსაზრისით, იგი მკაფიოდ გამოხატული ანტისაბჭოთა მწერალია. მერმე და მერმე, ბოლოს, ბოლშევიკური წნეხის არაადამიანური დაწოლის შედეგად, მ. ჯავახიშვილი „მარჯვნივ" გადაიხარა და ერთგვარად შემგუებლური, კონფორმისტული გზებიც მოსინჯა. ვინ იცის, სხვა მრავალთა შორის, იქნებ ესეც იყო მისი პიროვნული და შემოქმედებითი ტრაგედიის საფუძველი?

ამ ნაშრომის მიზანი სწორედ ის გახლავთ, რომ შეძლებისდაგვარად აჩვენოს მ. ჯავახიშვილის ტრაგედიის ჩასახვაც, პერიპეტიებიცა და სავალალო შედეგიც, ხოლო თუ მოკლედ მოვჭრით, გააშუქოს საკითხი: „მწერალი და რევოლუცია", ან: „მწერალი და საბჭოთა დიქტატურა".

* * *

1903-1921 წლებშუა მოთავსებული პერიოდი მ. ჯავახიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედებისა, დიდი სიძნელეებით, მაგრამ ამავე დროს, მომხიბვლელი რომანტიკით არის აღბეჭდილი. 1903 - მისი მწერლობაში გამოჩენის წელია, 1921 კი - საქართველოში საბჭოთა დიქტატურის დამყარების წელი გახლავთ. სწორედ აქედან იწყება ტრაგიზმით აღბეჭდილი ქრონოლოგია მ. ჯავახიშვილის ცხოვრებისა, რის თაობაზეც ჩვენ ქვემოთ ვრცლად გვექნება ბაასი. ხსენებულ წლებზე კი უნდა ითქვას, რომ მიუხედავად მრავალგზისი სულიერი და მატერიალური შეჭირვებისა, დიდი ოჯახური უბედურებისა (ბანდიტებმა მოუკლეს დედა და ორი და), 1905 წლის რევოლუციისა, პატიმრობისა, გადასახლებისა, I მსოფლიო ომისა და სხვა ათასგვარი დავიდარაბისა, რაც საკუთარ თავზე იწვნია მ. ჯავახიშვილმა და რაც ძალზე რეალურ საშიშროებას ქმნიდა პიროვნების სულიერი მსხვრევისათვის, მწერალი მაინც ენერგიით, იმედით და რწმენით იყო სავსე, შეუპოვარი ოპტიმიზმი მისი განუყრელი თანამგზავრი გახლდათ. ახალგაზრდა კაცი შემოქმედებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის წყურვილით არის „აყვანილი", ბევრს წერს ფედერალისტების „ცნობის ფურცელში", არის ილია ჭავჭავაძისეული „ივერიის" ფაქტიური რედაქტორი, მონაწილეობს 905 წლის რევოლუციაში - როგორც პუბლიცისტი, აარსებს გაზეთ „გლეხს", რის გამოც აპატიმრებენ 1910 წელს და მრავალი სხვა. მხოლოდ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რევოლუციას მ. ჯავახიშვილისათვის, ისევე, როგორც ქართველი ერის დიდი ნაწილისათვის, უპირველეს ყოვლისა, მკვეთრად გამოხატული ეროვნული ხასიათი ჰქონდა და არა სოციალური. არც იდგა იმდროინდელ საქართველოში სოციალური პრობლემა განსაკუთრებული სიმწვავით. ფეოდალიზმი ვისღა ახსოვდა, კაპიტალიზმი ჩანასახოვან მდგომარეობაში იყო მხოლოდ. ამიტომაც თავისი პუბლიცისტური წერილების სერიალში, რომელსაც - „პატარა ფიქრები" ჰქვია, მ. ჯავახიშვილი სწორედ ეროვნული თავისუფლების დაუცხრომელ მქადაგებლად და რუსული ძალმომრეობის მამხილებლად გვევლინება. ამ წერილებში ბასრად, უკიდურესი გაბედულებითა და პირდაპირობითაა მხილებული რუსის სალდათების გულმხეცობა, აღწერილია კაზაკებისაგან გაპარტახებული და გადამწვარი სოფლები, დაბა-ქალაქები, ხიშტებზე აგებული ძუძუთა ბავშვები, გაუპატიურებული ქალები... (ეს ყოველივე, მერმე მხატვრულად გარდაისახა „არსენა მარაბდელში". გაიხსენეთ: ეკზეკუციის სცენები სოფლად, სხვათა შორის, „პატარა ფიქრებიც" და სხვა ბრწყინვალე

ნიმუშებიც მ. ჯავახიშვილის პუბლიცისტიკისა, ჯერაც გამოუცემელია. როდემდე? ახლა მაინც აღარ დადგა დრო?!

მეფის მთავრობა, ბოლშევიკებთან შედარებით, მართლაც რომ ცით მოვლენილი ანგელოზი იყო, მაგრამ თავის აშკარა მტრებს, ბუნებრივია, თავზე ხელის სმას, მაინც ვერ დაუწყებდა. იმპერატორს, განსაკუთრებით „ნაცმენი“ „ბუნტოვჩიკები“ არ ეპიტნავებოდა, რაკიღა ისინი, თუ სოციალ-დემოკრატებს არ ჩაეთვლით, ეროვნული თავისუფლებისთვის იბრძოდნენ, რუსეთის იმპერიისაგან გამოყოფა და დამოუკიდებლობა უნდოდათ. მ. ჯავახიშვილიც ხომ ერთი იმათთაგანი იყო და გაზეთ „გლეხის“ ნამეტან გააქტიურების შემდეგ, ოხრანკამ მას დევნა დაუწყო, მაგრამ მ. ჯავახიშვილმა მოასწრო და სხვისი პასპორტით საზღვარგარეთ გაიპარა (აბა თუ ბოლშევიკებს გაეპარებოდა ვინმე, თანაც სხვისი პასპორტით!).

ამჯერად, მ. ჯავახიშვილი იძულებით წავიდა საზღვარგარეთ, დაჭერისაგან იხსნა თავი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ასეც რომ არ ყოფილიყო, ადრე თუ გვიან, იგი მაინც მიაშურებდა ევროპას, რათა უშუალოდ ზიარებოდა მსოფლიო ცივილიზაციას, საფუძლიანი განსწავლა მიეღო და დაბრუნებულს, მამულის მსახურებისათვის მიეძღვნა თავისი გაფხავებული ინტელექტი. ეს ის დრო იყო, როცა ქართველი ახალგაზრდობა კ. აბაშიძე, ა. ჯორჯაძე, მ. წერეთელი, ვ. ჩერქეზიშვილი, ი. ჯავახიშვილი, გრ. რობაქიძე, ვ. კოტეტიშვილი, შ. ნუცუბიძე, დ. უზნაძე, კ. გამსახურდია, პ. იაშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, ლ. ქიაჩელი და მრავალი სხვა, „თერგდალეულებისაგან“ განსხვავებით, რუსეთისა კი არა, ევროპის კულტურულ ცენტრებს აშურებდნენ. რაღა თქმა უნდა, სამომავლოდ ეს გაცილებით ფართო პერსპექტივებს უსახავდათ მათ. დაწყებული იყო პროცესი, რასაც ბოლო ანგარიშით, საქართველოს „დიდი რენესანსი“ უნდა მოჰყოლოდა და ჩვენი ქვეყანა მსოფლიო ცივილიზაციის ორბიტაზე გაეყვანა, უთუოდ გაიყვანდა კიდეც, მაგრამ ავბედითმა 25 თებერვალმა, 1921 წლისამ, ყველაფერი ბედუკუღმა დაატრიალა.

ევროპაში წასვლის ამბავს მ. ჯავახიშვილი ასე გადმოგვცემს:

„1901 წ. „გლეხის“ რედაქტორობისათვის სამართალში მიმცეს. მე შვეიცარიაში გავიპარე. 1907 წ. პარიზში გადავედი და იქაურ უნივერსიტეტში ლიტერატურას, ხელოვნებას და პოლიტეკონომიას ვსწავლობდი. მცირე ხანს შვეიცარიაში, აფრიკაში, ინგლისში, ბელგიაში და გერმანიაში ვიმოგზაურე. სტამბოლშიც ვიყავი“.

საკუთარი სახსრებით საქართველოდან უცხოეთში წასვლა

და პარიზის უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელება იმ ხანად ახალგაზრდა მწერლისთვის, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იყო, მეგობრებს რომ ხელი არ გაემართათ.

„ბევრი სიკეთე მიყო ფილიპე გოგიჩაშვილმა. საზღვარგარეთ წასვლისას ზუბალაშვილისეული სტიპენდიის დანიშნა მისი წყალობით მოხერხდა. ევროპაში პირველი გაქცევის შემდეგ კიდევ ორჯერ წაველი. კარგი იღბლიანი ვიყავი. ზუბალაშვილისეული სტიპენდია 75 მ. მქონდა. გარდა ამისა, ყველა ჩვენი მეცნიატები კარგად მხვდებოდნენ. მათი წყალობით დავათვალიერე იტალიის შესანიშნავი ქალაქები. ასევე ავსტრია, გერმანია... ვიყავი ლონდონში. ნიკოლოზ ღოღობერიძემ ნიცაში წამიყვანა საკუთარი ხარჯით. ბოლოს, ბელგიასაც ვეწვიე“.

1906 წელს, ევროპაში გამგზავრების წინ, ფილიპე გოგიჩაიშვილს ასეთი რჩევა მიუცია ახალგაზრდა მწერლისთვის: „აი, შენ მიხვალ ევროპაში. გეზი პირდაპირ პარიზში გქონდეს. დააწექი ეკონომიურ მეცნიერებათა შესწავლას... ჩვენ ისეთი კაცები გვჭირდება, რომლებიც ერის ხერხემლის გამაგრებაზე იზრუნებენ“.

ეს ძალზე საგულისხმო დარიგება გახლდათ და ჯავახიშვილს შეძლებისდაგვარად შეუსრულებია კიდეც (ეკონომიკის მშვენიერ მცოდნედ ითვლებოდა), მაგრამ მისი ინტელექტუალური ინტერესები, ბუნებრივია, მაინც ლიტერატურის, ისტორიისა და ფილოსოფიის საკითხებისკენ იქნებოდა მიმართული.

ამას მოწმობს ერთი ცნობა:

1909 წლის ივნისში მოხსენება წაიკითხა ბრიუსელის ახალი უნივერსიტეტის დარბაზში ლიტერატურის პროფესორმა დანიელსონმა და დაამტკიცა თავისი აღმოჩენა, რომ შექსპირი ფსევდონიმი იყო ლორდ რეტლინდის. მეც დაველწარი. ვისმენდი, აგრეთვე, ლექციებს ლანსონის, ფაგესი, კოლინიონის, ბერგსონის, გუსტავ ლებონის, კიურის... ვნახე: რეჟანი, კოკლენი, მუნე სიული, სარა ბერნარი, ტიტო რუფო, მარია გაი, ნელი შელბა. მუსიკოსები: სარაზატე, ჰოფმანი, კუბელიკი, იზაია და მრავალი სხვა. აგრეთვე ვნახე: ჟორესი, გედი, სამბა, რონოდელი, მორის ბარესი, ანატოლ ფრანსი, პიერ ლოტი, ფარერი, პიერ კოპე, ოგიუსტ როდენი“.

ჩამოთვლილ გვარებიდან ზოგიერთმა, იქნებ ბევრი ვერაფერი უთხრას დღევანდელ მკითხველს, მაგრამ თავის დროზე, ისინი ძალზე გახმაურებულნი გახლდნენ და მათთან ურთიერთობაც პრესტიჟული იყო. ასე რომ, თუმც კი უნივერსიტეტის სრული კურსი მ. ჯავახიშვილს არ დაუმთავრებია, მაინც მეტად ფართო ზოგად-კულტურული განათლება მიიღო და ცოდნით დაყურსული დაბრუნდა სამშობლოში.

გაიელის წლები და, უვიცი, უნიჭო, უკულტურო „პროლეტარული მწერლები და პოეტები“ მ. ჯავახიშვილს სისხლს გაუშრობენ იმის გამო, რომ „ბურჟუაზიულ პარიზში“ „ბურჟუაზიული“ განათლება ჰქონდა მიღებული და თვითონაც ბურჟუაზიის, თავადაზნაურობის წარმომადგენელი იყო, ე. ი. ხალხის მტერი, მოღალატე და რენეგატი.

სამშობლოში დაბრუნებულ მწერალს გაზეთ „გლეხში“ უკიდურესი ეროვნულ-რევოლუციური, ანტირუსული მოღვაწეობა გაუხსენეს და 1910 წელს დააპატიმრეს.

მკვლევარი ა. კოჭლავაშვილი:

„მ. ჯავახიშვილი დაპატიმრებისთანავე დაუკითხავთ და ბრალდებად წაუყენებიათ წლების მანძილზე მთავრობის საწინააღმდეგო მუშაობა. მასვე მოაგონეს 1906 წელს „გლეხში“ დაბეჭდილი წერილებიც და ამით გაზარდეს დანაშაული. მ. ჯავახიშვილს კატეგორიულად უარყვია ბრალდება, მაგრამ ბეჭდვითი სიტყვის საქმეთა თბილისის კომიტეტმა „ოხრანკას“ კიდევ ერთხელ დაუდასტურა, რომ „გლეხს“ რედაქტორობდა სახელდობრ მ. ჯავახიშვილი და სწორედ იგი წერდა საწინააღმდეგო სტატიებს“.

გერონტი ქიქოძის მოგონებიდან:

„პირველად მიხვილ ჯავახიშვილს 1910 წლის შემოდგომაზე შევხვდი, მეტეხის ციხეში. როგორღაც შინაურულად, მყუდროდ იყო მოწყობილი თავისი საკნის კუთხეში და ყოველთვის აუჩქარებლად, საშინაო ფლოსტებით გამოდიოდა შუაღამის სეირნობაზე. მკითხველ საზოგადოებაში ის უკვე ცნობილი იყო რამდენიმე მოთხრობით, სადაც მშვენიერი ქართული ენით პატარა ადამიანების ცხოვრება იყო აღწერილი. ის ძალიან საინტერესო მოსაუბრე იყო: განცდილ ამბებს გადმოსცემდა, როგორც დაკვირვებული ადამიანი, რომელიც დიდი შემოქმედებითი ნიჭითაა აღჭურვილი. მ. ჯავახიშვილი გამხდარი იყო, გამომცდელად იცქირებოდა სათვალიდან, ნაყვაიცარი სახე და მაღალი შუბლი ჰქონდა და მახვილ ჭკუასთან ერთად, რაღაც ბავშვურ გულუბრყვილობას აცლენდა. მას გამძაფრებული პატრიოტული შეგნება ჰქონდა“.

ეს იყო პირველი ციხე, რომელიც იწვნია მ. ჯავახიშვილმა. ციხე ყოველთვის ციხეა და მასში კარგი აბა რა უნდა იყოს, მაგრამ პატიმარი რომ „შინაურულად, მყუდროდ“ იქნება მოწყობილი თავისი საკნის კუთხეში“, და „ფლოსტებით გამოვა სეირნობაზე“, ნიშნავს ალბათ ეს რაღაცას. გაიელის ხანი, მწერალი კიდევ ორჯერ აღმოჩნდება ციხეში (1924 წ. და 1937 წ.), ახლა უკვე ბოლშევიკების ხელში და ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, რა ენითუთქმელ ჯოჯოხეთს გაიელის იგი.

მანამდე კი გადასახლება დონის როსტოვში და 1913 წელს კელავ სამშობლოში დაბრუნება. 1915 წლამდე, ასე თუ ისე, სულმოთქმულად ცხოვრობდა ტფილისში და მონაწილეობდა იმდროინდელ ლიტერატურულ-საქველმოქმედო საქმეებში.

დადიოდა ბეჭებში ოდნავ მოხრილი, ხელში ჯოხით. ყურადღებას იპყრობდა ინტელიგენტური, დახვეწილი მანერებითა და დინჯი, მკაფიო მეტყველებით (რაც ასე გააღიზიანებს მოგვიანებით პროლეტარულ მწერლებს, თ. მ.). ლაპარაკობდა დარბაისლური, ბოხი ხმით - მეტყველებაში კახური აქცენტუაცია იგრძნობოდა. როგორც ყველა კულტურულ ადამიანს, წიგნი უყვარდა და სათუთად ეპყრობოდა. ხელში რომ აიღებდა, გრძნობდით, რა სიფაქიზითა და პატივისცემით იყო მის მიმართ გამსჭვალული. წიგნს, რომელსაც კითხულობდა, არასოდეს ნახავდით საყარძელზე მიგდებულს, ან მოიწყებულს. ფურცელსაც არ გადაკეცავდა ხოლმე. უყვარდა, აგრეთვე, ქართული დრამის თეატრში ყოფნა (მაშინ იქ საუკეთესო არტისტები თამაშობდნენ), კარგი მუსიკის მოსმენა, დარბაისლური ბაასი ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე, არც პრეფერანსის თამაშზე ამბობდა უარს, პირიქით, გატაცებითაც თამაშობდა. მაშინ უკვე ავტორი იყო რამდენიმე მშვენიერი მოთხრობისა, სახელიც ჰქონდა განთქმული, მაგრამ იმჟამად ბელეტრისტულ მუშაობისთვის ველარ იცლიდა. მით უმეტეს, რომ უკვე ამოვარდა I მსოფლიო ომის გრიგალი. საშინელმა ისტერიამ ომისამ, ისიც ამოაგდო კალაპოტიდან, მრისხანე მორევში ჩაითრია, ატრიალა, ავაგლახა და სადღაც, შორს, სპარსეთში, ურმიის მკვდარი ტბის სიახლოვეს აღმოანთხია, სადაც 1915 წლიდან 1918 წლამდე, წითელი ჯვრის რწმუნებულად იმსახურა. სწორედ სპარსეთში მიღებულ შთაბეჭდილებას უნდა უმადლოდეს ქართული ლიტერატურა ისეთ შედევრს მ. ჯავახიშვილის პროზისას, როგორც არის „ლამბალო და ყაშა“.

1918 წელს, როგორც ითქვა, მიხეილ ჯავახიშვილი ტფილისს დაბრუნდა. მე, ცხადია, არ შევუდგები საუბარს იმ კატაკლიზმებზე, რაც მაშინდელ მსოფლიოში, რუსეთში და კერძოდ, საქართველოში ხდებოდა. ეს შორს წაგვიყვანდა, გარდა ამისა, მკითხველთათვის უჩემოდაც კარგადაა ცნობილი.

რაც შეეხება დამოკიდებულებას მენშევიკურ მთავრობასთან, ეს მიხეილ ჯავახიშვილს ერთი კონკრეტული ფრაზით აქვს გამოხატული:

„ფიცი საკუთარ თავთან: ამ მთავრობასთან არ ეიმსახურებ, არ ეენდობი მენშევიკებს, ეს არის ჩემი გეზი“.

გასაგებიცაა: სოციალ-დემოკრატიის მენშევიკური ფრთა,

ისევე, როგორც ბოლშევიზმი, მარქსიზმთან, კლასთან ბრძოლასთან, სოციალიზმთან, პროლეტარულ ინტერნაციონალიზმთან და სხვა ამგვარ „იზმთან“ იყო დაკავშირებული, რაც მიხეილ ჯავახიშვილისათვის სრულიად მიუღებელი გახლდათ. მეტიც: მას მიაჩნდა, რომ სოციალიზმი შეუთავსებელი იყო ქართულ ეროვნულ ფსიქოლოგიასთან, არ ითვალისწინებდა მის ისტორიულ გამოცდილებას, ცხოვრების ნირს და თუ გნებავთ, მსოფლაღქმას. გავიხსენოთ ზემოთხრობილი: „სოციალიზმის იდეამ განუზომელი ზარალი მოუტანა საქართველოს და შემდეგშიც უკიდურეს ხიფათს უქადის“.

ეს წინასწარმეტყველება, ყველას კარგად მოეხსენება, აბსოლუტური სიზუსტით აუხდა მრავალტანჯულ საქართველოს, იგი მთელი ათწლეულების მანძილზე მანიაკი დოქტრინიორების საექსპერიმენტო პოლიგონად იყო გადაქცეული და, ბოლოს, ამ ექსპერიმენტმა, ესეც ყველამ იცის, სრული კრახი განიცადა.

არ ენდობოდა მენშევიკებს და ამიტომ არც მათთან სამსახური უნდოდა, ისინი ხომ ძირფესვიანად ეწინააღმდეგებოდნენ ილია ჭავჭავაძის ეროვნულ კონცეფციას, მაგრამ ერთი რამე კი ნამდვილად იყო: მოახლოებულ წითელ ურჩხულთან შედარებით (უკვე ყურისძირში ისმოდა მისი მყრალი ქშენა!) მეფის დროსაც და მენშევიკურ საქართველოშიც უფრო თავისუფლად შეიძლებოდა სუნთქვა. საერთოდ უნდა ითქვას: მიხეილ ჯავახიშვილის მოღვაწეობის ხანა, რომელიც შეიძლება 1903-1921 წლებით შემოიფარგლოს, მიუხედავად ათასნაირი ჭირსახდელისა, რაც მან გადაიტანა - რევოლუცია იქნება ეს, პოლიტიკური დევნა, ემიგრაცია, ციხე, გადასახლება, ომი, თუ სხვა სიმწარე, მაინც თავისუფალი აზროვნების, თავისუფალი შემოქმედების ხანად შეიძლება ჩაითვალოს. უჭირდათ ადამიანებს, მიხეილ ჯავახიშვილსაც უჭირდა, მაგრამ, სამაგიეროდ, მათ არ იცოდნენ რა იყო შიში, გამანადგურებელი, დამანგრეველი შიში, ადამიანური ღირსების წამბილწველი, დამთრგუნველი შინაგანი თავისუფლებისა. შიში, რომელიც გაიძულებს იყო შემგუებელი, კონფორმისტი, დაკარგო ქველობა და მავანთა ხელში სათამაშო ტიკინად იქცე. ასეთი შიში, ხელისუფლებისგან მოგვრილი, ალბათ არ იცოდა ადამიანმა საბჭოთა რეჟიმის დამყარებამდე. ეს შიში სწორედ ამ რეჟიმის ბატონობის ჟამს გაჩნდა და მყარად ჩაბუდდა ადამიანთა სულში. მისი გავლენა, ამა თუ იმ დოზით, ყველამ განიცადა, მათ შორის, მიხეილ ჯავახიშვილმაც.

მან კარგად იცოდა, ვინ გაბატონდა და რა გზებით გაბატონდა საქართველოში 1921 წლის 25 თებერვლიდან. პირველი დღეებიდანვე

ცხადი გახდა, თუ როგორი მონსტრი შემოიჭრა ბოლშევიზმის სისხლიანი დროშით, ნამგლითა და უროთი ხელში და გაცვეთილ არაკაცს, აფერისტს, შანტაჟისტს და უკადრებლის მკადრებელს კვაჭი კვაჭანტირაძეს გაოცებით ათქმევინებს: „გეიგონეთ და დეიმახსოვრეთ ჩემი სიტყვა: მე ხომ ვარ ხვთისპირიდან გადავარდნილი, მარა, ესენი (ე. ი. ბოლშევიკები თ. მ.) ჩემზე უარესები ყოფილან“.

საწყალო, გულუბრყვილო კვაჭი-კვაჭო! შენი მასშტაბის არამზადებს ხურდა ფულადაც არ კადრულობდნენ ბერია და დამქაშნი მისნი, ასე იყო ეს!

საქართველო უზარმაზარი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა.

ერთხელ კიდევ, ვინ იცის, მერამდენედ, დრომ და ისტორიამ უღვთოდ გაწირა და გაიმეტა იგი. რუსის ხიშტზე დაფუძნებული დიქტატურა ყველაზე ბინძური იყო იმათ შორის, რაც კი აქამდე ენახა და გამოეცადა ჩვენს უბედურ ქვეყანას. სულ მალე ნათელი გახდა, რომ ასეთ ვითარებასთან შერიგება და გულხელის დაკრეფა ერის გაყიდვა და ღალატი იქნებოდა. მეორეს მხრივ, მომავლის უპერსპექტივობა, წინდაწინვე ცოდნა იმისა, რომ ბრძოლას წავაგებდით, ენთუზიაზმს ძირშივე სპობდა, კეთების სურვილს აქრობდა. იყო ყოყმანი, ეჭვი, უიმედობა. ამის მიუხედავად, ახალგაზრდობის დიდი ნაწილი, უმეტესად ინტელიგენცია, მზად გახლდათ თავგანწირვისთვის. სიამაყით უნდა ითქვას, რომ მათ რიგებში მიხეილ ჯავახიშვილიც იდგა. 1921-1923 წლებში იგი აქტიურად მუშაობდა ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიაში და ე. წ. „პარიტეტული კომიტეტის“ წევრიც იყო. ღრმად ჰქონდა შეგნებული მოქალაქეობრივი და მწერლური ვალდებულება საკუთარი ერის წინაშე. ამავე დროს, კარგად ხედავდა, რომ ქვეყანას ფიზიკური მოსპობის ძალზე რეალური საფრთხე ემუქრებოდა, წყალს მიჰქონდა და ლამის დასაღუპავად განწირული უხმობდა შველას. მიხეილმა „ცურვა არ იცოდა“, მაგრამ მაინც „გადაეშვა“ წყალში. ეს მისი ღირსების საქმე იყო, სხვაგვარად ვერ მოიქცეოდა.

უბის წიგნაკიდან:

„ჩემი მოქმედება 1921-1924 წლებში ჰგავდა იმ ადამიანის საქციელს, რომელმაც ცურაობა არ იცის, მაგრამ სხვის დასახმარებლად ისკუპა ხიდიდან და წყალში გადავარდა. ამის ახსნა შეუძლებელია. აქ მუშაობს იდუმალი ალღო მოძმის მოშველებისა და ამ ალღოს ასჯერ მეტი ძალა აქვს, ვიდრე შეგნებას.“

კიდევ უფრო საინტერესოა მეორე ჩანაწერი, რომელიც

კარგად გვაგრძნობინებს იმდროინდელ დაძაბულ ვითარებას. ამ სახელდახელო შენიშვნებში, რომელიც, ალბათ, თავის დროზე იმიტომ გაკეთდა, რომ მწერლის მეხსიერებას „შიშველი“ ფაქტები არ გადავიწყებოდა, ყოველი სიტყვა და სტრიქონი სერვიულად თრთის, ცახცახებს და ავტორის უკიდურეს შინაგან დაძაბულობაზე მიგვანიშნებს:

„აღდგომა ღამეს დაარსდა პარიტეტი. ლორთქიფანიძე, გობეჩია, რცხილაძე, ნინიძე, ფირცხალავა და სხვა.

ქაქუცა ჩოლოყაშვილი მუშაობს. ბრძოლა ძლიერდება. კრებები ჩემთან. ქაქუცას შეკითხვა ტაქტიკაზე. მე ვიბრძვი. ორი სხდომა. მე მარტო. იასონი და გ. წ. სდუმან. მებრძვიან ვაჩნაძე, აბხაზი. ბოლოს მომემხრნენ იასონი, აფხაზი. ჩამოდის იშხნელი.

„აჯანყება არაგვზე. 36 კაცი. ბრძოლა გახურდა. ჯარი თრთის. ხელისუფლება ქანაობს. ჩვენი ტაქტიკა ქაქუცას გადარჩენა. ალყის გარღვევა. გაიმარჯვა. წავიდა. სოციალ-დემოკრატიის ორპირობა - პროკლამაციები. მხარი რომ მოეცათ, რუსებს გავყრიდით აქედან. ამ რწმენამ რღვევა შეიტანა ჩვენ შორის. ემუშაობ 12-14 საათს. თხოულობენ ბრძოლის გაგრძელებას. ბაასი აბხაზთან: გაეყრით? მერე? გეიშველიან. ვინ? როგორ? „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა, სიკვდილი სახელოვანი“.

როგორც ცნობილია, აჯანყება დამარცხდა. მოხდა ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის ლიკვიდაცია. მისი წევრები დააპატიმრეს. მრავალი შესანიშნავი პიროვნება და ნამდვილი პატრიოტი შეიწირა ამ საქმემ. მ. ჯავახიშვილს სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა მიესაჯა.

დახვრეტა...

ხშირად ჩვენ ადვილად ვწერთ და კიდევ უფრო ადვილად ვამბობთ ამ საოცარსა და ამაზრზენ სიტყვას ისე, რომ ბოლომდე, არ ვიცნობიერებთ, რაც მის უკან რეალურად დგას. აბა დაფიქრდით: არის ახალგაზრდა კაცი, ჯანმრთელი, საღსალამათი, ნიჭითა და გონებით დაყურსული, სწყურია სიცოცხლე, უხარია ბალახის, ლურჯი ცის, ჩიტების დანახვა... და უცებ, ვიღაც სალახანა წითელი კომისრის განკარგულებით: დახვრეტა! იოლი წარმოსადგენია, რა განცდები დაეუფლებოდა მწერალს, განაჩენს რომ გამოუცხადებდნენ. ან იქნებ შეუძლებელია საერთოდ ამის წარმოდგენა, მით უმეტეს, გადმოცემა? არ მინდა ბანალური ვიყო, ამიტომ არ შევუდგები მ. ჯავახიშვილის სიკვდილისწინა განცდების აღწერას, მხოლოდ გავბედავ და ვივარაუდებ, რომ გამაოგნებელი, დამანგრეველი, მომსპობი შიში სწორედ მაშინ უნდა დაუფლებოდა პირველად მის გაგლეჯამდე დაჭიმულ ნერვებს. აქ შეუძლებელია

დოსტოევსკი, ან ჩვენი ჭოლა ლომთათიძე არ გაახსენდეს კაცს და ძალაუნებურად ანალოგიებმა არ იჩინოს თავი. მით უმეტეს, რომ მ. ჯავახიშვილის ერთ ადგილას აღნიშნული აქვს: „დოსტოევსკის როცა ვკითხულობ, წყალში ჩაყურყუმალავებულს ვგავარ: სული მეხუთება, ჰაერი არ მყოფნის და ზევით ამოსვლას ვესწრაფვი. მეტად ღრმა არის მორევი მისის დაკვირვებისა“.

მწერლისათვის გამოტანილმა ასეთმა ველურმა განაჩენმა ძალზე ააღელვა ქართველი ინტელიგენცია. პაელე ინგოროყვას და რამდენიმეს სხვას, მაშინვე გადაუწყვეტიათ სერგო ორჯონიკიძესთან მისვლა და თხოვნა: ნიჭიერი მწერალია, აჩუქეთ ქართველ ხალხს, ნუ დაღუპავთ, უშველეთო. თანაც, თავდებად უდგებოდნენ, რომ ამიერიდან მიხეილი პოლიტიკურ საქმეებში აღარ გაერეოდა.

როგორც ამბობენ „რკინის კომისარი“ სერგო კარგ გუნებაზე ყოფილა (ალბათ გემრიელად, მაძღრისად ისადილა - თ. მ.), ამიტომ მოწყალება გაუღია. უბრძანებია - განაჩენი სისრულეში არ მოეყვანათ და პატიმარი გაეთავისუფლებინათ. ეს მართლაც რომ სასწაული იყო და მგონი ერთადერთი კეთილი საქმე, ორჯონიკიძისაგან საქართველოსათვის გაკეთებული.

ღირსსაცნობია ამ ტრაგიკული ეპიზოდის ფინალი:

1936 წელს, საქართველოს განაბჭოების 15 წლისთავთან დაკავშირებით, კრემლში მწერლებს ჯილდოები ჩამოურიგეს. მ. ჯავახიშვილს შრომის წითელი დროშის ორდენი ხვდა წილად. მან მადლობა გადაუხადა მთავრობას, ორჯონიკიძესთან მცირე ხნით შეყოვნდა თურმე და უთხრა: „მე თუ დღეს ცოცხალი ვარ, თუ მწერალი გავხდი და ეს ჯილდო დავიმსახურე, თქვენ უნდა გიმადლოდეთ.“ „რკინის სერგო“ ვერ მიმხვდარა ნათქვამის აზრს. მაშინ მისთვის გაუხსენებიათ 1924 წელს ჩადენილი გულმოწყალების ამბავი. სერგო ფრიად კმაყოფილი დარჩენილა თავისი საქციელით და უთქვამს: „დიდ შეცდომას დავუშვებდით, ასეთი ნიჭიერი კაცი რომ დაგველუპაო“.

გადაურჩა მიხეილი სიკვდილს, მაგრამ ბოლშევიკების წინაშე შიშის სინდრომმა ერთხელ და სამუდამოდ ჩაიბუდა მის სულში და სიკვდილამდე საშველი აღარ მისცა, სიქა გააძრო. მით უმეტეს, რომ შემდეგში ბევრჯერ თითის ქნევით გაახსენეს: ნუ დაგავიწყდება მაშინ რომ გადაგვირჩი, ყველაფერი გვახსოვს და გვიფრთხილდი, არაფერი გაგიხსენოთ.

ამის მიუხედავად, ერის დამღუპველებთან ბრძოლა, ხან ფარული ხანაც აშკარა გზით, არასოდეს შეუწყვეტია და თითქმის ყველა მისი წიგნი ანტისაბჭოთა, ანტირევოლუციურ, ანტირუსულ

კონცეფციაზეა აგებული. ოღონდ ერთი კია: მ. ჯავახიშვილმა იცის, გრძნობს, რომ ეს ბრძოლა ძვირად დაუჯდება, არავინ შეარჩენს და აპატიებს, ამიტომ ყოველთვის დაძაბულად ფიქრობს გამოსავლის პოვნაზე. ერთ-ერთ ასეთ გამოსავლად, მას, როგორც ჩანს, ემიგრაციაში წასვლა მიუჩნევია.

ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ (1990, №2), გამოქვეყნდა მ. ჯავახიშვილის ერთი პირადი წერილი, რომლის ადრესატი მწერალი დავით სულიაშვილი გახლავთ. ეს წერილი მოულოდნელი რაკურსით წარმოგვიჩენს მწერლის შეჭირვებათა წრეს და შეიძლება პირველხარისხოვან დოკუმენტად ჩაითვალოს მისი ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლის საქმეში. წერილი, მიუხედავად მცირე მოცულობისა, შეიცავს ადგილებს, ერცელ კომენტარებს და ანალიზს რომ საჭიროებს. მე დოკუმენტის მხოლოდ ერთი ასპექტი მაინტერესებს. მომყავს უმნიშვნელო კუპიურებით:

„ძმაო დავით,

ძალიან ვნანობ, რომ წერილი ვერ გაგატანე ხოშტარიასთან. ეხლა იძულებული ვარ, ჩვენი ლაპარაკი გაგახსენო და დახმარება გთხოვო. რაღა სიტყვა გავაგრძელო: მე აქ ცხოვრება აღარ შემიძლიან. ჩემი გასვლა საქართველოდან ჩემი მეორედ დაბადება იქნება. თუ ამ საქმეში დამეხმარები, სამაგიერო მომთხოვე და მიმსახურე. ხოშტარიას უნდა გამოვადგე, რადგან თათრული და ფრანგული ვიცი. (...)

იქნებ გაიგე კიდეც, რომ ბელეტრისტიკას დავუბრუნდი, 4-5 თვეში 400 გვერდიანი წიგნი დავწერე - „კვაჭი კვაჭანტირაძე“, რომელიც იბეჭდება ცალკე წიგნად. გარწმუნებ, ძმაო დავით, აქედან შორს უფრო მეტს და უკეთესსაც დავწერ.

ვუბრუნდები ხოშტარიას: ეგებ სიკეთე მიყოს და ამ წყეულ ქვეყნიდან გამიყვანოს სამშვიდობოს. შენი დიდი იმედი მაქვს. მისწერე დაწვრილებით, ან სხვანაირად მიაწვდინე ხმა.

პასუხის მოლოდინში ვარ. ქართულად ყური არ მოიყრუო. თუნდ არაფერი გამოვიდეს, წერილი მაინც მომწერე. აქაური ამბები? არავითარი. გაზეთსაც აღარ ვკითხულობ. ყველგან სუფევს არაჩვეულებრივი სიმდაბლე, ჭორიკანობა, რაღაც მოლოდინი, უიმედობა, შიმშილი, სულერთიანობა და გულგრილობა. დავიშრიტეთ, დავიქანცეთ და მოვიღუნეთ, ეს არის და ეს!

აბა კარგად იყავი, ჩემო დავით! წინდაწინვე გიხდი მადლობას და ბოდიშს.

შენი მიხეილ ჯავახიშვილი
23.III-24“

როგორ უნდა გამწარებულიყო, რა უსაშველო ტანჯვა-ურვა უნდა განეცადა მწერალს, რომ სალოცავი სამშობლოდან გადახვეწაზე ეფიქრა! „მე აქ ცხოვრება აღარ შემიძლიან. ჩემი განსვლა საქართველოდან ჩემი მეორედ დაბადება იქნება.“... „ეგებ სიკეთე მიყოს და ამ წყეულ ქვეყნიდან გამიყვანოს სამშვიდობოს.“... ეს კვნესაა წყალწაღებული კაცისა, ხავსს რომ ეპოტინება, შიშია ეს, ყვითელი შიში მწერლისა, რომელმაც კარგად იცის თავისი ტალანტის ძალა და ამიტომ ბოგანოთა გამოსახრაჟად არ ემეტებოდა თავი. მით უმეტეს, რომ უკვე ნაგემები აქვს მათი სისხლიანი ჭანგების ძალა.

„ორჯონიკიძის მიერ „შეწყნარებულმა“ მწერალმა, როგორც ჩანს, საკმაოდ რეალურად იგრძნო მის მიერ „წითელ ეშმად“ სახელდებული ახალი დროების ცხელი სუნთქვა. ემიგრანტობის სურვილიცა და ბაქოში გაგზავნილი წერილიც სასოწარკვეთილი კაცის გაბრძოლებასა ჰგავს.“

ახლა ძნელია თქმა, თუ რატომ ვერ მოხერხდა მ. ჯავახიშვილის ამ თავგანწირული სურვილის შესრულება, კონკრეტულად რამ შეუშალა ხელი, მაგრამ ეს კია, იგი არსად წასულა, ეტყობა, მისი ადგილი სწორედ აქ იყო, საქართველოში, და შრომაც და ბრძოლაც აქ უნდა გაეგრძელებინა.

იგი ვალდებული იყო, თავისი ნიჭი და კალამი საქართველოსათვის მიეძღვნა, ეთქვა მისთვის, დაბნეულისათვის და დეზორიენტირებულისათვის, სიმართლე, მკაცრი სიმართლე გარემომცველ, ბოლშევიკურ სინამდვილეზე, რევოლუციის არსზე, იმ შედეგებზე, რაც მან მოუტანა ბედკრულ ქვეყანას. ეს მისია ღვთისაგან დაეკისრა მწერალს და ამიტომ ღალატი არ ეგებოდა.

საბედნიეროდ, მიხვდა ამას მ. ჯავახიშვილი, თავისი ნებით იტვირთა ჯვარი და გოლგოთის გზაც სწორედ აქედან დაიწყო!

ამ დროისათვის იგი უკვე აეტორი იყო ორი გახმაურებული რომანისა: „კაჭი კაჭანტირაძე“ (1923-24 წ.) და „ჯაყოს ხიზნები“ (1924 წ.), მათ მოჰყვა „თეთრი საყელო“ (1926 წ.), „გიორგი შადური“ (1928 წ.) და „დამპატიჟე“ (1928 წ.). ხსენებულ ნაწარმოებებში განსაკუთრებული სიცხადითა და მკაფიოობით არის ნაჩვენები მწერლის უარყოფითი დამოკიდებულება რევოლუციის და საბჭოთა სინამდვილის მიმართ, მთელი ეს სიმახინჯე, რაც ამ ორმა სოციალურმა მოვლენამ მოუტანა ჩვენს ერს, დაუნდობლად აქვს ჩამოგლეჯილი ნილაბი საბჭოთა ჰუმანიზმის დროშით მოპარპაშე უკუდავ ბოროტებას.

არ შეეუდგები ხსენებულ თხზულებათა იდეურ-თემატურ და, მით უმეტეს, მხატვრულ ანალიზს. ამჯერად ეს არ გახლავთ ჩემი

მიზანი, მხოლოდ ერთ ასპექტს გამოეყოფ საკითხთა სპექტრიდან. კერძოდ: როგორ გარდაისახა მწერლის გარემომცველი სინამდვილე მისსავე შემოქმედებაში („კვაჭი კვაჭანტირაძეს" არ ვეხები, განაგებ მიზეზთა გამო).

* * *

ძნელია ქართულ მწერლობაში მეორე წიგნის დასახელება, რომელზედაც იმდენი დაწერილიყოს, თანაც ურთიერთსაპირისპირო და გამომრიცხველი, რამდენიც, თავის დროს „ჯაყოს ხიზნებზე" დაიწერა და ახლაც იწერება. ეს ალბათ იმითაც არის გაპირობებული, რომ იგი ღრმა ეროვნული ტკივილებით დაყურსული წიგნია და ამ თვალსაზრისით, ალბათ, სხვა თხზულება ვერც შეედრება მთელს XX საუკუნის ლიტერატურაში.

უბის წიგნიდან:

„ჯაყოს" 1924 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ვწერდი. ვწერდი და ვგრძნობდი, რომ ჩემს გულს ცეცხლი ეკიდებოდა, ხოლო სული იმ დროის სისხლში მქონდა ამოელებული. „ჯაყო" გმინვაა ჩემი სულისა. იგი დამაწერინა მიმავალმა ქვეყანამ".

მოგეხსენებათ, ეს ის დროა, როცა აჯანყებაში დამარცხებული, ხერხემალში გადატეხილი საქართველო სისხლისაგან იცლება, ერის საუკეთესო ნაწილი ან დახვრეტილია, ან ციხეშია ამოხრჩობილი, „მიმავალი ქვეყანა" - თავისი კულტურულ-ეთიკური დამოკიდებულებებით, ცხოვრების წესითა და ჩვეულებებით, ინტელექტუალური ღირებულებებით, სამუდამოდ ეთხოვებოდა ასპარეზს, ხოლო მის ადგილს იკავებდა მაუზერიანთა ველური ლაშქარი, რომლის აზროვნებაცა და მეტყველებაც, მოკლე, მარტივი იყო:

ამხანაგო, შემოკლდით! ამხანაგო, კიდევ შემოკლდით! ამხანაგო, აიბარგეთ!

დიახ, თეიმურაზ ხევისთავი და „თეიმურაზები" საერთოდ, აიბარგნენ. სამაგიეროდ:

„ჯაყო ახალი ცხოვრების გმირად და დამოუკიდებელ ბატონად გადაიქცა. და ამ ბატონს უნდა დასთმობოდა გზა და მოედანი, უნდა მისცემოდა ფართე ასპარეზი მოქმედებისა და სრული უფლება ნავარდობისა, ვინაიდან მხოლოდ ჯაყო იყო ახლადშობილი, ახალი ჯურის ადამიანი, მხოლოდ მას ჰქონდა დროის შესაფერისი კუნთები, ბასრი კლანჭები და ფოლადის კბილები, ჯაყოები ამ კლანჭებით და კბილებით უძლურ ჭიაყელებს (ე. ი. თეიმურაზებს - თ. მ.) დაიპყრობენ, მოშლილ უფლებას დაისაკუთრებენ, დაფანტულ ქონებას ხელახლად დააგროვებენ,

ზარმაცებს აამუშავებენ, მოდუნებულ ძარღვებს გააცოცხლებენ, ახალ წესრიგს შეჰქმნიან და ახალ თანასწორობას, სამუდამო მშვიდობას და კეთილ ცხოვრებას დაამყარებენ, თანაც ყველას გემრიელ ლუკმას გაუჩენენ, ყველას - ხევისთავსაც კი, რომელმაც ყველაფერი იცის, მაგრამ არაფერი ძალუძს" (მ. ჯავახიშვილი, „ჯაყოს ხიზნები").

ჯაყო და თეიმურაზი:

ერთი: სიმბოლო რევოლუციური ძალადობისა, აქედან გამომდინარე ყველა უარყოფითი შედეგით. მეორე: სიმბოლო კაცისა (თუ კლასისა?), რომელიც „რევოლუციის საქაჯაის ქვეშ დაჩანჩურდა" (მ. ჯავახიშვილის სიტყვებია). არის მესამე სიმბოლოც: მარგო! იგი უპატრონოდ დარჩენილი საქართველოა, რომელსაც უეჭველად დაეუფლება ფოლადის-კბილებიანი მომხვდური-მოძალადე, თუ შენც ფოლადის კბილები და ბასრი მახვილი არ შეაგებე, თუ მისი დაცვა ვერ შესძელი. დაეუფლება, მონად გაიხდის, დაამშევს და მერმე თავის ნებაზე გახედნის.

მიხეილ ჯავახიშვილი, მართალია, ძალიან მკაცრია ხევისთავისადმი, საერთოდ, ქართული სინამდვილისადმი, მაგრამ ამ სიმკაცრეში ტრაგიკული ტკივილია, თანაგანცდა და თანაზიარობაა. თავის გმირებთან ერთად, მწერალიც ეშვება დამცირებისა და ტანჯვის ჯურღმულში. ოღონდ, მას კატეგორიულად არ შეუძლია ლმობიერი და მიმტევებელი იყოს იმის მიმართ, ვინც საქართველო თავისი უნიათობის გამო, პროლეტარულ დიქტატურის უღელში შაება. ინტელიგენტ თეიმურაზს (თეიმურაზებს) მეტი ცხოვრებისეული ფხა რომ გამოეჩინათ, ნაკლები ეყბედათ, და საქმე მეტი ეკეთებინათ, ძალისათვის ძალა დაეპირისპირებინათ და არა პასიური, ლაქლაქა ჰუმანიზმი, ანუ გუდაფშუტის პათოსი, იქნებ ქვეყანა (მარგო) გადარჩენილიყო და ასეთი უსაშველო დაცემა-დამცირებაც არ განეცადა.

მწერლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მას არ ძალუძს, რომ ოდნავ მაინც გააყუჩოს „ანატომირების" სიმწარე და ქართველი ადამიანის ცნობიერების მგრძნობიარე ადგილებს ხელი არ შეახოს, რადგან იცის, რომ, გულჩვილ სენტიმენტალობას არიდებული, უტყუარი თვითშემეცნება, ეროვნული სულის გაჯანსაღებისათვის აუცილებელია. ჩვენ დღესაც არანაკლებ გვჭირდება იმგვარი „უმოწყალო" ხედვა, როგორიც მიხეილ ჯავახიშვილს ჰქონდა.

კანცლერ ბისმარკს უთქვამს: „რევოლუციას ჩაიფიქრებენ გენიოსები, განახორციელებენ ფანატიკოსები, ხოლო მისი ნაყოფით სარგებლობენ არამზადებიო". ამჯერად, თავი დავანებოთ გენიოსებსა და ფანატიკოსებს, მაგრამ აი, ჯაყო და „ჯაყოიზმი" საერთოდ,

რევოლუციით ნასაზრდოები არამზადობა რომ გახლავთ, ალბათ ამას არ სჭირდება დიდი მტკიცება. ეს, რაც შეეხება წიგნის სოციალურ ასპექტს. ხოლო თუ რომანის პერსონაჟთა ფსიქოლოგიურ-ბიოლოგიურ ურთიერთობას დავაკვირდებით, დავინახავთ დაპირისპირებას ძლიერი ფიზიკისა რაფინირებულ სულთან (თომას მანის საყვარელი თემა!). ამჟამად, მე რომანის სოციალურ-ეროვნული ასპექტი მაინტერესებს. დაბეჯითებით უნდა ითქვას: მწერლისათვის თანაბრად მიუღებელია როგორც ჯაყო ფეხზე დასმული და თავზე აღოღებული ღორის ტილი, ისე თეიმურაზიც, რამეთუ თეიმურაზი პირდაპირი ჩამონავალია ლუარსაბ თათქარიძისა (იხ. ა. ბაქრაძის წერილი „რა არის თათქარიძეობა?“). კი, მაგრამ მაშ სადღაა იდეალი? მისანიშნებელი ორიენტირი დაბნეული ერისათვის? ასეთი იდეალი რომანში არ ჩანს! არსებობს ერთი მეტად საინტერესო დოკუმენტი, საიდანაც ირკვევა, რომ მ. ჯავახიშვილი თურმე აპირებდა „ჯაყოს ხიზნების“ გაგრძელების დაწერას:

„რომანი არც სრულია, არც დასრულებული, აკლია რამოდენიმე მოქმედი (ანტიპოდი თეიმურაზისა და სხვათა) და მეოთხე ნაწილი, მაგრამ ხომ იცით, აგვისტო-სექტემბერში ვწერდი 1924 წლისა. ისე არ მოვკვდები, რომ სრული „ჯაყო“ არ დავწერო. რაც დიდმა ილიამ ვერ გაჰბედა და ვერც გაჰბედავდა, მე უნდა გავბედო და თავად-გლეხთა შორის ჩატეხილი ხიდი უნდა გავამთელო. დარწმუნებული ვარ. ა. წ. შემოდგომას (იგულისხმება 1926 წ. თ. მ.) უკვე წაიკითხავთ ნამდვილსა და სრულს. დასასრული სულ სხვანაირი იქნება... ნინიკა ჯაყოს მარგოს წაართმევს, ხოლო თვით ჯაყოს საქართველოდან გადაასახლებს“.

ეს წერილი, რომლის ადრესატი შალვა დადიანი გახლავთ, დაჟინებულ ყურადღებას იმსახურებს. ეტყობა, ნინიკას სახით, რომელიც „ჯაყოს მარგოს წაართმევს, თვითონ დაიჩემებს, ჯაყოს კი საქართველოდან გადაასახლებს“, მწერალი სწორედ იდეალური გმირის შექმნას აპირებდა. თავადი გლეხს დაუკავშირდება, მაგარი, გლეხური ჯიში ძირძველ, კეთილშობილ, გარნა მოღლილ სისხლს დაემყნობა, ამით „ჩატეხილი ხიდი“ გამთელდება და ყოველივე ბედნიერად, „ჰეპი ენდით“ დამთავრდება. მაგრამ კიდევ კარგი, რომ ეს ჩანაფიქრი არ (თუ ვერ) განხორციელდა, თორემ სრულ მხატვრულ ბანალობას მივიღებდით.

სამაგიეროდ, ამ თვალსაზრისით, და არამარტო ამ თვალსაზრისით, „თეთრი საყელო“ „ჯაყოს ხიზნების“ ერთგვარ გაგრძელებად უნდა ჩაითვალოს.

რომანი 1926 წელს დაიბეჭდა „მნათობში“, იმავე წელს ცალკე წიგნადაც გამოვიდა - საფუძვლიანად გადამუშავებული და შევსებული. ამის საგანგებოდ აღნიშვნას პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რამეთუ მკითხველთაგან ზოგმა შეიძლება არ იცოდეს, რომ ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი, ცუცქია, პირველ, „მნათობისეულ“ ვარიანტში საერთოდ არ არსებობდა, იგი გაჩნდა ცალკე წიგნად გამოცემულ „თეთრ საყელოში“. ამით ნაწარმოებმა დიდად მოიგო, მკაფიოდ გამოიკვეთა მთავარი კონცეფცია, ხოლო ქართულ მწერლობას შეემატა სრულიად ახლებური სახე ქალისა, რომელიც რევოლუციისა და საბჭოთა რეჟიმის ღვიძლი შვილია, ამავე დროს, ჯაყო ჯიგაშვილის ნამდვილი სისხლი სისხლთაგანი, მისი და, ოღონდ ქალაქში მცოვრები და „გაკულტურონსნებული“. მისი ვინაობა გნებავთ?

„მე ელიზბარმა, დიდმა აზნაურმა (დაიმახსოვრეთ! თ. მ.), აზნაურობა ჩამოვირეცხე, ცუცქია კი მეჯღანის ქალიშვილი, გაიბერ-გამიაზნაურდა. დაუდეგარი, ზანტი, უკადრისი, ამაყი, კერპი, უხეში და ფლიდი, - აი, უსრულო სურათი ცუცქიასი“.

„უსრულო სურათიო“ - ამბობს მწერალი. მოდი, ჩვენ დავასრულოთ: იგი მეძავიცაა, თანაც ისეთი მეძავი, რომელიც ყველაფერს იკადრებს, ყველაფერზე წავა, ხოლო ქმარს ყურში განუწყვეტლად ჩასჩხავლებს: „ნე ტე ვრემენა, გალუბჩიკ! წავიდა ის დრო, წავიდა! ცუცქია თავისუფალია, როგორც მოეპრიანება, ისე მოიქცევა. თანასწორობა, სრული თანასწორობა! აი, სადღეისო ლოზუნგი!“

მაგრამ რა გამოვა აქედან? სად მიგვიყვანს ჯაყოიზმის კიდევ ერთი გამოვლინება, თანაც, უაღრესად სახიფათო, რაკიღა ეს სწორედ ქალთან არის დაკავშირებული? სად არის ხსნა?

ვიდრე ამ კითხვას პასუხს გავცემდე, საჭიროა გავიცნოთ ელიზბარი, ანუ ვაჟიკა, მთავარი პერსონაჟი ამ რომანისა:

„ბედისაგან მოთელილი და ნაბურთალი ვარ. ცხოვრებამ გამომფიტა, მომქანცა და ფუღურო მყო. რაცა მქონდა და ვინცა მყავდა, თითქმის ყველანი დავკარგე: მამა, ძმა და სამიოდე ნათესავი, მამა-პაპათა მონაგარი და უკანასკნელი თავშესაფარი, სულის სიმხნევე და გულის სიმტკიცე. ყოველივე მქონდა და აღარაფერი შემრჩა. სული დამიცარიელდა და ვეღარაფრით ავივსე“ - ასე წარმოგვიდგენს იგი საკუთარ თავს. ძნელი მისახვედრი არაა, რაცა სჭირს ელიზბარს, რევოლუციის „სიკეთისგან“ სჭირს. აკი ამბობს კიდეც: „ქალაქმა, ომებმა, რევოლუციის ქარიშხალმა ბუმბულივით დამაბორიალა“...

დაბორიალდა და შორს, ხევსურეთში ავიდა, რადგან იქ

ეგულებოდა სულის სიმშვიდისა და სიმრთელის წყარო, რაკიღა იქ არ იქნებოდა ცუცქია (იგივე ჯაყო!) და მათი საზარელი მშობელი „წითელი ეშმა“. ჯავარის, ანუ სპილენძის ძიების სურვილი აქ საბაბია ქალაქიდან გაქცევისა. მას ადრეც ჰქონდა მსგავსი მცდელობა: „მეორე დღესვე სვანეთში წავედი ჯავარის საძებნელად, - ამბობს ერთგან ელიზბარი, - ნამდვილად კი ცოლს გავექეცი“. აი, ესაა თავი და თავი: ცოლს და წითელ ეშმას გაექცა. მაგრამ იქ რაღა დახვდა? უპირველეს ყოვლისა, დამთრგუნველი შიში, რომ „წითელი ეშმა“ ხევსურეთშიც შეაღწევდა. ამის საშიშროება, რაღა თქმა უნდა, მართლაც რეალურად არსებობს:

„სხვა ხალხი ზღვასავით მოგვაწყდება და ქართულსაც კი დაგვაეიწყებს. საკუთარს აღარაფერს შეგვარჩენს: არც ჩოხას, არც ქუდს, არც ცხვირს და აღარც თვალს“, - ამბობს ჯურხა, რადგან კარგად იცის: სწორედ ასეთია „წითელი ეშმას“ თვისება და ნიშატი. მაგრამ ეს მედლის ერთი მხარეა. მეორე კი ის გახლავთ, რომ ხევსურეთი, რომელიც ელიზბარს აღთქმულ მიწად ჰქონდა წარმოდგენილი, ნამდვილი ბუდეა წვირესი, ტილის, გონებრივი სიბნელის და ფუჭი რომანტიზმის, რაც ფარნავაზ მეფის, ფარსმანისა და ერეკლეს გულწრფელ ნატვრაში გამოიხატება.

როდემდე შეიძლება გასძლოს იქ ისეთმა ინტელექტუალმა, როგორიც ელიზბარია? და აი, თანდათან, შეუჩნეველად, ჩნდება და ძლიერდება ნატვრა თეთრი საყელოსი, რაიც სიმბოლო გახლავთ ცივილიზაციისა. „თეთრი საყელო მელანდება: წუხელ სიზმარში ფუქსავატური და თანაც საზეიმო შავი ფრაკი, თეთრი ჟილეტი, ლაკიანი ფეხსაცმელი, მბზინავი და გახამებული საყელო ვნახე თეთრი, მაღალი, კრიალა საყელო!“

ამ ლტოლვას ვერაფერი დაუდგება წინ, რადგანაც ეს კულტურული, განათლებული, ცივილიზებული კაცის ლტოლვაა. თუმცა მან ისიც კარგად იცის, რომ „ჯანსაღი ველურობა განათლებულ გადაგვარებას სჯობია“. და აი, აქ დგება ფუნდამენტალური კითხვა, რომელიც ნაწარმოების ღერძად უნდა ჩაითვალოს: „მითხარით, განა არ შეიძლება, რომ თეთრი საყელოც მოვიხვიო და ჯიშიც შევინახო?“

ჯიში შევინახო...

რომანის სწორედ ამ პლასტთან არის დაკავშირებული უაღრესად მომხიბლავი მხატვრული სახე - ხათუთა. იგი - ჯიშია თავად. დიახ, ხევსურეთში წვირეც არის, ტილიც, მაგრამ არის ხათუთაც - გამძლეობა ქართული, ეროვნული ხერხემალისა. სწორედ

ამაში ხედავს ხსნას მ. ჯავახიშვილი და აქედან გამომდინარე, რომანის კონცეფციაც შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს:

„წითელმა ეშმამ" ისე ღრმად გაიდგა ფესვები, რომ თავს ვერ დაიხსნი, ვერსად გაექცევი, იგი ავადობაა, წყლულია საქართველოს ეროვნულ სხეულზე. წრე დაიხშო: სოფელში და ქალაქში ჯაყო და ცუცქია დაპარპაშებენ, ხევსურეთში წვირია, და სიბნელე, თანაც ღღეს თუ ხვალ „წითელი ეშმა" იქაც შეჰ ყოფს თავის საცეცებს. სად წავიდეს სულიერებით აღბეჭდილი კაცი, სად მიიდრიკოს თავი? ერთადერთი ხსნა ამ გამოუვალ მდგომარეობიდან თითქო ხათუთაა, უფრო ზუსტად, „თეთრი საყელოს" და „ჯიშის" სიმბიოზი, საუკუნეებით დაღლილი დიდაზნაურისა და ურა კვიცის გამძლეობით აღბეჭდილი ხალხური სისხლის ერთმანეთზე დამყნობა და რომანის ფინალიც სწორედ ასეთი გახლავთ. აქ თითქოს შეისრულა მწერალმა „ჯაყოში" ვერგანხორციელებული სურვილი, „ის გაჰბედა, რაც თავის დროზე დიდმა ილიამ ვერ გაჰბედა", დიდაზნაური და გლეხის ქალი შეაულლა, ერის ხერხემალი გაამაგრა, მაგრამ ცოტა ნაგვიანევი ხომ არაა ყოველივე ეს?

არის კიდევ ერთი მაგრამ...

თუ მოვლენათა ლოგიკას გავყვებით, მაშინ ესეც უნდა ვთქვათ: სულ რამდენიმე წლის შემდეგ, ან იქნებ წლები არც უნდოდეს, ერთ „მშვენიერ" ღამეს, ელიზბარს, ანუ ვაჟიკას, ტყავის ქურთუკიანი ჩეკისტები მიაკითხავენ, ლოგინიდან წამოაგდებენ, ყოველგვარი განმარტების გარეშე წაიყვანენ და უგზოუკლოდ დაკარგავენ. შინ დარჩება ზაფრით ჭკუაზე გადასული, ბალღებით დახუნძლული ხათუთა, რომელიც ცრემლების ყლაპვით იტყვის:

აკი გეუბნებოდი, ვაჟიკაჟ, დამპალ ას თქვენი ქალაქი, დამპალ!

არ იცოდა ხათუთამ: ქალაქი კი არ იყო დამპალი, არამედ რეჟიმი, ქალაქს რომ ფლობდა. ასე რომ, წრე შეიკრა.

„თეთრი საყელოს" ირგვლივ არნახული აჟიოტაჟი და კამათი ატყდა. პირდაპირ უნდა ითქვას: თითქმის ყველა შემთხვევაში ეს კამათი აცდენილია მიზანს, ვერა და ვერ მოხერხდა რომანის სწორი წაკითხვა. ვერავინ დაინახა, თუ არ დაინახა, რომ მწერალი ებრძვის რეეოლუციას და მისგან მოგვრილ „სიკეთეს", რომ აქ მოცემული ტრაგედია კაცისა (და ერისაც!), რომელსაც ადგილი ვერ უპოვნია საკუთარ სამშობლოში და სასოწარკვეთილი, მიუსაფარი, აქეთ-იქით ეხეთქება.

ქეთევან ჯავახიშვილის წიგნიდან:

„თეთრმა საყელომ" მრავალი უსიამოვნება აგემა მამას.

ხევსურეთში ისეთი აღშფოთება გამოიწვია, რომ მოსაკლავადაც დასდევდნენ. საერთოდ, ვერ გაიგეს ეს ნაწარმოები, რაც მწერლის დიდ გულისტკივილს იწვევდა. ამ ნაწარმოებით არც ზემდგომი ორგანოები იყვნენ კმაყოფილნი. რამდენიმე წლის განმავლობაში აღარაფერს უბეჭდავდნენ, საშინლად აწვალებდნენ".

მაგრამ, რომელი ნაწარმოებით „იყვნენ კმაყოფილი ზემდგომი ორგანოები? იქნებ „გივი შადურით?" ნურას უკაცრავად! უკვე დაბეჭდილ, ბაზარზე გასატანად გამზადებულ წიგნს მთავრობამ ყადაღა დაადო და მისი გაყიდვა აკრძალა. ერთი წლის ნერვების წყვეტა დასჭირდა ამ ყადაღის მოხსნას.

საქმე ასე იყო:

1929 წელს პარტიულმა ბობოლამ, მიხეილ კახიანმა, მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის კონფერენციაზე, სადაც, აქაო და, ლიტერატურაში ღრმად ჩახედული ვარო, სულ უშვერი სიტყვებით ლანძღა „გივი შადური", ხოლო მისი ავტორი უმსგავსი ეპითეტებით შეამკო, რაც მთავრობის წინაშე პირდაპირ დასმენას უდრიდა. კახიანის მოხსენებამ მიხეილ ჯავახიშვილზე ძალიან მძიმედ იმოქმედა. მას განსაკუთრებულად უყვარდა „შადური", ალბათ გრძნობდა, ამ რომანში მისმა ფანტაზიამ და სიუჟეტური გამომგონებლობის უნარმა, მართლაც რომ ზენიტს მიღწია, ხოლო ტექსტის სიღრმისეულ პლასტებში ჩადებული იდეა რომანისა რევოლუცია დამთრგუნველი და დამანგრეველი, ადამიანის გამაპირუტყვებელი ძალააო, ხომ ძვირფასი იყო მისთვის და შინაგანად გამოტანჯული. (გაიხსენე: „რევოლუცია ჩემთვის უდიდესი ტრაგედიაა").

და აი, წიგნი დააკავეს.

რა ექნა ამ შემთხვევაში მწერალს? როგორ მოქცეულიყო? მ. ჯავახიშვილმა დათმობაზე წასვლა ამჯობინა, რადგან ჰაერში, საკუთარ ტყავზე, დაჭერის სუნი დატრიალდა. ცეკას იდეოლოგიის განყოფილების უფროსი, ვიღაც ჟორჟიკაშვილი, ბეჯითად აერცელებდა ხმას, მ. ჯავახიშვილმა კახიანის შენიშვნებს ყურადღება არ მიაქცია და რომანის ბეჭდვა უნებართვოდ განაგრძოო. არადა, როგორც ქ. ჯავახიშვილი წერს, თურმე, „ყველა შენიშვნა გაითვალისწინა". მეტი დამცირებაღა შეიძლება? მაგრამ ნუ ავჩქარდებით, თურმე შეიძლება, გაცილებით მეტი შეიძლება: „ჰოი, მტანჯველო ქვეყანავ ჩვენო, შენთან ცხოვრებაც ჯოჯოხეთია, რადგან გვიყვარხარ, ხოლო უშენობაც ჯოჯოხეთია, რადგან ისევ გვიყვარხარ", ამბობს ერთგან გივი შადური, გონიერი და კეთილშობილი, თუმცკი გზაარეული კაცი, ავარად, ნაკაცარად წოდებული. ჰოდა, სამშობლოს გულისთვის უნდა გადარჩენილიყო

წიგნი, ეხილა მზის სინათლე. ამიტომ:

მ. ჯავახიშვილი წერილს სწერს ჟორჟიკაშვილს (ღმერთო ჩემო, რამოდენა პატივია ამ ვიღაც კომუნისტი - გარეწარისათვის!):

„პატივცემულო ამხ. ალექსანდრე!

ერთხელ კიდევ უნდა შეგაწუხოთ „გივი შადურის" გამო. თქვენ თურმე გითქვამთ, ვითომ მე ეს უბედური „შადური" დამებეჭდოს მას შემდეგ, რაც კანონმა საჯაროდ გაილაშქრა მის წინააღმდეგ. ე. ი. მე კანონის ნათქვამისათვის ყურადღება არ მიმიქცევია.

ამის გამო მე მსურს ერთი გარემოება გაგახსენოთ:

მ. კახიანის მოხსენებამდე ერთი კვირით ადრე, მე და თქვენ საუბარი გვქონდა „შადურზე" და მე მოგახსენეთ, წიგნი ნაწილობრივ დაბეჭდილია-მეთქი. ამ ბაასის შემდეგ, რაც უკვე დაბეჭდილი იყო, იმას აღარაფერი ეშველებოდა, დანარჩენი კი, უკვე შეკრული თაბახები, მრავალგან დავაშლევინე და ზოგი რამ შევცვალე. ამაზე მეტი მე არაფერი შემეძლო.

გარდა ამისა, უნდა შეგატყობინოთ, რომ 7-8 გვერდიდან, რომელიც თქვენ და კახიანს გქონდათ კონფერენციის დროს, არცერთი სტრიქონი, არცერთი სიტყვა არ შესულა წიგნში.

დასასრულ, ძალიან გთხოვთ, ეს წიგნი წაიკითხოთ (თუ აქამდე არ წაგიკითხავთ). დარწმუნებული ვარ იმდენი არაფერი აღმოჩნდება შიგ, რომ ღირსი ვიყო ესოდენ მატერიალურ-მორალური სასჯელისა.

მ. ჯავახიშვილი
29.IX-29 წ."

ხედავთ? ჟორჟიკაშვილს, თურმე ნუ იტყვით, წაკითხულიც არა ჰქონია „შადური", ისე ავრცელებდა ხმებს, იძლეოდა დირექტივებს. ამჯერად, რაღაც მანქანებით გადარჩა წიგნი, ერთი მშვენიერი ნაყოფი მ.ჯავახიშვილის კალმით მონაღვაწი, მაგრამ რის ფასად? ეს მხოლოდ მწერალმა იცოდა.

ერთი ცხადია: რომანში აშკარად ანტირევოლუციური განწყობილება სუფევს. რუსუდანი კომუნისტმა გამომძიებელმა აცდუნა, რამაც, თავის მხრივ, გივი შადურის ცხოვრების მსხვრევა და მისი გაავარება მოიტანა. სწორედ რევოლუციამ: მარადი გაამეძავა, ჯიქურაული - გაამხეცა, სტეპანიდა - გააგიჟა, სოკოლოვი-შევარდნაძე - ნაკაცარად აქცია...

ნიშანდობლივია, რომ ე. წ. „გაქცევის" იდეა, კომუნისტური ჯოჯოხეთიდან დაღწევის და შიშის მოტივი, რის დადასტურებაც

მ. ჯავახიშვილის პირად წერილში ზემოთ ჩვენ უკვე ენახეთ, „გიჟი შადურშიც“ იჩინა თავი და საკმაოდ მძაფრადაც:

„ალბათ გინახავთ ასეთი სიზმარი: რაღაც საშინელ ხიფათს ჰგრძნობთ: ან მხეცმა უნდა შეგჭამოთ, ან ვიღაცამ ყელი უნდა გამოგლადროთ. თქვენ შიშით ხართ შეპყრობილი და გსურთ გაიქცეთ, მაგრამ მუხლი არ გემორჩილებათ, ან გარბიხართ, მაგრამ ფეხებს უძალოდ აბარტყუნებთ და ისევ იმავე ალაგას რჩებით. აგერ მკვლელიც მოვიდა, ხელი ჩაგჭიდათ და მახვილი მოგიღერათ. თქვენ კი... აქ თქვენ უეჭველად გაიღვიძებთ.

ეს უცნაური სიზმარი მე ცხადლივაც დამემართა. აი, ხომ ხედავთ, მღვიძავს და ფხიზლადაც გახლავართ, მაგრამ გამოფხიზლება დამიგვიანდა. საქართველოდან დიდ ხანს მივრბოდი, მაგრამ ფეხებს, თურმე, მხოლოდ ჰაერში ვიქნევდი. ბედი კი მოდიოდა, მოექანებოდა. მისი კლანჭები კისერში დამწვდა და... მეც გამეღვიძა“...

და იქვე:

„ურემი რომ გადაბრუნდება, გზაც მაშინ გამოჩნდება. ეხლა თქვენთვისაც ცხადია: გონება გაქცევას მირჩევდა, ბედი-მდევარი კი უხილავი კლანჭებით მიჭერდა, მაბამდა, გზას მიჭრიდა, მატყუებდა და აჰა, დამაბა კიდეეაც. არც ახლა გჯერათ, ბატონებო, ბედი-მდევარი და მისი ქამანდები? ბედია-მეთქი, მაშ რა არის! ბედი-მტერი, ბედი-მდევარი, ბედი გარდუვალი და უძლეველი“.

ძნელია სათქმელის მეტი პირდაპირობით თქმა, მაგრამ მ. ჯავახიშვილი უფრო შორსაც მიდის:

„მეგობრებო, მე ძველი თაობის კაცი ვარ და ზოგი რამ ახალი ვერ მესმის. მსურს, ძალიან მსურს გავიგო, მაგრამ ვერ გავიგე“. რადგან: „სისხლი, ცრემლი, ცეცხლი, კვნესა, ურვა და ვალალი ამაზე მეტი ამ შავი დროისა, არაფერი მახსოვს. საშინელია! საზარელია! „წარსული ზღაპრად მეჩვენება, აწმყო გაუგებარია, მყოფადი კი განუჭვრეტელი!“

ეს მწერლის სულის კვნესაა, მწარე ღაღადისია, ავბედითი წინათგრძნობაა, რომელიც საშინელი დასკვნითი ფრაზით თავდება:

„გუშინდელი დღევანდელს მირჩევნია, დღევანდელი ხვალინდელს სჯობია!“ იცოდა, გრძნობდა: „ხვალ“ ჯვარცმა რომ ელოდა.

მანამდე კი; „ხუთის ამბავი“, (1926 წ.), სადაც რევოლუციისგან მოტანილი შედეგები ასე „წარმტაცად“ არის გადმოცემული ინტელიგენტი ხვარამზეს პირით:

„მოვიდა რევოლუცია და ყველაფერი ყირამალა დააყენა. მალე მოსკოვი წითლებმა დაიჩემეს.

ჩვენ დიდი სახლი გექონდა. ის სახლი ჩამოგვართვეს, ჩვენ

სახლში მუშები ჩაასახლეს, ჩვენ კი, თითქმის შიშველები, სადღაც სარდაფში შეგვრეკეს.

სასახლის დარბაზში დავიძინეთ და ბნელ სარდაფში გავიღვიძეთ. იმ დღიდან დაიწყო შიმშილი, სენი, წამება და ჯოჯოხეთი. ყოველიევე ნანახი და განცდილი რომ აგიწეროთ, დილამდისაც ვერ გავათავებ. არ მესმოდა, ვინ ვის ებრძოდა, ან რისთვის ებრძოდა. რად იღვრებოდა ამდენი სისხლი, რად იწვოდა მთელი ქვეყანა, ან რად ანგრევდნენ საკუთარ სახლს. დღე არ გავიდოდა, ხუთჯერ მაინც არ გაეჩხრიკათ ხიშტებით ჩვენი ბოხჩები და ამდენჯერვე არ გადმოეყარეთ ვაგონიდან. ეს კიდევ არაფერი, ყოველ ნაბიჯზე მარწუხებით გლეჯდნენ ჩვენს სულებს, აზრებსა და წარსულს.

„ეს ჩვენ გამოგვადგება“, გვარწმუნებდნენ გზაში და ნელნელა გვხდიდნენ ხეირიან ტანისამოსს. რუსეთიდან რეეოლუციას გამოეექეცი, მაგრამ დამედევნა და დამეწია. იმ დღიდან ჩვენს სოფელში ყოველიეე აყირავდა. დამესიენენ ღარიბები და უმწეონი. ჯერ სახნაიი ჩამოგვართვეს, მერმე ბაღ-ვენახი დაისაკუთრეს, შემდეგ სახლიც დაიჩემეს და სკოლიდანაც გამაძეეეს.

ფიცრულში შემაგდეს და ჭირიანივით გამთიშეს. სწორედ იმ დროს ავად ვიყავი. აღარც წყლის მომტანი, არც პურის მომწოდებელი, არც მომვლელი, არავინ, აღარავინ!“

ასეთი იყო „პროლეტარული“ რეეოლუცია, ხოლო იმ ხანად, როცა მ. ჯავახიშვილის თაოსნობით, ალმანახი „არიფიონი“ გამოვიდა 1928 წელს, სადაც მისი მოთხრობა, „დამპატიჟე“ იყო დაბეჭდილი, „მშრომელები“ უკვე იმკიდნენ თავიანთი „მშობლიური“ რეეოლუციის შედეგს. კოლექტივიზაციის მსახვრალ უღელში ჰქონდათ კისერი გაყოფილი. კოლექტივის გამოგონება და დამკვიდრება იყო ბოროტება, რომლის ბადალი არ იცის ისტორიამ კაცობრიობისამ. ყველგან მძიმე და უამური იყო იგი, მაგრამ საქართველოში განსაკუთრებით.

სულ მალე, თეედორესა და მის თანამოძმეებს კისერზე ჩამოაჯდათ კოლექტივიზაციის ღვიძლი შვილი, ჯაყოს და ცუცქიას სისხლ-ხორცი, დამპატიჟე-ოქროპირა: უქნარა, მუქთახორა, გაიძვერა, ღორმუცელა... და თეედორე ფიქრობს: „ოთხფეხს ტკიპი შეუჯდება, ფუტკარს წინწალა ჩაუჯდება, ხეს ხავსი და ფითრი მოეკიდება, კლდესაც კი ფათალო ჩაექსოეება და სცხოვრობენ სხვისი წვენით. ნეტა ადამიანიც ასე ხომ არ არის მოწყობილი?“

დიახ, სოციალიზმის დროს სწორედ ასეა „ადამიანი მოწყობილი“, ეს კარგად დაინახა მ. ჯავახიშვილმა და მკითხველს მართალი სიტყვა უთხრა, რაც საიმდროოდ უჩეეულო, თაეგანწირული

გაბედულება იყო. მით უმეტეს, რომ ჩეკაში დოსიე ჯავახიშვილისა, სულაც არ გამოირჩეოდა „კომუნისტური მდგრადობით“. ატყდა ღრიანცელი, მაგრამ რა ატყდა! ნაფიც კრიტიკოსთაგან, ვისაც არ შეეზარა, თითო ქვა და გუნდა ყველამ ესროლა მიხეილ ჯავახიშვილს.

ვალია ბახტაძე:

„არ შემიძლია არ აღვნიშნო ის უდიდესი საფრთხე, რომლის წინაშეც, ჩემის აზრით, სდგას მწერალი. ეს არის მისი რევოლუციასთან დამოკიდებულების საკითხი. ხრამის წინ არის მ. ჯავახიშვილი. „დამპატიჟე“ არ არის კრიტიკა, ის ცილისწამებაა, ანდა კრიტიკა მტრის. მ. ჯავახიშვილმა უნდა დაიმსახუროს რევოლუციის კრიტიკის უფლება, როგორც მწერალმა. რევოლუცია მას უფლებას ვერ მისცემს, რადგან ჯერ კიდევ არავინ იცის, რევოლუციასთან არის მ. ჯავახიშვილი თუ არა“.

კოწია ლორთქიფანიძე: (ჩვეული სისინით):

„ავიღოთ მ. ჯავახიშვილის „დამპატიჟე“. უნდა ვიცოდეთ, რომ ეს ნაწარმოები არის რეაქციონური. იმითაც არის რეაქციონური, რომ იქ არის მოჭორილი და მოგონილი ამბავი“.

მიხა კახიანი:

„არის ასეთი ბელეტრისტი, როგორც მ. ჯავახიშვილი. მან დასწერა მოთხრობა „დამპატიჟე“, რომელშიც დამპატიჟეს სახით გამოჰყავს ზარმაცი გლეხი, რომელიც არაფერს აკეთებს და ცხოვრობს სხვა გლეხის ხარჯზე, მაგრამ ამავე დროს, კაეშირი აქვს კომუნისტებთან და ალბათ, თვითონაც კომუნისტია, ან, ყოველ შემთხვევაში, თანამგრძნობი.

მ. ჯავახიშვილის მოთხრობაში ეს არაფრის მაქნისი კაცი „კალახტივის“ მოწყობას აპირებს. ავტორი განზრახ წერს „კალახტივს“ და არა „კოლექტივს“.

რა არის ეს, თუ არა აბუჩად აგდება ჩვენი ხაზის, სოფლის კოლექტივიზაციის? თუ არა სრული არცოდნა ზოგიერთი ქართველი მწერლების მხრივ ნამდვილი, ახალი, საბჭოთა სოფლის? იმის ნაცვლად, რომ ისეირნოს აქ, რუსთაველის პროსპექტზე, ამ ჯავახიშვილმა არ მოიცალა გამგზავრებულიყო სადმე სოფელში, შეეხედა თუ გინდ სამთავისის კომუნაში. იქ ის დაინახავდა არა თავის დამპატიჟეს, არამედ ახალი საბჭოთა სოფლის ნამდვილ შემოქმედს.

გატაცებული არიან რა „არიფობით“, არიფიონელებს არ სურთ ახალი ცხოვრების გაგება. ასეთი ლიტერატურა ჩვენ არ გვჭირდება. ჩვენ არ გვჭირდება ის ხალხი, რომელიც ხოტბას ასხამს ძველ დროს, ყოველივე დახავსებულს. ჩვენ ნებას არ მივცემთ ჯავხიშვილს დასცინოს ჩვენ აღმშენებლობას“.

გერონტი ქიქოძე:

„რასაკვირველია, „დამპატიჟეს“ გამოქვეყნება პოლიტიკურ აქტივში არ ჩაეთვლებოდა მ. ჯავახიშვილს, რომელიც საგანგებო კომისიის თვალში ისედაც სახელგატეხილი იყო თავისი პოლიტიკური წარსულით. მისი მოთხრობა საკოლმეურნეო მოძრაობის ბოროტ სატირად მიიღეს. მართლაც, „დამპატიჟეში“ კოლმეურნეობის სუსტი მხარეები ძალიან გონებამახვილურად არის გაკრიტიკებული. ამას გარდა, უეჭველია, გულმოდგინე დამბეზღებლის წყალობით, მ. ჯავახიშვილის ბასრმა რეპლიკებმა მიაღწიეს ბერიას ყურებამდე, რომელთაც ყველაფერი ესმოდათ, თვით ქალ-ვაჟის ჩურჩული სიყვარულის სარეცელზე, თვით მრგვალი მაგიდის გარშემო მსხდომარე მეგობრების ნელი ბაასი“.

ამრიგად, ცხადია, რომ მ. ჯავახიშვილის კისერზე უკვე ჩამოცმულია ყულფი და იგი ნელნელა, მაგრამ დაჟინებით ეიწროვდება. საიმდროოდ მწერალი მხოლოდ 47 წლისაა, რაც აკმეს ასაკად უნდა ჩაითვალოს ბელეტრისტისათვის. მიხეილი ნამდვილი დიდოსტატია თავისი საქმისა და თანაც, სავსე გახლავთ შემოქმედებითი გეგმებით. სწორედ ამ დროს დაწერა მან ლექსი რექვიემი: „მე ჯერ არ მითქვამს ჩემი სათქმელი“, სადაც რამდენიმე ძალზე მნიშვნელოვან სტრიქონს ეკითხულობთ: „უცებ ჩამიწყდა მე ბეწვის ხიდი, სადღაც ჩამიტყდა საქმე უქმნელი“. „ეაჰ, ნეტა შენსა მოთმინებასა, გეიანმოსულო ჯავახიშვილო“. „მაცათ, არ მინდა... ადრეა წასვლა“. „ღმერთო მიშველე, ჯერ ნუ გამწირავ, უხვად დამირჩა უქმნელ-საქმნელი“.

და ბოლოს:

„თუ მართლა კვდება სამშობლო ჩემი, სიკვდილო შესდექ, ჯერ მე მომკალი“.

ასეთი ფორიაქიანი და ძნელბედითი ვითარების ჟამს, როცა ოფიციალურ კრიტიკოსთა რისხვამ და კბილთაღრჭენამ ზენიტს მიაღწია, როცა ამაზრზენმა შიშმა კლაე გამოაჭყიტა ყვითელი თვალები და მწერლის სიცოცხლე მართლაც ბეწვზე დაეკიდა, მიხეილმა გადადგა ნაბიჯი, რომელსაც სხვა დროს და სხვა ვითარებაში არამცდაარამც არ გადადგამდა. გადაწყვიტა, „დამპატიჟე, ოფიციოზისა და კრიტიკოსთა სურვილების მიხედვით გადაეკეთებინა, უფრო სწორად, ახლებურად გაეაზრებინა და ეჩვენებინა ოქროპირას მარცხი და საკოლმეურნეო მოძრაობის ძლევამოსილი გამარჯვება. დაიწერა კიდეც „აზნაურის სიკვდილი“, ანუ „რკინის საცერი“, რომელიც გაზეთ „კოლექტივიზაციაში“ დაიბეჭდა.

გამოხმაურებამ არ დაიგვიანა:

„ეს უბუოდ ახალი ამბაია მ. ჯავახიშვილის შემოქმედებაში, დიდი ნაბიჯია წინ. სოციალისტური სოფლის ცხოვრების ამსახველ მხატვრულ პროდუქციაში „რკინის საცერი" უეჭველად ერთ-ერთ თვალსაჩინო ადგილს დაიკავებს. კოლმეურნეობები კოლექტიურად კითხულობდნენ მოთხრობას და ამბობდნენ, როგორც სარკეში, ისე ვხედავთ ჩვენი კოლმეურნეობის სინამდვილესო. მ. ჯავახიშვილი პირადად გაეცნო საკოლმეურნეო მშენებლობას და ამიტომაც შედარებით სწორად ასახა ვითარება. აქ მოთხრობილია ამბავი კოლექტივში გამრუდებული გეზის გასწორებისა. ზედმეტი ხორცის, „დამპატიჟეს" გაწბილებისა და დაჩაგრული თევდორეს გამოცოცხლებისა, რომელიც კოლექტივის ახალი ხელმძღვანელობის წყალობით, კოლექტივის ბურჯად გადაიქცა და ამჟამად სტახანოველად ითვლება".

ეს იყო მწერლის მძიმე, გამოუსწორებელი შეცდომა!

უდიდესი ღირსება, რაც „დამპატიჟეს" გააჩნია, რომლის მიხედვითაც მასწავლებელმა საკოლმეურნეო მოძრაობის ისტორია მომავალში უნდა ასწავლოს ბავშვებს (და არა კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკრის" მიხედვით - თ. მ.) მწერლისაგან ხელაღებით იქნა უარყოფილი, ხოლო მის მაგივრად შეიქმნა სინამდვილის ცრუ მოდელი, რასაც არაფერი ჰქონდა საერთო რეალურ ვითარებასთან. ეს კი დიდი მარცხი იყო მ. ჯავახიშვილისა, როგორც მხატვრული, ისე ზნეობრივი თვალსაზრისით. უფრო მეტიც: ეს იყო პირველი შემოქმედებითი კომპრომისი, რასაც, მარტივი ლოგიკის მიხედვით, მომდევნო უნდა მოჰყოლოდა. მოჰყვა კიდეც:

თუ გახსოვთ: კახიანმა მოუწოდა: - წადი სამთავისში, სადაც კომუნა დაარსდა და იქ ნახავ ახალ საბჭოთა სოფლის ნამდვილ შემოქმედთო.

ქეთევან ჯავახიშვილი:

„მამამ გადაწყვიტა სამთავისის კომუნაზე დაეწერა რამე. ამ მიზნით სამთავისს ეწვია და იქაურობა დაათვალიერა. რაც მაშინ ნახა, მაინცდამაინც დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია მასზე. მაინც თავს ძალა დაატანა და ეცადა კომუნის ცხოვრებაზე ნაწარმოები შეექმნა. დაიწყო კიდეც წერა, მაგრამ იგრძნო, რომ სუსტი ნაწარმოები გამოუვიდოდა, თვითონვე კმაყოფილი არ დარჩა თავისი ნამუშევრით. დაწერილი დახია და თქვა: „რა ვქნა, არაფერი გამომდის, შეკვეთით წერა არ შემიძლია".

ქალბატონი ქეთევანი დაასკვნის:

„ზოგჯერ იძულებული იყო ისეთი რამ ეღიარებინა, ან ეკეთებინა, რაც მის გუნებას ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ მეტი გზა არ იყო, მოვლენები, რომლებიც იმ დროს მიმდინარეობდა,

ამას მოითხოვდა მისგან. ერთ მხარეს რომ აგრესიულად განწყობილი კრიტიკოსები იყვნენ, მეორე მხარეს იდგა მისი ნიჭის თაყვანისმცემელი, მრავალათასიანი მკითხველი, რომელიც ეთაყვანებოდა თავის საყვარელ მწერალს და მის ყოველ სიტყვას ხარბად ისმენდა. იგი მას არავითარი კომპრომისის ნებას არ აძლევდა და მისგან სიმაგრესა და გამძლეობას მოითხოვდა, უნდოდა ყოფილიყო ყველგან და ყოველთვის პრინციპული და არასდროს, არავითარ დათმობაზე არ წასულიყო. ასეთ გამწვავებულ დროს, ერთ-ერთმა მკითხველმა ასეთი წერილი გამოუგზავნა (გვარი მითითებული არ არის):

„დღეს დილით „სალიტერატურო გაზეთში" წავიკითხე, რომ ქუთაისში გითქვამთ: „გივი შადური" არ ვარგაო, „დამპატიჟე" ცუდიაო, დისტანციის თეორია მცდარიაო და სხვა. არ ვიცი, რა დაგემართათ, გმირობას არავინა გთხოვთ, ხოლო ზომიერება რომელიც უსათუოდ არის მეორე ღვთაება, კი უნდა იქნეს დაცული თქვენ მიერ, ეს მოვალეობაა თქვენი. მოვალეობა იმიტომ, რომ არის ქართველი ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილი (არა დეგენერატი ბესო ჟღენტი და ძმანი მისნი), რომელიც იზრდება ათეული ადამიანის საქციელის საფუძველზე და არ არის ლამაზი, მათ რომ თქვენ ასეთი აბრუნდის მაგალითს მისცემთ. რატომ უკურთხებთ შადურსა და პატიოსან თევდორეს „დამპატიჟედან"? დამპატიჟეა ახლა საქართველოს სინამდვილეში ურიცხვი, უჯიშო მცენარე, არაფრის მაქნისი, ხორცმეტი (თუნდაც იგივე ბესო ჟღენტი და მრავალი სხვა), რომლებიც სუქდებიან პატიოსანი ხალხის ნაოფლარით. მთელი ჩვენი სინამდვილე აივსო დამპატიჟეებით და მიკვირს, რატომ დაგჭირდათ ახლა მისი ძაგება. საქართველოს სჩვევია: ქვეყანა რომ ინგრევა, ათეულები რჩებიან და თაობებს ზრდიან. რა არის ამაზე დიდი ბედნიერება, იყო ხალხთან, მშიერ, მწყურვალ, უფლებააყრილ და განაწამებ ხალხთან ერთად. ჩემის რწმენით არაფერი არ არის ამაზე საპატიო. თქვენთვის რევერანსები, მე ვფიქრობ, სარფიანი არ უნდა იყოს. ამისათვის გირჩევთ: გირჩევთ მე, ახალგაზრდა, 30 წლის ბიჭი, უდიდესი მოსიყვარულე და მოტრფიალე კაცურკაცობის, მოქალაქეობის, კულტურისა და ჩვენი ქვეყნისა: ეშმაკს ნუ გაუშვერთ ხელს, თორემ ეშმაკი მთლიანად დაგეპატრონებათ!"

ამ წერილს ძალზე უმოქმედნია მწერალზე, გული უტკენია მისთვის. იქვე მეორე გვერდზე არის მინაწერი:

„კომუნისტებმა და მათმა დამქაშებმა მრავალი ათასი მკითხველი შეაცდინეს ჩემი სახელით. მე არ მითქვამს, თითქოს „შადური" და „დამპატიჟე" არსებითად ყალბი ყოფილიყოს. მაგრამ

არავითარი საშუალება არა მაქვს სიმართლე აღვადგინო და ამიტომ ვდუმვარ.“

ზემომოხმობილი დოკუმენტები ოდნავადაც ვერ ამოსწურავს იმას, რაც „დამპატიჟეს“ ირგვლივ დაიწერა საიმდროოდ. ეს ნამდვილად ზღვა მასალაა (გადაუდებლად შესასწავლი), მაგრამ, უნდა ითქვას, რომ კრიტიკოსები არაფერს აკეთებდნენ მწერლის იდეოლოგიური პოზიციებიდან ლანძღვა-თრევის მეტს, რითაც თავიანთ უგემოვნობასა და უვიცობას უფრო ამჟღავნებდნენ, ვიდრე საქმეში წვდომის სურვილსა და უნარს. ამის თაობაზე თვით მწერალი აღნიშნავდა:

„მწერლები „იდეოლოგიური სიმართლის“ ძიების საბაბით ერთმანეთს მისდგომიან და ნიჩბებით ასხამენ ცილსა და ტალახს. ეს კრიტიკა კი არა არის, არამედ ურთიერთის ჭამა და ლიტერატურის გაწბილება. დეე, კრიტიკოსი ულმობელი იყოს, ოღონდ შესაფერი კილო მოსძებნოს, მინიმალური პატივი დაგვდოს და შეიგნოს, რომ ნემსის ყუნწივით ვიწრო მიკერძოება მკითხველის გონებას ავიწროებს და შემოქმედებასაც ახშობს“.

თუმცა, იქვე იმხნევებდა თავს:

„ჩემი ხნის კაცს დროის მიერ სულიერი იმუნიტეტი აქვს აცრილი და კრიტიკოსი აგრე ადვილად ვერ შეარყევს მას. მე მხოლოდ მართალსა და გულწრფელ კრიტიკას უწევ ანგარიშს“.

მაგრამ ჩვენ ზემოთ ვნახეთ, რომ ამ აზრის აქსიომატურ ჭეშმარიტებად მიღება, ცოტა არ იყოს, ძნელი საქმეა. ეს მ. ჯავახიშვილმაც მშვენიერად იცოდა. იცოდა, რომ ძალიან უჭირდა ქართველ ერს, ქართულ კულტურას, ლიტერატურას, ადამიანს...

უბის წიგნიდან:

„ჩემთვის უდავოა, რომ ქართულ მწერლობაში ერთგვარი კრიზისი არსებობს. როდის დაიწყო ეს კრიზისი, ჯერ გამორკვეული არ არის, მაგრამ ფორმალურად ეს კრიზისი მაშინ დაიწყო, როდესაც გამოგვიცხადეს: ქართველი მწერალი ან პროლეტარიატის პროპაგანდისტად უნდა გადაიქცეს, ან ხელიდან კალამი გააგდოსო“.

„დღევანდელ ქართველ მწერალს რწმენა აკლია და კრიზისის სათავეც სწორედ აქ არის. რასაც ამბობს, არა სჯერა და რაცა სჯერა, ვერა სწერს. როცა სატირალი აქვს, იცინის და სადაც ეცინება, სტირის. ამიტომაც არის მისი პათოსი ყალბი და მჩატე. მოჰგლიჯეთ პირიდან ბოქლომი და ნახეთ: ისე ატირდება, რომ მისი ცოდვით ქვაც კი დადნება და ისეთ ლოცვას იტყვის, ღვთისმშობელსაც გააცოცხლებს“.

„მე, მწერალი, დღეს სასფლაოზე ვცხოვრობ. ირგვლივ ვაება და კაეშანია. მეუბნებიან: გმირული რამ დასწერეო. თუ სხვებთან

ერთად ვიგლოვე, თავში ჩამირახუნებენ. თუ ავტლიკინდი სირცხვილით დავიწვები. ვარ მდუმარე და დარდიანი".

დღეს გული უნდა გქონდეს ქვისა, სული რკინისა".

„პროლეტმწერლობა არარაობაა და ამ არარაობას ხელში სჩრიან ჰეგემონიას".

„მთელი საქართველო ფსიქიატრიულ საავადმყოფოდ გადაიქცა, სადაც ექიმი არ მოჩანს".

„საქართველოში ათეულ ათასებს წაერთვათ ყოველივე, გარდა შურისძიების გაუმაძღარი სურვილისა".

„გაეთანასწორდით გლახა და ლიტერატორი და ვისაც მათხოვრობა არ შეუძლია, ლიტერატურიდან მირბის. მეც მივრბივარ".

ვერ გაიქცა! ვერც გაიქცეოდა! გაქცევა კი არა, დღითიდღე უფროდაუფრო ღრმად შედიოდა ლიტერატურის უსიერ ტევრში და უკან რომ იხედებოდა, თვითონვე უკვირდა, ისე შორს დარჩენილიყო პირველსაწყისი ბილიკი. „დამპატიჟეს" შემდეგ იგი თვალნათლივ მიხვდა: თუ ფიზიკური არსებობის შენარჩუნება უნდოდა, კომუნისტებთან გააფთრებული ბრძოლისათვის თავი უნდა დაენებებინა, უკან დაეხია და ისეთი კომპრომისული ვითარებისათვის მიეგნო, როცა არც მწვადი დაიწვებოდა, არც შამფური. უნდა შეექმნა წიგნი, სადაც თავის გამძაფრებულ მამულიშვილურ ჟინსაც მოიწყურვილებდა და ე. წ. ოფიციოზსაც „გაუგორებდა კამათელს", მის „სოციალურ დაკვეთასაც" შეასრულებდა.

ასე დაიწერა „არსენა მარაბდელი" რომანი ხალხური პოეზიიდან კარგად ცნობილ ხალხურ გმირზე, არსენა ოძელაშვილზე, რომელიც ჩვენმა ზეპირსიტყვაობამ დიდი ზნეობრივი ძალით აღჭურვა (წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ვერც გახდებოდა სახალხო გმირი). ხოლო მ. ჯავახიშვილმა, თავის რომანში ეს არ იკმარა და არსენა სოციალური და ეროვნული იდეალებისათვის მებრძოლ გმირად აქცია. განსაკუთრებით ეს ითქმის სოციალურ ასპექტზე, რაც რაღა თქმა უნდა, დროის ნებით იყო ნაკარნახევი. სოციალური, კლასობრივი ბრძოლის აუცილებლობა მაშინ ხომ ერთადერთ, ურყევ ჭეშმარიტებად გახლდათ ცნობილი.

რომანმა დიდი წარმატება და პოპულარობა მოუტანა მწერალს, როგორც ხალხში, ისე, წარმოიდგინეთ, პარტიულ წრეებშიც. მაგრამ, ამის მიუხედავად, მაინც ვერა და ვერ ელირსა „თანამგზავრი" მწერლის „ტიტულს", რათა ამით ნორმალური, მშვიდი ცხოვრებისა და შემოქმედების საშუალება მოეპოვებინა და თავიდან აეცილებინა ეელური დევნა, კრიტიკოსთა მხრიდან რომ განიცდიდა. პირიქით, იმ მრავალრიცხოვანი დისპუტებიდან, რომლებიც წიგნის ირგვლივ

იმართებოდა, აშკარად გამოსჭვიოდა აზრი, რომ მ. ჯავახიშვილმა ნაციონალისტური, რეაქციული რომანი შექმნა.

ბ. ბუაჩიძე (1932 წ.):

„ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მარტო წარსულის მასალის დამუშავებით დღეს თანამგზავრად, მოკავშირედ გახდომა ძნელი არის. თუ ჯავახიშვილი ფიქრობს, რომ „არსენა მარაბდელი“ ასწორებს თავის ძველ გზებს და ხდება მოკავშირე მწერლად, ძალიან სცდება. შეიძლება მ. ჯავახიშვილისათვის ეს დიდი ნაბიჯი იყოს წინ, მაგრამ არაფერი დიდი რევოლუციონერობა არ არის ბატონყმობის გაკიცხვით დღეს თანამგზავრი მწერლის სახელის დამკვიდრება“.

ნაწყვეტი მ. ჯავახიშვილის საბოლოო სიტყვიდან (1932 წ.):

„... რა თქმა უნდა, არც ბესო ჟღენტმა დამივიწყა. მან თქვა: ჯერ ერთი, „არსენა“ ნაციონალისტური არისო. მეორე რომანში დღევანდელობა არ არისო. მე საერთოდ უნდა აღვნიშნო, ზოგის თავში ძალიან აირია ერმანეთში ორი მცნება ნაციონალური და ნაციონალისტური. გამოაცალეთ წარსულ ეპოქას ნაციონალური ელემენტები და ხელში უბრალო ფაქტების გარდა, აღარაფერი შეგრჩებათ. ის ეპოქა გაჟღენთილი იყო ეროვნული ბრძოლით, ეროვნული იდეებით და ამიტომ რომანში ეს მომენტებიც აცილებლად უნდა ყოფილიყო ნაჩვენები. მაგრამ ნაციონალისტური აქ არაფერი არ არის. ჟღენტმა მისაყვედურა: რომანი დღევანდელი თვალსაზრისით არ არის გაშუქებულიო. გამოვტყდები და ვიტყვი: ამ რომანში ბატონყმობა უფრო ნაჭარბევ სიმძაფრით არის მოცემული, ვიდრე ნამდვილად იყო და ვფიქრობ, რომ აქ მძაფრად გამოვსახე დღევანდელი თვალსაზრისი. ამის გამო, ზოგი ჩემი მეგობრისაგან საყვედურიც მივიღე გადაჭარბების გამო.

ბ. ჟღენტი: ვინ არიან ეგ მეგობრები?

მ. ჯავახიშვილი: ვინც იცის ისტორია, ვისაც ცალი თვალით მაინც ჩაუხედავს იმ ეპოქაში. ბესო ჟღენტს კი ისე არ შეუხედავს იქ, როგორც, მაგალითად, პეკინში (სიცილი). მე, როგორც მხატვარი, იმით ვიმართლებ თავს, რომ შესაწყნარებელია ერთგვარი გადაჭარბება, ზომიერი. მისაყვედურეს: დაშორებული ხარ ჩვენ დროსაო. ეს მართალია, მაგრამ უსამართლოდ ამბობენ: ეპოქალობა არ გაქვსო. მე შორი დროის „არსენაშიც“ კი გამოვაჩინე დღევანდელი ეპოქა. მე რომ ეს რომანი 10-15 წლის წინ დამეწერა, სულ სხვა რამ გამოვიდოდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მე დღევანდელი სული მიდგას და იმ დროსაც კი ეპოქალური თვალსაზრისით მიეუდექი, რაც ასი წლის წინათ მოხდა.“

ამ პატარა ნაწყვეტიდან ორი რამ არის საინტერესო:

ერთი ის, რომ მწერალი სრულიად აშკარად, გახსნილად გვეუბნება: რომანი კონიუნქტურულია, დროის მოთხოვნათა მიხედვით დაიწერა, სხვა დროს და სხვა ვითარებაში, სხვანაირი კონცეფციით დაიწერებოდაო, რაც მხატვრული სიმართლის მიმართ დასანან კომპრომისს გულისხმობს, საბოლოო ანგარიშით კი, არცთუ გრაციოზულ რევერანსს ბოლშევიკების წინაშე. ეს რევერანსი უნდა გვახსოვდეს, „დამპატიჟეს" „რკინის საცრად" გადაკეთებით დაიწყო, „არსენაში" გაგრძელდა და „ქალის ტვირთში" დაბოლოვდა. აგრეთვე, განხორციელდა მთელ რიგ გამოსვლებსა და სტატიებში.

და მეორე: აქ ჩაეყარა საფუძველი მიხეილ ჯავახიშვილისა და ბესო ჟღენტის მძაფრ პოლემიკას, რასაც მცირე როლი არ უთამაშნია მწერლის დასამარებაში. მათი კამათი, მართალია, ე. წ. „იდეურ ნიადაგს" ეფუძნებოდა, მაგრამ მხოლოდ ამით ვერ აიხსნება.

„არსენა მარაბდელთან" დაკავშირებით, ერთი საგულისხმო დეტალიც:

„ვასო ეგნატაშვილს მოსკოვში ყოფნისას სტალინი უნახავს (ეგნატაშვილი სტალინის ბავშვობის მეგობარი იყო - თ. მ.) მის სამუშაო ოთახში რომ შესულა, საწერ მაგიდაზე „არსენა" ედო თურმე. ვასო შეჰკითხვია: კითხულობ ამ წიგნსო? სტალინს უპასუხნია: „ეს ჩემი სამაგიდო წიგნია, ისწავლონ ქართველმა მწერლებმა, როგორ უნდა წერა! მ. ჯავახიშვილი ილიას ქართულით წერს, იმის გზას აგრძელებს და მომწონსო".

ამ ფაქტით მწერალი თურმე ძალიან ამაყობდა:

საერთოდ, სტალინის მიმართ მ. ჯავახიშვილს, როგორც ჩანს, ის გრძნობა ჰქონდა, რაც მისი თაობის ადამიანთა დიდ უმრავლესობას: სჯეროდა მისი, უსაზღვროდ ენდობოდა. მეტიც: ქართველი ერის ძლიერი ნების გამომხატველად მიაჩნდა! აკი ამიტომაც „ქალის ტვირთში" დიდი სიმპატიით დახატა იგი, მერმე წერილიც მისწერა პირადად მას, ხოლო 37-ში, ციხეში ყოფნისას, თურმე ყველას ეხვეწებოდა: როგორმე ხმა მიაწვდინეთ სტალინს, ჩემი უბედურება გააგებინეთ, აუცილებლად მიშველისო.

რა გულუბრყვილო ბრძანდებოდა ბატონი მიხეილი!

* * *

მიუხედავად იმისა, რომ „არსენა მარაბდელი" კარგად მიიღო მკითხველმა საზოგადოებამ და ოფიციოზის წყალობის თვალიც დაიმსახურა (თვით ბერიამ ბრძანა რაღაც კონფერენციაზე თუ ყრილობაზე: „მ. ჯავახიშვილმა ცუდი რომანი როდი დაწერაო"),

მწერლის განუკითხავი დევნა და წამება მაინც გრძელდებოდა. არ გამოჰპარვიათ, რომ წიგნი უხვად იყო გაჯერებული ანტირუსული ტენდენციებით, ამიტომ „ნაციონალისტურად“, „შოვინისტურად“ მონათლეს და გაუთავებლად აბრუნებდნენ ამ კონტექსტში. ამას კიდევ აიტანდა კაცი, მაგრამ მწერალთა კავშირში უბრალო კრება, ან რაიმე დისპუტი არ გაიმართებოდა, რომ მ. ჯავახიშვილის წინააღმდეგ არ გაელაშქრათ და მთავრობასთან არ დაესმინათ. ამ საქმეში, როგორც მოსალოდნელი იყო, ბესო ჟღენტს ვერავინ „სჯობნიდა“, მაგრამ, არც სხვები ჩამორჩებოდნენ: კ. ლორთქიფანიძე, შ. რადიანი, გ. ნატროშვილი მუშაობდა, გრაგანებდა, ბეზღობის, ცილისწამების, შურის, უვიცობის, შანტაჟის და სხვა მრავალი უკეთურობის მანქანა.

დისკუსია თემაზე: „თანამედროვეობა და მოკავშირეობა“. მომხსენებელი შალვა რადიანი:

„აშკარა იდეალისტური თვალსაზრისის გაპარება სცადეს მწერლების მემარცხენე ჯგუფმა მ. ჯავახიშვილის მეთაურობით. მათი აზრით, მსოფლმხედველობას მხატვრული შემოქმედებისათვის არა აქვს მნიშვნელობა, მთავარია ნიჭი, მხატვრული ათვისების ალღო, ინტუიცია. ეს განსაზღვრავს მწერლის და მისი პრაქტიკის მხატვრულ ღირებულებას და არა მსოფლმხვედველობა და იდეოლოგიაო, - ამბობს მ. ჯავახიშვილი. მაშასადამე, მწერლობის განაწილება, დაჯგუფება იმის მიხედვით, თუ რა პოლიტიკური, იდეოლოგიური მსოფლმხედველობისა არიან ისინი, მიუღებელი ყოფილა. მაშასადამე, მწერლობის დაყოფა თანამგზავრებად, არათანამგზავრებად და მოკავშირეებად, არ შეიძლება? არიან მხოლოდ ნიჭიერი და უნიჭო მწერლები? საბედნიეროდ, მ. ჯავახიშვილის დახასიათებული, აშკარად იდეალისტური თვალსაზრისი მთლიანად გაბათილებული იქნა კამათში გამოსულ თანამგზავრ, მოკავშირე და პროლეტმწერლების მიერ, რომლებმაც ცხადჰყვეს მ. ჯავახიშვილის და სხვების რეაქციონურ დებულებათა სრული უაზრობა.“

ბესო ჟღენტი: ერთი მხრით არის პროლეტარული მწერლობა, როგორც მოწინავე კადრი ჩვენი მწერლობისა და მეორეს მხრივ, ჩვენთვის უცხო, ჩვენი მოწინააღმდეგე მწერლობა. და თუ ოდესმე ჯავახიშვილზე ვილაპარაკებ...

მ. ჯავახიშვილი: გმადლობთ, რომ არ მივიწყებთ!

ბ. ჟღენტი: მე, ამხ. მიხეილ, თქვენს მიმართ ყოველთვის ჟურადღებით ვარ და არც დაგივიწყებთ. ჯავახიშვილი, ისე, როგორც გამსახურდია, ინგოროყვა და მთელი რიგი მწერლები „აკადემიურ ჯგუფიდან“, თუ „არიფიონიდან“, მოექცნენ მოწინააღმდეგე კლასის

პოზიციებზე. ჩვენ ვამბობთ, რომ მ. ჯავახიშვილი არ იძლევა ტენდენციას რევოლუციასთან მიახლოვებისა...

მ. ჯავახიშვილი: მაგ პატივისცემას გადაგიხდით როდისმე!

ბ. ჟღენტი: ჩვენი დისკუსიის ამოცანა, ამხ. მიხეილ, სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ერთმანეთს პატივისცემა გადავუხადოთ. როცა ვლაპარაკობთ, რომ მ. ჯავახიშვილი რეაქციონერი მწერალიაო, ეს ძალიან ცუდია. გაცილებით უკეთესი იქნებოდა, ჯავახიშვილი აკეთებდეს ჩვენთვის სასარგებლო საქმეს. ამიტომ, თუ ჯავახიშვილი დააპირებს ჩემთვის „პატივისცემის" გადახდას, ეს მოხდება მაშინ, თუკი ის შეეცდება სწორედ გაიგოს რევოლუციის ამოცანები, გადააფასოს თავისი მუშაობა და ჩადგეს ჩვენს სამსახურში. „მარაბდელის" რევოლუციური თემატიკა ვერ გაამართლებს თქვენს მუშაობას....

კ. ლორთქიფანიძე: რომელი რევოლუციონერი ეგა მყავს? საიდან არის რევოლუციონერი?

ბ. ჟღენტი: თუ ისტორიულ მასალას მოჰკიდა ხელი, გამართლებული იქნებოდა, რომ შესძლებოდა თემის გახსნა დღეს არსებული თვალსაზრისით, მუშათა კლასის მეთოდით და მსოფლმხედველობით, მაგრამ მან თემა გახსნა ნაციონალისტური მიდგომით და არა დიალექტიკური მატერიალიზმის თვალსაზრისით, რომელზედაც საბჭოთა მწერალი მტკიცედ უნდა იდგეს.

გ. ნატროშვილი: ზოგიერთები ფიქრობენ, რომ მ. ჯავახიშვილის შემოქმედებას რაღაც განსაკუთრებული მხატერული ღირსება ახასიათებს. ეს ტყუილია. ჯავახიშვილი ცდილობს მკითხველის ყურადღება მიიპყროს იაფფასიანი ხერხებით, სენსაციებით, შემთხვევითი სიტუაციებით. მ. ჯავახიშვილის შემოქმედება არის ნამდვილი „ბულვარშჩინა".

ფ. ნაროუშვილი: მ. ჯავახიშვილი რეაქციონერი მწერალია, ამიტომ არ შეიძლება დაისვას საკითხი მის გარდაქმნის შესახებ. მას არ აქვს აღკვეთილი დასწეროს რევოლუციონური ნაწარმოებები, მაგრამ მისი შემოქმედების დღევანდელი გზით გაგრძელება აღარ შეიძლება.

მიხ. ჩიქოვანი: მ. ჯავახიშვილის ენა არის ფეოდალურ-არისტოკრატული კლასის ენა, ამიტომ ჯავახიშვილი არ შეიძლება მივიჩნიოთ ენის საუკეთესო ოსტატათ, რადგან მისი ენა არ არის მუშათა კლასის ენა.

ბ. ჟღენტი: მ. ჯავახიშვილის მიმართ მე არასოდეს გამომიჩენია ლმობიერება, პირიქით, ყოველთვის სასტიკად ვებრძოლი მას. მაგრამ თუკი ჯავახიშვილი შეძლებს თავისი მსოფლმხედველობის გარდაქმნას, თუ ის მოვა მუშათა კლასთან და ჩაებმება სოციალისტურ

პრაქტიკაში, პარტია მას უარს არ ეტყვის! რა თქმა უნდა, მ. ჯავახიშვილი რეაქციონერი მწერალია. ჩვენ ვებრძვით და შევებრძოლებით ყოველგვარ რეაქციონურ ტენდენციებს მწერლობაში, მაგრამ თუ ის განიარაღდება, გადამუშავდება, ჩვენ მას ხელს არ ვკრავთ".

ყოველივე ეს ითქვა მ. ჯავახიშვილის დაღუპვამდე ზუსტად ხუთი წლით ადრე! ამ ხუთ წელიწადში უამრავი რამ მოხდა ისეთი, რამაც უჩვეულო, მოულოდნელი რაკურსით გაანათა ადამიანები, მოვლენები, საგნები. რაც მთავარია, ხუთმა წელიწადმა მ. ჯავახიშვილის სულში მკვეთრი გარდატეხა გამოიწვია. მწერალი იძულებული გახდა ცხოვრებისათვის ანგარიში გაეწია და დროის მოთხოვნისათვის აეწყო ფეხი. ასე გაჩნდა მისი თხზულებების კრებულებში მთელი სერია სტატიებისა მრავალისმეტყველი სათაურებით: „საბჭოთა მწერლები ქუთაისში", „დიადი ეპოქა", „ორი თვე ჩრდილოეთში", „ქართველი საბჭოთა მწერლების მხურვალე სალამი არქტიკის გმირებს", „საბჭოთა მწერლობა გაიზარდა", „ჩავდგეთ სოციალიზმის მშენებელთა წინა რიგებში", „საბჭოთა მწერლების პირველი ყრილობა", „საბჭოების უკანასკნელი ყრილობის შემდეგ", „ლაგოდეხის კოლმეურნეებს", „ეამრაველოთ ფრიადოსანთა ლაშქარი", „ახალ მკითხველებთან" და მრავალი სხვა, რომლებიც ვეჭვობ, რაიმე ღირსებას ჰმატებდენ მ. ჯავახიშვილის მწერლურ სახელს. ამას ემატებოდა სიტყვები, გამოსვლები, შეხვედრები, პლენუმები, დისკუსიები, სადაც მ. ჯავახიშვილი თავგამოდებით იცავს საბჭოთა მწერლის შემოქმედებით პოზიციებს.

ეს ყოველივე ნამეტანი მოხშირდა 1934 წლის შემდეგ, როცა გაიმართა მწერალთა I საკავშირო ყრილობა, როგორც თვით მ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, „ყველაზე მნიშვნელოვანი და დიდი მოვლენა მრავალეროვან საბჭოთა ლიტერატურის მთელ ისტორიაში, მწერალთა სულიერ ცხოვრებაში".

21 აგვისტოს, დილის სხდომაზე, კამათში მ. ჯავახიშვილიც გამოსულა სიტყვით. მერმე იგი გამგეობის პრეზიდიუმშიც აურჩევიათ, და, ასე განსაჯეთ, აბელ ენუქიძესთან სამახსოვრო სურათიც კი გადაუღია ქართველ მწერალთა ერთ ჯგუფს. მერმე ფულითაც დაუჯილდოებიათ მწერლები (ვაი, სირცხვილო!).

„მოსკოვიდან მამა შთაბეჭდილებებით დატვირთული და მომაელის იმედით აღსავსე დაბრუნდა, თითქოს ენერგიაც მოემატა. აღფრთოვანებული იყო ყრილობის ატმოსფეროთი და ჩამოსვლის შემდეგ, კიდევ დიდ ხანს, იმ ატმოსფეროში ტრიალებდა. გვიამბობდა, ყოველ წვრილმანს იხსენებდა".

რა მოხდა? ნუთუ ბოლშევიკებმა მგლობა უარყვეს და ბატკნის გზას შეუდგნენ? მწერალთა ტანჯულ სვეზე გული აუჩუყდათ და პარტიული კაბალისაგან მათი გათავისუფლება გადაწყვიტეს? იცხოვრეთ, როგორც გინდათ, წერეთ რაც გინდათო? არა, რაღა თქმა უნდა! პირიქით, საერთო საკავშირო მწერალთა კავშირის შექმნით პარტიამ მთელი მწერლობა ერთიანად მოიმწყვდია მუშტში და თავის დიქტატს დაუმორჩილა. თვალის ასახვევად კი, ქამელეონივით იცვალა კანი, გადემოკრატდა, კრემლში ნაყროვანი ბანკეტები მოაწყო და საყოველთაო ცეკვა-თამაში და ხორხოცი გამართა, რითაც საბოლოოდ მოინადირა მათი გული. სატყუარა ძალზე ზუსტად იყო გათვლილი: მართლაც, მეტი დემოკრატიზმი და თავისუფლება რაღა გინდა, კაცმა რომ თქვას? მწერლები მთავრობასთან ქეიფობენ, მეგობრულად ელაზღანდარებიან ერთმანეთს. იყავ და ინეტარე! სამაგიეროდ, იცი, რა გეეალება, ამხანაგო მწერალო? სოციალისტური რეალიზმის მეთოდის მომარჯვებით ასახო ჩვენი გმირული ეპოქა, დიადი მშენებლობანი და რევოლუციური წარსული, სადაც „ხალხთა მამამ და მასწავლებელმა" ცხადია, მთავარი ადგილი უნდა დაიკავოს.

რა უნდა მწერლის მოტყუებას? ივი ალალია და მინდობილი. მოტყუვდნენ კიდეც. ვერ გაითვალისწინეს, რომ თოლის ბაბუასავით მუქთად არაფერს იძლევიან ამ ცოდვილ მიწაზე, მით უმეტეს, ბოლშევიკები. „თუ მოგეცი, უნდა მემსახურო კიდეც", - აი, მარტივი, რკინის ლოგიკა. ვერ მიხვდნენ, რომ მთავრობისეულ ბანკეტებზე არაფერი ესაქმება მწერალს, რომ მწერალი კი არაა მთავრობის დამხმარე", ე. ი. მსახური, არამედ პირიქით, მთავრობა უნდა ემსახუროს მწერალსაც და საერთოდ ხალხს. მაგრამ კომუნისტების ქვეყანაში ხომ ყველაფერი თავდაყირა დგას!"

ერთი ასეთი მიღება „მშობლიურ პარტიასთან და მთავრობასთან", 1936 წელს შემდგარა, რაკიღა სრულდებოდა 15 წელი საქართველოში საბჭოთა დიქტატურის დამყარებისა. კრემლში მოეწყო საქართველოს დელეგაციასთან საზეიმო შეხვედრა. დელეგაციის წევრებს საჩუქრები დაურიგდათ. ყველამ მიიღო საათი და პატეფონი. მაშინ პატეფონი სიახლე იყო.

არსებობს მიხეილ ჯავახიშვილისეული ჩანაწერი:

„კრემლი. საქართველოს დელეგაციის მიღება. ღამის 11 საათი. მეც ჩამოვართვი ხელი პოლიტბიუროს ყველა წევრს. სტალინი და ორჯონიკიძე ოდნავ გადმოიხარნენ ჩემსკენ და რამდენიმე სიტყვის მოლოდინში მომაჩერდნენ. მე ვთქვი: წერა 1903 წლიდან დავიწყე, მაგრამ ნამდვილი მწერალი მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გავხდი და 20-ჯერ მეტი დავწერე, რაც

აქამდის მქონდა დაწერილი. ყველა სტახანოველი და კოლმეურნე დაგპირდნენ თქვენ, გადაეჭარბებინათ თავისთავისთვის და ერთმანეთისთვის. მე კი წელს მკითხველებს მივცემ ახალ რომანს, რომელიც უკვე იბეჭდება.

სტალინი: თემა?

მე: 1905 წლის რევოლუცია საქართველოში. თავისთავად იგულისხმება, რომ მე გეერდი ვერ ავუარე ამხანაგ სტალინს. ისიც შედის რომანში, როგორც მოქმედი პირი. (აფსუს, მიხეილ ჯავახიშვილო? - თ. მ.)

სტალინი: რა ჰქვიან ნაწარმოებს?

მე: „ქალის ტვირთი".

სტალინი: უკეთესი ხომ არ იქნებოდა, „ქალის ხვედრი" დაგერქმიათ? (რატომ იქნებოდა? თ. მ.)

მე: რომანში გამომყავს ორი ქალი, რომლებმაც რევოლუციის ტვირთი წამოიკიდეს. ერთმა მათგანმა ეს ტვირთი ბოლომდის მიიტანა, მეორე კი წაიქცა მისი სიმძიმის ქვეშ.

სტალინი: ეს უკვე სხვა საქმეა.

მოსკოვი. 20. III-36 წ.
მიხეილ ჯავახიშვილი"

დაჯილდოების შემდეგ მაძღრისი ვახშამი გამართულა. ყველანი შეზარხოშებულნი ყოფილან - მთავრობაც და სტუმრებიც. მიქოიანს, ანასტასს, მ. ჯავახიშვილი საცეკვაოდ გაუწვევია. „მამა კარგად ცეკვავდა, თამამად გავიდა", მაგრამ მიქოიანი მაინც წახუმრებია:

მიხეილ საიჩ, თქვენ უკეთ წერთ, ვიდრე ცეკვავთ!

მწერალმა თურმე მაშინვე უპასუხა:

თქვენ კი უკეთ ცეკვავთ, ვიდრე გვამარაგებთ! (მიქოიანი მაშინ ვაჭრობის კომისარი იყო თ. მ.).

გულიანად იცინეს. ტაში, ვაშა... სამახსოვრო სურათები...

ამ ჩანაწერის კომენტირება ნაირნაირი ასპექტით შეიძლება, რისგანაც მე შეგნებულად ვიკავებ თავს. ერთი კი ძალიან მინდა ვიცოდე: ნეტავ რა ფიქრები ჰქონდა კრემლის ფოიერევერკის შემდეგ საკუთარ თავთან მარტოდ დარჩენილ დიდ მწერალსა და მამულიშვილს? ნუთუ, ბოლშევიკების ფანდები დაიჯერა? ვინ ვინ და, მან ხომ მშვენივრად იცოდა მათი ავან-ჩავანი. ნუთუ დაავიწყდა, რომ ოდესღაც სულიმწარედ უნდოდა „ამ წყეული ქვეყნიდან გასვლა", რომ „რევოლუცია მისთვის საშინელი ტრაგედია იყო?" დარწმუნებული ვარ, არ დავიწყნია. მაშ, რაღა იყო ეს? რა

მეტამორფოზა იყო? მოსკოვის შემდეგ, თურმე მ. ჯავახიშვილი სულ დაღვრემილი დადიოდა. იცოდა დიდმა მწერალმა, რომ წააგო , რაღაც მნიშვნელოვანი დათმო, რისი დაბრუნებაც აღარ შეიძლებოდა. იცოდა და წუხდა. ერთ ნაცნობს მისთვის მთავრობის ჯილდო მიულოცნია, თან უგუნებობის მიზეზი უკითხავს:

- გეთაყვათ, რა უგუნებობაზე მელაპარაკებით, როცა გონებაში ვარ დაჭრილი! უპასუხნია მიხეილს.

ამით ყველაფერია ნათქვამი.

დაიწერა „ქალის ტეირთი", დაიბეჭდა კიდეც „მნათობის" 1936 წლის ნომრებში. აჰა, 1905 წლის რევოლუციის „გმირული" ეპოპეა, ინტელიგენტი ახატნელების ოჯახი, ქეთო, მართა, ზურაბ გურგენიძე - „ჯიქი", ბოლშევიკები მტკიცენი არიან, მენშევიკები და სხვანი ცხადია, მერყევნი. აქვე, როგორც მწერალმა, „დიდ ბელადს" უთხრა, „თავისთავად იგულისხმება, რომ მე გვერდი ვერ ავუარე ამხ. სტალინს. ისიც შევიდა რომანში, როგორც მოქმედი პირი". მაშასადამე, ამ თვალსაზრისით ყველაფერი რიგზეა, კაპას კრიტიკოსებს ახლა კი ჩაუვარდებათ კოზი ნაცარში, კრინტსაც ვერ დასძრაენ. (ისე, სტალინის ადგილას, თავმდაბალი კაცი უეჭველად იტყოდა: მე რა გვერდაუხელელი კაცი ვარ, რომანში რა მესაქმება, არ ქნათ ეგ, ვაი, თუ ცუდ ტონად ჩაგვეთვალოსო, მაგრამ სტალინს ამის თაობაზე კრინტიც არ დაუძრავს, რაღა თქმა უნდა).

მიუხედავად ამისა, რომ სტალინი შევიდა რომანში, როგორც მოქმედი პირი და ამიტომ, ბუნებრივია, წიგნს ია-ვარდით მოფენილი გზა უნდა ჰქონოდა, პირიქით მოხდა: კრიტიკოსები გააფთრებით დაესხნენ თავს და, როგორც იტყვიან, ქვა-ქვაზე არ დატოვეს. იცით, რატომ? მთელი რომანი სტალინის „გმირულ" მოღვაწეობას რატომ არ მიუძღვენიო, ბოლშევიკების ავანტურისტულ პარპაშს ხოტბა უფრო მეტად არ შეასხიო და სხვა ამგვარი.

შემორჩენილია რომანის მწერალთა კავშირში განხილვის სტენოგრაფიული ჩანაწერი, საიდანაც ჩანს, რომ კრიტიკოსები გააეებული ქოფაკებივით მიესივნენ მწერალს და განუკითხავად ჯიჯგნეს. (მომყავს ნაწყვეტი):

მ. ჯავახიშვილი: ბ. ჟღენტის მეორე შენიშვნა ასეთია: რადგან 905 წლის ავტორი სტალინი იყო (?!), ამიტომ სტალინი უფრო ფართოდ უნდა მოგეცაო. რა თქმა უნდა, უკეთესი თემა დღეისათვის არ არსებობს (?!), მაგრამ განა რამე ნაწარმოები დაიწერა 905-იან წლებზე?

კ. ლორთქიფანიძე: იდეები მთლიანად სტალინის უნდა ყოფილიყო!

მ. ჯავახიშვილი: არა, ბ. ჟღენტი იდეებზე კი არა, თვითონ სტალინზე ამბობს. იდეები, რასაკვირველია, სტალინის ირგელიც იყრის თავს, თვითონ იგი კი, ერთ შემთხვევაში, ალმაცერად და შემდეგ გაკვრით დავხატე, მხოლოდ იმიტომ, რომ მითხრეს: შეიძლება ვერ მოერიო ამ თემასო. რამდენია ჩვენში კომუნისტი მწერალი, რატომ არავინ დასწერა მასზე?

ბ. ჟღენტი: პოეტებმა ხომ დასწერეს?

მ. ჯავახიშვილი: ლექსს რომანს ადარებთ?

ბ. ჟღენტი: დემნა შენგელაიამ დასწერა.

მ. ჯავახიშვილი: არ წამიკითხავს და ვნახოთ. ორასი კაცი მაინც იქნება კომუნისტი მწერალი, მაგრამ მათ ვერ გაუბედავთ სტალინზე დაწერა. ყველა იმას უნდა სწერდეს, რაც უკეთ იცის. მე რომ მუშების ცხოვრება ამეწერა, არ გამოვიდოდა, რადგან მას ნაკლებად ვიცნობ.

ს. შანშიაშვილი: როგორ შეიძლება დასწერო რევოლუციური რომანი, თუ არ იცნობ მუშას და მის ცხოვრებას?

ერთი სიტყვით, რომანი გაუბიაბრუეს და ლამის ანტისაბჭოთა წიგნად ჩაუთვალეს. მწერალმა ახლა კი მართლა აღარ იცოდა, რა დაეწერა? როგორ დაეწერა? საერთოდ რანაირად ეცხოვრა?

შ. აფხაიძე იგონებს:

„მახსოვს, რომანის განხილვისას მიხეილი მოწყენილი იჯდა. მწერალს, რომელიც თავის პოზიციას იშვიათად თუ ვინმეს დაუთმობდა, კამათის თავი არა ჰქონდა. გარეთ მე და ტიციანი გამოვედით ერთად. მიხეილი დაგვემშვიდობა და მარტო წავიდა. რამდენიმე დღის შემდეგ იგი უკვე აღარ იყო, გაქრა“.

* * *

„ქალის ტვირთი“ მართლაც საბედისწერო გამოდგა მწერლისთვის. საქმე ის გახლდათ, რომ ამ წიგნით სისხლხორცეულად დაინტერესდა ლავრენტი ბერია, „ქართველ ბოლშევიკთა ნაცადი ხელმძღვანელი და დიდი სტალინის უნიჭიერესი მოწაფე. მაშინ მას უკვე მითვისებული ჰქონდა ერიკ ბედიას თავიდან ბოლომდე ცრუ წიგნი - „ბოლშევიკური პარტიის ისტორიისათვის ამიერკავკასიაში“, ხოლო მისი ავტორი დახვრეტილი ჰყავდა. ამ ნაშრომში უკიდურესად იყო გაზვიადებული სტალინის როლი რევოლუციის საქმეებთან დაკავშირებით, თითქმის ყველაფერი რაც რევოლუციონერთა ძველ თაობას გაუკეთებია, სრულიად უსირცხვილოდ, სტალინს მიეწერა, ხოლო ვინც ეს ვერსია არ დაიჯერა, ბერიამ წამებით ამოხადა სული. და აი, მ.

ჯავახიშვილი ბეჭდავს რომანს, სადაც სტალინის „ღვაწლი“ ეპიზოდურად არის გაშუქებული და მაინცდამაინც არ ემთხვევა ბერიას „კონცეფციას“ - მისი ყოვლისშემძლეობის თაობაზე. ეს რომ ვინმე მეორეხარისხოვან მწერალს გაეკეთებინა, კიდეე ჯანდაბას, მაგრამ მ. ჯავახიშვილი უაღრესად პოპულარული იყო ხალხში და მის მხატვრულ სიტყვას დიდი წონა ჰქონდა. რა გამოვიდა? ბერია „თავის“ წიგნში ამტკიცებს - სტალინის გარეშე რეეოლუცია ვაითუ, არც მომხდარიყოო, მ. ჯავახიშვილი კი მხოლოდ ეპიზოდურ როლს აკუთვნებს? არა, ამას ვერ მოითმენდა „ნაცადი“ ლავრენტი, ამით ხომ შეიძლებოდა, ხელი შეშლოდა ღრმად მოფიქრებულ და წინასწარ გამიზნულ გეგმას სტალინთან მლიქვნელობისა, რასაც, საბოლოო ანგარიშით, მისი კრემლში აღზევება უნდა მოჰყოლოდა. მოჰყვა კიდეც, სამაგიეროდ, მ. ჯავახიშვილის ბედი აშკარად დაიდო სასწორზე.

ბერიას თავისთან დაუბარებია მ. ჯავახიშვილი. „მან უსაყვედურა მწერალს, რად არ ჩათვალე საჭიროდ, ამ წიგნზე მუშაობის პერიოდში ჩემთან მოსულიყავი, ზოგი რამ შეგეთანხმებინა, აზრი გაგეგო, მითითებები მიგეღო და საერთოდაც, რატომ დგახარ განზეო“.

ყველამ კარგად იცოდა ბერიას აღვირახსნილი თვითნებობისა და პატივმოყვარეობის ამბავი და ისიც იოლი მისახვედრი იყო, თუ რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამ საუბარს. ერთი სიტყვით, ბერიას უნდოდა, რომ „ქალის ტვირთი“ მის მიერ მიცემულ თარგზე დაწერილიყო, მაგრამ ეს არ გააკეთა მწერალმა და ამიტომ საბედისწერო ხვედრს ვეღარ აიცილებდა.

ბერია, ეს ნამდვილი სატანა ქართველი ინტელიგენციისა, საიმდროოდ, ეტყობა, მაინც მოერიდა საქვეყნოდ სახელგანთქმული მწერლის დაპატიმრებას. ამას შეიძლება მითქმა-მოთქმა გამოეწვია, სიფრთხილეს თავი არ სტკიოდა. ამ ვითარებაში, ე. წ. „შემთხვევითობა“ ყველაზე მარჯვე გამოსავალი იყო, მ. ჯავახიშვილი სწორედ „შემთხვევითი“ ტყვიის მსხვერპლი უნდა გამხდარიყო. ასე ჩაიფიქრა ლავრენტიმ, ხოლო შესრულება ილო მოსაშვილს მიანდო.

ილო მოსაშვილი... იყო ერთ დროს ასეთი „სახელგანთქმული“ პოეტი და დრამატურგი, სტალინური პრემიის ლაურეატი, დეპუტატი...

მე არ შევუდგები მის არც პიროვნულ და არც შემოქმედებით დახასიათებას. ეგ „სიამოვნება“ სხვისთვის დამითმია, ვისაც ხალისი აღმოაჩნდება, დაე, გააკეთოს. მე მხოლოდ ორ ფაქტს მოგაწვდით. ეს ფაქტები გაზ. „საქართველოში“ დაიბეჭდა: (როდიონ ქორქია, ეპოქის ამბები, 1991, №16):

„ილო მოსაშვილმა დიდი ბოროტება ჩაიდინა 1924 წელს. იგი ყოფილა მენშევიკების პარტიული კომიტეტის აგენტი კახეთში. როცა მენშევიკების მოწყობილი აჯანყება დამარცხდა, ილო დაიჭირეს. მან თავი იხსნა იმით, რომ ჩეკას გადასცა აჯანყებულთა მეთაურების სია. ოთხასი კაცი ჩამოთვალა. ეს ოთხასი კაცი დახვრიტეს. ილო გადარჩა.“

არანაკლებ „საინტერესო“ გახლავთ მეორე ამბავი:

„ილო მოსაშვილს დაავალეს მ. ჯავახიშვილის მოკვლა. საგანგებოდ მოაწყვეს კახეთში, ხირსაში გამგზავრება. იქ, მარანში აქეიფეს მწერლები, ილო ფხიზლად იყო, ოღონდ თავი მოიმთვრალა და რევოლვერი იძრო. ჯერ ჭერში ისროლა, მერმე, ვითომდა წაბარბაცდა, მ. ჯავახიშვილის ესროლა. პაოლომ აუკრა ხელი.

მიხვდა მ. ჯავახიშვილი და იყვირა:

ამას ჩემი მოკვლა უნდაო!

გარდა ილოსი, არ ვიცი, ვინ იყო განდობილი ამ საქმეში. საქმე ჩაიფუშა.“

ამის შემდეგ, აბა როგორღა მივიდოდა მოსაშვილი ქეთევან ჯავახიშვილთან მამის რეაბილიტაციის მისალოცად? ანდა, რა პირით უნდა მისულიყო.

ასე იყო თუ ისე, მ. ჯავახიშვილი ამჯერადაც დაუძერა სიკვდილს. რამაც, უნდა ვივარაუდოთ, მთლად გააცოფა ლავრენტი პაალოვიჩი და რაღაც პარტიულ სხდომაზე პერსონალურად გააკრიტიკა მწერალი, კონკრეტულად არაფერი თქვა, მაგრამ გადაკრულად, ნართაულებით მიახვედრა აუდიტორია, რომ მ. ჯავახიშვილს საბჭოთა მწერლისათვის არასაკადრისი წარსული ჰქონდა (მაინც გაუხსენეს!) და არც ახლა ტოვებდა იდეალური საბჭოთა მწერლის შთაბეჭდილებას, რისთვისაც მისი „დამუშავება“ იყო საჭირო (ეს „დამუშავება“ სხვას არაფერს ნიშნავდა თუ არა დასაჭერად შემზადებას). ამის შემდეგ, რაღა თქმა უნდა, საჩქაროდ უნდა მოწვეულიყო მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომა, სადაც მ. ჯავახიშვილს გამოსელა აიძულეს. მას საჯაროდ უნდა დაეგმო თავისი „ცოდვები“, გადაესინჯა საკუთარი ყოფაქცევა და წარსული, ელიარებინა ძველი თუ ახალი „შეცდომები“. სხდომა თითქო ინკვიზიციის ბუნაგი იყო, მ. ჯავახიშვილი ისეთ დღეში ჩააგდეს, თვითონაც არ იცოდა - რას ამბობდა. ამ დროს, მწერლები მშიერი მგლების ხროვას წარმოადგენდნენ, რომელნიც სამსხვერპლოს კბილებით დაგლეჯაზე ოცნებობდნენ მხოლოდ.

პირველობა აქაც არავის დაუთმეს: კოწია ლორთქიფანიძემ, ბესო ჟღენტმა, შანშიაშვილმა, ეულმა და სხვებმა.

სწორედ მათზე აქვს ნათქვამი ერთგან მ. ჯავახიშვილს:

„ვიცი: სახელს შური წუნკალი გოჭივით მისდევს და გულსაკლავად ჭყვიტინებს, თანაც მოვალეობაზე ხრუტუნებს ხოლმე, მაგრამ ესეც ცხადია: მოვალეობის ფანდურს ზოგჯერ სატანაც ააჟღარუნებს, თანაც მარგილით სწერს და სამელნედ საკუთარ კუჭსა ხმარობს. აბა რას იზამ! ზოგი მკითხველი მუდამ ალესილია და თუ უმეცრებაც აყაყანდა, მეხიც ვეღარ გააჩერებს. გირჩევთ, გვერდი აუაროთ, დუმილით უპასუხოთ“.

დიახაც, გონივრული აზრია გვერდი აუარე, დუმილით უპასუხე, მაგრამ მისცა კი საშველი, მოასენა კი „წუნკალი გოჭივით ადევნებულმა“ შურმა მრავალტანჯული მწერალი? პირიქით, რაკილა დრო უშოვნეს, თითო ქვა და გუნდა ყველამ გამეტებულად ესროლა.

კ. ლორთქიფანიძე: ახლავე, აქვე გვითხარი, რა ურთიერთობა გქონდა ხალხის მტრებთან!

იწყება არნახული თვითგვემა:

მ. ჯავახიშვილი: ამხანაგებო, ჩვენი პარტიის ხელმძღვანელმა ამხ. ბერიამ მეც იმ მწერლებს მიმაკუთვნა, რომლებმაც „თავიანთი ყოფაქცევა უნდა გადასინჯონ“. ბრალდებას კონკრეტობა არ ეძლევა, მაგრამ მაინც ბრალდებად რჩება. მე მიეხვედი, რომ იგი თვითონვე უნდა გავხსნა. თქვენ უფლება გაქვთ მითხრათ: ამხ. ბერია უსაბუთოდ არ დაგასახელებდაო. სრული სიმართლეა, მეც მაგრე მგონია. მე მკვახე სიტყვებით არსებული სისტემის მტრობა კი არ მალაპარაკებს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ სურვილი უკეთესისა, ჩვენი სოციალისტური ყოფაცხოვრების გაუმჯობესებისა. რაც დრო გადის ჩემი კრიტიკული თვალი თანდათან იხუჭება, ვინაიდან ჩვენი ცხოვრება დღითიდღე უმჯობესდება და მე მტკიცე იმედი მაქვს, რომ იმ მეშჩანურ ჭუჭყსაც ჩამოვიშორებ, რომელიც აქამდე შემომრჩა.

მე ორდენოსანი გახლავართ, ეს უმაღლესი ჯილდო სტალინმა და ბერიამ მიბოძეს. ეს ჯილდო ნიშანია დიდი ნდობისა და საპატიო მოვალეობისა, რომელიც, ჩემის აზრით, მაინცდამაინც არ შემიბღალავს, მაგრამ არც სავსებით გამიმართლებია. ნუგეშად ისღა მრჩება, რომ ყველაფერს მახლობელ მომავალში ჩემი შემოქმედებით და ჩემი მოქალაქეობრივი ყოფაქცევით საბოლოოდ გარდავქმნი, გაეფანტავ“.

ამის შემდეგ ბესო ჟღენტი გამოვიდა და წაქცეულ კაცს კიდევ ერთხელ ჩააზილა წიხლი:

„ამხანაგებო, როდესაც მ. ჯავახიშვილის გვარი მოიხსენია ამხ. ბერიამ იმ ადამიანებთან ერთად, კავშირი რომ ქონდათ მტრებთან, თავისთავად ცხადია, იგი უსაბუთოდ არაფერს იტყოდა.

მ. ჯავახიშვილმა თავის მეხსიერებაში ვერ მონახა ვერცერთი ფაქტი, რომელიც ბერიას ამის საფუძველს აძლევდა და ვერც გაგვაგებინა, თუ რა ჩაიდინა ისეთი, რაც საბჭოთა მწერლის სახელს არ შეეფერება. მაშინ, როცა ჩვენ გარშემორტყმული ვართ კაპიტალისტური გარემოცვით, აგენტებით, დაზვერვით და სხვა, ამ დროს საბჭოთა მწერლის ასეთი დაუფიქრებელი ლაპარაკი, როგორც ჩვენი მტრები ლაპარაკობენ, დაუშვებელია. თქვენ ლაპარაკობთ ხშირად იმ ენით, რომელიც შეიძლება გამოიყენონ ჩვენმა მოსისხლე მტრებმა. საერთოდ, ჩვენ უნდა დავსვათ საკითხი მწერლის საქციელის შესახებ, როგორ უჭირავთ მათ თავი საზოგადოებრიულად და პოლიტიკურად. ეს არის უდიდესი და გადაუდებელი საკითხი. ისეთი ხმები, რომელიც მ. ჯავახიშვილის ირგვლივ ვრცელდება, რა თქმა უნდა, პარტიას არ მოეწონება. მწერალი, რომელსაც ორდენი მისცა, დადის და ლაპარაკობს ყოვლად არასაკადრის ამბებს. ჩვენ უნდა გავიგოთ, თუ საბჭოთა მწერლებს გვეძახიან, ეს დიდ მოვალეობას გვაკისრებს ამ მძაფრ გარემოცვაში, როდესაც გარშემორტყმული ვართ კაპიტალისტურ-ფაშისტური ყაჩაღებით. არავითარი ორჭოფობა, არავითარი სიყალბე, არავითარი მერყეობა არ შეიძლება, ვიქნებით უდიდესად ერთგულნი იმ ხაზის, რომელსაც პარტია და ხელისუფლება გვაძლევს.

სანდრო ეული: მ. ჯავახიშვილის შეცდომები, რომლის შესახებ თვითონ ილაპარაკა, უბრალო ამბავი არ არის.

ს. შანშიაშვილი: სწორია!

მ. ჯავახიშვილი: აგრეა! მართალია!

დ. დემეტრაძე (მწერალთა კავშირის თავმჯდომარე):

როდესაც მ. ჯავახიშვილის სახელი მოხსენიებულია იმ კონტექსტში, რომელიც მოცემულია ცეკას მდივნის მიერ, გაბლავთ ისეთი ფაქტი, რომელმაც იგი უნდა ჩააფიქროს. შეუძლებელია, მან არ იცოდეს ისეთი რამე, რომელიც აქ უნდა ელიარებინა. მ. ჯავახიშვილი ზოგჯერ ისეთ შეხედულებას ამჟღავნებს ამა თუ იმ საკითხისადმი, რაც არ შეიძლება დამახასიათებელი იყოს საბჭოთა მწერლისათვის. ამხ. ბერია იძლევა ფორმულას, რომ საბჭოთა მწერალი უნდა იყოს, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა ხელისუფლების, სოციალისტური სამშობლოს, ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული ადამიანი, მას უნდა უყვარდეს საბჭოთა ხალხი, საბჭოთა სამშობლო, ღრმად სწამდეს მისი ძალა და ძლიერება. მე პასუხისმგებლობით უნდა განვაცხადო ის ამბავი, რომ თქვენი გვარი არის დასახელებული ცეკას მდივნის მოხსენებაში. ეს ემყარება, უთუოდ, რკინისებურ ფაქტებს.

მ. ჯავახიშვილი: ამდენი ხალხია აქ და ვეკითხები ყველას:

დამისახელეთ, ვინ რა იცით ჩემზე? რა დამიშავებია? მაგრამ თუ ზვარაკია საჭირო, ეს სხვა საქმეა.

დ. დემეტრაძე: არავითარი ზვარაკი არ არის საჭირო და თავი დაანებეთ ასეთ ლაპარაკს."

ამის მერმე, მალე დაიწერება ჩვენი ეპოქის სამარცხვინო დოკუმენტი „მოღალატური სიტყვა და საქმე", რის შემდეგაც, ბესარიონ ჟღენტი, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად პარტიის წევრი არ ყოფილა, სამუდამოდ დარჩება, როგორც მოსყიდული ლიტერატორის კლასიკური ნიმუში.

ქეთევან ჯავახიშვილი:

„საინტერესო ის არის, რომ მამას დაბადებიდან 80 წლისთავის გამო გამართულ საიუბილეო დღეებში ბესო ჟღენტმა უმალ შეიცვალა მამის შესახებ აზრი და პრესაში დიდი წერილი დაბეჭდა, სადაც მწერლის შემოქმედებას ხოტბა-დიდება შეასხა.

როდესაც მე და ირაკლი აბაშიძე, რომელიც საიუბილეო კომისიის თავჯდომარე იყო, ვარჩევდით, თუ ვის უნდა წაეკითხა ამ საღამოზე მთავარი მოხსენება, ირაკლიმ ასეთი რამ მითხრა:

- ქეთო, ვატყობ, ბესოს ძალიან უნდა თვითონ გააკეთოს მოხსენება და არ ეწყინოს, სხვას რომ დავავალოთო.

ამ ამბავმა მე აღმაშფოთა!

შემდეგ, მრავალმა წელმა რომ განვლო, ბესომ აღარ იცოდა, რით გაემართლებინა ჩემს წინაშე თავი. მე კრინტი არასოდეს დამიძრავს „მოღალატური სიტყვა და საქმის" თაობაზე, თვითონ კი, ეტყობა, აწუხებდა ეს ამბავი და სინიდისი ქენჯნიდა. ერთხელ განმიმარტა:

- რა უნდა მექნა, ბერიამ დამიბარა და მითხრა: თუ ისე არ მოიქცევი, როგორც საჭიროა, შენც დაგიჭერო, შემეშინდა და იმიტომ დავწერე ის წერილი, მეტი გზა არ მქონდა, ასე გადავირჩინე თავიო."

იმ დროს, როცა მ. ჯავახიშვილის ირგვლივ ცოდვის ტირილი იდგა, მის უბის წიგნაკში ასეთი ნაწყვეტ-ნაწყვეტი აღსარება იწერებოდა:

„საკუთარი დარდის ზიდვა მწერლისათვის ჯოჯოხეთია, მაგრამ ყოველად აუტანელია, როცა ქვეყნის ვარამიც ზედ აწვება. თუმცა, ვაი იმას, ვინც ამ ვარამს ატარებს გულში."

„მე ჩემი მამულის სიყვარულის ცეცხლზე დავწვი ჩემი ახალგაზრდობა, იმედი, ოცნება და პირადი ბედნიერება".

„ისეთ კაცს, რომელსაც ჩემოდენა ტანჯვა და წამება გამოუვლია, აღარავისი აღარაფერი მართებს!"

თურმე ცდებოდა ბატონი მიხეილი! თავისი ტრაგიკული სიცოცხლის მიწურულს მას კიდევ ერთხელ უნდა გადაეხადა

სამშობლოსათვის ვალი და პირნათელი წარსდგომოდა წინაპრებსაც და შთამომავალთაც.

ვითარება ასეთი გახლდათ:

საქართველოს „გამობრძმედილ" ხელმძღვანელს, ბერიას, აზრი გაუჩნდა, რომ თბილისისა და მთელი ქართული ხუროთმოძღვრების მშვენება, მეტეხის ღვთისმშობლის ტაძარი, აგებული წმინდანი მეფის, დემეტრე თავდადებულის მიერ, დაენგრია და მის ადგილას რუსთაველის ძეგლი დაედგა.

ახლოვდებოდა რუსთაველის 750 წლის იუბილე და მის გადახდას დიდი პომპით აპირებდნენ, რათა მსოფლიოსთვის დაემტკიცებინათ, რომ „ხალხთა მამა", სტალინი, რომელიღაც მეათეხარისხოვანი ქვეყნის შვილი კი არ იყო, არამედ უძველესი ცივილიზაციის მქონე ერისა. ასე გახლდათ საჭირო „დიდი პოლიტიკისათვის", თორემ ბერიას რუსთაველის სიყვარულით ღამეები არ ეძინაო, რომ მითხრან, ნამდვილად ვერ დავიჯერებ.

რუსთაველის იუბილის, ანდა მისი ძეგლისა, ვინ ჭკუათმყოფელს უნდა ჰქონოდა რამე საწინააღმდეგო, მაგრამ მეტეხის ტაძარი რა შუაში იყო? მის ხელყოფაზე ფიქრიც კი მკრეხელობას ნიშნავდა ქართველი ერისა და, თუ გნებავთ, კულტურული მსოფლიოს წინაშე. ამ გაუგონარი ვანდალიზმის განზრახვამ საშინლად ააღელვა და ააფორიაქა მთელი ქართველი ინტელიგენცია, მათ შორის ცხადია, მ. ჯავახიშვილიც. „მან, როგორც წერს ქ-ნი ქეთევანი, - მოსვენება დაკარგა" მწერალს რომ ჭირის დღესავით სძაგდა „ნაცადი კომუნისტი", ამბ. ლავრენტი, ამას რად უნდა დიდი მიხვედრის ნიჭი. უკიდურესად გართულებული ურთიერთობის გამო, მასთან ყოველნაირ კონტაქტსაც რომ თავს აარიდებდა, ესეც ცხადია, მაგრამ ასეთ დროს, უმოქმედობაც არ შეიძლებოდა, ეს ხომ ქართველი ხალხის ნამდვილი ღალატი იქნებოდა.

მ. ჯავახიშვილს მხარში ედგა მეტეხის ხელოვნების მუზეუმის დირექტორი, დიდი ინტელიგენტი და განსწავლული პიროვნება დიმიტრი შევარდნაძე, რომელიც მ. ჯავახიშვილზე არანაკლებ განიცდიდა ამ ამბავს. აგრეთვე, შალვა დადიანი, პავლე ინგოროყვა და სხვანი.

გადაწყდა ბერიასთან მისვლა.

მან ერთად შეკრებილი რომ დაინახა ცნობილი ინტელიგენტები, თურმე შავმა ალმურმა გადაჰკრა სახეზე. მკვახედ უთქვამს:

ასე ერთად რომ მომადექით, ულტიმატუმებს მიყენებთ? ცალ-ცალკე უნდა მოსულიყავითო!

დელეგატებმა საფუძვლიანად დაუსაბუთეს, რომ მეტეხის

ბერიამ უმალ იგრძნო, ცხადად დაინახა, რომ უმეცრება დაუმტკიცეს და, რაც მთავარია, ამას პირში ეუბნებოდნენ, ყოველგვარი რეევრანსების გარეშე. და ვინ ეუბნებოდა? მ. ჯავახიშვილი, რომელიც გაჩხერილი ძვალივით ედგა ყელზე. სხვა გზა აღარ იყო, ტაძრის დანგრევის გადაწყვეტილება უნდა შეეცვალა. ეს გახლდათ ლავრენტის დიდი მარცხი, რასაც იგი არავის შეარჩენდა.

მამულიშვილმა ინტელიგენტებმა ამჯერად გაიმარჯვეს, საშვილიშვილო საქმე გააკეთეს, მაგრამ ისიც იცოდნენ, რომ ამით თავი საჯალათო კუნძზე დადეს.

ყველაზე უკეთ ეს მიხვეილ ჯავახიშვილს მოეხსენებოდა.

აი, მოკლე ნაწყვეტი მწერალთა კავშირის კრების იმ ოქმიდან, სადაც მისი განაჩენია დაფიქსირებული:

„აზრი გამოთქვეს: კოწია ლორთქიფანიძემ, ბესო ჟღენტმა, პაველე საყვარელიძემ, ილო მოსაშვილმა, კალე ბობოხიძემ.

მათ ერთხმად აღნიშნეს, რომ მ. ჯავახიშვილი არასოდეს ყოფილა საბჭოთა მწერალი. მას ხალხის მტრებმა შეუქმნეს დიდი მწერლის სახელი, მისი ანგარება ყველასათვის ცნობილი იყო. ის იცავდა ფაშისტურ-რასიულ თეორიას. მ. ჯავახიშვილი, როგორც ხალხის მტერი, ჯაშუში და დივერსანტი, გარიცხულ იქნეს მწერალთა კავშირის რიგებიდან და აღგვილი დედამიწის ზურგიდან.

დაადგინეს: მ. ჯავახიშვილი, როგორც ხალხის მტერი, ჯაშუში და დივერსანტი, გარიცხულ იქნეს მწერალთა კავშირიდან და განადგურდეს ფიზიკურად.

როცა თავმჯდომარეს, დ. დემეტრაძეს, უკითხავს: ვინ არის მომხრე, რომ მ. ჯავახიშვილი ფიზიკურად იქნეს განადგურებულიო, ყველას ერთხმად აუწევია ხელი, მხოლოდ გერონტი ქიქოძე ამდგარა და გასულა (მადლობა ბატონ გერონტის ქართული მწერლობის პრესტიჟის გადარჩენისათვის, მაგრამ ნეტავ კიდევ ვინ იჯდა იმ დარბაზში?)

ასე ნელ-ნელა დაეშვა ფარდა.

* * *

კარი გაიღო და საკანში ახალი პატიმარი შემოაგდეს, ნაცემი, ნაწამები. ერთ ხანს შეყოვნდა, ვიდრე სიბნელეს თვალს შეაჩვევდა. რომელიღაც ტუსაღმა თურმე იცნო მიხვეილი და აღელვებულმა დაიძახა:

- ადექით, მ. ჯავახიშვილი მოიყვანესო.

საკანში სამარისებური დუმილი ჩამოვარდნილა, უხმოდ წამომდგარან, ყველანი შეწუხებული სახით მისჩერებოდნენ ნაგვემ,

განისხლიანებულ მწერალს, ძლივს რომ იდგა ფეხზე. მერმე შეძლებისდაგვარად მოუსვენებიათ, დაფლეთილი საბანი წაუფარებიათ.

ეს ყოველივე გაზ „თბილისში“ წავიკითხე, იგონებდა ყოფილი პოლიტპატიმარი, რომელიც, ბოლოს, მ. ჯავახიშვილთან ერთად იჯდა საკანში.

გაძვალტყავებული, ჭუჭყიანი, წვერგაბურძგნული, გამუდმებით ლოცულობდა თურმე და თავად სიკვდილის ყოველწუთიერად მომლოდინე, ტუსაღებისათვის ნამდვილი სიმხნევის მაგალითი იყო. ალბათ ბატონმა მიხეილმა იმ ჯოჯოხეთურ ვითარებაში სამუდამოდ ირწმუნა, რომ ერთადერთი გზა ადამიანისა, მით უმეტეს, თუ ის შემოქმედია, ღვთისკენ მიემართება, ხოლო დანარჩენი სხვა, ამაოებაა ამაოთა, მაგრამ საუბედუროდ, გვიანღა იყო.

და მაინც, ერთ-ერთ სისხლიან დაკითხვაზე ამაყად განუცხადებია:

„მე უდანაშაულო ვარ ჩემი ერის წინაშე, არავითარი ბრალი არ მიმიძღვის, მაგრამ თუ ზვარაკია საჭირო, მზად ვარ საქართველოს შევეწირო. თქვენ შეგიძლიათ ფიზიკურად გამანადგუროთ, მაგრამ მე ქართულ მიწაზე ისეთი მუხა დავრგე, რომლის ფესვებს ვერასოდეს ამოძირკვავთო!“

გაუმარჯოს სიკვდილშიაც არდანებებას!

თავი მეორე

„შეშინებულმა იხილა ღმერთი“

თავზარდამცემი, მართლაც რომ გამაოგნებელი განცხადება დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობის“ 1935 წლის მეოთხე ნომერში. მას შემდეგ მრავალმა წელმა ჩაიარა, კიდევ მრავალი ჩაიელის, მაგრამ განცხადება იგი, მარად დარჩება, როგორც სირცხვილისა და პირუმტკიცობის ნიმუში ჩვენს ლიტერატურაში, როგორც მწარე გაკვეთილი მომავალი თაობებისა.

არავითარი დანდობა კლასობრივ მტერს

რაც უფრო მტკიცდება საბჭოთა კაშირის ძლევამოსილი საბჭოთა მშენებლობა, რომელსაც, კომუნისტური პარტიისა და მისი გენიალური ბელადის - იოსებ სტალინის მეთაურობით, ასეთის განსაცვიფრებელი წარმატებით ეწევა გამარჯვებული მუშათა კლასი, რაც უფრო მეტ სიყვარულსა და თანაგრძნობას პოულობს მთელს მოწინავე მსოფლიოში ჩვენი სოციალისტური სამშობლო, - მით უფრო მძაფრდება განწირული კაპიტალისტური ქვეყნების მხრივ შემოტევა საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ, მით უფრო აძლიერებს წინააღმდეგობას საბჭოთა კავშირში აშკარა ბრძოლაში განადგურებული კლასობრივი მტრის ნანგრევები. კაპიტალისტურ მძარცველებს სურთ თავიდან აიცილონ ისტორიის სასიკვდილო განაჩენი და არ ერიდებიან არავითარ საშუალებას, რათა შეინარჩუნონ უფლება მშრომელთა კაცობრიობის ექსპლოატაციისა (სტილი ყველგან დაცულია - თ. მ.).

ამ გადამწყვეტ ბრძოლაში ყოველი პატიოსანი მშრომელი, სასიცოცხლო პროგრესიული ძალები მთელს მსოფლიოში დღითიდღე ირაზმება ლენინ-სტალინის უკვდავ იდეათა დროშის ქვეშ, რათა უკანასკნელ და გადამწყვეტ ბრძოლაში გაანადგუროს კაპიტალიზმის ხროვა, რომლის უკიდურესი იდეური გამომხატველი არის თანამედროვე ფაშიზმი.

ეს საშუალო საუკუნეების ბარბაროსები დღეს სწვავენ და

ანადგურებენ ყველაფერს, რაც შეუქმნია კაცობრიობის აზროვნებას, აძევებენ თავის ქვეყნიდან სამშობლოს რჩეულ შვილებს, ხვრეტენ, საპყრობილეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში ალპობენ მებრძოლი პროლეტარიატის საუკეთესო ძალებს.

ასეთ დროს, ქართველი მწერლების რიგებს მოღალატურად ტოვებს და როზენბერგის ბანდებს ეკედლება ერთი ქართველი მწერალი, რომლის სახელი, ამიერიდან, ხდება სამარცხვინო ყოველი საბჭოთა მწერლისა და მოქალაქისთვის.

ეს მწერალი არის გრიგოლ რობაქიძე!

ეს თვალთმაქცი ადამიანი, დღიდან საქართველოში საბჭოთა წესწყობილების დამყარებისა, ატყვილებდა რა ხელისუფლებას, მწერლობას და საზოგადოებას, გულში ატარებდა მშრომელთა ქვეყნის და საბჭოთა საქართველოს ღალატის მუხანათურ აზრებს.

ამ უღირსი საქციელის საპასუხოდ, ჩვენ, საბჭოთა მწერლობასთან ერთად, მწერლების რიგებიდან უკვე ზიზღით განდევნილ გრიგოლ რობაქიძის წინააღმდეგ, კიდევ უფრო შევამჭიდროვებთ ჩვენს რიგებს კომუნისტურ პარტიის გარშემო და მთელი ჩვენი შემოქმედებითი უნარით ახალი, სოციალისტური ხელოვნებისთვის.

ჩვენ ერთი წუთითაც არ ვივიწყებთ, რომ ჩვენი წინსვლის გზა განათებულია უდიდესი ბელადის და უსაყვარლესი ადამიანის - იოსებ სტალინის აზრთა სხივით, რომ ამ აზრთა პრაქტიკული განხორციელება, ამისთვის შემოქმედებითი სამსახური, ჩვენ უდიდეს, უკეთილშობილეს და სასიქადულო საქმედ მიგვაჩნია.

განვაგრძობთ რა ამ, ისტორიით გამართლებულ გზაზე წინსვლას, ჩვენ ერთი წუთითაც არ შევჩერდებით გრიგოლ რობაქიძის სახელთან, რომელიც ამიერიდან მკვდარია საბჭოთა მწერლობისა და ყოველი პატიოსანი საბჭოთა მოქალაქისათვის.

ჩვენ, ქართველი მწერლები, რომელნიც ერთ დროს უახლოვეს ლიტერატურულ-შემოქმედებით დამოკიდებულებაში ვიყავით გრიგოლ რობაქიძესთან, მივმართავთ საბჭოთა მწერლების პრეზიდიუმს, რომ ფაშისტი გრიგოლ რობაქიძე, სოციალისტური სამშობლოს ღალატისათვის და გამცემლური მუშაობისთვის, გამოცხადებულ იქნას სოციალისტური სამშობლოს მოღალატედ და აღიძრას საკითხი საქართველოს საბჭოთა მთავრობის წინაშე გრიგოლ რობაქიძის წინააღმდეგ სათანადო სახელმწიფოებრივი აქტის განხორციელების შესახებ (მოყვანილია მცირეოდენი კუპიურებით თ. მ.).

განცხადებას ხელს აწერს რობაქიძის ოთხი ახლობელი პოეტი: პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ვალერიან

გაფრინდაშვილი და ნიკოლო მიწიშვილი. ხელმოწერა, ალბათ მეტი დამაჯერებლობისათვის, ფაქსიმილეებითაა დადასტურებული. ამიერიდან, „სამშობლოს მოღალატე“ და „ფაშისტი“ ეწოდა კაცს, რომელსაც ერთ დროს, ასეთი სტრიქონები უძღვნა ტიციან ტაბიძემ: „ხარ მეორეჯერ მონათლული დანტეს ემბაზში, იყავი მეფე-ზეცას გიწერს ბედის მწერალი“... ხოლო ჟურნალ „ცისფერ ყანწებში“ (1916, №1), წერდა: „გრიგოლ რობაქიძის აქაფებული სიტყვა, აღმაფრენი ფანტაზია, თვალისმომჭრელი სახეები, ძვირფასი მოგონებაა ჩვენი ახალგაზრდობისა. პირველად იმან მოგვასმინა ნიცშეს მაწვალებელი სიტყვა, პირველად იმან შეგვახედა იოქანაანის მოჭრილ თავს. ამ ბრწყინვალე ტურნირზე ძალიან ცოტანი იყვნენ რჩეულნი, რომელთაც გულში მოხვედროდეთ მისი სიტყვები. მაგრამ ეს გრიგოლ რობაქიძეს მაინც არაფერს უშლიდა, ერთი ფრაზაც არ შეუცვლია, ერთი მხატვრული სახეც არ მიუტანია მსხვერპლად იმისთვის, რომ გასაგები ყოფილიყო, რაც იმაში უთუოდ ხაზს უსვამდა დიდ მხატვარს“.

ახლა კი, უცებ, არცთუ მახვილგონიერულად დაწერილი განცხადება, რომელშიც ცხადად არის აღბეჭდილი ოცდაათიანი წლების ტრაფარეტული, „სოციალისტური“ აზროვნება - შიშითა და მონური მლიქვნელობით გაჯერებული. ამ განცხადებაში, ავტორთა ნებისაგან დამოუკიდებლად, კარგად მოჩანს ის ეკლიანი, ტრაგიკული გზა, რომელზედაც ფეხშიშველი მიაბიჯებდა ტანჯული - გეემული „საბჭოთა“ ინტელიგენცია პარტიის ნებითა და გულღრძო სურვილებით უღეთოდ დათრგუნული.

მაშასადამე: გრიგოლ რობაქიძემ გაჰბედა და უცხოეთიდან დაბრუნება აღარ მოინდომა, „სოციალისტურ სამოთხეში“. მაშინ ამაზე ფიქრიც კი წარმოუდგენელ მკრეხელობად ითვლებოდა.

და მაინც...

რა დავარქვათ, რა ვუწოდოთ იმ მკაფიოდ გაცნობიერებულ, ტრაგიკულ განცდას, რამაც უცხოეთში წასული გრიგოლ რობაქიძე აიძულა სამშობლოში აღარ დაბრუნებულიყო? (1931 წ.). ვინც მის შემოქმედებას, ასე თუ ისე, იცნობს, დამეთანხმება, რომ ქართულ მწერლობაში ცოტა მოიძებნება რობაქიძეზე მეტად პატრიოტიზმით აღბეჭდილი მწერალი. მისი პროზა, პოეზია, დრამატურგია თუ ესეისტიკა, მართლაც რომ სუნთქავს და საზრდოობს საქართველოთი, აქ ყველაფერი ქართული მზით, მითოსითა და ისტორიით არის განსხივოსნებული. არაა ძნელი მისახვედრი, რომ ხანგრძლივი

პერიოდი მისი უცხოეთში ყარიბობისა, ერთი გაბმული ტანჯვა იქნებოდა სამშობლოს ნოსტალგიით გამოწვეული და მხურვალე ვედრებაც ჩემი დაბადების დღეებზე, იქნებ ვინმე შაოსანმა მანდილოსანმა სვეტიცხოვლის მცირე ეკვდერში ობოლი სანთელი ამინთოსო, სწორედ ამიტომ იყო აღვლენილი.

მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან თუ დავაკვირდებით, აშკარად გამოჩნდება: გრიგოლ რობაქიძემ, სვეგამწარებულ ქართველ მწერალთა შორის, ყველაზე იღბლიანი გზა იპოვნა ძალადობის, შიშისა და სიცრუის მარწუხებისგან თავის დასახსნელად, მარჯვედ გამოიყენა ერთადერთი შესაძლებლობა, რაც მას უფალმა გულმოწყალედ მიუბოძა და თვალდახელშუა დაუძერა ისეთ აფთარს, როგორიც ბერიას ჩეკა იყო.

საერთოდ, ცივილიზებულ სამყაროში ცნება ემიგრაციისა, გავრცელებული, გასაგები და მისაღები ცნება გახლავთ. ყოველი ხელისუფლება, რომელსაც ოდნავ მაინც სცხია დემოკრატიზმის ნიშატი, პირდაპირ აცხადებს: შენ, მავანო მწერალო, თუ მეცნიერო, საერთოდ, რიგითო მოქალაქევ, არ მოგწონს ჩემი რეჟიმი? აი, ღიაა კარი, წადი და იცხოვრე, სადაც გინდა, როგორც გინდა, ჩემგან კი თავისუფალი ხარ! ასე იყო ეს თვით ფაშისტურ გერმანიაშიც კი: აინშტაინი, თომას მანი, ცვაიგი და სხვები, ამნაირად წავიდნენ ემიგრაციაში. წავიდნენ და გააგრძელეს შემოქმედებითი მუშაობა. საკმარისია აღინიშნოს, რომ ემიგრაციაში დაიწერა თომას მანის „დოქტორი ფაუსტუსი“ და „იოსები და ძმანი მისნი“, ცვაიგის დიდებული მემუარები „გუშინდელი მსოფლიო“, რომანი „მოუთმენლობა გულისა“ და მრავალი სხვა.

დიახ, ემიგრანტობა ჩვეულებრივი რამ იყო და არის ყველგან, მაგრამ არა საბჭოთა კავშირში. ემიგრაციისა რა მოგახსენოთ, მაგრამ გულაგში კი ნამდვილად გაგიშვებდნენ. ხოლო თუ მოხდებოდა სასწაული და მაინც შეძლებდი გაღწევას რკინის ფარდის მიღმა, მაშინვე ხალხის მტრად გამოცხადდებოდი და შენი სახელის ხსენებას ცხრაბეჭდიანი ტაბუ დაედებოდა. ზუსტად ასე მოხდა გრ. რობაქიძესთან დაკავშირებით. ლაქია მწერლებმა და კრიტიკოსებმა (მუშიშვილი თავისი „გველისპერანგოსანით“ და სხვანი), არ დატოვეს სალანძღავი სიტყვა, მისი მისამართით რომ არ ეხმარათ (პასტერნაკი ხომ ღორად მონათლეს, მაგრამ არც რობაქიძეს დააკლეს რამე). სამწუხაროდ, როგორც ვნახეთ, ამ საქმეში მხოლოდ ლაქიებს არ „უსახელებიათ“ თავი. არადა, მოდი ვიკითხოთ, რა სჯობდა: „აქ“, ნაძირალა ჩეკისტების წიხლის ქვეშ წამებით ამოხდომოდა სული ჩვენ სახელოვან მწერალს, თუ „იქ“, სამშობლოს ნოსტალგიით გაწამებულს, მაინც ეპოვნა სულიერი

ძალა, რათა მაღალი კულტურული ფასეულობანი შეექმნა და საქართველოს უერთგულეს სარანგად დარჩენილიყო? მით უმეტეს, რომ უცხოობაში ერთი სტრიქონიც არ დაუწერია, რაც არ სურდა და არ სწამდა. დაწერა მხოლოდ ის, რაც დიდი სიმართლე იყო (ვგულისხმობ რომანებს „ჩაკლული სული“ და „გრაალის მცველნი“).

საუბედუროდ, დამოკიდებულება რობაქიძის საქციელთან, „საბჭოთა საქართველოში“, ზემოთმოხმობილი განცხადებით არ ამოიწურება: როგორც ჩანს, მისი გაცნობის შემდეგ, გრ. რობაქიძეს ყოფილი მეგობრისთვის გამოუგზავნია წერილი (შინაარსი ჩემთვის უცნობია - თ. მ.), რასაც დიდი შეშფოთება გამოუწვევია ცისფერყანწელთა შორის. ჯერ იმ განცხადებისაგან მოგვრილი სინიდისის ქეჯნა, ზაფრა, გაორება და ფორიაქი არა ჰქონდათ ხვირიანად მონელებული, რომ ახალი განსაცდელი დაატყდათ თავს... დაემალათ წერილი? ჩეკას ვით დაუმალავდნენ! გამოექვეყნებინათ და ვინ იცის, რა შედეგი მოჰყვებოდა.

დიდი ფიქრისა და ბჭობის შემდეგ, გადაწყდა ბარათის მწერალთა კავშირის პრეზიდიუმში წარდგენა. უღირსმა შიშმა კვლავ გამოაჩინა ყვითელი, მახინჯი დინგი და საბოლოოდ მოსწყვიტა წელი მწერალთა ერთ ჯგუფს.

საკითხი, რაღა თქმა უნდა, მაშინვე გახდა პრეზიდიუმის საგანგებო მსჯელობის საგანი, ამ სხდომაზე, გრ. რობაქიძის ყოფილი მეგობრები ახლაც ისე მოიქცნენ, როგორც ქველი კაცები, ჩვეულებრივ, არ იქცევიან. მაგრამ ნუ ვიქნებით მკაცრი მსაჯულნი: მსჯავრის გამოტანა იოლია, საქმის არსში წვდომა - გაცილებით ძნელი. არც ის დავივიწყოთ, რომ მთელი პასუხისმგებლობა დუხჭირ დროსა და ვითარებას ეკისრება და არა ცალკეულ ადამიანებს.

გარდა ამისა, არამცდაარამც არ გვმართებს დიდი ილიას ბრძნული დარიგების უგულვებელყოფაც: „ჩვენ რომ იმდროინდელი კაცების ვითარება და გარემოება გარს შემოგვერტყმოდა, არა მგონია ავცდენოდით ცდომილებას, რომელსაც დღეს ასე დავსცინით“.

გაეცნოთ ოქმს პრეზიდიუმის სხდომისას, მცირედი კუპიურებით (გაზ. „კაბადონი“, 1990 წ. გვ. 38):

პაოლო იაშვილი: ჩვენს მიერ შემოტანილ განცხადებაში გამოთქმული აზრი გრ. რობაქიძის მოღალატეობრივ მუშაობაზე, ახალი არ არის. ამის შესახებ ადრეც გვქონდა პუბლიკაცია „მნათობში“.

სანდრო შანშიაშვილი: ამხანაგების განცხადებამ ისეთი შთაბეჭდილება დატოვა, თითქოს გრ. რობაქიძე დიდი ვინმე ყოფილიყო. ის აქაც არარაობა იყო და არც საზღვარგარეთ

წარმოადგენს დიდ ფიგურას.

რ. გვეტაძე: გრ. რობაქიძის მოღალატური მოქმედება ყველასთვის ცნობილია. საჭირო იყო ჩვენი მწერლები აუცილებლად გამოხმაურებოდნენ, დაეგმოთ მისი მოღალატური მუშაობა.

ნ. მიწიშვილი: მთელი ოთხი წლის განმავლობაში ვიყავი უცხოეთში. ჩემი მუშაობა, როგორც იქ, ისე საბჭოთა საქართველოში, იყო და არის გამართული საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისთვის. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს მუშაობას ანგარიშს გაუწევენ და ჩემს მიმართ არავითარ პროვოკაციას საფუძველი არ ექნება.

მ. ჯავახიშვილი: საქმე ისეც არ არის, როგორც შანშიაშვილმა გვიამბო. გრ. რობაქიძეს ქართულ მწერლობაში საპატიო ადგილი უჭირავს. ერთი მხრივ კი მართალია სანდრო, რომ ასეთი განცხადების ფართო გახმაურება გრ. რობაქიძეს საზღვარგარეთ კაპიტალს შესძენს. ამხანაგების განცხადებას ვუერთდები.

გ. ბუხნიკაშვილი: გრ. რობაქიძემ „ცისფერყანწელების" ხელმძღვანელი როლი მისი საქართველოში ყოფნის დროსაც დაკარგა. განმცხადებლებმა საქმით უნდა დაადასტურონ, რომ ისინი საბჭოთა მწერლების რიგებში დგანან და ჩვენთან ერთად იბრძვიან საბჭოთა ლიტერატურის შექმნისათვის.

დ. შენგელაია: არ არის სწორი იმის მტკიცება, რომ გრ. რობაქიძე არაფერს წარმოადგენს. ეჭვი არ გვეპარება ჩვენს ამხანაგებში, რომლებიც ჩვენთან ერთად იბრძვიან და დიდი ხანია გაემიჯნენ გრ. რობაქიძეს.

ს. ეული: მან ზურგში ჩაგვცა მახვილი, გრ. რობაქიძის წერილის გამო მითქმა-მოთქმას ქონდა ადგილი. ჩვენს წრეში იყო ლაპარაკი, რომ გრ. რობაქიძის ყოფილი ამხანაგები წერილს სათანადოდ უნდა გამოხმაურებოდნენ. განცხადების შემომტან ამხანაგების მიმართ არავითარი ეჭვი არ გვქონდა და მათი ინიციატივა მისასალმებელია.

ბ. ჟღენტი: გრ. რობაქიძე ყოველთვის უაღრესად ეგოისტი იყო და მიდიოდა იქ, სადაც უკეთესად მოეწყობოდა.

ტ. ტაბიძე: ჩვენს განცხადებაში მთელი სიძლიერით არის მოცემული რობაქიძის სიყალბე და გამცემლობა. შიში იმისა, რომ გრ. რობაქიძე გამოიყენებს მის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირში გამოტანილ აქტს, ზედმეტია, ამის გამო ჩვენ ხელს ვერ აიღებთ მოღალატის სათანადო შეფასებისგან.

მ. ჯავახიშვილი: მე უკვე ვთქვი, რა შედეგს მოიტანს ამ განცხადების გამოხმაურება: გრ. რობაქიძეს აქ დაასამარებს, იქ

კი განადიდებს. ადამიანების დასამარებისთვის ორი ხერხი არსებობს: პირველი დუმილი, მეორე გამომჟღავნება. მე გამოვთქვი აზრი, რომ შეიძლება დუმილი სჯობდეს.

ი. მოსაშვილი: საბჭოთა მწერლებმა მხარი უნდა დაუჭიროთ საქ. ცაკის მიერ სათანადო დადგენილების გამოტანას. გრ. რობაქიძის მსგავსი უღირსი საქციელი არავის არ უნდა ეპატიოს!

შ. რადიანი: საკითხი ისე უბრალოდ არ არის, როგორც ეს შანშიაშვილს წარმოუდგენია. განცხადების გახმაურება პოლიტიკურ შეფასებას აძლევს გრ. რობაქიძის მოღალატურ საქციელს. განცხადების ავტორებს მეტი ენერგიული მუშაობა მართებთ საბჭოთა ლიტერატურის ფრონტზე.

ს. ჩიქოვანი: გრ. რობაქიძეს ლიტერატურულ და იდეოლოგიურ ფრონტზე ყოველთვის ეებრძოდი.

დ. დემეტრაძე: გრ. რობაქიძის გარშემო ჩვენ დიდ განგაშს ვერ ავტეხთ. მხოლოდ სათანადოდ ვაფასებთ მის გამცემლურ მუშაობას.

ა. თათარაშვილი: გრ. რობაქიძემ საბოლოოდ აიხადა ნიღაბი და აქტიურად მუშაობს ჩვენს წინააღმდეგ. მწერლების განცხადებაში საუკეთესოდ არის დახასიათებული, თუ რა უარყოფით პიროვნებას წარმოადგენს გრ. რობაქიძე. ჩვენ უფრო მჭიდროდ უნდა შევკავშირდეთ, შემოქმედებითი პრაქტიკით დავამტკიცოდ, რომ საბჭოთა მწერლები ვართ და ვიბრძვით კომუნისტური დროშის ქვეშ.

დაადგინეს: სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმმა მოისმინა რა, გრ. რობაქიძის გამცემლური მუშაობის შესახებ მწერალთა ერთი ჯგუფის - პ. იაშვილის, ტ. ტაბიძის, ვ. გაფრინდაშვილის, ნ. მიწიშვილის განცხადება, რომელსაც ერთსულოვნად შეუერთდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მთელი კოლექტივი, დაადგინა: ეთხოვოს ს. ს. ს. რ. ცაკის პრეზიდიუმს, რათა გრიგოლ რობაქიძე, როგორც აშკარა მტერი ჩვენი ქვეყნის მშრომელი ხალხისა, გადასული კონტრრევოლუციურ - ფაშისტურ ბანაკში, გამოცხადებულ იქნას სოციალისტურ სამშობლოს მოღალატედ და ჩამოერთვას მოქალაქეობა, აქედან გამომდინარე ყველა შედეგების განხორციელებით".

აი, ასეთია, ეს მართლაც გამაოგნებელი დოკუმენტი. ადვილი წარმოსადგენია, ამ მშრალი საოქმო ჩანაწერის მიღმა, როგორი ვნებათაღელვა ბობოქრობს, როგორი ყოყმანი, ეჭვი, სინიდისის ქენჯნა, გადახლართვა ინტერესთა, მწარე განცდა ამაოების, ზნეობრივ ღირებულებათა გაუფასურება, სკეფსისი, ცინიზმი და,

რაც მთავარია, კაცური ღირსების ლაფში ამოსვრა.

არავინ აღმოჩნდა ისეთი, ვინც მართალ სიტყვას იტყოდა, იყვირებდა, აჯანყდებოდა საკუთარი სინიდისის წინაშე. მეტნაკლებად, ამა თუ იმ დოზით, ყველამ იცრუა და სცოდა.

ასე გადაუგვარა ფსიქიკა შემოქმედებით ინტელიგენციას ბოლშევიკებისაგან დანერგილმა შიშმა.

* * *

გრიგოლ რობაქიძემ ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობა ლექციების კითხვით დაიწყო. ფრიად ერუდირებული ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ჩინებული ფილოსოფიური და იურიდიული განათლება ჰქონდა მიღებული დერპტის, პეტერბურგისა და ლაიპციგის უნივერსიტეტებში, როგორც კი დაუბრუნდა საქართველოს, საჯარო ლექციების მთელი სერიით გამოვიდა. მრავალფეროვანი იყო ამ ლექციების თემატიკა: ბარათაშვილი და ვაჟა, აკაკი და ოსკარ უაილდი, ნიცშე და „დასავლეთის კულტურის დაისის“ შპენგლერისეული პრობლემები... ამ ლექციებმა დიდად შეუწყო ხელი გონებრივი ინტერესების გაღვივებას ჩვენი საუკუნის ათიანი წლების საზოგადოებაში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გამოსვლები ვაჟას შემოქმედების ირგვლივ. მართალია, ვაჟა ჯერ კიდევ ილიამ „აღმოაჩინა“, როცა ხმამაღლა განაცხადა: „ახლა ძველებმა კალამი უნდა დავდოთ და გზა ვაჟას დავუთმოთო“, მაგრამ მისი გენიალობის პირველადი დასაბუთება გრიგოლ რობაქიძის პრეროგატივა გახლავთ. აქ ისიც მოსატანია, რომ გრიგოლ რობაქიძე ხსენებულ ლექციებს ქართულ ენაზე კითხულობდა, რაც მაშინ ისეთი უცხო ხილი იყო, რომ თვით მხცოვანი აკაკიც მიესალმა ერთ პატარა წერილში:

„ამ დღეებში გრიგოლ რობაქიძემ საჯაროდ წაიკითხა ლექცია ფრიდრიხ ნიცშეს ფილოსოფიის შესახებ. მეც დაესწარი და ამისრულდა წადილი. ვნახე ჩემის თვალით ის, რაც მთელი სიცოცხლის განმავლობაში მენატრებოდა:ქართველი ინტელიგენტი, თავისთავად მოაზრე და არა უცხო გრამაფონი! ცხადად ჩანდა, რომ ყოველი მისი სიტყვა, მისივე საკუთარი იყო, გრძნობა-გონებაში ქართულად გამობრძმედილი. ლექტორმა იჩინა თავი ჩემს თვალში, როგორც პირველმა მერცხალმა, გაზაფხულის მახარობელმა. ახლა კი ვხედავ, რომ ქართველ ინტელიგენციასაც უდგება ხანგრძლივი ზამთრის შემდეგ გაზაფხული და მეც, მეშვიდე ცამდე აფრენილი, ვამბობ სიხარულით: კურთხეულ იყოს მომავალი!“ (განთიადი, 1988, №1).

ეს იყო ქართული ლიტერატურის პატრიარქის დიდი დასტური. გრიგოლ რობაქიძემ საუსებით გაამართლა წინაპრის კურთხევა (როგორც გალაკტიონმა, ასევე დალოცვილმა აკაკისაგან) და მალე თვითონვე შეიქნა, თავკიდური იმ რენესანსისა, რომლის დაწყებასაც ასე გულმოდგინედ მიანიშნებდა იგი საზოგადოებას.

წინამდებარე ნაშრომში, არჩილ ჯორჯაძის ცხოვრებასა და ღვაწლზე საუბრისას, ჩვენ პირველად შევხვდით გრიგოლ რობაქიძეს. გაეცანით მის რამდენიმე პირად წერილს ჯორჯაძისადმი მიწერილს, საიდანაც, ვფიქრობ, კარგად გამოჩნდა ორი დიდი ინტელიგენტის კულტურული პროფილი. აქვეა მოსახსენებელი ივანე ჯავახიშვილიც. არსებითად, მათ და მათმა თანამოაზრეებმა შემოფარგლეს საქართველოს მომავალი ეროვნულ-ინტელექტუალური ყოფის საზღვრები და უნდა ვივარაუდოთ, ჩვენი ქვეყანა, გრიგოლ ორბელიანისა არ იყოს, მალე „აღსდგებოდა და დადგებოდა ერად სხვა ერთა შორის, წმიდით საყდარით, ენით მდიდარით, სწავლისა შუქით განათებული!" ამისთვის იბრძოდნენ, ამისთვის იღვწოდნენ დაუცადებლად, მეოცე საუკუნის ინტელიგენტები, რომლებიც, „თერგდალეულთაგან" განსხვავებით, უშუალოდ ევროპულ კულტურას იყენენ ნაზიარები და რომელთა ორიენტირები პირდაპირ დასავლეთისაკენ იყო მიმართული.

მათ შორის ერთი მთავართაგანი გრიგოლ რობაქიძე გახლდათ, მრავალმხრივი მოღვაწე და შემოქმედი: პოეტი, ესეისტი, რომანისტი, დრამატურგი... „საქართველოში გრიგოლ რობაქიძე იყო ისეთივე ფილოსოფოსი, მწერალიც, როგორც რუსეთში, ვთქვათ, სოლოვიოვი, ან ბერდიაევი, ან ანდრეი ბელი. მათი სტილისა და აზროვნების ტიპი. და იგი რომ რუსეთში ყოფილიყო, არცერთ მათგანს ტოლს არ დაუდებდა არც ნიჭით, არც ერუდიციით, არც შრომის უნარითა და პროდუქტიულობით". (ირ. აბაშიძე).

გრიგოლ რობაქიძე იყო ახალი ტიპის ინტელიგენტი მსოფლმხედველობითაც, ესთეტიკითაც, მხატვრული სტილითა და გამოსახვის ხერხებითაც, ერთ-ერთი პირველი მაუწყებელი ქართული მოდერნიზმისა (ტერმინს ეხმარობ განახლების მნიშვნელობით - თ. მ.), მაგრამ, ამის მიუხედავად, მჭიდრო შინაგან კავშირს ინარჩუნებდა ილიას ინტელიგენტ მგზავრთან. ეს გახლდათ იმანენტური კავშირი, უწყვეტობა ეროვნულ-კულტურული ჯაჭვისა, რომელსაც, ყველა ნიშნის მიხედვით, ქართული სულიერი ცხოვრების დიდი აღზევება უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ აი, ჩამოდგა საბედისწერო წელი 1921 და ჩვენი „ჩარხიც ბედუკუღმა გადატრიალდა". აშკარა იყო: „დროთა კავშირი დაირღვა და მისი შეკერა „წყეულმა ბედმა", სწორედ ინტელიგენციას დააკისრა. გაართვა თავი

ინტელიგენციამ ამ ურთულეს მისიას? ვერ გაართვა? ძნელია გადაჭრით რაიმეს თქმა, ეს მომავალმა უნდა განსაჯოს. გარდა ამისა, შემზარავად დიდი და საშიში იყო ურჩხული „საბჭოთა პროლეტარული დიქტატურა“, რომ მასთან ბრძოლაში რაიმე წარმატების იმედი ჰქონოდა ადამიანს. ინტელიგენციამ მაინც იბრძოლა, იტანჯა, დაღვარა ზღვა სისხლი და ცრემლი, შედეგი კი, უმეტესწილად ის იყო, რომ მის სულში შემგუებლობისა და მლიქვნელობის, საკუთარი კეთილდღეობის ზრუნვის შხამიანმა ბაცილამ გაიდგა ფესვი და აყვავდა კიდეც, ხოლო ნაყოფი რა მივიღეთ, ეს ყველასათვის ცნობილია.

საბედნიეროდ, რობაქიძე ის მწერალი გახლავთ, რომელმაც, მართალია, მწარე საზღაურის ფასად, სამშობლოსაგან მოწყვეტის ფასად, მაგრამ მაინც შეინარჩუნა სრული შინაგანი თუ შემოქმედებითი ავტონომია, შორს გაუთქვა სახელი საქართველოს და მის ლიტერატურას. ცნობილია დიდი გერმანელი მწერლის, შტეფან ცვაიგის გამოხმაურება რობაქიძის „გველის პერანგზე“.

„მე ვფიქრობ, ქართველი მწერლის, გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგით“, ჰორიზონტზე პირველად ჩნდება ერთი ახალი და თანაც უძველესი ერი, რომელსაც, თავის ლაშქრობათა ჟამს, ალექსანდრე მაკედონელიც შეხვედრია. და ეს ერი ცხოვრობს დედამიწის უმშვენიერეს კუთხეში, განთქმულია სიმღერით და მითოსით. და მაინც, ჩვენდა სამარცხვინოდ, უცნობია ევროპელთათვის“.

ყველას კარგად უნდა გვახსოვდეს: საქართველოდან მისი იძულებითი წასვლა, სამშობლოს ღალატი კი არ იყო, როგორც ამას დაჟინებით გვინერგავდა კომუნისტური ოფიციოზი, არამედ ბოლშევიკური დიქტატურის კატეგორიული უარყოფა და თავისუფალი სინიდისისა და შემოქმედების ვაჟკაცური, პატიოსანი მსახურება.

გრიგოლ რობაქიძის აღდგინება ქართულ მწერლობაში უახლოესი წლების დიდ მონაპოვრად უნდა ჩაითვალოს. ამიერიდან: მომავალ თაობებს, ისე როგორც დღევანდელ მკითხველებს, საშუალება ეძლევათ არა მხოლოდ „გველის პერანგის“ ხელახლა წაკითხვისა, არამედ სრულიად უცნობი ესსეების, გამოკვლევებისა და, რაც მთავარია, რომანისა „ჩაკლული სული“, რომელიც გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, წარუვალი ღირებულების წიგნია, როგორც პრობლემატიკის, ისე ოსტატობის თვალსაზრისითაც და სასიამოვნოა, რომ მომავალი ლიტერატორები

მწერლური აღმოჩენებისა და შეგირდობის წლებს გაიულიან ამ დიდი მხატვრისა და მოაზროვნის კეთილი დამოძღვრით.

სწორედ „ჩაკლული სულით“ ეზიარა ევროპული და ჩვენი საზოგადოება იმ რთულსა და უმძიმეს წლებს, იმ ბედკრულ ყოფასა და სიდუხჭირეს, ეჭვითა და უნდობლობით გაჟღენთილ იმ პოლიტიკურ ატმოსფეროს, რომელშიც საქართველო იყო ჩათრეული და სადაც ღრმად ტრაგიკული მოვლენები და ფსიქოლოგიური ძვრები მიმდინარეობდა. მინიმუმამდე იყო დაყვანილი ის სიტუაციები, საშუალებები და პროცესები, რომლებშიც ადამიანი თავის საუკეთესო თვისებათა ჩვენებასა და გამჟღავნებას შეძლებდა. სამაგიეროდ, ყველაფერი კეთდებოდა იმისათვის, რომ ადამიანს ამაღლებული, კეთილშობილი სახე დაეკარგა და არარაობად ქცეულიყო. ეს გააფთრებული წლები სიკეთისა და ბოროტების მარადიული ბრძოლის კიდევ ერთი კატასტროფული პოლიტიკური ეტაპი იყო, როცა ისე, როგორც არასოდეს, ეროვნული ცნობიერება მეთოდურად, შემდეგ კი აშკარა ძალადობით, ფანტასმაგორიული, კოშმარული მეხთატეხით ისრისებოდა.

„ჩაკლულ სულში“, ამ უაღრესად ქართულ რომანში, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა წარმოებს, ეგრეთწოდებულ ბოლშევიკურ კოსმოპოლიტიზმსა და ჯანსაღ ეროვნულ ცნობიერებას შორის. მიზნის მისაღწევად და პოზიციის განსამტკიცებლად, ბოლშევიზმი ნებისმიერ საშუალებას ამართლებდა და ანტიჰუმანურ, ანტიადამიანურ მეთოდებს იყენებდა, რისი მსხვერპლიც, მრავალი ღირსეული პიროვნება შეიქნა. ეს კი, თავის მხრივ, ხელს უწყობდა ეროვნული ცნობიერების პარალიზებასა და დეგრადირებას, ეროვნული სულის მოშთობას, მის სრულ გაქრობასა და გაუჩინარებას.

* * *

სამყაროს რობაქიძისეული მხატვრული ხედვა, ათასწლეულების მიღმა არსებული ქვეყნიდან მოდის და, არცთუ იშვიათად, სიცინცხალით გამორჩეული, მარადიული სიძველის დამღა აზის. მისი კითხვისას ყოველთვის იგრძნობა იმ ცივილიზაციისა და კულტურის ძალა, რომელიც ყველაზე უფრო გამომშრალ, გამოფიტულ აწმყოსაც კი პრაგმატიზმიდან გადაახვევინებს, ადამიანებს დაუბრუნებს საგნებისა და მოვლენების ხელახალი აღმოჩენისა და ყოველწამიერი გაოცების გადავიწყებულ უნარს. მის სტრიქონებში განუწყვეტლად ფეთქავს რაინერ მარია რილკეს გონიერული ეჭვი: „იქნებ მარცვალში თელემს მთელი სამყარო?“

გრიგოლ რობაქიძის პეიზაჟებს, ლანდშაფტს, ძველი ქალდეას და ურარტუს სურნელი ასდის, ტაატით მიმავალ ღრუბლებს კი მარადიული სამშობლოს სევდა. განუწყვეტელი ხსოვნით აღბეჭდილი მხატვრული გმირები არ ემორჩილებიან დროის კონიუნქტურას. პირიქით, ისინი თავად ქმნიან საუკეთესო ადამიანური თვისებებითა და ღირსებებით აღსავსე დროს. გრიგოლ რობაქიძე სწორედ ამ ღირსების გადასარჩენად წავიდა სამშობლოდან. იგი ფიზიკურადაც გაუფრთხილდა უფლის მიერ საკუთრივ მისთვის ბოძებულ ტალანტს. მიწაში კი არ დაფლა ბიბლიური იგავის გმირივით, არამედ ერთიანად გაამრავლა, ხოლო „ჩაკლული სულის“ სახით, იმ ეპოქისა და პროცესების მხატვრული გამოკვლევა დაგვიტოვა, რომელშიაც ყველაზე დიდი ძალადობა სწორედ ხსენებულ ღირებულებებზე მიიტანეს. მწერალმა თვალი მიადევნა იმ შემზარავ ვითარებას, რასაც ტოტალიტარიზმის პირობებში ღმერთისადმი რწმენის ჩაკვლა, ადამიანური, პიროვნული ღირსებისა და უფლებების სრული დათრგუნვა და ნიველირება ჰქვია.

მას დაუდგა არჩევანის უმძიმესი ჟამი: დაბრუნებულიყო სამშობლოში და თავისი ღვთისაგან ბოძებული ტალანტი მიწაში დაეფლა, ან ფიზიკურად ყოფილიყო სამშობლოს გარეშე, მაგრამ ტალანტი ბოლომდე აემუშავებინა, ბოლომდე გაეხარჯა და საკუთარი ერის მსოფლსახე, საკუთარი ისტორია და ფესვები, როგორც მაღალმხატვრული დოკუმენტი, ანდერძად დაეტოვებინა საქართველოსათვის.

მან მეორე გზა აირჩია: ნოსტალგიით, სიცივით, მიუსაფრობით, სილარიბითა და მოუწყობლობით გათანგული გზა, ოღონდ ხსოვნით გადაერჩინა და სიტყვით უკვდავეყო საკუთარი მიწა-წყლისა და ხალხის ნამდვილი არსი. აი, რას წერს თავად გრიგოლ რობაქიძე ამ წასვლის შესახებ:

„მთავარი მიზეზი, თუ რად დავტოვე მე საბჭოეთი, იყო ჩემი ღრმა რწმენა, რომ საბჭოეთის ფარგლებში ფესვები ერის მსოფლსახისა ვერ გაიხარებენ. დღეს თუ ხვალ, აღიკვეთებიან. ყოველ შემთხვევაში, ბოლშევიკები არ დაზოგავენ არაფერს, რათა ისინი გაანადგურონ სრულიად... ბოლშევიკური ფორმულა, სტალინის მიერ კანონდებული, ასეთია: „ყოველი კულტურა უნდა იყოს შინაარსით ინტერნაციონალური, ხოლო ფორმით ნაციონალური“ ამ ფორმულის მიხედვით, შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ კულტურა ანონიმისა. ნამდვილ კულტურას, რაიც, ერთსა და იმავე დროს, ღრმად ეროვნულია და სწორედ ამის გამო უნივერსალური, ბოლშევიზმი ხსნის შინაგან და სპობს. აქ ერთი მაგალითი: ჩემი „ლამარა“ დაიდგა სცენაზე 1926 წლის იანვრის

ბოლოს... იყანე გომართელი, ნათელგონიერი და გულმართალი, ნამდვილი ქართველი, ჯერ კიდევ საკმაოდ დაუფასებელი, გამოეხმაურა „ლამარას“ ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“. იგი სწერდა სხვათაშორის: გრიგოლ რობაქიძე არამარტო დიდი ხელოვანია, იგი დიდი ქართველიცაა, რადგან მან „ლამარათ“ საქართველოს მეობა დაგვისახაო. მიხეილ კახიანს, მაშინდელ გენერალურ მდივანს საქართველოს კომუნისტური პარტიისა, ამ ადგილის წაკითხვის დროს, ჟურნალი ბრაზით გადაუგდია და დაუძახია: სწორედ ეგ მეობა უნდა ამოვაგდოთ ძირფესვიანადო. ეს ამბავი გადმომცა ერთმა ცნობილმა მგოსანმა. ბოლშევიკური თვალსაზრისით, კახიანი რასაკვირველია, სხვანაირად ვერ მოიქცეოდა.“

ამ მეობის გადასარჩენად, ნებისმიერი განსაცდელის გადატანა ღირდა. ტანჯვასთან ერთად, ღვთის წყალობაც იყო ამნაირი ცხოვრება. ამის აღიარებამ და რწმენამ, გრიგოლ რობაქიძეს, როგორც პიროვნებასა და როგორც შემოქმედს, უთუოდ მიანიჭა სულიერი წონასწორობა.

ემიგრაციაში მყოფი მწერალი გააფთრებით შეუდგა შემოქმედებისათვის საჭირო, სასიცოცხლო ენერგიის ხარჯვას. თითქოს წინასწარ „იგზნო“ როგორ გაუჭირდებოდა მომავალში მის სამშობლოს. როგორი ავბედითი წლები, ავბედითი ეპოქა დარეჯა ხელს. კაენის სული, სისხლისმსმელი ურჩხულივით, როგორ დააწვებოდა მისი სამშობლოს მგრძნობიარე რელიეფს, როგორ დადგებოდა საქართველო ყოფნა-არყოფნის საბედისწერო ზღვარზე.

გრიგოლ რობაქიძის, მწერლისა და პიროვნების ტრაგიზმი, არაა ერთი პიროვნების ტრაგიზმი. ესაა ტრაგიზმი საერთოდ ქართველი ერისა, რომელიც თავისი ტოლერანტული ბუნებით, აბსოლუტურად შორს მყოფი ძალადობისაგან, სწორედ ამ ტიპის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა.

* * *

ქართულმა მწერლობამ, თავის დროზე, ოციან წლებში, კარგად გვიჩვენა, თუ რა ბედი ეწიათ ახალ ისტორიულ სინამდვილეში ყოფილი „წარჩინებული კლასის ბანაკში მყოფთ“ (მ. ჯავახიშვილის გამოთქმაა), როგორ გათელა „წითელმა ბორბალმა ნათაუადარნი და ნააზნაურალნი, ფიზიკურად და სულიერადაც გაანადგურა, ზოგი კი ნაკაცარად აქცია. გაბატონებულმა ახალმა წოდებამ ყოველგვარი კომპრომისული გზა უარყო, და ულმობლად გაუსწორა ანგარიში წინანდელ პრივილეგირებულ წოდებებს. მიხეილ ჯავახიშვილმა და კონსტანტინე გამსახურდიამ დახატეს

პერსონაჟები, რომლებიც თავიანთი სოციალური წარმოშობით, ძალაუნებურად დაპირისპირებულნი აღმოჩნდნენ ახალ სინამდვილესთან. მათგან განსხვავებით, გრიგოლ რობაქიძე ძერწავს პერსონაჟს, რომელსაც ამ ნიადაგზე არ გააჩნია კონფლიქტები. პოეტი თამაზ ენგური არაა არისტოკრატული წარმოშობისა, უბრალო ხალხის შვილია ჯანსაღი, მყარი ფსიქიკის მქონე. იგი ევროპაში განსწავლული, სულიერად გამორჩეული ინტელიგენტი გახლავთ, მაგრამ მისი კონფლიქტი ახალ სინამდვილესთან, მისი სულიერი ტრაგიზმი, არანაკლებ მძაფრია, ვიდრე ხვედრი პრივილეგირებული კლასის წარმომადგენლებისა.

გრიგოლ რობაქიძე ღრმად მოიაზრებს ამ პრობლემას. მისი მხატვრულ-კრიტიკული ანალიზი, „ჩაკლულ სულში“ წარმოდგენილი, მრავალმხრივი, უნივერსალური ანალიზია. თამაზ ენგურის კონფლიქტები, სინამდვილის კრიტიკული ხედვა და ინტენსიური შემეცნება, არის რომანის ფორმით გამოხატული მხატვრულ-ფილოსოფიური კრიტიკა - არამხოლოდ არსებული პოლიტიკური სტრუქტურის, არც მხოლოდ გაბატონებული მორალის, არც მარტოოდენ პროლტარული იდეოლოგიისა და კულტურისა, არამედ ეს არის მხატვრულ-ფილოსოფიური წვდომა კიდევ უფრო ღრმა დონეზე: ონტოლოგიის, ყოფიერების არსის გაგების დონეზე.

მაინც რა არის მთავარი ამ რომანში: პიროვნების ხვედრი, მისი სულიერი ტრაგიზმი, თუ არსებული პოლიტიკური სისტემის შინაგანი რაობის ჩვენება? უფრო ზუსტად: რა არის პირველადი მნიშვნელობისა „ჩაკლულ სულში“: როგორ თრგუნავენ, თუ ვის თრგუნავენ? მთავარი გმირის სახე მხოლოდ საბაბია, საშუალებაა გარკვეული პოლიტიკური რეჟიმის არსის გამოსააშკარავებლად, თუ თვით ამ სახეს აქვს თავისთავადი მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულება?

პირველადი მნიშვნელობისა „ჩაკლულ სულში“, ისევე, როგორც საერთოდ გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში, პიროვნებაა ძლიერი, მთლიანი, ჰარმონიული პიროვნება. თამაზ ენგურიც ამგვარი სულიერი წყობით გამორჩეული ლიტერატურული გმირია. იგი არსებითად განსხვავდება XIX საუკუნის კრიტიკული რეალიზმისა და, გარკვეულ წილად, XX საუკუნის მწერლობის ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური ტიპისაგან, რომლის შექმნასაც საფუძვლად უდევს ხასიათის განვითარება, სულის დიალექტიკა და სულიერ-ზნეობრივი ძიებანი. გრიგოლ რობაქიძის გმირს, რომანში, ხასიათი უკვე ჩამოყალიბებული და მტკიცედ დადგენილი აქვს, რაც მოსაძიებელი ჰქონდა, უკვე მოუპოვებია და პრობლემის არსი სწორედ ისაა, რომ დაიცვას ეს მონაპოვარი, უნიკალური

შინაგანი სამყარო ულმობელი ძალმომრეობისაგან. თამაზი პოეტია და საამისოდ არის მოწოდებული, რომ თავის სულიერ მონაპოვარს სხვებიც აზიაროს და ამიტომ, თავდაცვა იმ ძალისაგან, რაიც განადგურებით ემუქრება მისეულ ღირებულებებს, ყოფნა-არყოფნის ტოლფასია.

მაინც, რა ღირებულებებზეა ლაპარაკი?

ამ კითხვის პასუხს, არსებითად, იძლევა რომანის პირველი თავი „ჯადოს ახსნა“ აქ გამჟღავნებულია ორი, ურთიერთდაპირისპირებული თვალსაზრისი ოფიციალური მხარისა და თამაზ ენგურისა. განიხილავენ ხევსურთა ცხოერების ამსახველ კინოსცენარს (თამაზი „სახკინმრეწვის“ სასცენარო განყოფილებაში მუშაობს). სცენარი ათეიზმისა და საბუნებისმეტყველო მატერიალიზმის პროპაგანდაა, ეს მაშინ, როცა თამაზ ენგურისთვის ადამიანის უმთავრესი სულიერ-ზნეობრივი საყრდენი - მხოლოდ ღმერთია (ღმერთი, ვით მამა უზენაესი). სცენარი სხვა მხრივაც მიუღებელია მისთვის. ხევისბერი გამოყვანილია მატყუარა და ხალხის მყვლეფელ ადამიანად. დამახინჯებული და გაყალბებულია ისტორია: უძველესი ტომის ზნე-ჩვეულება, თემის წმინდა ტრადიციები, დანახული და შეფასებულია კლასობრივი ბრძოლის, ვულგარული მატერიალიზმის თვალთახედვით. ხოლო თამაზ ენგურისათვის წინაპართა ტრადიცია, მათი რწმენა და შინაგანი ერთიანობის გამოხატულება, წმინდა რამ ეროვნულ-კულტურული ფასეულობაა. თამაზ ენგური ცდილობს, შეძლებისდაგვარად წინააღმდეგობა გაუწიოს სცენარის არსებული სახით დამტკიცებას. აშკარა წინააღმდეგობაზე, რაღა თქმა უნდა, ლაპარაკიც ზედმეტია. ოფიციალური იდეოლოგიის საპირისპირო თვალსაზრისის გამოთქმა ლამის მტრულ გამოხტომად ითვლება. და აქ თანდათან ჟღერას იწყებს ეჭვის, უნდობლობისა და შიშის მოტივი, უპიროვნო, უსახო შიშისა. ადამიანს დაუფლებია გრძნობა, რომ გამუდმებით ვიღაც უთვალთვალებს, შიგ სულში უტრიალებს მზერას, უჩხრეკს ყოველ კუთხე-კუნჭულს, რომ ყოველ შენს სიტყვას, ყოველ ნაბიჯს ვიღაც აფიქსირებს.

შიშის მდორე ხმაურითაა მთელი რომანი გაჟღენთილი.

შიში, როგორც კატასტროფული სიჩქარით მოძრავი შხამიანი ბაცილა, ისე გადადის ადამიანიდან ადამიანში.

შიში თავისუფლების მარად ძველი და მარად ახალი ჯალათი, რომელსაც ჰქონდა გამარჯვებები, დამარცხებები, მაგრამ რომელიც დიდი აღზევების ჟამსაც ვერაფერს უხერხებდა თავის მდაბიო წარმომაელობას.

შიში - რეალობის ბოროტი ალქიმიკოსი, რომელიც ამთავრებს

ადამიანობის საუკეთესო ვნებებისა და ემოციების თავისუფალ დინებას, რომელიც ამუხრუჭებს სიხარულს, ურთიერთნდობასა და პატივისცემას.

შიში - რომელიც ეჭვიანი გაბოროტებით, სინათლეშიც ბნელ ძალას ხედავს... ისე, როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის ნამდვილი ადამიანები შეეწირებიან შიშის შედეგად წარმოქმნილ ეჭვებს და რეპრესიებს, გრიგოლ რობაქიძის „ჩაკლულ სულშიც", საუკეთესო პოტენციის ადამიანები უვიცი, ბნელი ძალების მსხვერპლნი ხდებიან.

შიშის შედეგად შებოჭილი სამყარო უჩვეულო, პანიკური დინამიზმითაა გადმოცემული „ჩაკლულ სულში" და ყოველივე ეს, ღრმა შინაარსთან ერთად, იმ უჩვეულო სტილისტიკითა და ხელწერითაა მიღწეული, რასაც გრიგოლ რობაქიძის სტილი და ხელწერა ჰქვია.

პირველ თავში, სადაც ავტორისეულ თხრობას ერწყმის ძლიერი ესეისტურ-განსჯითი ნაკადი, რაიც რომანის გმირის დაკვირვებითა და ნაფიქრ-ნაგრძნობის გამჟღავნებაა და მოშველებულია საზოგადოებრივი ატმოსფეროს დასახასიათებლად, ჯერ მხოლოდ მინიშნებულია, ჩანასახურ ვითარებაშია ნაჩვენები ის შინაგანი წინააღმდეგობა, კონფლიქტი, შემდგომ რომ განვითარდება და გაღრმავდება, ბოლოს კი კულმინაციურ წერტილს მიაღწევს. აქ, ამ თავისებურ შესავალში სიმფონიისა, გმირის ტრაგიკული ბედის მანიშნებელ ნოტებთან და უსახო შიშის მოტივთან ერთად, გაისმის ბედთან შერკინების მოტივიც. აღწერილია სცენა: თამაზ ენგური იმორჩილებს ლაგამაწყვეტილ ცხენს რომელიც ეზოში დაჰქრის და ვერავინ მიჰკარებია. ეს სცენა მხატვრული პარაბოლაა - გადარეული ცხენის დაურვება, იგივე ჭიდილია ბედთან. ამ ჭიდილისას მჟღავნდება გმირის მტკიცე ნება, მისი სულიერი და ფიზიკური ძალმოსილება, ხასიათის უდრეკობა. ბედთან ჭიდილის ეს მოტივი თანდათან ძლიერდება, გმირის ტკივილი უკიდურესად მძაფრდება და ფინალურ სცენაში, მისი უხმო, გულგასაგმირავი კვნესა, ღაღადისი, ეული ხმა ადამიანისა, ხმა დაუმორჩილებელი და გამყივარი, თითქოს და გარემო ბუნების გამოძახილია, აგუგუნებული ორკესტრის ხმიანობას ერთვის.

წიგნში ყოველი ახალი თავი დასრულებული ნოველაა და ამავე დროს, ორგანული კავშირი აქვს რომანის დანარჩენ ნაწილებთან. ვნახოთ, ამ თვალსაზრისით თავი, რომელსაც „გატყავებული ცხენი" ჰქვია.

ხსენებული თავის გულისგულია ერთი ცხენის ამბავი, რასაც თამაზ ენგური უამბობს თანამეინახეთ. ამბავი სიმბოლური

მნიშვნელობის მქონეა: იგი ააშკარავებს რევოლუციის ნამდვილ სახეს, კერძოდ, პროლეტარული რევოლუციისას. საერთოდ, რევოლუციის რაობის თემა გამჭოლი ლაიტმოტივია მთელი რომანისა. ხსენებული ამბავი თავისებური სასინჯი ქვის ფუნქციასაც ასრულებს - ავლენს პერსონაჟთა პოზიციებს და მათს ურთიერთდამოკიდებულებას.

გაცოფებული ბრბო დანებით, კეტებითა და ნამგლებით შეიარაღებული, დასაჭერად დასდევს ცხენს, ზღაპრული მერანივით ლაღსა და მოხდენილს, რათა ცოცხლად გაატყავოს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ჯიშიანი და გამორჩეულია. ხოლო როდესაც თამაზ ენგური, მოგეიანებით, სიტყვას წარმოთქვამს საქრთველოს გასაბჭოებასთან დაკავშირებით გამართულ საზეიმო სხდომაზე (თავი X, „ყველა საზღვრის წაშლა“) და, ნებსით თუ უნებლიეთ, ტერორის მეთოდს გაამართლებს (გამოსაშვები სისხლი უნდა გამოიშვასო, ამბობს), იგი იმ ბრბოს თანამოაზრე და თანამონაწილე ხდება, რომელიც ცოცხლად გატყავებას უპირებს უცოდველ ზვარაკს.

ზემოხსენებული სიტყვა, წარმოთქმული თამაზ ენგურის მიერ, გასაბჭოების საზეიმო სხდომაზე, მრავალმხრივაა საყურადღებო: თუ აქამდე გარეგანი კოლიზიები გვეძლეოდა, უპირატესად კონფლიქტის სახით გმირისა და გარემო სინამდვილეს შორის, ხოლო გმირის შინაგანი უკმაყოფილება საკუთარი პერსონის გამო, ოდენ მინიშნებული იყო, ახლა ამ გამოსვლის შემდეგ, თავს იჩენს შინაგანი კონფლიქტი, კონფლიქტი საკუთარ თავთან, სინიდისთან. თამაზ ენგური ზნეობრივ დანაშაულსა გრძნობს უსამართლოდ დასჯილი ადამიანების წინაშე, რაკიღა რეპრესიების გამართლება მოიწადინა. მართალია, ეს იყო წუთიერი გადაცდომა, მაგრამ ფაქტია, რომ პოზიცია საჯაროდ გაცხადდა, საჯაროდ გამოითქვა მხარდაჭერა სისხლიანი პოლიტიკისადმი. რომანის გმირის ეს შინაგანი კონფლიქტი რთული ბუნებისა გახლავთ. აქ თავს იყრის ნაირგვარი წინააღმდეგობა, მიმართებანი ისეთ კატეგორიებთან, როგორიცაა რევოლუცია ტერორი მასა ხალხი.

იმ რთულ გრძნობაში, თამაზ ენგურს რომ დაუფლებია, როცა ის უნებურ სოლიდარობას უმჟღავნებს მასას, კიდევ რჩება რაღაც ბნელი და იდუმალი, წმინდა რაციონალისტური გზით რომ ვერ აიხსნება. რა არის ეს ფარული ძალა? ეს დაახლოებით იმდაგვარიეე ძნელად ამოსაცნობი ირაციონალური ძალაა, რითაც ნატას იზიდავს ბერზინი. როგორც ნატაზე ზემოქმედებს ბერზინი, უპიროვნო მასის ნების ეს რეალურ-სიმბოლური განსხეულება,

დაახლოებით იმგვარადვე მოქმედებს თამაზ ენგურზე მასის ბნელი მიზიდულობის ძალა. ამ ბნელი ძალის ხატოვან ანალიზს გრ. რობაქიძე იძლევა მოკლე, ღრმააზროვან ესსეში „სულის დაშლა“.

გაუპატიურებული ქალწული, ოღონდ კი რაიმე გამოსავალი ნახოს აუტანელი წამებისაგან, ლამობს ცოტა მაინც დადებითი ნიშან-თვისება იპოვოს მოძალადეში, ამით იქნებ ოდნავ დაუახლოვდეს, შეეთვისოს მას, მაშინ ძალადობის გრძნობა განელდება, ისე გაუსაძლისი აღარ იქნება. გაუპატიურებულმა, შესაძლოა, მოახერხოს კიდეც და შეეგუოს მოძალადეს. თუმცა გულის სიღრმეში მუდამ იგრძნობს თავისი მდგომარეობის სიყალბეს, არაბუნებრიობას. აი, ამგვარი რთული ფსიქოლოგიური კომპლექსით ხსნის გრიგოლ რობაქიძე ქართველ მწერალთა დიდი ნაწილის შერიგებასა და შეგუებას არსებული რეჟიმისადმი, სისხლიანი დიქტატურის პირობებში.

თამაზ ენგურისა და მასის ურთიერმიმართება რომ ბოლომდე ნათელი იყოს, ესეც უნდა ითქვას: თამაზ ენგურს, მასა, როგორც მტრული ძალა პიროვნებისა, მხოლოდ თავის სამშობლოში კი არა, უცხოეთშიც ეგულება. თურმე იქ, დასავლეთშიც, უტევს მასა პიროვნებას, ესწრაფვის თავისი ცხოვრების ნირისა და ფსიქოლოგიის გაბატონებას: „მასობრივი კულტურა“ უპირისპირდება ნამდვილ სულიერ ღირებულებებს. მაგრამ დასავლეთში პიროვნებას საშუალება აქვს, თავი დაიცვას ამ უხეში ძალის შემოტევისაგან, მეტიც, იქით გაუწიოს წინააღმდეგობა, რადგან დასავლურ ცივილიზაციას შეუნარჩუნებია მთავარი სულიერ-ზნეობრივი ფასეულობა - პიროვნების თავისუფლება. თამაზ ენგური კი, თავის სამშობლოში, ამგვარ საშუალებას მოკლებულია, აქ პიროვნული თავისუფლება ძირშივეა აღკვეთილი. ამისდა კვალობაზე, თამაზ ენგურის დამოკიდებულება რევოლუციისადმი, ერთნიშნა როდია: იგი რევოლუციის მომხრე არ არის, მაგრამ არც პრინციპული წინააღმდეგია. რევოლუცია, რომელიც გზას უხსნის პარლამენტურ-დემოკრატიულ წყობას, უზრუნველყოფს პიროვნების თავისუფლებას, მისთვის მისაღებია, ხოლო თუ პიროვნების თავისუფლებას სპობს, ცხადია, რევოლუცია უარსაყოფი ხდება.

თამაზ ენგურის სულიერი დრამა ტრაგიზმში გადაიზრდება მას შემდეგ, რაც იგი უნებლიე მიზეზი შეიქნება თავისი მეგობრის, ლევანის დაღუპვისა. ტკივილი შინაგან ყვირილად იქცევა. არადა, მექანიზმი დამსჯელი სახელმწიფოებრივი მანქანის მოქმედებისა იმგვარია, რომ შეიძლება არც კი იცოდე, ისე შეიქნა ბოროტების ხელშემწყობი და თანამონაწილე. თამაზ ენგურს, შემთხვევით,

სანთებელა რომ არ დარჩენოდა ეტლში, როცა ის საიდუმლო შეხვედრის შემდეგ სასტუმროში ბრუნდებოდა, მისი მეგობარი ლევანი, ალბათ, დახვრეტას გადაურჩებოდა, ყოველ შემთხვევაში, თვითონ თამაზ ენგური არ იქნებოდა მეგობრის დაღუპვის უნებლიე მიზეზი. სანთებელას ეტლში დარჩენა „წმინდა" შემთხვევითობაა, ხოლო ამ შემთხვევითობის მიღმა გარკვეული კანონზომიერება იმალება. ამ შემთხვევის წყალობით „გეპეუ"-ს მუშაკს საშუალება ეძლევა, პირადი ანგარიში გაუსწოროს ლევანს, შური იძიოს მასზე.

მწერალი, ლევანის ბედის მაგალითზე გვიჩვენებს, რა დიდ როლს ასრულებს კანონიერების დაცვისა და დაუცველობის მხრივ „ორგანოს" მუშაკის პირადი ინტერესი. მართალია, ამ პირად მოტივს ჯერ ის მასშტაბი და საზარელი სახე არ მიუღია, რასაც მოგვიანებით, ოცდამეჩვიდმეტე წელს მიიღებს, მაგრამ აქ უკვე აშკარაედება არსი: კანონიერების დასაცავად მოწოდებულნი, თავად სჩადიან უკანონობას, ბოროტად იყენებენ თავიანთ მდგომარეობას, რაკიღა განუსაზღვრელ ძალაუფლებას ფლობენ. გამომდინარე აქედან, „ჩაკლული სულის" მკითხველი ძალაუნებურად ფიქრობს: თუ ეს ყველაფერი პრელუდიაა, ნამდვილი საშინელება რაღა უნდა იყოს? თუ აქ დახატული ვითარება შედარებით მსუბუქ ვითარებად აღიქმება, გაცილებით უფრო შავბნელი ვითარება რაღა იქნება? გრ. რობაქიძე ძუნწი, მაგრამ ერთობ მეტყველი, ზუსტად მოზომილი საშუალებით ქმნის „გეპეუ"-ს იდუმალ - საზარელ ატმოსფეროს. მწერლის სიტყვა ჩვენზე ზემოქმედებას ახდენს არამარტო იმით, რაც ითქვა, არამედ ართქმულითაც, ნაგულისხმევითაც.

* * *

როდის დაიწყო ქართული სტალინიად? თუ არ ვცდები, სტალინის დაბადებიდან 50 წლის თავზე, როცა 1929 წელს, ჟურნალ „ქართულ მწერლობაში" დაიბეჭდა ძველი რეეოლუციონერის მალაქია ტოროშელიძის წერილი, სადაც უკვე ძალუმად იგრძნობოდა მომავალი „ხალხთა მამის" კერპადქცევის ტენდენციები. ჟურნალის ამავე ნომერში გამოქვეყნებულია, აგრეთვე, სტალინისადმი მიძღვნილი ზღვარდაუდებლად სახოტბო ლექსები, რომელთა ავტორები არიან გიორგი ქუჩიშვილი, ნოე ზომლეთელი, ილო მოსაშვილი და სხვანი. აქედან წამოვიდა, აგორდა და სულ მალე წამლეკავ ზვავად იქცა „ბელადისადმი" მიძღვნილი სახოტბო პოეზია, რომელმაც მუჭში მოიქცია და სიქა გააბრო, ლამის

სული ამოხადა ქართულ ლექსს. ამ საქმეში, რაღა თქმა უნდა, არც პროზა ჩამორჩა, არც დრამატურგია, არც კინემატოგრაფი, მხატვრობა, ქანდაკება და ასე განსაჯეთ, მუსიკაც კი. ოდესმე, დარწმუნებული ვარ, ვრცლად დაიწერება ამ თემაზე, გაანალიზებული და წარმოჩენილი იქნება ის კონკრეტული იმპულსები, რაც შემოქმედ ადამიანებს აღძრავდა ხსენებულ პრობლემაზე სამუშაოდ და მაშინ დავინახავთ სულის შემძვრელ, ტრაგი-კომიკურ სურათს იმდროინდელი ყოფიერებისას.

მიხეილ ჯავახიშვილზე როცა ვსაუბრობდით, ვნახეთ, თუ რა ადგილი დაიჭირა მის შემოქმედებაში, კერძოდ კი რომანში „ქალის ტვირთი“, სტალინის თემამ და მიუხედავად იმისა, რომ მწერლის დამოკიდებულება „ბელადისადმი“ ერთნიშნად პანეგირიკული იყო, რა საჭალალო შედეგები მოუტანა მას ბიოგრაფიულად. ქვემორე კონსტანტინე გამსახურდიასთან დაკავშირებით აგრეთვე, ვნახავთ, რომ სტალინის თემამ, „ძლიერი პიროვნების“ საფანელით შემოთავაზებულმა, დიდი ადგილი დაიკავა მის „მთვარის მოტაცებასა“ და განსაკუთრებით „ბელადში“ და ამ ვითარებამ ალბათ უკანასკნელი როლი არ ითამაშა, რომ კ. გამსახურდია ფიზიკურ განადგურებას გადაურჩა. ერთი სიტყვით, ჯავახიშვილიცა და გამსახურდიაც (სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ), ერთმანეთს ასწრებენ სტალინის განდიდებაში, რაც სამწუხაროდ, სულაც არ მიუთითებს მათი მოქალაქეობრივი მრწამსის მდგრადობაზე, რამეთუ ვის ვის და, მათ ყველაზე უკეთ გაეგებოდათ პირადად სტალინის ვინაობისა და მისი რეჟიმის კოშმარული არსი.

სხვაა პოზიცია გრიგოლ რობაქიძისა: „ჩაკლულ სულში“ დიდი ადგილი აქვს დათმობილი სტალინის ფენომენს, ვითარცა საბჭოთა ყოფის, პროლეტარიატის დიქტატურის განუყოფელ ნაწილს. მწერალი იძლევა ამ პიროვნების, მისი შინაგანი ბუნების გასაოცრად ღრმა, მკაცრ, გარნა მართალ ანალიზს, წარმოაჩენს შემზარავ, თავზარდამცემ ანტიჰუმანიზმს ამ პიროვნებისას. მართალია, გრიგოლ რობაქიძე „ხელგახსნილი“ იყო „ჩაკლული სულის“ წერისას, კონიუნქტურის მწიკვლი ახლოსაც არ გაუკარებია, რაკიღა რომანი საბჭოეთის საზღვრებს მიღმა იწერებოდა, მაგრამ მხოლოდ ეს ვერ უშველიდა საქმეს, გრიგოლ რობაქიძეს უზარმაზარი ტალანტი და ჭვრეტის, ანალიზის ღვთით მომადლებული ნიჭი რომ არ ჰქონოდა. ვინ მოსთვლის, რამდენი რამ დაწერილა სტალინზე, მაგრამ ვეჭვობ, რომელიმე მათგანი ისე ზუსტად და ფართედ სწვდებოდეს საკითხის გულს, როგორც ეს გრიგოლ რობაქიძემ შეძლო. ამაში ალბათ იმანაც შეუწყო

ხელი, რომ ქართველზე მაინცდამაინც ქართველი წერდა, თანაც დიდი მწერალი.

თავში „სტალინის ჰოროსკოპი“, რობაქიძეს ერთი ასეთი ფრაზა აქვს: „სტალინს, უბრალოდ, სძულდა ინტელიგენტები“.

ეს ალბათ ის ფრაზაა, რომლითაც შეიძლება „სეზამის“ გაღება. სხვა რაღა უნდა ითქვას იმ ადამიანზე, რომელსაც უზარმაზარი ქვეყნის ბედიღბალი „კამათელივით“ უპყრია ხელთ და რასაც უნდა, იმას „გააგორებს?“ ინტელიგენცია, უპირველესად, რწმენაა, ჰუმანიზმია, ფიქრია, განსჯაა, წინასწარხედვაა, მოვლენათა გულისგულში წვდომის წყურვილია, განათლება და ინტელექტია, დოგმებში ეჭვის შეტანისა და ამ დოგმების ხუნდებად არ დადების უნარია... აბა, რატომ უნდა ჰყვარებოდა სტალინს ასეთი ადამიანი?

და სასაკლაომაც არ დააყოვნა!

„აკაშას ქრონიკაში“ გრიგოლ რობაქიძე შეკუმშული სახით იძლევა 30-იანი წლების დამდეგს ჩვენში გამეფებულ საზოგადოებრივი ატმოსფეროსა და პოლიტიკური ვითარების შესაშურ ანალიზს. მართლაც რომ გასაოცარია ავტორის უნარი სინამდვილის წვდომისა, იმ აებედითი ამბების წინათგრძნობისა, თუ წინასწარჭვრეტა, რაც შემდგომ, დიდი ტერორის ჟამს, დატრიალდება. თითქმის ყველაფერი, რაც დღეს ჩვენში იწერება გარდასული ხანის კრიტიკული განჩხრეკის შედეგად, შეკუმშულად უკვე განცხადებულია ამ თავში.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების დახასიათებას, ბუნებრივად მოსდევს იმ პიროვნების ანალიზი, ვინც ამ ვითარებასა და მის შესატყვის სისტემას განასახიერებს, მისი პერსონიფიკაცია, სიმბოლოა. გრიგოლ რობაქიძე თავისებურად ხსნის სტალინის ხასიათს, როგორც ადამიანისას და პოლიტიკური მოღვაწისას, რომელსაც სულ სხვაგვარად ესმის ჰუმანიზმის საკითხი, საერთოდ სიცოცხლის არსი. დაპირისპირება მწერალსა და სტალინს შორის

ეს არის დაპირისპირება სულიერ სიმაღლეებს მიწვდენილი ინტელიგენტი - პიროვნებისა და პროლეტარული იდეოლოგიის ძალადობით დამამკვიდრებელი ადამიანისა.

საგულისხმოა, რომ გრიგოლ რობაქიძე, ვინც ასე ჩახედულია ბოლშევიზმის არსში, სტალინს უწოდებს „ბოლშევიკად დაბადებულს“. მეტიც, იგი წერს: უწინ უყვარდათ თქმა, მავანი და მავანი წინარექრისტიანული ქრისტიანი იყოო. სტალინისთვისაც შეიძლებოდა ბოლშევიზმამდელი ბოლშევიკი გვეწოდებინაო. (ამ საკითხის ირგვლივ საინტერესო წერილი აქვს გამოქვეყნებული დ. ზატონსკის - „ზალოჟნიკი ზლა“ „მძევალნი ბოროტებისა“).

* * *

დასასრულ, გრიგოლ რობაქიძის ისტორიული პერსპექტივა, მისი ოპტიმიზმი, მკაცრი გამოცდის ჟამს, იმის რწმენას ემყარება, რომ ხალხი ღვთისგან განძარცვას ვერ გაუძლებს და ადრე თუ გვიან, ისევ ღმერთისაკენ იბრუნებს პირს. ეს აზრი რომანის პირველსავე თავში, განსაკუთრებით კი შემდგომ, „გპუ"-ს გამომძიებელთან თამაზ ენგურის დიალოგში, პირდაპირ არის გაცხადებული. წინასწარჭვრეტა გამართლდა, მწერლის ინტუიცია უცდომელი გამოდგა. რაც დღესდღეობით ჩვენს გარშემო ხდება, დასტურია ამისა. ოღონდ მწერლისათვის, რომელიც თავის რომანს ოცდაათიანი წლების დამდეგს ქმნიდა, ჩვენი დღევანდელი დღე შორეული პერსპექტივა გახლდათ. მანამდე კი მისი რომანის გმირს მკაცრი გამოცდა ელოდა. თამაზ ენგურს უნდა ეპოვნა ძალა, რათა ძნელბედობის ჟამს შეენარჩუნებინა საკუთარი პოზიცია, დაეცვა თავისი მეობა, სულიერი ავტონომია.

რომანის დასასრული დიდ შეჭირვებაში ჩავარდნილი, მარტოდშთენილი ადამიანის მდგომარეობას გვიჩვენებს. ადამიანისას, რომელსაც მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, მაინც შერჩენია მყარი ძალისხმევის უნარი, რათა უნუგეშობიდან და ტრაგიკული მარტოობიდან სულიერი განახლებისაკენ, რწმენის შენარჩუნება - აღორძინებისაკენ მიიღტვოდეს. მისტიური ხილვა, უზენაესთან ზიარების ექსტატიური აქტი, თამაზ ენგურს, ბუნებასთან პირისპირ განმარტოებულს, გულში უსახავს სიცოცხლისაკენ მყარად შემობრუნების იმედს, რამეთუ „შეშინებულმა ღმერთი იხილა" და სწორედ ეს ხილვაა გადარჩენის უცდომელი გარანტი.

დიახ, თამაზ ენგურმა, ბოლოს, იხილა ღმერთი!...

იგი იმ იშვიათ ინტელიგენტთაგანია ქართულ მწერლობაში, რომელსაც დიდ სინათლესთან და სიყვარულთან შენიევების ბედნიერება ხვდა წილად. მან ჯოჯოხეთის ცხრაეე გარსი გაიარა და გაბედულად აიღო გეზი მარადიული ნათლისაკენ. თუ რით დამთავრდა ეს სვლა, სხვა საკითხია, ამის თაობაზე, უკვე სხვა რომანში - „მცველნი გრაალისა", ვრცლად მსჯელობს გრიგოლ რობაქიძე.

დასასრულ:

რომ არ შექმნილიყო „ჩაკლული სული", ქართული მწერლობა სამუდამო ვალში აღმოჩნდებოდა მკითხველთა წინაშე, რამეთუ მისთვის უცნობი დარჩებოდა ბოლშევიკური წნეხის ქვეშ მოხვედრილი შემოქმედი ინტელიგენტის სულიერი დაცემისა და აღორძინების უტყუარი სურათი.

ამიტომაა „ჩაკლული სული" წარუვალი ღირებულების ქმნილება.

თავი მესამე

„მეღორე ცრემლებიყლაპია“

პაოლო იაშვილი (1894-1937) სულით-ხორცამდე ლირიკოსი პოეტი იყო და, ამდენად, ბუნებრივია, არც გაგვიჩნდება სურვილი მის შემოქმედებაში ინტელიგენტთა მხატვრული სახეების ძიებისა, მაგრამ თუ მაინც საჭიროდ ვცანი აქ მასზე ბაასი, ეს მოხდა შემდეგი მიზეზებისა გამო: ჯერ ერთი, პაოლო იაშვილის პოეზიის „ლირიკულ გმირად“ მხოლოდ და მხოლოდ ინტელიგენტი კაცი ივარაუდება - „პოეტი-დენდი“, დახვეწილი, კულტურული, ბრბოზე ამაღლებული, მეოცნებე (ადრინდელ შემოქმედებაში). მეორეც, თვით პაოლო იაშვილი, როგორც პიროვნება, თავისი მჩქეფარე მოღვაწეობითა და ტრაგიკული აღსასრულით, იყო უაღრესად საინტერესო მოვლენა XX საუკუნის ქართული კულტურის ისტორიაში და შეიძლება ითქვას, ერთგვარ მოდელადაც გამოდგება შემზარავ საბჭოთა წყობილების პირისპირ მდგომი ინტელიგენტისა. მან ყველა გზა მოსინჯა თანამედროვეობასთან ურთიერთობისა, მაგრამ როდესაც აშკარად დაინახა, რომ ეს გზები საბოლოოდ იყო მოჭრილი და, დღეს თუ ხვალ, განადგურება არ ასცდებოდა, დაასწრო მოვლენებს და საკუთარ თავს განაჩენი თვითონვე გამოუტანა, რითაც დაამტკიცა, რომ ჭეშმარიტი რაინდის თვისებები, მიუხედავად არაერთი მწარე შეცდომისა ცხოვრების გზაზე, ძალუმად ღვიოდა მასში.

„მაღალი საზოგადოების ბრწყინვალე ადამიანი, განათლებული ინტელიგენტი, საინტერესო მოსაუბრე, ნამდვილი ევროპელი, მზეჭაბუკი“, - ასე ახასიათებს ბორის პასტერნაკი პაოლო იაშვილს ავტობიოგრაფიულ წიგნში: „ადამიანები და გარემოებანი“. პაოლო იაშვილს, ქართული მოდერნიზმის ერთ-ერთ დამფუძნებელს, „ცისფერყანწელთა“ აღიარებულ მოთავეს, ყოფითი წვრილმანებისგან განრიდებულ კაცს.

აქვს გეროლტი ქიქოძეს ერთი მცირე მოცულობის ესსე პაოლო იაშვილზე, სადაც მისი შინაგანი ბუნება დიდი სიზუსტით არის დაჭერილი:

„მახსოვს, როგორ იდგა ერთხელ ქუჩაში, სახლის კედელს ზურგმიყრდნობილი, ხალათის ჯიბიდან მუჭა-მუჭა ახლადმიღებულ ქაღალდის ფულს იღებდა და თავის მეგობრებს აძლევდა

დაუთვლელად, თვითონ კი მუდამ უფულობას განიცდიდა. მას ეადვილებოდა ფულის შოვნა, მაგრამ კიდევ უფრო ეადვილებოდა დახარჯვა. უფრო ის ახსოვდა, ვისგან ისესხა, ვიდრე ის, თუ ვის ასესხა".

და იქვე:

„ახოვანი, შავგრემანი, გრუზათმიანი პაოლო იაშვილი, რომელიც ორი წლის პარიზში ყოფნის შემდეგ საქართველოში ბოდლერის, ვერლენის და რემბოს პოეზიის და მარინეტის ფუტურისტულ ესთეტიკის პროპაგანდისტად გამოვიდა, ყოველი ლიტერატურის სამკაულად გამოდგებოდა თავისი იმპროვიზაციული ლექსებითა და სიტყვებით" (გ. ქიქოძე, თანამედროვის ჩანაწერები, განთიადი, 1992, №1).

აქ მთელი პაოლო იაშვილი ინაკეთება, აუთანდილიეთ „ლაღი, უკადრი," კაცი და პოეტი, არაერთი შედევრის ავტორი, რომელიც ექსპრომტების უზადო ოსტატი იყო, ხოლო ყველაზე მეტად, ხალხით აზიმზიმებული კაფეები და ჭაღებით გაჩახჩახებული საბანკეტო დარბაზები უყვარდა. აქ იგი მართლაც რომ თავის სტიქიაში გრძნობდა თავს, საზოგადოების ნამდვილი სული და გული გახლდათ და შუშხუნა სადღეგრძელოებით ზეაღმტაც განწყობას იწვევდა.

პირად ცხოვრებაშიც თითქოს ბედნიერი იყო, ჰყავდა მოყვარული ცოლ-შვილი, გარს ეხვია მეგობართა წრე, რომელთა ლიდერად ითვლებოდა, არც პარტიასა და მთავრობისაგან აკლდა ყურადღება, აღიარებული კაცი გახლდათ, ორდენოსანი, ოფიციალურ ბანკეტებზე თამადად იყდა... ერთი სიტყვით, სულიერ შეჭირვებას განრიდებულ კაცად იცნობდა ყველა და იოლად წარმოსადგენია გაკვირვება და შეცბუნება, როცა 1937-ის ივლისში, მოულოდნელად გაიგეს: პაოლო იაშვილმა თავი მოიკლაო.

კი, მაგრამ რატომ? ეს კითხვა ახლაც შანთივით უბურღავს ტვინს ლიტერატორთა თაობებს. ბევრი ითქვა და დაიწერა ამ თემაზე, ალბათ მომავალშიც დაიწერება, მაგრამ სადღეისოდ, ჩემის აზრით, რამდენიმე ნაშრომი უნდა გამოიყოს განსაკუთრებით, რომელთაც პირველწყაროს მნიშვნელობა ენიჭებათ ამ ბნელითმოცული საქმის გარკვევაში. ესაა შალვა აფხაიძის „მახსოვს მარადის" (თბილისი, "მერანი", 1988 წ.), ირაკლი აბაშიძის მემუარულ-პუბლიცისტური წიგნი „ზარები ოცდაათიანი წლებიდან" („განთიადი", 1992 წ. № 1) და აუთანდილ ნიკოლეიშვილის „ტრაგიკულ დღეთა ექო" (მნათობი, 1992, №1). აქედან, ორი თვითმხილველთა მოგონებებია, ხოლო მომდევნოში - ჭარბად არის მოხმობილი უნიკალური საარქივო მასალა, რომელსაც ძვირფასი ღირებულება

აქვს იმდროინდელი ვითარების დოკუმენტურად აღდგენისათვის. ეს სამი ნაშრომი გარკვეულად ავსებს ერთმანეთს და მეც ფაქტოლოგიაში მეტ წილად, მათ ვეყრდნობი. აქვე შეიძლებოდა დასახელებულიყო ლალი ავალიანის მშვენიერი მონოგრაფია „პაოლო იაშვილი“ (1977 წ.), მაგრამ ამ წიგნში ლიტერატურულ-ისტორიულ საკითხებთან ერთად, პაოლო იაშვილის შემოქმედების სპეციფიური ასპექტებია განხილული და სწორედ ამიტომ, ჩემი ინტერესების სფეროში, ბუნებრივია, ვერ შემოვიდოდა.

* * *

ირაკლი აბაშიძეს, პაოლოსადმი მიძღვნილ ცნობილ ლექსში, აქვს ასეთი სტრიქონები: „ორ საქართველოს დაჯახების მოხვდი მიჯნაზე, ბრძოლა ფიცხელი ნახე ძველზე ახლის ჯობნების, შენ ორთავ ქვეყნის ტრფობა გეკრა გულისფიცარზე“... ხოლო პოეტის ლექსებისადმი დართულ წინასიტყვაში წერს:

„ქართველ მწერალთა შორის პაოლო იაშვილი პირველი დადგა რევოლუციური საბჭოთა პოეზიის პოზიციაზე. ის თანდათან განთავისუფლდა ცისფერყანწელური ტრადიციებიდან და გავიდა ქართულ საბჭოთა ლიტერატურის მაგისტრალურ გზაზე“ (პაოლო იაშვილი, ლექსები, პოემა, მოთხრობები, თარგმანები, „საბჭოთა მწერალი“, 1959, გვ. VIII).

დიახ, ეს ყოველივე მართლაც ასე იყო: პაოლო მართლაც მოესწრო ორი საქართველოს გზაგასაყარს: ერთი - თავისუფალი, დემოკრატიული ქვეყანა იყო, ხოლო მეორე რუსულ ხიშტზე დაფუძნებული ბოლშევიკური დიქტატურა. ჩვენ ახლა, დღევანდელი გადასახედიდან ვიცით, რა ბედენა და ხვითოც ბრძანდებოდა მარქსიზმის აღმსარებელი მენშევიკური ხელისუფლება, მაგრამ, ლენინ-სტალინ-ორჯონიკიძის სისხლიან რეჟიმს რომ ათასჯერ სჯობდა, ამას არ უნდა დიდი მიხვედრა! სწორედ ამიტომ იყო, რომ ივანე ჯავახიშვილი, 1921 წლის თებერვალში, უნივერსიტეტის წინ გამართულ მიტინგზე, სტუდენტებსა და მასწავლებლებს მგზნებარედ მოუწოდებდა სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩაედგეთ -რუსის ურდოებს წინ აღუდგეთო. ახალგაზრდობა იქვე შეიარაღდა და კოჯორ-ტაბახმელასკენ გაემართა, საიდანაც ცოცხალი არავინ დაბრუნებულა. ამ დროს, თბილისში რუსის ჯარს მოუძღოდა თეთრ ცხენზე ამხედრებული ქართველი კომისარი, რომელსაც თან სიკვდილის ჩონჩხი მოჰყვებოდა და გაძვალტყავებული ხელებით ნგრევის ცელი მოჰქონდა, ხოლო პაოლო აღტკინებული ლექსით შეხვდა ამ „საზეიმო“ ასაბიას. ლექსი 1921 წელს არის დაწერილი:

„აზიის კარო! ფერად ბაღებით, ლურჯი ცის თაღით ხარ დაფარული! ხარობს გმირული ბაირაღებით შენი წარსული ლეგენდარული! არ გაშინებდა ბილწი მონობა, მზემ მოგაფინა ოქროს ფარჩები. შენ არ გინდოდა სხვის პატრონობა, თავისუფალი მუდამ დარჩები. შენ ჯვაროსნობას ჩვენ ვეთანხმებით, შენი გმირობით ვართ ავსებული, მაშ, ავაფეთქოთ ახალ ნაღმებით ძველი ქვეყანა დახავსებული. მზად არის თოფი! მზად არის ხმალი! მტრებს ჩვენ ვეყოფით მარტო კბილებით! დავაგვირგვინოთ ჩვენ მომავალი წითელ რუსეთთან დაძმობილებით! აზიის კარო! ელავს ფერებით შენი გვირგვინი და სამკაული! მაშ, გადიხადე ბედნიერებით პირველ მაისის დღესასწაული! (პ. იაშვილი, რჩეული, გვ. 27).

(სხვათა შორის, ყველამ ვიცით პაოლო იაშვილის დიდი მეგობრის, კოლაუ ნადირაძის ლექსი, ამავე თემაზე დაწერილი, რისთვისაც, მოგვიანებით, კინაღამ ჯვარს აცვეს მოხუცი პოეტი: „წითელი დროშით, მოღერილ ყელით, თეთრ ცხენზე მჯდომი, ნაბიჯით ნელით, შემოდიოდა სიკვდილი ცელით“).

არ მინდა „მაგარი“ ნათქვამი გამომივიდეს, მაგრამ პაოლოს ლექსი უფრო პოეტური „აცუნდრუკების“ ნაყოფი მგონია, ვიდრე სერიოზული ფიქრისა და განსჯისა. წყდება ქვეყნის ბედი, ერი უფსკრულისაკენ მიექანება კატასტროფული სისწრაფით, პოეტი კი აღფრთოვანებული გაიძახის „ვაშას!“ საუბედუროდ, ასეთ „ცუნდრუკში“ ნამეტანი გაიწაფა ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენციის დიდი ნაწილი, როცა საბჭოთა დიქტატურამ მყარად მოიკიდა ფეხი, მაგრამ ეს ცოტა მოგვიანებით მოხდა.

საინტერესოა, მაინც რა „ძველი“ ქვეყნის აფეთქებას აპირებდა პაოლო? სულ რაღაც სამი წლის არსებობას რომ ითელიდა? რომელ მტრებზე იყო ლაპარაკი კბილებით დაგლეჯას რომ უპირებდა? საკუთარ თანამემამულეებს, ბოლშევიკურ ტირანიას რომ აღუდგნენ წინ? ვისთვის ჰქონდა მზად თოფი და ხმალი? ან წითელ რუსეთთან დაძმობილებით, რა ისეთი სახარბიელო მომავლის დაგვირგვინებას ჭვრეტდა? მხოლოდ ფერებში იყო, ვითომ, საქმე? განა დამპყრობელი დამპყრობელი არ ბრძანდებოდა წითელი იქნებოდა თუ თეთრი?

ალბათ გაუჭირდებოდა პაოლოს ამ „წყევლა-კრულვიან“ კითხვებზე პასუხის გაცემა. უნდა ითქვას, რომ ასეთმა აცეტებულმა ნაჩქარევობამ, შემდგომში, კარგი სამსახური ვერ გაუწია თვითონ პაოლოსავე და იქნებ სწორედ აქ ჩაითესა მისი პიროვნული ტრაგედიის პირველი შხამიანი მარცვალიც.

სხვათა შორის, თამარ წულუკიძის წიგნში „მხოლოდ ერთი სიცოცხლე“, ამოვიკითხე:

1921 წლის თებერვლის დღეებში, როცა დაცემული ტფილისი დაჭრილი მიმინოსავით ფართხალებდა რუსის ჩექმების ქვეშ, პაოლო, თეთრ ჩოხაში გამოწყობილი, თეთრ ცხენზე, დაქროდა ქალაქში და მოსახლეობას სიმშვიდისაკენ მოუწოდებდა, არწმუნებდა წინააღმდეგობის გაწევას აზრი არა აქვსო. არ ვიცი, ალბათ ხალხის დაშოშმინება მართლაც გონივრული გამოსავალი იყო მაშინ, ზედმეტი სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლად, მაგრამ აქ მთავარი ისაა, რომ პოეტის, ინტელიგენტის ალიანსი ბოროტ ძალასთან ნებსით თუ უნებლიედ, შედგა და, არამც თუ შედგა, გამძლეც გამოდგა, მთელი თექვსმეტი წელიწადი გაგრძელდა, 1937 წლამდე, ხოლო შედეგად, გარდა ტრაგიკული ფინალისა, არანაკლებ ტრაგიკული პრეცენდენტი დაგვანახა: ელვარე პოეტურმა ტალანტმა ნელნელა გაუფერულება იწყო და ჩაიფერფლა კიდეც.

ამის თაობაზე ჩვენ ქვემოთ გვექნება ბაასი.

მოგვიანებით, პაოლოსადმი მიძღვნილ ესსეში, შალვა აფხაიძე, (ერთგვარი ბოდიშით) დაწერს:

„უნდა გულწრფელად ვაღიაროთ, რომ, თუ პირველ ხანებში ჩვენი ახალგაზრდობის ნაწილი ვერ გაერკვა პოლიტიკურ ვითარებაში და მაშინდელ ხელისუფლებასთან (ე. ი. მენშევიკურთან - თ. მ.) კარგი ურთიერთობა ჰქონდა, რადგანაც მასში ეროვნული დამოუკიდებლობის დამცველს ხედავდა, შემდეგში პოლიტიკური ცხოვრების განვითარებამ ეს ახალგაზრდობა ბურანიდან გამოიყვანა და თანდათან ჩაუქრო რწმენა არსებული ხელისუფლებისადმი. იგი ახალი გზის ძიებას შეუდგა, გზებისა, რომლებმაც კომუნისტურ მსოფლმხედველობამდე მიიყვანა. თანდათანობით გარდაქმნის ეს პროცესი მშვენივრად აქვს ასახული ალ. ქუთათელს თავის რომანში „პირისპირ“, რომელშიაც მთელი ეპოქაა მოცემული და ამით არის ის ღირსშესანიშნავი მოვლენა ქართულ ლიტერატურაში“ (შ. აფხაიძე, მახსოვს მარადის, „მერანი“, 1988, გვ. 29).

საუბედუროდ, ფაქტი, რომ ახალგაზრდა ინტელიგენციამ „ზურგი აქცია ეროვნულ ხელისუფლებას და ახალი გზის ძიებას შეუდგა, გზებისა, რომელმაც კომუნისტურ მსოფლმხედველობამდე მიიყვანა“ იგი, სწორია! ამ დაბნეულობამ, ყოყმანმა, წაჯექ-უკუჯექობამ და სრულმა უპრინციპობამ, ნაყოფიც მალე გამოიღო, ხოლო რა შედეგამდეც მიგვიყვანა - საყოველთაოდ არის ცნობილი.

ალექსანდრე ქუთათელის „პირისპირზე“ კი დაბეჯითებით უნდა განვაცხადო: მიუხედავად იმისა, რომ წიგნში მართლაც მრავლად მოიპოვება მშვენივრად დახატული ყოფით-ჟანრული სურათები, ზუსტი დეტალები, კარგად გამოკვეთილი ხასიათები და სხვა, კონცეფციურად რომანი თავიდან ბოლომდე ყალბია და

ისტორიულ სინამდვილეს დამახინჯებულად, არსებული კონიუნქტურის მიხედვით გვაწოდებს. თავისთავად, ის პრიმიტიული თვალსაზრისი, რომ ყოველივე ბოლშევიკური „კარგია", ხოლო არაბოლშევიკური „ცუდი", მხოლოდ ბავშვს თუ დააჯერებს. ამჟამად მე არ მაქვს საშუალება საკითხზე ფართო მსჯელობისა, მაგრამ ვიტოვებ უფლებას, სხვაგან და სხვა დროს ვრცლად ვილაპარაკო.

ამასობაში დრო გადიოდა, საბჭოთა დიქტატურა ნაბიჯ-ნაბიჯ იკრებდა ღონეს, ძალადობით, დაშინებით, ხშირად ლიქნითაც, პოზიციებს იმაგრებდა და საქართველოს, განსაკუთრებით კი მისი ინტელიგენციის ბოლომდე დასათრგუნად ჭანგებს ილესავდა. ამ თვალსაზრისით, ბოლშევიკებისათვის პირდაპირ მისწრება იყო 1924 წლის აგვისტოში მის საწინააღმდეგოდ მოწყობილი აჯანყება, რომელიც გამცემლობისა, თუ ჩვეული ქართული დაუდევრობისა გამო, დათქმულ დროზე ადრე დაიწყო და მალე სრული მარცხით დამთავრდა. ბოლშევიკებმა ნანატრი მიზეზი იშოვნეს და როგორღა გაუშვებდნენ ხელიდან: მხეცური სისასტიკით გაუსწორდნენ, როგორც მეამბოხეებს, ისე მათ თანამგრძნობ მშვიდობიან მოსახლეობასაც. ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები ზოგი დაუნდობლად დახვრიტეს, ზოგიც ციხეში ჩაყარეს და არაადამიანური ტანჯვა-გვემით, უსიტყვო მონებად, მათი ნების ამსრულებლებად გაიხადეს.

1924 წლის შემდეგ, ინტელიგენცია დიდხანს ვეღარ გაიმართა წელში.

აღსანიშნავია, რომ იმ მძიმე ვითარებას შეეწირა პაოლოს ერთერთი ძმაც. გერონტი ქიქოძე, ამის თაობაზე მოკლე, მაგრამ საგულისხმო ცნობას გვაწვდის: „თავდაპირველად ის (ე. ი. პაოლო - თ. მ.) გულწრფელად მიემხრო საბჭოთა ხელისუფლებას, მაგრამ ოცდაოთხ წელს, ჭიათურაში, მისი ერთერთი ძმა დახვრიტეს აჯანყებაში მონაწილეობის მიღებისათვის და ამან დიდი გაორება გამოიწვია პაოლო იაშვილში" (გ. ქიქოძე, თანამედროვეის ჩანაწერები, მნათობი, 1992, №1).

ამ გაორებამ მართლაც საბედისწერო როლი ითამაშა პოეტის ცხოვრებაში: ბუნებრივია, ღვიძლი ძმის მხეცურ დახვრეტასთან შერიგება და შემდეგ, მისი „ხალხის მტრად" გამოცხადება, არ იქნებოდა იოლი გადასატანი, მაგრამ ამ ვითარებამ ხელი მაინც „ვერ შეუშალა" პოეტს, 1927 წელს საქართველოს ცაკის წევრობის კანდიდატი, ხოლო 1934-ში ამიერკავკასიის ცაკის წევრი გამხდარიყო. ამავე დროს, სახოტბო ლექსები ეწერა „განახლებულ საქართველოზე", „მზიურ სოციალიზმზე" და „კაცობრიობის ახალი

ისტორიის შემოქმედებზე" - ლენინზე და სტალინზე. აი, მაგალითად: „და ერთ დღეს თივის ქოხიდან მოვიდა კაცი დაბალი და ცეცხლით და ამბოხითა დასწვა ქვეყანა დამპალი". „ის გამოვიდა ოქროს თივიდან და ჩააბარა ხალხს გამარჯვება." „ამხანაგებო, ჩადგა წუთით ოქტომბრის ქარი, ვიმღეროთ ერთად, პოეტებო, მარში გლოვისა". „ვიცი, ჩინეთში მებადური ჩამოხეული, რომლის ცოლ-შვილი, დამშეული, ქუჩაში ჰყრია, ახლა აკერებს თავის ბადეს და სტირის ლენინს".

ეს, როგორც მიხვდით, ლენინზეა, ახლა სტალინზე:

„დღე აღარ არის, და არ უნდა ამას მტკიცება, რომ შენზე ფიქრმა არ დამფაროს ზეცის თაღივით, ამ ფიქრებისთვის მინდა ახლა ღარის მიცემა, რომ შენ დაგშვენდეს ოქტომბერის ბაირაღივით. კრემლი გაიხსნა, შენ გამოჩნდი რუხი მაზარით და რუხ მაზარას მიენიჭა ბრინჯაოს ძალი. დგახარ მაგარი, უტეხელი, უზარმაზარი, პარტიის მტრების დამმტვრეველო, პიტალო სტალინ!"

ბოლო სტრიქონი, მთელ ლექსს, საკმაოდ ვრცელს, რეფრენად მისდევს: „ლენინის შემდეგ პირველთაგან პირველო სტალინ!" „შენი სახელი ამ ყრილობას დაერქვას, სტალინ!" და ასე შემდეგ...

სადღაა „ცისფერ ყანწების" დროინდელი პაოლო იაშვილი, „ამპარტავანი და ყოველთვის პირგაპარსული, ბუნებით შავი, ხელოვნურად გათეთრებული", ან: „ხალხის წინაშე მე ვიქნები მუდამ მართალი. შევხარი მზესა, ვეტრფი მთვარის ყვითელ ხაერდსა და რუსთაველთან გადავდივარ მე ალავერდსაო", რომ წერს. „ყვითელი დანტე მომეწყინაო", „შექსპირის უარიო", „ბეთჰოვენი ჩემთვის ყრუ არიო", „უკვდაება მელანდებაო"...

წავიდა, გაჰქრა, ჩაიფერფლა ელვარე, კაშკაშა ლექსების უბადლო ავტორი, ლექსებისა, სამუდამოდ რომ დარჩებიან ქართული პოეზიის ოქროს ფონდში (რომელი ერთი უნდა ჩამოთვალოს კაცმა!) და მათ ნაცვლად კონვეიერულ სისწრაფით იწყო დინება „ბედნიერი ცხოვრების" მაქებარმა სტანდარტულმა ლექსებმა, სადაც არცთუ იშვიათად შევხვდებით ასეთ სტრიქონებს: „გუშინ განა მიწა იყო ეს მოლიანი ბარდი? ვინ ნახა და ვინ წაიღო ამ ბუნების დარდი". „წინ სურათი ჰკიდია, ქვეშ სტალინი წერია, აღმშენებელს შევხარით და ეზოში გავედით", „ეს ლენინის ამაგით დადგენილი ცხოვრება და მის სადიდებლად გაჩენილი სოფელი", „რა წითელი მდინარეა, რომ მოსცურავს გაღმა, ეს ბავშვები ვინ არიან, რომ მღერიან თანხმად", „მზე და სამშობლო გაწვდიან საშველს, შენ კოლოები ველარ დაგღლიან", „ფორთოხლის სუნი უდის შენს ბავშვებს და შენი ეზოც ოქროს ბაღია", „დაქალებს, წითელ

თავსაფრიანებს, როგორ უხდებათ მწკრივებში დგომა, მაღლა წითელი დროშა ფრიალებს, რომ გაანათოს კოლხიდის შრომა“, „შორს, ბოლოში რომ ანთია მშობლიური დროშა, ეს ახალი ყორათია, ეს სოფელი მოჩანს“, „გადაიხსნის მწვანე მანდილს ნერგი გულ-მკერდღია, ვეხები და ვისმენ ნამდვილ ოქროების წკრიალს“, „ნაპირიდან ვნახე გუშინ შურდულივით მომავალი, შემოვიდა ნავსადგურში მშობლიური თბომავალი“, „აქ კოლხიდის შრომა მოჩანს, ხელჩართული და მედგარი, აქ კუთხეში ბრწყინავს დროშა, წითელ ფარჩის სვეტად მდგარი“.

ბოლოს, პოეტი თავისთავს მიმართავს:

„თექვსმეტი წელი შენთვის გავიდა, როგორც ნანატრი მშვიდობის ხანა, იწყე ცხოვრება ისევ თავიდან, ლხინზე გეძახის ჩვენი ქვეყანა“.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს ლექსი 1937 წელსაა დაწერილი, მაშინ „თექვსმეტი წელი“ 1921 წლიდან არის ათვლილი და რატომ „ეძახის ლხინზე ჩვენი ქვეყანა“ პოეტს, საკმაოდ გასაგები გახდება.

საბედნიეროდ, ამ პერიოდშიც (1921-1937) გვხვდება, აქა-იქ, რიგიანი ლექსები, მაგრამ მათი რაოდენობა მაინც უფრო ადრეულ პერიოდზე მოდის (1924), ამის შემდეგ კი, განსაკუთრებით სანუგეშო, სამწუხაროდ არაფერია.

ცალკე უნდა აღინიშნოს ლექსი „ანდრე ჟიდს - მოღალატეს“ (1936), სადაც მსოფლიო სახელის მწერალი, ნობელიანტი, გახმაურებული რომანის „ყალბი ფულის მჭრელების“ ავტორი, წყევლა-კრულვით იხსენიება მხოლოდ იმიტომ, რომ მან, საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შემდეგ, საფრანგეთში დაბრუნებულმა, დაწერა წიგნი, სადაც დაუნდობლად ამხილა ის სიყალბე და თვალთმაქცობა, რაც ამ ქვეყანაში ნახა. მთელს მსოფლიოს გადაუშალა სიდუხჭირე და სიბეჩავე სახელმწიფოსი, რომელიც „ძლევამოსილ სოციალიზმს“ კი აშენებდა, მაგრამ საპირფარეშოებისა და ბაღლინჯოების საკითხი ვერ მოუგვარებია. ქვეყანა,სადაც კრემლის მოპირდაპირე უნივერმაღის კედელზე უზარმაზარი ტილო იყო გამოსახული მისკენ მიშვერილი თითით, ხოლო ქვეშ დიდი ასოებით, სვებედნიერ მშრომელთა საყურადღებოდ, მიწერილი ჰქონდა: „აი, შენი მტერი!“

დიახ, ეს ყოველივე არ დამალა ანდრე ჟიდმა. ან კი რატომ უნდა დაემალა? იმიტომ ხომ არა, რომ ჩვენმა მწერლებმა საქართველო დაატარეს, წითელი ღვინო ასვეს და შიშხინა მწვადები აჭამეს? ამის მიუხედავად, ანდრე ჟიდის ფხიზელ თვალს არ გამოჰპარვია ჩვენში „აშენებული“ სოციალიზმის უბადრუკობა და

თაეის ზნეობრივ ვალდებულებად ჩათვალა ხმამაღლა განეცხადებინა ამის თაობაზე. ოო, რა ღრიანცელი ატეხეს „სოციალისტური სამოთხის“ „მწერლუკანებმა!“ და რაოდენ დასანანია, რომ ამ საყოველთაო, ველურ ისტორიაში, პაოლოს საშინელი წყეელაც გაისმა:

„ჩვენი ჰაერი შეგერგოს ცეცხლად, შხამად შეგერგოს ეგ უზრდელობა, გახსოეს ის კაცი, ოცდაათ ვერცხლად რომ წამოიწყო შენი ხელობა? შენ მისი ლანდი არ მოგცემს საშველს, გულს დაბერებულს, აგიესებს შხამით, დღეს ის კაცი ხარ, მადრიდის ბავშვებს რომ ანადგურებთ დღისით და ღამით. ვერაგ, პირშავი ტროცკის ფინია, თაეის ბატონს რომ ადევნებია, ნულარც სიამით დაგიძინია, ნურც სიხარულით გაგთენებია. იწყე, ყორნების შავო მგოსანო, მიხვალ ჰიტლერის ღია კარამდის, იმის ბანდებში-პატიოსანო, ჩვენთვის წყეულო აწ და მარადის!“

მე არ ვიცი, ამაზე უარესი რაღა უნდა დაწეროს პოეტის ხელმა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ,რომ საიმდროოდ უკვე გამოქვეყნებული იყო „არავითარი დანდობა კლასობრივ მტერს“ (იხ. ამ ნაშრომის მეორე თავი), სადაც ყოფილი უახლოესი მეგობარი, გრიგოლ რობაქიძე, დაახლოებით ასეთივე უკადრისი სიტყვებით არის გაკიცხული, მაშინ საოცარი სწორედ არაფერი იქნება.

ერთი შეხედვით, იქნებ გაგვიკვირდეს კიდეც: რატომ, რისთვის ამნაირი გააფთრება? ვითომ ასეთი გულუბრყვილო იყო ძმადახვრეტილი პაოლო იაშვილი, რომ ვერ ხედავდა, ბოლშევიკების სახით რა ბოროტ ძალასთან ჰქონდა საქმე? ვერ ხედავდა სისხლის მდინარეებს, მილიონობით ჩაკლულ სულს, ჰუმანიზმის ძირფესვიან კრახს, ძალადობის, შიშისა და სიცრუის არნახულ აღზევებას? ანდა, აღარ ახსოვდა ბრძენთაბრძენი მარკუს აერელიუსის შეგონება:

„არ შეიძლება ძალადობით განაახლო სამყარო და დაამყარო სრულქმნილი წესრიგი, რადგან არცერთ მბრძანებელს არა აქვს კაცთა აზრებსა და გრძნობებზე მბრძანებლობის უფლება.“

ყველაფერს ხედავდა და ყველაფერი ახსოვდა, რაღა თქმა უნდა, და რომ ეს მართლაც ასეა, მოწმობს ლექსი „მეღორის სიმღერა“ (1933წ.), რომელიც მკაფიო დასტურია პაოლო იაშვილის ტრაგიკული სულიერი შეჭირვებისა. აღსანიშნავია, რომ ლექსი ავტორის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა, ინახებოდა კოლაუ ნადირაძის პირად არქივში და დღის სინათლე იხილა მხოლოდ 1959 წელს გამოცემულ კრებულში, რაც თავისთავად, უკვე მრავალ რამეზე მეტყველებს.

აი, ეს ლექსიც:

„უფალო! უსმინე შევარდენს, მის ხელით გიგზავნი ბარათს,

მიშველე ღორებში ჩავარდნილს, ღორებში ჩავარდნილს მარად! როგორც რომ ბურვაკი კალოზე, მინდორში ბაწრით აბია, მარტო ვარ, უფალო, დალოცე, მელორე ცრემლებიყლაპია! უფალო, მომეცი სამხარი, ძაღლივით ამოსულს ცაზე და შენი პერანგი ნახმარი, ჩამაცვი ცოდვიან ტანზე! მომეცი ბავშვებში ჩარევის და მათთან თამაშის ნება, უფალო! შენს გარდა არავის არა აქვს ამის უფლება. ფიქრები სამწყემსო ღორებზე ყოველდღე ცრემლებით მსჯიდა, უფალო! გალავნის ყორეზე დამნიშნე ბელურა ჩიტად“.

თუ ამ ლექსს დაკვირვებით წავიკითხავთ და საქართველოს იმდროინდელი ვითარების კონტექსტში მოვიაზრებთ, ჩვენს წინაშე გაიხსნება სულისშემძვრელი ტრაგედია პოეტისა, რომელსაც „წყეულმა ბედმა“ სამუდამოდ „ღორებში“ ყოფნა მიუსაჯა, ესე იგი იმ ადამიანებში, მხოლოდ სახე რომ შერჩენიათ კაცისა, სინამდვილეში კი ღორები არიან. თანაც, ამ „ღორებიდან“ თავის დაღწევის არავითარი პერსპექტივა არა ჩანს, ყველაფერი მხოლოდ უფლის ნებაზეა დამოკიდებული. გაწამებული, მარტოსული პოეტი, მწუხარე კურცხლების ყლაპვით ევედრება უფალს ცოდვილი ვარ და შენი ნახმარი კვართის ჩაცმის, ე. ი. შენთან ზიარების ღირსი გამხადეო, ბავშვური სიწმინდე და სულის სიჩვილე დამიბრუნეო, თუნდაც საყდრის ჩიტად მამყოფეო, ღმერთო.

ცხადია, ამ ლექსის არამცთუ დაბეჭდვა, უბრალოდ, გამოჩენაც არ შეიძლებოდა, საიმდროო „ბოლშევიკური იდეურობის“ ვითარებაში.

ახლოვდებოდა საბედისწერო 1937.

მანამდე, 1934 წელს, გაიმართა საბჭოთა მწერლების პირველი ყრილობა, რომელსაც მთელი მსოფლიოს ლიტერატორები ესწრებოდნენ. ყრილობაზე პაოლო მშვენიერი სიტყვით გამოვიდა. ვინც ამ ყრილობის სტენოგრამებს გაეცნობა, დამეთანხმება, რომ არცერთ გამოსვლას, თვით მოხსენებებსაც კი, არ გამოუწვევია იმდენი ტაში და აღტაცება, რაც პაოლო იაშვილის პატარა სიტყვას ხვდა წილად.

უნდა ისიც ითქვას, რომ არცერთ ქართველ პოეტს არ რგებია იმდენი სიყვარული და აღტაცება, რომლითაც პაოლოს პიროვნების მიმართ იყვნენ გამსჭვალულნი XX საუკუნის მთელი რიგი გამოჩენილი მოღვაწენი და მხატვრები უცხოეთში, რუსეთში, უკრაინაში, სომხეთში.

ყველა იმ ადამიანთა მოწმობით, ვისაც ერთხელ მაინც ჰქონია მასთან სიახლოვე, - პაოლო იაშვილი უხვად, უშურველად, უზომოდ აფრქვევდა თავის გარშემო ძვირფას რითმებს, კაშკაშა პოეტურ სახეებს, მომხიბვლელ ღიმილს, მეგობრულ სითბოს,

რაინდულ გულისთქმას, გონებამახვილობასა და ენამზეობას, იმ იშვიათ მადლს, რითაც ბუნებამ ასე მრავალმხრივ დააჯილდოვა იგი.

უაღრესად ფართო იყო მისი ნაცნობ-მეგობრების წრე და მხოლოდ შემოქმედ ადამიანებს კი არ მოიცავდა, არამედ მსხვილ პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეებსაც. მათთან ხშირი ურთიერთობა, თანამესუფრეობა, პათეტიკური სადღეგრძელოები, სადაც, ასე გადმოგვცემენ, თვით ბერიას მიმართ ენაკვიმატობაც დასაშვებად ითვლებოდა, შემდგომში, ძალიან ძვირად დაუჯდა პაოლო იაშვილს. ბერიამ ხომ ყველაფერი იცოდა, ისიც კი, თუ „რას ჩურჩულებდნენ წყვილები ლოგინში" (გ. ქიქოძე) და, ცხადია, ეს არ გამოეპარებოდა. ხოლო როცა პარტიამ, „ლენინურ-სტალინური სიფხიზლის" წყალობით, მოახერხა იმდროინდელი სახელმწიფო მოღვაწეების ჯიქიას, ელიავას, ლომინაძის, აღნიაშვილის, ღოღობერიძის ვითარცა „ხალხის მტრების გამომჟღავნება", მალე იმათი ჯერიც დადგა, ვინც ამ „მავნებელთა" წრეში ტრიალებდა.

და აი, დაიწყო პაოლო იაშვილის მიზანდასახული, მეთოდური წამება, რასაც ტონი მისცა ლ. ბერიას გამოსვლამ საქართველოს კპ მეათე ყრილობაზე. პოეტის „მტრული მოღვაწეობა" ასე შეაფასა:

„პაოლო იაშვილმა, რომელიც უკვე ორმოცი წლისაა, დროა ჭკუა ისწავლოს. სიკეთე არ მოყვება მის ნაყარდს ლომინაძიდან ჯიქიასკენ, ჯიქიადან აღნიაშვილისაკენ, ღოღობერიძიდან ლომინაძისაკენ და ბოლოს, ელიავას კლანჭებში. ზედმეტი არ იქნება, სერიოზულად ჩაუფიქრდნენ თავის მოქმედებას, აგრეთვე, გამსახურდია, ჯავახიშვილი, შევარდნაძე და ზოგიერთები".

ბერიას ეს განცხადება ამკარა მითითება იყო მწერალთა კავშირისათვის, ვის სამხილებლად უნდა გაეჩაღებინათ იდეოლოგიური მუშაობა. თუმცა, რაღა იყო გამოსაძიებელი! რაკიღა ყოლისშემძლე პარტიული ლიდერი ასე ამბობდა, სხვა აზრი გამორიცხული გახლდათ. დრო რატომ უნდა დაიკარგოს? რაც მეტ ხანს აფარფაშებ ხალხის მტერს, ვნებასაც მეტს მოიტანს!

განსაკუთრებით აქტიურობდნენ პროლეტარული მწერლები, პარტიული პოლიტიკის ეს ყველაზე ერთგული დამცველნი და მეხოტბენი, თავად უნიჭონი და ამის გამო, სხვათა ნიჭიერებით გაბოროტებულნი.

ერთერთ სხდომაზე, მწერალთა პრეზიდიუმის წევრების წინაშე გამოსული პაოლო იაშვილი ცდილობს წარმოაჩინოს თავისი დამსახურება საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, დაუმტკიცოს გაალმასებულ ოპონენტებს, რომ ქვეყნის ერთგულია და ღალატი არასოდეს გაუვლია გულში, მაგრამ მის არგუმენტებს აღარც კი

უსმენენ, რადგან შეუძლებელია ენდო კაცს - ბერიასაგან შერისხულს.

თავი აქაც გამოიჩინა და, პირველად კონსტანტინე ლორთქიფანიძემ დასდო ბრალი არაგულწრფელობაში, გვატყუებ, ნილაბს არ იხსნი, დანაშაულს არ ინანიებო. ლორთქიფანიძეს მელაძემ აუბა მხარი, მალე სხვებმაც ამოიდგეს ენა და გაიმართა „პრინციპული" კამათი, რასაც პაოლო იაშვილის დასამარება ჰქონდა მიზნად.

პოეტის სულიერ შეჭირვებას კიდევ უფრო ამძიმებდა ის ვითარება, რომ „მამხილებელთა" შორის ძველი მეგობრებიც გამოჩნდებოდნენ ხოლმე. ხელისუფლებამ, რომლის მთავარი იარაღი ურთიერთშორის შუღლისა და უნდობლობის ჩამოგდება იყო, მოასწრო ძმათა ურთიერთგადაკიდება.

მაგალითად „ცისფერყანწელთა" ყოფილმა უახლოესმა მეგობარმა, ალი არსენიშვილმა, პაოლო იაშვილს ბრალი დასდო, რომ იგი ხსენებული „ბანდის" წევრთა თანამოაზრე იყო. მეტი თავზარი რაღა უნდა დასცემოდა, ისედაც კედელთან მიმწყდეულ პოეტს?! ეს ის ალი არსენიშვილი გახლავთ, რომელსაც ტიციან ტაბიძემ ბრწყინვალე ლექსი „ილაიალი" უძღვნა, ხოლო პაოლომ ასეთი სტრიქონებით შეამკო: „და ტოგამოხსნილს მაინც დაგშვენდა შენ რეტიანი ლექსით ბარბაცი, და მოდიოდი, ძვირფასო ჩვენთან, ვით ლოენგრინი და ჯარისკაცი... უცბად გამოჩდა იროდის ტახტი და სალომეას მოგესმა ფიცი, მერმე უეცარ მოწამედ გახდი, როგორ კვდებოდა დანიის პრინცი"...

მეტი იმედგაცრუება რაღა გინდა!

ამჟამად, ცხადია, ძნელია რაიმეს კატეგორიული მტკიცება, მაგრამ პაოლო იაშვილის თვითმკვლელობის მიზეზი რომ ეს უსაშველო იმედგაცრუებაც იყო, ეჭვი არ მეპარება. მარტოდმარტო უწევდა ბრძოლა კანიბალებთან, მის თვალწინ ხდებოდა დიდებული ტრადიციების მქონე ქართული ლიტერატურის პროფანირება, ღირებულებათა დევალვაცია, სრულიად აშკარა შეიქნა საბჭოთა დიქტატურის მახინჯი არსი, დიქტატურისა, რომლის დამყარებასა და განმტკიცებას, ასე თუ ისე, მანაც შეუწყო ხელი... რაღა აზრი ჰქონდა სიცოცხლეს? მაგრამ, როგორც იტყვიან, სული მაინც ტკბილია და პაოლოც იბრძვის გადარჩენისათვის, ყველა შესაძლო ხერხით.

იწყება არსმენილი, უმაგალითო თვითგვემა, თვითმხილება, რაც პუნქტებად აქვს ჩამოყალიბებული.

„1. მე უთუოდ ვიყავი დაკავშირებული ხალხის მტრებთან. არ ვიცოდი მათი ფარული ზრახვები. ვერ გამოვიჩინე მოქალაქეობრივი გამბედაობა, სიფხიზლე.

2. მე ვგმობ ჩემს კავშირს ხალხის მტრებთან, ვადასტურებ, რომ ამ ურთიერთობამ მე ჩამომაცილა მწერლობას, წამიყვანა მრუდე გზით და უფსკრულის პირას მიმიყვანა.

3. მე საკუთარი ეიღებ ამხ. ლ. ბერიას მთავარ გაფრთხილებას, ვსარგებლობ მითი, რომ პარტია და ხელისუფლება საშუალებას გვაძლევს გარდაქმნისათვის.

4. ამიერიდან, ჩემს საკუთარ თავზეა დამოკიდებული, ჩემ მუშაობაზე და საქციელზეა დამოკიდებული, თუ როგორ მომეპყრობა მე საბჭოთა საზოგადოება".

მაგრამ არ გაჭრა თვითმამხილებელმა სიტყვამ და მონანიებამ, შედეგი არ მოიტანა, დღითიდღე იძაბებოდა სიტუაცია და ახლოვდებოდა ტრაგიკული აღსასრული. დაახლოებით ამ დროსაა დაწერილი ლექსი „წერილი კოლაუ ნადირაძეს", რომელიც მოსკოვში დროებით მყოფ პოეტს გამოუგზავნია მეგობრისათვის. სულის მომწყვლელია ლექსის სასოწარკვეთილი ტონალობა:

„მაგრამ სიჭრელე და გაორება აქ ჩრდილოეთში ერთობ მეტია, მეც მომიძებნეს მკერდი ქორებმა, გულში ვგრძნობ იმათ ნისკარტს წვეტიანს, სიცივე ჩადგა ყინვის ტბორებად, ოთახის კარი ჩამიკეტია... ვკითხულობ შოთას, ვაჟას და საბას და ვერ მშველიან მათი წიგნებიც, ვწვები... თავამდე ვიხურავ საბანს, მესმის: „მარტო ხარ, მარტოც იქნები!"... და ასე ღამეს მიჰყვება ღამე და მოდის დილა საღამოს მსგავსი"...

ეს ლექსიც, „მეღორის სიმღერისა" არ იყოს, გასაგები მიზეზებისა გამო, ავტორის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა. არადა, სწორედ იგი გადმოსცემს პაოლო იაშვილის დაღუპვის წინა განწყობილებას. მაგრამ სიკვდილამდე კიდევ ელოდა სამსალით საესე ფიალის დაცლა:

„ამხ. ბერია მოითხოვს ჩემი ძველი საქმეების დაგმობას და გარდაქმნას. მე მაქვს სურვილი, შესაძლებლობა ამ გარდაქმნის. არ გაიცლის ერთი წელიწადი და როგორც ის, ისე ჩვენი მწერალთა კავშირი დარწმუნდება, რომ ამ წლის ბოლომდე მე შევასრულებ ყველა ვალდებულებას, რომელიც ჩემ თავზე ამიღია და თქვენ ყველანი იქნებით მოწმენი, რომ მომავალ წელიწადს მე შევხვდები სრულებით განწმენდილი, როგორც ცხოვრებით, ისე შემოქმედებითი შეცდომებისაგან," - ხმამაღლა აცხადებს იგი ტრიბუნიდან, მაგრამ არც ამან უშველა. „მეგობარი" მწერლები დაჟინებით ასწავლიან ჭკუას „შეცდომების" ხლართებში გზადაბნეულ პაოლოს, ჯიუტად თხოვენ არარსებული დანაშაულის აღიარებას. პოეტს დღითიდღე მოერია სასოწარკვეთა, განმარტოდა, ხავერდოვან თვალებში მძიმე სევდა ჩაუდგა.

„1937 წლის ზაფხულში ის ხშირად თავისი ბინის ლოჯიაში ჯდებოდა ჯაფარიძის ქუჩაზე და ნაღვლიანად გასცქეროდა მახათის მთის გოლგოთას. ხანდახან ბოტანიკურ ბაღში ადიოდა და ცდილობდა აფორიაქებული სული დაეშოშმინებინა თითქმის ჩამშრალი ჩანჩქერის პირას“, იგონებს გერონტი ქიქოძე.

იგი ახლა მხოლოდ ბედის ანაბარა იყო ამ უსაზღვრო ცისქვეშეთში და ყოველი წუთი აახლოვებდა კატასტროფასთან. სწორედ ბედისწერამ დააყენა გარდაუვალი ბედისწერის წინაშე: ან მორჩილად დალოდებოდა უმკაცრეს განაჩენს და თავი კაციჭამიების საჯიჯგნი გაეხადა, ანდა ნიშნად პროტესტისა, დაესწრო მათთვის...

პაოლომ მეორე გზა აირჩია.

ქეთევან ჯავახიშვილის ჩვენთვის უკვე ცნობილი წიგნიდან: „მწერალთა კავშირში სხდომა მიმდინარეობდა და ისევ და ისევ „ხალხის მოღალატე მწერლების“ საკითხს იხილავდნენ. კრება დაწყებული იყო, როცა პაოლო დარბაზში შევიდა. მოუნახავს თავისუფალი ადგილი მამას გვერდით და სკამზე ჩამომჯდარა. მამას მისთვის ჩუმად გადაულაპარაკნია, რა იყო, რა გითხრა ბერიამო? პაოლოს უპასუხნია: საიმისო არაფერიო. ცოტა ხნის შემდეგ კი უთქვამს: მალე დაგიმტკიცებთ, არც ისეთი ცუდი კაცი ვარ, თქვენ რომ გგონიათო. მამა ვერ მიხვდა პაოლოს ნათქვამს, მაგრამ აღარ ჩაეკითხა, ხოლო პაოლო ადგა და დარბაზიდან გავიდა. სხდომას დავით დემეტრაძე თავმჯდომარეობდა. მცირე ხანიც და, ზემო სართულიდან თოფის გრიალი მოისმა. კრება აიშალა, შეშინებული ხალხი კიბეებს მიაწყდა. მამაც გაჰყვა მათ. შემზარავი სურათი გადაეშალათ თვალწინ. პატარა დერეფანში, პაოლო სისხლში მოსვრილი გაშხლართულიყო. ხალხი შეძრწუნებული, გაქვავებული იდგა... და ამ სამარისებურ სიჩუმეში, უცებ დემეტრაძის ხმა გაისმა:

ამხანაგებო, ისეთი არაფერი მომხდარა, წავიდეთ, კრება გავაგრძელოთ!“

ირაკლი აბაშიძე, უშუალო მხილველი ამ ვითარებისა:

„კრებაზე ცოტა დაგვიანებით მივედით. დარბაზი მაინცდამაინც გატენილი არ იყო. კრებას მხოლოდ მწერლები ესწრებოდნენ. იხილებოდა პოლიტიკური „სიფხიზლის“ საკითხი. სამარისებური სიჩუმით უსმენდნენ მწერლები ხელისუფლების წარმომადგენელს ტრიბუნაზე.

პაოლო ერთ ხანს ნერვიულად იჯდა, მერე დარბაზიდან გავიდა. კრებაც დიდი ხნის დაწყებული არ იყო, ამ სამარისებურ სიჩუმეში, უცებ გაისმა ჯოჯოხეთური ქუხილი.

ყველანი თავგზააბნეული წამოვცვივდით. რა მოხდა? აფეთქება? მაგრამ სად? რისი? და ამ დროს, მეორე სართულიდან ჩამორბის დამლაგებელი ქალი, წივილ-კივილით: იაშვილი! იაშვილი!

სულ ხუთიოდე წუთში გაჩნდნენ ჩეკას წარმომადგენლები და სასახლის კარებიც დაიკეტა. ისევ სამარისებული სიჩუმე, ახლა უფრო მეტი. ახლა უფრო სამარისებული. მხოლოდ ერთხელ გაისმა მიხეილ ჯავახიშვილის დაგუბებული ხმა: „ნამდვილი ვაჟკაცი ყოფილა, გეთაყვა!“

და კიდევ, ფრიად საგულისხმო დეტალი, თვითმხილველისაგან ნაამბობი:

ერთ „პროლეტარულ“ მწერალს, საკოლმეურნეო მოძრაობის დაუცხრომელ მეხოტბეს, რომელიც სოციალისტური შრომის გმირად გაეცალა ამ ქვეყანას, ფეხსაცმლის ჭვინტი წაუკრავს მიცვალებულისათვის და ზიზღით უთქვამს: „სიამოვნებით დავლევდი სისხლს ამ თავის ქალიდან“.

პარტიულმა ოფიციოზმა ასეთი შეფასება მისცა პოეტის საქციელს:

„პაოლო იაშვილი მჭიდროდ იყო დაკავშირებული საბჭოთა ხალხის მოსისხლე მტრებთან-ტროცკისტ-ბუხარინელ- ბანდიტებთან და უშუალოდ მონაწილეობდა მათს დივერსანტულ-მავნებლურ მუშაობაში სისხლიანი ფაშიზმის სასარგებლოდ.

და როდესაც მისი მავნებლურ-მოღალატური მუშაობა ურყევი ფაქტებით საბოლოოდ გამომჟღავნებულ იქნა, მან მოინდომა გაქცეოდა საბჭოთა ხალხის რისხვას და პროლეტარულ მართლმსაჯულებას. მისი თვითმკელელობა მწერალთა სასახლეში, მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომის მიმდინარეობის დროს, წარმოადგენს პროვოკაციულ აქტს, რომელიც ზიზღსა და აღშფოთებას იწვევს ყოველ პატიოსან საბჭოთა მწერლის შეგნებაში.

ქართული საბჭოთა მწერლობა მთელის სიმკაცრით ჰკიცხავს და ჰგმობს პაოლო იაშვილის მოღალატურ მუშაობას და მის სახელს განუსაზღვრელი ზიზღით მოიხსენიებს ჩვენი სამშობლოს ყველა გარეწარ მოღალატეთა და გამყიდველთა სახელებთან ერთად“.

კითხულობ ამ მოწამლულ სტრიქონებს და ძალაუნებურად გაგონდება 1935 წელს „მნათობის“ ფურცლებზე გაკეთებული განცხადება: „არავითარი დანდობა კლასობრივ მტერს“, რობაქიძის წინააღმდეგ მიმართული.

აი, სწორედ ამაზე თუა ნათქვამი, ისტორია მეორდებაო!

პაოლო იაშვილის მიერ ტოტალური უსამართლობისათვის ნასროლი ეს საპროტესტო ტყვია, გამოუვალ მდგომარეობაში მოქცეული ინტელიგენტი კაცის უკანასკნელ გაბრძოლებად უნდა

მივიჩნიოთ. რაინდად დაბადებულმა პოეტმა, ვინც საბჭოთა დიქტატურის მზაკვრულმა იდეოლოგიამ, ბოლო ხანს, კომპრომისების მოლიპული გზებითაც ატარა, ამ გასროლით ერთბაშად გამოისყიდა ყოველგვარი კომპრომისი და კონიუნქტურა, რაც ცხოვრების ბოლო წლებში ჰქონდა დაშვებული. ეს საბედისწერო გასროლა, პირველ ყოელისა, სწორედ ზნეობრივი და მოქალაქეობრივი სიწმინდის გადარჩენისათვის გადადგმული უკანასკნელი ნაბიჯი იყო.

წავიდა ამ ცოდვილი მიწიდან „მეღორე ცრემლებიყლაპია“, „მაღალი საზოგადოების ბრწყინვალე ადამიანი, ღრმად განათლებული ინტელიგენტი, საინტერესო მოსაუბრე, ნამდვილი ევროპელი, მზეჭაბუკი“.

ხოლო დაუვიწყარმა კოლაუ ნადირაძემ ასე დაიტირა თავისი ძმადნაფიცი: „პაოლო, ჩემო სისხლო და ხორცო, დაე, მე მომხვდეს მრისხანე მეხი, მინდა მაგ თვალზე ცრემლი მოგხოცო და მწარედ დაღლილს დაგბანო ფეხი“.

* * *

პაოლო იაშვილის ცხოვრებისა და ტრაგიკულ აღსასრულში კარგად ირეკლება ქართველი „საბჭოთა“ ინტელიგენციის უმძიმესი ყოფა 1921 წლიდან 1937 წლის ჩათვლით. ეს იყო ღრმა სულიერი კრიზისის ხანა, როცა ინტელიგენცია წელებზე ფეხს იდგამდა, რათა საკუთარი ფიზიკური არსებობა გადაერჩინა და ამავე დროს, ერის სასიცოცხლო ინტერესების სადარაჯოზეც მდგარიყო შეძლებისდაგვარად, მაგრამ ეს მცდელობა, უმეტეს შემთხვევაში წარუმატებელი გახლდათ, რამეთუ კომუნისტურ დიქტატურას არამცთუ ადამიანების, მთელი ერების ბედ-იღბალიც მუჯში ჰქონდა მომწყვდეული და ისე განაგებდა, როგორც საჭიროდ მიაჩნდა.

სულ რაღაც 16 წელიწადში, თანდათან შეიქმნა და ბოლოს, მყარი ფორმა შეიძინა საბჭოთა ლაქია-მწერლის, ინტელიგენტის მოდელმა, რომელიც ბოლშევიკური დოქტრინების უსიტყვო, ულაპარაკო მიღებას, მორჩილებასა და ცხოვრებაში დანერგვას ისახავდა მიზნად, ალიანსი სატანასთან გარდაუვალი იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში, ფიზიკური განადგურება არ ასცდებოდა.

და ეს ალიანსი შედგა, სამწუხაროდ!

ჩვენმა ინტელიგენციამ ვერ გაუძლო დამთრგუნველ ძალადობას, შიშიც ვერ სძლია, ვერც ამქვეყნიურ სიამეთ, პატივმოყვარეობის ინსტინქტებსა თუ მაძღრისი ცხოვრების

სურვილს შეელია, რის შედეგადაც ხშირად ისეთი რამე თქვა, ან გააკეთა, რაც ვერაფრით ჩაითვლება კაცური ქველობის ნიმუშად.

გაორება, „მწარე გათიშვა"...

პაოლოც ერთი მათგანი იყო, ვისაც ეს დაემართა, მაგრამ მრავალთაგან იმით განსხვავდა, რომ ბოლოს, სრულ სულიერ გაპარტახებასა და გაკოტრებას, საკუთარი ხელით სიკვდილი ამჯობინა. ამიტომაც, შემორჩა იგი ლიტერატურას და ისტორიას, როგორც კაცი და პოეტი!...

მაგრამ მოდი, ესეც ვიკითხოთ: რა ესაქმება, რა საერთო აქვს პოეტს, შემოქმედს, პარტიასთან, ხელისუფლებასთან, საერთოდ, ძლიერებთან ამა ქვეყნისა? თანაც ისეთთან, როგორც ბოლშევიზმი იყო? ვით ეკადრება ღირსებას პოეტისას?

შორს წაგვიყვანს ამ თემაზე საუბარი.

ინტერლუდია: „შავჩოხიანები“

ამ ოცი წლის წინათ, ქალაქში ერთი სურათი გავრცელდა, რომელმაც გამოკვეთილი კოლორიტით უმალ დაგვამახსოვრა თავი, ხოლო უფრო ხანდაზმულებს, მამებსა და პაპებს, ცხადად მოაგონა და თვალწინ დაუყენა აკადსახსენებელი 20-30-იანი წლები ჩვენი საუკუნისა, როცა ასეთი სურათის გადაღება ხელისუფალთა აშკარა გამოწვევას უდრიდა და მათს დრაკონულ ხახაში ჩავარდნის ძალზე რეალურ საფრთხეს ქმნიდა.

შავჩოხიან, ბოხოხიან და უძიროებიან ოთხ პირმშვენიერ ვაჟკაცს, ერთმანეთისათვის ხელკავი გამოუდვიათ, მეორეთი სატევრის ვადა დაუბღუჯავთ და მშვიდ, გარნა უდრეკ ნებისყოფას ასხივებენ ჭკვიანი თვალებიდან. იგრძნობა ნახტომისათვის შეწკიპული აკაზას შეუპოვრობა.

ოთხივენი იმდროინდელი ლიტერატურულ-ინტელექტუალური ელიტის ბრწყინვალე წარმომადგენლები იყვნენ: ვახტანგ კოტეტიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, პაველ ინგოროყვა და ალექსანდრე აბაშელი.

სურათი საბედისწერო 1921 წლის შემდეგაა გადაღებული, სწორედ მაშინ, როცა მწყაზარი გარეგნობის ახალგაზრდა კაცები გამოჩნდნენ თბილისის ქუჩებში. ისინი მოქალაქეთა დაშლილი პლასტიკის ფონზე, ძველქართული, მოშვილდული მიხვრა-მოხვრით გამოირჩეოდნენ და საიმდროოდ უკვე სოლიდური ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის სტაჟიც ჰქონდათ დაგროვილი. გარდა ამისა, ცნობილნი იყვნენ, როგორც ნამდვილი მამულიშვილნი, ეს კი თავისთავად ნიშნავდა ბოლშევიზმთან დაპირისპირებას, რის დამალვასაც, მრავალ სხვათაგან განსხვავებით, ისინი მაინცდამაინც არ ლამობდნენ.

„მერმე ეგ იყო, გიორგი ნიკოლაძემ და სხვა პროფესორებმაც ჩაიცვეს შავი ჩოხები. ლევან ღოღობერიძემ და მისმა დამქაშებმა ჩოჩქოლი ასტეხეს: გამსახურდიამ მორიგი გამოხტომა გააკეთა, შავჩოხიანთა ორდენი დააარსა და საქართველოს იგლოვენო ამრიგად“, - წერს კ. გამსახურდია მემუარულ წიგნში „ლანდებთან ლაციცი“.

სულ მალე ტფილისი შავჩოხიანებით გაივსო, რამაც ახალი თავსატეხი გაუჩინა ხელისუფლებასა და ჩეკას. მათ, რაღა თქმა

უნდა, პირველ რიგში მწერლობაზე მიიტანეს იერიში, რამეთუ ქართული მწერლობა ის ბასტიონი იყო, სადაც ჯერ კიდევ ღვიოდა მინავლული ეროვნული ნიშატი.

მათ პირისპირ იდგნენ ევროპის უნივერსიტეტში განსწავლული, ახალგაზრდა „რაინდალეული" ინტელიგენტები, რომელთაც, გულისფიცარზე ჰქონდათ დაჭდეული დიდი ილიას ეროვნული იდეალები, მერმე, შეძლებისდაგვარად, ყველამ იღვაწა ამ სანუკვარი მიზნის განხორციელებისათვის, მაგრამ რუსულ-ქართულმა ბოლშევიზმმა მათ თვალწინ დაამხო დამოუკიდებელი სახელმწიფო ქართველთა, ეროვნული პრობლემა, ერთხელ და სამუდამოდ, მოგვარებულად გამოაცხადა, ხოლო ვინც ეს არ დაიჯერა და წინააღმდგობის გაწევა სცადა, 1924 წელს, დაუნდობლად ჩაახრჩო სისხლში.

ინტელიგენცია, რაღა თქმა უნდა, მიხვდა, რომ ამ საშინელ ურჩხულისთვის წინააღმდეგობის გაწევა შედეგს ვერ მოიტანდა. სადღა იყო გამოსავალი? აი, მაშინ ითქვა კონსტანტინე გამსახურდიას ეპოქალური ფრაზა: „როცა ერი პოლიტიკურ ასპარეზზე მარცხდება, მან მთელი ენერგია კულტურული ფრონტისაკენ უნდა მიმართოსო". ასეც მოხდა, ჩვენმა შემოქმედებითმა ინტელიგენციამ მართლაც რომ უჩვეულო შეუპოვრობა და ინტელექტუალური ძალისხმევა გამოიჩინა 20-30-იან წლებში, რადგან დიქტატურა ჯერ კიდევ იძლეოდა სუნთქვის საშუალებას.

ზემოთ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი სრულიად საქართველოს მწერალთა პირველ ყრილობაზე, რომელიც გაიმართა 1926 წელს.

კონსტანტინე გამსახურდია იგონებს „ლანდებთან ლაციცში":

„1926 წლის 21 თებერვალს „ცაკის" თავმჯდომარე ფილიპე მახარაძე ყრილობაზე გვეწვია. მოგვმართა ამხანაგურად: „მოდით, მწერლებო, გულწრფელად გვითხარით, რა მოგწონთ და რა არ მოგწონთ ჩვენი მთავრობის პოლიტიკაში?"

მე მიმიხმო მოხუცებულმა ნიკო ნიკოლაძემ და მითხრა: „ამ ორასი უპარტიო მწერლის სახელით გთხოვ, გამოხვიდე და პირუთვნელად ამცნო მახარაძეს ჩვენი გულის ტკივილი. შენ ჩვენს შორის ყველაზე ახალგაზრდა ხარ და სათქმელიც არ გამოგელევა".

მე გამოვედი ტრიბუნაზე და მოკლე სიტყვაში ვუთხარი მახარაძეს: რაკი გულწრფელად გნებავთ ჩვენი გულისტკივილის გაგება, უნდა მოგახსენოთ, მაინცდამაინც დიდ პატივს არ ვცემ იმ მთავრობას, რომელმაც ოსების ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლები თითქმის მცხეთის სანახებამდის ჩამოიტანა, მთლიანად ქართული რაიონი გალისა, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას

გადაულოცა და მეგრელ ბაშვებს მარტოოდენ აფხაზურსა და რუსულს ასწავლიან-მეთქი.

თანაც ვურჩიე მახარაძეს: დაათვალიერეთ თბილისური მაღაზიები წიგნისა და ნახეთ, თუ სადმე თვალი მოჰკრათ-მეთქი ქართულ წიგნს.

საპასუხო სიტყვით გამოვიდა მახარაძე და თქვა: ქართული წიგნების ამბავს შევისწავლითო. სხვა საკითხების გამო დადუმდა.

შემდგომ ამისა, გამოვიდა მთლად გაცოფებული ვალია ბახტაძე და დიდი კორიანტელი დააყენა თავისი სიტყვით. მაგინა, შინაგანი ემიგრანტი მიწოდა და სხვა მისთანანი. მე მიკვდი, რომ დიდი რისხვა დავიმსახურე" (კ. გამსახურდია, „ლანდებთან ლაციცი", თხზულებათა ათტომეული, ტ. VII).

რისხვა მართლაც დიდი იყო, მაგრამ ამაზე ქვემოთ.

ყრილობის შემდეგ, ე. წ. რევოლუციური ახალი მწერლობის ასოციაციამ გამოაქვეყნა ვრცელი განცხადება, რომელშიც ჩვენი „შაეჩოხიანები", კოტეტიშვილი, ინგოროყვა, გამსახურდია და აბაშელი, ძალზე უპატიურ კონტექსტში იყვნენ მოხსენიებულნი, რაც, ფაქტიურად, დასმენას, ანუ დღევანდელი ენით თუ ვიტყვით, „ჩაშვებას" უდრიდა (მომყავს ნაწყვეტი):

„ - ქართული აზნაურული, კარიკატურული ფსიხიკის კადნიერება იქამდე მივიდა, რომ თანამგზავრობასაც უკადრისობს.

ჟურნალ „კაეკასიონის" უკუდო არწივები თაეიანთ შემოქმედებით იმპოტენტობას შაეი ჩოხებით ფარაეენ. მათი ლიტერატურული არქაიზმი შინაემიგრანტულ ლიგებითა თუ ორდენებით თუ აპირებს გამართლებას.

„მცხოვანი" აკადემიური მნათობები საბჭოთა საქართველოში ავრცელებენ იდეოლოგიურ-ლიტერატურულ შეუსაბამობათა უკრიტიკო ნარევს. ასე რომ, ყოველი ჯურის „ლიტერატორს" საშვალება ეძლევა თავისი „ზეშთაგონების" ნაყოფი მკითხველ აუდიტორიას მიაწოდოს.

ასეთ პირობებში აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მტკიცე, რევოლუციონური, მებრძოლი კრიტიკის პოზიციების შექმნა მათ გასაცხრილავად.

ლიტერატურის ქაოტურ მდგომარეობიდან გამოყვანა და მისი საღი მომავალისაკენ მიმართვა, შესაძლებელია მხოლოდ რევოლუციონურ, ახალი მწერლობის მებრძოლი ძალების იდეოლოგიური დარაზმვით.

სრულიად საქართველოს მწერალთა I ყრილობა
1926 წელი"

ეს დეკლარაცია დაიწერა საქართველოს ცეცხლითა და მახვილით წარტყვევნის ხუთი წლის თავზე, როცა გაალმასებული დიქტატურა თავისი ხელისუფლების დამკვიდრებისთვის ყველა ხერხითა და საშუალებით მოქმედებდა.

ამიტომ, ბუნებრივია, ძვირად დაუჯდა გამსახურდიას ხელისუფალთა საწინააღმდეგო მჭევრმეტყველება. „დიდმა რისხვამ“ ორი წელი ალესინა მეტეხის, ბუტირკისა და სოლოვკის ციხეთა ჯურღმულები.

პარტიამ და მთავრობამ, ცხადია, კარგად იცოდა „აკადემიური ასოციაციის“ (რომელშიაც გაერთიანებული იყვნენ „შაეჩოხიანები“) მემარცხენე ეროვნული კურსი და მისი მკაფიოდ გამოხატული ანტისაბჭოთა პლატფორმა. ამ დაჯგუფების ჟურნალ-გაზეთებში საბჭოთა ხელისუფლებისათვის მხარდამჭერ მოტივებს ვერსად იპოვნით. სამაგიეროდ, უხვად არის წარმოდგენილი დიქტატურისადმი უარყოფითი დამოკიდებულების ამსახველი მასალები. ასეა „ხომალდში“ (რედაქტორი ალ. აბაშელი), „ილიონში“ (რედ. კ. გამსახურდია), „საქართველოს სამრეკლოში“, (კ. გამსახურდია), „ლომისში“ და „პოეზიის დღეში“. საკმარისია აღინიშნოს ალ. აბაშელის ლექსი „ტანჯვის ბარძიმი“, სადაც საიმდროოდ ძალზე გახმაურებული სტრიქონიც მოიპოვება:

„და ერის ტანჯვის გამოხატველი, იზრდება გულში ორი მწვერვალი ერთი ნაღველის ორი სახელი: კრწანისის ველი და თებერვალი“.

ვინ მოითმენდა ამას? ვის მოუთმენია? და თუ გამსახურდია დახვრეტას გადაურჩა, რაც სრულიად რეალური საფრთხე გახლდათ, ეს მისი უახლოესი მეგობრების თავგამოდებული მუშაობის შედეგი იყო.

კ. გამსახურდიას მოგონებიდან:

„როგორც გავიგე, ჩემს ამხანაგებს ნამეტნავად შეუწუხებიათ ხელისუფლება. ბოლოს, ერთ დიდკაცს აგრე უთქვამს თურმე: „ან აბაშელი და ინგოროყვა გავასახლოთ საქართველოდან, ან ის ოხერი გამსახურდია ჩამოვათრიოთ აქო“.

ერთ დღეს ჩემმა კეთილმა, ლატიშმა ვახტიორმა პაელე ინგოროყვას წერილი მომიტანა. პაელე მწერდა: „არ შეგეშინდეს, დღეს ვინახულე ორჯონიკიძე, ენუქიძე და კალინინი. დახვრეტამდე არ მიეკაო საქმე“.

1928 წელს კ. გამსახურდია საქართველოში დაბრუნდა, მაგრამ სანუგეშო არაფერი დახვედრია: ბოლშევიზმი კიდევ დაჟინებულ, გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებდა შემოქმედებითი ინტელიგენციის წინააღმდეგ. მათი მიზანთა მიზანი ინტელიგენციის დაშინება

იყო დასაშვები თუ დაუშვებელი ხერხებით, ხოლო შემდეგ, როგორც ცნობილია, „შიში შეიქმს სიყვარულსა“. უმეტეს შემთხვევაში, მიაღწიეს კიდეც ამ სანუკვარ საწადელს, მწერლები „ძაფივით დაიხვიეს ხელზე“ და სამარცხვინოდ გააპამპულეს, დიდი ბრძანების უსიტყვოდ შემსრულებელ მონებად აქციეს.

საამისოდ, წამების არსენალი მდიდარი ჰქონდათ. ერთი მათგანი ინფორმაციული ჩაგონება იყო. აი, მაგალითად, რას წერს „ლიტერატურული საქართველო“ თავის მოწინავეში:

„ამხანაგებო, განა შეიძლება ძველი კულტურა ახალ, მებრძოლ ძალების კულტურას შევადაროთ? მთელი მოსკოვის პრესა აღნიშნავს საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელის ლავრენტი ბერიას წელილს ქართული საბჭოთა ხელოვნების წარმატებაში. მართლაც, ხელოვნების ფრონტის ამ დიდი გამარჯვების ორგანიზატორი არის ამხ. ლ. ბერია. ყველა მიღწევა მწერლობაში, მხატვრობაში, მუსიკაში (მუსიკაშიც? მუსიკაშიც? თ. მ.) და საერთოდ, კულტურის ყველა დარგში, მისი ბრძნული ხელმძღვანელობის და თაოსნობის შედეგია“.

რა გინდა მეტი? დაჯექი, გადაიდე ფეხი ფეხზე, უკარი ფანდური და აღუღუნე სალამური, ბედნიერო საქართველოვ, აგერ გყავს შენი პატრონი და მფარველი, „სწორი ხაზის გამტარებელი ლავრენტი“, მაგრამ ეს „მუხანათი მტრები“ მაინც რომ არ ისვენებენ?

1937 წელი, კვლავ „ლიტერატურული საქართველოს“ მოწინავე: „სიკეთილი მუხანათურ მტერს! ზიზღი ბანდიტებს და ქვეწარმავლებს!“

„მწერალთა სასახლის სხდომათა დარბაზში შეიკრიბნენ საბჭოთა მწერლები, რომ გამოეთქვათ თავისი აღშფოთება ქართველ მწერლებში აღმოჩენილ ტროცკისტების გაუგონარი მოღალატობისა და მზაკვრული გამცემლობის გამო. ჩვენ ვერ ეპოულობთ ამ არამზადების მიერ ჩადენილ დანაშაულობათა ანალოგიებს. ამიერიდან თვით მათი სახელი გადაიქცევა ადამიანთა ყველაზე უსაძაგლესი ბოროტების და დანაშაულის აღსანიშნავ სიტყვებად... ზიზღი სამშობლოს მოღალატეებს! უსასტიკესი განაჩენი მათ!“

ასე და ამგვარად, საქმე მოგვარებულია, პრობლემა გადაჭრილი, განაჩენი გამოტანილი, მაგრამ ვინ დაინახავს იმ დაკარგული სიცოცხლის, სისხლისა და ცრემლის, დაუწერელი ფურცლის მწარე ნაღველსა და ურვას? შვილმკვდარი მშობლების, დაქვრივებული ცოლის, დაობლებული ბავშვების მწუხარე კურცხლების გემოს? „ხალხის მტრის“ დამღით გამოწვეულ ტანჯვას?

ვინ აწყოს ეს ყოველივე, ანდა ვინა ზღოს?

ერთი მწერლის დაკითხვის „საქმეებში" ასეთი ფურცელია ჩაკერებული:

კითხვა: განიზრახეთ თუ არა, მისცეთ სწორი ჩვენება გამოძიებას?

პასუხი: დიახ, გადავწყვიტე ვთქვა სრული სიმართლე ჩემი კონტრრევოლუციური საქმეების შესახებ, რადგან ჩემი ცხრათვიანი ბრძოლის შემდეგ საგამომძიებლო ორგანოებთან, დავრწმუნდი: ყოველგვარი წინააღმდეგობა უშედეგოა.

კითხვა: როდის დაიწყეთ კონტრრევოლუციური საქმიანობა?

პასუხი: კონტრრევოლუციური საქმიანობა დავიწყე 1921 წელს. 1923 წლიდან ვაწარმოებდი აქტიურ იდეოლოგიურ ბრძოლას. ტროცკისტულ ბრძოლაში ჩავები და ჩავითრიე ნაციონალისტურად განწყობილი პროფესორები: ივანე ჯავახიშვილი, ალექსანდრე ჯავახიშვილი, გრიგოლ წერეთელი, კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე. ჩვენი მიზანი იყო საქართველოს ახალგაზრდობაში ნაციონალისტური განწყობილებები გაგვეღვივებინა და შეგვექმნა ტროცკისტულ-ფაშისტური ბირთვები.

კონტრრევოლუციურ პროფესორ ივანე ჯავახიშვილის საშუალებით გადავცემდი ჯაშუშურ ცნობებს საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ ნოე ჟორდანიას და რამიშვილს საფრანგეთში და ახმეტელს - გერმანიაში".

აქ, როგორც ხედავთ, შიშმა, რაც სიცოცხლის შენარჩუნების მძაფრმა ინსტინქტმა წარმოქმნა, ბოროტი, თუმც უნებლიე დანაშაულიც მოიყოლა. მწერალმა, უსაშველოდ გვემულმა და ნაწამებმა, ჭოჭმანის გარეშე ჩამოთვალა სახელოვან მეცნიერთა გვარები ხელისისხლიანი გამომძიებლის წინაშე და ამით უაღრესად რეალური საფრთხე შეუქმნა მათს სიცოცხლეს, მაგრამ როგორც ჩანს, ამაზე დაფიქრების უნარი მას ფიზიკურად აღარ გააჩნდა.

უარეს ვითარებას ვხედავთ მეორე საოქმო ჩანაწერში:

კითხვა: აღიარებთ თუ არა თავს დამნაშავედ, რომ აწარმოებდით ჯაშუშურ ქმედებებს უცხოურ სახელმწიფოთა სასარგებლოდ?

პასუხი: დიახ, ვაღიარებ, რომ ვიყავი უცხოეთის დაზვერვის აგენტი.

კითხვა: რა სახის იყო თქვენი ქმედებები? რა თეორიებს ავითარებდით?

პასუხი: ვავითარებდით რასობრივ თეორიებს, ქართული რასის გამორჩეულობის შესახებ.

კითხვა: მოგვიყვანეთ კონკრეტული მაგალითები.

პასუხი: 1935 წელს მიხეილ ჯავახიშვილი სპეციალურად იკვლევდა თავისი სისხლის ანალიზს იმ მიზნით, რომ დაემტკიცებინა თავისი არიული წარმომავლობა.

კითხვა: გვიამბეთ გრ. რობაქიძის ფაშისტური საქმიანობის შესახებ.

პასუხი: გრ. რობაქიძე იყო ქართული ფაშიზმის პირველი იდეოლოგი. ამ ორგანიზაციის ფაქტიური დამაარსებელი.

კითხვა: დაგვისახელეთ თქვენი ფაშისტური ორგანიზაციის წევრები.

პასუხი: კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში შედიოდნენ: ჯავახიშვილი მიხეილ, გამსახურდია კონსტანტინე, ქიქოძე გერონტი, ჭიჭინაძე კონსტანტინე, აბაშიძე კოკი, მიწიშვილი ნიკოლო, კლდიაშვილი სერგო, ჯაჯანაშვილი არჩილ, ინგოროყვა პაველ, ტაბიძე ტიციან, იაშვილი პაოლო, ლეონიძე გოგლა, სულიაშვილი დავით, აბაშელი ალექსანდრე, პატარიძე მიქელ, ასათიანი ლევან, გვეტაძე რაჟდენ, დემეტრაძე შალვა, გაწერელია აკაკი, სახოკია თედო, წულაძე აპალონ, ლისაშვილი იაკინთე, ქუთათელი ალექსანდრე"... (ნ. ხოფერია, აღიარებანი მცირე კომენტარებით, საქართველოს რესპუბლიკა, 15.VI-91 წ.).

ამ ჩვენებას ხელს აწერს ცემით მისიკვდილებული, სულიერად და ხორციელად დათრგუნული ადამიანი და ჩვენ, ამ უსაზღვროდ ვნებული მწერლის მიმართ ღრმა თანაგრძნობის მეტი, აბა რა უნდა გაგვაჩნდეს, მაგრამ, საუბედუროდ, ჩადენილია შემზარავი ცოდვა: იმ მწერალთაგან, რომლებიც „დამნაშავემ" ასე გულუხვად „გაიმეტა", რამდენიმე მართლაც „ჩაშვებული" აღმოჩნდა. ესენი არიან: მიხეილ ჯავახიშვილი, კოკი აბაშიძე, ნიკოლო მიწიშვილი, არჩილ ჯაჯანაშვილი, ტიციან ტაბიძე, აპოლონ წულაძე.

ამას წინათ ჟურნალმა „განთიადმა" გამოაქვეყნა ცნობილი ფილოსოფოსის, აკადემიკოს შალვა ხიდაშელის მრავალმხრივ საყურადღებო მემუარული წიგნი „უსათაურო მოგონებანი". ამ წიგნში ავტორი სიღრმისეულად აანალიზებს 20-30-იანი წლების მახინჯ მოვლენებს, რომლებმაც მძიმე კვალი დასტოვეს ავტორის ბიოგრაფიაში და, სხვათა შორის, ე. წ. შიშის პრობლემაზეც დააფიქრეს. თავს ნებას მივცემ პატარა ნაწყვეტი მოგაწოდოთ ამ წიგნიდან, რამეთუ ავტორის დაკვირვებანი ზუსტი მეჩვენება:

„მთელი სიცოცხლის მანძილზე მოქმედი, ჩვენი, ე. წ. „საბჭოთა ადამიანების" ცნობიერებაში ჩანერგილი და დაბუდებული გრძნობა შიშისა, არაა ეგზისტენციალური შიში, ძრწოლა, სტრესი სიკვდილის, ღმერთის, არარაობის წინაშე. ეკზისტენციალური

განაზრებანი გალაღებული, ცივილიზაციით განებივრებული ბავშვური ტიტინია ჯენტლმენისა, რომელსაც შორეული წარმოდგენაც არა აქვს იმაზე, რასაც ეწოდება „ჩეკა“, „ენკაველე“, „გეპეუ“ „კაგებე“ და არც იმაზე, როგორ გეგმაშეწონილობით, იეზუიტური გულგრილობით, დახვეწილი მეთოდებით ნერგავდა ეს ორგანიზაცია შიშის გრძნობას ადამიანთა შეგნებაში.

ეს არაა შიში ჩვეულებრივი გაგებით, გრძნობა, რომელიც თანდაყოლილი აქვს ადამიანს და კაცობრიობა იცნობს თავისი არსებობის დასაწყისიდანვე. ეს სულ სხვა გრძნობაა, წარმოქმნილი „ახალი, სოციალისტური ფორმაციით“, მისი პირმშო. მას ჯერ არა აქვს თავისი სიტყვიერი გამოხატულება, თავისი ტერმინი და თუ ეს ტერმინი შეიქმნა, ის აუცილებლად იმ ქვეყანაში უნდა წარმოიქმნას, სადაც თვით მოვლენა. სხვა ქვეყნის მცხოვრები ვერ ჩაწვდება ამ მოვლენის სიღრმეს, ფსიქოლოგიურ და ფიზიოლოგიურ შინაარსს.

იმ პირობებში, რომელშიც ჩემმა ცხოვრებამ გაიარა, თავისუფლების განცდა მთლიანადაა წალეკილი და მოსპობილი. განადგურებულია ისეთი სისასტიკით, დაუნდობლობით და არაადამიანურობით, რაც წარმოუდგენელია თანამედროვე ცივილიზირებულ საზოგადოებაში“.

იქვე, აკადემიკოსი შალვა ხიდაშელი იძულების (ძალადობის) პრობლემასაც ეხება: „კაცობრიობის ისტორიაში იძულება ახალი ამბავი არაა. დიდ უმრავლეს შემთხვევაში ესაა: „ეს არ გააკეთო!“ „ასე არ მოიქცე!“ ზოგჯერ „ასე არ იფიქრო!“ ჩვენს ცხოვრებაში სხვა წესი მოქმედებს: ვინც ხელისუფლების ტოტალური უზურპაცია მოახდინა და თავისი მოქმედება (შესატყვისად, საკუთარი ბუნება) „მაღალი იდეალებით“ შენიღბა, მისთვის ეს საკმარისი აღარაა. „ასე უნდა გააკეთო!“ „ასე უნდა იმოქმედო!“ „ასე უნდა იფიქრო!“ - აი, ახალი ფორმა ბოლშევიკური იძულებისა (ძალადობისა)!

მოქმედებს ორი იმპერატივი: „ვინ ვის?“ და „ვინც ჩვენთან არაა, ჩვენი მტერია!“ (შ. ხიდაშელი, უსათაურო მოგონებანი, „განთიადი“, №1, 1990, გვ. 94).

აქ მხოლოდ ისღა დარჩენია ადამიანს, უღრმესი პატივისცემით განისმჭვალოს იმ თაობათა მიმართ, რომლებმაც საკუთარ პიროვნებაზე იწვნიეს ძალადობისა და შიშის გამსრესი, გამანადგურებელი გავლენა და ამის მიუხედავად, მაინც შეინარჩუნეს გაუბზარავი სული, ადამიანური გულის სითბო და კაცური ღირსება.

დიდ ხანს იბოგინა სისხლიანმა ლოზუნგმა „ვინც ჩვენთან არაა, ჩვენი მტერია“ და აკეთა საშინელი, ბნელი საქმეები ლიტერატურაში, ვიდრე გაჩნდებოდა ერთი ყოვლად უცნაური

გენეტიკის ტერმინი „თანამგზავრი“. იგი შედარებით ლოიალურად გამოიყურებოდა წინასთან შედარებით, რამეთუ არაპროლეტარულ აზროვნების მწერალს მაინცდამაინც ფაშისტად არ ნათლავდა და მოსპობითაც ნაკლებად ემუქრებოდა. „თანამგზავრის“ გაჩენის აუცილებლობა, რაღა თქმა უნდა, არსებულმა ვითარებამ წარმოშვა:

რაკიღა აშკარა გახდა, რომ პროლეტარულმა მწერლობამ მთელი არსებობის მანძილზე ვერაფერი, სრულიად ვერაფერი შექმნა ისეთი, დროის გამოცდას რომ გაუძლებდა და ეთიკურსა თუ ესთეტიკურ ღირებულებას ოდნავ მაინც შეინარჩუნებდა, იგი იძულებული გახდა ე. წ. „ძველი“ კულტურული ძალებისათვის მიემართა და მართალია, შეფარვით, მაგრამ მაინც მოკავშირეობა შეეთავაზებინა, მხოლოდ, ისე კი, რომ მათზე გავლენა არ დაეკარგა და თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც ეკარნახა საკუთარი ნება. თანაც, ეს იმნაირი სიფრთხილით უნდა გაკეთებულიყო, რომ ქართული მწერლობა, შედარებით არ ასცდენოდა ტრადიციულ, კლასიკურ გზას, რისი საშიშროებაც უკვე რეალურ, მოსალოდნელ ფაქტად აღიქმებოდა.

მაგრამ როდის შეიძლებოდა მწერალს, ბოლოს და ბოლოს, „თანამგზავრის“ „მარად სანუკვარი“ წოდება დაემსახურებინა?

„ლიტერატურული თანამგზავრი გახდება ის, - განუმარტავდნენ მწერლებს პროლეტარული თეორეტიკოსები დაჟინებით, - ვინც კრიტიკულად გადასინჯავს თავის ძველ იდეოლოგიას და გაემიჯნება ბურჟუაზიული კლასის მისწრაფებებს. ეს პირველი, აუცილებელი პირობა არის ლიტერატურული თანამგზავრისათვის. მეორე პირობას შეადგენს სისწორით ათვისება თანამედროვე ვითარებისა და მისი ძირეული შინაარსის გაგება. მაშასადამე, პროლეტარულ-სოციალისტურ იდეოლოგიასთან დანათესავება“.

არადა, უნდოდათ კი „შავჩოხიანებს“, ან სხვებს თანამგზავრობა? ვითომ აგრერიგად ხიბლავდათ ყოველად უნიჭოდ შეთითხნილი, პატიოსანი მწერლისათვის დამამცირებელი ტიტული?

დარწმუნებული ვარ, არ ხიბლავდათ, რადგანაც კარგად გრძნობდნენ, რომ ეს იყო ლიტერატურის ძირეული ფუნქციის არგაგონილი გაყალბება, კიდევ ერთხელ, მახვილის აღმართვა მის მრავალტანჯულ თავზე. რა ჰქონდათ გადასასინჯი თავის იდეოლოგიაში „შავჩოხიანებს“ ის, რომ თავგადაკლული პატრიოტები იყვნენ? ან ვისგან უნდა გამიჯნულიყვნენ: ილია ჭავჭავაძისაგან? საერთოდ, ქართული მწერლობის ჰუმანისტური ტრადიციებისაგან და უბადრუკი მექი ვაშაკიძეების მეხოტბეებს დამეგობრებოდნენ?

ნუ დაგვავიწყდება: საიმდროოდ, ალექსანდრე აბაშელს უკვე

დაწერილი აქვს თავისი საუკეთესო ლექსების დიდი ნაწილი. პავლე ინგოროყვას სხვას ყველაფერს რომ თავი დაუანებოთ, გამოცემული აქვს ჟურნალები „კავკასიონი“ და „ახალი კავკასიონი“, რომლებმაც მთელი ეპოქა შექმნეს ქართული ჟურნალისტიკისა და, საერთოდ, კულტურის ისტორიაში. თან, სწორედ ამ დროს, იწერება მისი ფუნდამენტური ღირებულების წიგნი: „რუსთველიანა“. კოსტანტინე გამსახურდია გახლავთ აეტორი ელვარე, ცინცხალი ნიჭიერებით აღბეჭდილი ნოვატორული რომანისა „დიონისოს ღიმილი“, „ცხოვრების ნახევარ გზაზე შემოღამებული“ მარტოსული კონსტანტინე სავარსამიძის ყარიბობაზე რომ გვიამბობს. აგრეთვე, მრავალრიცხოვანი ესეებისა, თუ პუბლიცისტური წერილებისა, ხოლო ვახტანგ კოტეტიშვილს ხელთ ჰქონდა XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის სამტომეული, რომელმაც მთელი ეპოქა შექმნა ჩვენს ლიტმცოდნეობაში.

აი, ამას უწოდეს პროლეტარმა მწერლებმა „შემოქმედებითი იმპოტენცია“.

საუბედუროდ, დრო და ვითარება ისე წარიმართა, რომ ჩვენი სახელოვანი „შავჩოხიანები“ მძიმე გამოცდის წინაშე დაყენა ცხოვრებამ. მათ სხვადასხვანაირად ჩააბარეს ეს გამოცდა, რის თაობაზეც ქვემოთ მექნება საუბარი.

თავი მეოთხე

„გამაგრდით, არხოტიონნო, გატეხით რა იქნებისა?“

ალექსანდრე სოლჟენიცინი თავის რომანს „წრე პირველი“ ასე ამთავრებს: მიდის მოსკოვის ქუჩებში დახურულძარიანი მანქანა, რომელსაც დიდი ასოებით აწერია: „ხორცი“. სინამდვილეში, იქ დასახვრეტად განწირული პოლიტპატიმრები არიან შეყრილნი.

ვინ მოთელის, რამდენი ასეთი „ხორცის“ მანქანა დაღოღავდა მაშინ „ძლევამოსილი საბჭოეთის“ უკიდეგანო გზებზე და გადაჰქონდათ, უსასრულოდ გადაჰქონდათ „პროდუქტი“ სხვადასხვა ციხეებში, ხორცსაკეპ მანქანათა საკბილოდ.

ამონაწერი ოქმიდან:

„მე, ტყიბულის რაიპროკურორის თანაშემწე მიქაძემ, განვიხილე საქმე ბრალდებულ კოტეტიშვილი ვახტანგ ილიას ძის, ექიმ ლადო კოტეტიშვილის განცხადების საფუძველზე. ბრალდებულის საქმეში არსებული მასალების მიხედვით, 1938 წლის 27 იანვრის დადგენილებით, მისჯილი აქვს დახვრეტა“.

ცრუობდა პროკურორის თანაშემწე, უსინდისოდ ცრუობდა! კი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი მართლაც იყო ვ. კოტეტიშვილი ოდესღაც, მაგრამ საიმედროოდ აღარც პარტია არსებობდა და აღარც მის წევრობას ჰქონდა რაიმე აზრი. დანარჩენ ბრალდებებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, იმდენად უნიჭოდაა შეთითხნილი სასამართლოს გონებაჩლუნგი მოხელეების მიერ.

თუმცა: ერთი სიმართლე მართლაც გამოსჭვივის ბრალდებათაგან: ვახტანგ კოტეტიშვილს დიახაც, ჭირის დღესავით სძაგდა საბჭოთა რეჟიმი - თავისი პროლეტარიატის დიქტატურით, სოციალიზმით, ინდუსტრიალიზაციით, კოლექტივიზაციით, ბრავურული მარშებით და სისხლიანი ჩეკათი. სძაგდა, მაგრამ რა ექნა, გაჩუმდა, პირში წყალი ჩაიგუბა, სიმწრით კბილს კბილი დააჭირა და განდგა, მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებზე წერასაც კი ანება თავი და ფოლკლორულ სამყაროს მიაშურა. მაგრამ ჩეკას რას გამოაპარებდი! მშვენივრად გრძნობდნენ, რომ ვ. კოტეტიშვილი მათი პოტენციური მტერი იყო და ამიტომ მისი მოშორება დროულ, აუცილებელ საქმედ იქნა მიჩნეული.

ასე გაქრა ამ სამზეოდან, ნაძირალა კაციჭამიების ნებით, 45 წლის ულამაზესი ვაჟკაცი, დახუნძლული გონიერებით, რომელშიც სვებედნიერად იყო შერწყმული ევროპისა და აზიის ელიტარული ინტელიგენტობის საუკეთესო თვისებები.

დაპატიმრებამდე სამი დღით ადრე, პირგამეხებული დაბრუნებულა შინ, თავის ოთახში შეკეტილა, არც უჭამია, არც უსვამს, არც ხმას იღებდა თურმე, პაპიროსს ეწეოდა მხოლოდ. როგორც მერმე გაირკვა, „იქ" დაუბარებიათ და კატეგორიულად მიუხლიათ: ჩვენთან უნდა იმუშაოო. ეს ჯაშუშობას უდრიდა. ვახტანგს უარი უთქვამს. მაშინ სამი დღე მიუციათ ვადად. სამი დღის შემდეგ, ან შენი ფეხით მოდი, ან ჩვენ მოგაკითხავთო.

ვახტანგი არ წასულა. სამაგიეროდ, მათ არ ულალატეს სიტყვას. მოვიდნენ. წაიყვანეს.

მღვდლის ოჯახში იყო დაბადებული (1893 წ.), სულიერება სისხლით მოსდგამდა. დაამთავრა სასულიერო სემინარია. სწავლობდა პეტერბურგის ფსიქო-ნევროლოგიურ ინსტიტუტში. სწავლა გაასრულა დორპატის (ტარტუს) უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტით (სხვათა შორის, ცოტა ადრე, აქ სწავლობდა გრიგოლ რობაქიძე). 1926 წელს ივანე ჯავახიშვილმა პერსონალურად მიიწვია უნივერსიტეტში ფოლკლორის კურსის წასაკითხად.

ქ-ნი ელენე ვირსალაძის მოგონებიდან:

„ვინც დასწრებია 1927 წლის ოქტომბერში ვახტანგ კოტეტიშვილის შესავალ ლექციას, რომლითაც მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ფოლკლორი დაიწყო, მუდამ ემახსოვრება მგზნებარე ტემპერამენტით, ფართე ერუდიციით და მაღალი პოეტური გემოვნებით აღბეჭდილი მისი სიტყვა, რომელმაც სწრაფად დაიპყრო და დაიმორჩილა მრავალრიცხოვანი და მაღალკვალიფიციური აუდიტორია.

უნივერსიტეტის ერთ-ერთი ყველაზე დიდი დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით. ლექციას ესწრებოდნენ: ივანე ჯავახიშვილი, კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი ქართველ მეცნიერთა ბრწყინვალე პლეადა, რომელიც უნივერსიტეტისათვის ახალი, ნიჭიერი ძალის შემატებით ხარობდა.

ყველასათვის ცხადი გახდა, რომ ქართული კულტურის დიდმა და მნიშვნელოვანმა უბანმა, ქართულმა ხალხურმა სიტყვიერებამ, ჰპოვა თავისი სანდო პატრონი და ჭირისუფალი.

იმ დღიდან მოყოლებული, ვახტანგ კოტეტიშვილის ლექციები იტაცებდა ახალგაზრდობას, უნერგავდა მას ქართული ფოლკლორის დიდ სიყვარულს, ჩვენი ხალხის პოეტური სიტყვის გენიის რწმენასა და პატივისცემას.

უნივერსიტეტში ვახტანგ კოტეტიშვილს მარტო ვერ ნახავდით. სტუდენტთა გუნდით გარშემორტყმული, მუდამ პირმცინარე, მუდამ აღელვებული, მოელვარე იუმორით აღსავსე იგი კამათობდა, არწმუნებდა ურწმუნოთ, ქადაგებდა ქართული ფოლკლორის დიდ მხატვრულ, შემეცნებითსა და ისტორიულ ღირებულებას, მისი სასწრაფოდ შეგროვებისა და შესწავლის აუცილებლობას".

საიმდროოდ, იგი უკვე ცნობილი ლიტერატორი გახლდათ. ჯერ კიდევ 1912 წელს „სახალხო გაზეთში" დაიბეჭდა მისი ვრცელი წერილი: „საზოგადოებრივი მოტივები არჩილ მეფისა და დავით გურამიშვილის შემოქმედებაში". მერმე საფუძვლიანი გამოკვლევა დაურთო არაგვისპირელის ერთტომეულს, სათაურით „შავი წიგნი". თამამად ვიტყვი, არაგვისპირელის შემოქმედებაზე დღემდე უკეთესი არა დაწერილა რა. უთუოდ გახსენების ღირსია მისი მრავალრიცხოვანი ესსეები - „უიტმენი - რევოლუციის პოეტი", „ეგ. ნინოშვილი და ანტ. ფურცელაძე", „აზიისაკენ", „შორეული", „ბაირონი", „ლიტერატურული აზროვნება" და კიდევ მრავალი, რომელთაც იგი, სხვა ჟურნალ-გაზეთებთან ერთად, საკუთარი რედაქტორობით გამომავალ, ძალზე სოლიდურ გაზეთში - „ქართულ სიტყვაში" ბეჭდავდა. ხსენებული ესსეები გამოირჩევა როგორც აზროვნების სილრმისეული ორიგინალობით, ისე სტილის, გადმოცემის სინატიფითაც.

ჭეშმარიტად გასაოცარია: სულ ახალგაზრდა კაცმა შეძლო პრაქტიკულად თითქმის შეუძლებელი, რაღაც სამიოდე წელიწადში დაწერა და გამოსცა „ქართული ლიტერატურის ისტორია" (XIX საუკუნე). მართალია, მას ჰყავდა წინამორბედები კ. აბაშიძის „ეტიუდებისა" და ა. ხახანაშვილის „ქართული სიტყვიერების ისტორიის" სახით, მაგრამ ვ. კოტეტიშვილის „ისტორია" თავისი ახლებური მეთოდოლოგიით, პრობლემების სიუხვითა და მასშტაბურობით, გადმოცემის სინათლითა და ერთგვარი პოეტური სტილიზებით, წინ გადადგმული ნაბიჯი არის. ეს „ისტორია" დღემდე სამაგიდო წიგნად რჩება და მკაფიოდ ინარჩუნებს ინდივიდუალობას იმ მრავალრიცხოვანი, უსახური ოპუსებისაგან განსხვავებით, რომლებიც უხეში სოციოლოგიური მეთოდით არიან დაწერილნი და დღეს მათი ხელში აღება პრიმიტიულობის უსიამოვნო განცდის მეტს არაფერს იწვევს.

ცალკე უნდა გამოიყოს ვ. კოტეტიშვილის ინტენსიური მუშაობა ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებასთან დაკავშირებით:

იქნებ მკითხველმა არ იცოდეს, რომ ჟურნალმა „მნათობმა", გამოსვლისთანავე, 1924 წელს, დაიწყო პუბლიკაცია ელისაბედ ყაზბეგის (ალექსანდრეს მკვიდრი ბიძაშვილი იყო) ვრცელი მემუარული წიგნისა

- „მასალები დიმიტრი და ალექსანდრე ყაზბეგის ბიოგრაფიისათვის“. მემუარები სენსაციური ხასიათისა გახლდათ. ელისაბედი, არც მეტი, არც ნაკლები, ამტკიცებდა, რომ ალექსანდრეს ცნობილი მოთხრობები და რომანები, სინამდვილეში, დიმიტრის ეკუთვნოდა, ხოლო ალექსანდრემ ჩაიდინა პლაგიატი, უსინდისოდ გაძარცვაო იგი.

მემუარები ისეთი დამაჯერებელი ტონით იყო დაწერილი, რომ საზოგადოება უმალ ორ ნაწილად გაიყო: ერთნი თავგამოდებით მიემხრნენ ელისაბედს, მეორენი კატეგორიულად უარყოფდნენ ამ ჰიპოთეზის დაშვებასაც კი. სიმართლე რომ მეორეთა მხარეზე იყო, ეს ცხადად ჩანდა მათთვის, ვისაც ნამდვილი ლიტერატურული ალღო და შემოქმედებით ფსიქოლოგიაში წვდომის ელემენტარული უნარი გააჩნდა, მაგრამ საქმეს ართულებდა ზოგიერთი მემუარისტის დაჟინებული უარყოფითი დამოკიდებულება ალექსანდრეს (ერთი შეხედვით, საკმაოდ დამაჯერებელი) პიროვნების მიმართ.

სიტყვას აღარ გაეაგრძელებ. ეს დეტექტიური რომანისთვის შესაფერისი პერიპეტიები ალბათ ცნობილია სპეციალისტებისათვის, ხოლო ვისაც არაფერი სმენია, ეურჩევ, წაიკითხოს ვ. კოტეტიშვილის წიგნი „ალექსანდრე ყაზბეგი და მისი ავტორობის საკითხი“, რომელიც ეჭვებისათვის საერთოდ აღარ ტოვებს ადგილს.

ამ გამარჯვებაში ვახტანგ კოტეტიშვილს ლომის წილი ედო. იგი რომ არ ყოფილიყო, ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილი ვერასოდეს მოიშორებდა სამარცხვინო ლაქას, წამებული რაინდის, ალ. ყაზბეგის სულის აწრიალებისათვის რომ დააჩნდა მათი ფრაკის ლაცკანებს. ალ. ყაზბეგი კვლავ ამაყად შუბლდადაფნული დაუბრუნდა ქართულ მწერლობას. ხოლო მისი დაცვა და, თუ გნებავთ, გადარჩენაც, ნამდვილ ლიტერატურულ-ზნეობრივ გმირობად უნდა შეფასდეს.

გარნა იმ საბედისწერო 1937-მდე, წლების მრავალფეროვანი კრიალოსანია ჩამოსამარცვლი. მწერალთა I ყრილობაზე ვ. კოტეტიშვილიც ერცელი სიტყვით გამოვიდა. გამოსვლა, უმთავრესად, ეროვნულ პრობლემასა და სამომავლო კულტურის პერსპექტივებს დასტრიალებდა. აგრეთვე: მიეღოთ, თუ არ მიეღოთ ე. წ. საბჭოთა წყობილება. ამ უკანასკნელზე ვ. კოტეტიშვილის აზრი ასეთი გახლავთ:

„ქართული მწერლობისათვის რადიკალიზმი, მემარცხენეობა არ ყოფილა ახალი, ძნელადმისაღები, სადაო და, თუ ასე იყო ჩვენამდე, მით უფრო თამამად შეიძლება ლაპარაკი ჩვენს შესახებ, რომელნიც არც დიდი გვარიშვილობით ვართ დატვირთულნი, არც დიდ ფუფუნებაში გვიცხოვრია, არამედ ჩვენ ყველა, იმაეე პროლეტარიატის ცხოვრებაში ვიმყოფებოდით და ვიმყოფებით. ჩვენს ზურგზე ბევრ საშინელებას გადაუვლია, მეფური რეჟიმის სისასტიკე გამოგვიცდია, წლობით გვიშიმშილია, მაგრამ ყოველთვის ერთი აზრით

გეისულდგმულია, რომ როგორმე ჩვენი კულტურის საქმე ავამაღლოთ, რომ ჩვენი ხალხი განათლების მოწინავე რიგებში ჩავაყენოთ. დღეს მშრომელი ხალხი სამოქმედოდ არის გამოსული. გუშინდელი ოცნება აცხადებულია და ამ პირობებში, ქართული მწერლობა უნდა იყოს რევოლუციის მხარეზე თუ არა ეს კითხვა ჩვენთვის არც არსებობს".

„მაგრამო, დასძენს ვ. კოტეტიშვილი, ვერვინ უარყოფს იმასაც, რომ იყო დამაშორებელი პირობები საქართველოს ინტელიგენციასა და მმართველ ხელისუფლებას შორის. ამ სიშორეს ჰქონდა სულ სხვა ნიადაგი და სახელდობრ: ისეთი საკითხები, რომლებიც დიდხანს იყო გამოურკვეველი. მე ნაციონალურ საკითხს ვგულისხმობ. ქართული მწერლობა ერთგვარად შეშინდა, ზღარბივით ეკლები გამოუშვა და შეიკუმშა, თითქოს რაღაც მოსალოდნელი საფრთხის წინაშე იდგა".

აი, სწორედ აქ იყო დამარხული ძაღლის თავი! ქართული მწერლობა მართლაც შეშინდა, იგრძნო, რაღაც დიდი საფრთხე ელოდა და სულ მალე აუხდა კიდეც წინათგრძნობა. იმძლავრა რბევამ და რეპრესიებმა.

ვახტანგ კოტეტიშვილი არ იყო შემგუებელი ბუნების კაცი, მძიმე ქართლური ხასიათი არ აძლევდა ნაირნაირი მანევრირების საშუალებას, დღეს თქმულს, ხვალ უკან ვერ წაიღებდა, პირდაპირი იყო და უკანდასახევ გზებს, ჩვეულებრივ, არ იტოვებდა, ელასტიურობა აკლდა. სხვას, შედარებით მობილურს, იქნებ ეპოვნა გამოსავალი იმ მძიმე მდგომარეობიდან. მან ვერ იპოვნა, ამიტომაც დაიღუპა. კი, რაღა თქმა უნდა, ეშინოდა, მაგრამ, შიშმა მაინც ვერ გახადა დრეკადი, მისი თითზე გადახვევა შეუძლებელი აღმოჩნდა.

დაიღუპა 45 წლის ულამაზესი ვაჟკაცი, დიდი ინტელექტუალი და უდიდესი მამულიშვილი.

მის მიერ შედგენილ „ხალხური პოეზიის" ბრწყინვალე კრებულში, რომელსაც დღესაც არა ჰყავს ბადალი, არის ერთი ოთხსტრიქონიანი ლექსი:

„გამაგრდით, არხოტიონნო,
გატეხით რა იქნებისა?
ვისაც მოგვიკვლენ, დავმარხოთ,
სხვა კიდევ დაიზრდებისა".

დარწმუნებული ვარ, დახვრეტის წინ, ვახტანგ კოტეტიშვილს სწორედ ეს ლექსი უხმიანდებოდა გონებაში.

თავი მეხუთე

„გვინდა გავმართოთ მხარე ქართული“

საბჭოთა დიქტატურის დამყარების ჟამს, 1921-ში, პაველე ინგოროყვა 28 წლის ყმაწვილი კაცი იყო, მაგრამ, ამის მიუხედავად, უკვე გააჩნდა მეცნიერულ-ლიტერატურული მოღვაწეობის რიგიანი გამოცდილება. გაევლილი ჰქონდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის სოლიდური სკოლა (1914-1915), ჯერ კიდევ 1913 წელს გამოსცა ფუნდამენტური გამოკვლევა „ძველი ქართული სასულიერო პოეზია VII-XV საუკუნეებისა“, ხოლო დამოუკიდებელი საქართველოს წლებში ორი, მცირე მოცულობის, თუმც მნიშვნელობით უაღრესად აქტუალური ნაშრომი: „საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ“ და „კავკასიონის ქვეყნების ტერიტორიული გამიჯვნის გამო“.

ვისაც რევაზ გაბაშვილის დიდად საინტერესო, მემუარული წიგნი „რაც მახსოვს“ წაუკითხავს, მან იცის, თუ როგორი ვაჟკაცური შეუპოვრობა გამოიჩინა პაველე ინგოროყვამ, როდესაც დანჯღრეული გემით, აბობოქრებულ ზღვაში, ვითარცა საქართველოს მთავრობის საგანგებო მისიის წარმომადგენელი, თურქეთს მიემგზავრებოდა. საერთოდ, ღრმა ცოდნაზე დაფუძნებული დიდნიჭიერებით, კაცური და მეცნიერული პრინციპულობით, მამულიშვილური იდეალების თავგადაკლული, ფანატიკური მსახურებით, იგი XX, პრაგმატისტულ საუკუნეში გრიგოლ ხანძთელის, მთაწმინდელებისა და სულხან-საბას ტიპის მოღვაწედ წარმოგვიდგება. სწორედ ამიტომ იყო, რომ ოციანი წლების ქართულ კულტურულ წრეებში პაველე ინგოროყვა სრულიად განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობდა. მას უსმენდნენ, მისი სჯეროდათ, ზოგჯერ კი პოეტური შთაგონების წყაროდაც გადაიქცეოდა ხოლმე. აი, პაოლო იაშვილის ლექსი (1921 წ.):

„გადამეტებით, ტანჯულ დღეებით წარსული ჰკივის უკუღმართული: ჩვენ კი უტკბილეს სამოთხეებით გვინდა გავმართოთ მხარე ქართული. საუკუნო ცხელ თავანებით ჩვენი სამშობლოს მზეში დნებიან, მაგრამ ჯერ კიდევ ქარავანები სცლიან ოქროებს ძველ მადნებიდან. მიწა მსუქანი სისხლის დალევით შენ შეგეათვისე - იმედიანი, და გულში გივლის მკიაან ალივით შენ რუსთაველის

მერიდიანი. ძმაე ინგორუყო! ჩვენება არი და ტკბილის ტანჯვით მოსაგონები მწველ ინდუსტანში ქართული ჯარი და ტრაპიზონში გარნიზონები. დაგვიბრუნდება ეს ნეტარება ამაყ დღეების გადაჩეულებს? თუ პოეზია შეედარება ჯვარზე გასალტულ წმინდა რჩეულებს? ძმაე ინგორუყო! პოეტო ადრე და მერმე დარდო წარსულ დიდების: გულს პოეზია იჭვებით ანგრევს და სისხლს დაპყრობა პირამიდების".

ხოლო მარადდაუეწყარმა გურამ ასათიანმა მისთვის დამახასიათებელი ბრწყინვალებით გამოჰკვეთა პ. ინგოროყვას პროფილი ერთ მცირე მოცულობის ესსეში. მე მეჩვენება, რომ გ. ასათიანმა ჩვენი თაობის თვალთახედვით შეაფასა იმ ადამიანთა სამარადჟამო ღვაწლი, რომლებმაც ბოლშევიკურ „რკინის საუკუნეში" საქართველო სულიერი სიკვდილისაგან იხსნეს (მომყავს კუპიურებით):

„XX საუკუნემ ჩვენს ქვეყანაში დაჰბადა არა ერთი და ორი გასაოცარი პოტენციის პიროვნება. მათი ერთად მოსვლა, მათი ნიჭიერების (თითქოს მოულოდნელი) აფეთქება ილიას ეპოქის მიერ იყო მომზადებული. სწორედ ილიას გენიამ მოიხმო ისინი საასპარეზოდ, რათა ძველ, დიდგზაგამოვლილ ქვეყანას ახალ დროში შეკრთომა, ან სულიერი დაძაბულობა არ დასტყობოდა.

ამ ახალ ფორმაციის პიროვნებებს თან დაჰყვათ ალღო და გაქანება, ფართო გონებრივი თვალსაწიერი, ახალ, მანამდე შეუვალ მწვერვალებთან შერკინების წადილი.

ეს უსაზღვრო პოტენცია ისეთივე მასშტაბის საქმეებში უნდა დახარჯულიყო დიდ აღმოჩენებში, დიდ ძერებში, დიდ გარდაქმნებში. სხვანაირად მათ ცხოვრება ვერ წარმოედგინათ. ამავე დროს, ყველა ამ მოქმედებას უნდა ჰქონოდა უპირველეს ყოვლისა ეროვნული მიზანდასახულობა, ქართველი ხალხის შემოქმედებითი სულის შემდგომი აღმასვლა და აღორძინება.

პავლე ინგოროყვას რომ მეცნიერის უმძიმესი უღელი არ ამოერჩია, მისი ელვარე ნიჭი მაინც გამონახავდა რაიმე ისეთივე სიმძიმეს, ასეთსავე კეთილშობილურ ტვირთსა და ადრე თუ გვიან, მაინც აიტანდა ამ ახალ აღმართზე.

მისი მამოძრავებელი მუდამ ერთი იყო: ქართველი ერის მიერ საუკუნეთა მანძილზე გამოსხივებული სასწაულმოქმედი ენერგიის, მისი საკაცობრიო კულტურული წვლილის მთელი სიდიადით წარმოჩენა.

პავლე ინგოროყვა იშვიათი ყალიბის ქართველი, განსაკუთრებული სულიერი წყობის პიროვნება თავისებურად ერთადერთი. „ქართული სული" მის არსებაში მხოლოდ მაღალი,

წმინდა სახეობით ცოცხლობს.

ამ რჩეული მოდგმის წყალობით შევინარჩუნეთ ჩვენ ჩვენი თვისტომობის ამაყი შეგნება. სწორედ ასეთმა ადამიანებმა შემოგვინახეს და სასოებით მოგვანდეს ჩვენ ის, რისი გადარჩენაც, თითქმის თეორიულადაც კი, შეუძლებელი იყო. სწორედ მათ გამოსტაცეს ულმობელ დროს, ჟამთა სიავეს, ათასი ურჩხულის ხახას ის, რაც ყველა ნიშნის მიხედვით, თვით განგების მიერ იყო განწირული იავარსაყოფად" (გ. ასათიანი, თანამდევი სულები, 1983 წ.).

ამ ზუსტსა და აწონილ სიტყვებს დამატება არ ესაჭიროება.

1921 წლის 25 თებერვალი დიდი ტრაგედია იყო პავლე ინგოროყვასთვის პირადად. დაინგრა, თვალწინ გაცამტვერდა წლობით ნალოლიავები იდეა დამოუკიდებელი, მტკიცე, ერთობლივი მატერიალურად და კულტურულად აყვავებული საქართველოს შექმნისა. მოვიდა უცხო ძალა, რომლისთვისაც სრულიად უცხო იყო ჩვენი ხალხის ფესვეული ინტერესები. ერის ნამდვილმა მესვეურებმა, მათ შორის, რაღა თქმა უნდა, „შავჩოხიანებმა", უმალვე აიღეს ალღო, რომ უხეშ, მტრულ სტიქიას კულტურული ძალების კონსოლიდაციითა და შემოქმედებითი აქტიურობით უნდა დაპირისპირებოდნენ. და აი, 1924 წელს, როცა აჯანყებული საქართველო სისხლში იხრჩობოდა, პავლე ინგოროყვას თაოსნობითა და რედაქტორობით გამოვიდა ჟურნალი „კავკასიონი" № 1-2, რომელიც მერმე, გვიან, ისტორიამ შეაფასა, როგორც ნამდვილი ზეობა ქართული სულისა. ამის შესახებ ბევრია თქმული და სიტყვას არ გავაგრძელებ. ვიტყვი მხოლოდ, რომ სხვა თუ არაფერი, „კავკასიონმა" ქართულ მწერლობას დაუბრუნა მიხეილ ჯავახიშვილი, თავისი „ტყისკაცით".

აი, რას წერს პავლე ინგოროყვა ჟურნალის მოწინავეში:

„ჩვენი ჟურნალი, თუმცა იგი არის ორგანო მწერალთა კავშირისა, მაგრამ მისი ინტერესები არ შემოიფარგლება მხოლოდ ლიტერატურით. ქართულ მწერლობას აქვს საპატიო ტრადიცია, იყვეს მესვეური მთელი ქართული კულტურისა და იგი ეხლაც ვერ აუვლიდა გვერდს ამ გზას. „კავკასიონი" ყურადღებას აქცევს ქართული კულტურის ყველა დარგს.

ჟურნალი პირველ რიგში დაუთმობს თავის ფურცლებს ქართულ მხატვრულ მწერლობას, ქართული ლიტერატურული საკითხების განხილვას. აქ საჭიროდ მიგვაჩნია ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ჟურნალი დგას ყოველგვარ ვიწრო ლიტერატურულ-ჯგუფური ინტერესების გარეშე, მწერალთა კავშირი, რომლის ორგანოა „კავკასიონი", შეეცდება იყვეს

მიუდგომელი და მოგვცეს მთლიანი სახე ქართული მწერლობისა. ყველა თანამედროვე ლიტერატურულ დაჯგუფებებსა და სკოლებს, რამდენადაც ისინი მართლა წარმოადგენდნენ ლიტერატურულ მოვლენას, დაეთმობათ ადგილი ჟურნალში. ერთადერთი საზომი, რომლითაც იხელმძღვანელებს ამ შემთხვევაში „კავკასიონი“, ეს არის იდეები იმ მარადი ხელოვნებისა, რომელიც მაღლა დგას წარმავალ ლიტერატურულ მოდაზე, ყოველგვარ „მემარჯვენეობასა“ და „მემარცხენეობაზე“, მარადი ხელოვნებისა, რომელიც არასოდეს ბერდება“.

ეს ძალზე თამამი, რისკიანი დაპირისპირება იყო ოფიციოზთან, რომელიც ცეცხლითა და მახვილით ამკვიდრებდა თავის დიქტატს ლიტერატურაში და კულტურაში საერთოდ. მაგრამ როცა საქმე ერის ინტერესებს ეხებოდა, იქ პაულე ინგოროყვასთვის პირად საფრთხესა და უსაფრთხოებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. იმ შავბნელ დროში, როცა ილია ჭავჭავაძის ხსენება სალანძღავი ეპითეტების გარეშე „ცუდ ტონად“ ითვლებოდა, პ. ინგოროყვამ დიდი მწერლის თხზულებათა ათტომეულის გამოცემა წამოიწყო და დააგვირგვინა კიდეც, ეს კი, ცხადია, არსმენილ მკრეხელობად ჩაეთვალა მას (სხვათა შორის, ხსენებულ ათტომეულს, დღემდე ახლავს განუმეორებელი ინტიმი და სურნელი, რითაც ის ყველა მომდევნო გამოცემებისაგან სასიამოვნოდ გამოირჩევა). ეს კიდევ არაფერი, განხილული „ახალი კავკასიონის“ სარედაქციო წერილში ყველაზე უფრო მძაფრი და მტკივნეული საკითხის ეროვნულის დასმასაც არ მოერიდა, ძალზე რადიკალური ფორმით:

„არსებობს ერთი ძნელად გადასალახავი დაბრკოლება, რომელიც ქართული მწერლობის ფართო წრეებს ხელს უშლის იმთავითვე დამდგარიყო აქტიური თანამშრომლობის ნიადაგზე საბჭოთა ხელისუფლებასთან.

ამ დაბრკოლებას იწვევს ეროვნული კითხვა.

ქართველი შემოქმედი ინტელიგენციის წრეები ერთგვარ გაორებას განიცდიან ახლად შექმნილ პირობებში: თუ ერთის მხრივ ის სოციალური იდეები, რომლის მატარებლად გამოდიოდა ახალი ხელისუფლება, არ იყო უცხო ქართული მწერლობისათვის, მეორეს მხრივ უნებლიედ იბადებოდა შიში, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლების მიერ აღიარებული ეროვნულ-კულტურული დამოკიდებულების პრინციპები, მისდა უნებურად, ვერ მიიღებდნენ სრულ განხორციელებას, რომ ეროვნული პოლიტიკის ხაზი თანდათან გადაიხრებოდა საქართველოს საზიანოდ. რომ რუსული ენა სტიქიურად დასჩაგრავდა ქართულს, რომ რუსული წიგნი თანდათან დასჩაგრავდა ქართულ წიგნს... ეს მერყეობა და

უნდობლობის გრძნობა ქართველი შემოქმედი ინტელიგენციის წრეებში ადვილი ასახსნელია. მას ნიადაგს აძლევდა ისტორიული რემინისცენცია, იგი იყო გამოძახილი იმ ეროვნული ჩაგვრისა, რომელსაც მთელი საუკუნის მანძილზე განიცდიდა საქართველო იმპერიალისტური რუსეთის ხელში".

საკითხის უფრო მკვეთრად დასმა, მაშინ უბრალოდ, შეუძლებელი იყო. მართალია, ამ სარედაქციო წერილში არის ბაასი საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის თაობაზე, შეხების წერტილების მონახვის ცდებიც, მაგრამ საბოლოო ანგარიშში, პ. ინგოროყვა სრულ კულტურულ ავტონომიას მოითხოვს, რაც საკმარისზე მეტიც იყო იმისთვის, რომ იგი რეაქციონერად და შოვინისტად შეერაცხათ, მაგრამ ეს ცოტა მოგვიანებით მოხდება, მანამდე კი დაიწერება მშვენიერი ესსე გამოკვლევა „ჩახრუხაძე", რომელიც „კავკასიონში" დაიბეჭდა და, ეპოქალური წიგნი „რუსთველიანა", რომლის მოელინებამაც არნახული ინტერესი აღძრა პოეტისა და მისი პოემის ირგვლივ, სრულიად განსაკუთრებულ დონეზე აიყვანა რუსთველოლოგიური პრობლემების კვლევა.

1926 წელს, საქართველოს მწერალთა I ყრილობაზე „შავჩოხიანთა" პოზიცია ერთობლივი იყო (იგულისხმება ინგოროყვა, კოტეტიშვილი, გამსახურდია; აბაშელი სიტყვით არ გამოსულა). ისინი მთელი შესაძლებლობით ებრძოდნენ მთავრობის ანტიეროვნულ ტენდენციებს და ლიტერატურის ავტონომიზაციას მოითხოვდნენ. აგრეთვე, ქართული კულტურის სამომავლო საჭიროებათა აქტუალურ, სისხლხორცეულ პრობლემებს აყენებდნენ. კერძოდ, პ. ინგოროყვამ თქვა (მომყავს ნაწყვეტები):

„მოქალაქენო, მე შევეცდები ვიყვე აქ ბოლომდე გულახდილი და მოგახსენოთ ჩვენი მწერლობის მთავარი ფრთის შესახებ... ძველ მწერალთა კავშირში წარმოდგენილია უპარტიო შემოქმედი ინტელიგენცია, მაგრამ არ დაეფარავ, რომ აქ არის ერთგვარი ნაციონალისტური „უკლონი", ამ მწერლობას ახასიათებს ნაციონალისტური აზრთა განწყობილება. მაგრამ, ვფიქრობ, რომ ეს არ არის მომაკვდინებელი ცოდვა. ნაციონალისტური სულისკვეთების განმტკიცებას ქართველ შემოქმედ ინტელიგენციის წრეებში აქვს თავისი ახსნა და თავისი ისტორია. დაჩაგრული, პატარა ერის ნაციონალიზმი - ნუ შეგვეშინდება ამ სიტყვის - ეს არის თავდაცვის იარაღი. ეს ნაციონალიზმი არ არის რეტროგრადიული მოვლენა, იგი თავისი ბუნებით რევოლუციურია და რადიკალური. რად გავიწყდებათ თუნდაც ის ფაქტი, რომ აღმოსავლეთის პოლიტიკა საბჭოებისა, პატარა ერების ნაციონალიზმს ემყარება და რა

გახდა აქ, ჩვენში, რად არ შეიძლება ასეთი დამოკიდებულების დამყარება ქართულ ნაციონალისტურ ინტელიგენციასთან?...

ჩვენ გვინდა ამოიწუროს ძველი გაუგებრობა, რომ შესაძლებელი გახდეს ჩვენი კულტურული საქმიანობის გაღრმავება. პოლიტიკანობა არ არის მწერლობის საქმე. ჩვენ უნდა ვიმუშაოთ იმ სფეროში, რომლისთვისაც პირდაპირ მოწოდებულნი ვართ, ქართული მწერლობისა და ქართული კულტურის საქმეში".

მერმე პაულე ინგოროყვა ქართული კულტურის ფუნდამენტურ პრობლემებს წამოაყენებს და მათი საჩქაროდ მოგვარების აუცილებლობაზე მიუთითებს:

1) საგამომცემლო საქმის ფეხზე წამოყენება. 2) დაარსება ქართული სიტყვის ინსტიტუტისა. 3) ქართული ენის აკადემიური ლექსიკონის გამოცემა. 4) ქართული ზეპირსიტყვიერების ნიმუშების საჩქაროდ შეგროვების აუცილებლობა.

და ასკვნის:

„ჩვენ დაგვრჩენია გამოვსთქვათ იმედი, რომ ის გარკვეული ეროვნული ელფერი, რომელიც გადაჰკრავს ქართველი შემოქმედი ინტელიგენციის უმრავლესობას, არ დაუშლის ამას ხელს. ვფიქრობთ, რომ ეროვნული მიდრეკილებები, რომელიც ემჩნევა ქართველ შემოქმედ ინტელიგენციას, არ იქნება ხელისშემშლელი იმისა, რომ დამყარდეს კონტაქტი ქართულ ლიტერატურასა და ხელისუფლებას შორის კულტურულ საქმიანობაში. ინტენსიური მუშაობა კულტურის აღორძინებისათვის, მუშაობა საქმით და არა დეკლარაციებით, აი, აქ არის პირდაპირი დანიშნულება ქართული მწერლობისა".

ადვილი წარმოსადგენია, რა გაავებულ რეაქციას გამოიწვევდა ბოლშევიკთა ბანაკში პაულე ინგოროყვას ეს გაბედული სიტყვა. აგერ, მათ ცხვირწინ გამოდიოდა კაცი და ყოველგვარი მორიდების გარეშე ლაპარაკობდა პრობლემებზე, რაც ოფიციოზს საერთოდ არ ეპიტნავებოდა, და თუ მაინცდამაინც, საკუთარ პრეროგატივად მიაჩნდა. ესე იგი, ინგოროყვა სათანადოდ არ აფასებდა კომუნისტების ძალასა და უნარს? საოცარია, და, არ ეშინოდა მათი? არც გამსახურდიას ეშინოდა? ასე გასინჯეთ, არც კოტეტიშვილს?... ამიტომ საჭირო იყო მათი ერთხელ და სამუდამოდ „ჭკუაზე მოყვანა", ანუ ისე დაშინება, რომ საბოლოოდ დაჰკარგოდათ ლაპარაკის ხალისი.

„პირველმა კომკავშირელმა" კ. ლორთქიფანიძემ საჩქაროდ „გამოიჩინა" თავი და „შავჩოხიანებზე" დაწერა:

„მწერალთა კავშირში მოკალათებული ხალხის მტრები, „შავჩოხიანები" ახალგაზრდა მწერლების აღზრდის დარგშიც

ეწეოდნენ მავნებლურ მუშაობას. ეს უკვე გამომჟღავნებული ნაძირალები, ახალგაზრდა მწერლებს უწევდნენ ყოვლად საზიზღარ მეცენატობას და გარყვნილი ჩვევების დანერგვით ძირს უთხრიდნენ კადრების აღზრდის საქმეს".

ვითარება უკიდურესად დაიძაბა:

ახლა, ცხადია, ძნელია ყოველივეს დოკუმენტური სიზუსტით აღდგენა, მაგრამ აი, ეს აუცილებელი ფაქტი კი ხელთა გვაქვს:

„პავლე ინგოროყვა გარიცხულ იქნა მწერალთა კავშირიდან, როგორც აშკარად რეაქციონერი და შოვინისტი მწერალი, რომელმაც ჯერ კიდევ ანტისაბჭოთა ჟურნალის „კავკასიონის" რედაქტორობის დროს, ნათლად გამოამჟღავნა თავისი რეაქციონური და ნაციონალისტური სახე. ასევე რეაქციონური ხაზით ის საქმიანობდა აკადემიურ მწერალთა კავშირში და ეს საქმიანობა მან გამოააშკარავა მწერალთა ყრილობაზე და კრებებზე გამოსვლებშიც, თავისი ანტისაბჭოთა დეკლარაციებით. პავლე ინგოროყვა იყო ქართველი მწერლების რეაქციონერი და შოვინისტი ნაწილის ორგანიზატორი და ხელმძღვანელობდა რეაქციონერ „ქართული წიგნის" გამომცემლობას (სადაც გამოიცა ილიას ტომები, შექსპირის მაჩაბლისეული თარგმანები და სხვა წიგნები, ნამდვილი „სულის პური" რომ იყო ქართველი მკითხველისათვის თ. მ.), რომელიც წარმოადგენს მისი ხელმძღვანელობის დროს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ განწყობილ მწერალთა თავშესაფარს". (კომუნისტი, 1931 წ. № 31).

ეს უკვე სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნა იყო!

იცოდა ეს პავლე ინგოროყვამ? იცოდნენ მისმა მეგობრებმა? რაღა თქმა უნდა, იცოდნენ. მათ უკვე 10 წლის სტაჟი ჰქონდათ ბოლშევიზმთან ფარული თუ აშკარა ბრძოლისა, ისიც მშვენიერად მოეხსენებოდათ, რომ წინ კიდევ უფრო მძიმე და მძაფრი, არნახული და არგაგონილი ბრძოლები იყო მოსალოდნელი (1937 წელი), ამიტომ რა გამოსავლის მონახვა შეიძლებოდა, რომ პ. ინგოროყვას სიცოცხლე ხელყოფას გადარჩენოდა? დარწმუნებული ვარ, ეს პრობლემა ღვიძლეულად აწუხებდა - „შავჩოხიანებსაც" და სხვებსაც. საჭირო არაა ფანტაზიორობა, არც საეჭვო ჰიპოთეზების წამოყენება, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ უკომპრომისო და მახვილიენით პირდაპირმა პ. ინგოროყვამ უკან დაიხია და შინაგანი, თუ გარეგანი იძულებით, ე. წ. „მონანიების" წერილი დაწერა. ამ „მონანიებამ", უნდა ვივარაუდოთ, პ. ინგოროყვას სიცოცხლე შეუნარჩუნა (რადგან ეს წერილი მკითხველთა წრისთვის უცნობია, მომყავს თითქმის მთლიანად):

„საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის

დადგენილებაში, რომელიც გაზ. „კომუნისტში“ გამოქვეყნდა, ჩემს წინააღმდეგ წამოყენებულია მთელი რიგი მძიმე ბრალდებებისა, რომლის მიხედვითაც მე გამორიცხულ ვიქენ საბჭოთა მწერლების ორგანიზაციიდან.

მე უნდა მეყოს მოქალაქეობრივი გამბედაობა განვაცხადო, რომ მწერალთა ფედერაციის პრეზიდიუმის ამ დოკუმენტს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩემთვის, ვინაიდან მან მკვეთრად დასვა ჩემს წინაშე წარსული შეცდომების საკითხი. საბჭოთა მწერლების ხელმძღვანელ ორგანოს ეს დადგენილება ამ მხრივ მართლაც მწარე გაკვეთილი იყო ჩემთვის. ფედერაციის პრეზიდიუმის ეს დოკუმენტი თუმცა გადაჭარბებულია, მაგრამ ერთ რამეში უნდა დავეთანხმო პრეზიდიუმს: შეცდომები იმისი შეცდომებია, რომ იგი გადაჭარბებით და შეუბრალებლად დაახასიათო და ცეცხლის შანთით ამოსწვა. და რამდენადაც სასტიკად და შეუბრალებლად არ მცემდეს მე ეს დოკუმენტი, შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ აქ მოცემულია სიგნალიზაცია ჩემს შეცდომებზე, რაც დროით უნდა იქნეს გამოსწორებული.

რაში მდგომარეობს ჩემი შეცდომები?

გარკვევით დასმულ კითხვებზე მე მეყოფა მოქალაქეობრივი გამბედაობა გარკვეული პასუხი გავცე. ჩემი წარსული მუშაობის სასტიკი და შეუბრალებელი გადაფასების შემდეგ, მე ვხედავ, რომ ყველა ჩემი შეცდომების სათავე ეს იყო ნაციონალისტური გადახრა, აი, აქ არის დასაწყისი და დასასრული ყველა ჩემი შეცდომებისა.

ჩემი ცოდვა და ამასთან, დიდი ცოდვა, რომლისგანაც მე კარგა ხნის მანძილზე ვერ გავთავისუფლდი, ეს იყო, როგორც განვაცხადე, ნაციონალისტური გადახრა. აქ არი სათავე ყველა ჩემი შეცდომებისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა „კავკასიონში“, „აკადემიურ ასოციაციაში“, „ქართულ წიგნში“ და საერთოდ მთელ ჩემ მუშაობაში მწერალთა კავშირის ხაზით. აი, ეს ნაციონალისტური განწყობილება ბოლომდე უნდა იქნეს ამომწვარი, ბოლომდე უნდა იქნეს დაძლეული და აღმოფხვრილი, როგორც შემცდარი და მავნებლური. ამას მე ვგრძნობ მთელი ჩემი შეგნებით - ჩემი წარსული მუშაობის სასტიკი და შეუბრალებელი გადაფასების შემდეგ.

ნაციონალიზმი ეს არის მახინჯი, საბედისწერო მემკვიდრეობა ჩვენი წარსულისა, მას აქვს თავისი ახსნა. იგი იყო გამოძახილი ერთგვარი რეაქცია იმ ეროვნული ჩაგვრისა, რომელსაც მთელი საუკუნის მანძილზე განიცდიდა საქართველო იმპერიალისტური რუსეთის ხელში. ჩვენ შემოქმედ ინტელიგენციის ერთ ნაწილს,

რომლებიც საზოგადოებრივ მოღვაწეობის ასპარეზზე გამოვედით რევოლუციის წინა დღეებში, გვახასიათებდა ეს ნაციონალისტური განწყობილება. წარსულის ბევრ „მადლთან“ ერთად ჩვენი წარსულის ეს დიდი ცოდვაც მივიღეთ მემკვიდრეობით. ეს იყო, თუ გნებავთ, ჩვენი უბედურება და არა ჩვენი დანაშაული. ამან პირადად მე ბევრჯერ წამომაჩოქა, ბევრი შეცდომა ჩამადენინა, ბევრჯერ ამაცდინა სწორ გზას.

ფედერაციის პრეზიდიუმის დოკუმენტი მე „შოვინისტისა“ და „რეაქციონერის“ სახელით მნათლავს. მინდა ვიფიქრო, რომ შოვინისტი არ ვყოფილვარ და მით უფრო რეაქციონერობაზე კატეგორიული პროტესტი უნდა განვაცხადო. ასეთ სიმდაბლემდე მე არ დავმცირებულვარ, მაგრამ ფედერაციის დოკუმენტი იმ მხრივ არის მართალი, რომ ნაციონალიზმსა და შოვინიზმს შორის დიდი ზღვარი არ არის და ვისაც არ ამოუფხერია თავის თავიდან ნაციონალიზმის ფესვები, იგი არაა დაზღვეული, რომ ბოლოს და ბოლოს, შოვინიზმისა და რეაქციონერობის ჭაობში არ ჩაიფლობა.

ეს წარსულზე. ახლა მომავლის შესახებ. საბჭოთა მწერლობა მე პასუხს მომთხოვს ამხანაგ მწერლების მიერ დასმულ საკითხებზე და მე გადაჭრილად და სრულის პასუხისმგებლობით ვაცხადებ: მე ვცნობ ჩემს შეცდომებს და ვაუსებით ვახდენ ჩემს განიარაღებას.

მე ვხედავ, რომ ის საბედისწერო მახინჯი მემკვიდრეობა წარსულისა, - ნაციონალიზმი, სავსებით და ბოლომდე უნდა იქნეს დაძლეული ჩვენში, ვინც ამ სენით ვიყავით შეპყრობილი, ვიდრე კიდევ არის შემორჩენილი რაიმე გადანაშთი ამ ნაციონალისტური სულისკვეთებისა. ეს ჩვენ გვიშლის სწორი და შეუშლელი ნაბიჯით ვიაროთ თანამედროვეობასთან ერთად და მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას ღირსეული თანამშრომლობა გავუწიოთ იმ ისტორიულ ხანაში, როდესაც ახალი ქვეყანა შენდება.

ნაციონალისტური განწყობილების არსებობას თვით ცხოვრებამ გამოაცალა საფუძველი. მე ელაპარაკობ არა იმ ბოროტ ნაციონალიზმზე, რომელიც ნაციონალიზმის საფარქვეშ სხვაგვარი კაპიტალის მოგებას აპირებს, არამედ იმ იდეისტურ განწყობილებებზე, რომლებიც ასცდნენ სწორ გზას და რომელთა ნამდვილი ადგილი მშრომელთა მასების ოჯახშია. ამ ტიპის ნაციონალისტი არის გაუმართლებელი რეციდივი წარსულისა. ასეთი ნაციონალისტი ჰგავს იმ ადამიანს, რომელსაც ვერ შეუმჩნევია, რომ გათენდა და ისევ ანთებული ჭრაქით დადის.

მე გაბედულად, ერთხელ და სამუდამოდ ვიხსნი ჩემს ნაციონალისტურ სათვალეებს და სინამდვილეს პირდაპირ ვუსწორებ თვალს. (...) მე სრული შეგნებით ვღებულობ ჩემს თავზე მოვალეობას,

ვიყო ღირსეული და უმერყეო ჯარისკაცი მშრომელი ხალხის იმ დიდი არმიისა, რომელიც სოციალიზმს ახალ ქვეყანაში აშენებს. („სალიტერატურო გაზეთი", სარედაქციო კოლეგია: რ. გვეტაძე, ნ. მიწიშვილი, შ. რადიანი, (პ-მ რედაქტორი), ა. სულავა, ლ. ქიაჩელი, ს. ჩიქოვანი, ს. წვერავა. 1931 წ. 1.XI).

ალბათ არ შეცდები თუ ვიტყვი, ამ წერილის გამოქვეყნების დღე ყველაზე ტრაგიკული იყო პაველე ინგოროყვას ცხოვრებაში. რაღა არ გადახდენია, რა არ უნახავს და არ განუცდია, მაგრამ ასეთი თვითგვემა არასოდეს. ინანიებდა, მაგრამ რას ინანიებდა, ნება მომეცით ვიკითხო? იმას, რომ ღმერთივით სალოცავი მამულის ერთგულ სარანგად ყოფნას ცდილობდა მიწყივ? იმას, რომ სიტყვით, თუ კალმით, მის უღრმეს კულტურულ ფასეულობათა გამომზიურების დაუცადებელი მუშაკი იყო? მაინც გაიტანეს კანიბალებმა თავისი, პირდაპირ უთხრეს: ან-ან! და პაველე ინგოროყვამაც აირჩია. რადგან სხვა გზა, უბრალოდ არ არსებობდა. მან აღიარა „შეცდომები", რომლებიც არასოდეს ჩაუდენია, მან მოინანია, როცა მოსანიებელი არაფერი ჰქონდა, ალბათ სწორედ ეს ჰმატებდა სულიერ ძალას, რომ არავინ და არაფერი გაუყიდნია ოცდაათ ვერცხლად, კვლავ შეინარჩუნა სულის სიმაღლე და რაც მთავარია, მოიპოვა ყველაზე სანუკვარი რამ: სამერმისოდ ქვეყნისათვის დაუცადებელი მსახურების უფლება! ეს კი გადამწყვეტი ღირებულების მოვლენა გახლდათ, რადგან „ბურუსებში ჩანდა" XX საუკუნის ყველაზე ეროვნული წიგნი, 1000 გვერდიანი „გიორგი მერჩულე", „რუსთველიანის ეპილოგი", მონოგრაფია ბარათაშვილზე, და მისივე ლექსების აკადემიური გამოცემა, მონოგრაფიები ილიაზე, აკაკიზე, ძველქართული საგალობლების სანოტო სისტემის ამოშიფვრა, ხეთური იეროგლიფების წაკითხვა და კიდევ, მრავალზე მრავალი ქველი საქმე, ღირსეულად დამამშვენებელი ქართული კულტურისა.

დიახ, მაშინ, ოცდაათიან წლებში, ეს ყოველივე ბურუსებში ჩანდა მხოლოდ.დღეს კი თამამად შეიძლება ვთქვათ: ღირდა, ნამდვილად ღირდა „მონანიება" იმად, რომ პაველე ინგოროყვას შემოქმედება დიდ მამულიშვილურ ტაძრად წამომართულიყო შთამომავალთა წინაშე.

„მონანიება" კი დარჩება სულის შემძვრელ დოკუმენტად, რომელშიაც „უდროობის წლების" მთელი ტრაგიზმი ინაკვთება.

თავი მეექვსე

„დაეცა ლოცვა და პოეზია“

ალექსანდრე აბაშელის (1884-1954) მოსვლა ქართულ პოეზიაში სენებედნიერი გამოდგა. თავის დროზე (1911 წ.), „სახალხო გაზეთი“ წერდა: „პოეტთაგან განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა ალ. აბაშელმა. მას ყოველთვის ლამაზი და მოხდენილი ლექსი აქვს. გულწრფელი და ნაზი ლექსები აბაშელისა, შესამჩნევად ერჩევა მრავალ სხვა მელექსეთა ნაწარმოებებიდან“.

ცოტა უფრო მოგვიანებით, 1913 წელს, „თემის“ მიერ გამოცხადებულ ერთი ლექსის კონკურსზე ალ. აბაშელს გაუმარჯვნია. გაზეთმა მკითხველს ამცნო:

„16 იანვარს აკაკიმ თავის ხელით გახსნა კონვერტი ა. აბაშელის ლექსი „მზე“ და გადასცა ჯილდო სიტყვებით: „ჩვენს ახალგაზრდა, საამაყო მგოსანს“.

სხვა რაღა ჯილდო უნდა ენატრა 29 წლის ახალგაზრდას, თვით დიდმა აკაკიმ დაულოცა პოეზიაში გზა და საამაყო მომავალი უწინასწარმეტყველა. მანამდე კი, პოეტმა რევოლუციური მუშაობის რთული გზა განელო.

აქ არ უნდა გამოგვრჩეს ერთი, არსებითი მნიშვნელობის ვითარება: დიახ, ქართული ინტელიგენციის დიდი ნაწილი რევოლუციის თაეგამოდებული მომხრე იყო, ზოგი მხურვალედაც მონაწილეობდა მასში, მაგრამ ეს იმიტომ, რომ რევოლუცია მათ ეროვნული თავისუფლების მოპოვების გზად ესახებოდათ, ხოლო კლასთა ბრძოლაზე, მით უმეტეს, პროლეტარიატის დიქტატურაზე და სხვა ამგვარზე, რასაც რუსი და ქართველი მარქსისტები თაეგამოდებით ქადაგებდნენ, მათ არ ჰქონდათ მთლად ნათელი წამოდგენა. გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ საქართველოში რუსის არმიების შემოჭრამ 1921 წლის 25 თებერვალს, კანონიერი მთავრობის დამხობამ და სისხლიანი დიქტატურის დამყარებამ, ჩვენს ინტელიგენციაში მკვეთრად გამოხატული უარყოფითი დამოკიდებულება გამოიწვია. მათ შორის ალექსანდრე აბაშელიც გახლდათ. მისი ცნობილი სტრიქონები, ამ აზრს თვალნათლივ ადასტურებს: „და ერის ტანჯვის გამომსახველი, იზრდება გულში ორი მწვერვალი, ერთი ნაღველის ორი სახელი, კრწანისის ველი

და თებერვალი". მაშინ ამ სტრიქონებით გამოსვლა მოქალაქეობრივ გმირობას უდრიდა და, როგორც ვხედავთ, ალ. აბაშელს უკან არ დაუხევია, ამაყად აზიდა შინაგანად თავისუფალი პოეტის დროშა. პოეტისა, რომელიც მხოლოდ იმას წერდა, რასაც ფიქრობდა და არ მალავდა, რომ ანტიპატიით იყო გამსჭვალული საბჭოთა დიქტატურის მიმართ.

„აკადემიური ასოციაცია", დამოუკიდებელი გაერთიანება ლიტერატორთა, ალექსანდრე აბაშელის უშუალო მონაწილეობით დაარსდა. ეს მოხდა საქართველოს გასაბჭოების პირველსავე წელს. ასოციაციაში თავი მოიყარა შემოქმედებითი ინტელიგენციის იმ ნაწილმა, რომელიც უკმაყოფილო იყო არსებული პოლიტიკური ვითარებით. პერიოდული ორგანო, რომელიც საკმაოდ ზუსტად ასახავდა მათს სულიერ განწყობილებას, გახლდათ ჟურნალი „ხომალდი", რომელსაც ალ. აბაშელი რედაქტორობდა. აქ დაიბეჭდა მისი არაერთი ლექსი და წერილი, სადაც პოეტი, ხან პუბლიცისტური გააფთრებით ებრძოდა საძულველ რეჟიმს, ხან კიდევ ნაღელიანი, მჭმუნვარე ლექსთა სტრიქონებით იოხებდა გულს.

აი, ნაწყვეტი მისი წერილიდან - „პროლეტარიატი და ხელოვნება", რომელიც დონალის ფსევდონიმით დაიბეჭდა ჟურნალში:

„რაც შეეხება პროლეტარ-პოეტების დღევანდელ შემოქმედებას, სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ მათ ჯერხანობით ვერ შეძლეს რაიმე ახალი ღირებულების შექმნა. იწერება აუარებელი ლექსები, ასპარეზზე გამოსულია მთელი წყება პოეტებისა, მაგრამ ვერცერთი ვერ გასცილებია ძველ შაბლონს, არათუ არა სჩანს ახალი, ძველისაგან არსებითად განსხვავებული კულტურის სახე, უბრალო ლიტერატურული სკოლაც არ არის ჩამოყალიბებული იმ სახით, როგორითაც ახალი სკოლები იქმნებოდა წარსულში. ლექსების ფორმა ახალმა პოეტებმა ვერ გარდაქმნეს და შინაარსიც ძალიან გაამარტივეს. ფაბრიკის საკომურები, მანქანები, ოქტომბერი, კრემლი, ისპოლკომი, ელექტროფიკაცია და სხვა ამგვარი სიტყვები, აი, რა მასალა ასაზრდოებს დღეს პროლეტარულ პოეზიას. პოეზია გადაიქცა პროპაგანდააგიტაციის იარაღად. შესაძლოა, უაღრესად პოლიტიკურ მომენტში პოეზიისთვის აუცილებელი იყო ამ გზით სელა, მაგრამ როცა საკითხი დგას ახალი პროლეტარული პოეზიის შესახებ, ვიწრო უტილიტარული მოსაზრება ადგილს უნდა უთმობდეს მაღალს, მნიშვნელოვან თვალსაზრისს. პროლეტარული ხელოვნების ზურგს უკან დგას ათასწლობით განმტკიცებული და შემუშავებული მდიდარი ხელოვნება, გაბრწყინებული მრავალ თაობათა სულიერი გრძნობით. როგორ შეიძლება ასეთი ტრადიციებით გამაგრებულ მხატერულ

ღირებულებათა დაძლევა სააგიტაციო, მყვირალა ლექსებით? პროლეტარულმა ხელოვნებამ უნდა დაჩრდილოს წარსული ეპოქის შემოქმედება, თუ მას სურს ისტორიული მემკვიდრის გვირგვინი".

შეუპოვარი, გაბედული კაცის დაწერილია ეს! მაშინ, როცა პროლეტარული მწერლები მტრულად უღრენდნენ ე. წ. არაპარტიულებს და მათთვის „თანამგზავრის" წოდებასაც ძლივს იმეტებდნენ, ასეთი სტრიქონების დაწერა მხოლოდ უშიშარ მწერალს თუ შეეძლო. როგორც ეხედავთ, აქ პირდაპირ არის მითითებული პროლეტარული ლიტერატურის უნიათობაზე და არც მწვავე ირონიაა მაინცდამაინც დაფარული.

საბჭოთა რეჟიმის დამყარებამდე, ალ. აბაშელი ორი პოეტური კრებულის ავტორი იყო. ესენია „მზის სიცილი" (1909-1913) და „ანთებული ხეივანი" (1913-1920). ამ კრებულებში თავი მოიყარა ყოველივე საუკეთესომ, რაც რევოლუციამდე და რევოლუციის შემდგომ ჰქონდა პოეტს დაწერილი.

აღსანიშნავია, რომ თავის დროზე, კ. გამსახურდიამ მოკლე, მაგრამ შთამბეჭდავი წერილი უძღვნა „ანთებულ ხეივანს" (1923) (აქვს უფრო მოგვიანებით, 1957-ში დაწერილი ესსეც), მომყავს იგი მთლიანად, რამეთუ შემდგომ მოგვეხმარება, აბაშელზე, როგორც პოეტზე, საბოლოო აზრის გამოკვეთაში:

„საშა აბაშელი უთუოდ საყურადღებო მოვლენაა ჩვენს უახლესს პოეზიაში. ლიტერატურულ-ისტორიულადაც იგი ფრიად საინტერესო პოეტია, აბაშელის სახით სრული თემატური რევოლუცია იწყება.

XX საუკუნის პოეზიაში უნდა მომხდარიყო ამ მხრივ რადიკალური გარდატეხა. თემატურად XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა ძლიერ ღარიბია: ვარდი, ბულბული, ერი, კლასობრივი და ეროვნული ჩაგვრა - ეს იყო მთელი მოტივები იმ დროის პოეზიისა და ლიტერატურის. თითქოს ამ საგნების მეტი სხვა სათქმელი არ იყო რა. ვაჟა განზე დარჩა, რადგან იგი ქართული ლიტერატურის ორგანული განვითარების შედეგი არ ყოფილა. საშა აბაშელის პოეზიაში უკვე ელავენ კოსმიური პრობლემები. პოეზია რუსთაველსაც ესმოდა, მხოლოდ ვითარცა „სიბრძნის დარგი". ის მწერალი, რომლის ლექსი ისე არ გამოსახავს სამყაროს, როგორც დილის ცვარი, ყაყაჩოს წამწამებზე დაკიდებული, მწერლად არ ჩაითვლება. აბაშელის პოეზია უაღრესად კოსმოცენტრულია. ქართული შემოქმედების წინაშე დღეს გენერალური პრობლემაა: გადავლახოთ ვიწრო ეთნიური ფარგლები! ეთნოგრაფიული ფერადებით საშუალო საუკუნის პოეზია თუ დამშვენდებოდა.

ძირს პროვინციალიზმი, ძირს „ეთნოგრაფია!“

ხელოვნებაში ესაა მორიგი ლოზუნგი თანადროულობის. ქართველი შემოქმედი ყოველთვის უნდა მზად იყოს, რომ მის ლექსს, მის რომანს, მის დრამას სხვა კულტურული ერის შემოქმედებას დაუპირისპირებენ. ამ შეჯიბრებაში ვინც გაიმარჯვებს, იგი საქართველოს მარადიულ სულსაც გაამარჯვებინებს. აბაშელის მეორე წიგნში მოთავსებული ლექსები უკვე ნაცნობი სიმღერებია ჩვენთვის. პოეტი აღიარებს:

მევე შემძულდა ჩემი ნაწერი
და მინდა ჩქარა გამოვეთხოვო.

როგორი მიამიტი პოეტური თავმდაბლობაა! ის ადამიანი არასოდეს დაბერდება (არც მისი ნაწერი დაბერდება), რომელსაც თვითდაძლევის მუდმივი იმპულსი მოეპოვება.

ეს ლექსები მე ერთ საღამოს გადავიკითხე. წიგნმა უდიდესი „ეგზამენი“ დაიჭირა. სპარსული ხალიჩასავით მოჩითული პოეტური სახეები, არსად გადაჭარბებული ფერადების დამუქება, არსად ბანალობა, არსად გადამღერება.

როგორი ნათელი და კრისტალური პოეტური სახეები, გასაოცარი იდეების სირთულე: ამიტომაც არ მოგწყინდებათ ამ ლექსების კითხვა. პოეტს ფრიად რთული იდეების სამყარო აქვს. მართალია, აბაშელის სახეები არ აეკვიატება თქვენს ხსოვნას, როგორც ლექსები რაინერ მარია რილკესი, აბაშელის სახეები ვიზიონერულ ჰალუცინაციებსავით მოქმედებენ, მაგრამ ეს ის ცხადლივი ვიზიონერული გამოცხადებანი გახლავთ, რომელზედაც გოეტე გვიამბობს.

არის მომენტი, როცა არ გინდა ადამიანს მძიმე და კოშმარული ვიზიონები, არის წამი, როცა გინდა პოეზიის მარაო ოდნავი რხევით გეთამაშებოდეს შუბლზე, მაშინ აიღეთ აბაშელის ლექსები“ (კ. გამსახურდია, ტ. VII, გვ. 458).

ამ პატარა ესსეში ზოგი რამ იქნებ სადავო იყოს, მაგრამ წერილმა დასახულ მიზანს ნამდვილად მიაღწია: მკითხველს დაანახვა, რომ ალ. აბაშელი ღონიერი პოეტი იყო და გამოკვეთილი ესთეტიური პოზიცია გააჩნდა.

და მაინც, ჩემის აზრით, ალ. აბაშელის პოეტური ტემპერამენტი მის მესამე კრებულში, „გაბზარულ სარკეში“ (1920-1929) გამომჟღავნდა მთელი სისრულით. პროტესტანტული, ანტისაბჭოთა განწყობილებანი ამ კრებულის თითქმის ყველა ლექსშია კოდირებული ამათუიმ დოზით.

გაეცნოთ ზოგიერთ მათგანს:

კრებულს ხსნის „მეოცნების დღიური“ (1925 წ.), რომელიც,

თანამედროვე გაგებით, ლირიკულ პოემად შეიძლება ჩაითვალოს. იგი 19 ქვეთავისაგან შედგება და თვითეულ თავში იოლად მოიძებნება, ვთქვათ, ასეთი სტრიქონები: „რას მოგვცემს ეს დრო, სისხლითა და ცრემლით ნალესი". „ვხედავ, სიხარულს ცრემლმა აჯობა, ოხ, რა ბაგშვურად მითამაშნია! ჩემი თაობის უილაჯობა დღეს სამარცხვინო დაღად მაჩნია". „ახალი ძველ გზას ვერ შეეთვისა და გაიზარდა მტრობა და ზიზღი. მთელს ქვეყანაზე დარჩა ერთი გზა: რკინის და სისხლის! რკინის და სისხლის!" „ბრძოლის სიშმაგემ გული მატკინა და ჩამებინდა თვალებში ნისლი. ვერ ავიტანე ტყვია და რკინა, ამდენი ცეცხლი! ამდენი სისხლი!" „დაეკარგე ყველა საგანძური, თუ რამ მებადა. ეზიარ ცივ ქვაზე თავდახრილი, თვალმოხუჭული".

„შორეული ნაპირი" (1921 წ.):

„დაჰკრავს საათი კერპთა დასეტყვის, მიწას მოიელის ცეცხლის გოდება და ძველ ქვეყანას რექვიემს ეტყვის ჩემი ნაღვლიან სულის გოდება. ოჰ, ჩემთვის ძნელი მისაღებია შურისძიება ახალ მეტოქის. ცეცხლის ეკრანზე ისახებიან ძვირფასი ჩრდილნი წარსულ ეპოქის. და ილეწება ბორკილთან ერთად, წარსულ დიდების თეთრი სვეტები".

„ტანჯვის ბარძიმი" (1922 წ.):

„არ ვიცი, ჟამი რატომ დადგა ესოდენ ცუდი: იქნება იგი თავიდანვე იყო ამგვარი. ასპიტ გველივით იკბინება ყოველი წუთი და თავს ბალიშად ენატრება სისხლის ლანგარი". „ო, ეს ქვეყანა ყოველ მხრიდან ვინ გამოკეტა, დაბმული სული ვერ პოულობს ვერსად გასაქანს".

„უძილო ღამე" (1924 წ.):

„მძიმე ფოლადის მოვარდა დევი. სხვა სიხარული! სხვა მწუხარება! ვერ იტევს მიწა ბევრის დამტევი და ქვეყნის გული სკდება ღარებად. მაგრამ მრისხანე, მუდამ მშრომელი, ეს დრო ჩვენს ღონეს აღემატება: მუდმივი ნგრევა დაუცხრომელი, საშიშ ქედების გადანათება. ომი, ამბოხი და აღშფოთება!"

ცალკე მოხსენიების ღირსია „წერილი ნოე ჩხიკვაძეს" (1926 წ.), იშვიათი ტემპერამენტითა და ზუსტი სიტყვიერი ფაქტურით დაწერილი ლექსი, რომელიც უნდა ჩაითვალოს არამარტო აბაშელის, არამედ მთელი ქართული პოეზიის შედევრად. თუ გავითვალისწინებთ, რომ სწორედ 1926 წელს კ. გამსახურდია დააპატიმრეს მწერალთა ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვისათვის, მაშინ ეს ლექსი საკმარისზე მეტ საბაბს შეიცავდა, რომ აბაშელსაც იგივე ბედი სწეოდა. მაგრამ გადარჩა, რადგან ეტყობა, ბედი გაცილებით უფრო მწარე განსაცდელს უმზადებდა, ვიდრე დაჭერა-დაპატიმრებაა.

დიდი ესთეტიური სიამოვნების მომგვრელი გახლავთ ასეთი სტრიქონები, ნ. ჩხიკვაძისადმი მიძღვნილი: „ქვესკნელს დასთხრიდნენ შენი ფესვები, მიწას პოეტად რომ არ ეშობე. საქართველოში შენი ლექსები მშიერ მგლებივით დათარეშობენ".

არანაკლებ შთამბეჭდავია ფინალი, ყუმბარასავით ფეთქებადი პოლიტიკური გამბედაობით რომ გამოირჩევა:

„მაგრამ დღეს სხვაა ჩვენი ჰაერი, დაეცა ლოცვა და პოეზია. მოკვდა ბრწყინვალე ძველი შაირი და ახალს ჩრდილი შემოესია. გაგიკვირდება: ლექსს რათ არ ჰშველის, რომ კვლავ ამაღლდეს რჩეულ ხარისხად, ციდან ქუხილი ბარათაშვილის, მთიდან ყვირილი ვაჟას ხარისა! * ახლა ქუხილი არ ისტამბება, ხარი არ ჰყვირის მაღალ მთებიდან, ლექსი დაახრჩო წვრილმა ამბებმა, ამონაწერმა გაზეთებიდან".

ლექსმა დიდი ღრიანცელი გამოიწვია ლაქია კრიტიკოსებს შორის. ყველასთვის ნათელი გახდა, რომ აბაშელს სულაც არ სურდა „თანამგზავრის" სამარცხვინო ჩარჩოებში ჩაკვეხებულიყო და ამიტომ მისი პოზიცია და პიროვნებაც, სრულიად ცალსახად განიხილებოდა, როგორც ანტისაბჭოთა ელემენტი. ამ თვალსაზრისით, ეტყობა, ნამეტნავად გამოიჩინეს თავი ახალგაზრდა მწერლებმა- პროლეტკულტელებმა, რომლებმაც უსაფუძვლო თავდასხმებითა და ბრალდებებით სიცოცხლე გაუმწარეს პოეტს, ხოლო ყოველივე ამან წარმოშვა მრავალმხრივ საყურადღებო ლექსი: „ახალგაზრდებს".

ამ ლექსით პოეტმა თითქოს თავის გახსნილ ჭრილობაზე დაგვახედა და აწრიალებული სულის მდუღარება გვაგრძნობინა. იგი დაუნჯებულად, მშვიდად ესაუბრება მამლაყინწა კალმოსნებს. ტონი მისი კეთილმოსურნეა, ერთგვარად დამრიგებლური, მაგრამ, ამავე დროს, შინაგანი სიამაყით გაჯერებულიც:

„ეს ბრწყინვალე შენობა ნუთუ ისე აშენდა. ჩემი არ ურევია აღარცერთი აგური?! ან: „თქვენ გგონიათ გამასწრებთ? შური მე არ მჩვევია: მწვერვალზე გამოჩნდება დადაფნული თავები". ან: „შვილი მამას რომ სჯობდეს, მამულს ის ურჩევნია, ოღონდ რამე გვაჩვენეთ დაპირების გარეშე".

---

* სხვათა შორის, ალ. აბაშელმა განსაკუთრებული ამაგი დასდო ვაჟა-ფშაველას ლიტერატურულ მემკვიდრეობას. იმ ძნელბედ დროში შეძლო გამოეცა დიდი პოეტის თხზულებათა სრული კრებული შვიდ ტომად, რისთვისაც დიდი მადლობა ეკუთვნის შთამომავალთაგან.

მაშ, ბრძოლა გრძელდება! პოეტი პარნასიდან ჩამოსვლას სულაც არ აპირებს, კომპრომისებზე არ მიდის, ლაქია-ლიტერატურის სახელის გაგონებაც არ უნდა, სახოტბო-მხოხავი პოეზია ჭირის დღესავით სძაგს. არც „თანამგზავრის“ ტიტული ხიბლავს.

დგას კოლექტივიზაციის, ინდუსტრიალიზაციის და ათასი სხვა მანიაკალური „ზაციის“ ხანა, მწერლობა ასფუთიანი წნეხის ქვეშაა მოქცეული და სუნთქვა უჭირს. და აი, უცებ, სტრიქონები, საკუთარი თავისადმი მიძღვნილი:

„ჰაუ, ლაჩარო! საუკუნის არა ხარ შვილი?! როგორ ვერ ზიდე დროის სიმძიმე და სიმძაფრენი? მოხსენი თვალებს სარკეციები და გაბზარული, რომ დაინახო კლდე და ველი გადასაფრენი და თქვი სიმღერა ეპოქისთვის, თანამგზავრულის!“ (ალ. აბაშელი, თხზულებათა კრებული, ტ. I, თბ. 1958 წ.).

ეს თითქოს სიგნალია, აებედითი, მრისხანე სიგნალი, მანიშნებელი პოეტის შინაგანი რღვევისა. მისი მეოთხე წიგნი, „მზე და სამშობლო“ (1932-1939 წ.) იხსნება ლექსით „ფოლადური“, რომელიც გვაუწყებს თავისებურად ახალი პოეტის დაბადებას. ვინ არის პოეტი? ერთი ყოვლად ორდინალური მელექსე, “სოციალისტური პატრიოტიზმით“ ხბოსავით აღტაცებული კაცი, რომელიც ტყავიდან ძერება, რათა პანეგირიკი აღუვლინოს ლენინსა და სტალინს „მზით“ განათებულ „ახალ“ საქართველოს.

რა მოხდა?

ეტყობა, ალ. აბაშელს მაინც შეუცოცდა შიში, დაიპყრო მისი არსება, გაუცამტვერა, გაუჩანაგა იდეალი, მოაზროვნე, ანალიტიკოსი, დახვეწილი პოეტი მიწასთან გაასწორა, ხოლო მის მაგიერად წამოატივტივა „ენაჭიკჭიკა“ მეხოტბე. და აჰა, წამოღვართქაფდა შესაფერისი ლექსებიც, მაგრამ ვიდრე ეს მოხდებოდეს, პოეტმა კიდევ ერთხელ ამოიკვნესა, თითქოსდა რექვიემი უმღერა საკუთარ თავსაც და წარსულ ლექსებსაც. ვგულისხმობ ლექსს „თოვლი და მზე“, რომელშიც დიდი შემოქმედებითი ძალით არის გაცხადებული პოეტის სულიერი მარტვილობა:

„დროა, ქუხილმა გულს დაუძახოს და თვალმა ნახოს ლექსების ბაღი. შევაღე კარი, დავხედე ახლოს, ვეღარა ვნახე ლექსები საღი. ბაღში მზის ალი დაუშრეტია უიმედობის მსუსხავ მუქარას. მზე ოდნავ ბუუტავს, თოვლი მეტია, ყვავილთა გროვა თოვლს დაუფარავს. შემკრთალი თვალი მზეს ვერა ხედავს ნათოვარ ლექსთა ნესტიან ბაღში და გული, თითქო მისტირის დედას, ვიწრო აკვანში ჩაკრული ბავშვი. მზეო ნათელო, ნუთუ ღამდება?

გადმომაფარე ბრწყინვალე კალთა, რომ კელაე შეეიგრძნო გულში ანთება შემოქმედების უცნაურ ძალთა. რომ ტვირთი, მიწამ გულს რომ აჰკიდა, შაე აჩრდილივით თან არა მდევდეს და გაბზარული სულის სარკიდან მზის ნაცვლად თოელი არ ანათებდეს!" (1929 წ.).

ხოლო ამის შემდეგ, როგორც მოგახსენეთ, 1932 წლიდან, დაიწყო ლექსთა თვისებრივად ახალი ციკლები, რომლებსაც ცრუ მაჟორული პათოსისა გამო, არაფერი აქვს საერთო ალ. აბაშელისათვის ჩვეულ ტრაგიკულ ინტონაციებთან, დამონებულ და გაჩანაგებულ სამშობლოს ბედზე დაფიქრებით რომ იყო გამოწვეული.

აი, მაგალითები:

„ფოლადური" (1932 წ.):

„იცით, დრო დადგა ახალი, ძველი დაეშვა კისრითა, წაიღო ბნელ სამარეში კუბო შეკრული ფიცრითა. ჩვენს დროს ვერ გამაადგებით მამაპაპეულ ისრითა, ახალ ბახტრიონს იშენებთ, ახალის წესით იბრძვითა, იმსჭვალვით ჩვენი დროების მინდიას უკვდავ სიბრძნითა, ლენინისა და სტალინის საკაცობრიო მიზნითა".

„ლირიკოსი და მებაღე" (1932 წ.):

„ცრემლი ახლა არ გვაწუხებს, სისხლისთვის კი მზად ვართ! დრო გმირულ კარებს უღებს მხოლოდ ბრძოლის მხატვართ. მე შეილი მყავს მემანქანე, შენც გინახავს ალბათ. გზა სწორი აქვს გასაქანი, რკინის ცეხში ეძახიან „ორთქმავალის ძიძას", ძარღვიანი ყაძახია, ტემპებს მარჯვედ იცავს".

„ჩვენი დღეები" (1936 წ.):

„მესმის გრიალი დაუცხრომელი, თითქოს გუგუნებს მთათა კრებული, ასე პირველად მღერის მშრომელი შრომის ხალისით თვალანთებული! გული სიმღერით აახმიანებს, როგორც ბავშვობის ძვირფას ზმანებას, ამ გასაოცარ ადამიანებს, ამ გასაკვირველ აღფრთოვანებას!"

„ოქროს საწმისი" (1937 წ.):

„ხიდან ცურვით ჩამოდის ხილით სავსე გიდელი, უხვ მოსავალს ზეიმობს ველი ნაჭაობარი. თავს დაგვნათის მზესავით „მგზნებარე კოლხიდელი", დიდ ლენინის მოწაფე და ხალხთა მეგობარი".

„ვეფხვის ნახტომი" (1937 წ.):

„ჰყიდდენ ვაჭრები დაუფარავად თავისუფლების დარჩენილ ნამსხვრევს, კარებს უღებდნენ მტრების ქარავანს და ღალატობდნენ სამშობლოს საზღვრებს... ამ დროს იქუხა... შეწყდა სისინი შხამის მლესავი, გულღვარძლიანმა ღალატმა რომ შეა და ამობრწყინდა დილის მზესავით ლენინისა და სტალინის დროშა".

„ლენინის ხსოვნას“ (1938 წ.):

„შენის საზომით წინსვლას ეზომაედით, მტერს მოზღვავებულს ბევრჯერ შეებით და ეს თოთხმეტი ოქროს ხომალდი დავტვირთეთ შრომით და მიღწევებით. მტერი უფსკრულში ღამეს გადაჰყვა, ჩვენ მზიანი დღის სერზე ავედით“.

„ღამე საზღვარზე“ (1938 წ.):

„ღამეს ისევე ეძინა, მხოლოდ მტერი ხვნეშოდა და მესაზღვრე თავს ადგა დინჯი და უშფოთველი. ჯაშუშს მხრები შეუკრა, უთხრა - ეგდე ჯერ აქ! დგას მესაზღვრე მღიმარი, მტერი ძირს დამხობილა. ახლა ხომ დაინახე, ხომ გაიგე, ვერაგო, ჩვენი საზღვრის დამცველი თუ რა ბიჭი ყოფილა“.

„უხსენებელი“ (1938 წ.):

„ალბათ იქ მიწაც ზიზღით ხურდება და მუდმივ დენას აჩქარებს დროც კი, სადაც გაივლის ღამის ქურდივით პირსისხლიანი იუდა ტროცკი“.

„მაქსიმ გორკის“ (1938 წ.):

„მაგრამ მზის სითბოს ხშირად თან ახლავს მტრული ზუზუნი ნაბოლარ მწერთა. შენ გასცქეროდი მზიან სანახავს, თურმე შენს ახლო მტრის გული ძგერდა. ცბიერად იგი შენ მოგესალმა და მოწამლული გასვა ფიალა“.

„სამშობლოსადმი“ (1938 წ.):

„გსურდა ჰაერზე ამოგეყვანა დილეგში მყოფი ადამიანი, აწ გაიხარე, ჩემო ქვეყანავ, დღე გაგითენდა მართლა მზიანი“.

„ახალგაზრდა მეგობარს“ (1938 წ.):

„ტანჯვის სანაცვლოდ მეტი ჯილდო რა მომესაჯოს? შემოღამების წუთზე ფიქრი ვხედავ, ადრეა. ჩემი მადლობა, გულითადი, ქვეყნის მესაჭეს, ვინც ეს ცხოვრება ბურუსიდან ამოათრია“.

„იცით ბრძოლა გმირული“ (1938 წ.):

„მტერი იდგა ქუშადა, მოკედა გულგაგმირული. სამშობლოს ჰყავს გუშაგად რაზმი კომკავშირული“. „სადაც გაისმის მტერთა ჩხავილი, მუდამ იქ არის თავგანწირული, ჩვენი მგზნებარე გულის ყვავილი ახალგაზრდობა კომკავშირული“. „მაგრამ თუ ჩვენ აქ მზე გვათბობს, სხვათა ქვეყანა ცივია“. „შორით სალამს მაძლევენ ზეამართულ ხელებით, შეეტყობათ ხმაზევე, რომ თავს ისახელებენ, მესმის მისი სიტყვები: ვიცით! ვიცით! ვიცითო! ჩვენ დიდ ბელადს მივყვებით პიონერულ ფიცითო!“ „და დღეს ხომ ხედავთ, როგორ ციმციმებს, ჩვენი ქვეყანა სვებედნიერი“.

ამ გალიმათიის შემდეგ, ადრეულ გაზაფხულზე ამოსული ენძელასავით მორცხვად ანათებს გალაკტიონისადმი მიძღვნილი

ლექსი „თოვლი“, მაგრამ მაშინვე, კვლავ დგება გაუვალი წკვარამი. ამის დასტურია მისი ლექსების მომდევნო კრებული (1939-1954 წ.), სადაც თითქმის ვერ ნახავთ ლექსს, მხატვრული ღირებულება რომ გააჩნდეს.

ასე, სიცოცხლეშივე მოკვდა მშვენიერი პოეტი, დაიმსხვრა შინაგანად, რაშიც დიდი როლი ითამაშა დრომ, აპოკალიფსური მწვანე ცხენის ლაგამწაყრილმა ნავარდმა: ვერ მოერია პოეტი ალ. აბაშელი შიშს „სამეულების“ თვითნებობის წინაშე, შუალამით კარზე კაკუნისა და ადამიანთა უგზოუკვლოდ გაქრობის შიშს, მეგობრის, კ. გამსახურდიას, ნაამბობს ცხვების ჯოჯოხეთზე, მწერალთა კავშირის კრებების შიშს, როცა მწერლები, შემზარავი გულარძნილობითა და ცინიზმით აბეზღებდნენ ერთმანეთს, ვერ გაუძლო პაოლო იაშვილის საქციელით მოგვრილ ელდას...

დიახ, ვერ გაუძლო და მოკვდა სიცოცხლეშივე. ვისღა გაახსენდა ძველი გალური ანდაზა: „სანამ ცოცხალი ხარ, არ გაბედო სიკვდილი!“

აშკარად შევცდებით, თუ ვიფიქრებთ, თითქოს ალ. აბაშელი ინტუიციით მოქმედებდა და ბოლომდე გაცნობიერებული არ ჰქონდა, რასაც სწერდა, ან აკეთებდა. წავიკითხოთ მისი ბოლო „სინანული“ და ყველაფერი ნათელი გახდება:

„ხანდახან ფიქრი დამბურავს, ვწევარ და არ მეძინება. ვიტყვი ცხოვრების სამდურავს და ცრემლი დამედინება. გზას რომ გავხედავ ნაღვლიანს, ჩავქრები, ჩავიშრიტები: გზაზე რომ ყრია - ვისია ფრთამოტეხილი ჩიტები? ნუთუ ეს ჩემი ლექსების მწარე ხვედრია ასეთი? ამაოდ ვეალერსები არ აფრინდება არცერთი? მე ამ გზას რისთვის გავყევი, ჯადოქარ გზათა მძებნელი? დავალ და ლექსებს გავყევი, არვინ მყავს ყურისმგდებელი. ან ვყოფილიყავ მეურმე, ან შავი მიწის მბარველი, მე არ მყოლია მეურვე, არც ანგელოზი მფარველი. ვერაფერს გავხდი მზისაკენ მუდამ ხელების აშვერით, რაც გულს უნდოდა, ვერა ვქმენ და ამაოდაც დავშვერი“.

ეს იყო ალექსანდრე აბაშელის სულის უკანასკნელი ამოკვნესება, ამაღე დროს, მრისხანე განაჩენი, მსახვრალი ეპოქისათვის გამოტანილი.

მართლაც, რომ „დაეცა ლოცვა და პოეზია“.

თავი მეშვიდე

„ლუციფერი და კლოუნი“

სიტყვები, რომელიც ამ ნაშრომის სათაურად გამოვიტანე, მე არ მეკუთვნის, კონსტანტინე გამსახურდიასი გახლავთ. იგი გვხვდება ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილ ერთ ესსეში, რომელიც 1922 წელსაა დაწერილი:

„თითქმის ყოველ მწერალში ბუდობს ლუციფერი და კლოუნი. ლუციფერი ნეგატიურობის სტიქიონია, კლოუნი ქალაჩუნაა - ბრბოს ტაშისცემას დახარბებული. ლუციფერი იძლევა მუდამ იმპულსს ბრძოლისა და შემოქმედებისა. გაიმარჯვებს თუ არა მწერალში კლოუნი, მწერალს იცნობს თავისი წრე და მრეველი. აქ არის სწორედ მისი სამარეც.

ილია ჭავჭავაძეში ყოველთვის ლუციფერი უფრო ძლიერი იყო“. (კ. გამსახურდია, ათტომეული, ტ. VII, გვ. 393).

ეს ძალზე საინტერესო დახასიათება, ზუსტად მიესადაგება თვით კონსტანტინე გამსახურდიას:

მართლაც, თუ გადავხედავთ მის უაღრესად მრავალფეროვან შემოქმედებას, ვრცლად განფენილს საბედისწერო 1921 წლიდან, ვიდრე აღსრულებამდე (1975), ჩვენ დავინახავთ, რომ მწერლის კალამს, ხშირად ფლობდა ლუციფერის მრისხანე ძალმოსილება და მაშინ იგი გასაოცარი სიძლიერის ხმას გამოსცემდა, შეუპოვარი იყო, უკომპრომისო, „რკინათა და ძვალთა მკვეთელი“ სატევარივით პირდაპირი და მჭრელი, უერთგულესი სარანგი სეგამწარებული მამულისა.

მაგრამ, არცთუ იშვიათად, ცირკის კლოუნიც წამოჰყოფდა ხოლმე თავს - ქლესა ღიმილით, მანჭია მიხერამოხერით და ჩამტკბარ-მაამებლური ხმით.

აი, მაშინ კი მწერლის მონაღვაწევი ჰკარგავდა ნამდვილ ელვარებას და საბჭოთა ლიტერატურის ჩვეულებრივ მესაყვირე - მედაფდაფეთა რიგებში დგებოდა. ამას, რაღა თქმა უნდა, ჰქონდა თავისი მიზეზი. მე, ამჟამად, ვერ ჩავუღრმავდები პრობლემის ყოვლისმომცველ ჩხრეკას, მოგაწვდით მხოლოდ კ. გამსახურდიას ცხოვრებისა და შემოქმედების ძალზე სერიოზული მკვლევარის, სოსო სიგუას მოსაზრებას. აი, როგორ ახსნას უძებნის იგი ამ

უცილობელ, გარნა დასანან ფაქტს:

„მწერალი, შემოქმედებითი პოზიციის დასაცავად, კონფორმიზს მიმართავდა, რათა მცირე დათმობით უმთავრესი გადაერჩინა. მაგალითად, სახოტბო სიტყვები სტალინისა და ბერიას მიმართ“ (ს. სიგუა, მარტვილი და ალამდარი, თბ. 1991, გვ. 99. ეს მონოგრაფია დღემდე საუკეთესოა კ. გამსახურდიასადმი მიძღვნილ ნაშრომთა შორის და თამამად უნდა ითქვას, სრულიად ახალი ეტაპის დამწყებად გვეულინება მწერლის შემოქმედების შესწავლის საქმეში).

ახლა ძნელია განსჯა, თუ რა იყო ის „მცირე“, რისი დათმობითაც მწერალმა თავის შემოქმედებაში „უმთავრესი“ გადაარჩინა. როცა ისეთ მონსტრებს აღუელენ ხოტბას, როგორებიც სტალინი და ბერია იყვნენ, მთელ რომანებსა და ცალკეული რომანების პასაჟებს მიუძღვნი აღფრთოვანებით, აგრეთვე, მრავალი პუბლიცისტური წერილსა თუ საჯარო გამოსელაში, ქება-დიდებას შეასხამ მათ მიერ სისხლით ჩაკირულ რეჟიმს, ეს, ალბათ, უკვე აღარ არის „მცირე“ და საკითხავია, ღირდა კი ამ ფასად „უმთავრესის“ გადარჩენა?

თანაც, კაცმა რომ თქვას, რა „გადაეარჩინეთ“, ბოლოს და ბოლოს? როცა „დიონისოს ღიმილი“ გამოვიდა (1925), მაშინ „გადარჩენის პრობლემა არც მდგარა ისე მწვავედ, ბოლშევიკური ცენზურა ჯერ კიდეე ნაკლებად მძვინვარებდა. „მთვარის მოტაცება“ (1934-1936) იმთავითვე აღქმული იქნა, როგორც ახალი ცხოვრების აპოლოგია და ძველის გამოტირილი. ამიტომ, კი აკრიტიკებდნენ, მაგრამ მაინც აქტიურად ჩაუთვალეს მწერალს. „ბელადი“ 1937 (სტალინის სიჭაბუკის ასახვის ცდა იყო და, მართალია, წარმატებით ვერ დაგვირგვინდა, (თვით ბელადს არ მოეწონა თურმე!), მაგრამ მისი დაწერის შემდეგ, კ. გამსახურდიამ საბოლოოდ დაიმკვიდრა „თანამგზავრი“ მწერლის სახელი. „დიდოსტატის მარჯვენა“ (1939) და „დავით აღმაშენებელი“ (1942-1962) ისტორიულ თემატიკას ამუშაებენ და, ამდენად, განსაკუთრებული „გადარჩენა“ არც ესაჭიროებოდათ, პირიქით, „აღმაშენებელი“, რომელიც აშკარად არ დგას მწერლის დიდ შესაძლებლობათა დონეზე, უმაღლესი ჯილდოთი, რუსთაველის პრემიითაც კი აღინიშნა. რაც შეეხება „ვაზის ყვავილობას“ (1955), აბა რა „გადარჩენა“ უნდოდა? იგი საბჭოთა ყოფის, საბჭოთა ხელისუფლების გულამოსკვნილი ქება-დიდება გახლავთ და თუ ამ რომანით ვიმსჯელებთ, კ. გამსახურდიაზე უკეთესი მოკაშირე არცა ჰყოლიათ კომუნისტებს.

ასე რომ, „მცირედის“ დათმობისა და ამით „უმთავრესის გადარჩენის“ საეჭვო „თეორია“ საფუძვლიან გადასინჯვას მოითხოვს.

ამით მე სულაც არ მინდა იმის თქმა, თითქოს კ. გამსახურდიას, როგორც კაცსა და მწერალს, დალხენილი ცხოერება ჰქონოდეს, ყოველ შემთხვევაში, შემოქმედების ადრეულ პერიოდში მაინც. მწერალმა, თანამოკალმეებთან ერთად, გაიარა სულიერი თუ ფიზიკური ტანჯვა-გვემის გზა და ამის მიუხედავად, მაინც შეძლო, პირდაპირ ტიტანური ძალისხმევის ფასად, დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობა დაეტოვებინა, რომელთაგან ზოგს, ჭეშმარიტად წარუვალი ღირებულება აქვს.

„საბჭოთა პერიოდის" ქართველ მწერალთა შორის, კ. გამსახურდია, ალბათ, ყველაზე „ძნელად დასამორჩილებელი" კაცი იყო, მაგრამ „ლუციფერისა და კლოუნის" კომპლექსს მის სულშიც საფუძვლიანად ჰქონდა ბინა დადებული, რამეთუ ბოლშევიკური წნეხის ძალა მასზედაც დამთრგუნველ ზემოქმედებას ახდენდა. დღევანდელი გადასახედიდან კარგად ჩანს ის ღირსებაცა და ზადიც, რაც კ. გამსახურდიას შემოქმედებას, აზროვნების სტილს საერთოდ, მრისხანე დრომ, „რკინის საუკუნემ", ძალუმად დაამჩნია. უნდა ვიფიქროთ, სხვა დროში, სხვა პოლიტიკურ, სოციალურ და ეროვნულ ვითარებაში, მისი რომანებიც, მოთხრობებიცა და პუბლიცისტიკაც, სულ სხვა მხატერულ-აზრობრივი აქცენტებით დაიტვირთებოდა და კონკრეტული, ემპირიული დროის დამღაც ნაკლებ დააჩნდებოდა.

იმ ჭკუაზეგადამყვან მაკულატურის ზეობის ხანაში, როცა სტალინიზმის დროინდელ მჯღაბნელებს დარჩენოდათ ბურთი და მოედანი, როცა უცხოეთის ლიტერატურასთან კონტაქტები ფაქტიურად აღკვეთილი იყო და არც მშობლიურ კლასიკას სწყალობდნენ მაინცდამაინც, კ. გამსახურდიას ფუძექართულ შემოქმედებას, ჩვენთვის მიზიდულობის ისეთივე ძალა ჰქონდა, როგორც წყურვილით გახელებული ბედუინისათვის ოაზისს. მისი მეოხებით ვეზიარეთ ქართული სიტყვის დამოუკიდებელ მშვენიერებას, დავამყარეთ სულიერი კავშირი დიდებულ წინაპრებთან, ქართული მწერლობის რუსთველურ საწყისებთან და, თუ გნებავთ, ჯანსაღი, მამაკაცური ეროტიზმიც შევიგრძენით.

ამის დავიწყება არამცდაარამც არ გვმართებს, მაგრამ არც კ. გამსახურდიას მწარე ცდომილებათა დავიწყება იქნებოდა სწორი.

ამიტომ საჭიროა, თვალი გადავაყოლოთ მის მიერ გავლილ, ზიგზაგოვანი გზის ზოგიერთ საკვანძო მონაკვეთს.

* * *

1921 წლის 25 თებერვლის ღამე, როცა მთელი თბილისი შიშითა და დაუცველობით იყო გათანგული, კ. გამსახურდიას ასე აქვს აღწერილი:

„დამფრთხალი მოქალაქენი საშინელი ამბის მოლოდინში იყვნენ. გაუგონარი ამბები ხდებოდა: აიყარნენ მცხოვრებნი, ფუტკრებივით აზუზუნდნენ, აზვავდნენ. ერთი ნაწილი ქალაქიდან გაიხიზნა თავისი ბარგით, ნაწილიც ქუჩებში მოუსვენრად დაწრიალებდა. გარბოდნენ დატვირთული, ჟოკეიანი, ბლუზიანი მოქალაქეები, მიჰქროდნენ ეტლები, ზუზუნებდა მოედანზე მდგარი ბრბო, გასცქეროდა ქალაქის გამგეობის აივნებს, ყაყანებდა, როგორც პილატეს მომლოდინე ებრაელობა დიდ პარასკევს. ჩოჩქოლი იზრდებოდა, კამათი ყვირილით თავდებოდა. კოჯრიდან მომავალ არტილერიას, ლაფში ამოსვრილი, დაგლეჯილ ფარაჯებში გამოფუთნული ჯარისკაცები უწესრიგოდ მოსდევდნენ. „საიდან, ძმებო?“ „სოღანლუღიდან“. „გენერალი მაზნიაშვილი მოიხსნა?“ „მოიხსნა. იმ მხარეზე გუარდიელებმა მთლად გააშიშვლეს ფრონტი“.

ღამე ქუჩებში საოცარი სიჩუმე იდგა, თოვლის ფანტელები უხვად ეფინებოდა ქვაფენილს. ჩამორჩენილი ჯარისკაცები ჩრდილებივით მოძრაობდნენ, ზოგი მათგანი კედელზე აყუდებდა ან მიწაზე აგდებდა თავის თოფსა და ვაზნებს. ქალაქი ჩაბნელებული იყო.

როდესაც 25 დილით, წითლების მზვერავები ქართული ჯარის სანგრებს ფრთხილად მიუახლოვდნენ, სახტად დარჩნენ, რადგან იქ აღარავინ დახვედრიათ. თავის პოსტზე მხოლოდ ერთი პატარა ნაწილი დარჩენილიყო, უმთავრესად იუნკრებისგან შემდგარი. მათ, ალბათ, ქართული ჯარის უკანდახევა უნდა დაეფარათ. იუნკრებმა უკანასკნელ წუთამდე თავგანწირულად იბრძოლეს და თავიანთი გვამებით ამოავსეს კოჯრის მაღლობებისა და აზეულას ციხის სანგრები“.

ფილიპე მახარაძის განცხადება:

„ჩვენ არ ვმალავთ, პირიქით, სიამაყით ვამბობთ, რომ აქ შემოვიყვანეთ წითელი ჯარი. დიახ, ჩვენი ნება-სურვილით მოვიდნენ საქართველოში წითელარმიელები. ჩვენ, ჩვენ მოვუძღოდით მათ“.

სერგო ორჯონიკიძე:

„ჩაგრულთა დამცველი წითელი არმიის გამოჩენამ საქარ-

თეელოს ტერიტორიაზე აუწერელი აღტაცება და ზეიმი გამოიწვია. თავიანთ მხსნელებს პურმარილით ხვდებოდნენ, ბევრნი სიხარულით ტიროდნენ".

მახარაძის განცხადება სრული სიმართლე იყო, ხოლო ორჯონიკიძე ურცხვად ტყუოდა. მისი მტკიცება პროპაგანდისტული მითის შემადგენელი ნაწილი გახლდათ. მითი რეალობად უნდა გასაღებულიყო. ამუშავდა მძლავრი პროპაგანდისტული მექანიზმი, რომელშიაც ჩართული აღმოჩნდნენ პოეტები, მწერლები, საზოგადო მოღვაწენი, ყველა, ვის სიტყვასაც ხალხში ფასი და დამაჯერებლობა ჰქონდა. ასე გაჩნდა მრავალი ცრუ „მეცნიერული" ნააზრევი, თუ მხატერული ნაწარმოები, რუსთა ექსპანსიას რომ ამართლებდა და განადიდებდა. აი, მაგალითად: „შორით მოსკოვმაც გადაკოცნა წითელ ტუჩებით (საქართველო - თ. მ.) და თებერვალიც შეიმოსა ოქტომბრის კაბით" (ალიო მაშაშვილი).

კოჯორში დაღუპულ გმირთა საპატიცემულოდ, თბილისის მოსახლეობამ დიდი სამგლოვიარო პროცესია მოაწყო რუსთაველის პროსპექტზე. წინ მოჰქონდათ შავი კუბოები, რომელშიაც სანგრებიდან ჩამოტანილი ქართველ ჭაბუკთა გვამები ესვენა (მათ შორის იყო 19 წლის ქალწული, მარო პოეტ კოტე მაყაშვილის ასული), ხოლო უკან, ნელი ნაბიჯით, მდუმარე და თავჩაქინდრული ხალხი მოაბიჯებდა. ეს სანახაობა იმდენად ტრაგიკული იყო, რომ გაოცებასთან ერთად, მოკრძალების გრძნობას იწვევდა კომუნისტებისა და წითელარმიელთა რიგებში. ახალმა ადმინისტრაციამ ვერ გაბედა ამ პროცესიისათვის ხელის შეშლა. დახოცილი ქართველი მეომრები დაასაფლავეს დიდი საკრებულო ტაძრის ეზოში, სადაც ამჟამად მთავრობის სასახლის შენობაა აღმართული.

(გაიელის დრო და, 1989 წლის 9 აპრილს, ამ ადგილას, სადაც იუნკრები და მარო მაყაშვილი დამარხეს, წითელი ველურები, ალესილი ბარებითა და მხუთავი გაზებით, კვლავ ჩაგვიხოცავენ მოხუცებსა და ახალგაზრდებს, ქალებსა და ბავშვებს. ახლა იქ სანთლის ნაღვენთებით გაშავებული, დიდი ლოდები დევს. წარწერები იუწყება: ამ მიდამოებში ორი ობელისკი უნდა აღიმართოსო იუნკერთა და 9 აპრილს დაღუპულთა მოსაგონებლად.

„მოძმეთა სისხლი ცას შესჩუხჩუხებს და სამართალს ითხოვს?"

ერი დაიბნა, ორიენტაცია დაკარგა და რაც უარესია, სასო წარეკვეთა. იწყებოდა საქართველოს ისტორიის ახალი, სისხლითა და ცრემლით დაჟიებული ხანა. ტრიბუნაზე იდგა ორჯონიკიძე,

ხელი ძაბრა ქუდთან მიეტანა და თვალებგაელმებული, სატანურად იღიმებოდა. კვლავ შემოდიოდა უცხო ზნეობა, წეს-ჩვეულება, ცხოვრების ნირი. არავინ ჩანდა, რომ უკიდურესად აფორიაქებული ერისათვის ნუგეში ეცა, სამომავლო იმედი შთაესახა. სიტუაცია უკიდურესად იყო დაძაბული.

აი, სწორედ მაშინ გაისმა ომახიანი შეძახილი ახალგაზრდა კაცის (28 წლისა იყო), კონსტანტინე გამსახურდიასი, „მიმართვა ქართველი ერისადმი" (გაზ. „სოციალ-ფედერალისტები", 1921, 25 მაისი). „მიმართვაში" მძაფრად, კრიტიკულად არის გადაფასებული უახლოეს წინაპართა მოღვაწეობა, აქვეა ვრცელი მსჯელობა სადღეისო, ეროვნულ ამოცანებზე და დასახულია მომავლის პერსპექტივები.

„მიმართვაში" ზოგი დებულება წინასწარმეტყველური აღმოჩნდა და გარკვეული თვალსაზრისით, დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა (მომყავს კუპიურებით):

„საქართველოს ისტორიაში მე არ ვიცნობ უფრო ღიდმნიშვნელოვან დღეს. ამ დღეს ყველაზე მეტი დაფიქრება მართებს ქართველობას, დარბაისლური მოფიქრება - რა ვიყავით, რა ვართ, ან რა უნდა შევიქნეთ.

როცა სულით ძლიერი და კულტურულად მაღალი პატარა ერი დიდი ერის გავლენის ზონაში მოხვდება, იგი უფრო შეიკუმშება და გასალკლდევდება, მაგრამ მე-19 საუკუნის ქართველობამ სამარცხვინო ლაქა დასტოვა ჩვენს ისტორიაში. ასი წლის განმავლობაში, ქართველი თავადაზნაურობა, რომელიც ამ დროს ერთადერთი მესაჭე იყო კულტურისა და მისი პოლიტიკის მახვილის მტვირთველი, ეპოლეტებზე ყიდდა თავის პატრიოტიზმსა და მამულს.

1918 წლის მაისში, 26-ში ახალი ეპოქა დაიწყო საქართველოს ისტორიაში. სამი წელი დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობისა, უფრო ძლიერი აღმოჩნდა თავისი განცდის ინტენსიეობით, ვიდრე ჩვენი მონობის ასი წელი.

მონობის ხუნდებში საქართველო გადაეჩვია სახელმწიფოს ერთგულებას, რადგანაც ჩვენი წინაპრები მუდამ გრძნობდნენ ამ ხნის განმავლობაში, რომ ისინი რუსეთის გერები იყვნენ.. სახელმწიფო წყობილებისადმი მტრული განწყობილება რყვნის პოლიტიკურად ერს, ავითარებს მასში ანტისახელმწიფოებრივ ტენდენციებს.

.....

ისტორიის ასპარეზი სულითა და ხორცით ძლიერი ერის ხვედრია. სუსტები და უნიჭონი ვერავის შებრალებას ვერ დაიმსახურებენ.

ეროვნული თავისუფლების დაკარგვა შეიძლება, მაგრამ იგი ყოველდღე ბრძოლით ხელმეორედ უნდა მოიპოვოს ერმა. ვაჟკაცობაა, სინამდვილეს პირდაპირ შეხედოს კაცმა. ხოლო უდიდესი ვაჟკაცობა ამტანობაშია.

ქართველობამ ერთი დიდი ჭეშმარიტება უნდა დაიმახსოვროს: მხოლოდ ის არის ღირსი ცხოვრებისა და თავისუფლების, ყოველდღე ბრძოლით ვინც შეძლებს მის მოპოვებას."

ამის შემდეგ გაიულის ერთი წელი. წელი დაძაბული ფიქრისა, განსჯისა, მკაცრი ანალიზისა. კ. გამსახურდიასათვის, ისევე, როგორც იმდროინდელი ინტელიგენციის დიდი ნაწილისათვის, ნათელი გახდება, რომ ბოროტი ძალა, რომელიც საქართველოში ცეცხლითა და მახვილით შემოიჭრა, განუზომლად შორს იდგა იმ იდეალისაგან, რომელსაც ერი ელტვოდა. მწარე იმედგაცრუებამ სწრაფად იჩინა თავი, დაიმსხვრა, თუ ვინმეს რაიმე ილუზია გააჩნდა. ყველა ხედავდა, რომ საბჭოთა რეჟიმის არსებობა გარდაუვალი ფაქტი იყო, მაგრამ ამის აღიარება ძალიან გაუჭირდა საზოგადოების მოაზროვნე ნაწილს:

„ჩვენი საუკუნის ახალგაზრდობას, რაგინდ მრავალფეროვანიც უნდა იყოს იგი თავისი ინდივიდუალური სულიერი კულტურითა და ნაშენობით, ერთი რამ აერთიანებს: უარყოფა ჩვენი თანამედროვეობისა", გაბედულად აცხადებს კონსტანტინე გამსახურდია, მაგრამ „თანამედროვეობის უარყოფით", ჯერ კიდევ როდი იყო ნაპოვნი გამოსავალი მძიმე ვითარებიდან. აქ, ცხადია, სამშობლოს „უარყოფა" კი არ იგულისხმება, არამედ - ბოლშევიკური დიქტატურისა. ამიტომაც არის მანდვე ნათქვამი:

„საქმე ის კი არაა, პატარა კაცი იყო და დიდ სამშობლოს ეძებდე, საქმე ის არის, დიდი კაცი იყო და პატარა სამშობლო გიყვარდეს!"

კი, მარჯვედ არის გადმოსროლილი, მაგრამ ვითარებას ლამაზმა სენტენციამ ვერ უშველა. საკითხი მაინც ღიად რჩებოდა: სად, როგორ, რა გზით მოიძიოს ერმა გამოსავალი, როგორ გადაირჩინოს თავი? ამ „წყევლა-კრულვიან" საკითხზე პასუხის გაცემა კ. გამსახურდიამ გაზეთ „პოეზიის დღეში" (1922, 7 მაისი) სცადა, მეტი დაჟინებითა და ყურადღებით ჩაულრმავდა ხსენებულ პრობლემას (მომყავს შემოკლებით):

„ვიდრე ქართველი რასის მაჯებში მწვანე სისხლი სჩქეფს, ქართველობას ვერავინ წაართმევს საუკუნეების ბრძოლებში მოპოვებულ ეპიტეტს: „ერი, ღმერთებთან მებრძოლი". ჩვენი სამშობლოს ეულკანურ ბუნებასთან დაკავშირებული მითი ღმერთებთან მებრძოლი ზეკაცის სულიერ მარტვილობაზე, მუდამჟამს

ღრმა სვიმბოლოდ დარჩება, რომლისაგანაც დაუშრეტელ ენტუზიაზმს მიიღებენ ჩვენი პოეტები და მწერლები. დღესაც, როგორც გუშინ, ათასი იარიდან ისისხლება ქართველი ერი, მაგრამ ტანჯვის ბარძიმში, გარდა შხამისა, მუდამ მოიპოვება ენერგიისა და გამძლეობის მომგვრელი შარბათი, რომელიც ახალი ბრძოლებისა და შემოქმედებისათვის აღგვანთებს.

რაც უნდა სთქვან ყოველდღიურობის პოლიტიკოსებმა და პრაქტიკულად განწყობილმა ადამიანებმა, ჩვენი რწმენა და იმედი ქართველი ერის ბრწყინვალე მომავლისადმი, მუდამ უცვლელი და ურყევი რჩება.

უბედურება ვერ ჩააქრობს ქართველობის ბედის ვარსკვლავს, დამარცხებაში უნდა იწრთობოდეს ერის ფოლადი ენერგია, დამარცხებიდან მუშაობაში გადასვლა და არა სასოწარკვეთაში. დამარცხებაში ძალის მოკრება ახალი გამარჯვებისათვის. ნურც გამარჯვება გვინდა, მეტეორის ქვასავით ზეცით ჩამოვარდნილი. საბოლოოდ ის გაიმარჯვებს, ვინც ბრძოლით და შემოქმედებით გაიმარჯვებს.

ჩვენი საუკუნის მაჯისცემა, ჩვენი მსოფლიოს დინამიკა ისეთი მძაფრი რიტმიკით როკავს, რომ ის ერი, რომელიც ნერვებდაჭიმული არ გამოხეშავს თავის ბედის ეტლის სადავეს, ან უფსკრულში გადაიჩეხება, ან არა და, სადმე მსოფლიოს ყრუ შუკაში გაეჩხირება და მას გზად გაუვლიან, როგორც დაბალ ღობეს და უმნიშვნელო ეთნოგრაფიულ მასალას.

ყველაფერი, რაც ერის ისტორიიდან გადარჩება, ეს არის მისი ენტუზიაზმი.

ქართველი მწერალი მუდამ ერთგულად სდარაჯობდა ქართველობის კერას, რომ მასში ცეცხლი და ენტუზიაზმი არ გამქრალიყო. ჰეგელი აბსოლუტური სულის მოურავებს უწოდებდა პოეტებს. დიახ, პოეტი ერის მარადიული სულის მოურავია, მისი უკვდავი ნების ამსრულებელი მიწაზე.

დიახ პოლიტიკურ კატასტროფებს, დიდი სულიერი გამოფხიზლებისაკენ მიჰყავს ერი. თებერვლის ამბების შემდეგ ბევრმა არც კი იცოდა, რა გაეკეთებინა და ქართველმა მწერლებმა გაასკეცებული ენერგიით იწყეს მუშაობა. იყო წელიწადი გულის ტკივილებისა და იმედების მსხვრევისა, მაგრამ ქართული პოეზიის და მწერლობის ჯეჯილი მაინც იმედის ნიაგით ბიბინებდა.

განა ქართული პოეზია არ იყო მუდამ ერის ტკბილი მოძილისპირე - მისი დაუღალავი ორფეოს?! ტკივილები ანათებენ შემოქმედების ალმურს. ტანჯვიდან ნაჟური, მუდამ ზეთად შეერგება შემოქმედების ლამპარს. ჩვენს გულშიაც ანთია ჩირაღდანი

ქართული ენისა და გენიის სიყვარულის ცეცხლი დაკეცილი.

თხუნელას პერსპექტივით შეჰყურებს მომავალს ფილისტერი და ყოველდღიურობის ნაცრისფერი კაცი, არწივის პერსპექტივები აქვს მუდამ პოეტ-კაცს, რომელიც ღმერთთან ახლოსაა და ღრუბლების ლეგიონებიდან დაჰყურებს მომავალს.

საქართველოს გალმერთება! დიახ, ჩვენ გვინდა, ჩვენ გვწყურია მისტიური სიყვარული საქართველოსადმი! და თუმცა ამ ხნის განმავლობაში პირამიდალურად „იზრდებოდა გულში ერის ტანჯვის გამომსახველი, ერთი ნაღველის ორი მწვერვალი: კრწანისის ველი და თებერვალი," მაგრამ ქართველ პოეტს ვიღაც მაინც უჩურჩულებს ყურში: „არ არის მკვდარი, არ არის მკვდარი".

სიკვდილი საქართველოსთვის, სიყვარული საქართველოსთვის, ანთება და ენტუზიაზმი საქართველოსთვის! ეს მუდამ შეეწირება საქართველოს ქართული პოეზიის პარნასიდან, სულერთია, ეკლის გვირგვინი ედგმება მას თავზე, თუ ძლევის და დიდების შარავანდედი".

აქ აუცილებელია კიდევ ერთი ციტატის მოყვანა დიმიტრი ყიფიანზე დაწერილი ესსედან, რომელიც 1922 წელს გამოქვეყნდა:

„ჩვენ ან წელში უნდა გავწყდეთ იმ სიმძიმისაგან, რომელსაც ორი ათასი წლის გმირობა და მარტვილობა გვატვირთვინებს, ან ეს უნდა ავიტანოთ და გადავიტანოთ აწმყოსა და მომავალს შორის გადებულ ბეწვის ხიდზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, უარი უნდა ვთქვათ ჩვენს დიდ ისტორიულ მემკვიდრეობაზე და სიამაყეზე. უარი ვთქვათ ჩვენს ქართველობაზე. ის ერი, რომელსაც უფრო მაღალი პანთეონები აქვს, ვიდრე აწმყო, დეგენერატის სამარცხვინო ეპიტეტს თავიდან ვერ აიცილებს. ის თაობა, რომელიც გმირთა აკლდამების ჩრდილებს ეფარება, ღირსი არ არის არსებობისა.

იმ ხალხს, რომელიც აკლდამებიდან იღებს პატრიოტიზმს, აკლია სწორედ ის, რასაც ფრიდრიხ ნიცშე პლასტიკურ ძალას ეძახდა. ეს პლასტიკური ძალაა ერისა და მისი კულტურის სამერმისო მუსიკა. ეს პლასტიკური ძალაა ზედსაყრდენი და წინარი მერმისის დიდი არქიტექტურისა". (კ. გამსახურდია, ტრაგედიის გმირი, ტ. VII, 1983, გვ. 397).

როგორც ვხედავთ, ზემოთმოხმობილ ნააზრევში ბრძოლისა და მოქმედების მთელი პროგრამაა მოცემული: მწერალი რწმენისა და მომავლის იმედისაკენ მოუწოდებს ერს, „დამარცხებაში უნდა იწრთობოდეს ერის ფოლადი ენერგია, დამარცხებიდან მუშაობაში გადასვლა და არა სასოწარკვეთაში, ძალთა მოკრება ახალი გამარჯვებისათვის". ესეც მკაფიოდ უნდა გვახსოვდესო, იქვე გაფრთხილებას იძლევა კ. გამსახურდია, „საბოლოოდ ის

გაიმარჯვებს, ვინც ბრძოლით და შემოქმედებით გაიმარჯვებს". მაშასადამე, იმედი სულაც არ უნდა გადავიწუროთ, იქნებ პირიქითაც კი, რამეთუ: „დიდ პოლიტიკურ კატასტროფებს,ხშირად, დიდი სულიერი გამოფხიზლებისაკენ მიჰყავს ერი". მაგრამ ეს კია: მთელი ქვეყანა, ისე როგორც ერთი ადამიანი, მზად უნდა იყოს, რომ მტკლად დაეძღოს მამულს „სიკვდილით, სიყვარულით, ენტუზიაზმით". ხოლო „ის ერი, რომელსაც უფრო მაღალი პანთეონები აქვს, ვიდრე აწმყო, დეგენერატის სამარცხვინო ეპიტეტს თავიდან ვერ აიცილებს".

აი, დაახლოებით ასეთია სამომავლო მოქმედების პროგრამა, რომელსაც ახალგაზრდა მწერალი სთავაზობს თავის ხელახლა დამონებულ ერს და აქ შეუძლებელია, ილია ჭავჭავაძე და მისი „მგზავრის წერილები" არ გაგვახსენდეს, რამეთუ იქაც, საიმდროოდ, ძალზე კონკრეტული, ეროვნული პროგრამა იყო დასახული და ამ თვალსაზრისით, კონსტანტინე გამსახურდია შეიძლება მის ერთგვარ მემკვიდრედაც ჩაითვალოს.

საერთოდ, გასაბჭოებამდე და გასაბჭოების შემდეგაც, მწერალი ბევრს წერდა ეროვნულ საკითხზე. შეიძლება ითქვას, რომ ყოველგვარი ესთეტიკური და ეთიკური ძიებანი, რითაც ასე უხვადაა დახუნძლული მისი ადრინდელი ესეისტიკა, ბალავრად ეროვნულ ნიადაგს გულისხმობს. აქ, უეჭველად არჩილ ჯორჯაძეც უნდა გაგვახსენდეს. თავის დროზე, უთუოდ არ იყო შემთხვევითი, გამოქვეყნება კ. გამსახურდიას ნაშრომისა „ილია ჭავჭავაძე და არჩილ ჯორჯაძე". ამ სტატიაში მწერალი ვრცლად მსჯელობს თაობათა მემკვიდრეობითობაზე, თუ როგორ გააგრძელა ილიას ხაზი ა. ჯორჯაძემ, ეძიებს იმ ეროვნულ იდეალებს, რომელსაც დაემყარება ახალი დრო. „ილიამ ნავი უიალქნოდ გამოიყვანა ჩვენი ცხოვრების მდორესა და გაშლილ ზღვაზე", ამიტომ „იგი გაირიყა, რადგან მისი ეროვნული იდეალები პოეტურ ბუნებით იყო მოცული". მაგრამ მოვიდა ახალი, „მკლავმაგარი მეზღვაური", არჩილ ჯორჯაძე. ავტორის აზრით, მან მიაგნო გზას, რომელიც „ვერ იპოვნეს წინა თაობებმა".

თუ რა გზას „მიაგნო" ა. ჯორჯაძემ, ამის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი ნაშრომის შესაბამის თავში, ხოლო რამდენად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა კ. გამსახურდიას მიერ შემოთავაზებული ეროვნული ორიენტირები, ქვემოთ ამაზე გვექნება ბაასი.

უნდა ითქვას, რომ მხატვრულ შემოქმედებაში რომანტიკულ-ექსპრესიონისტული აზროვნებისა და სტილის მწერალი, ეროვნული პრობლემატიკისადმი მიძღვნილ პუბლიცისტიკაში,

უმეტესად, მკაცრი ანალიტიკოსია და შეუვალი სილოგიზმებით მსჯელობს.

ძნელია და არც ადგილი იძლევა საშუალებას, რომ შესაფერისად გაანალიზდეს ის ყოველივე, რაც კ. გამსახურდიას დაუწერია ეროვნულ პრობლემაზე საერთოდ და ოციან წლებში განსაკუთრებით. ხოლო თუ მოკლედ მოვჭრით, ამ დარგში მწერლის იმდროინდელი მოღვაწეობა უნდა შეფასდეს, როგორც მოქალაქეობრივი გმირობა! ყველაფერი, რაც მაშინაა გაკეთებული, გაკეთეულია ნამდვილი ლეგიტიმურული ენებითა და გახელებით, უტეხი შეუპოვრობით, რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით, ზოგიერთ შემდეგდროინდელ ნაწერზე. მწერლის პოზიციები თანდათან სუსტდება, ორჭოფულ, დამთმობ ხასიათს იძენს და სულ უფრო ესადაგება ოფიციალურ დოგმებს. მსჯელობა, ხშირ შემთხვევაში, ურთიერთწინააღმდეგობრივი გახლავთ, რაც, თავისთავად ცხადია, უმძიმესი „რკინის დროებით“ არის გაპირობებული. აშკარად ჩანს, რომ მწერალი განუწყვეტელ ლავირებას ახდენს ვიღაცისა თუ რაღაცის წინაშე, ჭადრაკულ „ცხენის სელებს“ აკეთებს, გამოცდილი ლოცმანივით, ხომალდი ფრთხილად დაჰყავს მეჩეჩებით სავსე ზღვაში.

მაგრამ ეს მოგვიანებით მოხდება, როცა საბჭოთა წნეხი მაგრად დააწვება მწერალს. მანამდე კი, იგი ძალზე უკომპრომისოდ და, შეიძლება ითქვას, ჯიქურადაც კი მსჯელობს ისეთ პრინციპულ და ქართული მწერლობისათვის „გამოტანჯულ“ პრობლემაზე, როგორიც ინტელიგენციის საკითხი გახლავთ. ეს განსაკუთრებით ითქმის ინტელიგენციის დამოკიდებულებაზე ეროვნული საკითხისადმი ახალი დროების პირობებში.

აი, რამდენიმე გამონათქვამი:

„ქართული დემოკრატიული სახელმწიფოს კატასტროფის მიზეზები ქართველი ერის შინაგან არსობაშია საძებნელი. უნდა აღეიაროთ, რომ ჩვენ ამ სამი წლის დიდ ეგზამენებში ჩავიჭერით. ნურავინ დააბრალებს ამ კატასტროფას ნურც მარტოოდენ მეზობლებს, ნურც რომელსამე განსაზღვრულ პარტიას. ქართველმა ინტელიგენციამ ვერ მოახერხა ეროვნული ძალების სრული და მწყობრი მობილიზაცია ეროვნულ სახელმწიფოს ასაშენებლად. ქართველმა ინტელიგენციამ ვერ იპოვნა სწორი ორიენტაცია ჩვენს თანამედროვე პოლიტიკურ გარემოცვაში.

ქართველობის უკანასკნელ პოლიტიკურ ეგზამენებში ჩვენ დავინახეთ, როგორც სახელმწიფო აღმშენებლობის მასალა, იგი ძლიერ კარგია, მაგრამ მისი მეთაური ინტელიგენცია, ბევრ შემთხვევაში, ულირსი აღმოჩნდა ერის ბელადობისა.“

კიდევ:

„ქართველმა ინტელიგენციამ, ამ ორ უკანასკნელ წელს, თავისი სრული უსუსურობა და აბსოლუტური სულიერი სიკოტრე გამოააშკარავა. ეს ინტელიგენცია, ცრუ პატრიოტიზმით გაჟღენთილი, გაქსუებული ადამიანების კრებული აღმოჩნდა. განა ყველაფერ ამის შემდეგ კადნიერებად ჩამეთვლება იმის მტკიცება, რომ საქართველოში ყველას სძულს აზროვნებაც და კითხვაც. ცარიელი ლაპარაკი ურჩევნიათ, რადგან ლაპარაკი ყველაფერზე შეიძლება". (ილიონი, 1922, № 2).

და კიდევ:

„ჩვენი ინტელიგენცია ცრუ პატრიოტიზმით გაჟღენთილი ადამიანთა კრებულია. რით ჰგავს ეს ხალხი იმ ქართველებს, რომელნიც, ათასეული წლების განმავლობაში, ჯვრისა და მახვილის მპყრობელნი, ჰკაფავდნენ ჩვენზე მოიერიშე ბარბაროსების ურდოებს. რით ჰგვანან ეს უდღეური ეპიგონები თავიანთ წინაპრებს, რომელნიც საქართველოს ციცაბო კლდეებს გულბოყვს შეუნგრევდნენ და უფსკრულების პირზე აგებდნენ ხელოვნებისა და მარადისობის წარუვალ ძეგლებს ქართულ კათედრალებს? არაფრით!" (კ. გამსახურდია, ტ. VII, 1983, გვ. 433).

ეს სიტყვები, აშკარაა, ერთგვარი „გაკაპასებითაა" დაწერილი. კ. გამსახურდიას საერთოდ არ შეეძლო „მოშვებული" წერა, მისი სტრიქონი ყოველთვის ყალყზეა შემდგარი, თითქო დაურვებას საჭიროებდეს. რაც მთავარია, აქ იგრძნობა ილია ჭავჭავაძისეული პუბლიცისტიკის სტილი და პათოსი პირშიმთქმელი, თან გულშემატკივრული და პატრიოტული, რაც ისტორიულ-კულტუროლოგიური თვალსაზრისით, ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტია. (ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, რომ კ. გამსახურდია, არა მხოლოდ პუბლიცისტი, არამედ როგორც ბელეტრისტიც, ენათესავება ილიას „მგზავრის წერილებს". მისი ინტელიგენტები (საყარსამიძე, ემხვარი, კორინთელი), სტრუქტურულად, მგზავრის (მთხრობელის) პირდაპირი ჩამომავალნი არიან).

დიდად საყურადღებოა კ. გამსახურდიას აზრი ქართველი ინტელიგენციის პოლიტიკურ უსუსურობაზე. მსჯელობა აშკარად ტენდენციურ ხასიათს ატარებს თუნდაც იმიტომ, რომ 1924 წლის სისხლიანმა რეპრესიებმა, უმეტესწილად, ინტელიგენციის ქედზე გადაიარა, რისი მოწმე და მონაწილე თავად გამსახურდიაც გახლდათ, მაგრამ, ეტყობა, საიმდროოდ, ინტელიგენციის მიმართ ამრეზილი დამოკიდებულება ფეხმოდგმული იყო, რამაც, სწორედ იმ ხანებში, მიხ. ჯავახიშვილისა და თვით კ. გამსახურდიას ინტელიგენტ პერსონაჟებში ჰპოვეს მხატვრული ხორცშესხმა.

ეგულისხმობ რომანებს: „ჯაყოს ხიზნები“ - თეიმურაზ ხვედისთავი, „თეთრი საყელო“ - ელიზბარი. მეორეს მხრივ: „დიონისოს ღიმილი“ - კონსტანტინე საჯარსამიძე, „მთავარის მოტაცება“ - თარაშ ემხვარი და „ვაზის ყვავილობა“ ვახტანგ კორინთელი.

მკითხველი ამთავითვე უნდა გაეაფრთხილო, რომ ამ ნაშრომში ამაოდ დაუწყებს ძებნას ხსნებული რომანების პრობლემატიკასა და პერსონაჟთა გამოწვლილვით ანალიზს. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ჩემამდე ეს უკვე გააკეთეს პატივცემულმა მკვლევარებმა, მეორეც - ნაშრომის ინტერესთა სფერო არ ითვალისწინებს ამნაირ მსჯელობას.

მე მხოლოდ რამდენიმე საკითხის დაყენებით შემოვიფარგლები. ოღონდ, ჯერ ფაქტები:

კ. გამსახურდიას თხზულებათა სრული კრებულის (XX ტომად) პირველი ტომის „მთავარი რედაქტორის წინასიტყვაში“ (ავტორი ზვიად გამსახურდია), ვკითხულობთ:

„1921 წელს, როცა წითელმა არმიამ დაიპყრო საქართველო, კ. გამსახურდია ლენინს წერს პროტესტის ღია წერილს, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „სოციალ-ფედერალისტში“ („ღია წერილი ულიანოვ-ლენინისადმი“). ამ წერილის გამო მას თავს დაესხა საქართველოს მთელი წითელი პრესა.

1923 წელს გამსახურდია კვლავ მიემგზავრება ევროპას და პარიზის სორბონის უნივერსიტეტში ისმენს ბერგსონის ლექციებს. 1923 წლის ბოლოს ბრუნდება საქართველოში და მიუხედავად ჩეკა-ს მუქარისა, აღარ აპირებს საზღვარგარეთ წასვლას. 1924 წლის აჯანყების დროს დაპატიმრებულ იქნა და გაანთავისუფლეს 1925 წელს (ამ პერიოდს მიეკუთვნება მისი მოთხრობები: „ტაბუ“, „ზარები გრიგალში“, „ფოტოგრაფი“ და სხვა).

დაჭერის წინ, მასსა და ორჯონიკიძეს შორის ასეთი საუბარი გაიმართა: „კონსტანტინე, გონს მოდი, თორემ შენ და შენნაირ ინტელიგენტ-ნაციონალისტებს ჩავსვამ საქონლის ვაგონებში და გავაციმბირებ“. კონსტანტინემ ასე მიუგო: „სერგო, მეშინია ჩემი ხალხის მოსპობის, თორემ შენ და შენს რუს წითელარმიელებს როსტოვს იქით გაგყრიდით“. სერგო გაწითლდა და ხმადაბლა უთხრა: „გთხოვ, არავის უთხრა, რაც მე მითხარი. ახლა კი გასწი და ფრთხილად იყავი“. მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ ჩეკ-ამ მაინც დააპატიმრა კ. გამსახურდია (კ. გამსახურდია, თხზულებანი ოც ტომად, ტ. I, თბ. 1992, ზ. გამსახურდია, მთავარი რედაქტორის წინასიტყვა, გვ. 2).

ზ. გამსახურდიაზე კომპეტენტური ვინღა შეიძლება იყოს, როცა საუბარი მწერლის ბიოგრაფიას ეხება, ამიტომ, ფაქტების

გადამოწმებას, ცხადია, აზრი არა აქვს, მაგრამ, ამის მიუხედავად, გაკეირვებას იწვევს ჩამოთვლილ თხზულებათა შორის არხსენება რომანისა „დიონისოს ღიმილი“, რომელიც, ავტორს „მაისის 15-ს, 1925 წლისა, თავის დაბადების დღეს დაუსრულებია“.

გარდა ამისა, მეტად საყურადღებოა კონფიდენციალური საუბარი ჯალათისა და მწერლისა, კონსტანტინესი და სერგოსი (ასე ინტიმურად მიმართავენ ისინი ერთმანეთს), რაც მწერლის სრული გამარჯვებით თავდება. როგორც ვნახეთ, მისი ომახიანი შეძახილების შემდეგ, სერგოს ელეთმელეთი ემართება, თავს მორცხვად ხრის, ხმადაბალ საუბარზე გადადის და ემუდარება: „გთხოვ, არავის უთხრა, რაც მე მითხარი“. ხოლო რა უთხრა გამსახურდიამ? „სერგო, დედას გიტირებდი, შენი რუსებიანად იჩქითად გაგაძევებდი საქართველოდან, ჩემი ხალხის მოსპობისა რომ არ მეშინოდესო“. მაგრამ, ერთიც ვნახოთ, გამსახურდია გულჩვილი არ აღმოჩენილიყო და თავის ხალხის მოსპობისა არ შეშინებოდა, მაშინ? ხომ გაწყდებოდა ქართველთა სინსილა? ერთი სიტყვით, ბეწვზე ვართ გადარჩენილი და თურმე ამას გამსახურდიას უნდა ვუმადლოდეთ. ეს კი, ბატონო, მაგრამ, ამ შემთხვევაში შვილმა მამას რომ ვერ გაუწია მთლად კარგი სამსახური, ცხადია. აშკარად მოგველაციცა ცნობილი ბარონის - მიუნჰაუზენის ლანდი.

მაგრამ ეს - სხვათა შორის.

1925 წლის 15 მაისი დარჩება ქართული ლიტერატურის ისტორიაში, რადგანაც ამ დღეს დაესვა წერტილი XX საუკუნის ერთ-ერთ გამოჩინებულ წიგნს „დიონისოს ღიმილს“.

ამიერიდან, ქართველი მკითხველის ცნობიერებაში შეაბიჯა და სამუდამოდ დამკვიდრდა კიდეც ტრაგიკული მხატვრული სახე ახალგაზრდა ინტელიგენტი კაცისა, რომელსაც „ცხოვრების ნახევარ გზაზე შემოაღამდა“. თუ იმ თეორიული წანამძღვრებით ვიმსჯელებთ, რაზედაც უკვე გვქონდა საუბარი, გამსახურდია მაინცდამაინც მაღალი აზრისა არ უნდა ყოფილიყო იმ ფუნქციაზე, რასაც ჩვენი ინტელიგენცია ასრულებდა გასაბჭოების შემდეგდროინდელ, ხელახლა დაპყრობილ საქართველოში, ამიტომ, ბუნებრივია, თავის გმირს, კონსტანტინე სავარსამიძეს, შიგადაშიგ სატირის მათრახებსაც არ აკლებს, ხოლო, საბოლოოდ, ჩემი აზრით, ზედმეტად მკაცრ განაჩენსაც გამოუტანს - „უნდა დაითრგუნოსო“.

აქ უნდა ითქვას შემდეგი: ცოტა მოულოდნელიც კია, მაგრამ მოდელი ინტელიგენტი კონსტანტინე სავარსამიძისა, თარაშ ემხვარისა და ვახტანგ კორინთელისა, „უკვე იყო“ ქართულ მწერლობაში. საქმე ის გახლავთ, რომ სამივე ეს პერსონაჟი, თავისუფლად შეიძლება იმ სტრუქტურებში მოვათავსოთ,

რომლებზეც ნაშრომის დასაწყისში ვსაუბრობდით: გავიხსენოთ სოლომონ დოდაშვილი, დიმიტრი ყიფიანი, გიორგი ერისთავის პერსონაჟები, ილიას მგზავრი (მთხრობელი), ვასილ ბარნოვის ზოგიერთ ინტელიგენტთა მხატვრული სახეები და სხვ. ყველა ამათ სამშობლოს მიღმა მიუღიათ სწავლა-განათლება, მერმე საქართველოში დაბრუნებულან, რათა შეძენილი ცოდნა ერის კეთილდღეობას მოახმარონ და შესაძლებლობის ფარგლებში ემსახურონ ილიასეული ფუძემდებლური იდეის ცხოვრებაში განხორციელებას: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“. მაგრამ, რაღა თქმა უნდა, თუ სტრუქტურული მსგავსება არის, განსხვავება გაცილებით მეტია. XIX საუკუნის ინტელიგენტები „თერგდალეულები“ არიან, კ. გამსახურდიას ინტელიგენტები კი, პირობითად, შეიძლება „რაინდალეულებად“ მოვიხსენიოთ, რამეთუ გეოგრაფიული არეალი მათი ცხოვრებისა და მოქმედებისა, უსასრულოდ ფართოა წინამორბედებთან შედარებით, მათ განათლება გერმანიაში მიუღიათ და ჭარბად „უსვამთ“ რაინისა და შპრეეს წყალი, გაცილებით ფართოა მათი სულიერ-ინტელექტუალური ლანდშაფტიც, მწერლის მიერ დეტალურად არის გაანალიზებული პერსონაჟთა ფსიქიკის ყველაზე ფარული ნიუანსები და ეს ყოველივე, სავსებით შეესაბამება XX საუკუნის 20-იანი წლების ურთულესი კატაკლიზმებისა და პოლიტიკურ-ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურ, თუ ლიტერატურა-ხელოვნების ევროპულ მასშტაბებს. მაგრამ ერთი რამ, მაინც ყველასათვის საერთო რჩება: ესაა სვედავსილი სამშობლოს ბედი და გულწრფელი, სასოწარკვეთილებამდე მისული განცდა ამ ტრაგიკული ბედისა. გამსახურდიას პერსონაჟთა სულიერ დრამატიზმს (სავარსამიძე, ემხვარი) ისიც აორმაგებს, რომ მათი სამშობლო „წითელი დრაკონის“ ხახაშია მოქცეული და მათს პატიოსან სურვილს ერის სასარგებლოდ ღვწისა, საფუძველშივე ფრთები აქვს შეკვეცილი, მათი საქმიანობა, ვითარცა აზნაურებისა, არავის სჭირდება პროლეტარიატის დიქტატის ნავარდის ჟამს და აქედან გამომდინარე, ისინი ცხოვრებაში უფუნქციოდ და უადგილოდ დარჩენილნი, ყველგან და ყველაფერში ხელმოცარულნი, იღუპებიან, ერთს „ცხოვრების ნახევარ გზაზე შემოაღამდება“, ხოლო მეორეს - დაახრჩობს ტალღები ენგურისა, რაც სიმბოლოა „ახალი“ ცხოვრების.

სხვა ვითარებაა ვახტანგ კორინთელთან, მასზე მოგვიანებით მექნება საუბარი.

მაშ: ორი ახალგაზრდა კაცი, ორი ინტელიგენტი, რომლებიც ევროპულად არიან განსწავლულნი, მათ მოვლეს ნახევარი მსოფლიო, შეისწავლეს შვიდი ენა, შეიმეცნეს თითქმის მთელი კაცობრიული

ცოდნა, მაგრამ ეს ყოველივე ამაოა, უსარგებლო, რაკიღა სამშობლოს დაუძლეველ ნოსტალგიას მოუწამლავს მათთვის სიცოცხლე. ბოლოს და ბოლოს ბრუნდებიან კიდეც, მაგრამ აბსოლუტურად უცხო სოციალ-პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური კლიმატი დახვდებათ აქ, რაც წითელი დიქტატურის გაბატონებით არის გამოწვეული. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში ჩვენი ინტელიგენტები ადგილს ვერ პოულობენ და იღუპებიან.

ასეა ზოგადად. ახლა, კიდევ რამდენიმე დეტალი:

„დიონისოს ღიმილის" პატარა ბოლოსიტყვაში, რომელშიაც მოკლედ რომანის შექმნის ისტორიაა მოთხრობილი (კ. გამსახურდია, ტ. IV, გვ. 681), ერთ ძალზე ნიშანდობლივ ფრაზას ვხვდებით:

„დასასრულ, ერთი სათხოვარი მკითხველისადმი: მე ნუ ამკიდებთ კონსტანტინე სავარსამიძის ცოდვებს, რადგან მე ჩემი ცოდვებიც მეყოფა".

ფრიად დამაფიქრებელი განცხადებაა!

გაივლის წიგნის გამოქვეყნებიდან ზუსტად 8 წელი და დღის წესრიგში დადგება მისი ხელმეორედ გამოცემის საკითხი (1936 წელი). აი, ამ გამოცემას, ავტორი ურთავს შედარებით ვრცელ ბოლოსიტყვას - „დიონისოს ღიმილის" მეორედ გამოცემის გამო", სადაც თავისი წინასწარჭვრეტის გამართლებაზე ლაპარაკობს:

კ. გამსახურდია:

„ჩვენი კრიტიკა განუკითხავად აიგივებს გმირისა და ავტორის ფსიქოლოგიას, აზროვნებასა და ზნეობას. ასე რომ, ჩემი სათხოვარი, სავარსამიძის ცოდვებს მე ნუ ამკიდებთ, რადან მე ჩემი საკუთარიც მეყოფა-მეთქი, შეუწყნარებელი დარჩა.

ამ გაუგებრობას ხელს უწყობდა ისიც, რომ ჩემი რომანი პირველი პირითაა ნათხრობი და ამგვარ შემთხვევაში, გამოუცდელი მკითხველი და კრიტიკოსიც, მუდამ ავტორს აწერენ ხოლმე გმირის ნათქვამსა და ნამოქმედარს" (კ. გამსახურდია, ტ. IV, გვ. 682).

აქ, ცხადია, მხოლოდ „პირველი პირით თხრობაში" არ არის საქმე. „წითელი კრიტიკოსები", არცთუ უსაფუძვლოდ, კონსტანტინე სავარსამიძის ზღვარდაუდებელ პატრიოტიზმსა, ანტიპროლეტარულ ფსიქოლოგიასა და „ბოლშევიკურ სამშობლოსთან" შეუგუებლობაში, მის ანტისაბჭოთა, მტრულ გაწყობილებებს ჭვრეტდნენ, რაც სრულიად რეალურ საფრთხეს უქმნიდა რომანის ავტორის ფიზიკურ ყოფნა-არყოფნას. და ისიც, ხან მოიარებითა და ქარაგმებით, ხან კიდევ აშკარა დათმობითაც ცდილობდა თავი დაეცვა, უფრო სწორად, გადაერჩინა. და აი, ამის გამო, იწყება საკუთარი გმირის, „სისხლი სისხლთაგანის და

ძვალი ძვალთაგანის", არნახული „გამეტება", თუ შეიძლება ასე ითქვას, „გაცემა", ანუ „დასმენა".

„როცა „დიონისოს ღიმილი" გამოვაქვეყნე, ერთბაშად თავს დამესხა „მებრძოლი" კრიტიკა. ამ რევოლუციის ეპოქაში ეს ზნედაცემული საავარსამიძე საიდან გამოიგონეო. იძულებული ვიყავი თავი დამეცვა" - ამბობს მწერალი ერთ ინტერვიუში. (რ. მიშველაძე, კრიტიკული წერილები, თბ., 1979, გვ. 323).

და იცავდა კიდეც, ყველა საკადრისი, თუ უკადრისი ხერხებით.

კ. გამსახურდია:

„ევროპული გაგების ახალგაზრდა კაცის ტრაგედიას (უნებისყოფობა, საზოგადოებასთან კონფლიქტი), ოქტომბრის რევოლუციამდის კიდევ ერთი შტრიხი ემატებოდა ქართულ სინამდვილეში:

„რაკი ჩვენ არც საკუთარი სახელმწიფო გაგვაჩნდა, არც ეროვნული სკოლა, არც ქალაქური ყოფა, ამიტომაც სავარსამიძის თაობის ახალგაზრდა უცხოეთში აღამებდა თავის სიჭაბუკეს, იქვე ხდებოდა მათი ხასიათის ფორმირება. შემდეგ იგი თავის ქვეყანაში მობრუნებული, მშრომელი ქვეყნის პირობებს ვეღარ ეგუებოდა და ამ გზით, მომეტებულად მძაფრდებოდა მისი სულიერი ტრაგიზმი.

მე ვაჩვენე მკითხველს ტრაგედია იმ ახალგაზრდა და კულტურული ადამიანისა, რომელიც თუმცა დასავლეთის დიდ კულტურულ ცენტრში გაიზარდა, მაგრამ ქართველი გუდამშიერი აზნაურის ფსიქოლოგიას მაინც ვერ დააღწია თავი (ვგულისხმობ ჩემი გმირის, სავარსამიძის გადაჭარბებულსა და ავადმყოფურ ინდივიდუალიზმს)".

ცოტა ქვემოთ:

„სავარსამიძე გრძნობს, რომ მისი აზნაურობა სასაცილოა, აბსურდულ ახალ საუკუნეში, მითუმეტეს, რომ მას მხოლოდ აზნაურული მორალი აქვს შემორჩენილი და აზნაურული პრივილეგიები არ გააჩნია. სავარსამიძე განწირული ქართული აზნაურობის უკანასკნელი მოჰიკანია, მომაკვდავი წოდების სასიკვდილოდ განწირული ნაშიერი".

აი, ასე „უსწორდება" თავის გმირს მწერალი, მაგრამ ვიდრე შემაჯამებელ დასკვნასაც ვნახავდეთ, საჭიროა გაეცნობოდეთ: მაინც რით დაიმსახურა ამ საწყალმა, „გუდამშიერმა" სავარსამიძემ ესოდენ დაუნდობელი რისხვა? დიახ, აზნაურია, მაგრამ უქონელი, „გუდამშიერი" ევროპულად განათლებული პოეტი, ინდივიდუალისტი, გრძნობს, რომ მის აზნაურობას ყველა გასვლია, შეიდი ენა იცის, სიბრძნეთა უფსკრულში ჩაუხედავს, გაფეტიშებამდე უყვარს თავისი

პატარა ქვეყანა, მაგრამ იქ დამყარებულ ახალ რეჟიმს ვერაფერს უგებს, ამიტომაც „უღამდება ცხოვრების ნახევარ გზაზე“ სხვა თვისებების ჩამოთვლაც შეიძლება სავარსამიძისა, მაგრამ რაც ჩამოვთვალე, განა არ კმარა იმისთვის, რომ მას, როგორც ყველა ადამიანს, არსებობის უფლება ჰქონდეს მზის ქვეშ? საერთოდ, ღმერთის გარდა, ვის აქვს ნება - დაუწესოს ადამიანს არსებობისა და არარსებობის უფლება?

მაგრამ კ. გამსახურდიას რატომღაც ავიწყდება ეს და კატეგორიულად აცხადებს (იხ. ტომი IV, გვ. 684):

„ვისაც ქართველი ხალხისა და ქართული კულტურის მომავალი სწყამს, მას უთუოდ უნდა სჯეროდეს, რომ ეს აზნაურული ფსიქოლოგია უნდა დაძლეულ იქნას. მეტსაც ვიტყოდი: უნდა დაითრგუნოს მეთქი“ (ხაზგასმა გამსახურდიასია - თ. მ.).

იქვე:

„მე ამ რომანით საუკუნოებს გადაესძახე: აზნაურობა უნდა დაითრგუნოს მეთქი“.

იქნებ იმიტომ უნდა „დაითრგუნოს“ კონსტანტინე სავარსამიძე (ე. ი. ფიზიკურად განადგურდეს - თ. მ.), რომ იგი ვერ იჩენს სამაგალითო ღვთისმოსაობას და ქრისტეს მიმართ ღრმა ანტიპატიით არის გამსჭვალული?

„ვიწრო ბილიკზე უშველებელი შავი ძელის ჯვარზე გაკრული ქრისტე! უდაბნო შემომცქერის მის განაწამებ, დაღრეჯილ სახიდან. მისმა შეხედვამ ისეთივე უზომო ჟრუანტელი მომგვარა, როგორც ბავშვობაში, როცა პირველად ვნახე. მოეუქნიე ჩემი ხელჯოხი ამ სმარაგდისფერ სამოთხეში აღმართულ უდაბნოს ღმერთს. დაინგრა ჯვარცმა. ნაფშვენებად იქცა გიპსის ხატება, ფეხით გავთელე წაქცეული ჯვარი და უშვერი სიტყვებით ვგმე ქრისტე. ამ საშინელმა, გაუგონარმა გმობამ მეც გამომრუჯა პირი“ (კ. გამსახურდია, ტ. IV, გვ. 530).

დიახ, ეს სავარსამიძის სიტყვებია და არცთუ სანაქებოდ ახასიათებს მის წარმომთქმელს (სხვათა შორის, არც თარაშ ემხვარი და ვახტანგ კორინთელი გამოირჩევიან ღვთისმოსაობით, რაც მათი სულიერი სიცარიელის მკაფიო დასტურია თ. მ.), მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ გამოდგება მისი დათრგუნვისათვის საკმარის საბუთად, რაც კარგად იცის ავტორმაც. მისი აზრით, სავარსამიძე და მსგავსნი მისნი, მხოლოდ იმიტომ უნდა განადგურდნენ, რომ ისინი აზნაურები არიან, ე. ი. კლასობრივად უცხონი პროლეტარიატისათვის. მაშასადამე, მათი დათრგუნვის მიზეზი, მხოლოდ და მხოლოდ კლასობრივი ნიადაგი გახლავთ.

ახლა მოვისმინოთ, რას ამბობს ამ საკითხის გამო,

საქართველოს ბოლშევიკთა პარტიის ცეკას მდივანი ლევან ღოღობერიძე:

„თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ საქართველოში 6 პროცენტი თავად-აზნაურობაა. ეს არაჩვეულებრივი პროცენტია, რომელიც არცერთ ქვეყანაში არ არის, თუგინდ პოლონელი პანების სამეფოშიც, სადაც თავად-აზნაურობის რაოდენობა 4 პროცენტს აღწევს. ჩვენ უნდა შევამციროთ საქართველოში თავად-აზნაურობის პროცენტი. ჩვენ დავამტკიცებთ, რომ ჩვენი საბჭოთა ბოლშევიკური იარაღი არ ბლაგვდება და ტყდება". (კომუნისტი, 1924, 21. V).

ამის შემდეგ, ნება მომეცით, ვიკითხო, რითი განსხვავდება პირისისხლიანი ბოლშევიკის - ლ. ღოღობერიძისა და მწერლის კ. გამსახურდიას თვალსაზრისი ამ საკითხისადმი დამოკიდებულებაში? არაფრით! ტრაგიზმის თავწყაროც სწორედ აქაა საგულვებელი. კ. გამსახურდია, თავისი ინტელიგენტი გმირის, კონსტანტინე საყარსამიძის მსგავსად, იმ ტრადიციებზე აღიზარდა, რაც საფუძველშივე გამორიცხავს კლასებს, მათ შორის ბრძოლას და ამასთან დაკავშირებულ ყოველგვარ სოციალურ კატაკლიზმას. და აი, ამ ვითარებაში, მწერალი იძულებულია აღიაროს, „საუკუნეებს გადასძახოს", რომ ადამიანი, თუ ის პროლეტარული წარმოშობის არაა, უნდა დაითრგუნოსო.

და ალბათ არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ კლოუნმა, პირველად სწორედ აქ აჯობა ლუციფერს, გამოაჩინა ელამი თვალები და ჭრელი სამოსი, თანაც, მარჯვედ გააკეთა სალტო-მორტალე.

მემუარულ წიგნში „ლანდებთან ლაციცი", რომელიც, პირდაპირ უნდა ითქვას, ვერ ჩაითვლება ხსენებული ჟანრის მნიშვნელოვან შენაძენად გადაჭარბებული სუბიექტივიზმის და ეგოცენტრიზმის. გამო, მწერალი, ნახევრად ხუმრობით, დედის ნათქვამს იხსენებს:

„დიდი გაოხრებული კაცი ხარ, კონსტანტინე, შენ! ნიკოლოზის მთავრობას ებრძოლი, მენშევიკები გძულდა, ახლა ბოლშევიკებსაც ვერ ეგუები. რა გახდა, რით ვერ დაშოშმინდი, შე ღვთის პირიდან გადავარდნილო?!"

ეს ფრაზა, თუმცა ხუმრობით ნათქვამი, მწარე სიმართლის შემცველი გამოდგა: მეფის მთავრობა ძირფესვიანად უპირისპირდებოდა ჩვენს ეროვნულ ინტერესებს. მენშევიკური ხელისუფლების იდეოლოგია მარქსიზმს, კლასთა ბრძოლას, სოციალიზმს ეყრდნობოდა და უკვე ამიტომ იყო მიუღებელი. ხოლო რუსული ბოლშევიზმი და მისი ქართული ნაირსახეობა, თვითმპყრობელურ „ველიკოდერჟავნიკობასთან" მარქსიზმის შეჯვარებით წარმოშობილი, რაღაც ჰიბრიდი გახლდათ, რომლის

მიზანი საქართველოს აღგვა იყო პირისაგან მიწისა.

მაშ, როგორღა უნდა ერწმუნა კ. გამსახურდიას ან ერთი, ან მეორე, ან მესამე ხელისუფლება? მაგრამ იგი იმასაც მშვენივრად ხედავდა, რომ ბოლშევიზმი, გინდოდა თუ არ გინდოდა, არსებული ფაქტი იყო. ისიც კარგად იცოდა, რომ ბოლშევიზმი ჩვეულებრივი, ადამიანის გონისთვის მისაწვდომი საზომით არ გაიზომებოდა. იგი, თავისი ბუნებით, ღრმად ანტიჰუმანური, ანტიკულტურული მოვლენა გახლდათ, ამიტომ მასთან ძალზე ფრთხილი ურთიერთობა იყო საჭირო - სადაც მწვადისა და შამფურის დაუნდობლობის პოლიტიკას ძალზე ზუსტად უნდოდა გათვლა.

„დიონისოს ღიმილის" გამოსვლის შემდეგ, 1926 წელს, როგორც ცნობილია, გაიმართა სრულიად საქართველოს მწერალთა I ყრილობა.

კ. გამსახურდიას სიტყვიდან:

„როდესაც ჩემს გამოსვლას ვამთავრებდი, ერთი უხერხული გამოთქმა დამცდა: „ჩვენ მივიღებთ წითელყაბალახიან საქართველოს, სანამ სხვა საქართველო არ არსებობს"-თქო. მე არ მინდა ეს სხვანაირად გაიგონ. მე ამით არ მინდოდა თქმა, რომ უკმაყოფილო ვარ არსებული საქართველოთი. მაგრამ თუ უკეთესი საქართველო იქნება"...

ამ დროს, გველის სისინივით გაისმის დარბაზიდან მედგარი პროლეტარული პოეტისა და პროზაიკოსის კოწია ლორთქიფანიძის შხამიანი რეპლიკა:

ფაშიზმი გინდა?

გამსახურდია: ჯერ თქვენ ისწავლეთ, რა არის ფაშიზმი და მერე ილაპარაკეთ. მე არ მინდა აქ ვინმემ გაიგოს, რომ ორჭოფულად ველაპარაკობდე. მე ორჭოფობა არ მჩვევია, ვამბობ იმას, რასაც სინდისი მიკარნახებს (საქ. მწერალთა კავშირის I ყრილობის მასალები, 1926 წ.).

- ფაშიზმი გინდა? ამ საზარელი ფრაზით ამომწურავად არის დახასიათებული, როგორც მისი მთქმელი, ისე იქ არსებული სიტუაციაც. კ. ლორთქიფანიძე, რომელიც არაერთხელ გამოჩნდა ამ წიგნში „მომხიბლავი" რაკურსით, აქაც ინარჩუნებს „სიმაღლეს თავისას".

არა, ფაშიზმი ნამდვილად არ უნდა უნდოდა კ. გამსახურდიას. იგი ძალზე კარგად იცნობდა „ჩვენი, საკუთარი" ბოლშევიზმის ბინძურ რეჟიმს, რათა მშობლიური ერისათვის ენატრებინა. მწერალს უნდა ჭეშმარიტად თავისუფალი, ერთიანი, დემოკრატიული, კულტურითა და ეკონომიკით აღზევებული, მსოფლიო ერთა შორის თანასწორუფლებიანი და „ვეფხისტყაოსნის" ავთანდილის მზიურობით

განათებული, კაცობრიული სიკეთისა და სიბრძნის ღირსეულად მიმღები და გამცემი. აი, ასეთი საქართველოს ხილვა ეწადა კ. გამსახურდიას და არა ფაშიზმისა, ან კოწია ლორთქიფანიძის სათაყვანებელი ბოლშევიზმისა.

დიახ, ეწადა, მაგრამ მსახვრალი რეალობა სხვას სთავაზობდა, ამიტომ მან, მოგვიანებით, საქართველოს ისტორიას მიაშურა და მისი პოეტიზირებით სცადა გმირის საკუთარი მოდელის შექმნა (არსაკიძე, დავით აღმაშენებელი...), თუმცა ამის თაობაზე, განსაგებ მიზეზთა გამო, სიტყვას არ გავაგრძელებ.

1926 წელს, მწერალთა ყრილობის შემდეგ, კ. გამსახურდია კელავ დააპატიმრეს, რადგან „დაუცადებლად ილაშქრებდა რუსიფიკაციისა და ეროვნული სულის ჩაკვლის გამო. ბრალად დასდეს „შპიონობა და მოღალატეობა“ და გააგზავნეს მოსკოვში, ლუბიანკის ციხეში, სადაც გინების გამო, სცემა ძერჟინსკის მოადგილეს. ამისთვის ექვსი თვე იჯდა სიკვდილმისჯილთა საკანში. მერმე მას ასახლებენ სოლოვკის კუნძულებზე, სადაც 3 წელი დაჰყო. სოლოვკური მოგონებაა - მოთხრობა „მტრების მეგობრობა“, გვიამბობს ზვიად გამსახურდია (კ. გამსახურდია, ოცტომეული, ტ. I, გვ. 12).

მე ვერ ვიტყვი, რომ „მტრების მეგობრობაში“ სოლოვკის ჯურღმულების ტრაგედია სასურველი მხატვრული ძალით იყოს გადმოცემული, მწერლის დამახასიათებელი მანერულობა სტილისა და აწეული ტონალობა, სრულიად არ შეესაბამება ასასახავი მასალის თემას პოლიტპატიმართა ჯოჯოხეთურ ყოფას. შთაბეჭდილება რჩება, თითქოს მწერალი თვითონ კი არ ყოფილიყოს მხილველი და მონაწილე ამ ვითარებისა, არამედ ფანტაზიის ნაყოფს გვაწვდიდეს, მაგრამ ეს სხვა საუბრის თემაა, ფაქტი კი ის გახლავთ, რომ 1928 წელს კ. გამსახურდია საქართველოში დაუბრუნებიათ.

ზვიად გამსახურდია:

„პატიმრობიდან დაბრუნების შემდეგ, კ. გამსახურდია რჩება სრულიად უსახსროდ: მის ნაწარმოებებს არ აქვეყნებენ, სამუშაოს არ აძლევენ, გამუდმებით დევნიან პრესაში, „კლასობრივ მტრად, ბანდიტების მწერლად, ბურჟუაზიის აგენტად“ და ა. შ. აცხადებენ. ამ დროს კ. გამსახურდია სარჩოს ნადირობით შოულობს და ამიტომაც დადის მთელს საქართველოში“.

შეუძლებელია, მწერლის ასეთმა მუხანათურმა დევნამ არ ააღელვოს მკითხველი. არაა სახარბიელო ვითარება, როცა კაცს, მით უმეტეს მწერალს, საქმე იმაზე მიუდგება, რომ ნადირობით უწევს „სარჩოს შოვნა“, მაგრამ ერთი კია: თუ იმდენი

საშუალება ჰქონდა მაშინ კ. გამსახურდიას, რომ ნადირობის მიზნით „მთელს საქართველოში“ ემოგზაურა, განა არ აჯობებდა, დახარჯული გზის ფული, რაც, უნდა ვიფიქროთ, სოლიდური თანხა იქნებოდა, „სარჩოს შესაძენად“ აქვე მოეხმარა და მწერლისთვის ეგოდენ საჭირო დრო დაეზოგა?

მაგრამ რაც მოხდა, მოხდა, ახლა ამ საქმეს აღარაფერი ეშველება.

კვლავ ზვიად გამსახურდია:

„1933-1935 წლებში კ. გამსახურდია აქვეყნებს ვრცელ რომანს „მთვარის მოტაცება“. რომანის მთავარი გმირი საქართველოს არისტოკრატიული ინტელიგენციის წარმომადგენელი თარაშ ემხვარი, მამაცი, კეთილშობილი, პატიოსანი ადამიანია, რომელიც შექმნილი ვითარების წყალობით, სახელდობრ, ბოლშევიკების მიერ საქართველოს დამონების გამო, ვერ პოულობს ადგილს ცხოვრებაში და აღსასრულს ნახულობს, თავის ცხენთან ერთად, აბობოქრებულ ენგურთან ჭიდილში.

რომანის მეორე გმირია კომუნისტი არზაყანი, მამის მკვლელი, ღვთის მგმობელი, გარყვნილი და დაუნდობელი ადამიანი, კარიერისტი, რომელიც ფეხით თელავს თავისი ხალხის ყოველგვარ სიწმინდეს, აბუჩად იგდებს მის კეთილშობილურ ადათებს (არზაყანის მიერ მამის მოკვლის სცენები ცენზურამ ამოიღო შემდგომი გამოცემებიდან)“.

სხვა ადგილას:

„მოგვიანებით, მწერალმა ტაქტიკა შეიცვალა, მან მოჩვენებით თითქმის „თანამგზავრის“ იერი შეიძინა, მაგრამ „მთვარის მოტაცებით“, ცნობილია, რომ გაცილებით უფრო მკაცრი განაჩენი გამოუტანა საქართველოს დამღუპველ კომუნისტურ წყობას, თუმც ბევრი ვერ მიხვდა ამას და „საკოლმეურნეო რომანად“ ჩათვალეს ეს ნაწარმოები. მაგრამ 40-იანი წლების ცენზურის „სიყოჩაღე“ იმაში გამოიხატა, რომ მწერლის თხზულებათა პირველ კრებულში, 1947 წელს, „მთვარის მოტაცებიდან“ ამოიღეს მთავარი ეპიზოდი, კომუნისტი არზაყანის მიერ მამის მოკვლისა“ (ოცტომეული, ტ. I, გვ. 6).

მე საკუთარი, უყოყმანოდ ვეთანხმები ბ-ნ ზვიად გამსახურდიასეულ ინტერპრეტაციას თარაშ ემხვარის ხასიათისას. იგი მართლაც ერთ-ერთი უმშვენიერესი მხატვრული სახეთაგანია ტრაგიკული შარავანდით თავდამშვენებული ახალგაზრდა ინტელიგენტი კაცისა, რომელსაც, უცხოეთიდან სამშობლოში დაბრუნებულს, მთელი გულით სწყურია თავისი დიდი ინტელექტი და ერუდიცია სამშობლოს კეთილდღეობას მოახმაროს (გაიხსენე:

მისი სამეცნიერო ნაშრომი „კოლხური ფეტიშიზმისათვის"), მაგრამ ბოლშევიკური სინამდვილე კატეგორიულად ვერ ჰგუობს მას, როგორც პიროვნებას, როგორც სოციალ-ფსიქოლოგიურ ტიპს, უცხოს და მიუღებელს ბოგანოთა ქვეყნისათვის, ინაპირებს ყველანაირად და რომ არა გარდაუვალი აუცილებლობისა გამო ენგურში დაღუპვა, მას მაინც გაანადგურებდნენ ფიზიკურად ძუძუმტე არზაყანის მსგავსი ნაძირალა ჩეკისტები. თარაშ ემხვარი მსხვერპლია, ტარიგია სისხლიანი რეჟიმისა და ეს მით უფრო დასანანია, რომ იგი თავისთავში ატარებს ძველთაძველი ქართული გენოფონდის უდახვეწილეს თვისებებს. იგი ღვიძლი ძმაა კონსტანტინე სავარსამიძისა, ოღონდ გაცილებით უფრო ღრმად და რეალისტურად მოხაზული ახალ სოციალურ ურთიერთობათა ფონზე. თარაშ ემხვართან დაკავშირებული ძირითადი სიუჟეტური მაგისტრალი რელიეფურად გვიჩვენებს ძველი, ათასწლობით ნაშენები ცხოვრების დაუნდობელ ნგრევას კომუნისტებისა და ცხვირმოუხოცელი კომკავშირლების მიერ, ურთიერთშეჯახებულ ვნებათა სიმძაფრეს ე. წ. კოლექტივიზაციის პერიოდში, მწვავედ წარმოაჩენს „ძველი" და „ახალი" ინტელიგენციის პრობლემას, ინდივიდის შეუთავსებლობას ბრბოს კოლექტიურ ნებასთან.

მე ცოტა მეგულება მთელს ქართულ მწერლობაში უფრო მაღალმხატვრული, უფრო გრანდიოზული სურათი გმირის დაღუპვისა, ვიდრე ეს თარაშ ემხვარის გაეშებული ენგურის ტალღებთან ჭიდილითაა ნაჩვენები:

„გაშალა მკლავები ემხვარმა, მოსტაცა თვალი მოვარვარე დისკომ მთვარისამ, თითქოს უფსკრულეთს დარჩენოდა ცეცხლებრ მგზნებარე ცალი თვალი და მიჰყვა მთვარეს ცნობაწართმეული ცურვით, მაგრამ იძალა ისევ ენგურმა, აბურთავდა მთვარე, გამოსტაცა ქანცმილეულ მცურავს და გააქანა უფსკერო შაეეთში.

უთენია, შავი ზღვისკენ მიჰქონდა ენგურს პირაღმა მწოლიარე შავჩოხიანი ცხედარი".

აი, აქ, უფრო ზუსტად, ამის შემდეგ, საბოლოოდ გამოეთხოვა თავის „შავჩოხიან" წარსულს კონსტანტინე გამსახურდია. გაჰქრა, განქარდა, ჩაიძირა ენგურის მრისხანე ტალღებში შეუპოვარი, ტყვიასავით მარდი და პირდაპირი შავჩოხიანი ეაჟკაცი, ჭეშმარიტი ინტელიგენტი.

ეს სურათი, რაღა თქმა უნდა, ღრმად სიმბოლური იყო, განცდილი ბიოგრაფიულად. კონსტანტინე გამსახურდია ეთხოვებოდა თავისი ცხოვრების და შემოქმედების ერთ დიდ, ჭეშმარიტი მამულიშვილობით აღბეჭდილ პერიოდს და იწყებდა მეორეს.

„მთვარის მოტაცებაში" მრავალი პანეგირიკული სტრიქონია

მიძღვნილი ბოგანოთა სახელმწიფოსა და მისი მეთაურებისადმი. ნაძირალა, მამისმკვლელი ჩეკისტის, არზაყან ზვამბაიას და მისთა მსგავსთა დახატვით, კ. გამსახურდიამ, როგორც იტყვიან, „სული შეინარჩუნა“ და სამომავლო მუშაობის „უფლებაც“ გაინაღდა. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავდა, რომ მის საჯარო გაკიცხვას და „დამუშავებას“ ყველი გასვლოდეს. მაინც გრძელდებოდა წერა გაზეთებში მოწინაეებისა გამსახურდიას რეაქციონერობასა და ფაშისტობაზე. მთელ ტომებს აავსებს სტატიები, რაც კომუნისტებს მის სალანძღავად დაუწერიათ. ოდესმე, ალბათ, მათი გამოცემის ჟამიც მოვა, რამეთუ, ამის გარეშე, ლიტერატურის ნამდვილი ისტორია ვერ დაიწერება.

1937 წელს ლ. ბერია საჯაროდ გამოდის და ბრალს სდებს მწერალს „ფაშისტურ ტენდენციებში“, ხოლო „მთვარის მოტაცებას“ აცხადებს „შემოქმედებით მარცხად“.

„კომუნისტი“ კი წერს:

„კ. გამსახურდია ცნობილია, როგორც რეაქციონერი, შოვინისტი და ანტისაბჭოთა მწერალი, რომელიც ამ ათი წლის განმავლობაში, განუწყვეტლივ იბრძვის მხატვრული პროდუქციით თუ ზეპირი გამოსვლებით, ფეოდალიზმის, თავადაზნაურობის, შოვინიზმისა და „შავი ჩოხის“ ტრადიციის დასაცავად.

ხსენებული გამოუსწორებელი რეაქციონერი მწერალი დღევანდელობისთვის მავნე მხატვრულ ნაწარმოებებს აქვეყნებს“.

ხოლო ჩვენი მარადდაუვიწყარი ბესო ჟღენტი, რომელმაც ამ ნაშრომის ფურცლებზე არაერთხელ „გაგვახარა“ მწერალთა მიმართ ჯალათური დამოკიდებულებით, ბრძანებს:

„ამხ. ლავრენტი ბერიამ თავის მოხსენებაში საქართველოს ბოლშევიკების მე-10 ყრილობაზე, ილაპარაკა, აგრეთვე, ქართული საბჭოთა ლიტერატურის უახლოეს წარსულში არსებულ ლიტერატურულ დაჯგუფებათა შესახებ, როგორიც იყო: „აკადემიური მწერლობის ჯგუფი“, „არიფიონი“, „ცისფერი ყანწები“ და „ლეფელები“.

მართალია, ეს დაჯგუფებანი დღესდღეობით აღარ არსებობენ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ამ დაჯგუფებათა წიაღში გამომუშავებული იდეების ნარჩენებს ახლაც ეხვდებით ქართული საბჭოთა მწერლობის სინამდვილეში.

უდავო ფაქტია, რომ მწერალ კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცებაშიც“ იგრძნობა იმ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური იდეების გავლენა, რომელთა ნიადაგზეც გაერთიანებული იყო ე. წ. აკადემიური მწერლობის ჯგუფი“ (მნათობი, 1937, №6-7).

უწუნებდნენ აზროვნების წესს, მხატვრული ენის

თავისებურებებს არქაიზმად უთვლიდნენ და საერთოდ, ვინ იცის, რაღაში არ სდებდნენ ბრალს. გამოხტებოდა ვინმე პარტიული ფუნქციონერი, „მარქსიზმში განსწავლული“ მატრაკვეცა და იმოძღვრებოდა:

„მწერალმა, თუ მას უნდა, რომ იყოს საბჭოთა მწერალი, უნდა შეისწავლოს დიალექტიკური მატერიალიზმი. მართალია, გამსახურდია აცხადებს, მე მარქსიზმი გერმანიის უნივერსიტეტების სემინარებში გავიარეო, მაგრამ ის, რაც გერმანელ ნაციონალისტებისგან ისწავლა, დღეს აქ არ გამოდგება და ამან, ისე, როგორც სხვებმა, მარქსიზმი და დიალექტიკური მატერიალიზმი ხელახლა უნდა ისწავლოს. თუ იგი დადგება პროლეტარიატის თვალსაზრისზე, თუ იგი საფუძვლიანად გაეცნობა და შეისისხლხორცებს მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიას, მაშინ ის შეძლებს წინსვლას“.

ამ „სიბრძნეს“ ხელს აწერს საქ. კ. პ. (ბ) ცეკას კულტპროპის გამგე, ვინმე ორაგველიძე. მეტი რალაა „უმეცრების ფართიფურთი?“ ეს პარტიული ვაჟბატონი მწერალს მოუწოდებს, გინდა თუ არა, ერთუჯრედიანი არსება გახდიო.

საპასუხოდ, კ. გამსახურდია საუსებით სერიოზულად, დარბაისლური ტონით უმტკიცებს სქელშუბლიან ოპონენტს, რომ მისტიკოსობა და იდეალისტობა არც ისე სამარცხვინო რამეებია, როგორც ეს ორაგველიძეს წარმოუდგენია:

„მე გაზრდილი ვარ ძალიან კონსერვატულ კულტურულ ატმოსფეროში, გერმანული იდეალიზმის და იტალიურ-გერმანული მისტიკის ზეგავლენის ქვეშ. თავისთავად ცხადია, მე არ შემეძლო ჩემი შემოქმედების პირველსავე პერიოდში ერთი დაკვრით შემომებერტყა ყოველივე, რაც 10 წლის განმავლობაში შემიგრძვნია, შემისწავლია და შემიცვნია ჩემი განსწავლისა და მგზაურობის წლების განმავლობაში. ეს რომ ჩამედინა, მაშინ ხელში შემრჩებოდა მარტოოდენ ის მარაგი, რომელიც ჩვენში სოფლის დიაკონმა მასწავლა შვიდი წლის ბიჭუნას და ჩემმა მასწავლებელმა გადმომცა საშუალო სკოლაში. მაშინ მე არც მწერალი ვიქნებოდი, არც მოაზროვნე, არამედ უბრალო მოხელე, ან ისეთი კაცი, რომელიც ისე დასწერს, როგორც უბრძანებენ“ (კ. გამსახურდია, რვატომეული, ტ. VIII, გვ. 20).

ძალიან გაუჭირდა კ. გამსახურდიას იმის მიხვედრა, რომ სწორედ ამას თხოულობდნენ მისგან: ეწერა ბრძანებისამებრ! გააფთრებით იცავდა შემოქმედებით ავტონომიას, ბეწვის ხიდზე დადიოდა, ათასნაირი მოიარებით ამბობდა სათქმელს, ასეა დაწერილი მისი რომანებისა და მოთხრობების ერთი ნაწილი. უკვე ვთქვი: სხვა სიტუაციაში, სხვა პოლიტიკურ ვითარებაში,

ისინი სხვაგვარი მხატვრული აქცენტებით დაიწერებოდა. მაგრამ, მაინც დადგა „ბელადისა“ და „ვაზის ყვავილობის“ ჟამი, კონსტანტინე გამსახურდიამ, ბოლოს და ბოლოს გაიკეთა და კარგადაც მოირგო საბჭოთა მწერლის მრავალსახოვანი ნიღაბი. „ჭკვიანი უნდა იყო და შლეგად მოგქონდეს თავი“, - ამბობს ერთი მისი პერსონაჟი.

ახლა კი საბოლოოდ გაიღვიძა კლოუნმა.

მიუხედავად იმისა, რომ „ბელადი“ მხატვრული თვალსაზრისით ლაღად არის დაწერილი, იგი არ მოეწონა ბელადს (ან იქნებ, სწორედ ამიტომ?!) როგორც ჩანს, მეტ პანეგირიკს ელოდა, ან უფრო მეტ „პროლეტარულ იდეურობას“, რომანში კი, ამის საპირისპიროდ, თამაზ ამილახვარის ეროტიულ გატაცებებს ზომაზე დიდი ადგილი აქვს დათმობილი. იქნებოდა, ცხადია, სხვა მიზეზებიც, რაც ამჟამად ჩვენთვის უცნობია. ფაქტი კი ის გახლავთ, რომ მწერალს მუშაობა ამ წიგნზე აღარ გაუგრძელებია (სხვათა შორის, ზვიად გამსახურდია, ხსენებულ წინასიტყვაობაში „ბელადზე“ კრინტსაც არ ძრავს, თითქოს არც კი არსებულიყოს). მთავარი აქ მაინც ის გახლავთ, რომ კ. გამსახურდია სტალინის თვალთახედვის არეში მოექცა.

ზვიად გამსახურდია:

„სტალინი, რომელიც კითხულობს კონსტანტინე გამსახურდიას ნაწარმოებებს, მიდის დასკვნამდე, რომ „მაგას ჭკუა უნდა ვასწავლოთ“, და სცემს ბრძანებას, არ გაანადგურონ მწერალი ფიზიკურად, მაგრამ გამუდმებით ლანძღონ და აკრიტიკონ.“

იქვე:

„როგორც ითქვა, სტალინი გულდასმით კითხულობდა კ. გამსახურდიას რომანებს და ბრძანა მკაცრად გაეკრიტიკებინათ, განსაკუთრებით „არქაული ენისათვის“, რომელიც, მისი თქმით, გაუგებარი იყო კოლმეურნეებისათვის“.

იქვე:

„კ. გამსახურდიას მტრებმა მოახსენეს სტალინს, თითქოს კ. გამსახურდია ამბობს: „სტალინი კომპეტენტურია პოლიტიკაში და არა ლიტერატურაში. ამიტომ მე დამანებოს ლიტერატურის სფეროო“. ამის შესახებ, სტალინმა 1948 წელს, გაგრაში რომ იხსენებდა, თქვა: „ეს გამსახურდია ძალიან ბევრ უფლებას აძლევს თავს. იგი უნდა აველაგმოთ“. შემდეგ ბერიას შეხედა და წარმოთქვა: „მაგრამ ისე კი არა, თქვენ რომ იცით ზოგჯერ“.

დასასრულ:

„1952 წელს საქართველოს ცკ მდივანი ა. მგელაძე გამოვიდა კ. გამსახურდიას წინააღმდეგ და პირდაპირ ემუქრებოდა მას დაპატიმრებით. შემდეგ გადაფრინდა მოსკოვში მისი დაჭერის

სანქციის ჩამოსატანად, მაგრამ ვერ შეძლო სტალინისგან გამოეთხოვა ეს." (კ. გამსახურდია, ოცტომეული, ტ. I, გვ. 14).

ყოველივე აქედან ძალზე აშკარაა ერთი რამ: სტალინს (ცხადია, ბერიასაც!) გარკვეულ მიზეზთა გამო, ხელს არ აძლევს კ. გამსახურდიას დაჭერა, ან კიდევ მეტი, მისი ფიზიკურად მოსპობა. ღიმილის მომგვრელი იქნება მტკიცება, რომ ისინი ამით ქართველი ერის კულტურულ გენოფონდს უფრთხილდებოდნენ. არა, მათი მიზანი აშკარად მზაკვრული გახლდათ: უნდოდათ ეჩვენებინათ, რომ საბჭოთა რეჟიმი არც ისე პირსისხლიანი იყო, როგორც მისი ნამოქმედარიდან შეიძლებოდა დასკვნების გამოტანა. საიმდროოდ, კ. გამსახურდიას ძალზე სოლიდური ლიტერატურული მემკვიდრეობა ამშვენებდა: ნოველები, „დიონისოს ღიმილი", „მთვარის მოტაცება", „ბელადი", „გოეტეს ცხოვრების რომანი", დანტეს „ღვთაებრივი კომედიის" თარგმანი, „დიდოსტატის მარჯვენა", „დავით აღმაშენებლის" I და II ტომები, მრავალრიცხოვანი ესსეები... კი, მართალია, იდეოლოგიური თვალსაზრისით ამ მემკვიდრეობაში ბევრი რამ მისაღები არ იყო საბჭოთა დიქტატურისათვის, მაგრამ ეს იქნებ ჯობდა კიდეც - გარკვეული თვალსაზრისით: საფუძველს იძლეოდა ერთგვარი აჟიოტაჟისათვის: აი, შეხედეთ, კ. გამსახურდია დროდადრო დიახაც გვიპირისპირდება იდეოლოგიურად, მაგრამ ფიზიკურად მაინც არ ვანადგურებთ, მუშაობის საშუალებას ვაძლევთ, მეტი დემოკრატია რაღა გინდათო. (გაიხსენე სტალინი: „ჭკუა ვასწაელოთ, ვაკრიტიკოთ, ვლანძღოთ, მაგრამ ფიზიკურად ნუ მოვსპობთ" ...). ალბათ არ შევცდებით, თუ ვივარაუდებთ, სწორედ ეს იყო ძირითადი მიზეზი იმისა, რომ გამსახურდია გადაურჩა როგორც 1937 წლის, ისე მანამდე თუ მერმინდელ არნახულ რეპრესიებს, წარღვნასავით რომ დაატყდა ქართველ შემოქმედებით (და არამარტო შემოქმედებით) ინტელიგენციას.

შეიძლება ითქვას, აქ მოხდა უთქმელი და დაუწერელი „გარიგება" მწერალსა და ხელისუფლებას შორის, როცა ორივე მხარემ იცოდა, რას აკეთებდა და რატომ. როცა მწერალმა მართლაც მოიპოვა კალმის გარკვეული თავისუფლება, მაგრამ, სამაგიეროდ, ერთგული მეხოტბე შეიქნა არსებული რეჟიმისა, რამაც მატერიალური კეთილდღეობაც გვარიანად მოუტანა. ნათქვამია, მადა ჭამაში მოდისო და აქ მწერლის პრაგმატულმა სურვილებმა შესამჩნევი სისწრაფით იწყო ზრდა. ამჯერად, მისი ინტერესების სფეროში შემოვიდა ე. წ. „სტალინური პრემია", იმდროინდელი უმაღლესი ჯილდო, რასაც ჟამიდან ჟამზე, ლიტერატორებსაც ანიჭებდნენ ხოლმე. ეჭვი არაა, ამ პრემიისაკენ მიმავალი გზა მხოლოდ და მხოლოდ ლავრენტი ბერიასაკენ მიემართებოდა,

რომელსაც მაშინ უკვე მოთავებული ჰქონდა საქართველოში თავისი „საქმენი საგმირონი“, ქვეყანა სისხლისაგან ჰყავდა დაწრეტილი და ახლა „საქმიანობას“ საკავშირო სარბიელზე აგრძელებდა დიდი წარმატებით, ვითარცა სტალინის „უნიჭიერესი მოწაფე“.

და აი, 1944 წლის მაისში, როდესაც მთელ პლანეტას არყევს და აზანზარებს მეორე მსოფლიო ომის აპოკალიფსური საშინელებანი, კ. გამსახურდია ბარათს სწერს ლავრენტი ბერიას, სადაც არც მეტი, არც ნაკლები, შემწეობას სთხოვს სტალინური პრემიის მიღების საქმეში:

„ძვირფასო და ღრმად პატივცემულო ამხანაგო ლავრენტი!

არცერთ მწერალს თუ კულტურის მოღვაწეს, არასოდეს შეუქმნია რაიმე მნიშვნელოვანი, თუ მას არ ეხმარებოდა და მფარველობდა ვინმე მისი თანამედროვე ძლიერი პოლიტიკოსთაგანი. ამის თაობაზე მე გწერდით კიდევაც 1934 წელს, როცა ჩემი „გოეტეს ცხოვრების რომანი“ გაახელით.

მართლაც, ყოველივე, რაც მე, იმ დროიდან მოკიდებული, შევძელი გამეკეთებინა, თქვენი უშუალო მფარველობის შედეგია. მე ვამაყობ იმით, რომ მთელი ჩემი მუშაობა, 1932 წლის შემდეგ, თქვენს დიად ბიოგრაფიასთანაა დაკავშირებული.

ჩემი რომანის ორი ტომის („დავით აღმაშენებლის“ I და II ტომები) უარყოფა სტალინური პრემიის კომიტეტის მიერ, მხოლოდ ჩემს პირად თავმოყვარეობასთან რომ იყოს დაკავშირებული, ანდა მატერიალურ კეთილდღეობასთან, მე თქვენ არასოდეს შეგაწუხებდით. მაგრამ აქ ჩრდილი ადგება საქართველოს უდიდეს ისტორიულ გმირს (ხაზგასმა კ. გამსახურდიასია - თ. მ.)

თქვენ იმიტომ ბრძანდებით უაღრესად ძვირფასი ყველასთვის დიდისა თუ პატარისათვის როგორც საქართველოში, ისე მთელს კავშირში, რომ ყოველთვის ამბობთ სიმართლეს და მოქმედებთ სამართლიანად.

იმედი მაქვს, რომ თქვენ დაინტერესდებით ამ ორი ტომის ბედით და საქმეში მანამდე ჩაერევით, ვიდრე კომისიის ჟიურის დადგენილებას ხელს მოაწერდეს ამხანაგი სტალინი.

თქვენ ყველაფერი უნდა იცოდეთ ჩვენზე, კარგიც და ცუდიც, ამიტომ კიდევ ერთს გამცნობთ: მე ჯერ ისევ იანვარში ვაპირებდი მოსკოვს ჩამოსვლას ჩემი წიგნების რუსულად გამოცემის საქმეზე, მაგრამ საიმდროოდ ჩემი წიგნები პრემიაზე წარადგინეს და აღარ ჩამოვედი, რამეთუ პრემიის მინიჭების შემთხვევაში, ჩემს მტრებს საბაბს მივცემდი, რომ ეთქვათ: აი, წავიდა, შეაწუხა ლავრენტი და პრემია მიიღოო. თქვენთვის ალბათ ცნობილია,

რომ ჩვენთან მნიშვნელოვანი საქმეები ხშირად „პურმარილებით“ კეთდება. ასეთი რამეების უფლებას მე ჩემს თავს არ ვაძლევდი და ამის გამო დავისაჯე კიდეც“ (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 16.XI-1992წ. დედანი რუსულადაა დაწერილი).

პირდაპირ ვიტყვი: მე არ ვიკადრებ ამ წერილის კომენტირებას, ეს ძალზე უმადური საქმეა, რამეთუ ჩვენი საყვარელი მწერალი, მომხიბლავად ვერ გამოჩნდება. ზვიად გამსახურდია თავის ბიოგრაფიულ ნარკვევში, დაჟინებულად ცდილობს რეჟიმით წამებული მამის პორტრეტი დაგვიხატოს, ამ წერილის მიხედვით კი, სულ სხვა სურათს ვხედავთ. ამიტომ სიტყვას არ გაავგრძელებ, დაე, თვით მკითხველმა განსაჯოს საქმის ვითარება.

„დავით აღმაშენებლის“ პირველი ორი ტომის შემდეგ, მწერალმა მიატოვა მასზე მუშაობა და ახალი რომანის, „ვაზის ყვავილობის“ წერა დაიწყო. ახლა ძნელია რაიმე კონკრეტულის თქმა იმ ფარული თუ აშკარა იმპულსების თაობაზე, რამაც კ. გამსახურდიას ეს საქციელი განაპირობა, მაგრამ ერთი რამ ცხადია: გადავადებამ ძალიან ავნო „აღმაშენებლის“ მომდევნო ტომებს, მწერალმა აშკარად ვეღარ ზიდა მათი სიმძიმე, ეტყობა ასაკმაც უწია და რომანის ბოლო ნაწილები საკმაოზე მეტად უფერული გამოვიდა, (სხვათა შორის, ამავე აზრისაა სოსო სიგუაც წიგნში „მარტვილი და ალამდარი“).

რაც შეეხება „ვაზის ყვავილობას“, ამ რომანში მწერალი შეეცადა ეჩვენებინა „მთვარის მოტაცების“ შემდეგდროინდელი ხანა ქართული სოფლისა. კოლექტივიზაციას უკვე გაუმარჯვნია და საბოლოოდ დაფუძნებულა, ვინც კოლმეურნეობაში თავდადებით შრომობს, მისი ცხოვრება, რაღა თქმა უნდა, საამურია, ვინც არა საზოგადოების ხორცმეტად ითვლება. მერმე იწყება მეორე მსოფლიო ომი, რუსთაგან სამამულოდ წოდებული. ნაამბობია ქართველთა მონაწილეობაზე ამ ომში (გოდერძი ელანიძე, ნიორთავა და სხვანი) და მათი ნაირნაირი, უმეტეს შემთხვევაში, არადამაჯერებლად აღწერილი თაეგადასაელები. ბოლოს, ტრიუმფალური გამარჯვება და სხვა. მაგრამ ჩვენთვის ეს რომანი უპირატესად იმით არის ყურადსაღები, რომ აქ ერთერთ მთავარ პერსონაჟად გამოყვანილია ინტელიგენტი კაცი, აგრონომი, პროფესორი ვახტანგ კორინთელი.

მოდელი კარგად ნაცნობია: უცხოეთში სწავლამიღებული ახალგაზრდა სამშობლოს უბრუნდება, მაგრამ საუარსამიძისა და ემხვარისაგან განსხვავებით, მისთვის არ დგას პრობლემა „ახალი“, საბჭოთა საქართველოს მიღება-არმიღებისა, რადგანაც იგი

სოციალური წარმოშობით დაბალი წრიდანაა გამოსული და კლასობრივად სისხლი-სისხლთაგანია „ახალი“ საზოგადოებისა. ამიტომ იგი უცხოეთიდან დაბრუნებისთანავე, ყოველგვარი ჭოჭმანის გარეშე დგება სახელმწიფოს სამსახურში და ეჭვისა და უნდობლობის ერთი მისხალიც კი არ გააჩნია, პირიქით, იგი თაეგანწირული მეხოტბე გახლავთ სოციალისტური წყობისა თუ ცხოვრების წესისა და სხვაგვარი ყოფის არც გახსენება სურს და არც გაგონება. რაც მთავარია, კორინთელისათვის საერთოდ არ არსებობს ე. წ. ეროვნული პრობლემა, რომელიც მისი წინამორბედი ინტელიგენტებისათვის ლამისაა „ყოფნა-არყოფნის“ საკითხად იყო გადაქცეული. კორინთელი იმ სამშობლოში ცხოვრობს, სადაც ეს საკითხი ერთხელ და სამუდამოდ არის „მოგვარებული“.

როგორც ცნობილია, საბჭოთა დიქტატურის დამყარების შემდეგ, ერთბაშად მოიხსნა, მექანიკურად ამოვარდა დღის წესრიგიდან ილიას მიერ ნალოლიავები და მთელი XIX და XX საუკუნის ქართული მწერლობის მიერ გაზიარებული ფორმულა: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“. საბჭოთა რეჟიმმა „უცბად“ „მოაგვარა“ ეს საკითხი: საქართველო განთავისუფლებულად ჩათვალა. სინამდვილეში, ასე დამონებული და რუსეთზე დამოკიდებული, ჩვენი ქვეყანა არასოდეს ყოფილა. ხელისუფლება არნახული სიმკაცრით ატარებდა ამ ხაზს, ძირკვავდა ყოველივე ეროვნულის გამოვლინებას, ნერგავდა საბჭოთა ხალხის, საბჭოთა სამშობლოს ცნებას და რაც მთავარია, შემოქმედებითი ინტელიგენციისაგან მოითხოვდა, ეროვნული საკითხი ისე გაეშუქებინათ, როგორ მის იდეოლოგიას სჭირდებოდა. რაღა თქმა უნდა, მწერლებმა და პოეტებმა არ დააყოვნეს და წამოვიდა ნიაღვარი ფსევდოპატრიოტული ლიტერატურისა, რომელიც ქართველ ხალხს უნერგავდა, რომ იგი თავისუფალი და დამოუკიდებელი იყო „ხალხთა მეგობრობის დიდ ოჯახში“. ეს გახლდათ უზნეობა, გლობალური სიცრუე, რომლის დამკვიდრებაშიც ჩვენს შემოქმედებით ინტელიგენციას, ჩვენდა სამარცხვინოდ, დიდი ბრალი მიუძღვის. მაგალითები უზღვავია. „ეს ჩუქურთმა ჩამოთლილი ინახად, თავისუფალ საქართველოს ხვედრია“ (გრიშაშვილი). გალაკტიონი: „მოხვეევ! გახედე ჩვენს იმერ-ამიერს: ეყუდნის თავის თავს? ცხადია, ეყუდნის“.

ანალოგიური გახლავთ „ვაზის ყვავილობის“ და მისი მთავარი გმირის ინტელიგენტი ვახტანგ კორინთელის ეროვნული „კონცეფციაც“. ამიტომ არის იგი ძალზე ფსვიერ ბალავარზე აშენებული წიგნი და რაც უნდა დაჟინებით გვარწმუნებდეს ზვიად გამსახურდია - რომანი საკოლმეურნეო ცხოვრებას კი არ ასახავს,

არამედ საბჭოთა საქართველოში ინტელიგენციის სულიერ კრიზისსო, (ოცტომეული, ტ. I,გვ. 15), ეს მოსაზრება სურვილად უფრო დარჩება, ვიდრე რეალობად. საქმეს ვერ შველის კორინთელის დაღუპვაც. თუ თარაშ ემხვარის ენგურის ტალღებში დანთქმა ისტორიული და მხატვრული კანონზომიერებით იყო გამოწვეული, კორინთელის სიკვდილი წმინდა წყლის შემთხვევითობა არის და ამდენად, მხატვრული დამაჯერებლობაც აკლია. უბრალოდ, მწერალმა აღარ იცის, რა უყოს, რა მოუხერხოს ამ პერსონაჟს და თავიდან იშორებს, ღუპავს. ხოლო სულიერი კრიზისისა, ვახტანგ კორინთელს ნამდვილად არაფერი ეტყობა. პირიქით, მისი ფსიქიკა, იმ ბრაგურული ოპტიმიზმით არის გაჟღენთილი, რომელიც ასე ფეხმოდგმული იყო ე. წ. საბჭოთა ლიტერატურაში.

ვეჭვობ, დამაჯერებელი იყოს სოსოს სიგუას ცდა, როცა იგი ვახტანგ კორინთელის სახეს ფაუსტური პარადიგმებით მოიაზრებს. საამისო მხატვრული ძალმოსილება, არა მგონია გააჩნდეს ამ პერსონაჟს.

მიუხედავად საერთო ოპტიმისტური ტონალობისა (გავიხსენოთ ეპილოგში, დამუნჯებული გოდერძი ელანიძის ენის ამოდგმის ერთობ ცრუპათეტიკური სცენა), წიგნში მაინც არის ადგილები, საიდანაც აშკარად ჩანს, რომ ღრმა სულიერი შეჭირვებითა და სკეპსისით შეპყრობილ მწერალს, ნამდვილი სასიკვდილო განაჩენი გამოაქვს საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნებისათვის, დაუნდობლად, მძაფრი სატირული ხერხებით აშიშვლებს სიცრუეს, უნიჭობას, კარიერიზმს, სიმხდალეს, სიყალბეს, პირმოთნეობას, ფუჭ ამბიციებს და სხვა მრავალ უკეთურობას, „საბჭოთა ლიტერატურაში“ ღრმად რომ გაუდგამს მზამიანი მეტასტაზები.

ის, რასაც ქვემორე წაიკითხავთ, ოდნავადაც არ მიეკუთვნება კ. გამსახურდიას პროზის საუკეთესო ფურცლებს. აქ გაბოროტება და ნიშნის მოგება მეტია, ვიდრე თანალმობა და მიუკერძოებელი ანალიზი, მაგრამ მაინც სათანადოდ ასახავს მწერლის დამოკიდებულებას საიმდროო ლიტერატურულ-კულტურულ ყოფისადმი. ციტატები მომყავს შემოკლებით:

მწერალთა ჯგუფი ნადირობს ალაზნის ველზე. საღამოს ხელცარიელნი დაბრუნდნენ წისქვილში ღამის გასათევად. მხოლოდ ერთს მოეკლა შველი. მწვადები შეწვეს, ქეიფი დაიწყეს. ამ ქეიფს „მაჩვიენით გატრუნული“ ნიორთავა -სოლომონ გულხაიძეც ესწრება. ქეიფი ნამდვილი აპოთეოზია თვალთმაქცობისა, მწერლები ყასიდად აქებენ ერთმანეთს, პირფერობენ. ბოლოს, დათვრებიან, არწყევენ და სოხანეზე დაყრილნი, იძინებენ. რჩებიან მხოლოდ თამადა და ნიორთავა. მთვრალი თამადა იწყებს თანამოკალმეთა

სათითაოდ დახასიათებას:

„ეს აქეთა, კიდეში რომ სძინავს, ქაჩალი, უდიდესი მედროვეა, ის მართლაც ნიჭიერია, მაგრამ ოსპის წვენზე გაჰყიდა თავისი ტალანტი. ყოველ ინსტრუქტორს შესციცინებდა თვალებში, კახპა ქალივით ეკეკლუცებოდა ყოველ ხელმძღვანელს, ხოტბას ასხამდა მათ, მაგრამ როგორც კი წაიქცეოდა რომელიმე დიდკაცი, ქვა და გუნდას მიაყოლებდა ზედ. ერთხელ სიმთვრალეში წამოსცდა: მე ვინც ფულს მომცემს, იმისი კაცი ვარო, თუ დამჭირდა, იუდა ისკარიოტელს ისეთ ქებას შევასხამ, რომ ქრისტეს ასესხოსო ნათელი.

ეს კაცი დიდი ცინიკოსია, გულახდილად მითხრა ერთხელ:

ქება ის ნაკლია, რომელიც ვარდსა და მყრალა ბალახს თანაბრად უხდება. გაზეთებში ჩემი ქება ხშირად თუ არ წავიკითხე, უთუოდ მომივლისო კუჭის გვრემა, ამიტომაც წერას არ ვანდომებო იმდენ ენერგიას, რამდენსაც ჩემივე შექების მოწყობას.

მე სულმა წამძლია და შევეკითხე: როგორ ახერხებ-მეთქი ამ საქმეს?

ყველაფერი რომ გაგიმხილო, მაშინ აღარაფინ დამიწყებს ქებას. ზოგ რამეს მაინც გაგიზიარებ: თუ გინდა ქების რთველი მოისთვლო, მაქებრებს მანამ უნდა სცე პატივი, მანამ მათ შენი ქებით ყრონტი არ გაუშრებათ. საამებელს საამო უნდა უთხრა, რადგან ადამიანებს არავინ ისე არ უყვართ, როგორც მაამებელი. ადამიანებს დროშკის ცხენებივით უყვართ გატკეპნილ გზებზე ჩაქჩაქი, თუ ერთხელ მიაჩვიეს ყური შენს ქებას, მერმე მორჩა და გათავდა, ყველასათვის საქებარი გახდები.

ერთი რამ უნდა მიინიშნო, ჭაბუკო: სიცრუე, ფლიდობა, თვალთმაქცობა და მაამებლობა, ეს ოთხი უებარი კლიტეა, რომელნიც სამოთხის მაგრად დახშულ კარებს აღებდნენ ყოველ დროში. ესენი გახლავს ბურჯები იმ ხიდისა, რომელზედაც იმპერატორები, მინისტრები და ზოგ-ზოგი მწერლები ტრიუმფით გადადიოდნენ ხოლმე.

ამ ქვეყნად ისეთი რეგვენებიც ბლომად არიან, რომელთაც სერიოზულად სჯერათ, რომ მართლის თქმისთვის იუბილეებს გადაუხდიან. მალე დაესწრები ჩემს იუბილეს და ნახავ: მე გამოვიჭიმები ოპერაში და ჩემი მაამებლები ისე შემომიძვრებიან პირში, როგორც ნიანგს - პაწია ჩიტები, რომელნიც მის კბილებში ჩარჩენილი ნამუსრევებით იკვებებიან.

მეორემ, მის გვერდით ღიპიანი რომ წევს, თავისი ამხანაგების უმართებულო დაბეზღებით (მართებული დაბეზღებაც არსებობს? თ. მ.) გაიკაფა გზა. იგი ნერვებს არ იფუჭებს ღამეების თევით, სხვისი რითმების გორგოლაჭებზე დაჰქრის,

სხვათა წიგნებიდან ქაფავს. მუდამ თავისი თავის ქებითა და სხვათა ძაგებითაა გართული. ხშირ-ხშირად გამოათრევენ ხოლმე წმენდაზე და აბღავლებენ აღსარებას.

მესამე ვინღაა? - ეკითხება ნიორთავა.

- იმ მესამემ კარგად იცის, რომ კაი წიგნის დაწერა როდი კმარა, კაი პრესის მოწყობაა უმთავრესი. ამიტომაც კასრებით დაათრევს ღვინოს კიევსა და მოსკოვში. როცა ის რომელიმე ქალაქს მიადგება თავისი ქმნილებების გამოსაცემად, პასუხისმგებელი პირები ტელეფონებს გამოთიშავენ ხოლმე. მიუხედავად ამისა, მაინც პოულობს იგი ისეთ პირებს, რომელნიც არამც და არამც არ გამორთავენ ტელეფონს.

- ის მეოთხე, იმ მესამეზე უფრო მოხერხებულია. ისეთ წყალწყალა დრამებს სწერს, პარტყაპურტყით სცვივიან ისინი ყოველ სეზონში სცენიდან, მაგრამ გულს არ იტეხს და მადლიერი რეცენზენტები იმედს არ ჰკარგავენ, რომ იგი შექსპირი თუ არა, მოლიერი მაინც გახდება მალე. ერთი ქეიფის დროს ყურში მიჩურჩულა: იმდენი ჭკუა კიდევ შემრჩენია, კარგად ვიცოდე, შექსპირი რომ ვერა ვარ, მე ფული მინდა და სახეტად მაქვს იგი, ხოლო რაც შეეხება უკვდავებას, უკვდავება ჩვენი კრიტიკოსების ბებიებისათვის დამილოცნიაო.

- ის მეხუთე, - სიცილით ამბობდა უკვე საუბებით გამომთვრალი თამადა, - ის მეხუთეც ქუდბედიანი კაცია, მან ერთი კუდა მოთხრობა დაწერა, ჯერ იყო და დრამად გადააკეთა. მოგეხსენებათ, ზოგ თეატრს ისეთი მაყურებელი ჰყავს, რომელთაც მხოლოდ ტაშის სატყაპუნებლად აქვთ გამოსხმული ხელები. ბოლოს, ისე გააბრუეს ეს უბედური, ახლა ოპერად გადააკეთა (თუ ოპერის ლიბრეტოდ? თ. მ.) თავისი ნაცოდვილარი და ჩვენ უკვე ვშიშობთ, მალე სიონში არ დადგან მისი დრამა (ეკლესიაში დრამებს დგამენ? - თ.მ.) ეს კაცი სერიოზულად ამტკიცებს, ბევრის წერა ჭკუანაღრძობი კაცის საქმეაო. საერთოდ, უნიჭოები შრომობენო ბევრს.

სულ განაპირას, დისკანტით რომ ხვრინავს, შავგრემანი, ცხვირკეხიანი, სათეატრო რეცენზენტია. მისი ნაწერები რომ მოაგროვო, ამ წისქვილში ვერ დაეტევა. რად გინდა ცხრა პარასკევი აქვს კვირაში მაგ ოჯახქორს, უყვარს ამა ქვეყნის ძლიერთა წინაშე მუცელზე ხოხვა, ხოლო უჩინო და უვნებელთა ზურგზე მალაყების გადასვლა. ერთხელ, ერთ პიესას დაესწარით (პიესას თუ სპექტაკლს? თ. მ.) მე და მაგ. მთელი საღამო იფურთხებოდა, ილანძღებოდა. მეორე დღეს ამავე პიესის ქება გააშანშალა გაზეთში. როცა ვუსაყვედურე, ასე მიპასუხა: რა ეუყო, ძმაო, ეს პიესა მოსწონთ ზევით. ალბათ გსმენია იმ მამლის

ამბავი, უდროოდ ყიეილისათვის თავი რომ წააცალეს. ისეთი მამლებიც ბევრია ამ ქვეყნად, გათენების შემდეგ რომ ჰყიეიანო.

ესა სთქვა თამადამ და მუხანათურად დააპაჭუნა თეალი" (კ. გამსახურდიას, რეატომეული, ტ. V, გვ. 372-377).

როგორი ბოღმა და მოუნელებელი ნაღველი, როგორი სკეპსისი და მწარე იმედგაცრუება უნდა ჰქონდეს მწერალ კაცს ნაგემები და სულში ჩაბუდებული, თავის კოლეგებზე, თანამოკალმეებზე ასეთი შხამიანი სტრიქონები რომ დაწეროს! ესაა ხმამაღლა ნათქვამი, შეუფარავი პროტესტი იმ საძულველი რეჟიმის მიმართ, რომელმაც ყველაფერი გააკეთა, რათა მწერლები, ხელოვნების მუშაკები, მეცნიერები, ასე გაეხვადაგებინა და მიწასთან გაესწორებინა, მათი მეობა წაეშალა და სული წაებილწა. ესაა ლიტერატურული ხარხარი კაცისა, რომელიც უშუალო მოწმე და მონაწილეა ამ ამაზრზენი პროცესისა, და სხვა აღარაფერი დარჩენია, გარდა ირონიისა და გამანადგურებელი ცინიზმისა.

დასკვნა ერთია: საბჭოთა დიქტატურას, ვითარცა სიმახინჯისა და სიბერწის განსახიერებას, მხოლოდ ასეთი მახინჯი და ბერწი სულიერი „ფასეულობანი" შეუძლია შექმნას, რისი ერთერთი გამოვლინება, სამწუხაროდ, თვით „ვაზის ყვავილობაც" გახლავთ.

გადიოდა დრო, ხელისუფლება, გასაგებ მიზეზთა გამო, უფრო და უფრო დამთმობი და ლოიალური ხდებოდა მწერლის მიმართ. შესაბამისად, იზრდება მისი პოპულარობაც, შეიძლება ითქვას, უდიდეს მასშტაბებს აღწევს და აქედან გამომდინარე, ძალას იკრებს და სიცოცხლის უნარიანი ხდება ჭრელსამოსიანი კლოუნიც. სამაგიეროდ, მკვეთრად, კატასტროფულად კლებულობს შემოქმედებითი ძალმოსილება. მწერალი იწყებს და ვერ ამთავრებს ისტორიულ რომანს „თამარ", რომელსაც აშკარა მარაზმატიკის ხელი ატყვია, წერს მემუარებს „ლანდებთან ლაციცს", ძალზე სუსტ, უსაშველო ეგოცენტრიზმით აღბეჭდილ წიგნს, უხვად იძლევა ინტერვიუებს, სადაც, სხვათა შორის, ასეთი სტრიქონებიც გვხვდება:

„ჩვენ (ე. ი. შემოქმედებითმა ინტელიგენციამ თ. მ.) ვერ შევძელით ერთბაშად მიგვეღო რეეოლუცია, ყველაფერი რაც ირგვლივ ხდებოდა, განსჯის, დაეჭვების, ანალიზის პრიზმაში გავატარეთ. როცა ახლის ძლევამოსილებაში დავრწმუნდით, დროულად ჩავდექით მის მომხრეთა და მეხოტბეთა რიგებში" (რ. მიშველაძე, „შენ ჩემთვის რა გატირებდა", კრიტიკული წერილები, 1979, გვ. 325).

ჩვენ უკვე ვნახეთ, თუ როგორ ჩადგა „მომხრეთა და მეხოტბეთა რიგებში" კ. გამსახურდია, ამიტომ სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ გადაჭარბებული ეგოცენტრიზმი

კ. გამსახურდიას ცხოვრებისა და შემოქმედების განუყრელი თვისება გახლავთ, რამაც სიცოცხლის ბოლო წლებში პირდაპირ ზღვარდაუდებელი გახდა და კომიკური შეფერილობაც კი მიიღო.

ზვიად გამსახურდია:

„საფრანგეთის გაზეთებსა და ჟურნალებში იბეჭდება მრავალი რეცენზია, სადაც ერთერთში კ. გამსახურდიას ფლობერს ადარებენ. ისიც ითქვა, რომ ბალზაკისა და ფლობერის სამშობლოში, მწერლებმა უნდა ისწავლონ გამსახურდიასაგან“.

რა მეთქმის, საინტერესო მოსაზრებაა, რაც ფრანგთა უხე გულმოწყალებაზე მეტყველებს, მაგრამ ასეთ სამსახურს, შვილისგან მამისთვის გაწეულს, ჩვენში დათურს უწოდებენ, ანუ მეორენაირად, ზომიერების გრძნობის უიმედოდ დაკარგვადაც შეიძლება შეფასდეს.

აქვეა ალსანიშნავი: ზვიად გამსახურდია ხშირად აღშფოთებით ლაპარაკობს იმის თაობაზე, რომ მწერალს საბჭოთა ცენზურა გააფთრებით ებრძოდა და ხშირად ბეჭდვასაც უკრძალავდა. ეს მაშინ, როცა კ. გამსახურდია საპირისპიროს ბრძანებს:

„საერთოდ, დაუბეჭდავი ცოტა მაქვს, მე იმ ბედნიერ მწერალთა რიცხვს ვეკუთვნი, რომელთაც სიცოცხლეში თითქმის ყველაფერი დაუბეჭდეს“ (რ. მიშველაძე, შენ ჩემთვის რა გატირებდა, 1979, 324).

1961 წლის 27 ივნისს მთავრობამ მწერალს ოფიციალური იუბილე გაუმართა ოპერისა და ბალეტის თეატრში. იყო საერთო-სახალხო ზარზეიმი, ფეიერვერკი, ყვავილები, მილოცვები. იყო აღფრთოვანებული მოხსენება ბესო ჟღენტისა, სადაც მან კონსტანტინე გამსახურდიას ოფიციალურად უწოდა დიდი საბჭოთა მწერალი. ეს ის ბესო ჟღენტი გახლავთ, რომელიც, მთელი ათწლეულების მანძილზე, სისხლს უშრობდა ქართულ ლიტერატურას საერთოდ და, ცხადია, კონსტანტინე გამსახურდიასაც.

ბოლოს, ტრიბუნაზე შედგა მხცოვანი მწერალი. მან, სხვათა შორის, განაცხადა:

„უნდა ითქვას, ის მიღწევები, რომელთა გამო აქ მრავალი რამ ითქვა, მარტო ჩემი დამსახურება როდია. დიდი იყო და არის ჩემს მუშაობაში ღვაწლი პარტიისა და ხელისუფლებისა“.

მაშინ სტალინი და ბერია კარგა ხნის ჩასულები იყვნენ ჰადესს. სხვა დრო იდგა, სხვა მთავრობა პარპაშებდა, მაგრამ მწერალმა მათთანაც გამონახა საერთო ენა.

კლოუნი გამარჯვების მწვერვალზე იდგა და ხითხითებდა.

ბოლოს: „კოლხური კოშკი“, მაღალი ქონგურებით შემოზღუდული ეზო, ბუხარი, ხის დიდი საკარცხული, კლასიკოსის მანტია, ხოლო ეზოს დარკინულ ჭიშკარზე გოროზი წარწერა:

„გთხოვთ, ნუ შემაწუხებთ“.

ირაკლი აბაშიძე:

„კონსტანტინე გამსახურდიასთან ურთიერთობაში თქვენ აუცილებლად ანგარიში უნდა გაგეწიათ მისი არაერთი უცნაური თვისებისათვის, რომელიც მას წინაპართაგან ჰქონდა გადმოცემული (იხილეთ მისი „ლანდებთან ლაციცი“), მათ შორის, მისი უსაზღვრო პატივმოყვარეობისთვის, რაიც, ხშირად, ეგოცენტრიზმში გადადიოდა და შემდეგ, ერთი ევროპელი ბარონის მსგავსად, უსაზღვროდ გაფრენილი ფანტაზიისათვის. რაც, კაცმა რომ თქვას, ისტორიული რომანების შემოქმედისათვის საჭიროც კია, მაგრამ, ვთქვათ, პოლიტიკური მოღვაწისათვის, უპატიებელი და პირდაპირ დამღუპველია“ (ი. აბაშიძე, ზარები ოცდაათიანი წლებიდან, მნათობი, 1992, №1, გვ. 154).

და იჯდა ბუხრის წინ დაშრეტილი, შეციებული, ნაღვლიანი მოხუცი, უკან დარჩა ბობოქარი ცხოვრება, დასასრულს უახლოვდებოდა მრავალწლიანი ომი იაკობისა თავის მრისხანე ღმერთთან.

დიდოსტატი კონსტანტინე გამსახურდია განვლილ გზას აფასებდა:

ეჰა, საიდან დავიწყე და სად მოვედი?! ფიქრობდა სინანულით.

ეპილოგი

ბოლოს, მე იგი კუბოში ვნახე. იწვა თეთრებში გამოწყობილი, მართლაც გალეული ბერიკაცი. მან ყველაფერი, მთელი სულიერი საგანძური, რასაც ნამდვილი ფასი ადევს, თავის მარადიულ საესაეს, საქართველოს დაუტოვა, თან მიჰქონდა მხოლოდ ხრწნადი ხორცი და ძვალი. ვაკვირდებოდი მრავალჭირგადანახადი მიცვალებულის ნეშტს, ბაგეები ოდნავ გახსნოდა და ჩაჯენილი კბილები უჩანდა, ირონიულად იღიმებოდა თითქოს. ვის დასცინოდა? სიკვდილს? თუ ჩვენ? და მაშინ უნებლიედ გავიფიქრე:

- ლუციფერი!

იმ წამს კიდევ ერთხელ, საბოლოდ მიეხვედი: კონსტანტინე გამსახურდიას სულში მარადიული ჭიდილი ჰქონდათ გამართული ლუციფერსა და კლოუნს. რომელმა გაიმარჯვა? ამას ისტორია განსჯის.

ზაფხულის ხვატი ვარვარებდა. დაკრძალვას მაინც უშქარი ჭირისუფალი დაესწრო.

მდორედ დერინაედა ქაშუეთის წმინდა გიორგის ზარი.

პროცესიამ რუსთაველის პროსპექტი გაიარა და მთაწმინდის საეანისაკენ კი არ აიღო გეზი, როგორც მოსალოდნელი იყო, არამედ „კოლხური კოშკისაკენ“. თურმე, სიკვდილის წინ კონსტანტინე გამსახურდიას უთქვამს: „იქ არ დამასაფლავოთ, სადაც ილია ჭავჭავაძის მკვლელი წევსო“.

და ეს იყო ინტელიგენტის, მწერლის, ტრაგიკული კაცის მიერ მოცემული უკანასკნელი გაკვეთილი.

ბოლოთქმა

გასრულდა მათი ამბავი....
რუსთაველი

აჰა, მოაწია ნაშრომის უკანასკნელმა ფურცელმაც. სულმნათი გრიგოლ ხანძთელიდან მოყოლებული, განსაკუთრებით ბოლო, XIX და XX საუკუნეების მანძილზე, ამ ნაშრომში ჩვენ საშუალება გვქონდა შევხვედროდით ჭეშმარიტი სულიერებით, მაღალი ინტელექტითა და შეუბღალავი ზნეობით აღბეჭდილ ადამიანთა მთელს წყებას. მათგან, ერთი ნაწილი რეალურად, ფიზიკურად არსებობდა ჩვენს ისტორიასა და კულტურაში, ზოგიც მწერლის კალმით გახლავთ სულჩადგმული და რთული ფსიქოლოგიური და სოციალური ფუნქციების მატარებელნი არიან. ასეთ ადამიანებს, აწ საყოველთაოდ გავრცელებულ ტერმინოლოგიით, ინტელიგენტებს უწოდებენ. აქვე უნდა ითქვას: ტერმინი „ინტელიგენტი“ ჯერ კიდევ ამ საუკუნის დასაწყისში იწვევდა და ახლაც, ჩვენს დროშიც იწვევს ეჭვს ზოგიერთ წრეებში, თავისი ვარგისიანობისა გამო (იხ. „ლიტერატურული საქართველო“, 16 ნოემბერი, 1991 წ. ნ. გველესიანის, მ. მარჯანიშვილისა და ნ. ლაზრიშვილის ვრცელი წერილი: „ინტელიგენცია თუ განათლებული საზოგადოება“), მაგრამ სადავო არასოდეს ყოფილა, რომ, ჯერ ერთი, ცნება „ინტელიგენცია“, თავისთავში სწორედ განათლებულ საზოგადოებას გულისხმობს და მეორეც, ტერმინი მხოლოდ მაშინ იძენს აზრს და სიცოცხლის უნარიანობას, თუ მასში კონკრეტულ შინაარსს მოიაზრებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ცარიელი სიტყვაა. აქედან გამომდინარე, მე საესებით ვეთანხმები XX საუკუნის ინტელექტუალურ კოლოსს, კიბერნეტიკის მამამთავარს, ნორბერტ ვინერს, რომელიც ცნებას „ინტელიგენტი“, ასეთი შინაარსით „ავსებს“:

„ინტელიგენციის წარმომადგენლებს (მათ რიცხვს მე, უპირველეს ყოლისა, მეცნიერებს, ლიტერატორებს და ხელოვანთ მივაკუთვნებ) აკისრიათ განსაკუთრებული მისია, რომელიც მნიშვნელობით დიდად აღემატება მათ თანამოქალაქეთა მოვალეობას. ინტელიგენტი - ეს არის გუშაგი, მცველი პატიოსნებისა და სიწრფელის ტრადიციებისა, რომლებზეც დამოკიდებულია მისი ქვეყნის, მისი თაობის სახელი და ბედიღბალი.

ამ მისიის მტვირთველი ინტელიგენტი მოღვაწე ჯილდოდ სჯერდება ისეთ ფასეულობას, რომელიც არანაირად არ უკავშირდება არც მის გასამრჯელოს და კეთილდღეობას, არც თვით პიროვნულ თვისებებს. მისი ჯილდო მთელი კაცობრიობის დიად წამოწყებებში მონაწილეობის უფლებაა.

საზოგადოებრივი მდგომარეობა მას მყარი და დაუყოვნებელი მოვალეობებით როდი ზღუდავს, რითაც საშუალება ეძლევა, ქვეყნიერებას ვრცლად მოაელოს მზერა და დღევანდელობის ძირითად პრობლემებს ჩაუფიქრდეს. სხვანაირად თუ ვიტყვით, მას გარკვეულწილად შეუძლია სისხლსაცხე ნიშნით აირჩიოს მეგობრები. მაგრამ ამ უპირატესობათა ღირსად გახდომისათვის იგი ჭეშმარიტებისა და სულიერების სამსახურში დგომის აღთქმას დებს და თანამოქალაქეთა თვალში ვალდებული ხდება ასეთი მსახურების მაგალითი იყოს.

მეცნიერის, მწერლის, მასწავლებლის წინაშე დგას ამოცანები, რომელთა გადაწყვეტაც სრულიად აუცილებელია არა მხოლოდ საზოგადოების შემდგომი განვითარებისათვის, არამედ თვით მისი არსებობისთვისაც. მეცნიერი, მწერალი, მასწავლებელი არის საზოგადოების სულიერი განვითარების მეთვალყურე, რომელიც ხელს უწყობს უკვე ცნობილი ჭეშმარიტების უკეთ გაგებას და ასალი ჭეშმარიტებისა და კონცეფციების ძიებას. ამის შესაბამისად, მწერლის, მეცნიერის, მასწავლებლის ამოცანაა ადამიანებს გადასცეს, როგორც ეს ცოდნა და აღმოჩენები, ისე უკვე ცნობილი ჭეშმარიტებანიც. კაცობრიობის კეთილდღეობა და თვით არსებობაც კი, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი სიწრფელით და პატიოსნებით უერთგულებენ ჭეშმარიტებას მეცნიერები, მასწავლებლები და მწერლები (ჩარლზ ვინერი, მაღალი მისია, გაზ. „კავკასიონი", 2 III-94 წ.).

ამ ვრცელ დეფინიციას ცნებებისას, ბუმბერაზი მეცნიერის მიერ შემოთავაზებულს, როგორც მოგახსენეთ, მე საკუთარი ვეთანხმები, ტერმინს „ინტელიგენტი", მხოლოდ დადებითი მნიშვნელობით მოვიაზრებ და ვხმარობ, რაც, ვიმედოვნებ, გამოჩნდა კიდეც ნაშრომში.

ვრცელი მონოგრაფია, „ქართული მწერლობა და ინტელიგენციის პრობლემები", რომელიც ამ ეტაპზე, გარკვეული თვალსაზრისით, შეიძლება გასრულებულად ჩაითვალოს, მიზნად ისახავდა იმის გაშუქებას, თუ როგორ იდგა ინტელიგენციის პრობლემა XIX-XX საუკუნის ქართულ მწერლობაში და მეორეს მხრივ, საკითხების რა სპექტრი იშლებოდა თვით ამ ინტელიგენტთა თვალსაწიერის წინაშე. აღმოჩნდა, რომ წამყვანი, ცენტრალური, მაორგანიზებელი დვრიტა, რომელსაც ორი საუკუნის მანძილზე

თითქმის არასოდეს დაუკარგავს თავისი სიღრმისეული ნიშატი, არის „ქართლის ბედისა“ და ქვეყნის მსახურების მრავალტანჯული პრობლემა, ილია ჭავჭავაძის მიერ ცნობილი ფორმულით მოწოდებული:

„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს!“

ცხადია, ეს ფორმულა, არამცთუ უარყოფს, პირიქით, თავისთავში გულისხმობს სხვადასხვა, ნაირნაირ პრობლემათა რიგს, რომელთა აქ ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანდა.

ე. წ. „საბჭოთა ლიტერატურის“ არსებობის პერიოდში, როცა ქართული მწერლობა არნახული ძალადობის წნეხის ქვეშ მოექცა, როცა ეროვნული საკითხი თითქმის მთლიანად მოიხსნა დღის წესრიგიდან, იგი ფარულად მაინც განაგრძობდა არსებობას და სწორედ ინტელიგენციის წყალობით იყო, რომ სულს იბრუნებდა და ნაცარწაყრილი ნაღვერდალივით მხურვალებას ინარჩუნებდა.

ამის გამო ქართველმა ინტელიგენციამ მრავალი მძიმე განსაცდელი გადაიტანა ბოლო ორი საუკუნის მანძილზე. ბევრი ღამე გატეხა ქვეყნისა და ხალხის ბედზე ფიქრით, მეტად ბევრი მსხვერპლი გაიღო, ნემსის ყუნწში ძრომაც მოუწია, ცეცხლთან თამაშიც, მუნჯი ბარიკადის როლში ყოფნაც, მაგრამ მის საუკეთესო წარმომადგენლებს არასოდეს დაუკარგავთ საკუთარი მოწოდებისა და ღირსების მაღალი შეგნება. მათ კარგად იცოდნენ: იყო ინტელიგენტი, ეს ნიშნავს იმასაც, რომ მთელი შენი არსებით შენს ხალხს, შენს წმინდა საქმეს ეკუთვნოდე, ამ საქმის განხორციელებისათვის ბრძოლაში, რაც შეიძლება ნაკლებად ამჩნევდე საკუთარ პერსონას და რაც შეიძლება მეტს ფიქრობდე შენს მიზანზე, შენი მოქმედების რეალურ შედეგებზე.

სამწუხაროდ, ქართულ სინამდვილეში ისეთი ფაქტებიც არაერთხელ იყო, რომ საზოგადოების სულიერი აღზრდისა და აღზევებისათვის მოწოდებულ ინტელიგენტთა რიგებს შეერთვნენ პიროვნებანი, რომელთაც პირადი წარმატებისა და მატერიალური კეთილდღეობის კერპი თავიანთ მთავარ ღვთაებად აღიარეს. „ანტიინტელიგენტებმა“ შეძლეს მათთვის სანუკვარ სფეროში შეღწევა და ამ ფაქიზი ორგანიზმის შიგნიდან გამოღრღნა მოინდომეს.

მაგრამ ქართველი ინტელიგენციის საღი ნაწილი ყოველთვის იქ იდგა, სადაც ქვეყნის სამსახური ნამდვილ მსხვერპლს და სრულ უანგარობას მოითხოვდა.

რაღა თქმა უნდა, ძნელია მტკიცება, მაგრამ მე მაინც ასე მგონია: გარდა ქართულისა, ვერ დაიძებნება ისეთი ლიტერატურა, რომელსაც ამდენი ტრაგიკულობით აღბეჭდილი მწერალი ჰყავდეს

(იგულისხმება მხოლოდ XIX -XX საუკუნეები). ამ წმინდა სახელებისადმი ღრმა მოკრძალებისა და მადლიერების გრძნობით აღვსილი, თავს ვერ ვიკავებ ზოგიერთი მათგანის პერსონალური დასახელებისაგან:

სოლომონ დოდაშვილმა ციმბირში ჩაყარა ჭლექიანი ძვლები. ასევე, სოლომონ რაზმაძემაც. დიმიტრი ყიფიანი - მოკლეს. ნიკოლოზ ბარათაშვილმა უცხოობაში დალია მბორგავი სული. ილია ჭავჭავაძე მოკლეს - მომავალმა სისხლიანმა მარიონეტებმა. აკაკი და ვაჟა - მთელი სიცოცხლე ლუკმა-პურის ძიებაში იყვნენ. ივანე მაჩაბელი უგზოუკელოდ დაიკარგა. ალექსანდრე ყაზბეგი შეიშალა. ეგნატე ნინოშვილი ჭლექმა იმსხვერპლა. ჭოლა ლომთათიძე ციხის ჯურღმულებში ჩაკვდა. არჩილ ჯორჯაძე ნაადრევად იმსხვერპლა ჭლექმა. სამსონ ფირცხალავა, ემიგრაციიდან დაბრუნებული, ღრმად მოხუცი, ციმბირში გადაასახლეს და ჩაკლეს. თედო რაზიკაშვილი გამხეცებულმა გლეხებმა ჩამოახრჩვეს 24-ში. ი. ევდოშვილი, არაერთგზის ნაკატორღალი, ჭლექით მოკვდა. გრ. რობაქიძე ემიგრაციაში გარდაიცვალა სამშობლოს ზეცას და მიწას მონატრებული. ტერენტი გრანელი შეიშალა. ბასილ მელიქიშვილი 1924-მა იმსხვერპლა. პაოლო იაშვილმა თავი მოიკლა. ტიციან ტაბიძე მოკლეს. ვახტანგ კოტეტიშვილი მოკლეს. მიხეილ ჯავახიშვილი მოკლეს. მიხეილ ბოჭორიშვილი 1924 წ. დახვრიტეს. ნ. მიწიშვილი - მოკლეს. გალაკტიონმა თავი მოიკლა. კოტე ხიმშიაშვილი მოკლეს. გერცელ ბააზოვი მოკლეს. მირზა გელოვანი ომში ჩაღუპეს. ლადო ასათიანი ჭლექმა იმსხვერპლა. გაბრიელ ჯაბუშანური მთაში გადაიხვეწა, საერთოდ განუდგა ლიტერატურას. ლადო ბალიაური მოკლეს. ადამ ბობღიაშვილი მოკლეს. გიორგი ძიგუაშვილი მოკლეს. ერეკლე ტატიშვილი ციხეებში ტანჯეს. შალვა ამირეჯიბი ემიგრაციაში აღესრულა. საბჭოთა გულაგის ჯურღმულებში ეწამნენ: ჭაბუა ამირეჯიბი, ოტია პაჭკორია, ლადო სულაბერიძე, გივი მაღულარია.

რომელი ერთი მოვთვალო? რომელი ერთი? ან იმათ რა ვუყოთ, იმ მწერლებს და მოღვაწეებს, რომლებიც, მართალია, არც დაუპატიმრებიათ და არც მოუკლავთ, მაგრამ სულიერად დააბეჩავეს, გამოშიგნეს, რწმენა და კაცური ღირსება შეუბღალეს? მათი ტრაგედია დაჭერილებთან და დახვრეტილებთან შედარებით, მეტი თუ არა, ნაკლები არ იყო, რამეთუ აქ ადამიანთა, შემოქმედთა სოლ გაუპატიურებასთან გვაქვს საქმე. არა, უფრო უარესი, მათს სიცოცხლეშიეე სიკვდილთან.

როგორც მკითხველი დარწმუნდა, ნაშრომში საკმაოდ მრავალრიცხოვან ინტელიგენტთა ცხოვრება და შემოქმედებაა

განხილული. ესენია: ს. დოდაშვილი, დ. ყიფიანი, გ. ერისთავი, ი. ჭაჭავაძე, ვ. ბარნოვი, შ. არაგვისპირელი, ე. ნინოშვილი, ჭ. ლომთათიძე, ა. ჯორჯაძე, მ. ჯავახიშვილი, გრ. რობაქიძე, პ. იაშვილი, ვ. კოტეტიშვილი, პ. ინგოროყვა, ა. აბაშელი, კ. გამსახურდია. საკმაო ადგილი აქვთ დათმობილი, აგრეთვე, ბ. ჟღენტსა და კ. ლორთქიფანიძეს, ვითარცა ჩვენი მწერლობის თანამდევ, ბოროტ სულებს. ეს რაოდენობა არც ისე ცოტაა ერთი, თუნდაც სქელტანიანი ნაშრომისათვის, მაგრამ მკითხველს მაინც შეიძლება გაუჩნდეს კითხვა: რატომ მაინცდამაინც ზემოხსენებული ავტორები მოექცნენ ჩემი ყურადღების არეალში და არა სხვანი? რაო, განა სხვა მწერლებთან და პოეტებთან XIX და განსაკუთრებით კი XX საუკუნისა, არ მოიპოვება სათანადო მასალა? რაღა თქმა უნდა, მოიპოვება და საკმაოდ უხვადაც, მაგრამ მე თუ მაინც აქ მოხმობილებს მივაპყარი მზერა, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი გამორჩეულად ტიპიურნი მომეჩვენენ ჩემთვის საინტერესო თვალსაზრისით, და მეორე, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ნაშრომის კანონიკური მოცულობა მეტის უფლებას აღარ იძლევა.

საერთოდ, ამ სტრიქონების ავტორი თავს ბედნიერად ჩათვლიდა, თუ სამომავლოდ მიეცემოდა საშუალება მთელი ქართული მწერლობის ზემოხსენებული ასპექტით განხილვა-გაანალიზებისა. მაშინ სურათი გაცილებით სრული იქნებოდა, მრავალფეროვანი და, ცხადია, უფრო საინტერესოც.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ე. წ. საბჭოთა მწერლების ცხოვრება და შემოქმედება. აქ უამრავი საკვანძო პრობლემა იჩენს თავს, რომელთა გამოწვლილვით ანალიზის გარეშე, ამ პრობლემისადმი რეალური, პირუთნელი მიდგომის გარეშე, ოდნავ მაინც ღირებული ისტორია ლიტერატურისა, ვერ დაიწერება. ჩვენ თავი არ უნდა ავარიდოთ სიმართლეს, არ უნდა შევუშინდეთ მას და პირდაპირ აღვიაროთ, რომ საბჭოთა დიქტატურის პერიოდში ქართველი ინტელიგენცია, არც მეტი არც ნაკლები, ნამდვილი ყურმოჭრილი მონა იყო ხელისუფლებისათვის და მისი ურყევი ნების უსიტყვო აღმსრულებელი, აქედან გამომდინარე ყველა სავალალო შედეგით. ეს გახლავთ შავბნელი ხანა ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ლიტერატურისა, ეს გახლავთ „გზანი წამებისანი" ჩვენი სახელოვანი მწერლებისა, რომლებმაც, აქ კიდევ უნდა გავიმეორო არაერთხელ თქმული, მიუხედავად ყოველივესი, მაინც შეძლეს წარუვალ ეთიკურ და ესთეტიკურ ღირებულებათა შექმნა.

მაგრამ ეს იყო ზღვაში წვეთი. ვინ იცის, ვინ მოთვლის, რამდენი რამ დაიღუპა, და განქარდა, რამდენ საღ აზრს ამოედო

ლაგამი, რამდენი დიდებული მხატვრული ჩანაფიქრი დარჩა ხორცშეუსხმელი!

მაგრამ მოთქმა-გოდება საქმეს ვეღარ უშველის.

ახლა სხვა დროა, სხვა ჟამი დაგვიდგა თითქოს, მაგრამ საშინელი ურჩხულის ე. წ. საბჭოთა კავშირის სიკვდილისა და აპოკალიპსური ნგრევის შემდეგ, ადამიანებმა თავისუფლად მაინც ვერ ამოისუნთქეს. უჭირს მწერლობას, უჭირს ინტელიგენციას, მართალია, საბჭოთა ცენზურა აღარ პარპაშებს და სულს არ გვხდის, მაგრამ სამაგიეროდ, საზოგადოება საბედისწეროდ არის დახლეჩილ-დაქუცმაცებული, გუშინდელი დღიდან დასკვნები ვეღარ გამოგვიტანია, დღეისდღის ამოცანას ვერ ჩავწვდომივართ და ვერც სახვალიო სინათლეს ვხედავთ, რაც, თავისთავად ცხადია, კატასტროფულად, მომაკვდინებლად მოქმედებს მწერლობაზე და მისი განვითარების პერსპექტივაზე. შემოქმედებითი ინტელიგენცია დაბნეულია. ეს დაბნეულობა XIX საუკუნის დასაწყისიდან, 1832 წლის შეთქმულების დამარცხებაში იღებს სათავეს და საუბედუროდ ჩვენდა, ახლაც გრძელდება.

ვითარება ურთულესია: ინტელიგენტთა რიგებიდან ერთნი ფიქრობენ, რომ მეორე გზა „პროვინციულ ფაშიზმზე" გადის, მეორენი პირველთ უკიჟინებენ კომუნისტური სტრუქტურის აღდგენას და რუსეთთან კვლავ ჩახუტებისკენ ლტოლვას, მესამენი - ორიეს ამტყუნებენ, არცერთს არ ემხრობიან და ჩუმად იღვწიან თავიანთ სარბიელზე, ყოველგვარ მატერიალურ სახსარს მოკლებულნი.

სად არის სიმართლე? ვისთან არის? ახლა, ინფორმაციული ვაკუუმის ჟამს, ძნელია, რაიმეს გადაჭრით თქმა, მაგრამ თუ დავუშვებთ, რომ თვალსაზრისთა ეს ნაირგვარობა რეალურ ვითარებას ასახავს, არც ერთია მისაღები, არც მეორე და არც მესამე. რაღაც სხვაა საჭირო, რაღაც ისეთი, რაც ჩვენს წამებულ ქვეყანას უმძიმესი ვითარებიდან გამოიყვანს, ხოლო ინტელიგენციას ისევ აპოვნინებს საკუთარ თავს. დაბნეულობა... სწორედ ამ დაბნეულობის გასაფანტავად მიახეთქა ჭკვიანი თავი დიდმა ფილოსოფოსმა, მერაბ მამარდაშვილმა, უმეცრებისა და უმადურობის ყრუ კედლებს. დაბნეულობამ მიიყვანა უბირ ადამიანთა გააფთრებული ლაშქარი ვერის ბაღში მწერალთა ყრილობის მიმდინარეობის ჟამს და ვანდალურად აფხრეწინა წიგნები. მიზეზი? მწერლებს ბრალდება წაუყენეს: კონიუნქტურის მონები ხართო, საბჭოთა რეჟიმის ტრადიციებს აგრძელებთო. ვინ იცის, იქნებ კიდეც იყოს რაღაც მარცვალი სიმართლისა ყოველივე ამაში. იქნებ, ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენციის ერთი ნაწილი მართლაც ისე

მძლავრად დაიდაღა საბჭოური აზროვნების ტვიფარით, რომ თავი ვეღარ დაულწევია მისთვის? მაგრამ, მაშინ რა ეუყოთ ანა კალანდაძის სამაგალითო მოქალაქეობასა და ღვთაებრივ პოეზიას? რეზო ინანიშვილის შემოქმედებას? ოთარ ჩხეიძის, ოთარ ჭილაძის რომანებს და კიდევ მრავალ სხვას? ისინი ხომ ინტელიგენტური ქველობის ნამდვილ მაგალითს გვაწვდიან, სწორედ ისეთს, გენიალური ნორბერტ ვინერი რომ მიუთითებდა.

ანდა გამაგებინეთ, როგორ უნდა შეფასდეს ახალგაზრდა ინტელიგენტი კაცის გია აბესაძის საქციელი, როცა იგი, თანამოძმეთა ურთიერთმტრობითა და ბრიყვული შენ-ჩემობით სულის სიღრმემდე შეძრული, ასეთ წერილს დაწერს:

„თუ ქართველთა შერიგებასა და საქართველოს აღორძინებას მსხვერპლი სჭირდება, დაე, ეს მსხვერპლი მე ვიყო. ღმერთმა ჰქნას, ბოლო. შვილო, მაპატიე, ვიცი, რომ გამიგებ.

ექიმი გია აბესაძე. 35 წლის.

დაწერს... მერმე, სრულიად შეგნებულად, ბენზინს გადაისხამს და დღისით, მზისით, საჯაროდ, რუსთაველის პროსპექტზე,დაიწვავს თავს, კვარიყვით აბრიალდება. ხოლო როცა საავადმყოფოში მომაკვდავს ჰკითხეს: ვინა ხარო, ერთ სიტყვას უპასუხებს: „ქართველი!“

მოგვიანებით, პოეტი ოთარ ჭელიძე ასე გამოიტირებს ამ ღვთივკურთხეულ კაცს:

„ქცეულმა ცოცხალ სანთელ-საკმევლად, წუთით წაჰგვარა მწუხრს დედამიწა. ჩვენში ყველაზე წმინდა ქართველმა თავი სახალხოდ წუხელ დაიწვა. მე ვერ ეუშველე, ვერ მოვასწარი მეხსნა სიცოცხლე გადახანძრული, თან რომ წაიღო ჯერ არ ჩამწვარი, რაც რამ შემორჩა ახალგაზრდული. ამდენი ზარით გონდამეხილმა, ვერ მიუაწვდინე ხმა ნათელმოსილს... თავი მოიკლა, რომ არ ეხილა მას თვითმკვლელობა საქართველოსი“.

რა ჰქვია ამ განსაცვიფრებელ, გონისშემშლელ საქციელს? მაღალი გმირობა ჰქვია, ქართული გენის გიზგიზა უტეხობა ჰქვია, ინტელიგენტი კაცის მიერ, დაბნეულ ადამიანთა გამოსაფხიზლებლად, საკუთარი სულისა და ხორცის ჯვარცმა ჰქვია. დიახ, „მე თუ არ დავიწვი, შენ თუ არ დაიწვი, ის თუ არ დაიწვა, ვინღა გაანათოს?“

დიახ, გაანათა, კაშკაშით გაანათა... მაგრამ ქვეყანა ისევ გვემული და დაფლეთილია, შინაომებისაგან სისხლით დაწრეტილი, გათითოკაცებული და ციდამტკავლური ამბიციებით გაბღენძილი.

უჭირს ინტელიგენციას, შია, სცივა, ელემენტარული სახსარი არ გააჩნია არსებობისა, ხოლო ორთავიანი არწივი, რომელიც ორასი წლის მანძილზე არხეინად კორტნიდა საქართველოს ტანჯულ სხეულს, კვლავ რომ გველირება, ვიცით ჩვენ ეს!

მინდა ყველამ გაიგოს: ინტელიგენციის ფსიქოლოგიის დათრგუნვა არც ისე ადვილია, როგორც ამას მისი აბუჩად აგდებისა და გზიდან ჩამოცილების მოწადინენი ფიქრობენ. მისი შინაგანი სიფაქიზე და გამახვილებული მგრძნობიარობა „მერყეობის“ ნიშანი როდია. არც თავმდაბლობა და აღზრდით შეძენილი თავაზიანობის ნიჭი ნიშნავს სისუსტესა და „უხერხემლობას“. თავისი ბუნებით თუ მოწოდებით, იგი ყოველთვის იყო და იქნება სულიერი უხამსობის დაუძინებელი მოწინააღმდეგე, ხოლო რაკიღა ცხოვრებამ ასე დაგვაბედა, რომ ჩვენი ეროვნული თავისუფლება და სულიერი აღზევება ჯერ ისევ მომავლის საქმედ რჩება, ქართველ შემოქმედებით ინტელიგენციას ისღა დარჩენია, კვლავ აღმართოს მძიმე ბრძოლებში გამოტარებული, დაცხავებული, გარნა ამაყი და შეუმწიკლელი დროშა ილია მართლისა, რომელზედაც აწერია დიადი სიტყვები:

„ჩვენი თავი ჩვენ უნდა გვეყუდნეს!“

1994 წ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბაშიძე კიტა, ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, პროფ. გამეზარდაშვილის რედაქციითა და შესავალი წერილით, თსუ, 1962 წ.

2. აბაშიძე კიტა, ცხოვრება და ხელოვნება, თსუ, 1972 წ.

3. აბაშიძე კიტა, ჯვარს აცვ, ჯვარც აცვ ეგე! გ. აბაშიძის რედაქციით, თბ. 1991 წ.

4. აბაშიძე კიტა, პოლიტიკური რომანტიზმი, „მოამბე", 1905 №1.

5. აბაშიძე ირაკლი, ზარები ოცდაათიანი წლებიდან „მნათობი", 1992, №1.

6. ასათიანი გურამ, სათაეებთან, თბ. 1982 წ.

7. ასათიანი გურამ, თანამდევი სულები, 1983 წ.

8. ასათიანი გურამ, კრიტიკული დიალოგები, 1977 წ.

9. ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, 1956 წ. ტ. I.

10. არაგვისპირელი შიო, თხზულებათა სრული კრებული, ტ. I-II, თბ. 1947 წ.

11. აბულაძე მირიან, კონსტანტინე გამსახურდია, 1971 წ.

12. ავალიშვილი ზურაბ, საქართველოს დამოუკიდებლობა, 1929წ.

13. აფხაიძე შალვა, „მახსოვს მარადის" 1988 წ.

14. ავალიანი ლალი, პაოლო იაშვილი, 1977

15. აბაშელი ალექსანდრე, თხზულებანი, ტ. I 1958, ტ. II-1959.

16. ბარნოვი ვასილ, თხზულებათა სრული კრებული, ათ ტომად, თბ. 1961 1964, ტ. I-X.

17. ბაქრაძე აკაკი, მითოლოგიური ენგადი, თბ. 1969 წ.

18. ბაქრაძე აკაკი, რწმენა, თბ. 1990 წ.

19. ბაქრაძე აკაკი, კრიტიკული გულანი, 1977 წ.

20. ბაქრაძე აკაკი, მწერლობის მოთვინიერება, 1990 წ.

21. ბაქრაძე აკაკი, ილია ჭავჭავაძე, თბ. 1984 წ.

22. ბაქრაძე აკაკი, აკაკი წერეთელი, „განთიადი", 1992 წ.

23. ბაქრაძე აკაკი, ნიკო ნიკოლაძე, 1989 წ.

24. ბენაშვილი დ., კონსტანტინე გამსახურდია, 1962 წ.

25. გამსახურდია კონსტანტინე, რჩეული თხზულებანი, რვატომეული, თბ, 1958წ., ტ. I-VIII.

26. გამსახურდია კონსტანტინე, თხზულებათა ათტომეული, თბ. 1973 - 1985.
27. გამსახურდია კონსტანტინე, თხზულებანი ოც ტომად, თბ. 1992 (ზვიად გამსახურდიას რედაქციით), ტ. I.
28. გამსახურდია კონსტანტინე, ბელადი, ტრილოგია, წიგნი I, 1939.
29. გაწერელია აკაკი, რჩეული ნაწერები, ტ. I, 1962 წ. ტ. II 1978.
30. გაწერელია აკაკი, ნარკვევები, პორტრეტები, 1988 წ.
31. გომართელი ივანე, რჩეული თხზულებანი, ტ. I-II, 1966 წ.
32. გვერდწითელი გურამ, ლიტერატურული პორტრეტები, ესკიზები, წერილები, 1968 წ.
33. დევდარიანი სეით, „ჭოლა ლომთათიძე", მნათობი, 1925, №7.
34. დოდაშვილი სოლომონ, „ქართული მწერლობა", ტ. 9, 1992 წ.
35. ერისთავი გიორგი, თხზულებანი (ო. ურიდიას რედაქციით), 1966 წ.
36. ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული, ათ ტომად, ტ. VII, VIII, IX.
37. ვაჟა-ფშაველა, ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ, 1967წ.
38. თვარაძე რევაზ, წიგნი და მკითხველი, 1971 წ.
39. იაშვილი პაოლო, ლექსები, პოემა, მოთხრობები, 1959 წ.
40. კაპანელი კონსტანტინე, ფილოსოფიური შრომები, 1889 წ.
41. კოტეტიშვილი ვახტანგ, ქართული ლიტერატურის ისტორია, (XIX ს). თბ. 1959 წ.
42. კოტეტიშვილი ვახტანგ, რჩეული ნაწერები, ტ. I, II, 1967წ.
43. კაკაბაძე ზურაბ, ფილოსოფიური საუბრები, 1988 წ.
44. კაკაბაძე ნოდარ, პორტრეტები და სილუეტები, 1971 წ.
45. კაკაბაძე ნოდარ, თომას მანი, 1967 წ.
46. კიკვიძე აბელ, გაზეთი „კვალი" (1893-1904), 1969 წ.
47. კიკნაძე გრიგოლ, მეტყველების სტილის საკითხები, 1957წ.
48. კიკნაძე გრიგოლ, ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის 1972 წ.
49. კიკნაძე გრიგოლ, ლიტერატურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, 1978 წ.
50. „კვალი", № I, 5. V-1894 წ.
51. „კვალი", № 17, 1898 წ.

52. „კვალი“, № 9-18, 1896 წ.
53. „კვალი“, № 24, 1898 წ.
54. „კვალი“, № 28, 1898 წ.
55. „კვალი“, № 1, 1901 წ.
56. „კვალი“, № 31, 1901 წ.
57. „კვალი“, № 7, 1903 წ.
58. „კვალი“, № 14-30, 1903 წ.
59. „კვალი“, № 26-30 1903 წ.
60. „კვალი“, № 28, 1903 წ.
61. „კავკასიონი“, № 1-2, 1924 წ.
62. „ახალი კავკასიონი“, № III-IV, 1925.
63. კვანჭილაშვილი ტარიელ, მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედება, 1987 წ.
64. ლომთათიძე ჭოლა, მოთხრობები, 1925 წ., ტ. I-II.
65. ლომთათიძე ჭოლა, თხზულებათა სრული კრებული, 1956წ.
66. ლომთათიძე ჭოლა, დღიური, „მნათობი“, 1934 წ. № 7-9.
67. ლასხიშვილი გიორგი, მემუარები, 1934 წ.
68. მახარაძე აპოლონ, ნარკვევები ქართული ლიტარატურის ისტორიიდან, ტ. III, 1965 წ.
69. მიშველაძე რევაზ, შენ ჩემთვის რა გატირებდა, 1979 წ.
70. მაღლაფერიძე თეიმურაზ, ძალადობა, შიში, სიცრუე, „კრიტიკა“ 1990, № 6, 1991, № 2, 3, 4.
71. მაღლაფერიძე თეიმურაზ, არჩილ ჯორჯაძე, „მნათობი“, 1987 წ. № 10.
72. მაღლაფერიძე თეიმურაზ, არჩილ ჯორჯაძის ნააზრევი, „ლიტერატურული საქართველო“, 1987 წ. № 44-45.
73. მაღლაფერიძე თეიმურაზ, „რევოლუცია ჩემთვის საშინელი ტრაგედიაა“, (მ. ჯავახიშვილი), „განთიადი“, 1992, № 1-4.
74. მახარაძე ფილიპე, თხზულებანი, ტ. I, 1926 წ.
75. ნაკაშიძე ნინო, მოგონებანი, 1956 წ.
76. ნინოშვილი ეგნატე, თხზულებათა სრული კრებული, სამ ტომად (ს. ხუნდაძის რედაქციით), ტ. I 1932, ტ. II 1935. ტ. III 1938 წ.
77. ნინოშვილი ეგნატე, თხზ. სრულ. კრებ. (გ. ქიქოძის რედაქციით), 1954 წ.
78. ჟორდანია ნოე, ჩემი წარსული, 1990 წ.
79. ჟღენტი ბესარიონ, კონსტანტინე გამსახურდია, 1967 წ.
80. რადიანი შალვა, ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, 1952 წ.
81. რადიანი შალვა, სახეები და შთაბეჭდილებანი, 1962 წ.

82. რამიშვილი დანიელ, ჭოლა ლომთათიძე (მონოგრაფია), 1960 წ.
83. რობაქიძე გრიგოლ, გველის პერანგი, 1988 წ.
84. რობაქიძე გრიგოლ, ჩაკლული სული, 1990 წ.
85. სრულიად საქართველოს მწერალთა პირველი ყრილობა (სტენოგრაფიული ანგარიში), 1926 წ.
86. სანიკიძე ლევან, მესამე დასის საქართველო, 1989 წ.
87. სურგულაძე აკაკი, ნარკვევები ქართველი ინტელიგენციის ისტორიიდან, 1980 წ.
88. სურგულაძე აკაკი, ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია სამ რევოლუციაში, 1986 წ.
89. სახოკია თედო, ჩემი საუკუნის ადამიანები, 1969 წ.
90. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, რვა ტომად (ავტორთა კოლექტივი), ტ. V 1970, ტ. VI-VII - 1972 წ.
91. სიგუა სოსო, მარტვილი და ალამდარი, 1991 წ.
92. საქართველოს რაინდი, (კრებული ა. ჯორჯაძისადმი მიძღვნილი), 1991 წ.
93. ტაბიძე გალაკტიონ, თხზულებანი, თორმეტ ტომად, ტ. XII, 1975 წ.
94. ტაბიძე ტიციან, თხზულებანი, ტ. II, 1960 წ.
95. უთურგაული აეთანდილ, ინტელიგენციის სოციალური ბუნება სოციალისტურ საზოგადოებაში, „მნათობი", 1970 წ. № 10.
96. უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია, ნაწ. I 1984, ნაწ. II - 1990.
97. ფირცხალავა სამსონ, მოგონებათა ფურცლები, 1988 წ.
98. ქიქოძე გერონტი, რჩეული თხზულებანი, სამ ტომად, I - 1963, II- 1964, III- 1965 წ.
99. ქიქოძე გერონტი, თანამედროვეის ჩანაწერები, „მნათობი" 1992 წ. № 1.
100. ქართული ლიტერატურის ისტორია, ექვს ტომად, ტ.I-V.
101. ყიფიანი დიმიტრი, მემუარები, (ს. ხუნდაძის რედაქციით) 1930 წ.
102. ჩხეიძე ოთარ, რომანი და ისტორია, 1965 წ.
103. ჩიქოვანი სიმონ, თხზულებანი, ტ. III-1967 წ.
104. ციციშვილი გიორგი, ჭოლა ლომთათიძე, ცხოვრება და შემოქმედება, 1961 წ.
105. ცისკარიძე ვიოლეტა, უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხები, ტ. I-II 1972 წ.
106. „ცისფერი ყანწები" 1916, № 1, 2.
107 წერეთელი აკაკი, თხზულებათა სრული კრებული, თხუთმეტ ტომად (გ. აბზიანიძის რედაქციით), ტ. XIII 1961 წ.

108. წერეთელი აკაკი, რჩეული ნაწერები, ხუთ ტომად, ტ. IV, V, 1990 -1991 წ.
109. წერეთელი მიხაკო, ერი და კაცობრიობა, 1990 წ.
110. ჭავჭავაძე ილია, თხზულებათა სრული კრებული, ათ ტომად, (პ. ინგოროყვას რედაქციით), 1950 წ. ტომები: I, II, III, IV, V, VI, VII, VIII, IX.
111. ჭავჭავაძე ილია, რჩეული ნაწერები, ხუთ ტომად, 1985-1987 წ.
112. ჭილაია სერგი, მეოცე საუკუნის ქართული მწერლობა, ტ. I 1956, ტ. II 1958 წ.
113. ჭილაია სერგი, ოცწლეული, (1921-1941), 1986 წ.
114. ხუნდაძე სიმონ, მასალები სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, ტ. I-II, 1927 წ.
115. ხიდაშელი შალვა, უსათაურო მოგონებანი, „განთიადი", №1, 1990.
116. ხომლელი, რჩეული ნაწერები, 1963 წ.
117. ჯავახიშვილი მიხეილ, თხზულებანი, ექვს ტომად, ტ. VI -1958 წ.
118. ჯავახიშვილი მიხეილ, თხზულებანი, რვა ტომად, ტ. I-VIII, 1969-1980 წ.
119. ჯავახიშვილი ქეთევან, მიხეილ ჯავახიშვილი, (ცხოვრება და მოღვაწეობა), 1984 წ.
120. ჯავახიშვილი ქეთევან, მიხეილ ჯავახიშვილი (ბელეტრისტი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი), 1989 წ.
121. ჯავახიშვილი ქეთევან, მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება, 1991 წ.
122. ჯიბლაძე გიორგი, „ილია ჭავჭავაძე", (მონოგრაფია), 1966წ.
123. ჯიბლაძე გიორგი, კრიტიკული ეტიუდები, ტ. I, 1958წ.
124. ჯორჯაძე არჩილ, თხზულებანი, ტ. I-V, 1911-1913 წ.
125. ჯორჯაძე არჩილ, წერილები, 1989 წ.
126. ჯორჯაძე არჩილ, სამშობლო და მამულიშვილობა, 1990წ. (ე. კოდუას წინასიტყვით).

რუსულ ენაზე

127. ანდრეევ ლეონიდ, პოვესტი ი რასკაზი ვ დვუხ ტომახ, მ. 1971.

128. ანდრეევ ლეონიდ, სობრანიე სოჩინენიი ვ შესტი ტომახ, 1990.

129. ანდრეევ ლეონიდ, პიესი, „ისკუსსტვო", 1959.

130. ბახტინ მ., პრობლემი პოეტიკი დოსტოევსკოგო, მ. 1963.

131. ბლოკ ალექსანდრ, სობრანიე სოჩინენიი ვ ვოსმი ტომახ, ტ. V 1962, ტ. VI 1962, ტ. VII - 1963.

132. ბერდიაევ ნ. ა., ისტოკი ი სმისლ რუსსკოგო კომუნიზმა, 1990.

133. ბუნინ ი. პოკაიანნიე დნი

134. ვეხი (სბორნიკ სტატიეი ო რუსსკოი ინტელიგენციი), მოსკვა, 1909.

135. ვეხი (სბორნიკ სტატეი ო რუსსკოი ინტელიგენციი), რეპრინტნოე ვოსპროიზვედენიე იზდანია 1909 გოდა, მოსკვა, 1990.

136. ვოროვსკი ვ. ვ. ლიტერატურნო-კრიტიჩესკიე სტატიი, 1956.

137. ვ ზაშჩიტუ ინტელიგენციი (სბორნიკ სტატიეი) იზდ. „ზარია", 1909.

138. „ვეხი" კაკ ზნამენიე ერემენი, (სბორნიკ სტატიეი), მოსკვა, 1910.

139. გორკი მაქსიმ, ო ლიტერატურე, 1953.

140. გორკი მაქსიმ, ლიტერატურნოე პორტრეტი, 1959.

141. გორკი მაქსიმ, ნესვოევრემენნიე მისლი ზამეტკი ო რევოლუციი ი კულტურე, ჟურნალ „ლიტერატურნოე ობოზრენიე", 1988, № 9, 10, 11, 12.

142. გიპიუს ზინაიდა, ტ. I, II.

143. გინზბურგ ლიდია, ო პსიხოლოგიჩესკოი პროზე, ლენინგრად, 1971.

144. ინტელიგენცია ვ როსიი (სბორნიკ სტატიეი), სანკტ-პეტერბურგ, 1910.

145. იზ გლუბინი (სბორნიკ სტატეი ო რუსსკოი რევოლუციი), მოსკვა-პეტერბურგ, 1918.

146. ისტორია რუსსკოი ობჩესტვენნოი მისლი, ტ. II, ს. პეტერბურგ, 1913.

147. ისტორია რუსსკოი სოვეტსკოი ლიტერატური, ტ. I-IV.

148. კორლენკო ვ. გ. წერილები ლუნაჩარსკის, „საუნჯე“ 1989, № 2, (ქართულ ენაზე).
149. ლენინ ვ. ი. თხზ. სრ. კრებ. ტ. 51, წერილი მ. გორკის.
150. ლენინ ვ. ი. ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ, 1947 (ქართ. ენაზე).
151. ლენინ ვ. ი. თხზ. სრ. კრებ. ტ. VI (ქართულ ენაზე).
152. ლუნაჩარსკი ა. ვ., სტატიი ო ლიტერატურე, 1957.
153. ლუნაჩარსკი ა. ვ., ობ ინტელიგენციი (სბორნიკ სტატიეი), 1923.
154. ლოზინსკი ე., ჩტო ჟე ტაკოე ნა კონეც ინტელიგენცია, ს. პეტერბურგ.
155. ლეიკინა სვირსკაია ვ. რ. ინტელიგენცია ვ როსსიი ეო ტაროი პოლოვინე XIX ვეკა, „მისლ“, 1971.
156. ლიტერატურნი რასპად (კრიტიჩესკი სბორნიკ), კნიგა ვტორაია, ს. პეტერბურგ, 1909.
157. ოვსიანიკო-კულიკოვსკი დ. ნ., ისტორია რუსსკოი ინტელიგენციი, ტ. I, II, III, სანკტ-პეტერბურგ, 1914.
158. ოვსიანიკო-კულიკოვსკი დ. ნ., ლიტერატურნო-კრიტიჩესკიე რაბოტი, ტ. I, II, 1989. (ვსტუპიტელნაია სტატია ი. მანნა).
159. ო სმენე ვეხ, (სბორნიკ სტატიეი), იზდატელსტვო „ლოგოს“ 1922.
160. ო სოვეტსკოი ინტელიგენციი (სბორნიკ მატერიალოვ), 1939.
161. პო ვეხამ (სბორნიკ სტატიეი), ობ ინტელიგენციი ი ნაციონალნომ ლიცე, 1909.
162. რუსსკაია ლიტერატურა კონცა XIX ნაჩალა XX ვ. (1901-1907), ტ. I, 1971.
163. რუსსკაია ლიტერატურა კონცა XIX ნაჩალა XX ვ. (1908-1917), ტ. II, 1972.
164. რუსსკაია ლიტერატურა XX ვეკა, დორევოლუციონნი პერიოდ (ხრესტომატია), 1966.
165. სუდბი რუსკოგო რეალიზმა ნაჩალა XX ვეკა (პოდ რედაკციი მურატოვოი კ. დ.), ლენინგრად, 1972.
166. ტოლსტოი, ობ ისკუსტვე ი ლიტერატურე, ტ. I, II, 1959.
167. ჩეხოვ ა. პ., ო ლიტერატურე, 1955.
168. ჩუკოვსკი კ. ი., სობრანიე სოჩინენიი ვ შესტი ტომახ, ტ. IV, V, VI.
169. ჩუკოვსკი კ. ი., იზ ვოსპომინანიი, 1959.
170. ჩირკოვ მ. ნ., ო სტილე დოსტოევსკოგო, 1967.
171. შკლოვსკი ვ., პოვესტი ო პროზე, ტ. I, II, 1966.
172. ეიხენბაუმ ბ., ო პროზე, ლენინგრად, 1969.

სარჩევი

რედაქტორის წინათქმა 3
წინასიტყვა 5
შესავალი 24
ნაწილი პირველი: ინტელიგენტთა სახეები
ქართულ მწერლობაში საბჭოთა
დიქტატურის დამყარებამდე 50
თავი პირველი - „მრავალნი არიან წოდებულ და
მცირენი რჩეულ“ (ვ. ბარნოვი) 51
თავი მეორე - „ესაა ჩვენი ცხოვრება?!“ (შ. არაგვისპირელი) . 93
თავი მესამე - „აჯანყებას გლეხკაცობის განთავისუფლება
უნდა ჰქონდეს მიზნად და არა
რუსების განდევნა“ (ე. ნინოშვილი) 107
თავი მეოთხე - სახრჩობელას წინაშე (ჭ. ლომთათიძე) . . 145
ნაწილი მეორე: არჩილ ჯორჯაძე - საქართველოს
კულტურული ცხოვრების ახალი ხანის შემქმნელი . . 160
შესავალი
არჩილ ჯორჯაძე - პიროვნება 166
არჩილ ჯორჯაძე - ნააზრევი 195
ნაწილი მესამე: შემოქმედებითი ინტელიგენცია
ძალადობის, შიშისა და სიცრუის ვითარებაში 230
შესავალი 231
თავი პირველი - „რევოლუცია ჩემთვის უდიდესი
ტრაგედიაა“ (მ. ჯავახიშვილი) 252
თავი მეორე - „შეშინებულმა იხილა ღმერთი“
(გრ. რობაქიძე) 307
თავი მესამე - „მეღორე ცრემლიყლაპია“ (პ. იაშვილი) . . 329
ინტერლუდია: „შაეჭოხიანები“ 346
თავი მეოთხე, „გამაგრდით, არხოტიონნო“
(ვ. კოტეტიშვილი) 356
თავი მეხუთე - „გვინდა გავმართოთ მხარე ქართული“
(პ. ინგოროყვა) 361
თავი მეექვსე - „დაეცა ლოცვა და პოეზია“
(ალ. აბაშელი) 371
თავი მეშვიდე - „ლუციფერი და კლოუნი“
(კ. გამსახურდია) 381
ბოლოთქმა 418
გამოყენებული ლიტერატურის სია 426